

This is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC) project:

Author:

Title: IBERIA-COLCHIS Researches on the Archaeology and History of Georgia in the Classical and Early Medieval Period 9

The DSCC is part of the Ancient World Digital Library hosted by the Institute for the Study of the Ancient World Library.

The Georgian National Museum has granted permission to the Institute for the Study of the Ancient World of New York University to publish this material electronically in the Digital South Caucasus Collection (DSCC). We are making such material available on a noncommercial basis for research and educational purposes in an effort to expand access to thinly-held and/or out-of-print material related to the study of the ancient world. If you wish to use copyrighted material from this site for purposes beyond those in accordance with fair use (Title 17 U.S.C. Section 107), you must obtain permission from the Georgian National Museum. We respect the intellectual property rights of others. If you believe that you own the copyright to the material made available on this site, please see our takedown policy: <http://dcaa.hosting.nyu.edu/takedown-notice>




DIGITAL SOUTH CAUCASUS COLLECTION



NYU | ISAW

საქართველოს ეროვნული მუზეუმი




GEORGIAN NATIONAL MUSEUM

იბერია-კოლხეთი

საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის
არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი

IBERIA - COLCHIS

Researches on the Archaeology and History of Georgia
in the Classical and Early Medieval Period



№ 9

2013

საქართველოს ეროვნული მუზეუმის
ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრი
GEORGIAN NATIONAL MUSEUM
Journal of Otar Lordkipanidze Centre of Archaeology



იბერია-კოლხეთი

საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის
არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი

IBERIA-COLCHIS

Researches on the Archaeology and History of Georgia
in the Classical and Early Medieval Period

9

თბილისი 2013 Tbilisi

მთ. რედაქტორი: გელა გამყრელიძე

სარედაქციო-სარეცენზიო საბჭო:

ზურაბ ბრაგვაძე, დევიდ ბრაუნდი, ნინო ლორთქიფანიძე,
დარეჯან კაჭარავა, მარინე კვაჭაძე, გურამ კვიციანი,
დავით მინდორაშვილი, გოდერძი ნარიმანიშვილი,
ვახტანგ შატბერაშვილი, მათია ჩარკვიანი

ტექნიკური უზრუნველყოფა: ირაკლი ხუციშვილი

Editor-in-Chief: Gela Gamkrelidze

Editorial & Reviewers Board:

Z. Bragvadze, D. Braund (UK), N. Lordkipanidze,
D. Kacharava, M. Kvachadze, G. Kvirvelia, D. Mindorashvili,
M. Charkviani, G. Narimanishvili, V. Shatberashvili

Layout: Irakli Khutsishvili

See the web site:

<http://www.nplg.gov.ge/dlibrary/coll/0001/000498/>

<http://www.nplg.gov.ge/dlibrary/coll/0001/000772/>

<http://www.nplg.gov.ge/dlibrary/coll/0001/001087/>

<http://www.nplg.gov.ge/dlibrary/coll/0001/001122/>

<http://www.nplg.gov.ge/dlibrary/coll/0001/001186/>

http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/9572/1/Iberia_Kolxeti_N8.pdf

http://museum.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=95&info_id=12071

Address: Otar Lordkipanidze Centre of Archaeology

14, D. Uznadze str. Tbilisi, 0102, Georgia

e-mail: iberiacolchis@yahoo.com.

© საქართველოს ეროვნული მუზეუმი. 2013

ISSN 1512-4207

UDC 94(479.22)+902. ი-315

შინაარსი

CONTENTS

გიორგი დუნდუა, სამონეტო საქმე და სამონეტო მიმოძვება საქართველოში ძვ.წ. VI ს. - ახ.წ. VII ს. პირველ ნახევარში (G. DUNDUA, COINAGE AND COIN CIRCULATION IN GEORGIA FROM THE 6TH c. B.C. TO THE 1ST HALF OF THE 7TH C. AD.)	5
ნიკოლოზ მურგულია, ეგრისის სამეფოს გამაგრების სისტემის ქვესისტემები (N. MURGULIA, THE SUBSYSTEMS OF THE FORTIFICATION SYSTEM OF EGRISI KINGDOM)	52
იულონ გაგოშიძე, სოსო მარგიშვილი †, მეფე ფლავიუს დადის ვინაობისთვის (I. GAGOSHIDZE, S. MARGISHVILI, FOR THE IDENTITY OF KING FLAVIUS DADES).....	68
ვერა ჩიხლაძე, არქეოლოგიური გათხრების შედეგად საქართველოში აღმოჩენილი მუსიკალური ინსტრუმენტები (V. CHIKHLADZE, THE MUSICAL INSTRUMENTS REVEALED IN GEORGIA DURING THE ARCHAEOLOGICAL EXCAVATIONS)	88
მარინე ფირცხალავა, ომარ ლანჩავა, დარღვეული სამარხის ნაშთები ზესტაფონიდან (M. PIRTSKHALAVA, O. LANCHAVA, THE REMAINS OF THE 5TH C. B. C. GRAVE FROM ZESTAPHONI	101
ელენე გიგოლაშვილი, ძალის ბრინჯაოს ქანდაკების ფრაგმენტები (E. GIGOLASHVILI, THE FRAGMENTS OF THE BRONZE SCULPTURE OF A WOMAN)	114
ანა ჭყონია, ძველი კოლხეთის კონტაქტები აქემენიდურ სამყაროსთან (ოქროს სამაჯურები) (A. CHKONIA, THE CONTACTS OF ANCIENT COLCHIS WITH THE ACHAEMENID WORLD)	117
ოლღა სესკურია, ხათუნა გაჩეჩილაძე, ბრანათის თვლები გამოყენება ანტიკური ხანის საქართველოში (ინტერდისციპლინარული კვლევები) (O. SESKURIA, KH. GACHECHILADZE, APPLYING OF GARNET GEMS AND ARCHAEOLOGICAL ITEMS)	123
ოლეგ ბენდუქიძე †, ფაუნის ოსტეოლოგიური ნაშთები არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით (ინტერდისციპლინარული კვლევები) (O. BENDUKIDZE, OSTEOLOGICAL REMAINS OF FAUNA ACCORDING TO THE ARCHAEOLOGICAL DATA (INTERDICLIPINAR RESEARCHES)	129
დარეჯან კაჭარავა, სულხან ხარაბაძე, მირანდა თურმანიძე, მძივები ვანის ნაქალაქარის № 24 სამარხიდან (D. KACHARAVA, S. KHARABADZE, M. TURMANIDZE, BEADS FROM GRAVE 24 OF THE VANI SITE)	148
ნიკოლოზ გობეჯიშვილი, ყობანური კულტურის ძვ.წ. VII-V საუკუნეების სამარხ-კონსტრუქციები (N. GOBEJISHVILI, BURIAL CONSTRUCTION OF VII-V CC.BC OF KOBAN CULTURE	174

შუქია აფრიდონიძე, მარინე ფუთურიძე, ქართულ საკუთარ სახელთა ინგლისურ ენაზე
გადმოცემისათვის (ტრანსლიტერაციის პრინციპები) (SH. APRIDONIDZE, M. PUTURIDZE, **RULES
PROVED BY UNITED NATIONS GROUP OF EXPERTS OF GEOGRAPHICAL NAMES (UNGEGN) FOR USING
THE GEORGIAN CONSONANTS IN ENGLISH**) 179

მარინე ფუთურიძე, ზურაბ მახარაძე, მიხეილ წერეთელი, ახალი არქეოლოგიური პროექტის
– „საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) ელექტრონული
ენციკლოპედია (ძვ.წ. 3 -1 ათასწლეულები)“ პერსპექტივები და მოსალოდნელი შედეგები 183

ახალი სამეცნიერო პუბლიკაცია (NEW PUBLICATION) 187

ქართული ნუმისმატიკური მეცნიერების ახალი ეტაპი (პროფ. გიორგი დუნდუას 80
წლისთავის გამო). **THE NEW MILESTONE OF GEORGIAN NUMISMATICS (TO THE 80TH BIRTHDAY
ANNIVERSARY OF PROF. GIORGI DUNDUA)** 189

PAPERS IN ENGLISH

GIVI INANISHVILI, **IRON PRODUCTION IN COLCHIS (WEST GEORGIA) IN 7TH- 1ST CC BC.** 196

DAVID LOMITASHVILI, NINO KEBULADZE, ANA TVARADZE, IAN COLVIN, **NOKALAKEVI IN THE VIIITH-VIITH
CENTURIES B.C. (THE 1ST PERIOD OF DEVELOPMENT)** 212

NANA KAPANADZE, **ITSKISI FORTRESS** 224

VAKHTANG SHATBERASHVILI, **THE BRONZE OINOCHOIA FROM METEKHI** 234

SUMMARIES 238

ABBREVIATIONS 248

გიორგი დუნდუა*

სამონეტო საქმე და სამონეტო მიმოქცევა საქართველოში ძვ.წ. VI ს. - ახ.წ. VII ს. პირველ ნახევარში (ზოგადი მიმოხილვა)

საქართველო მთელი თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, სამონეტო ემისიის დაწყების და სამონეტო მიმოქცევის თავისებურების თვალსაზრისით, ორ დიდ „ნუმიზმატიკურ“ რეგიონად იყოფა – დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად. თავის მხრივ, დასავლეთ საქართველოში ასევე ორი „ნუმიზმატიკური“ სივრცეა: ქვეყნის შიდა რაიონები და სანაპირო ზოლი.

დასავლეთ საქართველოს ფარგლებში მონეტის მოჭრა და სამონეტო ცირკულაცია გაცილებით ადრე იწყება, ვიდრე აღმოსავლეთში. მეტიც, თუ ვიმსჯელებთ დღესდღეობით არსებული მასალების მიხედვით, მთელი ანტიკური პერიოდის განმავლობაში (ძვ.წ. VI-ახ.წ. IV სს-ში) აღმოსავლეთ საქართველოში საკუთარი, ორიგინალური მონეტების ემისია თითქმის არ განხორციელებულა. გარდა ამისა, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ბაზრები პრინციპულად განსხვავდება ერთმანეთისაგან თავისი კომპონენტებით. ასევე მკვეთრია განსხვავება დასავლეთ საქართველოს შიდა რაიონების და სანაპირო ზოლის სამონეტო ცირკულაციას შორის.

დასავლეთ საქართველო სამონეტო ცივილიზაციის ერთ-ერთი უძველესი კერაა. აქ, ალბათ, ძვ.წ. VI ს-ის დასასრულიდან (უკიდურეს შემთხვევაში ძვ.წ. V ს-ის დასაწყისიდან) იჭრება ე.წ. კოლხური თეთრი, რომელიც ძვ.წ. V-IV სს-ში ყველაზე უფრო გავრცელებული მონეტაა ქვეყნის როგორც შიდა რაიონებში, ასევე სანაპირო ზოლში. ტერმინი „კოლხური თეთრი“ პირობითია და ის ამ სამონეტო ჯგუფს შეერქვა იმის გამო, რომ მისი გავრცელების არეალი ძირითადად არის ისტორიული კოლხეთის ტერიტორია.

იჭრებოდა კოლხური თეთრის რამდენიმე ტიპი და ნომინალი: ე.წ. ტეტრადრაქმა, სამი ტიპის დიდრაქმა, დრაქმა, ორი ტიპის ნახევარდრაქმა და ჰემიტეტარტემორიონი – დრაქმის 1/48 (კოლხური თეთრის შესახებ დანვრ. იხ. [დუნდუა გ. 1987:9-33; დუნდუა გ. 2003:33-49]; აქვეა საკითხის შესახებ არსებული ვრცელი ბიბლიოგრაფია).

კოლხური თეთრის ემიტენტის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებებია გამოთქმული. ზოგიერთი მკვლევარი მის ემისიას კოლხეთის სამეფოს მიაწერს (იხ. მაგ., [Капанაძე Д., ... 1957:88-95; კაპანაძე დ. 1969:27]). ჩვენ კი მას შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ბერძნების მიერ დაარსებულ ახალშენს – ფაზისს ვაკუთვნებთ (არგუმენტაცია იხ.: [დუნდუა გ. 1987:17-30; დუნდუა გ., ... 1978:48-61; დუნდუა გ., ... 1979:61-73]).

ვიძლევიტ კოლხური თეთრის აღწერილობას. აღწერას ვიწყებთ მცირე ნომინალიდან, მეორე ტიპის ნახევარდრაქმიდან (ტრიობოლი), ვინაიდან ისინი ათასობითაა აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, მთიანი სვანეთის ჩათვლით [პატარიძე მ. 2011:17-21]. ამდენად, მათი კოლხური გენეზისი არავითარ ეჭვს არ იწვევს და სწორედ მათი საშუალებით მოხდა დანარჩენი კოლხური მონეტების უმრავლესობის წარმომავლობის დადგენა. საქმე ის გახლავთ, რომ ტიპოლოგიურად ისინი უკავშირდება სხვა ნომინალებს.

1. Av. ხაზოვან ან წერტილოვან რკალში ჩასმული მარჯვნივ (ზოგიერთ შემთხვევაში მარცხნივ) მიმართული ადამიანის თავი (შემორჩენილია ცალები, რომლებზედაც ამ გამოსახულებას გრძელი, მხრებზე დაყრი-

* პროფესორ გიორგი დუნდუას საიუბილეო თარიღთან დაკავშირებული სტატია იხილეთ გვ. 189

ლი თმები აქვს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საქმე რომელიღაც ქალღმერთის იკონოგრაფიასთან გვაქვს. გამოთქმა „ადამიანის თავი“ – პირობითია); Rv. – ასევე მარჯვნივ მიმართული ხარის თავი, რომელიც ხაზოვან რკალშია ჩასმული (ტაბ. III,3).

ამ მონეტების წონითი რემედიუმი საგრძნობ გადახრებს იძლევა: 1,2-2,6 გრ. (კოლხური თეთრის დაწვრილებითი აღწერილობა და მათი დათარიღების საკითხი იხ. [დუნდუა გ. 2003:33-43]).

II ტიპის კოლხური ნახევარდრაქმების მსოფლიო მარაგი დღეისათვის დაახლოებით 5500 ცალით განისაზღვრება. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ანეპიგრაფიკულია, მაგრამ უმნიშვნელო ნაწილზე შემდეგი ბერძნული ასო-ნიშნები გვხვდება: MO/ΣO? (ცნობილია 114 ცალი), A (9), O? (11), Φ (2), E? (1), Π (2), Δ (1). მე მათ სამონეტო მაგისტრატებს ვაკუთვნებ (ჩინოვნიკებს, რომლებიც საქალაქო მმართველობაში პასუხისმგებლები არიან ფულის ემისიაზე).

II ტიპის კოლხური თეთრის მოჭრისა და ცირკულაციის ხანად ძვ.წ. V ს-ის მეორე ნახევარი და III საუკუნე უნდა მივიჩნიოთ.

დავუბრუნდეთ კოლხური თეთრის დიდ ნომინალებს.

2. ე.წ. ტეტრადრაქმა. ნ. – 10,40 გრ., 12,72გრ., 13 გრ. Av. დაღრენილი ლომის თავის გამოსახულება მარცხნივ; Rv. ჩაჭდეულ კვადრატში (კვადრატუმ ინკუზუმში) მოთავსებული ფრთოსანი რაშის პროტომა (ტაბ. I,1; II,1).

მონეტის ეს ტიპი სამ ცალადაა ცნობილი. თითო-თითო ეგზემპლარი დაცულია ჰააგის, ბრიტანეთისა და საქართველოს ეროვნულ მუზეუმებში. სამივე მონეტა უპასპორტოა. მიუხედავად ამისა, მის კოლხურ წარმოშობას არავინ ხდის სადავოდ. ეს განპირობებულია მონეტის ავერსზე მოთავსებული ლომის თავის გამოსახულების დიდი მსგავსებით II ტიპის დიდრაქმის შუბლზე ამოკვეთილ ლომის თავთან, რომელთა კოლხური გენეზისი ეჭვგარეშეა. ტიპოლოგიური და სტილისტური ანალიზის საფუძველზე ე.წ. ტეტრადრაქ-

მა ძვ.წ. VI ს-ის მინურულით (ან V ს-ის დასაწყისით) უნდა დათარიღდეს.

შემდეგ მოდის დიდრაქმების რიგი (სამიტისა), რომელთა შორის ადრეულია მწლიარე ლომის გამოსახულებიანი მონეტა. მათი მსოფლიო მარაგი 9 ცალით განისაზღვრება. სამი დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, ორი – ერმიტაჟში (სანკტ-პეტერბურგი), თითო-თითო ცალი ქუთაისის, ბერლინის, ბრიტანეთისა და ბოსტონის მუზეუმებში. ვიძლევი მათ სანიმუშო აღწერილობას:

3. Av. მწლიარე ჰერმეფროდიტი ლომის (ხვადის ფაფართა და ძუს ძუძუებით) გამოსახულება მარჯვნივ, რომელსაც თავი უკან აქვს მიბრუნებული; Rv. ჩაჭდეულ სწორკუთხედში მოთავსებული მუხლმოდრეკილი ხარისთავიანი ქალის (აშკარად შეიმჩნევა მკერდის მოხაზულობა) ფიგურა მარჯვნივ. მარჯვენა ხელი ჩამოშვებული აქვს ბარძაყის გასწვრივ. ყელთან მკაფიოდ ჩანს ნაოჭები (ყელსაბამი? ნილაბი?). ამ აღწერილობისაგან სხვა ცალები ვარიანტული სახეცვლილებებით გამოირჩევა, მაგრამ სტანდარტი ერთია (ტაბ. I,2; II,2).

რა საბუთი არსებობს ამ მონეტების კოლხური წარმოშობის სასარგებლოდ? საქმე ისაა, რომ ზემოთ მოხსენიებული ცხრა მონეტიდან ხუთი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეა ნაპოვნი, ხოლო ხუთიდან სამი აღმოჩენილია ფოთისა და ახალსოფლის (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) კოლხური მონეტების განძებში. გარდა ამისა, I ტიპის დიდრაქმის რევერსზე გამოსახული ფანტასტიკური არსების თავი (ხარის) იდენტურია II ტიპის ნახევარდრაქმაზე გამოსახული ხარის თავისა.

I ტიპის კოლხური დიდრაქმის ემისიის თარიღად შესაძლებელია მივიჩნიოთ ძვ.წ. VI ს-ის უკანასკნელი მეოთხედი. ამაზე მიუთითებს მისი როგორც სტილისტური, ფაქტურული და მოჭრის ტექნიკის თავისებურებანი, ასევე ისიც, რომ მონეტის შუბლზე ამოკვეთილი ლომი ყველა დეტალში იმეორებს მილეტის სტატერზე მოთავსებული

ლომის გამოსახულებას, რომლის ემისიის ხანად კრეზის (ძვ.წ. 560-546 წწ.) ეპოქაა მიჩნეული. ამრიგად, კრეზის (კროისოსის) ეპოქა გახლავთ I ტიპის კოლხური დიდრაქმის მოჭრის *terminus ante quem non*.

4. II ტიპის კოლხური დიდრაქმა, საშუალო ნონა 8,99-9,90 გრამებში მერყეობს. Av. ხაზოვან რკალში ჩასმული ადამიანის (ღვთაების) თავის პროფილი მარჯვნივ (ისეთივე, როგორც II ტიპის ნახევარდრაქმაზე); Rv. ჩაჭდულ კვადრატში ერთმანეთის საპირისპიროდ ადამიანის ისეთივე თავები, როგორც მონეტის შუბლზეა გამოსახული (ტაბ. I,3; II,3).

ამ მონეტის კოლხური წარმოშობის საკითხი სრულიად უდავოა. ტიპოლოგიურად ისინი ძალიან ახლოს დგას ჩვეულებრივი ტიპის კოლხურ მონეტებთან: მათზე ამოტვიფრული ადამიანის თავების პროფილი იდენტურია. ამას გარდა, მათი ერთი ნაწილი აღმოჩენილია სხვა კოლხურ მონეტებთან ერთად განძებში (ფოთსა და ახალსოფელში).

ეს მონეტებიც ძალიან იშვიათია: საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულია 7 ცალის რაოდენობით, ქუთაისში – 2, ერმიტაჟში – 1, აშშ ნუმისმატიკური ასოციაციის კოლექციაში – 1. გარდა ამისა, კიდევ რამდენიმე ეგზემპლარი ცნობილია ლიტერატურიდან. მეორე ტიპის დიდრაქმა ძვ.წ. V ს-ის პირველი ნახევრით უნდა დათარიღდეს.

5. III ტიპის დიდრაქმა. 1959 წელს ჩეხმა მეცნიერმა ევ. პოხიტონოვმა გამოაქვეყნა კოლხური დიდრაქმის ახალი ტიპი, რომელიც თურმე 1910 წელს ფოთში აღმოჩენილი კოლხური მონეტების განძის შემადგენლობაში შედიოდა. ეს უნიკალური მონეტა ამჟამად დაკარგულია. ავტორს შემორჩენილი ჰქონია მისი ჩანახატი. მას ასეთი სახე აქვს: Av. ხაზოვან რკალში ჩასმული ადამიანის თავის პროფილი მარჯვნივ (ისეთივე, როგორც II ტიპის დიდრაქმაზე); Rv. ორი ხარის თავის გამოსახულება ერთმანეთის საპირისპიროდ ჩაჭდულ კვადრატებში (ხარები იდენტურია II ტიპის კოლხურ ნახევარდრაქმაზე ამოკვეთილი ხარისა); III ტიპის კოლხური დიდრაქმა

სინქრონულია II ტიპის კოლხური დიდრაქმისა.

6. დრაქმა. წარმოდგენილია ერთი ცალით. წ. – 5,52 გრ. ქუთაისის მუზეუმშია დაცული. მონეტა უპასპორტოა. მიუხედავად ამისა, მის კუთვნილებას კოლხურ სამყაროსადმი, სადავოდ არავინ ხდის. Av. ლომის თავის გამოსახულება პირდაპირ. Rv. ჩაჭდულ კვადრატში მოთავსებული მარჯვნივ მიმართული ხარის თავი (ტაბ. III, 1). ეს ნომინალი ძვ.წ. V ს-ით უნდა დათარიღდეს.

7. I ტიპის კოლხური ნახევარდრაქმა. ცნობილია 4 ცალად. ამასთანავე, ყველა მათგანი დასავლეთ საქართველოშია მიკვლეული (ახალსოფელსა და ქობულეთში). მათი ნონითი რემედიუმი 1,7-2,6 გრამია. დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. Av. დაღრენილი ლომისთავის მარჯვენა პროფილი (ქობულეთში აღმოჩენილ მონეტაზე ლომის თავი მარცხნივაა მიმართული). Rv. ჩაჭდულ კვადრატში მოთავსებული მარჯვნივ მიმართული ძუ ლომის პროტომა (ტაბ. III,2). სხვა ქვეყნების პარალელების საფუძველზე შეიძლება მათი დათარიღება ძვ.წ. VI-V საუკუნეებით.

8. ჰემიტეტარტემორიონი (დრაქმის 1/48 ნაწილი) ცნობილია სამ ცალად. სამივე მათგანი აღმოჩენილია ფიჭვნარში (ქობულეთის მუნიციპალიტეტი). წ. – 0,150 გრ., 0,111 გრ., 0,110 გრ. დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. Av. მარჯვნივ მიმართული ადამიანის თავის გამოსახულება (იდენტური მეორე ტიპის კოლხურ ნახევარდრაქმაზე ამოკვეთილი პროფილისა). Rv. მარჯვნივ მიმართული რომელიღაც ფრინველი, რომელსაც თავის მაღალი ფეხების გამო წეროთა ოჯახის ჯგუფს მივაკუთვნებთ (ტაბ. III,4).

ასეთია კოლხური თეთრის აღწერილობა და ზოგადი მიმოხილვა.

როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, მათ ემისიას ჩვენ მიღებულების მიერ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში დაარსებულ აპოიკიას – ფაზისს მივანერეთ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ კოლხური თეთრი ნმიდანწყლის

საქალაქო მონეტაა. პირიქით, ისინი იჭრებოდა კოლხეთთან სავაჭრო-ეკონომიკური უერთიერთობის მოსაწესრიგებლად. ამ მონეტების საშუალებით იღებდა მისთვის საჭირო ნედლეულს ფაზისი დასავლეთ საქართველოდან და გაჰქონდა ის მილეტში, ან კიდევ სხვაგან. ჩვენ უკვე მივუთითეთ, რომ კოლხური თეთრის ზოგიერთი სახეობა ათასობითაა აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოს შიდა რაიონებში, რაც პირდაპირი მაჩვენებელია იმ ფაქტისა, რომ კოლხური თეთრი არეგულირებდა ქვეყნის შიდა ბაზრის მოთხოვნილებას, რომ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა ძვ.წ. VI-III სს-ში მზადაა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობისათვის, რომ ეს მოსახლეობა მაღალგანვითარებული საზოგადოებაა. სიმპტომატურია ისიც, რომ სინქრონული უცხოური მონეტები ძირითადად მხოლოდ სანაპირო ზოლშია მოკვლეული. ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დასავლეთ საქართველოს შიდა რაიონებთან ვაჭრობაში ფაზისს უკავია პრევალირებული ადგილი.

უცხოური მონეტებიდან დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია: 1. ძვ.წ. VI-V სს. ქ. კიზიკის ელექტრუმის სტატერი 4 ცალის რაოდენობით (ფიჭვნარში და, შესაძლებელია, ვანში); 2. ძვ.წ. VI-V სს. აქემენიდური სიკლი (ეს და მომდევნო ორი მონეტა აღმოჩენილია ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ სულორში კოლხურ ნახევარდრაქმებთან ერთად); 3. ძვ.წ. VI ს-ის ლიდიური ვერცხლის მონეტა; 4. ძვ.წ. VI ს-ის ვერცხლის მონეტა, მოჭრილი კარიაში; 5. ძვ.წ. V-IV სს. სინოპური დრაქმები, ძვ.წ. IV ს-ის მონეტები დიდი რაოდენობით (მათი კონცენტრაცია განსაკუთრებით ფიჭვნარში ფიქსირდება, სადაც ნაპოვნია ძვ.წ. IV ს. შუა ხანების სინოპური დრაქმების და კოლხური მონეტების შერეული განძიც კი. გარდა ამისა, ერთეულების სახით ისინი აღმოჩენილია ბათუმში, სოხუმში და ურეკში – ოზურგეთის მუნიციპალიტეტი); 6. ძვ.წ. IV ს-ის ამისოს სიკლები – 2 ც. (ქობულეთი, სოხუმი); 7. ძვ.წ.

V-IV სს. ათენური ტეტრადრაქმა – 1 (მწვანე კონცხი – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი); 8. ძვ.წ. V-IV სს. ჩრდილო შავიზღვისპირეთის მონეტები: ა) პანტიკაპეიონის ვერცხლი – 2 (ფიჭვნარი და ვანი), სპილენძი – 1 (ციხისძირი – ქობულეთის მუნიციპალიტეტი), ბ) თეოდოსიაში მოჭრილი ვერცხლის 2 მონეტა (ფიჭვნარი), გ) აპოლონიის ვერცხლი – 1 (ფიჭვნარი), დ) ნიმფეონის დიობოლი – 1 (ფიჭვნარი), ე) ქერსონესის დიხალკი – 1 (სოხუმი) სულ 7 ცალი; 9. ფილიპე II-ის (ძვ.წ. 359-336 წწ.) სტატერი – 1, ვანი (დუნდუა გ.,... დუნდუა, 2009:4-5, აქვეა სათანადო ლიტერატურა).

მოტანილი მასალის ანალიზზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ ძვ.წ. VI-IV სს-ში უცხოური მონეტები დასავლეთ საქართველოში, ძირითადად, შავი ზღვის სანაპირო ზოლის მიდამოებში მიმოიქცეოდა (განსაკუთრებით, დღევანდელი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე). ამასთანავე, პრევალირებს მცირე აზიის ზარაფხანებში მოჭრილი მონეტები. რაც შეეხება სოფ. სულორში აღმოჩენილ ცალებს, ისინი აქ, ცხადია, ვანიდანაა შესული, ხოლო ამ უკანასკნელში, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, სანაპირო ზოლის ქობულეთ-ფიჭვნარის სექტორიდან.

ფიჭვნარის სინოპური მონეტების განძი და ასევე ცალკეულად ნაპოვნი ეგზემპლარები იმის დასტურია, რომ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ქობულეთ-ბათუმის სექტორი ეკონომიკურად სინოპეს მიერაა ათვისებული და ფიჭვნარის სამოსახლო სინოპეს მიერაა გაყვანილი, ისევე როგორც გიენოსი და, შესაძლებელია ეშერა [ინაძე მ. 1975:53; დუნდუა გ. 1997:82]. აქ საკვლევეია მხოლოდ ის, სინოპე მოქმედებს ათენის კარნახით, რომლის პოლიტიკაში ის განსაკუთრებულ როლს თამაშობდა, თუ დამოუკიდებლად ახორციელებდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს კოლონიზაციას. ერთი უდავოა, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე აღმოჩენილი მონეტების დიდი ნაწილი სინოპედან უნდა იყოს შემოსული, რაც იმის მაჩვენებე-

ლია, რომ ძვ.წ. VI-IV სს-ში დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური (გნებავთ პოლიტიკურიც) ორიენტაცია, ძირითადად, სწორედ მცირე აზიისაკენაა მიმართული.

რაც შეეხება აღმოსავლეთ შავი ზღვის სანაპიროს ტერიტორიაზე მიკვლეულ ჩრდილო შავიზღვისპირეთის მონეტებს, ისინიც ათენის აქტიური პოლიტიკურ-ეკონომიკური მოღვაწეობის შედეგად უნდა მოხვედრილიყვნენ აქ.

ძვ.წ. V ს-ის შუა ხანებში ათენი თავის პოლიტიკური და ეკონომიკური ძლიერების მწვერვალს აღწევს. სწორედ ათენის მიერ ჩატარებული ენერგიული საგარეო პოლიტიკის წყალობით, როგორც ირკვევა, შეიქმნა შავი ზღვის აუზის ქვეყნების **ერთიანი ეკონომიკური სივრცე** (ამ საკითხის შესახებ იხ. ინაძე მ. 1975:№1; დუნდუა გ., ... 2006:46-47). სამხრეთი, ჩრდილოეთი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი (ცხადია, დასავლეთიც, მაგრამ ამჯერად ეს მხარე არ შედის ჩვენი ინტერესის სფეროში) ჩამოყალიბდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ინტეგრირებულ ეკონომიკურ ზონად, მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობებით და მეტ-ნაკლებად იდენტური სამონეტო ბაზრით. ასე რომ, აღმოსავლეთ შავი ზღვის სანაპიროს ფარგლებში აღმოჩენილი ნუმისმატიკური მასალა ათენის, მისი კოლონიებისა და მოკავშირეების მიერ გატარებული აქტიური ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია. ეს თანაბრად ეხება როგორც მცირე აზიიდან მომდინარე მონეტებს (ქიზიკინები, სინოპეს დრაქმები, ამისოს სიკლები, აგრეთვე ათენური ტეტრადრაქმა და სხვ.), ასევე შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროს ნუმისმატიკურ ძეგლებს.

აღმოსავლეთ საქართველოს საზღვრებში ძვ.წ. V-IV სს-ის მხოლოდ ორი უცხოური მონეტაა აღმოჩენილი: 1. 1856 წ. სურამის მიდამოებში II ტიპის კოლხურ ნახევარდრაქმებთან ერთად იპოვნეს ძვ.წ. VI-V სს-ის აქემენიდური სიკლი; 2. 1939 წელს სოფ. კოშკათელასთან (დმანისის მუნიციპალიტეტი) აღმოჩნდა ძვ.წ. V-IV სს-ის ე.წ. „ძველი სტილის“ ათენური ტეტ-

რადრაქმა [დუნდუა გ. 2008:20, აქვეა სათანადო ბიბლიოგრაფია; დუნდუა გ., ... 2009:5]. როგორც ვხედავთ, მასალა ძალიან მწირია, მაგრამ ზოგიერთი ვარაუდის გამოთქმის საშუალებას მაინც იძლევა. უპირველეს ყოვლისა, ხაზგასასმელია ერთი საინტერესო დეტალი: ეს მონეტები ქრონოლოგიურად წინ უსწრებს სამეფო ხელისუფლების წარმოქმნას აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, რასაც, როგორც ვარაუდობენ, ძვ.წ. IV-III სს-ის მიჯნაზე ჰქონდა ადგილი. ხომ არ უნდა აიხსნას ეს გარემოება იმით, რომ ტრანსკავკასიური სავაჭრო-სატრანზიტო გზის ათვისება, რომელიც შავი ზღვის აუზის ქვეყნებს ინდოეთთან აკავშირებდა [ლორთქიფანიძე ოთ. 1957:377-382] და რომელიც იბერიაზე გადიოდა, მართლაც ელინისტურ ხანამდე განხორციელდა. ყოველ შემთხვევაში, ცხადზე უცხადესია, რომ ხსენებული გზის ცალკეული მონაკვეთები, რომელთაც თავდაპირველად ლოკალური მნიშვნელობა ჰქონდა, ისახებოდა ჯერ კიდევ წინარეელინისტურ ხანაში [ლორთქიფანიძე ოთ. 1957:377-382]. ამაზე სრულებით აშკარად მიუთითებს აქემენიდური სიკლის პოვნის ფაქტი სურამის მიდამოებში. უდავოა, რომ ის აქ უცილობლად დასავლეთ საქართველოს საზღვრებიდანაა შემოსული მდ. ფაზისის არტერიით, ვინაიდან კოლხურ მონეტებთან ერთადაა აღმოჩენილი. მით უმეტეს, რომ დასავლეთ საქართველოში კიდევაა დადასტურებული კოლხური ნახევარდრაქმებისა და აქემენიდური ვერცხლის მონეტის ერთობლივი აღმოჩენა, კერძოდ, ვანის მუნიციპალიტეტის სოფ. სულორში (იხ. მაგ., [დუნდუა გ. 1997:82-83]). გარკვეული აზრით, იგივე შეიძლება ითქვას დმანისში ნაპოვნ ათენური ტეტრადრაქმის შესახებ, ამჯერად პრინციპული მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს იმ გარემოებას, რომ დმანისი რამდენადმე მოცილებულია ძირითად ტრასას. პირიქით, ის შეიძლება იმის საბუთადაც კი გამოდგეს, რომ სამონეტო მიმოქცევა ისახებოდა არა მარტო სავაჭრო მაგისტრალის გასწვრივ, არამედ ქვეყნის შიგნითაც. თუმცა,

მონეტათა აღმოჩენის სიმცირე გვაიძულებს გავაკეთოთ დასკვნა, რომ ფულადი მეურნეობა აღმოსავლეთ საქართველოში ძვ.წ. V—IV სს-ში, მეტი რომ არ ვთქვათ, ჯერ კიდევ ჩანასახოვან მდგომარეობაში იყო.

წინამდებარე სტატიაში შემუშავებული სქემის მიხედვით, უნდა შევჩერებულიყავი მომდევნო პერიოდის (ელინისტური) ადგილობრივ ემისიებზე, მაგრამ ამას აბრკოლებს ის გარემოება, რომ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში მოჭრილი მონეტები ალექსანდრე მაკედონელისა (ძვ.წ. 336-323 წწ.) და თრაკიის მეფის ლისიმაქეს (ძვ.წ. 306-282 წწ.) სახელით გამოშვებული სტატერების იმიტაციაა. ადგილობრივი ემისიების გენეზისის ახსნა და ადეკვატური აღწერა-ატირბუცია შეუძლებელია, თუ არ შევჩერდით ამ ინტერლოკალური ოქროს მონეტების აღწერილობასა და გავრცელების საკითხზე ძველ საქართველოში.

ადრეელინისტურ ხანაში (ძვ.წ. IV ს-ის დასასრული – III ს.) დასავლეთ საქართველოს საზღვრებში ყველაზე გავრცელებული უცხოური მონეტა ალექსანდრე მაკედონელის სახელით მოჭრილი სტატერია. ეს არცაა გასაკვირი, რადგან მის მიერ შექმნილმა ფულადმა სისტემამ გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა თითქმის მთელს იმდროინდელ მსოფლიოში, გამოდევნა რა ბაზრიდან ყველა ინტერლოკალური მონეტა. ცხადია, ამ უნივერსალური ეკონომიკური ცხოვრებიდან ანტიკური საქართველო გვერდზე არ დარჩენილა. ეს განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს ეხება. მართალია, ხსენებული სტატერები აღმოსავლეთ საქართველოშიც არის აღმოჩენილი, მაგრამ ძალიან მცირე რაოდენობით.

სულ საქართველოში, ლიტერატურაში მოყვანილი ცნობების და ფაქტობრივად არსებული მასალის მიხედვით, ნაპოვნია ალექსანდრე მაკედონელის სახელით მოჭრილი, დაახლოებით, 378 ოქროს მონეტა. აქედან 367 ცალი აღმოჩენილია სვანეთში (სხვადასხვა ადგილას), 2 ც. – სოფ. რეყეში (ზუგდიდის მუ-

ნიციპალიტეტი), 2 – ვანში, თითო-თითო ცალი ფიჭვნარში, ლენტეხში, გულრიფშის მიდამოებში, სოფ. ჭიორაში (ონის მუნიციპალიტეტი), სოფ. ფარცხანაყანებში (წყალტუბოს მუნიციპალიტეტი) და აღმოსავლეთ საქართველოში – მცხეთასა და სოფ. ტახტიძირში (ქარელის მუნიციპალიტეტი). ცხადია, ალექსანდრე მაკედონელის სახელით მოჭრილი სტატერების გავრცელების ძირითადი სფერო ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაა (ამ საკითხის შესახებ დანვრილებით იხ. [დუნდუა გ. 1973:51-65; Дундуа Г. 1987:43-52; დუნდუა გ., ... 2009:5-6; დუნდუა გ. 2008:20-21]).

რაც შეეხება ამ მონარქის სახელით მოჭრილ ვერცხლის მონეტებს. ისინი საქართველოს საზღვრებში არ თამაშობდნენ აქტიურ როლს. სულ ჩვენი ქვეყნის ფარგლებში ნაპოვნია ალექსანდრე მაკედონელის სახელით მოჭრილი 6 მონეტა, 2 ტეტრადრაქმა ქუთაისსა და სოფ. ნიჩბისში (მცხეთის მუნიციპალიტეტი) და 4 დრაქმა - მდ. ყვირილას მიდამოებში (შორაპნის მუნიციპალიტეტი), სოფ. კაჭრეთში (გურჯაანის მუნიციპალიტეტი), თბილისში - ელიას მთაზე და „ციხიაგორაზე“ (კასპის მუნიციპალიტეტი) [დუნდუა გ. 1987:47-48; Дундуа Г. 2008:21; დუნდუა გ., ... 2009:6].

ელინისტური ხანის საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული თრაკიის მეფის ლისიმაქეს სახელით მოჭრილი ოქროს მონეტები, რაზედაც პირდაპირ მიუთითებს არა მარტო მათ აღმოჩენების რაოდენობა, არამედ ის ფაქტიც, რომ მათ მიხედვით დიდი რაოდენობით იჭრება ადგილობრივი მინაბადები.

საქართველოში ლისიმაქეს სახელით მოჭრილი 8 სტატერია მიკვლეული, აქედან 7 ნაპოვნია მის დასავლეთ ნაწილში: სვანეთი – 2, ეკი (სენაკის მუნიციპალიტეტი) – 2, ვანის ნაქალაქარი – 2, გულრიფში – 1; ხოლო აღმოსავლეთში – ტახტიძირი (ქარელის მუნიცი.) – 1 ც. ცხადია, ლისიმაქეს სახელით მოჭრილი სტატერების გავრცელების სფერო, ძირითადად, დასავლეთ საქართველოა [Дундуа Г.

1987:48-49, 84; დუნდუა გ., ... 2009:6].

რაც შეეხება ლისიმაქეს სახელით მოჭრილ ვერცხლის მონეტებს, მათაც საქართველოში არ ჰქონია ფართო გავრცელება. აღმოჩენილია სულ 2 მონეტა: ვანი – 1 და მდ. მაკრიას მიდამოები (ბათუმის მუნიციპალიტეტი) [Дундуа Г. 1987:49].

ვიდრე ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სტატერების სანიმუშო ცალების აღწერას შევუდგებოდეთ (ეს კი აუცილებელია იმის გამო, რომ ამ პერიოდის ადგილობრივი ემისიები მათი მიზაძვითაა მოჭრილი), უნდა შევეხოთ კიდევ რამდენიმე აღმოჩენას დასავლეთ საქართველოს ფარგლებში: 1. ფილიპე III-ის (ძვ.წ. 323-316 წწ.) ოქროს მონეტები თითო-თითო ცალის რაოდენობით ნაპოვნია აგუძერაში (აფხაზეთი) და ვანში; 2. ძვ.წ. IV ს-ის უკანასკნელი მეოთხედის პანტიკაპეიონის სტატერების განძი (დაახლოებით 30-32 ცალი) სვანეთში, როგორც ჩანს, ნაპოვნია სოფ. მულახში [პატარიძე მ. 2011:25], ხოლო 1 ცალი სადღაც სამეგრელოში; 3. ვანის ტერიტორიაზე იპოვნეს ჰიერიონ II-ის (ძვ.წ. 275-216 წწ.) სირაკუზული ნახევარსტატერი. ეს უკანასკნელი ამოვარდნილია დასავლეთ საქართველოს შესაბამისი ხანის სამონეტო ბაზრის კონტექსტიდან. მართალია არის ინფორმაცია, რომ 2004 წელს ფიჭვნარში ზღვის სანაპიროზე, თითქოს შემთხვევით, იპოვნეს ძვ.წ. 340 წლით დათარიღებული სირაკუზის ვერცხლის მონეტა [ვარშალომიძე ირ. 2005:53-56], მაგრამ დარწმუნებული არა ვარ ამ ინფორმაციის სანდოობაში.

ძვ.წ. IV-II სს. დასავლეთ საქართველოში, ისევე როგორც მთელს იმდროინდელ მსოფლიოში, ეკონომიკური ცხოვრების გამოცოცხლებისა და საჭირო აღებ-მიცემის მანამდე არნახული აღმავლობის ხანაა [ინაძე მ. 1962:106]. საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობის ფართო ქსელში ექცევა არა მარტო მცირე აზია, მესოპოტამია და ეგვიპტე, არამედ უფრო შორეული ქვეყნებიც – შუა აზია და ინდოეთი. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ საგარეო ვაჭრობა ელინისტურ ხანაში

იღებს „მსოფლიო ხასიათს“ [ლორთქიფანიძე ოთ. 1966:118-119]. ამ ხნის განმავლობაში დასავლეთ საქართველოს ურთიერთობა ხმელთაშუა ზღვის და მცირე აზიის ბერძნულ ქალაქებთან კიდევ უფრო ფართოვდება [ინაძე მ. 1962:109]. არ შევცდები, თუ ვიტყვით, რომ ამ პერიოდში გარე სამყაროსთან ეკონომიკური ურთიერთობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო უტყუარი საბუთი, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სახელით მოჭრილი ნუმისმატიკური მასალაა.

რა თქმა უნდა, დღესდღეობით ძალიან ძნელია დადგენილ იქნას დასავლეთ საქართველოში ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სტატერების შემოსვლის გზები, მაგრამ ვარაუდის სახით შეიძლება გამოითქვას შემდეგი: ელინიზმის ეპოქაში დასავლეთ საქართველოსთან ურთიერთობაში შეინიშნება სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისა და მცირე აზიის აქტიური როლი, ხოლო ხმელთაშუაზღვისპირეთის ცენტრებთან და, პირველ რიგში, კი ატიკასთან – ურთიერთობის საგრძნობი შესუსტება. არქეოლოგიური მასალა მოწმობს, რომ ამ დროს დასავლეთ საქართველოსთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაში უპირატესობა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ცენტრებს აქვთ მოპოვებული და პირველ რიგში, როგორც ჩანს, სინოპეს [ლორთქიფანიძე ოთ. 1966:123-127]. აქედან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ სინოპური დრაქმები და ნახევარდრაქმები, როგორც ადრეული, ასევე სინქრონული ნაპოვნია საქართველოს დასავლეთ ნაწილში, შეიძლება გამოითქვას მოსაზრება: ზემოთ მოხსენებული მონარქების სახელით მოჭრილი სტატერები ჩვენში სინოპეს გზითაა შემოსული (ყოველ შემთხვევაში, გარკვეული ნაწილი მაინც).

გვერდს ვერ ავუვლით იმ საინტერესო ფაქტს, რომ შესაბამისი პერიოდის ოქროს მონეტების კონცენტრაცია სვანეთშია დაფიქსირებული და ძირითადად განძების სახით, რაც თავისთავად იმის მანიშნებელია,

რომ ისინი ამოღებულია ცირკულაციიდან. რა ახსნა შეიძლება მოეძებნოს ამ ფაქტს? ამასთან დაკავშირებით შეიძლება ორი ვარაუდის გამოთქმა: 1. სამეცნიერო ლიტერატურაში არის ცდა სვანების გაიდენტურებისა ჰენიოხებთან [Меликишвили Г. 1959:308], იმ ჰენიოხებთან, რომლებმაც, პლინიუსის ცნობით, მრავალგზის გაძარცვეს პიტინტი (NH, 6, 16) და, შესაძლებელია, დიოსკურიაც (NH, 6, 15). ყველაფერი ეს ჰქმნის საცთურს დაისვას კითხვა: ხომ არ გვაქვს აქ საქმე მეკობრეობის გზით მოპოვებულ ქონებასთან? [დუნდუა გ. 1973:62]; 2. სვანეთში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა მოწმობს, რომ ბერძნული და წინააზიური იმპორტი არა მარტო კოლხეთის ზღვისპირა ზოლში, არამედ შიდა და მთიან რაიონებში აღწევდა. სვანეთი მდიდარი იყო ძვირფასი ლითონებით, ხე-ტყით, ცვილით, ბენვეულით, რომლებიც ბერძნებისათვის იმ პერიოდში იმპორტის საგანს შეადგენდა [ჩართოლანი შ. 2010:20-21]. სავსებით შესაძლებელია სვანეთში აღმოჩენილი ოქროს მონეტები სწორედ ამ კუთხის მოსახლეობის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის შედეგია აღმოსავლეთ შავი ზღვის სანაპირო ზოლის ქალაქებთან, ისევე როგორც სხვა იმპორტული მასალაც.

ამის შემდეგ გადავდივარ ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სტატერების სტანდარტული ტიპის აღწერილობაზე.

ალექსანდრე მაკედონელის სტატერი, საშუალო წონა დაახლოებით 8,50 გრამი, ბაჯალლო ოქრო. Av. გრძელთმიანი ათენა ქალღმერთის თავის გამოსახულება კორინთულ მუზარადში მარჯვნივ; მუზარადზე ზოგჯერ დაკლანკილი გველია გამოსახული. ასევე ზოგჯერ ქალღმერთს ყელზე მძივები უკეთია და ყურებზე საყურე ჰკიდია; Rv. გრძელ ქიტონში ჩაცმული ფრთოსანი ნიკეს გამოსახულება მთელი ტანით მარცხნივ. მარჯვენა ხელში მას გვირგვინი უჭირავს, მარცხენაში – სტილიდა. ადრეულ ცალებზე მის უკან მოთავსებულია ბერძნული ზედწერილი: ΑΛΕΞΑΝΔΡΟΥ (ალექსანდრესი). მოგვიანო

ცალებზე გამოსახულების წინ – ΒΑΣΙΛΕΩΣ, უკან - ΑΛΕΞΑΝΔΡΟΥ (მეფე ალექსანდრესი). გარდა ამისა, მონეტის არეზე ამოკვეთილია სხვადასხვა მონოგრამები და სიმბოლოები, რომელთა მეშვეობით ხერხდება ზარაფხანების დადგენა (ტაბ. IV,1).

ლისიმაქეს სტატერი, იმავე წონითი სტანდარტები, ბაჯალლო ოქრო. Av. მარჯვნივ მიმართული ალექსანდრე მაკედონელის თავის გამოსახულება დიადემაში; Rv. მარცხნივ მიმართული ტახტზე მჯდომი ათენა პალადა, რომელსაც მარჯვენა გაშლილ ხელში ქალღმერთი ნიკე უჭირავს, ხოლო მარცხენათი შუბსა და ფარს ეყრდნობა. გამოსახულების უკან ბერძნული ზედწერილი - ΒΑΣΙΛΕΩΣ, წინ - ΛΥΩΣΜΑΧΟΥ (ლისიმაქე მეფესი). მონეტის რევერსზე დამატებითი სიმბოლოები და მონოგრამებია მოთავსებული იმის მიხედვით, თუ რომელ ზარაფხანაშია მოჭრილი ესა თუ ის ცალი (ტაბ. IV,3).

ლისიმაქეს სტატერებთან დაკავშირებით ხაზი უნდა გაესვას ერთ უაღრესად მნიშვნელოვან გარემოებას. ამ მონარქის გარდაცვალების შემდეგ მისი სახელით მონეტებს ჭრის ქალაქი ბიზანტიონიც, ოღონდ თავისი ემბლემით: ათენა პალადას ქვემოთ ათავსებს სამთითას და ორ პანია დელფინს. მათ ემისიას მეცნიერები მიაკუთვნებენ ძვ.წ. 195 წლის შემდგომ პერიოდს (ამ საკითხის შესახებ იხ. [Каришковский П. 1977:22]; აქვეა სათანადო ლიტერატურა). ამ დეტალს აქვს დიდი მნიშვნელობა ლისიმაქეს სტატერების სახელით მოჭრილი ქართული მინაბაძების დასათარიღებლად, რადგან მათ დიდ უმრავლესობაზე სწორედ სამთითაა ამოკვეთილი.

საყოველთაოდ მიღებული მოსაზრების თანახმად, როდესაც ამა თუ იმ ქვეყანაში წყდება, ან კლებულობს ფართოდ გავრცელებული მონეტების შემოსვლა, იწყება მათი ადგილობრივი იმიტაციების ემისია. გამონაკლისი არც საქართველოა. როგორც ზემოთ დავრწმუნდით, საქართველოს (განსაკუთრებით დასავლეთ ნაწილის) სამონეტო ცირკულაციაში მნიშვნელოვან როლს ას-

რულებდნენ ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სახელით მოჭრილი სტატერები. მათი ნაკადის შემოსვლის შემდეგ, მათი მიბადვით ხორციელდება ქართული იმიტაციების ემისია. ვიძლევიტ მათ აღწერილობას, მაგრამ ამასთან დაკავშირებით ხაზი უნდა გაესვას ერთ გარემოებას: ალექსანდრე მაკედონელის სტატერების მინაბადების ადრეულ ცალეებს, რომლებიც ახლოს იქნებოდნენ ორიგინალთან, ჩვენამდე არ მოუღწევიათ, მაშინ როდესაც ლისიმაქეს ოქროს მონეტების მინაბადების მთელი ჯაჭვის აღდგენა შესაძლებელია როგორც ტიპოლოგიურად, ასევე ქრონოლოგიურად.

ადგილობრივ მოჭრილ ოქროს მონეტებიდან პირველ რიგში უნდა შევეხოთ კლასიკურ სტატერს, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ინერციით ჯერ კიდევ აკის სტატერის სახელითაა ცნობილი. მისი აღწერილობა ასეთია: წონა – 8,45 გრ. ბაჯალლო ოქრო. AV. მარჯვნივ მიმართული ალექსანდრე მაკედონელის თავის გამოსახულება, RV. მარცხნივ მიმართული ტახტზე მჯდომი ათენა პალადა, რომელსაც მარჯვენა გაშლილ ხელში გამარჯვების ქალღმერთი ნიკე უჭირავს, ხოლო მარცხენათი ტახტის სახელურს ეყრდნობა. ტახტის უკან მოთავსებულია ფარი. ათენა პალადას ქვემოთ სამთითაა, რომლის ორსავე მხარეს პანია დელფინებია გამოსახული. ამ კომპოზიციის უკან ბერძნული ზედწერილი ΒΑΣΙΛΕΩΣ, წინ – ΑΚΟΥ; მეფის სახელი ჩასმულია ნათესაობით ბრუნვაში და ქართულად ითარგმნება როგორც მეფე აკესისა/აკასი, ან აკოსისა (სახელობით ბრუნვაში იქნება აკესი ან აკოსი. სხვა ფორმას ბერძნულში ვერ მივიღებთ) (ტაბ. IV,4). აქედან გამომდინარე ეს სახელი ქართულ ონომასტიკონს არ უკავშირდება. მეორე მნიშვნელოვანი დეტალი, რომელსაც უნდა გაესვას ხაზი გახლავთ ის, რომ აღწერილი მონეტა ზუსტი ასლია ლისიმაქეს სახელით მოჭრილი ოქროს მონეტებისა, რომელთა ემისიას აწარმოებდა ქალაქი ბიზანტიონი ძვ.წ. 195 წლის შემდეგ. შესაბამისად ე.წ. აკის სტატერი შეიძლება ძვ.წ. II ს-ის

80-70-იანი წლებით დათარიღდეს. მონეტა სულ 2 ცალადაა ცნობილი. ერთი აღმოჩნდა 1865 წ. ქალაქ ტრაპეზუნტში და პარიზის მედლების კაბინეტშია დაცული, ხოლო მეორე – ხონის მუნიციპალიტეტის სოფ. კინჩხაში, ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. აღმოჩენათა ტოპოგრაფია არის ერთადერთი არგუმენტი, რის საფუძველზე ეს სტატერები ქართულად მიიჩნევა. ოქროს მონეტებზე მოხსენიებული მეფის სახელი სხვა წყაროებით უცნობია. თუ მომავალში ეჭვიმუტანლად დადასტურდება ამ სტატერების კოლხური წარმოშობა, მაშინ ეს იქნება ძლიერი საბუთი იმის სამტკიცებლად, რომ დასავლეთ საქართველოში ძვ.წ. II ს-ის 80-70-იან წლებში სამეფო ხელისუფლება არსებობდა, რომელსაც სხვა წყაროებით უცნობი მეფე აკესი, ან აკოსი მართავდა (დანვრილებით ამ საკითხის შესახებ იხ.: [Дундуа Г. 1987:71-72, 88-89; დუნდუა გ., ... 2006:67-69]).

შემდეგი რგოლი ლისიმაქეს სახელით მოჭრილი სტატერების იმიტაციების ჯაჭვში არის სოფ. რეყეში (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) აღმოჩენილი ცალი წონით 7,78 გრ., ოქრო მაღალი სინჯისაა. მას ასეთი სახე აქვს: AV. ოდნავ დამახინჯებული ალექსანდრე მაკედონელის პროფილი მარჯვნივ; RV. ასევე ოდნავ დამახინჯებული მარცხნივ მიმართული ტახტზე მჯდომი ათენა პალადა, რომელსაც მარჯვენა ხელში ნიკე უჭირავს, ხოლო მარცხენათი ტახტის სახელურს ეყრდნობა. გამოსახულების ქვემოთ სამთითაა, რომლის ტარის შემკობა ხელოსანს, ჩანს დელფინებით უნდოდა და მათ მაგივრად თავსა და ბოლოში წერტილებით დაბოლოებული ორი მოკლე ჰორიზონტალური ხაზი გამოსახა. ათენა პალადას წინ და უკან დამახინჯებული ბერძნული ზედწერილი, რომლის ფრაგმენტები შეიძლება მივიჩნიოთ როგორც ლისიმაქეს, ისე აკუს იმიტაციად.

ამრიგად, აღმოჩენილი მონეტის სახით ჩვენ გვაქვს პირველი რგოლი, რომელიც ბადავს ბიზანტიონში მოჭრილ ლისიმაქეს სტატერებს, ან თვით ე.წ. აკის სტატერს. ვი-

ნაიდან ეს უკანასკნელი ძვ.წ. II ს-ის 80-იანი წლებით უნდა დათარიღდეს, რეყეში აღმოჩენილი ცალი კი ძალიან ახლოს დგას ორიგინალებთან, რაც გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ქრონოლოგიურად ძალიან არ მოვაცილოთ აღნიშნულ მონეტებს. ძვ.წ. II ს-ის 60-50-იანი წლები, ალბათ, მისაღები თარიღია. თუ ეს ასეა, მაშინ თავისთავად წამოიჭრება მეტად მნიშვნელოვანი საკითხი: თუ ე.წ. აკის (აკეს) სტატერი კოლხურია, ეს იმას მონიშნავს, რომ ამ სამეფოს აქვს შესანიშნავი ზარაფხანა, სადაც სამონეტო საქმის ბრწყინვალე ოსტატები მუშაობენ, ვინაიდან ის აბსოლუტურად ტოლფასოვანია ლისიმაქეს სტატერებისა. მაშინ, ვინ ამახინჯებს ცოტა ხნის შემდეგ რეყეში აღმოჩენილ ცალს? ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ რაღაც ოციოდე წლის მანძილზე დასავლეთ საქართველო ისეთი დეგრადაციის გზას დაადგა, რომ სამეფოში ბერძნული დამწერლობის მცოდნე ერთი კაციც კი ვერ მოიძებნა, მთლიანად განყდა სამონეტო საქმის კვალიფიცირებული ოსტატები. ორში ერთი: ან ე.წ. აკის (აკესის) სტატერი არ არის ქართული წარმოშობის ან მინაბაძების სერიის ემისია არ შეადგენს სამეფო ხელისუფლების რეგალიას.

შემდეგში ლისიმაქეს სახელით მოჭრილი სტატერების მინაბაძების გამოსახულებანი თანდათან უხეშდება, სქემებად იქცევა და ძალიან სცილდება ორიგინალებს. გარდა ამისა, უარესდება მონეტების სინჯი და ეცემა წონა. რაც შეეხება თარიღს, ვინაიდან ისინი აღმოჩენილია სხვა კარგად დათარიღებულ მონეტებთან ერთად და ასევე კარგად დათარიღებულ სამარხებში, უნდა ვივარაუდოთ, რომ მათი ემისია გრძელდებოდა ძვ.წ. II ს-ის 80-იანი წლების შემდგომი პერიოდიდან, ვიდრე ძვ.წ. I ს-ის უკანასკნელ მეოთხედამდე (ამ საკითხის შესახებ იხ. [Дундуа Г. 1987:89-91]). ამ მონეტების გავრცელების არეალი ასე გამოიყურება: 18 ცალი აღმოჩენილია დასავლეთ საქართველოში, 8 – აღმოსავლეთში [დუნდუა გ., ... 2006:71; პუნქტობრივი ჩამონათვალი იხ. Дундуа Г. 1987:71-82]).

ალექსანდრე მაკედონელის სტატერების ქართული მინაბაძების ადრეულ ცალებს ჩვენამდე არ მოუღწევია (ჯერჯერობით მაინც), ხოლო მეცნიერების განკარგულებაში არსებული ეგზემპლარების ზოგადი აღწერილობა ასეთია: Av. მარჯვნივ მიმართული ქალღმერთ „ათენას“ სქემატური პროფილი. სახის ნაკვთები გადმოცემულია მკვეთრი, გაბედული შტრიხებით. დროთა განმავლობაში გამოსახულება თანდათან მახინჯდება: Rv. ფრთოსანი „ნიკეს“ სქემატური გამოსახულება პირდაპირ. ფრთები ფართოდ გაშლილ-ჩამოყრილი აქვს, პირობითადაა გადმოცემული, მაგრამ ისე, რომ არავითარ ეჭვს არ ტოვებს, თუ ვისი გამოსახვა სურდა ხელოსანს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კატეგორიის მინაბაძების წონაც (რემედიუმი: 1,6-3,7 გრ.) თანდათან ეცემა და უარესდება სინჯი. ბოლოსდაბოლოს ისინი ვერცხლის მონეტებად იქცევა (ტაბ. IV,2).

თარიღთან დაკავშირებით უნდა გავიმეოროთ იგივე, რაც ვთქვით ლისიმაქეს სტატერების მინაბაძების შესახებ (ტაბ. IV,5-6). იმიტაციების ეს ჯგუფიც აღმოჩენილია კარგად დათარიღებულ მონეტებთან ერთად და სამარხებში, რაც საშუალებას გვაძლევს მოვხაზოთ მათი ემისიის ქრონოლოგიური დიაპაზონი: ძვ.წ. I – ახ.წ. I საუკუნეები [Дундуа Г. 1987:91-94]. მათი გავრცელების ტოპოგრაფია ასე გამოიყურება: აღმოსავლეთ საქართველოში (არგვეთის ჩათვლით, რომელიც პოლიტიკურად ამ სფეროში შედიოდა) – 33 ცალია ნაპოვნი, დასავლეთში – 26 [დუნდუა გ., ... 2006:71; პუნქტობრივი ჩამოთვლა იხ. Дундуа Г. 1987:56-71, 81].

ყველაზე რთული პრობლემა, რომელიც უკავშირდება ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სტატერების ქართულ მინაბაძებს, მათი ლეგიტიმურობის საკითხია, კონკრეტულად, არის თუ არა მათი ემიტენტი სახელმწიფო ხელისუფლება? პირადად მე, გამომდინარე ამ მონეტების დეგრადაციის ხარისხიდან, ეჭვი მეპარება, რომ მათ ემისიას სახელმწიფო ხელისუფლება ახორციელებდა. გვიანელინისტურ ხანაში დასავლეთ საქა-

რთველოში სამონეტო ემისია არ წყდება. სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ბილონის და ვერცხლის მცირე ზომის 8 მონეტა, რომლებიც 3 ტიპად იყოფა. მათი აღწერილობა ასეთია: 1. Av. მარჯვნივ მიმართული მამაკაცის პროფილი სხივანა გვირგვინში; Rv. მარჯვნივ მიმართული ხარის თავი. გამოსახულების ზემოთ და ქვემოთ ბერძნული ზედწერილი: ΒΑΣΙ... ΣΑΥΜ... ან ΣΑΥΛ... (?) ე.ი. მეფე სავმაკისა ან სავლაკისა. საქმე ისაა, რომ მეფის სახელი მონეტაზე ფრაგმენტულად არის ამოკვეთილი და უკანასკნელი ასოს მიჩნევა შეიძლება როგორც „M“-დ, ასევე „Λ“-დ; 2. Av. მარჯვნივ მიმართული მამაკაცის პროფილი სხივანა გვირგვინში; Rv. ვარდის გამოსახულება, რომლის ზემოთ და ქვემოთ ასევე ფრაგმენტული ბერძნული ზედწერილი: ΒΑΣΙΛ... ΣΑΥ...; 3. Av. მამაკაცის თავის გამოსახულება სხივანა გვირგვინში პირდაპირი; Rv. ფრთოსანი ელვა, რომლის ზემოთ და ქვემოთ ბერძნული წარწერა: ΒΑΣΙ... ΣΑΥ... (ტაბ. IV,8).

როგორც ვხედავთ, არც ერთ მონეტაზე მეფის სახელი სრულად შემორჩენილი არ არის, რამაც მათი გენეზისის საკითხი მწვავე დისკუსიის საგნად აქცია საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში. ზოგიერთი მეცნიერი მას კითხულობს როგორც ΒΑΣΙ... ΣΑΥΜ[ΑΚΟΥ] (ე.ი. „მეფე სავმაკისა“), ხოლო ზოგიერთი ΒΑΣΙ... ΣΑΥΛ [ΑΚΟΥ] (ანუ „მეფე სავლაკისა“). ორივე წაკითხვას არსებობის თანაბარი უფლება აქვს. ამ რვა მონეტიდან ხუთი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი, კერძოდ, სოხუმის მიდამოებში და ვანში. ამის საფუძველზე მკვლევართა ერთი ნაწილი მათ კოლხეთის ნუმიზმატიკურ ძეგლებად თვლის [Голенко К. 1960:123-127; Голенко К. 1963:69-81]. პრობლემის გადასაჭრელად ტოპოგრაფიის გარდა, დიდი მნიშვნელობა აქვს მონეტების დათარიღებასაც. ამ მხრივ დიდ დახმარებას თვით მონეტების რეპერტუარი გვინევს. მათი ტიპოლოგია ნახესხებია როდოსის ნუმიზმატიკური ძეგლებიდან (ჰელიოსი მონეტის შუბლზე, ელვა ან

ვარდი – ზურგზე), რომელთა ემისიას ძვ.წ. 166/5-88 წწ-ში ჰქონდა ადგილი. ამის გათვალისწინებით, ჩვენთვის საინტერესო მონეტები ძვ.წ. II ს-ის დასასრულით დათარიღდა [Голенко К. 1960:124-125]. ვინაიდან ამ პერიოდში კოლხეთში სავლაკის მეფობას არც ერთი ისტორიული წყარო არ ადასტურებს, ხოლო ზუსტად ამ დროს ბოსფორის სამეფოში სკვითი სავმაკი აწყობს სახელმწიფო გადატრიალებას (ძვ.წ. 110, ან 108-7 წწ.) და ხელისუფლების უზურპაციას, ამიტომაც ზოგიერთი მეცნიერი ამ მონეტების ემისიას მას მიაწერს [Гаидукувич В. 1962:3-23; Гаидукувич В. 1968:81-95; დუნდუაგ. 2002:160-169]. ორივე მოსაზრება, ჯერჯერობით, ჰიპოთეზის ფარგლებს არ სცილდება.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე სპილენძის საქალაქო მონეტებიც იჭრებოდა, მათ ემისიას დიოსკურია (თანამედროვე სოხუმი) ახორციელებდა. იჭრებოდა სამი ნომინალი: ხალკი (წონა 1,3-3,1 გრ.), დიხალკი (3,7-5 გრ.), ტეტრახალკი (6,1 გრ.), რომელთაც ასეთი სახე აქვთ: Av. ტყუპი ძმების პოლიდეკესა და კასტორიუსის ემბლემის – ორი ფრიგიული ქუდის გამოსახულება, რომელთა ზემოთ მოთავსებულია ექვსი ან რვაქიმიანი ვარსკვლავები; Rv. მონეტის ცენტრში კვერთხის (დიონისეს) გამოსახულება, მის ორივე მხარეს სამ სტრიქონად ბერძნული ზედწერილი: ΔΙΟΣ-ΚΟΥΡΙΑ-ΔΟΣ (ტაბ. IV,7).

ამ მონეტების ქრონოლოგიური ჩარჩოების დადგენას პრინციპული მნიშვნელობა აქვს დასავლეთ საქართველოს ისტორიის ზოგიერთი მომენტის დასაზუსტებლად. კერძოდ, იმ ფაქტის დადგენის თვალსაზრისით, თუ როდის მოხდა პონტოს მეფის მითრიდატე VI ევპატორის (ძვ.წ. 120-63 წწ.) მიერ დასავლეთ საქართველოს დამორჩილება. პონტოს მეფის ცხოვრების ძირითადი მიზანი იყო გაეერთიანებინა შავიზღვისპირეთის აუზის ქვეყნები, მცირე აზიის ელინისტური სამყარო და ამ გზით დაპირისპირებოდა რომის ექსპანსიას. ცხადია, ამ გზაზე იგი გვერდს ვერ აუვლიდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის

სანაპიროს, რისი დასტურიც, სხვა მონაცემებთან ერთად არის სწორედ დიოსკურიის სპილენძის საქალაქო მონეტები. რატომ? იმიტომ რომ ისინი ტიპოლოგიურად უკავშირდება სამხრეთ შავიზღვისპირეთის სპილენძის საქალაქო მონეტებს, ე.ი. იმ ქალაქების ნუმიზმატიკურ ძეგლებს, რომლებიც უშუალოდ შედიოდა მითრიდატეს სამფლობელოში. კერძოდ, შუბლის მოტივი აღებულია ამისოს იმ მონეტებიდან, რომლებიც იჭრებოდა ძვ.წ. 120-111 წლებში, ხოლო ზურგისა, ასევე ნასესხებია სამხრეთ და ჩრდილო შავიზღვისპირეთის საქალაქო ნუმიზმატიკიდან, იმ მონეტებიდან, რომლებიც თარიღდება ძვ.წ. 105-90 წლებით. ამრიგად, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, დიოსკურიაში მოჭრილი მონეტები ძვ.წ. II ს-ის დასასრულითა და I ს-ის დასაწყისით უნდა დათარიღდეს [Голенко К. 1977:3]. შესაბამისად, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს შეერთება თავის სამფლობელოსთან მითრიდატე VI განახორციელა სწორედ ამ პერიოდში. დიოსკურიაში, ჩანს, იდგა მითრიდატე VI-ის მხედრონი და სამონეტო რეგალიას მის მიერ დანიშნული ხელისუფლება ფლობდა.

ომი რომსა და პონტოს შორის რამდენიმე ათეული წელი გაგრძელდა და მითრიდატეს მარცხით დასრულდა. რომის სარდალი გნეუს პომპეუსი ჯერ სომხეთში შევიდა და იქ პონტოს მოკავშირე ტიგრან II (ძვ.წ. 95-55 წწ.) დაამარცხა, ხოლო შემდეგ, კერძოდ, ძვ.წ. 65 წ. იბერიას მიადგა. აქ მან ქართლის მეფის არტაგის დამორჩილება შეძლო და დასავლეთ საქართველოში გადავიდა. პომპეუსმა ქვეყანას ეფემერული დამოუკიდებლობა მიანიჭა და მის მმართველად ძვ.წ. 63 წელს არისტარქე კოლხი გაამწესა. ჩვენამდე მოაღწია მისი სახელით მოჭრილმა ვერცხლის 6 მონეტამ. ყველა მათგანი დაცულია საზღვარგარეთ: ბერლინის, ეშმოლის და ბრიტანეთის მუზეუმებში, აგრეთვე პარიზის მედლების კაბინეტში – თითო თითო ცალი, ორიც – სანქტ-პეტერბურგის ერმიტაჟში (აქედან ერთი აღმოჩენილია სოხუმის მიდამოებში). მათი

აღწერილობა ასეთია: ნონა – 3,2-3,7 გრ., Av. მარჯვნივ მიმართული მამაკაცის პროფილის გამოსახულება სხივანა გვირგვინში, რომელიც ჰელიოსადაა მიჩნეული სამეცნიერო ლიტერატურაში. Rv. მარჯვნივ მიმართული ტახტზე მჯდომი ქალის დრაპირებული გამოსახულება კომპურა გვირგვინში. მარცხენა ხელში მას სფეროს მაგვარი საგანი უჭირავს, ხოლო მარჯვენათი საჭეს ეყრდნობა. გამოსახულების ორსავე მხარეს და ქვემოთ ბერძნული ზედწერილი: ΤΟΥ ΕΠΙ ΚΟΛΧΙΔΟΣ ΑΡΙΣΤΑΡΧΟΥ ΒΙ – ე.ი. „არისტარქესი, კოლხეთის მმართველის, ან არისტარქესი, რომელიც კოლხეთს მართავს“ და თარიღი 12, რაც უდრის ამ პიროვნების მმართველობის მე-12 წელს, ანუ 52/51 წლებს (ტაბ. IV,9).

არისტარქე კოლხის დრაქმების ისტორიული მნიშვნელობა ძალზე დიდია. საქმე ისაა, რომ ზოგიერთი ანტიკური ავტორი არისტარქეს მეფეს უწოდებს, თვით მონეტის ლეგენდაში, რომელსაც იურიდიული მნიშვნელობის ხასიათი აქვს, ეს უკანასკნელი მმართველის სახელითაა მოხსენიებული. ამრიგად, მონეტის ზედწერილის საშუალებით მთელი ქვეყნის პოლიტიკური სტატუსის ვითარების დადგენა ხერხდება. ცხადია, კოლხეთი ამ დროს სამეფო კი არ არის, არამედ რომის პროვინციაა (არისტარქე კოლხის დრაქმების შესახებ დანვრილებით იხ.: [Голенко К. 1974:105-110; Дундуа Г. 1987:131-133]).

რაც შეეხება ელინისტური ხანის აღმოსავლეთ საქართველოს, აქ საკუთარი ორიგინალური მონეტა არ იჭრებოდა.

ამავე პერიოდის დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი უცხოური მონეტების სია აკუმულირებული სახით ასე გამოიყურება: ძვ.წ. III ს-ის დასწყისის სინოპური ჰემიდრაქმები (სოხუმის მიდამოები – 2, ფიჭვნარი – 3, დაფნარი, სამტრედიის მუნიციპალიტეტი -1), ძვ.წ. III-II სს. ამისოს სიკლი (სოხუმის მიდამოები – 1), ე.წ. „ახალი სტილის“ ათენური ტეტრადრაქმები და დრაქმები, ძვ.წ. II ს-ის მეორე ნახევარი (ვანი – 2, სოხუმი – 1), მითრიდატე VI ევპატორის ტეტრადრაქმები

(სოხუმი – 1, ვანი – 2), ძვ.წ. II-I სს. კაპადოკიის მეფეთა დრაქმები (ვანი – ათიოდე ეგზემპლარი), სომხეთის მეფის ტიგრან II-ის (ძვ.წ. 95-55 წწ.) ტეტრადრაქმები (ზუგდიდი – 1, ჭიათურის მიდამოები – 1), ძვ.წ. II-I სს. რომის რესპუბლიკური დენარები (სოხუმი – 7, გუმურუში, გალის მუნიციპალიტეტი – 1, სოფ. საზოდელავო, სენაკის მუნიციპალიტეტი – განძი, რომელიც 23 ერთეულისაგან შედგებოდა, ვანი – 2) და ძვ.წ. I ს-ის პართული დრაქმები – ვანი – 2. ამ სიას უნდა დაემატოს 1980-იან წლებში მდ. კელასურის ნაპირზე (სოხუმი) ნაპოვნი დიოსკურიის სპილენძის საქალაქო მონეტების განძი, რომელიც რამდენიმე კილოს ინონიდა (დანვრილებითი სია დასავლეთ საქართველოში ნაპოვნი ძვ.წ. III-I სს-ის უცხოური მონეტების შესახებ იხ. [დუნდუა გ., ... 2006:78-82]).

სპილენძის მონეტებს რაც შეეხება, მათი გავრცელება საქართველოს დასავლეთ ნაწილში, განსაკუთრებით კი სოხუმის მიდამოებსა (კონკრეტულად, ეშერაში) და ვანში იწყება ძვ.წ. II ს-ის დასასრულსა და I ს-ის დასაწყისში. ეს ფაქტი აიხსნება იმით, რომ ამ პერიოდში დასავლეთ საქართველო შედიოდა პონტოს სამეფოს შემადგენლობაში და მის ზოგიერთ პუნქტში (მაგ., დიოსკურიასა და მისი რადიაციის სექტორში, აგრეთვე ვანში) უნდა მდგარიყო მითრიდატე VI ევპატორის გარნიზონი. სოხუმის მიდამოებში აღმოჩენილია პონტოს სხვადასხვა ქალაქებში (ამისო, ფარნაკეა, ნეოკესარია, ამასტრია) მოჭრილი 13, ხოლო ვანში – მითრიდატეს ეპოქის 200-მდე სპილენძის მონეტა. გარდა ამისა, დიოსკურიაში მიმოიქცეოდა სინქრონული ადგილობრივი საქალაქო მონეტებიც.

აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოს ფარგლებში მთელი ანტიკური პერიოდის მანძილზე (ძვ.წ. VI-ახ.წ. IV სს.) სპილენძის მონეტები ცირკულირებდა მხოლოდ სანაპირო ზოლის საზღვრებში, შიდა რაიონებში მათი აღმოჩენის შემთხვევები აღრიცხული არ არის. ვანის ნაქალაქარზე მიკვლეული მითრიდატე VI პონტოელის 200-

მდე მონეტა სწორედ იმის მაჩვენებელია, რომ მათი უმრავლესობა ცენტრალურ კოლხეთში პონტოს სამეფოს ჯარისკაცების მიერ არის შემოტანილი. ამ მონეტების ძირითადი მასა ძვ.წ. 105-90 წწ-შია მოჭრილი, რაც ემთხვევა მითრიდატეს მიერ დასავლეთ საქართველოს ინკორპორაციის ისტორიულ თარიღს [Дундуа Г. 1987:105-108].

თუ შევუდარებთ ერთმანეთს სანაპირო ზოლისა და ქვეყნის შიდა რაიონებში მდებარე ქალაქების სამონეტო მიმოქცევას ამ ეპოქაში დიოსკურიისა და ვანის მასალებზე დაყრდნობით, შემდეგ სურათს მივიღებთ: დიოსკურიის მიდამოებში ძვ.წ. III ს-ის დასაწყისის სინოპური ჰემიდრაქმისა და ძვ.წ. III-II სს-ის ამისოს სიკლის პოვნა სავსებით ბუნებრივია. როგორც გვქონდა აღნიშნული, ძვ.წ. IV ს-ის უკანასკნელი მეოთხედიდან სინოპეს ხელში გადადის დასავლეთ საქართველოსთან ვაჭრობის ჰეგემონია. ამ ფონზე ძვ.წ. III ს-ის დასაწყისის სინოპური ჰემიდრაქმების მოძიება შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მოულოდნელი არაა, ისევე როგორც სინოპეს სავაჭრო პარტნიორის, ამისოს სიკლისა. მაგრამ მაინც, ინტენსიური სამონეტო ცირკულაცია დიოსკურიასა და მის მიდამოებში იწყება მითრიდატე VI ევპატორის ხანიდან, რაც პირდაპირ კავშირშია პოლიტიკურ მომენტთან, კერძოდ, ქალაქის უშუალო დაქვემდებარებასთან პონტოს მეფის მიერ. ყოველგვარი ეჭვის გარეშე, შავი ზღვის ამ სექტორში, თვით დიოსკურიაში მოჭრილი მონეტების პარალელურად, ფართოდ მიმოიქცევა პონტოს სპილენძის საქალაქო პროდუქცია. აგრეთვე, ალბათ, თვით მითრიდატე VI ევპატორის სახელით მოჭრილი ტეტრადრაქმები. პოლიტიკური კონიუნქტურის შეცვლაზე მიუთითებს აქვე ნაპოვნი რომის რესპუბლიკური დენარებიც.

რა ვითარებაა ქვეყნის შიდა ზონაში ვანის ნაქალაქარის მაგალითზე. ადრეულ მასალებში (ძვ.წ. IV-III სს.) სჭარბობდა ოქროსა და ვერცხლის მონეტები (კოლხური თეთრი). უცხოური მონეტებიდან კი მიმოიქცევა

ისინი, რომელთაც დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა (ფილიპე II, ალექსანდრე მაკედონელის, ფილიპე III-ისა და ლისიმაქეს სტატერები) და მსხვილი სავაჭრო ოპერაციებისათვის იყო განკუთვნილი. ამავე დროს, შესაბამისი პერიოდის არც ერთი სპილენძის მონეტა არ არის ჯერჯერობით მიკვლეული ვანში, რაც ფულადი მეურნეობის სუსტ განვითარებაზე მიუთითებს ამ რეგიონში. ადგილობრივი ბაზარი, ჩანს, სრულებით არ საჭიროებს ხურდა ფულს. ეს პირველი დასკვნა. მეორე: ვანის მასალებში არ გვხვდება ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევრისა და ძვ.წ. II ს-ის პირველი ნახევრის მონეტები. და მესამე: გარდატეხა ქვეყნის ეკონომიკაში იწყება ძვ.წ. II ს-ის უკანასკნელი მეოთხედიდან. განსაკუთრებული რელიეფურობით ეს გარდატეხა გამოიკვეთა ძვ.წ. II-I საუკუნეთა მიჯნაზე. ეს სიახლე ვანის ეკონომიკაში დაკავშირებული იყო მის ისტორიაში მომხდარ ცვლილებებთან, ის გარედან იყო მოტანილი. ისტორიული ტეხილი, რომელმაც მკვეთრად შეცვალა სამონეტო მიმოქცევის სურათი ვანის ნაქალაქარის ტერიტორიაზე (აქ, უნინარეს ყოვლისა, იგულისხმება სპილენძის მონეტების ინტენსიური ბრუნვა) მითრიდატე VI ევპატორის მიერ კოლხეთის დაპყრობაში მდგომარეობს. ეს მან ძვ.წ. 105-90 წლებში განახორციელა და სინქრონულად როგორც აღმოსავლეთ შავიზღვის სანაპირო ზოლისა, ასევე დასავლეთ საქართველოს შიდა რაიონებისა. ორივეგან ამ პერიოდის სპილენძის საქალაქო მონეტებია აღმოჩენილი, ვანში განსაკუთრებით დიდი რაოდენობით. დასავლეთ საქართველოს დასაყრდენ პუნქტებში, როგორც ჩანს, მითრიდატეს თავისი ჯარის ნაწილები ჩაუყენებია. ერთერთი ასეთი პუნქტი სწორედ ვანი უნდა ყოფილიყო. სამონეტო მიმოქცევის ის ქრელი და რთული სურათი, რომელიც ძვ.წ. II-I საუკუნეებში შეინიშნება ვანის ნაქალაქარის ტერიტორიაზე, უდავოდ მითრიდატეს ჯარისკაცების „დამსახურებაა“, ეს მონეტები მათი შემოტანილია ვანში, ეს მათი ფულადი მეურნეობაა,

ეს არის ვანის ჩართვა მითრიდატეს ვრცელი სახელმწიფოს სამონეტო ბაზარში. ცხადია, ძვ.წ. II-I სს-ის ყველა მონეტა, რომელიც ვანშია მიკვლეული, მითრიდატეს ჯარისკაცების მიერ არაა აქ შემოტანილი. მაგ., ე.წ. „ახალი სტილის“ ათენური დრაქმა და ტეტრადრაქმა, კაპადოკიის მეფეთა დრაქმები, შეიძლება ვივარაუდოთ, სხვა არხებით მოხვდა ნაქალაქარის ფარგლებში, მაგრამ მონეტების ძირითადი ნაწილი მაინც ამ გზით უნდა დალექილიყო ვანის მიწა-წყალზე.

თუ აღმოჩენების მიხედვით ვიმსჯელებთ, ძვ.წ. IV-III სს-ში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე სამონეტო მიმოქცევა სუსტადაა განვითარებული. საოცარია, რომ იბერიის ისეთი მსხვილი ცენტრები როგორც იყო მცხეთა-ნასტაკისი, არ იძლევა შესაბამისი პერიოდის ნუმისმატიკურ მასალას. ცხადია, ეს შემთხვევით არ არის.

ქვეყნის საზღვრებში მიკვლეული ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სახელით მოჭრილი მონეტების შესახებ უკვე მქონდა საუბარი, თუმცა მათ არ შეუძლიათ საერთო სურათის შეცვლა, რადგან მათი ნაწილი გვიანდელ სამარხებშია ნაპოვნი. მაგრამ ზოგადად მაინც უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებლად იმისა, როდის შემოვიდა ეს მონეტები ისტორიული იბერიის ტერიტორიაზე, მათი შემოსვლის გზების დადგენა თითქოს არ უნდა იყოს რთული. საქმე ისაა, რომ ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სტატერები ფართოდ იყო გავრცელებული ქვეყნის დასავლეთ ნაწილში და ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ მათი შემოსვლა იბერიაში სწორედ ამ გზით მოხდა. რაც შეეხება ვერცხლის მონეტებს (განსაკუთრების ალექსანდრე მაკედონელის დრაქმებსა და ტეტრადრაქმებს), ისინი უაღრესად აქტიურ როლს თამაშობდნენ სომხეთისა და ალბანეთის სამონეტო ცირკულაციაში [Мушегян Х. 1983:237; Мушегян Х. 1987:62; Раджабли А. 1997:13-14]. ოქროს მონეტები იქ არ გვხვდება. აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილი ალექსანდრე მაკედონელის ვერცხლის

მონეტების შემოსვლის მარშრუტი ამ ქვეყნებიდან იწყებოდა.

გარდა ზემოთმოსხენიებული მონეტებისა, იბერიაში კიდევ ნაპოვნია რამდენიმე ცალი II ტიპის კოლხური ნახევარდრაქმა და ეგვიპტის მეფის პტოლემეაიოს III-ის (?) (ძვ.წ. 247-222 წწ.) სპილენძის მონეტა (ზემო ავჭალა). განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს კოლხური თეთრის აღმოჩენის შემთხვევები აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს ფარგლებში: არმაზი (მცხეთის მუნიციპალიტეტი) – 1 ც., სოფ. წნისი (ახალციხის მუნიციპალიტეტი) – 5 ც., აწყური (ახალციხის მუნიციპალიტეტი) – 1 ც. და სურამის მიდამოები (ხაშურის მუნიციპალიტეტი) – 1 ც. [დუნდუა გ. 2008:22-23]. როგორც ცნობილია, კოლხური თეთრი ლოკალური სამონეტო ჯგუფია და იშვიათი გამონაკლისის გარდა არ გადის დასავლეთ საქართველოს საზღვრებს გარეთ. ამდენად, ჩამოთვლილი აღმოჩენები რამდენიმე ასპექტით იქცევა ყურადღებას, თუმცა მასალა ჯერჯერობით მაინც მცირე რაიმე ზოგადი დასკვნის გამოსატანად.

უფრო ინტენსიურ ხასიათს სამონეტო მიმოქცევა იბერიაში ღებულობს ძვ.წ. III ს-ის ბოლოსა და II ს-ში. გორის მიდამოებში ნაპოვნია შესაბამისი პერიოდის პართული მონეტების განძი (სამწუხაროდ, მისი ზუსტი შემადგენლობა უცნობია). სოფ. ალაიანში (კასპის მუნიციპალიტეტი) აღმოჩენილია კაპადოკიის მეფის არიარათ IV-ის (ძვ.წ. 220-163 წწ.) დრაქმა, დათარიღებული ძვ.წ. 187 წ.; გორსა და ნასტაკისში (მცხეთის მახლობლად) თითო-თითო ცალი პართული დრაქმა მითრიდატე I-ისა (ძვ.წ. 171-138 წწ.); დილოში (თბილისთან ახლოს) – დემეტრიოს I სოტეროსის (ძვ.წ. 162-150 წწ.) სირიული სპილენძის მონეტა, ხოლო ცხინვალში – სელევკიდური ტეტრადრაქმა ანტიოქოს ევერგეტისა (ძვ.წ. 138-129 წწ.) [დუნდუა გ. 2008:24; დუნდუა გ., ... 2009:11].

ამ მასალის ანალიზზე დაყრდნობით, ძვ.წ. II საუკუნის დასაწყისიდან მაინც უნდა ვივარაუდოთ იბერიაში პართული მონეტების

შედარებით ფართო ცირკულაცია. სირიული მონეტების პოვნის ფაქტები კი ამაგრებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ იბერიის ეკონომიკა (აღბათ, არა მარტო ეკონომიკა) აღმოსავლეთისაკენაა ორიენტირებული.

ძვ.წ. II ს-ის დასასრულსა და I ს-ის პირველ ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოში უკვე ჩამოყალიბდა საკმაოდ ძრელი სამონეტო ბაზარი. ქვეყნის სხვადასხვა პუნქტში ამ პერიოდის დაახლოებით 70-ზე მეტი მონეტაა ნაპოვნია (რიცხვები, ცხადია, აბსოლუტურად ზუსტი არ შეიძლება იყოს). აქედან 44 პართული დრაქმაა (გორი, ზნაური – სოფ. სხალთი, მცხეთა, ალაიანი – კასპის მუნიციპალიტეტი), 13 – რესპუბლიკური ხანის რომაული დენარი (ნასტაკისი, ალაიანი, ქარელის მიდამოები, თბილისი), მითრიდატე VI ევპატორის ეპოქის პონტოს ქალაქების (ამისო, სინოპე, ამასტრია) 7 სპილენძის მონეტა (მცხეთა, თბილისი), ძვ.წ. 72 წ. დათარიღებული მითრიდატე VI-ის ტეტრადრაქმა (ალაიანი), სომხეთის მეფის ტიგრან II-ის (ძვ.წ. 95-55 წწ.) 3 ტეტრადრაქმა, მოჭრილი ორონთის ანტიოქიაში ძვ.წ. 83-69 წწ. (ალაიანი), ვერცხლის 6 ბაქტრიული მონეტა (თბილისი), ძვ.წ. I ს-ის სოგდური მონეტა, ევტიდემეს ტეტრადრაქმის მინაბადი (ფასანაური), ქ. სოლის (კილიკია) ძვ.წ. II-I სს. მონეტა (თბილისი), კაპადოკიის მეფის არიობარძანე I-ის (ძვ.წ. 96-62 წწ.) დრაქმა (მცხეთა). ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ აღნიშნული პერიოდის მონეტებიდან 30 ნაპოვნია მცხეთაში, 24 – ალაიანში.

ზემოთ მოყვანილი მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ ძვ.წ. II ს-ის დასასრულსა და I ს-ის პირველ ნახევარში წამყვანი როლი იბერიის ეკონომიკაში ისევ პართულ დრაქმებს ეკავა. მათი შემოსვლის გზები აღმოსავლეთ საქართველოში კარგადაა დადგენილი სამეცნიერო ლიტერატურაში: კასპის ზღვის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროს გასწვრივ აზერბაიჯანსა და სომხეთში, აქედან მდინარე მტკვრის არტერიით საქართველოში [Зорраф А. 1945:42].

იბერიის სამონეტო ბაზრის შესწავლის

თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს მის შედარებას მეზობელი ქვეყნების, კერძოდ, კოლხეთის, ალბანეთისა და სომხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ნუმისმატიკურ მასალასთან. ამ მხრივ იბერიაში მოძიებული მონეტები მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს სომხეთის სამონეტო ბაზართან. ამ კუთხით უაღრესად ფასეულია IV ს-ის გეოგრაფოსის კასტორიუსის რუკა, ე.წ. „ტაბულა პეუტინგერია“, რომელიც ძველი სავაჭრო გზების შესწავლას ისახავს მიზნად. ამ დოკუმენტის მიხედვით, სომხეთის დედაქალაქი არტაშატი ეკონომიკურად მჭიდროდ იყო დაკავშირებული იბერიასთან სავაჭრო მაგისტრალით. ჩვენთვის ამჟამად გზის ის მონაკვეთია საინტერესო, რომელიც ინყებოდა ქალაქ არტაშატთან და გაივლიდა შემდეგ პუნქტებს: დილიჟანი-ალსტაფა-ყაზახი-რუსთავი-თბილისი-მცხეთა [ლომოური ნ. 1958:118; დუნდუა გ. 2008, №30; დუნდუა გ., ... 2006:93]. სწორედ ამ გზით უნდა შემოსულიყო იბერიაში ელინისტური აღმოსავლეთისა და რესპუბლიკური ხანის რომაული დენარების გარკვეული ნაწილი.

რაც შეეხება პონტოს სპილენძის საქალაქო მონეტებს, ისინი, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, დასავლეთ საქართველოდანაა შემოსული იბერიის ფარგლებში, ვინაიდან აღმოსავლეთ ამიერკავკასიის სამონეტო ცირკულაციაში მათი ხვედრითი წონა პრაქტიკულად ნულის ტოლია. პონტოს ქალაქების სპილენძი, აგრეთვე ბაქტრიული და სოლდური მონეტები მონაბობს იმას, რომ ტრანსკავკასიური სავაჭრო გზა, რომელიც შავი ზღვის აუზის ქვეყნებს ინდოეთთან აკავშირებდა, გვიანელინისტურ ხანაშიც ინტენსიურად ფუნქციონირებდა.

ამრიგად, იბერიის სამონეტო ბაზარს ძირითადად ორი ეკონომიკური არხი კვებავდა: ტრანსკავკასიური და არტაშატის სავაჭრო მაგისტრალი. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ იბერიაში აღმოჩენილი ყველა მონეტა მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკური ურთიერთობის შედეგადაა აქ მოხვედრილი.

უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე პოლიტიკური მომენტიც: I-II საუკუნეების ბერძენი ისტორიკოსის პლუტარქეს ცნობით, ძვ.წ. 69 წელს მითრიდატე VI-ისა და ტიგრან II-ის მხარეზე რომაელების წინააღმდეგ, საკუთრივ სომხეთის ტერიტორიაზე იბერებიც იბრძოდნენ (Plut., Lucull, XXVI). ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ ნაწილი ჩვენთვის საინტერესო მონეტებისა უკან დაბრუნებულმა იბერმა მეომრებმა შემოიტანეს აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. არ შეიძლება აგრეთვე პომპეუსის ლეგიონერების „ღვანლის“ უარყოფა ამ მიმართებით. როგორც ცნობილია, ძვ.წ. 65 წელს სომხეთიდან იბერიაში ილაშქრა რომაელმა სარდალმა გნეუს პომპეუსმა. არის საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ამ ლაშქრობამ იბერიაში გააცხოველა სამონეტო მიმოქცევის ინტენსიურობა.

იბერიის ეკონომიკის ძირითადი მიმართულება უცვლელია აგრეთვე ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევარში. აქ აღმოჩენილი მონეტების სტატისტიკა და ტოპოგრაფია ასეთ სურათს იძლევა: სულ ნაპოვნია 146 მონეტა, აქედან 134 პართული დრაქმაა და 12 რესპუბლიკური ხანის რომაული დენარი [დუნდუა გ., ... 2009:12]. ვიმეორებ, რიცხვები აბსოლუტურად ზუსტი არ შეიძლება იყოს, მაგრამ იბერიის სამონეტო ბაზრის სურათს ადეკვატურად ასახავს. პართული დრაქმებიდან 119 მიეკუთვნება ოროდ II-ს (ძვ.წ. 57-38/7 წწ.). 134 პართული დრაქმიდან 55 ნაპოვნია მცხეთაში, 44 – ალაიანში. 12 რომაულ დენარიდან 5 მოჭრილია რომის ზარაფხანაში, 3 – „აღმოსავლეთში“, თითო-თითო ცალი – ესპანეთში, ანტიოქიასა და გალიაში. 5 დენარი ნაპოვნია ალაიანში, 2 – ნასტაკისში, თითო-თითო ცალი თბილისში, გორში, მცხეთაში, აბისში (ქარელის მუნიციპალიტეტი), კავთისხევში (კასპის მუნიციპალიტეტი).

ამრიგად, სრულებით ნათელია, რომ იბერიის სამონეტო ბაზრის ძირითადი კომპონენტები ძვ.წ. I საუკუნის მეორე ნახევარში კვლავ პართული დრაქმები (პირველ ადგილზე) და რომაული დენარებია, ხოლო უმნიშ-

ვნელოვანესი ეკონომიკურ ცენტრებში ისევ და ისევ მცხეთა და ალაიანია.

გადავდივართ სამონეტო ცირკულაციის მიმოხილვაზე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე I-IV სს-ში. ამ კუთხით კოლხეთი სამ ზონად იყოფა: სანაპირო, ცენტრალური და აღმოსავლეთ ნაწილად (არგვეთი). ფულადი მიმოქცევის თვალსაზრისით სანაპირო ზოლი და შიდა რაიონები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება. ეს განსხვავება გამოიხატება იმაში, რომ სანაპირო ზოლის ქალაქებში, ძირითადად, ტრიალებს სპილენძი, ხოლო შიდა რაიონებში – ვერცხლი. ვინაიდან კოლხეთში აღმოჩენილი შესაბამისი პერიოდის მონეტები ძალიან მრავალრიცხოვანია, ამიტომ სანიმუშო მასალად ზღვისპირა ქალაქებისათვის ვიღებთ ბიჭვინთაში (გაგრის სიახლოვეს) არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულ ნუმიზმატიკურ ძეგლებს, რომელთა რიცხვი 1000-ზე მეტია, ხოლო შიდა რაიონებისათვის – სამ დიდ განძს, რომლებიც აღმოჩენილია სოფ. ღურზულში (იგივე გერზეული, გულრიფშის რ-ნი), ეკსა (სენაკის მუნიციპალიტეტი) და სეფიეთში (აბაშის მუნიციპალიტეტი).

ბიჭვინთა (ბერძნულ-რომაული წყაროებით პიტიუს-პიტიუნტი), როგორც წერილობითი ცნობები გვამცნობს, ძვ.წ. II ს-ში უკვე არსებობს. მიუხედავად მრავალი ათეული წლის განმავლობაში ჩატარებული კამპანიისა, წერილობითი წყაროების ინფორმაციას არქეოლოგიური საფუძველი ვერ მოეძებნა. აღმოჩნდა მხოლოდ სინქრონული, სპილენძის ორი მონეტა. ესაა ძვ.წ. II ს-ის ქერსონესში მოჭრილი მონეტა, ხოლო მეორე – ცუდი დაცულობის გამო, შეიძლება ფრიგიის ლაოდიკეს (მცირე აზია) მიეკუთვნოს (ვრცლად ბიჭვინთაში აღმოჩენილი მონეტების შესახებ იხ. [დუნდუა გ. 1975, I:280-428]).

ძვ.წ. I ს-ის ნუმიზმატიკური მასალა, ასევე მონეტის ცუდი დაცულობის გამო, თითქოს წარმოდგენილი უნდა იყოს ერთი ცალით: ესაა მითრიდატე VI ევპატორის ეპოქის ტეტრახალკი.

ახ.წ. I ს-ის ოთხი მონეტაა მიკვლეული ბიჭვინთაში: იმპერატორ ავგუსტუსის (ძვ.წ. 27-ახ.წ. 14 წწ.) სპილენძი, ნერონის (54-68 წწ.) აურეუსი, პონტოს მეფის პოლემონ II-ის (38-63 წწ.) დრაქმა და ქ. ამასტრიის (შავი ზღვის სამხრეთი სანაპირო) ე.წ. კვაზი (ფსევდო) – ავტონომიური სპილენძის მონეტა. I საუკუნის ავტონომიური პლინიუსის ცნობით, ახ.წ. I საუკუნეში პიტიუნტი მდიდარი ქალაქი ყოფილა, მაგრამ ის გაუძარცავთ მეომარ ტომებს ჰენიოხებს (Plin., NH, 6, 16). ამ ფონზე სავსებით კანონზომიერად მოჩანს ბიჭვინთაში სინქრონული არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური მასალის სიმცირე.

II ს-ის 30-იანი წლებისათვის შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ სანაპიროზე საინსპექციო მიზნით იმოგზაურა ფლავიუს არიანემ (იმპერატორ ადრიანეს მოხელემ). მეტად საგულისხმოა, რომ სანაპიროს იმ პუნქტებს შორის, სადაც რომის მხედრონი იდგა, არიანე არ ასახელებს პიტიუნტს. უფრო მეტიც: იგი გარკვევით ამბობს, რომ დიოსკურია-სებასტოპოლისთან „...მთავრდება რომაელთა სამფლობელოები პონტოს მარჯვენა მხარეს მცურავთათვის“ (Arr. PPE, 17; კეჭალმაძე ნ. 1961:6-8, 51). ამ ცნობას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. როგორც არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური მასალა ადასტურებს, II საუკუნიდან ბიჭვინთა ინტენსიურ საქალაქო ცხოვრებას იწყებს და სრული უფლება გვაქვს ბიჭვინთაში აღმოჩენილი II ს-ის მონეტები არა მარტო პოლიტიკური, არამედ უშუალოდ სავაჭრო-ეკონომიკური არხებით შემოსულად ჩავთვალოთ.

ბიჭვინთაში II-ს-ის 60-ზე მეტი მონეტაა აღმოჩენილი, აქედან 2 მედალია (მათ შესახებ იხ.: დუნდუა გ., ... 2006:96-101). მონეტების საერთო რიცხვიდან 17 ვერცხლისაა, დანარჩენი კი სპილენძის. ქვეყნების, ზარაფხანებისა და მმართველების მიხედვით დიფერენცირებული მათი სია ასე გამოიყურება: 1. ადრიანე (117-138 წწ.) – 8 ც.; 2. ანტონინუს პიუსი (138-161 წწ.) – 5 ც.; 3. ლუციუს ვერუსი (161-

169 წწ.) – 2 ც.; მისი მეუღლე ლუცილა – 1 ც.; 4. კომოდუსი (180-192 წწ.) – 13 ც.; 5. სეპტიმიუს სევერუსი (193-211 წწ.) – 3 ც.; 6-7. ბოსფორის მეფეთა კოტის II-ისა (123-132 წწ.) და სავრომატ II-ის (174-210 წწ.) – 2 ც.; 8. ზოგადად II ს-ის დასასრული – 17 ც. (მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ბიჭვინტის ქაობიან გარემოცვაში მონეტები, განსაკუთრებით სპილენძის, ცუდად ინახება. ამიტომ მათი ზუსტი ატრიბუციაა ჭირს. ამის გამო, ზოგჯერ ერთმანეთს არ დაემთხვევა საერთო და განსაზღვრული მონეტების რიცხვი). ზემოთ ჩამოთვლილი მონეტებიდან 30 ცალი მაინც ტრაპეზუნტშია მოჭრილი, ათიოდე – კაპადოკიის კესარიამში, ორი – ბოსფორის სამეფოში, რამდენიმე ცალი რომში და თითო-თითო ეგზემპლარი პაუტალიასა (თრაკია) და აღმოსავლეთის რომელიღაც ზარაფხანაში.

ადვილი მისახვედრია, ბიჭვინტის ეკონომიკური ძარღვი უპირატესად მცირე აზიასთანაა დაკავშირებული, ყველაზე მეტად კი ქალაქ ტრაპეზუნტთან.

V ს-ის დასასრულსა და VI ს-ის დასაწყისის ბიზანტიელი ისტორიკოსის ზოსიმეს ცნობის თანახმად, III ს-ის ბიჭვინტა რომაელთა გამაგრებულ პუნქტს წარმოადგენდა, რომელსაც გარშემო მაღალი კედლები ევლო და მეტად ხელსაყრელი ნავთსაყუდელი ჰქონდა [Латышев В. 1896:790]. არქეოლოგიური მასალით ეჭვმიუტანლად დადასტურებულია, რომ ამ პერიოდში ბიჭვინტაში იდგა რომის XV ლეგიონის გარკვეული ქვედანაყოფი. (ბიჭვინტის ისტორიისა და აქ ჩატარებული გათხრების შესახებ იხ. [აფაქიძე ან. 1975, I:13-126; ლორთქიფანიძე გ. 1991]).

III საუკუნე პიტიუნტის ცხოვრების აყვავების ხანაა. ბიჭვინტაში მიკვლეული ამ პერიოდის 350-ზე მეტი მონეტა ამის ნათელი ილუსტრაციაა. მონეტების საერთო რიცხვიდან 149 განძის სახითაა წარმოდგენილი, რომლის ძირითადი ბირთვი (139 ც.) მოჭრილია ტრაპეზუნტში, რაც, თავისთავად, უნიკალური შემთხვევაა. 350 მონეტიდან – საუკუნის პირველ ნახევარს ეკუთვნის 250 ცალზე მეტი.

აქედან 191 მოჭრილია ტრაპეზუნტში, 31 – კესარიამში, 3 – ნეოკესარიამში, 1 – სინოპში, 1 – ამისოში (?) და 1 – ნიკომედიამში. ეს მონეტები მიეკუთვნება რომის შემდეგ იმპერატორებსა და მათ მეუღლეებს: 1. სეპტიმიუს სევერუსს; 2. იულია დომნას (193-217 წწ.); 3. კარაკალას (211-217 წწ.); 4. გეტას (209-212 წწ.); 5. ელაგაბალუსს (218-222 წწ.); 6. ალექსანდრე სევერუსს (238-244 წწ.); 7. იულია მებას (გარდაიცვალა 223 წ.); 8. გორდიანე III (238-244 წწ.); 9. ტრანკვილინას (გორდიანეს მეუღლე); 10. ფილიპე I-ს (244-249 წწ.); 11. ოტაცილა სევერას (238-249 წწ.); 12. ფილიპე II-ს (247-249 წწ.). როგორც ზემოთ მოტანილი მასალა მოწმობს, ბიჭვინტაში აღმოჩენილი III ს-ის პირველი ნახევრის მონეტათა აბსოლუტური უმრავლესობა – 230-ზე მეტი – მცირე აზიის ზარაფხანებშია მოჭრილი, ყველაზე მეტი კი ტრაპეზუნტში (191 ც.). სახეზე გვაქვს პიტიუნტ-ბიჭვინტის უალრესად მჭიდრო კავშირი ტრაპეზუნტთან, მაგრამ ამ შემთხვევაში ეკონომიკურ კავშირურთიერთობაზე საუბარი ძნელია.

საქმე ისაა, რომ ამ პერიოდში, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ბიჭვინტაში დგას რომაული გარნიზონი, ხოლო ტრაპეზუნტი თავისი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით, ასრულებდა დიდ როლს ამიერკავკასიის ქალაქებში მდგომი რომაული ჯარის ქვედანაყოფების მომარაგების საქმეში. ზოგიერთი მკვლევარი ტრაპეზუნტს რომაელთა ფლოტის ძირითად ბაზადაც კი მიიჩნევს შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე [Mommsen Th.1856:306]. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია ის გარემოება, რომ ტრაპეზუნტი გვევლინება მონეტების ძირითად მიმწოდებლად შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ქალაქებისათვის [Голенко К. 1964:35-36].

ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება: ბიჭვინტაში მიკვლეული III ს-ის პირველი ნახევრის მონეტათა დიდი უმრავლესობა სპილენძისაა. ეს პირდაპირ მიუთითებს ფულადი მეურნეობის განვითარებაზე პიტიუნტის ტერიტორიაზე, პირდაპირ მიუთითებს

იმაზე, რომ ეს რომაელი ჯარისკაცების ფულადი მეურნეობაა, რადგან ადგილებზე ისინი ხელფასს (უფრო ზუსტად ჯიბის ფულს) სწორედ სპილენძის მონეტებით ლებულობდნენ.

როგორც იგივე ისტორიკოსი ზოსიმე გვაუწყებს, 256 წელს პიტიუნტს თავს დასხმიან გოთი მეკობრეები, მაგრამ ქალაქმა ეს თავდასხმა მოიგერია. თუმცა შემდეგ წელს გოთებმა მაინც მოახერხეს მისი აღება და გადაწვა [Латышев В. 1896:790; გამყრელიძე ალ., ... 1961:267-268]. როგორც ჩანს, ბიჭვინტას მალე მოუშუშებია გოთების მიერ მიყენებული ჭრილობები. არქეოლოგიურ მასალასთან ერთად, ამის ნათელი დადასტურებაა აქ ნაპოვნი III ს-ის მეორე ნახევრის 100-ზე მეტი მონეტა. მათი სია მმართველების მიხედვით ასე გამოიყურება: 1. ტრებონიანე გალუსი (251-253 წწ.) – 2 ც.; 2. ვოლუზიანე (251-254 წწ.) – 1; 3. გალიენუსი (264-268 წწ.) – 5 ც.; 4. მისივე? – 2 ც.; 5. სალონინა (გალიენუსის მეუღლე) – 3 ც.; 6. ბოსფორის მეფე რისკუპორიდ V (240-267 წწ.) – 1 ც.; 7. კლავდიუსი (269-270 წწ.) – 4; 8. მისივე? – 3 ც.; 9. ავრელიანე (270-275 წწ.) – 10 ც.; 10. მისივე? – 2 ც.; 11. სევერინა (ავრელიანეს მეუღლე) – 1 ც.; 12. ტაციტუსი (275-276 წწ.) – 1 ც.; 13. პრობუსი (277-282 წწ.) – 6 ც.; 14. კარინუსი? (283-285 წწ.) – 1 ც.; 15. დიოკლიტიანე (284-305 წწ.) – 11 ც.; 16. მაქსიმიანუს ჰერაკლუსი (286-305 წწ.) – 3 ც.; 17. კონსტანციუს ქლორი (292-306 წწ.) – 3 ც.; 18. მაქსიმიანუს გალერუსი (292-311 წწ.) – 4 ც.; 19. ზოგადად III ს-ის მეორე ნახევარი – 27 ც.

ბიჭვინტაში აღმოჩენილი III ს-ის მეორე ნახევრის 100 მონეტის დაჯგუფება ზარაფხანების მიხედვით პირობითია, რადგან სწორედ ამ მასალის მოჭრის ადგილის დადგენა დაკავშირებულია დიდ სირთულეებთან. 100 მონეტიდან 70 მოჭრილი უნდა იყოს საკუთრივ რომში (თუმცა არ არის გამორიცხული, უფრო სწორად, უეჭველია, რომ მათ შორის საკმაო რაოდენობით ურევია აზიის ზარაფხანებში მოჭრილი საფასები). შემდეგ მოდის ანტიო-

ქია – 11, ქიზიკი – 6, ხოლო დანარჩენი თითო-ოროლა ცალეპითაა წარმოდგენილი. უნდა ვიფიქროთ, რომ საკუთრივ რომაული ანტიონინიანები (ფორმალურად ვერცხლის ნომინალი, ფაქტობრივად კი სპილენძი) ისევ და ისევ ტრაპეზუნტის მეშვეობითაა მოხვედრილი პიტიუნტის ტერიტორიაზე. ერთ ახალ გარემოებას უნდა გაეცვა ხაზი: მიუხედავად იმისა, რომ ანტიოქიაში მოჭრილი მონეტები არც თუ ისე მრავალრიცხოვანია, საფიქრებელია, რომ ამ ქალაქთან პიტიუნტს მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებდა. საქმე ისაა, რომ ბიჭვინტაში აღმოჩენილი ანტიოქიაში მოჭრილი 11 მონეტა III ს-ის დასასრულით თარიღდება, ხოლო IV ს-ის დასაწყისიდან აქ ანტიოქიაში მოჭრილი ფულის ისეთი მოზღვავებაა, რომ ამის ახსნა მათი უშუალო სავაჭრო-ეკონომიკური (ან სხვა ხასიათის) კავშირის გარეშე გაძნელდება.

IV ს-ში ბიჭვინტა მძლავრ აღმავლობას განიცდის. ამ პერიოდისათვის აქ უკვე არსებობს იმ დროისათვის დიდი ქრისტიანული ტაძარი და ბიჭვინტის ეპისკოპოსი სტრატოფილე 325 წ. მონაწილეობას ლებულობს ნიკეის საეკლესიო კრების მუშაობაში [გამყრელიძე ალ., ... 1961:4-5].

უნდა ითქვას, რომ არც ერთი საუკუნის ნუმიზმატიკური მასალა არ არის წარმოდგენილი ბიჭვინტაში ისე უხვად, როგორც IV ს-ისა: 500-ზე მეტი! აქედან 310 ც. განძში იყო თავმოყრილი. განძის შემადგენლობაში შემავალი და ცალკეულად აღმოჩენილი მონეტების სია მმართველების მიხედვით ასე გამოიყურება: 1. ლიცინიუსი, მამა (307-323 წწ.) – 22 ც.; 2. ბოსფორი, რისკუპორიდ VI (318-333 წწ.) – 1 ც.; 3. კონსტანტინე დიდი (306-337 წწ.) - 52 ც.; 4. ელენე (კონსტანტინე დიდის დედა (გარდაიცვალა 328 წ.) – 8 ც.; 5. კონსტანტინე დიდი (გარდაცვალების შემდეგ) – 73 ც.; 6. კრისპუსი (312-326 წწ.) – 4 ც.; 7. კონსტანტინე II (337-340 წწ.) – 25; 8. კონსტანციუს II (337-361 წწ.) – 120; 9. კონსტანტი I (337-350 წწ.) – 50; 10. კონსტანტინე I-ის ერთერთი შვილი (ცუდი დაცულობის გამო მათი ზუსტი ატრიბუცია

ვერ ხერხდება) – 164 ც.; 11. ვალენტინიანე II (375-399 წწ.) – 1 ც.

ამ მრავალრიცხოვან მასალიდან 100-ზე მეტი მოჭრილია ანტიოქიაში, 130-ზე მეტი მცირე აზიის ზარაფხანებში (ქიზიკი, ნიკომედია, კონსტანტინოპოლი), სისციამი – 13, ალექსანდრიაში – 11, თესალონიკაში – 6, ბოსფორში, ტრირში, სირმიუმში თითო-თითო ცალი (დანარჩენი მონეტების მოჭრის ცენტრის დადგენა ვერ ხერხდება).

ზემოთ მოყვანილ მასალაზე დაყრდნობით შეიძლება გავაკეთოთ ზოგადი დასკვნა: დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთის ქალაქები, ძირითადად, კვლავ «იკვებება» მცირე აზიის ქალაქების მონეტებით. ამავე პერიოდში თავს იჩენს მონეტების შემოდინების ახალი არხი – ანტიოქია. ცხადია, ბიჭვინტაში აღმოჩენილ განუსაზღვრელ ნუმისმატიკურ მასალაში ამ ქალაქში მოჭრილი მონეტების რიცხვი საკმაო რაოდენობით იქნება. უნდა ვივარაუდოთ ამ ორი ადრექრისტიანული ცენტრის არა მარტო ეკონომიკური, არამედ სხვა ხასიათის ურთიერთობებიც.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ IV ს-ის 70-იან წლებში ბოსფორის სამეფოს ბარბაროსთა ახალი ტალღა მოაწყდა. ვარაუდობენ, რომ ჰუნების შემოსევები კავკასიის შავიზღვისპირეთსაც გადმოსწვდა [Гайдукевич В. 1949:439-484]. ბიჭვინტა, როგორც არქეოლოგიური გათხრები მოწმობს, ამ ხანებში ძირფესვიანად აოხრებულია [რამიშვილი რ. 1963:120-121]. ამჯერად ქალაქი მიყენებული დარტყმისაგან დიდი ხნის განმავლობაში ფეხზე ვეღარ წამომდგარა, რაზედაც პირდაპირ მიუთითებს ის გარემოება, რომ ბიჭვინტაში არ ჩანს V ს-ის კულტურული ფენა [რამიშვილი რ. 1963:120-121] და ისიც, რომ V ს-ის ნუმისმატიკური მასალა კატასტროფულად მცირეა: არკადიუსის (395-408 წწ.) სპილენძის 8 მონეტა, თეოდოს II-ისა (408-450 წწ.) და მისი მეუღლის ევდოკიასი – 2.

ჩვენ შეგნებულად ვარღვევთ სტატი-აში მიღებულ ქრონოლოგიურ სქემას და

შევჩერდებით ბიჭვინტაში მიკვლეულ VI ს-ის ბიზანტიურ მონეტებზე (დანვრილებით ამ საკითხის შესახებ იხ. [ცუხიშვილი იხ. 1977:305-334]).

როგორც წერილობითი ცნობები, არქეოლოგიური და ნუმისმატიკური მასალა მოწმობს VI ს-დან ბიჭვინტაში ცხოვრება გამოცოცხლებულა. მონეტების შედარებით სიმრავლე ამის პირდაპირი დადასტურებაა. ეს დაკავშირებული იყო საერთო პოლიტიკური კურსის შეცვლასთან. VI ს-ის პირველ მესამედიდან ბიზანტია კვლავ ცდილობს განამტკიცოს თავისი უფლებები შავიზღვისპირეთის ქალაქებზე. პროკოპი კესარიელისა და იუსტინიანეს ცნობებით, ბიჭვინტა ამ პერიოდში უფრო ციხე-სიმაგრეა, ვიდრე ქალაქი [ყაუხჩიშვილი ს. 1934:105-106, 198], სადაც დგას ბიზანტიური გარნიზონი. ბიჭვინტაში აღმოჩენილი ბიზანტიური მონეტების სია, ასე გამოიყურება: 1. ანასტას I (491-518 წწ.) – 5; 2. იუსტინე I (518-527 წწ.) – 71 (აქედან 55 განძის შემადგენლობაში შედიოდა); 3. იუსტინიანე I (527-565 წწ.) – 15; 4. იუსტინე II (565-578 წწ.) – 4; 5. მავრიკი ტიბერიუსი (582-602 წწ.) – 4; 6. ჰერაკლე (610-641 წწ.) – 3; როგორც მოტანილი სია გვარწმუნებს, უმრავლესობა ამ მონეტებისა – 86 ც. იუსტინე I-სა და იუსტინიანე I-ს მიეკუთვნება. ბიჭვინტაში აღმოჩენილი 117 სპილენძის მონეტა მოჭრილია შემდეგ ზარაფხანებში: კონსტანტინეპოლი – 86, ანტიოქია-თეოპოლისი – 2, ნიკომედია – 4, კართაგენი – 1, თესალონიკა – 2, გაურკვეველი ზარაფხანა – 22.

ცხადია, ამ მწირი და ერთფეროვანი მასალის საფუძველზე ძნელია ვისაუბროთ იმის შესახებ, რომ ბიჭვინტამ რამდენადმე მოახერხა ძველი დიდების აღდგენა. მეტიც: როგორც პროკოპი კესარიელი გვაუწყებს, 542 წელს ბიზანტიელებს ბიჭვინტა და სებასტოპოლისი საკუთარი ხელით დაუნგრევიათ, რათა მათ სპარსეთის მეფე ხოსრო I ანუშირვანი (531-579 წწ.) არ დაპატრონებოდა. შემდეგ კი იმპერატორ იუსტინიანეს ბიჭვინტა აღარ აღუდგენია, მას მხოლოდ სებასტოპო-

ლისი განუახლებია [ყაუხჩიშვილი ს. 1965:137, 222].

დავუბრუნდეთ სამონეტო მიმოქცევის საკითხს დასავლეთ საქართველოს შიდა რაიონებში I-IV სს-ში. მასალის მრავალრიცხოვნობის გამო, საკონტროლოდ ვიღებთ სამი დიდი განძის შემადგენლობას, რომლებიც აღმოჩენილია სოფ. ლურზულში (გულრიფშის რ-ნი, ზღვიდან 11-12 კმ-ის დაცილებით), ეკსა (სენაკის მუნიციპალიტეტი) და სეფიეთში (აბაშის მუნიციპალიტეტი). (დანვრილებით ამ განძების შესახებ იხ.: [Иващенко М. 1931:1-19; Зограф А. 1931:20-23; დუნდუა გ. 1979:5-8; მაკალათია ს. 1944:217-257]).

1. 1926 წ. სოფ. ლურზულში (გერზულში) აღმოჩნდა განძი, რომლის გადარჩენილი ნაწილი 469 მონეტას შეიცავს. ამ კომპლექსის შემადგენლობაში შედის 1 დენარი, მოჭრილი იმპერატორ ავგუსტუსის (ძვ.წ. 27-ახ.წ. 14 წწ.) სახელით და 1 – ლისიმაქეს სტატერის მინაბადის ნატეხი. დანარჩენი მონეტები მოჭრილია რომის პროვინცია კაპადოკიის მთავარ ქალაქ კესარიაში. მოგვყავს მათი სია იმპერატორების მიხედვით: 1. ნერონი (54-68 წწ.) – 1 ც.; 2. ვესპასიანე (69-79 წწ.) – 30; 3. დომიციანე (81-96 წწ.) – 9; 4. ნერვა (96-98 წწ.) – 22; 5. ტრაიანე (98-117 წწ.) – 165; 6. ადრიანე (117-138 წწ.) – 90; 7. ანტონინუს პიუსი (138-161 წწ.) და მარკუს ავრელიუსი (161-180 წწ.) – 122; 8. ლუციუს ვერუსი (161-169 წწ.) – 28; განძის გვიანდელი მონეტა მიეკუთვნება მარკუს ავრელიუსისა და ლუციუს ვერუსის ერთობლივი მმართველობის ხანას და სავარაუდოდ დამარხული უნდა იყოს 168 წელს, როდესაც კავკასიაში ილაშქრა კაპადოკიის ნაცვალმა მარციუს ვერუსმა (Зограф А. 1931:20-23). განძის შემადგენლობის ანალიზი სრულ უფლებას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ ჩრდილოეთ კოლხეთის შიდა რაიონების ფულად მიმოქცევაში I-II სს-ში კესარიული ვერცხლის მონეტები თამაშობდა წამყვან როლს. მაგრამ, ამავე დროს, ვინაიდან ყოველგვარი ეჭვის გარეშე, განძის მონეტები სოფ.

ლურზულში დიოსკურია-სებასტოპოლისის მიდამოებიდანაა მოხვედრილი, ის ასახავს აგრეთვე I-II სს-ის სამონეტო ცირკულაციის სურათს ამ ქალაქშია. საფიქრებელია, რომ განძი ლურზულში, ადგილობრივ მოსახლეობასა და ქალაქის მესვეურებს შორის ჩატარებული მსხვილი სავაჭრო ოპერაციის შედეგადაა მოხვედრილი.

შემდეგი ორი განძი ერთ მიკრორაიონშია აღმოჩენილი, ძველი ლაზიკის დედაქალაქის ნოქალაქევი-არქეოპოლისის რადიაციის სექტორში:

2. 1971 წ. სენაკის მუნიციპალიტეტის სოფ. ეკში აღმოჩნდა განძი, რომლის გადარჩენილი ნაწილი 907 ვერცხლის მონეტისაგან შედგება. განძის მონეტების სია ასე გამოიყურება (ამ სამონეტო კომპლექსის შესახებ დანვრილებით იხ.: დუნდუა გ. 1979): 1. ოროდ II-ის (ძვ.წ. 57-38/37 წწ.) პართული დრაქმა (უნდა აღინიშნოს, რომ პართული დრაქმის აღმოჩენა ამ რეგიონისათვის საკმაოდ უჩვეულოა). დანარჩენი მონეტები მოჭრილია რომის იმპერატორების სახელით: 2. ნერვა (96-98 წწ.) – 1 ც.; 3. ტრაიანე (98-117 წწ.) – 2; 4. ადრიანე (117-138 წწ.) – 712 ც.; 5. ანტონინუს პიუსი (138-161 წწ.) – 55 ც.; 6. ლუციუს ვერუსი (161-169 წწ.) – 1 ც.; 7. კომოდუსი (180-192 წწ.) – 1 ც.; 8. პერტინაქსი (193 წწ.) – 5 ც.; 9. პესცენიუს ნიგერიუსი (193-194 წწ.) – 1 ც.; 10. სეპტიმიუს სევერუსი (193-211 წწ.) – 101; 11. იულია დომნა (193-217 წწ.) – 15 ც.; 12. კარაკალა (211-217 წწ.) – 3 ც.; 13. გეტა (209-212 წწ.) – 2 ც.; 14. ელაგაბალუსი (218-222 წწ.) – 1 ც.; 15. ალექსანდრე სევერუსი (222-235 წწ.) – 6 ც.

განძის მონეტების აბსოლუტური უმრავლესობა 775 ც. კაპადოკიის კესარიაშია მოჭრილი. აქედან 771 დიდრაქმაა. აღსანიშნავია, რომ 712 ცალი ადრიანეს მიეკუთვნება, ხოლო 55 – ანტონინუს პიუსს. რომაული დენარების საერთო რიცხვი 131 ეგზემპლარს შეადგენს. აქედან 101 ც. მოჭრილია სეპტიმიუს სევერუსის სახელით. მათი უმრავლესობა (84) აღმოსავლეთის ზარაფხანაშია გამოშვებული და 194 წლით თარიღდება.

განძის გვიანდელი მონეტა ალექსანდრე სევერუსის ეპოქას განეკუთვნება. მისი ემისიის წელი – 222. სხვა სიტყვებით, ეკის განძი დამარხულია 222 წლის შემდეგ.

3. 1931 წ. აბაშის მუნიციპალიტეტის სოფ. სეფიეთში აღმოჩნდა რომაული ვერცხლის მონეტების განძი, რომლის შემადგენლობაში 377 ეგზემპლარი შედიოდა (განძის შესახებ დაწვრილებით იხ: მაკალათია ს. 1944:217-257; დუნდუა გ. 1979:6-8). განძის მონეტების სიას ასეთი სახე აქვს: 1. ტრაიანე – 2 ც.; 2. ადრიანე (?) – 1 ც.; 3. ანტონინუს პიუსი – 3 ც.; 4. მარკუს ავრელიუსი (161-180 წწ.) – 6 ც.; 5. კომოდუსი – 33 ც.; 6. კრისპინა (180 წ.) -1 ც.; 7. პერტინაქსი – 1 ც.; 8. პესცენიუს ნიგერიუსი – 1 ც.; 9. კლოდიუს ალბინუსი (193-197 წწ.) – 7 ც.; 10. სეპტიმიუს სევერუსი – 227; 11. იულია დომნა – 27; 12. გეტა – 9 ც.; 13. კარაკალა – 18 ც.; 14. ელაგაბალუსი – 10 ც.; 15. ალექსანდრე სევერუსი – 31 ც.

სეფიეთის განძის აბსოლუტურ უმრავლესობას (365 ც.) დენარები შეადგენს. აქედან 118 ცალი მოჭრილია რომში, 158 – ემესაში (სირია), 62 – აღმოსავლეთის ზარაფხანაში. კესარიის პროდუქცია სრულიად უმნიშვნელოა – 11. განძის ძირითად ბირთვს შეადგენს სეპტიმიუს სევერუსის სახელით მოჭრილი მონეტები (227 ც.). მათი უმრავლესობის ემისიის წელია 194 (153 ც.) და განეკუთვნება ემესას ზარაფხანას. განძის გვიანდელი მონეტა ალექსანდრე სევერუსის სახელითაა მოჭრილი იმავე 222 წელს. ამრიგად, სეფიეთის განძიც (როგორც ეკის სამონეტო კომპლექსი) 222 წლის შემდგომ ხანებში უნდა იყოს ჩამარხული.

მოტანილი განძების შემადგენლობის ანალიზის საფუძველზე შეიძლება გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა: ჩრდილოეთ და ცენტრალური კოლხეთის (აღმოსავლეთ კოლხეთს – არგვეთს – შევეხებით იბერიის სამონეტო მიმოქცევის მიმოხილვის შემდეგ) ტერიტორიაზე I-III სს-ის პირველ მეოთხედში ყველაზე გავრცელებული ვალუტა კესარიული დიდრაქმაა. II ს-ის დასასრულიდან (გან-

საკუთრებით სეპტიმიუს სევერუსის მმართველობის დასაწყისიდან) რეგიონის სამონეტო ცირკულაციაში ერთვება საერთო საიმპერიო ტიპის მონეტები [Голенко К. 1964:23-29; დუნდუა გ. 1979:10-11].

იმასაც უნდა გაეხვას ხაზი, რომ მიუხედავად იმისა, რომ კოლხეთის მიწა-წყალზე, ეკის განძის აღმოჩენებამდე 500-მდე კესარიული მონეტა იყო ნაპოვნი, საკუთრივ ლაზიკის ტერიტორიაზე ასეთი დიდი რაოდენობით (ეკის განძში 775 ც. კესარიული მონეტა შედის) არასოდეს ყოფილა მათი დაფიქსირების შემთხვევა. ეს გაპირობებული უნდა იყოს არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური ურთიერთობებითაც.

ახ.წ. II საუკუნისათვის თანამედროვე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე რამდენიმე პოლიტიკური ერთეული წარმოიქმნა, მათ შორის ლაზიკის (ეგრისის) სამეფოც. ფლავიუს არიანეს მიხედვით, ლაზების, აბასგებისა და სანიგების მეფეებმა ძალაუფლება მიიღეს ადრიანესაგან. (Arr., Periplus, §11; - [კეჭალმაძე ნ. 1961:42-43]). თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ ეკის განძში 712 ც. ადრიანეს სახელით მოჭრილი დიდრაქმა შედის, ეს ორი ფაქტი არ შეიძლება როგორღაც ერთმანეთთან კავშირში არ იყოს. გარდა ამისა, უფრო ადრე, კონკრეტულად 72 წლიდან დომიციანეს მმართველობამდე (81-96 წწ.) კოლხეთი შედიოდა „კაპადოკიურ კომპლექსში“, რომელიც აერთიანებდა კაპადოკიისა და გალატიის პროვინციებს, ხოლო ამის შემდეგ ცალკე ჩამოყალიბებული კაპადოკიის პროვინციის ნაწილად გვევლინება (ამ საკითხის შესახებ, სათანადო ბიბლიოგრაფიაზე დაყრდნობით, იხ. [დუნდუა გ. 1979:8-9]). ასე რომ, პოლიტიკური ფონი ხელს უწყობდა კესარიული მონეტების ფართო გავრცელებას ლაზიკის ფარგლებში.

კესარიული მონეტები დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, საზღვაო გზითაა შემოსული. ამას ადასტურებს ის დაკვირვებაც, რომ ეს მონეტები თითქმის არ გვხვდება სამხრეთ კავკასიის შიდა რაიონებში [Голенко

K. 1964:24-28].

როგორც ეკისა და, განსაკუთრებით, სეფიეთის განძის შემადგენლობა ადასტურებს, კესარიული დიდრაქმების შემოსვლის შეწყვეტის შემდეგ, დასავლეთ საქართველოს შიდა რაიონების სამონეტო ცირკულაციაში, II ს-ის დასასრულიდან ერთვება საერთო საიმპერიო ტიპის დენარები. ეს მომენტი განსაკუთრებული რელიეფურობით გამოიკვეთა სეპტიმიუს სევერუსის მმართველობის დასაწყისიდან. ეკის განძში ამ იმპერატორის სახელით მოჭრილი 101 დენარი შედის, სეფიეთის განძში – 200-ზე მეტი. მათი აბსოლუტური უმრავლესობა (235 ც.) 194 წელსაა მოჭრილი. ისიცაა აღსანიშნავი, რომ ეგრისის სამეფოს ტერიტორიაზე მიკვლეული დენარების დიდი ნაწილი წარმოადგენს რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებისა და სირიის (ემესას) ზარაფხანების პროდუქციას. რომაული დენარების გავრცელების გვიანდელი ქრონოლოგიური ზღვარი ლაზიკის ტერიტორიაზე არის ალექსანდრე სევერუსის მმართველობის დასაწყისი (222 წ.).

არ იწვევს არავითარ ეჭვს ის გარემოება, რომ რომაული დენარებიც იმავე გზითაა ჩვენში მოხვედრილი, რა გზითაც შემოდიოდა კესარიული დიდრაქმები. მონეტების ძირითადი „მიმწოდებელი“ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსათვის არის მცირე აზია, ხოლო უმთავრესი არტერია – საზღვაო გზა. მონეტებით აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთს, ძირითადად, ტრაპეზუნტი ამარაგებდა. აქედან მონეტები შემოდიოდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ქალაქებში და შემდეგ ვრცელდებოდა კოლხეთის შიდა რაიონებში [Голенко К. 1964:35-36]. მაგრამ აქ არის ერთი ნიუანსი. კოლხეთის შიდა რაიონის მოსახლეობა განურჩევლად არ იღებს ყველა მონეტას, რომელიც მიმოიქცეოდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ქალაქებში. ზღვისპირა ქალაქებიდან (ფაზისი, სებასტოპოლისი, პიტიუნტი) ქვეყნის სიღრმეში მხოლოდ ვერცხლის მონეტები – დიდრაქმები და დენარები იკაფავს გზას, რადგენ მათ რეალ-

ური ღირებულება გააჩნია. აქედან დასკვნა: ლაზიკა, ფულადი ურთიერთობის განვითარების თვალსაზრისით, შედარებით დაბალ საფეხურზე დგას. რაც შეეხება იმ პუნქტის საკითხს, საიდანაც მოხვდა ეკისა და სეფიეთის განძები თავისი ტეზავრაციის ადგილას, ასეთად, ალბათ, უფრო მართებულია ფაზისი მივიჩნიოთ. თუმცა, სამეცნიერო ლიტერატურაში სხვა მოსაზრებაცაა გამოთქმული. ს. მაკალათიას ვარაუდით, სეფიეთის განძის მონეტები შეადგენდა რომაელთა გარნიზონის საკუთრებას, რომელიც ნოქალაქევის მიდამოებში იდგა [მაკალათია ს. 1944:218]; მაგრამ ნოქალაქევის მიდამოებში რომაული მხედრიონის დგომის არავითარი საბუთი არ არსებობს [ლომოური ნ. 1968:61]. ამის გამო, ს. მაკალათიას ჰიპოთეზა თავისთავად მოხსნილია. ჩემი აზრით, ორივე განძის მონეტები ადგილობრივი მოსახლეობის საკუთრებას შეადგენს, რომელთა ხელში ეს სიმდიდრე ფაზისში მდგარ რომაელთა მხედრიონის სარდლობასთან ჩატარებული მსხვილი სავაჭრო ოპერაციების შედეგად მოხვდა. დაბოლოს, ერთი მეტად საყურადღებო ფაქტი: ორივე განძი სინქრონულადაა ჩამარხული – 222 წელს. ამკარაა, რომ კომპლექსების დამარხვა ერთი საერთო მიზეზითაა გამოწვეული. როგორც ჩანს, ერთსა და იმავე დროს ამ მიდამოებს სამხედრო საშიშროება დაემუქრა, რის შესახებაც წერილობით წყაროებში არაფერია ნათქვამი. ეს გარემოება ეკისა და სეფიეთის განძებს პირველხარისხოვან ისტორიულ წყაროდ აქცევს.

დასასრულ დასავლეთ საქართველოს სამონეტო მიმოქცევასთან დაკავშირებით I-IV სს-ში, იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ ურეკში (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი) აღმოჩენილია იმპერატორ ტაციტუსის (275-276 წწ.) აურეუსი და III ს-ის რომაული ოქროს მონეტის ადგილობრივი მინაბადი, რაც თითქოს იმაზე უნდ მიუთითებდეს, რომ კესარიული მონეტების ადგილს არა მარტო საერთო საიმპერიო ტიპის დენარები, არამედ რომაული აურეუსებიც იკავებს.

გადავდივართ სამონეტო ცირკულაციის საკითხებზე აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე I-IV სს-ში. იბერიაში, ისევე როგორც კოლხეთში, I-III სს-ში მონეტების დიდი მოზღვავებაა. ამიტომ აქაც, ძირითადად, რამდენიმე პუნქტიდან მომდინარე მასალას დავეყრდნობით. ეს პუნქტებია: მცხეთა, ზღუდერი (ქარელის მუნიციპალიტეტი), ალაიანი-ნასტაკისი (კასპის მუნიციპალიტეტი) და ერწო-თიანეთი.

ახ.წ. I ს-ის დასაწყისიდან იბერიის სამონეტო ბაზრის გაერთფეროვნება განსაკუთრებული რელიეფურობით გამოიკვეთა. ნამყვან ადგილს საბოლოოდ იკავებს ლუგდუნუმში (?), თანამედროვე ლიონში, ძვ.წ. 2-ახ.წ. 4 წლებში ავგუსტეს სახელთ მოჭრილი დენარები (რომელთა რევერსზე იმპერატორის შვილობილების გაიუსისა და ლუციუსის გამოსახულებაა მოთავსებული) (ტაბ. V,1) და ე.წ. გოტარზეს (40/1-51 წწ.) პართული დრაქემები (ზოგიერთი მკვლევარი მათ არტაბან II-ს (10/11-38 წწ.) აკუთვნებს, თუმცა ეს, სამონეტო მიმოქცევის თვალსაზრისით იბერიაში, პრინციპულად არაფერს ცვლის). პირველი ჯგუფის მონეტები ზემოთ მოხსენიებულ პუნქტებში დაახლოებით 206 ცალის რაოდენობითაა ნაპოვნი, ხოლო მეორე – 132 (ამას უნდა დაემატოს სხვა ადგილებში აღმოჩენილი ცალებიც და სურათიც ნათელი იქნება). გარდა ამისა, ერთეული ეგზემპლარებია ნარმოდგენილი ტიბერიუსისა (14-37 წწ.) და კალიგულას (37-41 წწ.) მონეტები. ტიბერიუსის ორი დენარი ნაპოვნი მცხეთაში, ერთიც – ალაიანში. სამივეს ემისიის ცენტრია გალიის რომელიღაც ზარაფხანა. განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ იბერიის სამონეტო ბაზარზე გამოჩნდა რომაული აურეუსი – ავგუსტუსი – 1, ტიბერიუსი – 1 (მცხეთა), რომელიც I ს-ის მეორე ნახევრიდან, ავგუსტუსის დენარებთან ერთად, ფულადი მიმოქცევის ძირითად საშუალებად იქცა მთელს რეგიონში (ვრცლად სამონეტო მიმოქცევის შესახებ იბერიაში I-IV სს-ში იხ. [დუნდუა გ. 2005, № 2:170-180]).

როგორც ზემოთ მოყვანილი რიცხვები მოწმობს, ავგუსტეს დენარები იბერიის ფულადი მეურნეობის საფუძველია I-II საუკუნეებში. ამ მონეტების ემისია, როგორც ვარაუდობენ, წარმოებდა ძალიან ფართო მასშტაბებით და ისინი განსაკუთრებული ინტენსიურობით ვრცელდებოდა იმპერიის პერიფერიებში. სამხრეთ კავკასიაში მათი შემოსვლის გზა მოხაზული აქვს კ. გოლენკოს. მისი აზრით, ვინაიდან ეს მონეტები პრაქტიკულად არ იყო გავრცელებული დასავლეთ საქართველოში, უნდა გამოირიცხოს მათი შემოსვლის საზღვაო გზა. ავგუსტეს დენარები სამხრეთ კავკასიაში შემოდიოდა არა უშუალოდ იმპერიის ფარგლებიდან, არამედ პერიფერიიდან, სამხრეთიდან, ევფრატის ზემო წელიდან, მესოპოტამიის საზღვრებიდან. ამ მონეტების აღმოჩენათა ტოპოგრაფია სამხრეთ კავკასიაში მოწმობს, რომ მათი ერთი ნაწილი მდ. არაქსის ზემო და შუა დინების საშუალებით აღწევდა ალბანეთს, ხოლო მეორე ნაკადი მიემართებოდა ჩრდილოეთისაკენ და მდ. მტკვრის არტერიით იბერიაში ილექებოდა [Голенко К. 1964:43]. თავისი მაღალი რეპუტაციის გამო, ავგუსტეს დენარები მეტად ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმოიქცეოდა იბერიის ფარგლებში. სამარხეული კომპლექსების ანალიზის შედეგად შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ I ს-ის დასაწყისიდან III ს-ის შუა ხანებამდე იბერიის ეკონომიკაში ავგუსტეს დენარების ნამყვანი როლი სრულებით უდავოა. როგორც ჩანს, ამ მონეტების რიცხვის მკვეთრმა შემცირებამ III ს-ის შუა ხანებიდან გამოიწვია მათი ადგილობრივი იმიტაციების გენეზისი (ტაბ. V,2). სამწუხაროდ, ვინაიდან ისინი ჯერ-ჯერობით არ აღმოჩენილა კარგად დათარიღებულ კომპლექსებში, მათი ემისიის თარიღის დადგენა ჭირს. ასევე ძნელია მინაბაძების მოჭრის ცენტრის ლოკალიზაცია.

დასასრულ, ხაზი უნდა გაესვას ერთ მნიშვნელოვან გარემოებას. ახ.წ. I ს-ის მასალა ჯერჯერობით გაცილებით მეტია აღმოჩენილი საკუთრივ მცხეთასა და მის შემოგა-

რენში, ვიდრე ალაიანსა და ნასტაკისში. შესაძლებელია ეს ფაქტი როგორღაც მიუთითებს მცხეთის განსაკუთრებულ დანიშნულებაზე მაინცდამაინც ახ.წ. I საუკუნიდან.

გვერდს ვერ ავუვლით ერთ უაღრესად საინტერესო აღმოჩენას. ალაიანში არქეოლოგიური გათხრების დროს იპოვნეს 37-38 წლებით დათარიღებული იმპერატორ კალიგულას სახელით კესარიაში მოჭრილი დრაქმა. კაპადოკიის კესარიაში მოჭრილი მონეტების გავრცელების სფერო სამხრეთ კავკასიაში დასავლეთ საქართველოა, ამდენად, ეს შემთხვევა რამდენადმე მოულოდნელია.

ახ.წ. I ს-ის მეორე ნახევრიდან იბერიის სამონეტო ცირკულაციაში, ასევე აქტიურად ერთვება ე.წ. გოტარზეს დრაქმები, რომლებიც ავგუსტეს დენარებთან ერთად, ხანგრძლივი დროის განმავლობაში წარმოადგენდა ძირითად ფულად ერთეულს იბერიის სამონეტო ბაზრისა. ამავე დროს, თუ ავგუსტეს დენარების პოპულარობა მეტ-ნაკლებად დამაჯერებლადაა ახსნილი სამეცნიერო ლიტერატურაში, ამას ვერ ვიტყვი ე.წ. გოტარზეს მონეტების შესახებ. სრულებით გაუგებარია, მაგალითად, რატომაც მცხეთაში მხოლოდ ორად-ორი შემთხვევა აღრიცხული ვოლოგეზ I-ის (51-77/78 წწ.) დრაქმის პოვნისა, მაშინ როდესაც არავითარი სხვაობა (ღირებულების თვალსაზრისით) ამ უკანასკნელსა და ე.წ. გოტარზეს (გნებავთ, არტაბან II-ის) მონეტებს შორის არ არსებობს.

ცხადია, ავგუსტესა და ე.წ. გოტარზეს მონეტების ასეთი მრავალრიცხოვნება იბერიის საზღვრებში, აშკარად მიუთითებს ამ ორი დიდი სახელმწიფოს მეტოქეობაზე არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიკაში, არამედ მასზე პოლიტიკური ზეგავლენის მოპოვებაში. მაგრამ განსხვავებით წინა საუკუნეებისაგან, როდესაც პრიორიტეტი უცილობლად პართიის სამეფოს ეკუთვნოდა, გოტარზეს ეპოქის შემდეგ, პრევალირებული ადგილი რომმა დაიკავა. (აქვე შევნიშნავთ, რომ ე.წ. გოტარზეს დრაქმების რეატრიბუციას არტაბან II-ის მონეტებად, არ ვეთანხმე-

ბი, მაგრამ დისკუსიაში ჩართვისაგან თავს ვიკავებ, გამომდინარე ნაშრომის ხასიათიდან). იბერიაში I-III სს-ის რომაული მონეტების ისეთი მოზღვავებაა, რომ სხვა დასკვნის გამოტანა უბრალოდ შეუძლებელია. თუმცა ინერციით, ე.წ. გოტარზეს დრაქმები კიდევ დიდხანს თამაშობდა აქტიურ როლს იბერიის სამონეტო მიმოქცევაში, მაგრამ ქრონოლოგიურად პართიის სამეფოდან მონეტების ახალი ნაკადი აღარ შემოდოდა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მცხეთის ტერიტორიაზე ბოსფორის მეფის კოტის I-ის (45-62 წწ.) სპილენძის მონეტისა და პონტოს მეფის პოლემონ II-ის (38-63 წწ.) დრაქმების აღმოჩენა. არც ერთი და არც მეორე სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთში გავრცელებული არ არის, მეტიც, სპილენძის მონეტებს იბერიის ეკონომიკაში უმნიშვნელო ხვედრითი წონა ჰქონდა.

I ს-ის მეორე ნახევრის მონეტები (18 ც.), ერთის გარდა, აღმოჩენილია მხოლოდ და მხოლოდ მცხეთაში და რომაულ აურეუსებს (14 ც.) და დენარებს (3) წარმოადგენს. მათი ემისია ეკუთვნის შემდეგ იმპერატორებს: 1. ნერონი (54-68 წწ.) – 6 ც., აურეუსი, რომის ზარაფხანა; 2. გალბა (68-69 წწ.) – 1, აურეუსი, რომის ზარაფხანა; 3. ვიტელიუსი (69 წ.) – 1, აურეუსი, რომი; 4. ვესპასიანე (69-79 წწ.) – 3, აურეუსი, რომი (2 ც.), ლუგდუნუმი (1 ც.); 5. ტიტუსი (79-81 წწ.) – 4, აურეუსი, მოჭრილია რომში ვესპასიანეს დროს; 6. დომიციანე (81-96 წწ.) – 1, აურეუსი, მოჭრილი რომში ვესპასიანეს დროს, დენარი – 3 ც., ასევე რომის ზარაფხანა; მცხეთის გარდა, დომიციანეს აურეუსი მოჭრილი 77-78 წლებში რომში ვესპასიანეს დროს, აღმოჩენილია ზღუდერში.

ამრიგად, რომაული ოქროს მონეტების აქტიური როლი იბერიის სამონეტო ცირკულაციაში I ს-ის მეორე ნახევარში სავსებით დადასტურებული ფაქტია.

მთელი II ს-ის მანძილზე იბერიის სამონეტო ბაზარი, ავგუსტუსის დენარებთან და ე.წ. გოტარზეს დრაქმებთან ერთად, რომაული აურეუსებით საზრდოობდა. მცხეთის მიდამ-

ოებში აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალია სია ასე გამოიყურება: 1. ტრაიანე (98-117 წწ.), აურეუსი – 2 ც., დენარი – 3 ც., რომის ზარაფხანა. აღსანიშნავია ტრაიანეს კესარიული ნახევარდრაქმის აღმოჩენა მცხეთის 905-ე სამარხში, რაც სავსებით უპრეცედენტოა (ამ აკლდამის შესახებ იხ. აფაქიძე ან., ... 1996:20-21); 2. ადრიანე (117-138 წწ.), აურეუსი 8 ც., დენარი – 3 ც., რომის ზარაფხანა; 3. ანტონინუს სპილენძის მედალი (დაახლოებით 130 წ.), მოჭრილი ბითონიაში – 1 ც.; 4. ანტონინუს პიუსი (138-161 წწ.), აურეუსი – 2 ც., დენარი – 2 ც., ოთხივე რომის ზარაფხანას მიეკუთვნება; 5. ფაუსტინა უფროსი (ანტონინუს პიუსის დროს), აურეუსი – 2 ც., დენარი – 1, რომის ზარაფხანა; 6. ფაუსტინა უმცროსი (ანტონინუს პიუსის დროს), აურეუსი 1 ც., დენარი – 2 ც., რომის ზარაფხანა; 7. მარკუს ავრელიუსი (161-180 წწ.), აურეუსი 2 ც., რომის ზარაფხანა; 8. კომოდუსი (180-192 წწ.), აურეუსი – 1 ც., რომის ზარაფხანა? სულ აურეუსი – 18 ც., დენარი – 11 ც., სპილენძის მედალიონი – 1 ც. ამავე დროს, საუკუნის პირველი და მეორე ნახევრის მონეტები დაახლოებით თანაბრად ნარმოდგენილი. გარდა ამისა, II ს-ის 4 აურეუსი და 1 დენარი აღმოჩენილია აგრეთვე ზღუდერში: 1. ფაუსტინა უფროსი, დენარი, მოჭრილი 141 წელს, რომის ზარაფხანაში ანტონინუს პიუსის დროს; 2. ანტონინუს პიუსი, აურეუსი, მოჭრილი 150-151 წლებში რომის ზარაფხანაში; 3. მარკუს ავრელიუსი და კომოდუსი, აურეუსი მოჭრილი 190 წელს რომის ზარაფხანაში. (ზღუდერში აღმოჩენილი მონეტების შესახებ იხ. Голенко К., ... 1968:160-169).

ორივე პუნქტიდან მეცნიერების განკარგულებაშია II ს-ის 22 აურეუსი, 13 დენარი და სპილენძის 1 მედალიონი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ რომაული ოქროს მონეტების ინტენსიური ცირკულაცია იბერიის ტერიტორიაზე უცილობელი ფაქტია.

გარდა რომაული აურეუსებისა, იბერიაში შემოდის აგრეთვე II ს-ის დენარებიც. პერიფ-

ერიის ბაზარი, მართალია შეზღუდულ ფარგლებში, მაგრამ მაინც ლეზულობს რომაული ვერცხლის მონეტებს, რომელთა ემისია 64 წლის რეფორმის შემდგომ განხორციელდა. ეს აიხსნება, ალბათ, დენარების ნაკლებობით. მაგრამ არის ქრონოლოგიური ტეხილი, რომლის შემდგომ გამოშვებულ ვერცხლის მონეტებს პერიფერია უგულვებელყოფს. ასეთი ქრონოლოგიური ზღვარი II-III სს-ის მიჯნაა [Голенко К. 1971:54; დუნდუა გ. 2005:173].

“დიდი მცხეთის“ მიდამოებში აღმოჩენილი III ს-ის ნუმიზმატიკური მასალის სია იმპერატორებისა და ნომინალების მიხედვით ასე გამოიყურება: 1. სეპტიმიუს სევერუსი (193-211 წწ.), აურეუსი – 2, კესარიული დრაქმა – 1, სპილენძი – 2; 2. გორდიანე პიუსი (238-244 წწ.), აურეუსი – 2; 3. ფილიპე უფროსი (244-249 წწ.), აურეუსი, 1; 4. ფილიპე უმცროსი (247-249 წწ.), აურეუსი, 1; 5. ტრაიანე დეციუსი (249-251 წწ.), აურეუსი, 1; 6. ვალერიანე (254-260 წწ.), აურეუსი – 1; 7. კარინუსი (283-285 წწ.), სპილენძის მონეტა – 1; 8. სასანიანთა ირანი, შაპურ I-ის (238-269 წწ.), დრაქმა – 1.

ამრიგად, მცხეთაში აღმოჩენილია III ს-ის 8 აურეუსი, ვერცხლისა და სპილენძის სამ-სამი მონეტა, სულ – 14 ც. აქედან უმეტესობა საუკუნის პირველ ნახევარს მიეკუთვნება.

თუ ამ მასალის მიხედვით ვიმსჯელებთ, რომაული ოქროს მონეტების შემოსვლა იბერიის ტერიტორიაზე თითქოს ძალიან იკვეცება. მაგრამ ეს ასე არაა. ასე მაგ., ზღუდერში მოძიებულია III ს-ის პირველი ნახევრის 7 აურეუსი [Голенко К. 1968:165-166, №№ 40-46; დუნდუა გ. 2005:174, 179]: 1. კარაკალას (211-217 წწ.) – 1 ც.; 2. ელაგაბალუსის (218-222 წწ.) – 3 ც.; 3. ალექსანდრე სევერუსის (222-235 წწ.) – 2 ც.; 4. გორდიანე პიუსის (238-244 წწ.) – 1 ც.; 7 ოქროს მონეტიდან 6 მოჭრილია რომში, 1 – აღმოსავლეთის ზარაფხანაში.

იბერიის ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს შემთხვევით კიდევაა მიკვლეული III ს-ის პირველი ნახევრის რამდენიმე აურეუსი: 1. 201-206 წწ-ში მოჭრილი იმპერატორ კარაკალას ოქროს მონეტა აღმოჩნდა სოფ. რუისში

(ქარელის მუნიციპალიტეტი); 2. მისივე აურეუსი იპოვნეს ხოვლეში (კასპის მუნიციპალიტეტი); 3. სოფ. ნიჩბისში (მცხეთის მუნიციპალიტეტი) აღმოჩნდა ალექსანდრე სევერუსის ოქროს მონეტა.

რომაული აურეუსები აღმოაჩინა ჟინვალისა და ერწო-თიანეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ; ეს მონეტები მოჭრილია იულია დომნას (198-209 წწ.), ალექსანდრე სევერუსის (225 წ., რომის ზარაფხანა), გორდიანე III-ის (2 ც.), კარუსის (282-283 წწ., ანტიოქიის ზარაფხანა), დიოკლეტიანეს (284-305 წწ.) – 1 ც. და ვალერიანეს (254-260 წწ.) სახელით. სულ 7 ც.

და ბოლოს, გორის მიდამოებში უპოვიათ იმპერატორ კარინუსის (283-285 წწ.), ხოლო ოკამში (კასპის მუნიციპალიტეტი) № 1 აკლდამაში აღმოჩნდა ალექსანდრიაში მოჭრილი დიოკლეტიანეს ოქროს მონეტა [დუნდუა გ. 2005:174-175, 179; დუნდუა გ., ... 2006:127-128].

ამრიგად, აღმოსავლეთ საქართველოში III ს-ის 27 აურეუსია ნაპოვნი. აქედან პირველ ნახევარს მიეკუთვნება 20, მეორეს – მხოლოდ 7. ჯერჯერობით, მეცნიერების განკარგულებაში არსებული მასალების მიხედვით, რომაული ოქროს მონეტის შემოსვლის ინტენსიურობა იბერიის ტერიტორიაზე კლებულობს მხოლოდ III ს-ის მეორე ნახევრიდან. ეს უშუალო კავშირში უნდა იყოს იმპერიის კრიზისთან საზოგადოდ, რომლის ერთ-ერთი გამოვლენაც ფულადი მეურნეობის კრიზისში გამოიხატა (დანვრილებით ამ საკითხის შესახებ იხ. [Mattingly H. 1960:180]).

რომაული აურეუსების შემოსვლის საგრძნობმა შეკვეცამ, როგორც ჩანს, გამოიწვია მათი ადგილობრივი იმიტაციების გენეზისი. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი რომაული აურეუსების შესწავლის საქმეში დიდი წვლილი მიძღვის კ. გოლენკოს, რომელმაც ეჭვმიუტანლად დაამტკიცა, რომ: 1. საქართველოში ნაპოვნი რომაული აურეუსების მინაბაძები, წინააღმდეგ ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებისა,

ადგილობრივად მოჭრილი. ამ დებულების სასარგებლოდ მან წამოაყენა უძლიერესი არგუმენტი: საქართველოში აღმოჩენილი 11 მინაბაძიდან 7 ერთიდაიგივე სიქითაა მოჭრილი. ჩვენი მხრივ კიდევ დავუმატებთ ერთ საბუთს: 1974 წ. ჟინვალის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ჟინვალის არაგვისპირის სამაროვნის № 13 სამარხში აღმოაჩინა იმპერატორ ვალერიანეს (253-260 წწ.) ოქროს მონეტა, რომლის აღწერილობა ასეთია: Av. ვალერიანეს დრაპირებული ბიუსტი დაფნის გვირგვინში მარცხნივ. გარშემო ზედწერილი: IMP C P LIC VALERIANYS AVC. რკალი წერტილოვანი. RV. ორცხენიან ეტლზე (ბიგაზე) მჯდომი მარჯვნივ მიმართული ფრთოსანი ვიქტორია მათრახს უჭერს ცხენებს. გარშემო: VICTORIAE. ხაზს ქვემოთ: AVGG. იმავე სამარხში აღმოჩნდა აგრეთვე ვალერიანეს ზემოთაღწერილი აურეუსის ზუსტი იმიტაცია ოდნავ დამახინჯებული იმპერატორისა და მარცხნივ მიმართული ფრთოსანი ვიქტორიას გამოსახულებით და ასევე ოდნავ დამახინჯებული ლათინური ლეგენდით, თუმცა მისი გაშიფვრა თავისუფლად შესაძლებელი (ტაბ. V,3). ერთი და იმავე სამარხში ორიგინალისა და მისი ასლის პოვნის ფაქტი კიდევ ერთი ძლიერი საბუთია რომაული აურეუსების იმიტაციების იბერიული წარმოშობის თვალსაზრისის სასარგებლოდ. დავა შეიძლება გამოიწვიოს მხოლოდ ამ კატეგორიის მონეტათა იურიდიულმა ბუნებამ, რეგალიის საკითხმა. ჩემთვის პირადად ნაკლებად დამაჯერებელია, რომ არმაზული კულტურის შემქმნელ სახელმწიფოს ვერ მოეჭრა მონეტა (თუნდაც უცხოური ყაიდისა) დამახინჯების გარეშე [დუნდუა გ. 2005:175; დუნდუა გ., ... 2006:129]; 2. კ. გოლენკოს ყველაზე დიდი დამსახურება მინაბაძების შესწავლის საქმეში ისაა, რომ საქართველოში აღმოჩენილ ყველა ცალს მოუძებნა პროტოტიპი, გამოავლინა ხშირ შემთხვევაში მათი ჰიბრიდული ხასიათი. დაამტკიცა, რომ მათი გარკვეული ნაწილის ემისია წარმოებდა არაერთი, არამედ რამდენიმე სხვადასხვა

მონეტის მიხედვით და საკმაოდ დამაჯერებლად დაასაბუთა იმიტაციების მოჭრის შესაძლებლობა 250/260-285 წლებში [Голенко К. 1971:58, 68-72]. შესაძლებელია, ეს ქრონოლოგიური ჩარჩო მთლად ზუსტი არ იყოს, მაგრამ ერთი უდავოა: მინაბაძების ემისია III ს-ის მეორე ნახევარში სავსებით დადასტურებული ფაქტია სამარხეული კომპლექსებით (ამის შესახებ იხ.: [კაპანაძე დ. 1970, № 4: დანართი II, №№1-10]; აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილი რომაული აურეუსების ახალი ნიმუშების შესახებ იხ.: [შეროზია მ. 2011:247-259]).

პოლიტიკურ და სამხედრო ვითარების სტაბილიზაციას რომში ადგილი ჰქონდა III ს-ის 70-იან წლებში. 275 წლის შემდეგ მოჭრილი რამდენიმე აურეუსის აღმოჩენა სამხრეთ კავკასიაში თითქოს მოწმობს ძველი ტრადიციების აღდგენას, მაგრამ არსებული მასალების მიხედვით ეს კავშირურთიერთობა აღარ განახლებულა, თვით IV საუკუნეშიც, როდესაც კონსტანტინე I-ის (306-337 წწ.) რეფორმის შემდეგ სოლიდი გახდა ძირითადი ერთეული იმპერიაში. მეტიც, როგორც ჩანს, ახალმა ფულადმა ერთეულმა ვერ დაიკავა რომაული აურეუსების ადგილი აღმოსავლეთ სამხრეთ კავკასიაში. ისინი აქედან სასანურმა ვერცხლის მონეტებმა გამოდევნა [გოლენკო კ. 1971:59]. IV ს-ის მიმართ, ჯერჯერობით, ეს დებულება მართებული არაა, მაგრამ შემდგომი პერიოდისათვის სწორია, თუმცა ის უმეტეს წილად პოლიტიკური მოტივებით იყო განპირობებული, ვიდრე ეკონომიკური, კერძოდ, სასანიანთა პოლიტიკური წარმატებით სამხრეთ კავკასიაში.

IV ს-ში სამონეტო მიმოქცევის ინტენსიურობა იბერიაში კატასტროფულად მცირდება. ასე მაგ., მცხეთა-ალაიანის მიდამოებში აღმოჩენილია IV ს-ის ორი სოლიდი (კონსტანტინე I-ის, ნიკომედიის ზარაფხანა; კონსტანციუს II-ის (337-361 წწ., ანტიოქიის ზარაფხანა) და ერთი სილიკვა (ვალენტის (364-378 წწ.), ანტიოქია). გარდა ამისა, შემიძლია კიდევ ორი შემთხვევითი აღმოჩენა დავასახ-

ელო აღმოსავლეთ საქართველოდან: 1. კონსტანციუს ხლორუსის (292-306 წწ.) ოქროს მონეტა ნაპოვნია ახალქალაქის მიდამოებში და 2. ლისის ტბის ტერიტორიაზე (თბილისი) აღმოჩნდა კონსტანციუს II-ის სპილენძის მონეტა [დუნდუა გ. 2005:176]. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ალაიანის სამარხში კონსტანტინე I-ის სოლიდთან ერთად აღმოჩნდა ნუმერიანეს (282-284 წწ.) აურეუსის მინაბაძი [მაკალათია ს. 1941:90]. ოქროზე პერიფერიის მოთხოვნილება, უნდა ვიფიქროთ, ვერ კმაყოფილდებოდა IV ს-ის სოლიდებით [Голенко К. 1971:58].

ამრიგად, მე მიმოვიხილე სამონეტო მიმოქცევა კოლხეთსა და იბერიაში I-IV სს-ში, მაგრამ სურათი ნათელი არ იქნება, თუ სქემატურად მაინც არ შევხებით კიდევ ერთ რეგიონს, რომელიც გეოგრაფიულად კოლხეთია (დასავლეთ საქართველო), ხოლო პოლიტიკურად გვიანანტიკურ ხანაში დაკავშირებულია იბერიასთან. ესაა ისტორიული არგვეთის ტერიტორია (თანამედროვე თერჯოლის, ხარაგაულის, ზესტაფონის, ჭიათურისა და საჩხერის მუნიციპალიტეტები). ბორი-ჭიათურის მიდამოებში I-III საუკუნეებში ვარაუდობენ ქართლის ერთ-ერთი საპიტიახმოს ცენტრსაც [Цкитишвили Г. 1965]. მეორე მოსაზრების თანახმად, გვიანანტიკურ ხანაში არგვეთის საერისთავოს ცენტრი საჩხერე უნდა ყოფილიყო [ნადირაძე ჯ. 1975:76, 156].

თავისი გეოგრაფიული მდებარეობის და პოლიტიკური სტატუსის გამო, არგვეთის სამონეტო ბაზარი ერთგვარ ეკლექტიკურ ხასიათს ატარებდა. აქ პარალელურად მიმოიქცეოდა ხუთი კატეგორიის მონეტები: საერთო საიმპერიოს დენარები, პართული დრაქმები, ალექსანდრე მაკედონელის სტატერების ტიპის ქართული მინაბაძები, კესარიული ვერცხლი და IV ს-ის რომაული აურეუსები [Голенко К. 1964:39; დუნდუა გ. 2005:177; დუნდუა გ., ... 2006:177].

რეგიონის კიდევ ერთ ეკონომიკურ სპეციფიკას უნდა გაეხვას ხაზი: აქ გადიოდა მთავარი სავაჭრო არტერია, რომელიც კოლხ-

ეთს იბერიასთან აკავშირებდა, შესაბამისად, შავი ზღვის აუზის ქვეყნებს აღმოსავლეთთან (ქალაქი ფაზისი, მდ. რიონის საშუალებით შორაპანი, სურამის უღელტეხილი და მდ. მტკვრის საშუალებით კასპიის ზღვა [(ლორთქიფანიძე ოთ. 1957:377-382; Голенко К. 1964:38]. ამრიგად, უკვე თეორიულად აქ სამონეტო ცირკულაციაში ჩართული უნდა ყოფილიყო ის მონეტები, რომლებიც მიმოიქცეოდა როგორც იბერიაში, ასევე კოლხეთში. ვიძლევი მათ შეჯამებულ სიას: 1. ავგუსტუსის დენარები, მოჭრილი გალიის (ლუგდუნუმი?) ზარაფხანაში ძვ.წ. 2-ახ.წ. 4 წწ. – 56 ცალი (კლდეეთში – 16, ბორი – 29, მდ. ყვირილას აუზი – 10, სოფ. კიცხი – 1; აქვე შევნიშნავთ, რომ რიცხვების დასახელებაში შეიძლება იყოს უმნიშვნელო ცდომილება, რაც არ ცვლის საერთო სურათს); 2. ტიბერიუსის (14-37 წწ.) დენარი – 1 ც. (სოფ. ჯუღელი, ზესტაფონის მუნიციპალიტეტი); 3. კალიგულას (37-41 წწ.) დენარი – 1 ც. (ბორი); 4. ე.წ. გოტარზეს (40/1-51 წწ.) პართული დრაქმები – 19 ც. (კლდეეთი – 8, ბორი – 9, ზესტაფონი – 1, ილემი – 1); 5. პონტოს მეფის პოლემონ II-ის (49-63 წწ.) დრაქმა, მოჭრილი 57/58 წწ. – 1 ც.; 6 ნერონის (54-68 წწ.) კესარიული ჰემიდრაქმა – 1 ც. (ბორი); 7. ნერვას (96-98 წწ.) კესარიული დიდრაქმა – 3 ც. (კლდეეთი); 8. ტრაიანეს კესარიული დიდრაქმა (98-117 წწ.) – 1 ც. (ბორი); 9. ადრიანეს (117-138 წწ.) კესარიული დიდრაქმა – 2 ც. (კლდეეთი), ჰემიდრაქმა – 2 ც. (ბორი); 10. ანტონინუს პიუსის (138-161 წწ.) კესარიული დიდრაქმა – 2 ც. (კლდეეთი); 11. ფაუსტინა უმცროსის დენარი – 1 ც. (ბორი); 12. იულია დომნას (193-217 წწ.) დენარი – 1 ც.; 13. ალექსანდრე მაკედონელის სტატერების ტიპის ქართული მინაბადები – 16 ც. (კლდეეთი – 13, ბორი – 2, ილემი – 1).

არგვეთში აღმოჩენილი მეხუთე კატეგორიის მონეტები IV ს-ის ოქროს მონეტებია. ისინი მოიძიეს საჩხერის მუნიციპალიტეტში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს. ეს მონეტები ეკუთვნის: 1. კონსტანტინე I-ს (306-337 წწ.) – 2 ც. (1 მოჭრილია

სისციამში, 1-იც კონსტანტინეპოლში) და 2. კონსტანციუს II-ს (337-361 წწ.) – 4 ც. (ყველა ანტიოქიის ზარაფხანა). ამრიგად, არასრული მონაცემებით, არგვეთის ტერიტორიაზე სულ აღმოჩენილია გვიანანტიკური ხანის დაახლოებით 112-113 მონეტა. საუკუნეების მიხედვით ისინი ასე ნაწილდება: I საუკუნე – 81 ეგზემპლარი, II ს. – 25, IV ს. – 6. (არგვეთის ფარგლებში აღმოჩენილი მონეტების შესახებ იხ.: [Голенко К. 1964:დანართი I, №№ 29, 30, 35, 69, 70-73, 83, 85-88, 100, 102; აქვე სათანადო ბიბლიოგრაფია; დუნდუა გ. 2005:177; დუნდუა გ., ... 2006:131-132]).

ცხადზე ცხადია, რომ არგვეთის ტერიტორიაზე მიკვლეული ავგუსტუსის დენარები და ე.წ. გოტარზეს დრაქმები იბერიიდან შემოდიოდა, ხოლო კესარიული მონეტები – კოლხეთიდან. ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ სამონეტო მიმოქცევა ინტენსიურად არგვეთის ტერიტორიაზე მაინც-დამაინც I-II სს-ში იკვეთება განსაკუთრებული სიმკვეთრით და ისიც მაინცდამაინც ბორი-კლდეეთი- შორაპნის მიდამოებში. როგორც ვარაუდობენ, ბორში III ს-ში უქმდება ერისთავების რეზიდენცია [Цкитишвили Г. 1965:16]. ამასთან ხომ არ უნდა იყოს დაკავშირებული IV ს-ის ოქროს მონეტების აღმოჩენის ფაქტი უკვე საჩხერეში? აქეთკენ ხომ არ გადმოინაცვლა არგვეთის პოლიტიკურმა ცენტრმა?

სამონეტო მიმოქცევა დასავლეთ საქართველოს (ლაზიკის) ტერიტორიაზე V-VII საუკუნის პირველ ნახევარში. მე უკვე მქონდა აღნიშნული, რომ II ს-ში შეიქმნა ლაზიკის სამეფო, რომელიც მდებარეობდა დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში მდ. რიონის ორსავე მხარეს, აჭარა-ქობულეთის საზღვარიდან, ვიდრე დაახლოებით მდ. ხობამდე. ლაზიკის სამეფო განსაკუთრებით ძლიერდება IV საუკუნიდან. მისი საზღვრები ფართოვდება ჩრდილოეთის მიმართულებით. მის ფარგლებში შევიდა აფსილებისა და აბაზგების ტერიტორია და, გარკვეული დროით, სანიგებისაც. განსაკუთრებულ სიძლიერეს

ლაზთა სამეფო, როგორც ვარაუდობენ, IV ს-ის დასასრულიდან V ს-ის 60-70-იან წლებამდე აღწევს (ლაზიკის ისტორიის შესახებ იხ. [ლომოური ნ., 1968]).

სამონეტო ცირკულაციის შესახებ დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ქალაქებში მე უკვე ვწერდი ბიჭვინტის ნაქალაქარის მაგალითზე. ხაზგასმით აღვნიშნე, რომ IV ს-თან შედარებით აქ ფულადი ურთიერთობა კატასტროფიულად მცირდება და V ს-ის მონეტების აღმოჩენის შემთხვევები მინიმალურია. შესადავრებლად გავიხსენოთ, რომ პიტიუს-პიტიუნტის ტერიტორიაზე IV ს-ის 500-ზე მეტი მონეტაა ნაპოვნი, ხოლო V ს-ისა მხოლოდ 10. ვნახოთ რა ვითარებაა დასავლეთ საქართველოს სხვა პუნქტებში. აქ მოძიებული V ს-ის მონეტების სია ასე გამოიყურება: 1. 1959 წ. სოხუმის ციხის ტერიტორიაზე იპოვეს არკადიუსის (395-408 წწ.) სპილენძის მონეტა; 2. 1903 წ. გაგრის სამაროვანზე აღმოჩნდა ჰონორიუსის (395-426 წწ.) ოქროს მონეტა; 3. 1937 წელს მესტიის მუნიციპალიტეტის სოფ. ცხუმარში იპოვეს ლეონ I-ისა (457-474 წწ.) და ანასტასი I-ის (491-518 წწ.) თითო ოქროს მონეტა.

ამრიგად, დასავლეთ საქართველოს ვრცელ ტერიტორიაზე V ს-ის მხოლოდ 14 მონეტა მოძიებული და ეს იმ პირობებში, როდესაც ქვეყანას საკუთარი ფულადი ნიშნები არ გააჩნია. ამ ფაქტს შემთხვევითობით ვერ ავხსნით (V-VII სს-ის სამონეტო მიმოქცევის შესახებ ლაზიკის ტერიტორიაზე იხ. [დუნდუა გ., ... 2006:157-163]).

VI ს-ის დასაწყისიდან იწყება მძაფრი ბრძოლა ორ დიდ იმპერიას – ბიზანტიასა და ირანს შორის ლაზიკის დაუფლებისათვის. ეს გასაგებიცაა: ლაზიკისა და იბერიის ფლობა ნიშნავდა კონტროლს მთელს კავკასიის რეგიონზე, შავ ზღვაზე და კავკასიის უღელტეხილებზე, საიდანაც მათ მუდმივი საფრთხე ემუქრებოდა ადგილობრივი ტომების თავდასხმების სახით.

თავდაპირველად ლაზიკის სამეფოს თავისი გავლენის სფეროში მოქცევის თვალსაზ-

რისით, უპირატესობა ბიზანტიის მხარეზე იყო. განსაკუთრებულ აქტიურ პოლიტიკას დასავლეთ საქართველოს მიმართ ბიზანტია აწარმოებდა იუსტინე I-ის (518-527 წწ.) დროიდან. ამ პერიოდიდან მოყოლებული, ლაზიკის ტერიტორია ბიზანტიამ ირანის წინააღმდეგ ბრძოლის ბაზად აქცია, ააგო აქ მთელი სისტემა ციხესიმაგრეებისა: პეტრა (ციხისძირი), სებასტოპოლისი, პიტიუნტი და სხვ. ჩააყენა იქ თავისი მეციხოვნეები. ამან გამოიწვია ბიზანტიური მონეტების ინტენსიური შემოსვლა სანაპირო ზოლში. ბიჭვინტაში აღმოჩენილი მონეტების საფუძველზე ამის შესახებ მე უკვე ვწერდი. ახლა ვნახოთ, როგორია VI ს-ის ბიზანტიური მონეტების აღმოჩენათა ტოპოგრაფია ლაზიკის სამეფოს დანარჩენ ტერიტორიაზე:

1. ბიზანტიური სპილენძის მონეტები აღმოჩნდა სოხუმის ფარგლებში. ისინი შემდეგნაირად ნაწილდება: ანასტასი I (491-518 წწ.) – 2; იუსტინე I (518-527 წწ.) – 1; იუსტინიანე I (527-565 წწ.) – 4; 2. VI ს-ის ბიზანტიური მონეტები ნაპოვნია ნებელდას (ციბილიუმი, ციბილა) მიდამოებში (გულრიფშის რ-ნი). აქ არის მთელი კომპლექსი ციხისა, ნამოსახლარისა და სამაროვნისა, რომელიც II-VII სს-ით თარიღდება. ციხესიმაგრის დანიშნულება იყო ქლუხორის გადასასვლელის მისაღვომების დაცვა. ამ გზას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. VI-VIII სს-ში ჩრდილოეთ კავკასიიდან სწორედ ქლუხორის უღელტეხილიდან და აფსილიიდან შავი ზღვის სანაპიროებისაკენ გამოდიოდა აქ ე.წ. „აბრე-შუმის გზა“ [Воронов Ю. 1975; ამ საკითხის შესახებ იხ.: არქეოლოგიური კვლევები ნებელდაში, 1983]. არქეოლოგიური გათხრების შედეგად სხვადასხვა დროს მოხსენიებულ პუნქტში მოძიებულია იუსტინიანე I (527-565 წწ.) 6 მონეტა, 2 – სპილენძის, 3 – ვერცხლის და 1 ოქროს; 3. VI ს-ის ბიზანტიური მონეტები აღმოჩენილია ციხისძირში (ქობულეთის მუნიცი.): ანასტასი I (491-518 წწ.), იუსტინე I (518-527 წწ.) და იუსტინე II-ის (565-578 წწ.) 10-15 სპილენძის მონეტა; 4. 1903 წ. ოჩამ-

ჩირეში შემთხვევით უპოვიათ მონეტებით სავსე ქოთანნი, რომელშიც შედის VI-XI სს-ის სპილენძის მონეტები. ეს „განძი“ საეჭვოა თავისი დიდი ქრონოლოგიური დიაპაზონის გამო. შეუძლებელია ერთ კომპლექსში თავი მოეყარა ასეთი განსხვავებული დროის მონეტებს. ამიტომ სავარაუდოა, რომ ვიდრე ეს კომპლექსი მუზეუმში მოხვდა, ამას კი ადგილი 1957 წ. ჰქონდა, მისი შემადგენლობა აირია. ასეა თუ ისე, ეს „განძი“ ჩვენთვის საინტერესო VI ს-ის მონეტებსაც შეიცავს. ესენია: იუსტინე I-ის (518-527 წწ.) – 2 ც., იუსტინიანე I-ის (527-565 წწ.) – 1; იუსტინე II-ის (565-578 წწ.) – 2; ტიბერიუს II-ის (578-582 წწ.) – 1; მავრიკე ტიბერიუსის (582-602 წწ.), სულ 8 ცალი.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ოჩამჩირეს ანტიკური ნამოსახლარი გაიგვებულება ფსევდო-სკილაქს კარიანდელის „პერიპლუსში“ ნახსენებ გიენოსთან (Γουϋν), რომლის დაარსების თარიღთან სხვადასხვა აზრია გამოთქმული, ზოგადად ძვ.წ. VI-IV სს. ათარიღებენ (ამ საკითხის შესახებ იხ. [კაჭარავა დ. 1971:753-756]; აქვეა სათანადო ბიბლიოგრაფია). როგორც ვარაუდობენ, საქალაქო ცხოვრების შემდგომი გამოცოცხლება აქ II-V საუკუნეებიდან იწყება. ამავე დროს VI ს-ის ბიზანტიურ წყაროებში გიენოსი (ოჩამჩირე) არსად არ იხსენიება. ეს კიდევ აძლიერებს სკეპტიციზმს ამ „განძის“ მიმართ.

VI ს-ის ბიზანტიური მონეტები ლაზიკის სამეფოს სხვა ნერტილებშიცაა მიკვლეული. მომყავს მათი სია კეისრების მმართველობის თანმიმდევრობის მიხედვით: 1. ანასტასი I (491-518 წწ.) სპილენძის მონეტა აღმოჩნდა ქუთაისში; 2. იუსტინე I-ის (518-527 წწ.) 6 მონეტა (4 სოლიდი, 1 ვერცხლის და 1 სპილენძის) ნაპოვნია შემდეგ პუნქტებში: ნოქალაქევში (სენაკის მუნიც.), ზუგდიდში, ბათუმის მიდამოებში; 3. იუსტინიანეს (527-565 წწ.) 7 მონეტა (3 სოლიდი, 3 სპილენძის და 1 ვერცხლის) აღმოჩენის ტოპოგრაფია ასე გამოიყურება: ფსირცხა (გუდაუთის რ-ნი), ჩხალთა (სოხუმის რ-ნი), ახალი ათონი, ჩხორონყუ და ფოთი; 4. ტიბერიუს II-ის (578-582 წწ.) ოქროს

მონეტა აღმოჩნდა ჩიბათში (ლანჩხუთის მუნიც.) მიკვლეული განძის შემადგენლობაში (ამ განძის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებ); 5. მავრიკე ტიბერიუსის (582-602 წწ.) სოლიდების განძი 23 მონეტის შემადგენლობით ნაპოვნია 1930 წელს ნოქალაქევის (სენაკის (მუნიც.) არქეოლოგიური გათხრების დროს; 6. აქვეა აღმოჩენილი VI ს-ის სპილენძის გაცვეთილი მონეტა.

თუ შევაჯამებთ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მიკვლეული VI ს-ის ბიზანტიური მონეტების რიცხვს, ასეთ სურათს მივიღებთ: აქ აღმოჩენილია 182 სპილენძის მონეტა, 7 ვერცხლის და 37 ოქროსი [ცუხიშვილი იზ., 1987:14; დუნდუა გ., ... 2006:160-162]. სურათი სავსებით ნათელია, სახეზე გვაქვს მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირთიერთობანი ლაზიკისა და ბიზანტიის იმპერიას შორის.

ვიდრე დასავლეთ საქართველოს ფარგლებში აღმოჩენილ VII ს-ის ბიზანტიური მონეტების მიმოხილვაზე გადავიდოდეთ, საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ აქ, მართალია, მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც გვხვდება სხვა ქვეყნის მონეტები. ასე მაგ., ციხისძირში აღმოჩნდა სასანური მონეტების განძი, რომელთაგან მხოლოდ 3 ეგზემპლარი შევიდა ბათუმის მუზეუმის საცავში. ესენია: კავადის (488-531 წწ.) 2 და ხოსრო I-ის (531-579 წწ.) – 1 დრაქმა. გარდა ამისა, 2 სასანური დრაქმა ნაპოვნია აფხაზეთის ფარგლებში: კავადისა ნებელდის ტერიტორიაზე და ხოსრო II-ს (591-628 წწ.) – სოხუმში. ამ აღმოჩენებს არავითარი დისონანსი არ შეაქვთ საერთო სურათში და კარგად თავსდება ირან-ბიზანტიის მეტოქეობის ჩარჩოებში ლაზიკის ტერიტორიაზე. ორივე დასახელებულ ზონაში ირანის ჯარი გარკვეული დროით იმყოფებოდა ირან-ბიზანტიის ომის დროს და, ამდენად, სასანური დრაქმების პოვნა აქ სავსებით ბუნებრივია. თუმცა დასავლეთ საქართველოს ფულადი მეურნეობა ძირითადად მაინც ბიზანტიურ მონეტაზეა დაფუძნებული.

დასავლეთ საქართველოს ფარგლებში აღ-

მოჩენილი VII ს-ის ბიზანტიური მონეტების სია ასე გამოიყურება: 1. 1952-1953 წწ. ბიჭვინტაში იპოვნეს იმპერატორ ჰერაკლეს (610-641 წწ.) სპილენძის 3 მონეტა; 2. 1940 წ. მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფ. დიდიჭყონში აღმოჩნდა ოქროს მონეტა, მოჭრილი ჰერაკლესა და ჰერაკლე-კონსტანტინეს სახელით; 3. ჰერაკლეს სოლიდი მოიძიეს სოფ. ჭიორაში (ონის მუნიც.); 4. 1950 წ. სოფ. ქორეთში (საჩხერის მუნიც.) იპოვეს ჰერაკლეს ჰექსაგრამა (უნდა აღინიშნოს, რომ არგვეთის ტერიტორიები მაინც აღმოსავლეთ საქართველოსთანაა მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკურ კავშირში. ამიტომ არ შევჩერდები აქ აღმოჩენილ სასანური მონეტების გარშემო); 5. იმპერატორ ფოკას (602-610 წწ.) მონეტა აღმოჩნდა 1927 წ. სოფ. დრანდის (სოხუმის მახლობლად) მიდამოებში; 6. იუსტინიანე II-ის (685-695 წწ.) ოქროს მონეტა იპოვნეს 1915 წ. ბიჭვინტის მახლობლად; 7. კონსტანს II-ის (641-668 წწ.) ოქროს მონეტა აღმოჩნდა სოხუმის მიდამოებში; 8. 1958 წ. სოფ. ჩიბათში (ლანჩხუთის მუნიც.) იპოვნეს ბიზანტიური ოქროს მონეტების განძი, რომლის გადარჩენილი ნაწილი ასე გამოიყურება: ტიბერიუს II-ის (578-582 წწ.) – 1 ცალი, მავრიკე ტიბერიუსის (582-602 წწ.) – 1, ფოკას (602-610 წწ.) – 107, ჰერაკლეს (610-641 წწ.) – 14; 9. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ოდიშიში აღმოჩნდა 131 ვერცხლის მონეტისაგან შემდგარი განძი, აქედან 2 მიეკუთვნება მავრიკე ტიბერიუსს (582-602 წწ.) და 11 – ჰერაკლესა და ჰერაკლე-კონსტანტინეს (610-641 წწ.); 10. 1930 წ. სოფ. ღვანკითში (თერჯოლის მუნიც.) იპოვეს კონსტანს II (641-668 წწ.) სოლიდი.

ამრიგად, დასავლეთ საქართველოში VII ს-ის 130 ოქროს, 14 ვერცხლისა და 3 სპილენძის ბიზანტიური მონეტაა ნაპოვნი. აქედან 123 ჩიბათის განძში იყო თავმოყრილი, ხოლო 13 – ოდიშისაში. განძის გარეთ რჩება მხოლოდ 11 მონეტა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ძირითადი მასა მონეტებისა დაკავშირებული უნდა იყოს ჰერაკლეს საჯარისო კონტიგენტთან, რომელიც დასავლეთ საქართველოს

ტერიტორიაზე იმყოფებოდა ხოსრო II-სთან (591-628 წწ.) ომის დროს.

როგორც ცნობილია, ჰერაკლე კეისარმა აღმოსავლეთ საქართველოც დალაშქრა. ვარაუდობენ, რომ იბერიაში იგი სწორედ ლაზიკის საზღვრებიდან შეიჭრა. ამრიგად, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი VII ს-ის პირველი ნახევრის ბიზანტიურ მონეტებს უფრო „მილიტარისტული“ ხასიათი აქვს, ვიდრე ეკონომიკური.

როგორც ზემოთ მოყვანილი სია გვარწმუნებს, VII ს-ის მეორე ნახევრის ოქროს მონეტები უაღრესად შეზღუდული რაოდენობით შემოდის ლაზიკაში – სულ აღმოჩენილია 5 ცალი. მაგრამ ეს მარტო დასავლეთ საქართველოსათვის არაა დამახასიათებელი. საქმე ისაა, რომ ოქროს მონეტათა ემისია მკვეთრად იზღუდება VII ს-ის ბოლოს თვით იმპერიის ფარგლებში. ამიტომ მისი გატანა საკუთრივ იმპერიის ფარგლებს გარეთ ასევე შეზღუდულია.

სამონეტო მიმოქცევა აღმოსავლეთ საქართველოში V-VII ს-ის პირველ ნახევარში. III საუკუნიდან ქართლის პოლიტიკური მდგომარეობა გაუარესდა. მის სამხრეთით, პართიის სახელმწიფოს ადგილას, ჩამოყალიბდა უფრო ძლიერი და აგრესიული სამეფო, რომელსაც სათავეში სასანიანთა დინასტია ედგა. ირანის შაჰებმა დაიწყეს ენერგიული ბრძოლა მეზობელი, პირველ რიგში, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დასაპყრობად და იქ მამულები ანუ ცეცხლთაყვანისმცემლობის დასანერგად. ქართველმა პოლიტიკოსებმა ორიენტაცია იმთავითვე დასავლეთისაკენ – რომისაკენ (ბიზანტიისაკენ) აიღეს. 326 წ. (?) მეფე მირიანმა ქართლში ქრისტიანობა ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა, რამაც, ცხადია, ირანის მხრივ საპასუხო რეაქცია გამოიწვია. IV ს-ის ბოლოსა და V ს-ის პირველ ნახევარში სასანიანებმა შეძლეს როგორც სომხეთისა და ალბანეთის, ისე ქართლის დახარკვა. უკვე IV ს-ის ბოლო წლებში მათი მოხელე პიტიახში თბილისში იჯდა და აქედან აკონტროლებდა ქართლის მეფის მოქ-

მედებას. 428 წ. ირანელებმა მეფობა გააუქმეს სომხეთში, შემდეგ კი ალბანეთში. ირანის წინააღმდეგ ბრძოლას შეაღია სიცოცხლე ვახტანგ გორგასალმა, მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. მისი დაღუპვის შემდეგ ირანი შეუდგა ქართლის სრული დაპყრობის გეგმის განხორციელებას. 523 წ. მის წინააღმდეგ აჯანყება სცადა ქართლის მეფე გურგენმა, მაგრამ მას მხარი არ დაუჭირეს დიდაზნაურთა უმეტესობამ და ვერც ბიზანტიისაგან მიიღო დახმარება. 532 წ. ბიზანტიამ „საუკუნო ზავი“ დადო ირანთან, რომლის ძალითაც მან სცნო ირანელთა უფლება აღმოსავლეთ საქართველოზე. ამით ფაქტობრივად ქართლში მეფობა გაუქმდა. მთელი VI ს-ის განმავლობაში არ შეწყვეტილა ბრძოლა ქართლის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის და ეს პერიპეტიები უტყუარად აისახა ე.წ. ქართულ-სასანურ მონეტებზე, მაგრამ ვინაიდან ეს მონეტები გვიანდელია და იჭრება სასანური ირანის დრაქმების სტანდარტის მიხედვით, მათ მე მოგვიანებით აღვწერ. თავდაპირველად შევხები სამონეტო მიმოქცევის საკითხს იბერიაში ირანის აგრესიის შემდეგ.

ირანული ეპიგრაფიკული ძეგლების მიმოხილვამ მეცნიერები მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ სასანიანების მიერ იბერიის ფორმალური ჩართვა საკუთარი გავლენის სფეროში მოხდა III ს-ის შუა ხანებისათვის. ნუმისმატიკური მასალა იმას მოწმობს, რომ III ს-ის სასანური ვერცხლის მონეტების ხვედრითი წონა ქართლის სამონეტო ბაზარზე უმნიშვნელოა. ჯერჯერობით, იბერიის ტერიტორიაზე აღმოჩენილია შესაბამისი ხანის 7 მონეტა: შაპურ I-ის (241-272 წწ.) – 4 (სამთავრო-მცხეთის მუნიც., ყარაღაჯი – სიღნაღის მუნიც., თბილისი, მუხრანი – კასპის მუნიც.) და ვარაჰრან I-ისა (274-276 წწ.) – 3 (განთიადი – დმანისის მუნიციპალიტეტი, ავრანლო – ნალკის მუნიც. და ნინოწმინდა – საგარეჯოს მუნიც.). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოში გავრცელებული სასანური მონეტები სათანადოდ არაა შესწავლილი ქართული

მეცნიერების მიერ (ამ საკითხის შესახებ იხ. [Джалаганиа И. 1979; 1980; 1981; Цоцелия М. 1981]), ხოლო აკუმულირებული ფორმით სამონეტო მიმოქცევის სურათი აღმოსავლეთ საქართველოში მიმოხილულია გ. დუნდუასა და თ. დუნდუას „ქართული ნუმისმატიკის“ I ნაწილში, თბ., 2006, გვ. 149-156).

III ს-ის შემდეგ არის თითქმის საუკუნეაზიის წყვეტილი. სასანური მონეტები ქრება იბერიის ეკონომიკიდან. ძნელია ამ ფაქტს ახსნა მოექცნოს. ირანს ხელი არ აუღია ქართლის სრული დამორჩილების მცდელობაზე და ისიც ცნობილია, რომ 387 წ. ბიზანტიასთან დადებული ზავით სამხრეთ კავკასია ირანის ვასალი გახდა. ეს როგორღაც უნდა ასახულიყო აღმოსავლეთ საქართველოს სამონეტო აღმოჩენებში, მაგრამ ეს ასე არ არის. იბერიის ბაზარზე სასანური დრაქმები V ს-ის 30-40-იანი წლებიდან ჩნდება მხოლოდ. მაშ როგორი მონეტები ცირკულირებს იბერიის ტერიტორიაზე III-V საუკუნეებში? III-IV საუკუნის შესახებ მე უკვე ვწერდი, ხოლო რაც შეეხება V ს-ის მასალას, როგორც აღმოჩენები მოწმობს, ეს, ალბათ, ბიზანტიური მონეტებია, ასე მაგალითად: 1. იმპერატორ თეოდოსი II-ის (408-450 წწ.) სოლიდები, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ვითარებაში აღმოჩენილია აღმოსავლეთ საქართველოს შემდეგ პუნქტებში: თელავში, თეთრინყაროს მიდამოებში, მცხეთაში, წინანდალში, ურბნისში (ქარელის მუნიც.) – თითო-თითო ცალი. მისივე სპილენძის მონეტა ნაპოვნია დმანისში; 2. კეისარ მარკიანეს მეუღლის პულხერიას (450-457 წწ.) სოლიდი აღმოჩენილია დმანისის მიდამოებში; 3. ლეონ I-ის (457-474 წწ.) სოლიდები მიკვლეულია: ბოლნისის მიდამოებში – 2 ც., ხიდისთავში (გორის მუნიც.), ახალგორის მიდამოებში. მისივე ვერცხლის მონეტების მინაბაძი 3 ცალის რაოდენობით აღმოჩენილია მცხეთის არქეოლოგიური გათხრების დროს.

ყველაფერი ეს იმის მაჩვენებელია, რომ V ს-ის განმავლობაში ბიზანტიური მონეტა აღმოსავლეთ საქართველოს მთელს ტერიტორიაზე მიმოიქცევა. განსაკუთრებით აღ-

სანიშნავია ლეონ I-ის ვერცხლის მონეტის მინაბაძების აღმოჩენის ფაქტი მცხეთის მიდამოებში, რაც უცილობლად მიუთითებს ორიგინალების პოპულარობაზე იბერიაში.

ამრიგად, მიუხედავად სასანიანთა დიდი მცდელობისა, III-V სს-ში აღმოსავლეთ საქართველოს სამონეტო ბაზარი მაინც ძირითადად დასავლეთისკენაა ორიენტირებული. თუმცა, V ს-ის 30-40-იანი წლებიდან ცირკულაციაში ერთვება სასანური დრაქმებიც: ვარაჰრან V-ის (421-439 წწ.), იეზდიგერდ II-ის (439-457 წწ.), ფეროზის (459-484 წწ.), ბალაშის (484-488 წწ.), ზამასპის (496-498 წწ.). მაგრამ უფრო სწორია ვივარაუდოთ, რომ სასანური დრაქმების როლის გააქტიურება მაინცდამაინც V ს-ის დასასრულიდან შეიმჩნევა, ვინაიდან დასახელებული მმართველების მონეტები ძირითადად VI ს-ში ჩამარხული განძების შემადგენლობაში შედის (ასე მაგ., 1828 წ. მცხეთაში აღმოჩნდა განძი, რომელიც 30-40 სასანურ მონეტას შეიცავდა. განძში შედიოდა ვარაჰრან V-ისა და იეზდიგერდ II-ის მონეტები, მაგრამ კომპლექსი ჩამარხული იყო ხოსრო I-ის (531-579 წწ.) დროს. ამის პოლიტიკური მიზეზი, ცხადია, ვახტანგ გორგასლის მარცხი იყო სპარსელების წინააღმდეგ ომში.

VI ს-ში აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიკაში პრევალირებული ადგილი ეკავა სასანურ ვერცხლის მონეტებს. ეს პერიოდი ქართული ნუმიზმატიკის, თუ შეიძლება ასე ითქვას, „სასანური“ ხანაა. ეს ამასთანავე იმასაც ნიშნავს, რომ პოლიტიკურადაც ქართლი უფრო მეტად ირანზე იყო დამოკიდებული. ამ მოსაზრებას შესანიშნავად ადასტურებს აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მიკვლეული (შემთხვევით თუ არქეოლოგიური გათხრების შედეგად) ირანის მრავალრიცხოვანი ნუმიზმატიკური მასალა. მათი რიცხვი ორი ათასს აღემატება.

სასანური მონეტების გავრცელების ტოპოგრაფიის შესწავლამ გამოავლინა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე რამდენიმე ლოკალური რაიონი, სადაც ირანის დრაქმები განსაკუთრებით აქტიურ

როლს თამაშობდა. ესენია: ერწო-თიანეთი, მცხეთა, ურბნისი, ქვემო ქართლი, ჰერეთი [Джалаганиа И. 1979:13]. განსაკუთრებით ინტერესს იწვევს ერწო-თიანეთის „ქვეყანა“. ეს რაიონი მდიდარია არქეოლოგიური ძეგლებით. გამოთქმულია მოსაზრება, რომ აქ გადიოდა სავაჭრო მაგისტრალი, ე.წ. „შემოვლითი გზა“. ეს იყო ტრანსკავკასიური სავაჭრო არტერიის (რომელიც იბერიას ალბანეთსა და სომხეთზე გავლით მახლობელ აღმოსავლეთთან აკავშირებდა) განშტოება, ალაზნის ველისა და მცხეთის დამაკავშირებელი ეკონომიკური ძარღვი [მუსხელიშვილი დ. 1966:51 და შმდ.; რამიშვილი რ. 1971, №27-28:51-56, 110]. სწორედ ერწო-ჟალეთზე გამავალ გზას, როგორც ამას ნუმიზმატიკური მასალა მოწმობს, სასანურ ხანაში ჰქონია განსაკუთრებული მნიშვნელობა. ქვემოთ მომყავს ერწო-თიანეთის ზონაში სასანური მონეტების აღმოჩენის სია: I - 1923 წ. სოფ. თოლენჯში (თიანეთის მუნიც.) იპოვეს განძი, რომლის გადარჩენილი ნაწილის (71 ცალი) სია ასე გამოიყურება: 1. ფეროზი (459-484 წწ.) – 2; 2. ბალაში (484-488 წწ.) – 2; 3. კავადი (488-531 წწ.) – 60; ზამასპი (496-498 წწ.) – 1; 5. ხოსრო I (531-579 წწ.) – 6. განძის ჩამარხვის დრო – VI ს-ის შუა ხანები; II - სოფ. სიმონიანთხევში (თიანეთის მუნიც.) 1924 წ. იპოვეს განძი, გადარჩა მხოლოდ 14 მონეტა. ესენია: 1. ფეროზი – 1; 2. კავადი – 11; 3. ხოსრო I – 2. ეს განძიც VI ს-ის შუა ხანებშია ჩამარხული: III. სოფ. ლულელებში (იგივე მუნიც.) მოიძიეს ფეროზის დრაქმა; IV. 1968 წ. სოფ. მალრანეთში (იგივე მუნიც.) აღმოჩნდა შერეული განძი 19 ც. რაოდენობით, აქედან 12 სასანური დრაქმა და დანარჩენი ბიზანტიური ჰექსაგრამები (ვერცხლის მონეტები). სასანური მონეტების სია ასე გამოიყურება: 1. ხოსრო I – 2; 2. ჰორმიზდ IV (579-590 წწ.) – 7; 3. ხოსრო II (591-628 წწ.) – 3; ბიზანტიური მონეტები მოჭრილია იმპერატორ ჰერაკლეს (610-641 წწ.) და მისი შვილის ჰერაკლე-კონსტანტინეს მიერ 615 წლის შემდეგ. განძის ჩამარხვის თარიღად შეიძლება ვივარაუდოთ VII ს-ის პირველი ნახ-

ვერის დასასრული.

უალრესად საინტერესოა სასანური დრაქმებისა და ბიზანტიური ჰექსაგრამების ერთობლივი აღმოჩენის ფაქტი, რაც მათ პარალელურ ცირკულაციაზე მიუთითებს უდავოდ. ამასთან დაკავშირებით უთუოდ საინტერესოა ლიტერატურაში დაცული ერთი ცნობა: 1904 წ. თბილისის ძველ ნაწილში (“მაიდანზე”) აღმოჩნდა ასევე შერეული განძი სასანური და ბიზანტიური მონეტებისა, რომელიც 700-800 ცალისაგან შედგებოდა. სასანური მონეტები უმთავრესად ხოსრო II-ის (591-628 წწ.) დრაქმებს წარმოადგენდა, ხოლო ბიზანტიურები ისევ და ისევ ჰერაკლესა და ჰერაკლე-კონსტანტინეს ჰექსაგრამებს [Пахомов 1926: I, 43, № 59]. როგორც ცნობილია, 628 წ. იმპერატორ ჰერაკლეს მოკავშირე ხაზარებმა თბილისი აიღეს. ბიზანტიამ სამხრეთ კავკასიაში გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. სწორედ ამ პოლიტიკური ვითარების ანარეკლია ზემოთ მოყვანილი განძების შემადგენლობაც, სასანური დრაქმებისა და ბიზანტიური ჰექსაგრამების ერთობლივი ცირკულაცია, მითუმეტეს, რომ ანალოგიური განძები სამხრეთ კავკასიაში სხვაგანაცაა აღმოჩენილი (სასანური ირანისა და ბიზანტიის მეტოქეობის შესახებ აღმოსავლეთ საქართველოში ნუმისმატიკური მასალების მიხედვით იხ. [დუნდუა გ. 2009:233-236]).

მცხეთაში აღმოჩენილი მასალა: 1. 1930 წ. მის მიდამოებში აღმოჩნდა 41 სასანურ დრაქმისაგან შემდგარი განძი. ის შეიცავს ბალაშის (484-488 წწ.), კავადის და ხოსრო I-ის მონეტებს. განძის ქრონოლოგიური დიაპაზონია 484-568 წწ. ჩამარხულ უნდა იყოს VI ს-ის ბოლოს; 2. 1953 წ. შემთხვევით იპოვეს ფეროზის დრაქმა; 3. სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ვითარებაში მცხეთის მიდამოებში აღმოჩნდა კავადის 4 დრაქმა; 4. 1961 წ. „მთა-ქართლის“ არქეოლოგიური გათხრების დროს მიაკვლიეს ჰორმიზდ IV-ის ვერცხლის მონეტას; 5. იქვე აღმოჩნდა ხოსრო II-ის (591-628 წწ.) დრაქმა; გარდა ამისა, გვაქვს ცნობა იმის შესახებ, რომ 1827 წ. სვეტიცხოვლის

მიდამოებში იპოვეს სასანური მონეტების განძი, რომლის შემადგენლობაში შემავალი მონეტების ძირითადი ნაწილი მპოვნელმა გადაადნო [Джалагания И. 1979:24, № 10].

მცხეთაში სასანური მონეტები, როგორც ეს სამართლიანადაა აღნიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში, ჩანს, შემოდოდა ორი არტერიით – „შემოვლითი გზით“ და იმ მაგისტრალით, რომელიც კასტორიუსის რუკის მიხედვით, იწყებოდა არტაშატთან და აერთებდა სომხეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს (საკითხის შესახებ იხ. მაგ., [Джалагания И. 1979:24]. იქვეა სათანადო ბიბლიოგრაფიაც).

დიდი მნიშვნელობა აქვს აღმოსავლეთ საქართველოს ფარგლებში სასანური მონეტების მიმოქცევის შესწავლის თვალსაზრისით ურბნისის აღმოჩენებს (გორის მუნიცი.). ეს პუნქტი მდებარეობს მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, გორიდან 12 კმ-ის მოშორებით. ურბნისი მოხსენიებულია წერილობით წყაროებში როგორც ქალაქი ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე. მტკვრის გასწვრივ მიმავალმა დიდმა სავაჭრო გზამ ხელი შეუწყო მის აღმავლობას. არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადუსტურა, რომ ურბნისმა როგორც ადრეფეოდალურმა ქალაქმა, იარსება VIII ს-მდე [ჭილაშვილი ლ. 1961:139 და შმდ.]. ურბნისის გაცხოველებულ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე მიუთითებს აგრეთვე აქ აღმოჩენილი სასანური მონეტებიც: 1. 1956 წ. არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა კავადის (488-531 წწ.) – 4 და ხოსრო I-ის (531-579 წწ.) 3 დრაქმა; 2. 1960 წ. აქ იპოვეს 21 ვერცხლის სასანური მონეტისაგან შემდგარი განძი. ყველა მათგანი მოჭრილია ხოსრო II-ის (591-628 წწ.) სახელით. განძი ჩამარხული უნდა იყოს VII ს-ის პირველ მეოთხედში; 3. 1960 წ. არქეოლოგიური გათხრების დროს მიაკვლიეს 7 სასანურ მონეტას: ფეროზის – 1ც., კავადის – 2, ხოსრო I-ის – 4; 4. ამავე წელს შემთხვევით ადგილობრივმა მოსახლემ მოიძია 11 სასანური დრაქმისაგან შემდგარი განძი. ყველა მონეტა მოჭრილია ხოსრო II-

ის (591-628 წწ.) სახელით; 5. არქეოლოგიური გათხრების დროს ურბნისში იმავე წელს კვლავ აღმოჩნდა ხოსრო II-ის დრაქმა.

ამრიგად, ურბნისიდან მომდინარე ნუმიზმატიკური მასალა მოწმობს, რომ აქ V-VII სს-ში წამყვანი ადგილი ეკავა სასანურ დრაქმებს. საქმის ვითარებას არ ცვლის ამავე ტერიტორიაზე ბიზანტიის იმპერატორების თეოდოსი II-ის (408-450 წწ.) სოლიდისა და იუსტინე I-ის (518-527 წწ.) სპილენძის მონეტების აღმოჩენის ფაქტები.

შემდეგი ლოკალური რაიონი სასანური მონეტების ფართო გავრცელებისა არის ქვემო ქართლი. ვიძლევი V-VI სს-ის ირანული მონეტების აღმოჩენათა სიას: 1. 1970 წ. ბოლნისში აღმოჩნდა ფეროზის (459-484 წწ.) სახლით მოჭრილი ვერცხლის მონეტების განძი 29 ცალის რაოდენობით; 2. წალკის მუნიციპალიტეტის სოფ. სანთაში იპოვეს კავადის (488-531 წწ.) დრაქმა; 3. 1945-1950-იან წლებში სოფ. სიონში (მარნეულის მუნიცი.) მოიძიეს ხოსრო I-ის (531-579 წწ.) მონეტა.

ქვემო ქართლის ტერიტორიაზე გავრცელებულ სასანურ მონეტებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: მას, როგორც ცნობილია მართავდა პიტიახში ვარსქენი, სწორედ ფეროზის თანამედროვე, რომელიც 482 წ. ვახტანგ გორგასალმა მოაკვლევინა. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტიც, რომ აქ მაინცდამაინც ფეროზის სახელით მოჭრილი მონეტების განძია ნაპოვნი. ამიტომ, როდესაც ქვემო ქართლის ტერიტორიაზე გავრცელებულ სასანურ დრაქმებზე ვსაუბრობთ, ეკონომიკური ურთიერთობების პარალელურად, პოლიტიკურ მომენტსაც უნდა ვითვალისწინებდეთ.

და ბოლოს, უნდა შევეხეთ ისტორიული ჰერეთის საზღვრებში აღმოჩენილ სასანურ მონეტებს: 1. 1939 წ. სოფ. ბაისუბნის ახლოს (ლაგოდეხის მუნიცი.) აღმოჩნდა თიხის ქოთანი სასანური ვერცხლის მონეტებით, განისაზღვრა მხოლოდ 2 მონეტა – ერთი ეკუთვნოდა კავადს (488-531 წწ.) და მეორე – ჰორმიზდ IV-ს (579-590 წწ.), დანარჩენი გაიფანტა;

2. 1958 წ. სოფ. ვაშლოვანში (იგივე მუნიცი.) იპოვეს ხოსრო I-ის (531-579 წწ.) დრაქმა; 3. 1977 წ. სოფ. ოზაანის (დედოფლისწყაროს მუნიცი.) სავარგულებში აღმოჩნდა სასანური მონეტების დიდი განძი. მოხერხდა 1278 ცალის შეგროვება. აქედან 1268 ცალი სასანური დრაქმაა, ხოლო 10 – ბიზანტიური ჰექსაგრამა. მმართველების მიხედვით ასეთნაირად ნაწილდება: 1. ხოსრო I (531-579 წწ.) – 96 ეგზემპლარი; 2. ჰორმიზდ IV (579-590 წწ.) – 743; 3. ხოსრო II (591-628 წწ.) – 429; 4. ჰერაკლე და ჰერაკლე-კონსტანტინე (615-631 წწ.) – 8; 5. ჰერაკლე, ჰერაკლე-კონსტანტინე, ჰერაკლიონი (632-641 წწ.) – 2; განძი, ალბათ VII ს-ის შუა ხანებში, ან მეორე ნახევრის დასაწყისშია ჩამარხული; 4. 1970 წ. სოფ. შრომაში (თელავის მუნიცი.) აღმოჩნდა ხოსრო II-ის (591-628 წწ.) დრაქმა. ჰერეთში (კახეთში) სასანური მონეტების შემოსვლის გზის დადგენას, ცხადია, დიდი კვლევა-ძიება არ სჭირდება. ეს რეგიონი უშუალოდ ეკვრის აზერბაიჯანს, სადაც მათ დომინირებული ადგილი ეკავა.

ვიდრე გამოვიტანდი ზოგად დასკვნებს სასანური მონეტების ცირკულაციის შესახებ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, საჭიროდ მიმაჩნია დავუბრუნდე აქ ასევე გავრცელებულ ბიზანტიურ მონეტებს. V ს-ის მასალისა და სასანურ განძებთან ერთად აღმოჩენილ ჰექსაგრამების შესახებ მე უკვე ვწერდი. ეხლა ვიძლევი აღმოსავლეთ საქართველოს ფარგლებში მიკვლეული VI ს-ის და VII ს-ის პირველი ნახევრის ბიზანტიური მონეტების სიას: 1. 1940-იან წლებში ნოსტეს (კასპის მუნიცი.) მიდამოებში იპოვეს ანასტასი I-ის (491-518 წწ.) სპილენძის მონეტა; 2. 1872 წ. მცხეთაში აღმოჩნდა იუსტინე I-ის (518-527 წწ.) სპილენძის მონეტა; 3. ასეთივე მონეტა აღმოაჩინა 1936 წ. დმანისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ; 4. ასეთივე მონეტა იპოვეს 1950 წ. რუსთავის ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს; 5. 1959 წ. ურბნისის გათხრების დროს აღმოჩნდა იუსტინე I-ის სპილენძის მონეტა; 6. მისივე სპილენძის მონეტა ნაპოვნია თბილისში 1961

ნელს; 7. 1961 წელს მცხეთაში არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ქვის სამარხში იუსტინიანე I-ის (527-565 წწ.) ვერცხლის მონეტა იპოვა; 8. 1961 წ. მცხეთის მიდამოებში მთა ქართლის ექსპედიციამ მავრიკე ტიბერიუსის (582-602 წწ.) სპილენძის მონეტას მიაკვლია; 9. 1902 წ. მცხეთის მიდამოებში ნავთსადენის გაყვანის დროს ნაპოვნია ჰერაკლესა (610-641 წწ.) და ჰერაკლე-კონსტანტინეს სახელით მოჭრილი ვერცხლის 2 მონეტა; 10. 1936 წ. სოფ. წინწყაროში (თეთრწყაროს მუნიცი.) ნაპოვნ მონეტებში 1 ჰერაკლესა და ჰერაკლე-კონსტანტინეს სახელით მოჭრილი ჰექსაგრამაც იყო. ასეთივე მონეტა აქ აღმოჩნდა 1937 წელსაც; 11. 1936 წ. დმანისში არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აღმოაჩინა ჰერაკლე კეისრის სპილენძის მონეტა; 12. ჰერაკლე და ჰერაკლე-კონსტანტინეს სახელით მოჭრილი ვერცხლის მონეტა იპოვეს 1937 წ. მცხეთის არქეოლოგიური გათხრების დროს არმაზისხევის უბანზე; 13. 1952 წ. სოფ. ჭანდრების (ქარელის მუნიცი.) ეკლესიაში მოიძიეს ჰერაკლეს და ჰერაკლე-კონსტანტინეს ჰექსაგრამა; 14. 1962 წ. სოფ. ყებოტში (თიანეთის მუნიცი.) იპოვეს ჰერაკლეს ვერცხლის მონეტა.

მოტანილი სია, რა თქმა უნდა, იმის მაჩვენებელია, რომ მთელი VI ს-ში, განსაკუთრებით კი VII ს-ის პირველ ნახევარში, სასანურის პარალელურად აღმოსავლეთ საქართველოს ფულად მეურნეობაში ბიზანტიური მონეტებიც მონაწილეობს. მაგრამ თუ ხვედრით წონაზე ვისაუბრებთ, ცხადია, უპირატესობა სასანურ დრაქიმებს ეკუთვნის. ნუმისმატიკური მასალა ყოველგვარი ეჭვის გარეშე ადასტურებს, რომ პოლიტიკური მეტოქეობა ირანსა და ბიზანტიას შორის პირველის უპირატესობით დამთავრდა, რასაც, ბუნებრივია, მოჰყვა მისი გაბატონება აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიკაში. ამ მოსაზრების საუკეთესო ილუსტრაციაა დედოფლისწყაროს (წითელწყაროს) განძის შემადგენლობა, სადაც შეფარდება ასეთია: 1268 სასანურ დრაქიმაზე მოდის 10 ბიზანტიური ჰექსაგრამა. ეს ციფრები, ჩანს რე-

ალურად ასახავს სასანური და ბიზანტიური მონეტების მეტოქეობას იბერიის ბაზარზე, რომელიც უპირატესად მაინც სასანური დრაქიმებით იკვებება. ბიზანტიური ჰექსაგრამების გაჩენა აუცილებლად უკავშირდება ჰერაკლეს ლაშქრობას სამხრეთ კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში. როგორც ცნობილია, 628 წ. მან თბილისი აიღო და აღმოსავლეთ საქართველო დროებით თავისი გავლენის სფეროში მოაქცია. ეს იყო დროებითი პოლიტიკური და სამხედრო გამარჯვება, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ეკონომიკური. ეკონომიკურად ბიზანტიურმა ჰექსაგრამამ ვერ დაამარცხა სასანური დრაქმა, იბერია მაინც სასანიანთა იმპერიის გავლენის ქვეშ დარჩა.

სასანიანთა ირანის გამუდმებული აგრესია აღმოსავლეთ საქართველოში დასრულდა იმით, რომ 532 წელს ქართლში მეფობა გაუქმდა. მაგრამ ქართველ ხალხს ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია ბრძოლა ირანის ტირანიის წინააღმდეგ, რაც ადეკვატურად აისახა კიდევ ქართლის ერისმთავართა მონეტებზე. ამ დიდი ეროვნული მოძრაობის მედროშედ ორი გამოჩენილი მოღვაწე – **გურგენი და სტეფანოს I გამოდის** (მათი მოღვაწეობის მიახლოებითი წლების შესახებ ქვემოთ ვისაუბრებ). გურგენი იწყებს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, სტეფანოსი ასრულებს მას. ეს ბრძოლა ქრისტიანული რელიგიის დროშით მიმდინარეობდა, რაც მცხეთის ჯვრის ტაძრის მშენებლობით და ჯვრისგამოსახულებიანი და ქართულ წარწერიანი დრაქიმების ემისიით დაგვირგვინდა.

VI ს-ის დამლევისათვის ქართლში მონეტები სასანელთა ირანის სტანდარტის მიხედვით იჭრება (მათ შესახებ დანვრილებით იხ. [დუნდუა გ. 1976, №№ 1,3:97-109, 45-53], აქვეა სათანადო ბიბლიოგრაფია). ყველა მათგანი (სტეფანოს I-ის სრული ქართული წარწერიანი მონეტების გამოკლებით) ირანის შაჰის ჰორმიზდ IV (579-590 წწ.) დრაქიმების იმიტაციაა. ჰორმიზდ IV-ის მონეტების ტიპი ტრაფარეტულია და მისი სქემატური აღ-

წერილობა ასეთია: Av. ჰორმიზდ IV-ის თავის გამოსახულება მარჯვნივ. ფალაური ლეგენდა, რომელიც მის სახელს გადმოსცემს. გარშემო ერთმაგი რკალი. Rv. კვარცხლბეკზე მოთავსებული ზოროასტრიზმის ემბლემა – წმინდა ცეცხლი, რომელსაც ორი შეიარაღებული მცველი დარაჯობს. ფალაური ლეგენდა მოჭრის წელსა და ზარაფხანას აღნიშნავს. გარშემო ერთმაგი რკალი.

ჰორმიზდ IV-ის ზემოთაღწერილ სამონეტო ტიპს თავისი მმართველობის პირველ და მეორე წელს (ე.ი. 590/1-592 წწ.) ზუსტად იმეორებს ხოსრო II (590/1-628 წწ.). განსხვავება მხოლოდ რკალების რაოდენობაშია: მონეტის შუბლის გამოსახულება ჩასმულია ორმაგ რკალში, ხოლო ზურგისა – სამმაგში. ამ ვარიანტს ბაძავს სტეფანოსის სრულ ქართულ წარწერის დრაქმა. შემდეგ წლებში, ხოსრო II დიამეტრალურად შეცვალა თავისი სამონეტო ტიპი, რაც მკვეთრად გამოიხატა სამეფო გვირგვინში. ამ სტანდარტს ქართლის ერისმთავართა არც ერთი მონეტა არ ბაძავს. ამრიგად, 590/1-592 წწ. არის ე.წ. ქართულ-სასანური დრაქმების ემისიის გვიანდელი ზღვარი (ტაბ. VI, 1-2).

თავდაპირველად, როგორც ჩანს, აჯანყებულმა ქართველებმა ამ ტრაფარეტულ ტიპს, მეფის მხარს ზემოთ მიუმატეს ქრისტიანობის სიმბოლო – ჯვარი, რომელიც ამავე დროს ეროვნული სიმბოლოც იყო. ეს იყო დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური აქციის დასაწყისი. ამ ტიპის მონეტები 5 ცალის რაოდენობითაა ჩვენამდე მოღწეული. ყველა მათგანი უპასპორტოა, დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და სანკტ-პეტერბურგის ერმიტაჟში (შესაბამისად 4+1). შემდეგ ეტაპზე, მეფის გამოსახულების ზემოთ (ერთადერთ შემთხვევაში მეფის ბიუსტის გვერდით, იხ. [Акопьян А. 2011:187-190]), ვხვდებით ქართულ ასოებს ან მონოგრამებს, რომლებიც ქართველ მთავართა სახელებს გვაუწყებს: ႠႨ – გურგენი, ႠႨ ან ႠႨႠ – ვახტანგი, ႠႨ – ჯუანშერი? (ან ჯვარი უფლისაჲ [Пагава И. 2011:27-30]; ეს საკითხი საკამათოა, მაგრამ მისი დანვრისგან თავი

იღვა ამჟამად ჩემს მიზანს სცილდება). გურგენის მონეტები 7 ცალის რაოდენობითაა ცნობილი: 3 ინახება ბერლინის მუზეუმში, 1 – ერმიტაჟში, 2 – საქართველოს ეროვნულ მუზეუმში და 1 – ამერიკის ნუმისმატიკური საზოგადოების კოლექციაში. ყველა მათგანი უპასპორტოა (ტაბ. VI, 3-4). ორ ცალადაა ცნობილი ის დრაქმები, რომლებიც ქართლის უცნობი ერისმთავარს – ვახტანგს – მიაკუთვნებენ. ორივე უპასპორტოა. ერთი მათგანი დაცულია ბერლინის მუზეუმში, ერთიც – საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ტაბ. VI, 5).

პოლიტიკური წარმატებების პარალელურად, რომელიც ქართველი მოღვაწე კიდევ უფრო რადიკალურ ნაბიჯს დგამს: ქართული მონეტის რევერსიდან საერთოდ განიდევენა მაზდეანობის ემბლემა წმინდა ცეცხლი და მის ადგილას კვარცხლბეკზე აღიმართა ქრისტიანობის სიმბოლო ჯვარი. ეს ანონიმური მონეტები ცნობილი იყო 7 ცალის რაოდენობით (მერვე, მეტად საეჭვო ეგზემპლარი, მიმოქცევაში შემოვიდა სულ ბოლო პერიოდში, იხ. [Пагава И. 2011:195-196], მაგრამ მე მას ამჯერად მხედველობაში არ ვღებულობ): 6 უპასპორტოა და დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში – 4, ერმიტაჟში – 2, ხოლო მეშვიდე აღმოჩენილია ძველ ბაბილონში არქეოლოგიური გათხრების დროს მიკვლეული უზარმაზარი განძის შემადგენლობაში [Simon H. 1977:№442] (ტაბ. VI, 6).

დაბოლოს ყველაფერ ამას ემატება ის, რომ ერისმთავარმა სტეფანოს I-მა, ჯერ მონეტის ავერსის კიდეზე თავის სახელის აღმნიშვნელი ოთხი ქართული მთავრული ასო ამოკვეთა: სჴნს, ხოლო შემდეგ კი ფალაური ლეგენდა საერთოდ გააქრო მონეტიდან და მის ნაცვლად, მეფის გამოსახულების მარცხნივ და მარჯვნივ სრულად მოათავსა თავისი სახელი: სႠႠႠႠႠ, ამით ფაქტობრივად საბოლოოდ გააქართულა ის. ამ ნაბიჯით და მცხეთის ჯვრის ტაძრის მშენებლობით, სტეფანოს I-მა დააგვირგვინა ქართველი ხალხის ბრძოლა სასანელთა ირანის წინააღმდეგ.

სტეფანოს I-ის არასრული ქართული

ნარწერიანი დრაქმა უნიკუმია და დაცულია ბერლინის მუზეუმში, ხოლო სრული ქართულ ნარწერიანი მონეტა 12 ცალის რაოდენობით ინახება მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმებში (საქართველოს ეროვნულ მუზეუმში – 4, ბერლინში – 4, ერმიტაჟში – 2, მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში – 1, ბრიტანეთის მუზეუმში – 1). აქედან მხოლოდ ერთს აქვს პასპორტი: ის აღმოჩნდა არაგვის ხეობაში, ადგილ ნეძიხში, ქვაყუთში, არქეოლოგიური გათხრების დროს [დუნდუა გ., ... 2006:135]. გარდა ამის, 10 ცალი ლიტერატურაშია მოხსენიებული (ტაბ. VI, 7-9).

მე უკვე მქონდა აღნიშნული, რომ ქართულ-სასანური მონეტების, კონკრეტულად სტეფანოს I-ის სრულ ქართულ ნარწერიანი დრაქმის ემისიის გვიანდელი ზღვარი არის 590/1-592 წლები. შეიძლება აგრეთვე ამ სამონეტო ჯგუფის ადრეული პერიოდის მიახლოებით დადგენაც. საქმე ისაა, რომ ჩვენთვის საინტერესო მონეტების ერთ ვარიანტზე, რომელზედაც მოთავსებულია ერისმთავარ გურგენის სახელის აღმნიშვნელი ორი ქართული ასო, მეფის ბიუსტის გვერდით ფალაურად ამოკვეთილია დამახინჯებული თარიღი, რომელიც ჰგავს 7-ს. ჰორმიზდ IV ტახტზე ავიდა 579 წელს, $579+7=586$ წ. ეს გარემოება კი იმაზე მიუთითებს, რომ ამ მონეტის ემისია არ შეიძლებოდა განხორციელებულიყო 586 წელზე უფრო ადრე. ამრიგად, ე.წ. ქართულ-სასანური მონეტების მოჭრის ქრონოლოგიური ჩარჩოები დაახლოებით 8-10 წლით უნდა განისაზღვროს.

VI ს-ის 70-იანი წლების დასაწყისიდან ქართლში მღელვარებაა, რომელსაც სათავეში ერისმთავარი გურგენი უდგას [ყაუხჩიშვილი ს. 1927-28:289]. აჯანყებაა აგრეთვე სომხეთშიაც. ამას გარდა, სასანელთა ირანი მძიმე ბრძოლებს აწარმოებს ბიზანტიის წინააღმდეგ: 589 წ. ბიზანტიელები ამარცხებენ მონინაალმდეგეს ნისიბისის ახლოს [Сказкин С. 1967:396]. ამავე დროს ირანის შაჰის წინააღმდეგ ბრძოლას იწყებს მისივე სარდალი ბაჰრამ ჩუბინი. ამით სარგებლობს ოპოზიცია, ტახტიდან ჩა-

მოაგდებენ ჰორმიზდ IV (590 წ. 6.02.) და თვალს დათხრიან. 15 თებერვალს ტახტს ხოსრო II იკავებს, მაგრამ ვერც იგი უმკლავდება ბაჰრამ ჩუბინს და ირანის შაჰი თავის მოსისხლე მტერთან – ბიზანტიის იმპერატორთან – გარბის და მისგან თხოულობს შევლას. სწორედ ამ ხანებში უნდა განხორციელებინა ერისმთავარ გურგენს თავის სამონეტო რეგალია. 591 წლის დასაწყისში კეისარი მავრიკეს (582-602 წწ.) რაზმების დახმარებით ხოსრო II იბრუნებს ტახტს. სამაგიეროდ ხოსრო II-ს დიდი კომპენსაციის გაღება მოუხდა ბიზანტიის სასარგებლოდ. მან დათმო სომხეთის დიდი ნაწილი და ქართლი თბილისამდე. გარდა ამისა, ხოსრო II ნება დართო ირანის ტერიტორიაზე ქრისტიანული ეკლესიის მშენებლობისა. 10 წლის განმავლობაში ბიზანტიარიანის ზავი არ დარღვეულა (ამ საკითხების შესახებ დანვრილებით იხ. [დუნდუა გ. 1976, №№ 1,3:97-109, 45-53; დუნდუა გ., ... 2006:133-148]). სწორედ ეს ისტორიული კონიუნქტურა უნდა გვქონდეს მხედველობაში, როდესაც კვარცლბეკზე აღმართულ ჯვრის გამოსახულებიანი ქართულ-სასანური მონეტებისა და მცხეთის ჯვრის ტაძრის მშენებლობის საკითხებთან დაკავშირებით ვმსჯელობთ.

აკად. გ. ჩუბინაშვილის გამორკვეული აქვს, რომ მცხეთის ჯვრის დიდი ტაძრის მშენებლობა VI ს-ის 90-იან წლებში იწყება [ჩუბინაშვილი გ. 1948]. ყველა ნიშნის მიხედვით, კვარცლბეკზე ჯვრის გამოსახულებიანი მონეტების ემისია და ტაძრის მშენებლობის დაწყება სინქრონულია. **თავისი პოლიტიკური მნიშვნელობით (სხვა ასპექტებს, ცხადია, არ ვეხები) ეს ორი მომენტი (მონეტის მოჭრა და ტაძრის მშენებლობა) ტოლფასოვანი ღონისძიებანია. ორივე მათგანს, მინიატურულ მონეტას და გრანდიოზულ ტაძარს ერთი და იგივე პოლიტიკურ-იდეოლოგიური ფუნქცია აკისრია: საქვეყნოდ განცხადება ზოროასტრიზმის აღსასრულისა ქართლში (თუნდაც დროებით) და ქრისტიანული რელიგიის (მაშასადამე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი პოლიტიკის) აპოთეოზი.**

ლიტერატურა:

აფაქიძე ან. 1975: „დიდი პიტიუნტი“ – არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში, დიდი პიტიუნტი, I, თბ.

აფაქიძე ან., ნიკოლაიშვილი ვ. 1996: მცხეთის წარჩინებულთა განსასვენებელი, ახ.წ. III საუკუნისა – აკლ-დამა 905, მცხეთა XI.

გამყრელიძე ალ., ყაუხჩიშვილი ს. 1961: გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. I.

დუნდუა გ. 1973: საქართველოში გავრცელებული ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სახელით მოჭრილი მონეტები, „მაცნე“, ისტორიის... სერია, № 1, თბ.

დუნდუა გ. 1975: სამონეტო მიმოქცევა და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი ბიჭვინტაში ნუმისმატიკური მასალების მოხედვით ძვ.წ. II-ახ.წ. IV სს., „დიდი პიტიუნტი“, I, თბ.

დუნდუა გ. 1976: ქართულ-სასანური მონეტების პრობლემა და ადრეფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის საკითხები, „მაცნე“, ისტორიის... სერია, № 3, თბ.

დუნდუა გ. 1979: საქართველოს სამონეტო განძები (რომაული ხანის მონეტები სოფ. ეკიდან და სეფიეთიდან), „მეცნიერება“, თბ.

დუნდუა გ. 1997: ანტიკური ხანის უცხოური მონეტების განძები კოლხეთიდან (ძვ.წ. IV-ახ.წ. IV სს.), გურია, II, „მეცნიერება“, თბ., გვ. 80-107.

დუნდუა გ. 2002: სავლაკი თუ სავმაკი? კრ. „ოჩხარი“, თბ.

დუნდუა გ. 2003: კოლხური თეთრი (ზოგადი მიმოხილვა), კრ. იბერია-კოლხეთი № 1, თბ., გვ. 33-49.

დუნდუა გ. 2005: სამონეტო მიმოქცევა იბერიაში I-IV საუკუნეებში, კრ. იბერია-კოლხეთი, № 2, თბ., გვ. 170-180.

დუნდუა გ. 2008: სამონეტო მიმოქცევა იბერიაში ძვ.წ. V-I საუკუნეებში, კრ. იბერია-კოლხეთი, № 4, თბ.,

დუნდუა გ., კახიძე ამ. 1978, 1979: კოლხური თეთრის გენეზისის საკითხები, „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № 4, გვ. 48-61, (წერილი პირველი); „მაცნე“, ისტორიის... სერია, № 2, თბ., 66-73. (გაგრძელება).

დუნდუა გ., დუნდუა თ. 2006: ქართული ნუმისმატიკა, ნაწ. I, გამომც. „არტანუჯი“, თბ.

დუნდუა გ., დუნდუა თ. 2009: ანტიკური პერიოდის კავკასიის ნუმისმატიკის საკითხები, გამომც. „უნივერსალი“, თბ.

ვარშალომიძე ირ. 2005: სირაკუზის მონეტა ფიჭვნარიდან. ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, III, ბათუმი.

ინაძე მ. 1962: სავაჭრო ურთიერთობათა ისტორიიდან ძველ კოლხეთში, კავკასიურ-აღმოსავლური კრებული, II, თბ.

ინაძე მ. 1975: ათენი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი, „მაცნე“, ისტორიის... სერია, № 1.

კაპანაძე დ. 1969: ქართული ნუმისმატიკა, თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომც.

კაჭარავა დ. 1971: ოჩამჩირის ანტიკური ხანის ნაქალაქარის (გიენოს) ქრონოლოგიისა და ტოპოგრაფიისათვის, სმამ B2, №3.

კეჭაყმაძე ნ. 1961: ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო (თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნ. კეჭაყმაძის თბ.

ლომოური ნ. 1958: ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკვეთი I, თბ.

ლომოური ნ. 1968: ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ.

ლორთქიფანიძე გ. 1991: ბიჭვინტის ნაქალაქარი, თბ., თსუ გამომც.

ლორთქიფანიძე ოთ. 1957: ანტიკურ ხანაში ინდოეთიდან შავიზღვისპირეთისაკენ მიმავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზის შესახებ, სმამ, XIX, # 3, თბ.

ლორთქიფანიძე ოთ. 1966: ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ.

მაკალათია ს. 1941: არქეოლოგიური აღმოჩენები საქართველოში, სოფ. საკობიანოში, დაბლაგომში და ალაიანში, სსმმ, XI- B, თბ.

მაკალათია ს., 1944: სეფიეთში აღმოჩენილი რომაული ფულეების განძი, სსმმ, XII-B, თბ.

მუსხელიშვილი დ. 1966: ქალაქი უჯარმა, თბ.

ნადირაძე ჯ. 1975: ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ.

პატარიძე მ. 2011: სვანეთში აღმოჩენილი ანტიკური ხანის მონეტები. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ჰუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, შრომები, III, თბ., გამომც. „მერიდიანი“.

რამიშვილი რ. 1963: არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში, მსკა III, თბ.

რამიშვილი რ. 1971: ერნოს ველი ანტიკურ ხანაში, ძმ, 27-28.

ყაუხჩიშვილი ს. 1927-28: პირველი ცნობა ტფილისის შესახებ, სსმმ, ტ. IV, თბ.

ყაუხჩიშვილი ს. 1934: გეორგიკა II, თბ.

ყაუხჩიშვილი ს. 1965: გეორგიკა II, თბ.

შეროზია მ. 2011: რომაული აურეუსების ადგილობრივი (იბერიული) იმიტაციების ახალი ნიმუშები, სმმ №2 (47-13).

ჩართოლანი შ. 2010: ლარილარის სამაროვანი, შრომები, თბ.

ცუხიშვილი იზ. 1977: ბიჭვინტის ბიზანტიური მონეტები „დიდი პიტიუნტი“, II.

ჭილაშვილი ლ. 1961: ნაქალაქარი ურბნისი, თბ.

Акопьян А. 2011: Новое в Грузино-Сасанидской нумизматике: второй известный тип монет Гургена I, Нумизматика и эпиграфика, т. 18, М.

Археологические исследования в Цебельде (результаты раскопок 1977 г.), Тбилиси, 1983.

Воронов Ю. 1975: Тайна Цебельдинской долины, М.

Гайдукевич В. 1949: Боспорское царство, М-Л.

Гайдукевич В. 1962: Еще о восстании Савмака, ВДИ, № 1, М.

Гайдукевич В. 1968: К дискуссии о восстании Савмака, сб., Античная история и культура Средиземноморья и Причерноморья, Л.

Голенко К. 1960: Новый тип монет царя Сав(лака), საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. XXV, №1, თბ.

Голенко К. 1963: Еще о монетах приписываемых Савмаку, ВДИ, № 3, М.

Голенко К. 1964: Денежное обращение Колхиды в римское время, Л.

Голенко К. 1971: Заметки об обращении римской монеты в Закавказье, ВДИ, № 4, М.

Голенко К. 1974: Аристарх Колхидский и его монеты, ВДИ, № 4, М.

Голенко К. 1977: К датировке монет Диоскуриады, НС, Тб.

Голенко К., Капанадзе Д. 1968: Монеты найденные в селении Згудери (Грузинская ССР) в 1964-1965 гг., ВДИ, № 1.

Джалаганиа И. 1979: Иноземная монета в денежном обращении Грузии V-XIII вв., Тб.

Джалаганиа И. 1980, 1981: Монетные клады Грузии I, - Клад сасанидских и византийских монет из Цители Цкаро, Тб.

Дундуа Г. 1987: Нумизматика античной Грузии, Тб., изд. «Мецниереба».

Дундуа Г. 2009: Сопеничество Сасанидского Ирана и Византии в Иберии (Картли) по нумизматическим материалам, Б.-Ш.

Зограф А. 1931: Несколько добавочных замечаний по поводу Герзеульского клада, ИГАИМК, вып. VII, М.-Л.

Зограф А. 1945: Распространение находок античных монет на Кавказе, ТОНГЭ I, Л.

Иващенко М. 1931: Герзеульский клад монет Кесарии Кападокийской, ИГАИМК, вып. 10, VII, Л.

Капанадзе Д. 1970: Новые находки подражаний римским ауреусам в Грузии, ВДИ, № 4, М.

Капанадзе Д., Голенко К. 1957: К вопросу о происхождении колхидок, ВДИ, № 4, М.

Карышковский П. 1977: К вопросу об обращении статов Лисимаховского типа в Причерноморье, НС, Тб.

Меликишвили Г. 1959: К истории древней Грузии, Тб.

Мушегян Х. 1983: Денежное обращение в Армении (V до н.э. – XIV в. н.э.), Ереван.

Мушегян Х. 1987: История нумизматики Армении, Ереван.

Латыщев В. 1896: Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказа, I, С.-П.

Пагава И. 2011: Новый тип грузино-сасанидских драхм с крестом. – Тезысы международной научной конференции «Археология, Этнология, Фольклористика Кавказа», Тб.

Пахомов Е. 1926: Монетные клады Азербайджана и Закавказья, вып. I, Б.

Раджабли А. 1997: Нумизматика Азербайджана (очерки истории монетного дела и денежного обращения Азербайджана), Б.

Сказкин С. 1967: История Византии, т. 3.

Цкитишвили Г. 1965: Из исторической географии Картлийского царства античной эпохи, автореферат диссертации, Тб.

Цоцелия М. 1981: Каталог сасанидских монет Грузии, Тб.

Чубинашвили Г. 1948: Памятники типа Джвари, Тб.

Simon H. 1977: Die Sasanidischen Munzen des Fundes von Babylon, vol. V, 1976, Acta iranica, Teheran-Liege, Pl. XX, #442.

Mattingly H. 1960: Roman Coins, L.

Mommsen Th. 1856: Romische Geschichte, V, Berlin.

ილუსტრაციების აღწერილობა:

ტაბ. I – 1. ე.წ. კოლხური ტეტრადრაქმა; 2. I ტიპის კოლხური დიდრაქმა; 3. II ტიპის კოლხური დიდრაქმა.

ტაბ. II – 1. ე.წ. კოლხური ტეტრადრაქმა; 2. I ტიპის კოლხური დიდრაქმა; 3. II ტიპის კოლხური დიდრაქმა. (გრაფიკული ჩანახატები).

ტაბ. III – 1. კოლხური დრაქმა; 2. I ტიპის კოლხური ნახევარდრაქმა; 3. II ტიპის კოლხური ნახევარდრაქმა; 4. კოლხური ჰემიტეტარტემორიონი.

ტაბ. IV – 1. ალექსანდრე მაკედონელის სტატერი; 2. ალექსანდრე მაკედონელის სტატერის ქართული მინაბადი; 3. ლისიმაქეს სტატერი; 4. ე.წ. აკის სტატერი; 5-6. ლისიმაქეს სტატერის ქართული მინაბადი; 7. დიოსკურიის სპილენძის საქალაქო მონეტა; 8. ე.წ. საე(ლაკის), თუ საე(მაკის) მონეტა; 9. არისტარქე კოლხის დრაქმა.

ტაბ. V – 1. ავგუსტუსის დენარი; 2. ავგუსტუსის დენარის მინაბადი; 3. II რომაული აურეუსის მინაბადი.

ტაბ. VI – 1-2. ქართულ-სასანური ანონიმური დრაქმა, მონეტის ავერსზე ჯვრის გამოსახულებით; 3-4. ქართლის ერისმთავრის გურგენის დრაქმა; 5. ქართლის ერისმთავრის ვახტანგის დრაქმა; 6. ქართულ-სასანური დრაქმა, მონეტის რევერსის კვარცხლბეკზე ჯვრის გამოსახულებით; 7-9. ქართლის ერისმთავრის სტეფანოს I დრაქმები სრული ქართული წარწერებით.

I

Dundua G.



1



2



3

II




1






2



3



III



IV



1



2



3



5



6



4



7



8



9



V



1



2



3



VI



ეგრისის სამეფოს გამაგრების სისტემის ქვესისტემები

შესავალი. ეგრისის სამეფოს თავდაცვითი სისტემის და მასში შემავალი ციხესიმაგრეების კვლევას დიდი ხნის ისტორია აქვს. ეგრისის სამეფოში ერთიანი თავდაცვითი სისტემის არსებობის შესახებ მოსაზრება პირველად აკადემიკოსმა პარმენ ზაქარაიამ გამოთქვა [ზაქარაია პ. 1991:126], რომელმაც დასავლეთ საქართველოში გამოვლენილი, IV-VI საუკუნეებით დათარიღებული ციხესიმაგრეები ერთიანი თავდაცვითი სისტემის კონტექსტში შეისწავლა. შემდგომში ეს კონცეფცია უფრო განავითარეს და ახალი მასალებით შეავსეს დავით ლომიტაშვილმა [ლომიტაშვილი დ. 2003:205-218], ვახტანგ ჯაფარიძემ [ჯაფარიძე ვ. 2006:65-136, 182-194], ომარ ლანჩავამ [ლანჩავა ომ. 2007: 70-108] და მერაბ ჭუმბურიძემ [ჭუმბურიძე მ. 2009].

დასავლეთ საქართველოში არსებული რელიეფის მრავალფეროვნება - ქედბად, სერებად და ხეობებად დანაწევრებული რელიეფი (მდინარის ხეობა, მაღალი მთა ან გორა), სასიმაგრო სისტემის ჩამოყალიბებისათვის, მეტად ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა და ციხის ასაგებად შესაფერისი ადგილის შერჩევა ძნელი არ იქნებოდა [ზაქარაია პ. 1991:161]; ვიწრო ხეობები, მაღალი მთები, გასამაგრებლად ხელსაყრელი გორები, ხშირი ტყეები და წყალუხვი მდინარეები, თავდაცვის დამატებით კომპონენტს წარმოადგენდა. გარდა ამისა, მაღალი ქედებით გარშემორტყმულ დასავლეთ საქართველოში მოხვედრა ზამთარში, დიდთოვლობის დროს, ფაქტიურად შეუძლებელი იქნებოდა და იქ საომარი ოპერაციების სანარმოებლად წელიწადის მხოლოდ ნახევარი დრო თუ იქნებოდა გამოსადეგი (ტაბ I.1).

როგორც ქვემოთ ვნახავთ, სწორედ გეოგრაფიულმა გარემომ ითამაშა გადამწყვეტი როლი ეგრისის სამეფოს თავდაცვითი სისტემის ხასიათის და მისი შემადგენელი ქვესისტემების ფორმირების პროცესში.

კვლევის პროცესში ისტორიული გეო-

გრაფიის დახმარებით მოვახერხეთ ეგრისის სამეფოს თავდაცვითი სისტემაში შემავალი ქვესისტემების მდებარეობისა და გავრცელების არელების განსაზღვრა. რა თქმა უნდა, ჩვენ მიერ შემოთავაზებული ქვესისტემების რაოდენობა და მათი მდებარეობა ერთგვარად პირობითია და უპირველეს ყოვლისა, სწორედ ისტორიული გეოგრაფიის პრინციპებს ეყრდნობა - ციხესიმაგრეთა ამა თუ იმ „ქვეყანაში“ ერთიანობას, მათი მდებარეობის საერთო მახასიათებლებს, მათ რომელიმე მდინარის აუზში ან ხეობაში მდებარეობას და ა.შ. აღნიშნული პრინციპებით ხელმძღვანელობისას, ჩვენ ეგრისის სამეფოს თავდაცვით სისტემაში სულ 7 ქვესისტემა გამოვყავით: 1. შავი ზღვის სანაპირო ზოლის გამაგრების ხაზი; 2. სამხრეთ სექტორის გამაგრების ქვესისტემა; 3. სამხრეთ-აღმოსავლეთ სექტორის გამაგრების ქვესისტემა; 4. აღმოსავლეთ სექტორის გამაგრების ქვესისტემა; 5. მოხირისის „ქვეყნის“ გამაგრების ქვესისტემა; 6. ჩრდილო-დასავლეთ სექტორის გამაგრების ქვესისტემა და 7. ცენტრალური მონაკვეთის გამაგრების ქვესისტემა.

შავი ზღვის სანაპირო ზოლის გამაგრების ხაზი. ახ.წ. I საუკუნიდან შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე იწყება რომაული გარნიზონების ჩაყენება [ფიფია კ. 2005: 58-80]. II საუკუნიდან კი აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში იქმნება სიმაგრეთა სისტემა, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში „პონტოს ლიმესის“ [Леквинадзе В. 1969:75] ან „კავკასიის საზღვარის“ [შპაიდელი მ. 1985: 134] სახელწოდებით არის ცნობილი. თავდაპირველად ეს უნდა ყოფილიყო ხის ძელებისა და მიწაყრილებისაგან შემდგარი სასიმაგრო პუნქტები, ხოლო II საუკუნიდან უკვე ქვით შენდება და ხანგრძლივი პერიოდისათვის გათვლილი კასტელებია [ლორთქიფანიძე გ. 1991: 43]. II საუკუნიდან აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში შემდეგი სამხედრო პუნქტები (კასტელები) იყო განთავსებული: გონიო-აფ-

საროსი, ფაზისი, ზიგანოსი, სებასტოპოლისი და პიტიუნტი. აღნიშნული ციხეების მთავარი დანიშნულება რომის იმპერიის აღმოსავლეთ საზღვრების დაცვა და უსაფრთხოება იყო. ასე გრძელდებოდა III საუკუნის მეორე ნახევრამდე, ვიდრე ამ ქალაქების ერთი ნაწილი გუთების თავდასხმის ობიექტი გახდებოდა [ზოსიმე. 1961: 266-269]. ამავე პერიოდში ნელ-ნელა იწყება რომის იმპერიის დასუსტება [ჯანაშია ს. 1949:21-22] და ეგრისის სამეფოს წარმოშობა [ლომოური ნ. 1973:162-165], გამომდინარე, აქედან აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში გამართული სიმაგრეების ხაზი კარგავს თავის პირვანდელ დანიშნულებას (რომის იმპერიის აღმოსავლეთ საზღვრების დაცვა) და რომის ყურადღების მიღმა რჩება. იმავდროულად კი ახლად წარმოქმნილი ეგრისის სამეფოს მესვეურებს ამ თავდაცვითი ხაზისათვის ყურადღების მიქცევა უნევს. ლაზიკასთვის ზღვისპირა გამაგრების სისტემის შენარჩუნებას და განვითარებას სასიცოცხლო მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. საზღვაო ქალაქების მეშვეობით ლაზიკა სავაჭრო ურთიერთობებს ახორციელებდა დასავლეთის ქვეყნებთან და შესაბამისად მათი გამაგრება ვაჭართა და სხვა მოხელეთა უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვანი იქნებოდა. გარდა ამისა, ყოველთვის არსებობდა ზღვიდან თავდასხმის საშიშროებაც და ამ პუნქტების დახმარებით საზღვაო შეტევების მოგერიება უნდა მომხდარიყო.

სწორედ ამიტომ, IV საუკუნიდან, შავიზღვისპირა ციხე-ქალაქები ეგრისის სამეფოს ერთიანი თავდაცვითი სისტემის ნაწილი ხდება. ეს ციხეები უმეტეს შემთხვევაში ძველ გეგმარებას ინარჩუნებენ და ისევ კასტელას ტიპის სიმაგრეებად რჩებიან. შავი ზღვის სასიმაგრო ხაზის ჩამოყალიბებაში ახალი და უკანსაკნელი ეტაპი VI საუკუნეზე მოდის, როდესაც აქ ბიზანტიელები, სპარსელებთან მოსალოდნელი ომის წინ, სიმაგრეების გამაგრებას იწყებენ - ეს ცვლილება უნდა შეხებოდა ბათუმის ციხეს, სებასტოპოლისს და პიტიუნტს. პარალელურად შენდება ახალი ციხე-ქალაქი პეტრა, რომელიც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ბიზანტიელთა მთავარი დასაყრდენი ხდება.

სამხრეთ სექტორის გამაგრების ქვე-

სისტემა. ეგრისის სამეფოს სამხრეთ საზღვრები დაახლოებით იგივე ხაზზე გადიოდა, რომელზეც საქართველოს თანამედროვე საზღვარი - მესხეთის ქედის ხაზზე. მესხეთის ქედი 140 კმ სიგრძისაა. ის გადაჭიმულია შავი ზღვის სანაპიროდან ბორჯომის ხეობამდე.

სამეფოს სამხრეთი თავდაცვითი ხაზი იმერეთის, აჭარის, უმეტესად კი დღევანდელი გურიის რეგიონის ტერიტორიაზე იყო განათვისებული. სამნუხაროდ, აფხაზეთში, სამეგრელოში, იმერეთში და აჭარაში გამოვლენილი ციხე-სიმაგრეებისაგან განსხვავებით, გურიაში გამოვლენილი საფორტიფიკაციო ნაგებობები ჯეროვნად არ არის შესწავლილი. ცალკეული შემთხვევების გარდა, მათი ქრონოლოგია ზოგადად შუა საუკუნეებით არის განსაზღვრული. ძალზე მწირია სამშენებლო ტექნოლოგიების ანალიზი. კიდევ უფრო ნაკლებია არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული მასალები, რაც აღნიშნულ რეგიონში არსებული საფორტიფიკაციო სისტემის კვლევას საკმაოდ ართულებს.

ეგრისის სამეფოში ბუნებრივად ყველაზე უკეთ დაცული სწორედ სამხრეთ საზღვრები იყო და ამ მხრიდან სამეფოში შეჭრა თითქმის შეუძლებელი იყო. მესხეთის ქედის მთელ სიგრძეზე, შავი ზღვიდან ბორჯომის ხეობამდე, ორი ძირითადი გადასასვლელი არსებობდა, საიდანაც მეტ-ნაკლებად კომფორტულად შეიძლებოდა სამეფოს შიდა რაიონებში მოხვედრა: ერთი - პეტრა-ციხისძირის გავლით, ხოლო მეორე - აბასთუმან-ბაღდადის გზით, ზეკარის უღელტეხილის გავლით, რომელიც სპარსეთის პროვინციებს ეგრისთან აკავშირებდა. ეს გზა ხანისწყალის ხეობაზე გადიოდა და საგანგებოდ იყო გამაგრებული დიშის და ვარდციხის ციხეებით, რომლებიც სამეფოს სამხრეთ-აღმოსავლეთ თავდაცვით ხაზს ქმნიდნენ. პეტრა-ციხისძირი კი ზღვისპირა ფორპოსტს წარმოადგენდა. აღნიშნულ გადასასვლელებს შორის მოქცეულ, საკმაოდ ვრცელ, ხაზზე (100 კმ) მესხეთის ქედის გადალახვა ბევრად რთული იქნებოდა. თუმცა მიუხედავად ამისა, ქედზე არსებული ხეობები მაინც საგანგებოდ უნდა ყოფილიყო გამაგრებული.

ერთ-ერთი ასეთი გამაგრება უნდა ყო-

ფილიყო მდ. სულორის ვინრო ხეობებიდან გამოსვლის ადგილას, დღევ. სოფ. სულორში და მთისძირში, სადაც ციხეების ნაშთებია გამოვლენილი [იხ. გამყრელიძე გ., 1982: 101-123]. აქედან დასავლეთით 15 კმ-ში კი მდებარეობდა ტოლების (ტელეფისი) ციხე, რომელიც მდ. ხევისწყალის გასწვრივ გამავალ გზას უწევდა კონტროლს და თავისი მდებარეობიდან გამომდინარე, ეგრისის სამეფოში ერთ-ერთ საკვანძო სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა. ციხის სიახლოვეს გადიოდა უმნიშვნელოვანესი გზა, რომელიც მოხირისის მხარეს შავი ზღვის სანაპიროსთან აკავშირებდა. ასევე ხეობის ჩამკეტი ფუნქციები უნდა ჰქონოდათ ასკანას (მდ. ბახვისწყალის ხეობაზე), ბუკისციხეს (მდ. სუფსას ხეობაზე) და ზოტის ციხეს (მდ. გუბაზოულის ხეობაზე).

სადაზვერვო-საგუშაგო ფუნქციები უნდა ჰქონოდა სოფ. ზემო შუხუთში გამოვლენილ ციხეს, საიდანაც ჩრდილოეთით საკმაოდ დიდი ფართობები იზვერება უნაგირა მთის ჩათვლით. აქედან, როგორც ცნობილია, კიდევ ერთი თავდაცვითი ხაზი მუშაობდა.

ეგრისის სამეფოს სამხრეთი მონაკვეთის თავდაცვით სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უნდა ჰქონოდა ლიხაურის ციხეს, რომელიც მოხირისიდან შავი ზღვისაკენ (პეტრა, ბათუმის ციხე, გონიო), ტოლების ციხის გავლით წამოსულ გზაზე მდებარეობდა და ამ გზის უსაფრთხოებაზე ზრუნავდა.

სამწუხაროდ, ზემოთ ჩამოთვლილი ციხესიმაგრეების ზუსტი ქრონოლოგია უმეტეს შემთხვევებში დადგენილი არ არის, მაგრამ თითოეული მათგანის მდებარეობა (მდინარეების ხეობებთან, მაღალ მთებზე) და გეგმარება (გალავნების ლანდშაფტზე მორგება) გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნული ციხეები (ან მათ ადგილზე მანამდე მდგომი სიმაგრეები) ეგრისის სამეფოს სამხრეთ თავდაცვითი ხაზის შემადგენელი ნაწილები უნდა ყოფილიყო. ამის თქმის საფუძველს ისიც იძლევა, რომ, თუ არა ზოტის, ბუკისციხის, ლიხაურის, ტოლების, მთისძირის ციხეები, სამხრეთიდან გადმომავალ ხეობებით ეგრისში მოხვედრა სპარსეთის პროვინციებიდან ბევრად ადვილი იქნებოდა. შესაბამისად, საფიქრებელია, რომ ეგრისის სამეფოს მესვეურები

(ლაზები, ბიზანტიელები) სპარსეთთან არსებული კონფლიქტური მდგომარეობის გათვალისწინებით, აუცილებლად იზრუნებდნენ ამ ხეობების გამაგრებაზე.

სამხრეთ-აღმოსავლეთ სექტორის გამაგრების ქვესისტემა. ეგრისის სამეფოს სამხრეთ-აღმოსავლეთ თავდაცვითი ხაზი მდ. ხანისწყალის გასწვრივ მდებარეობდა და მასში ორი სიმაგრე - დიმი და ვარდციხე-როდოპოლისი ერთიანდებოდა. როგორც ცნობილია, მდ. ხანისწყალზე გადმოდიოდა ეგრისის სამეფოში შემავალი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზა, რომელიც IV ს-ის რომაულ სავაჭრო რუკაზეც (*Tabula Peutingeriana*) ფიქსირდება: ეს გზა სათავეს იღებს ქ. არტაშატში და შემდეგ ჩრდილო-დასავლეთ მიმართულებით ქ. სებასტოპოლისამდე (სოხუმი) გრძელდება. რუკაზე სწორედ ხანისწყალის ხეობაზე გადმომავალი გზა უნდა იყოს დატანილი, რომელიც ზეკარის გადმოსასვლელით, აბასთუმან-ბაღდათის გავლით, დღევანდელ ჯავახეთს იმერეთთან აკავშირებს.

დიმის (ისტორიული დიმნას) ციხე მდებარეობს მდინარეების საკრაულასა და ხანისწყლის ვინრო ხეობებიდან გამოსვლის ადგილას, ამ ორი მდინარის ხერთვისთან. ზეკარის უღელტეხილით ისტორიული ოძრხედან და მისი მიმდებარე ტერიტორიებიდან დასავლეთ საქართველოში არსებული გადმოსასვლელები, რომლებიც მდ. ხანისწყალის და მდ. საკრაულას ხეობებზე გადიოდა და შესაბამისად, დიმის ციხის მთავარი დანიშნულებაც ამ ორ ხეობაზე გადმომავალი გზების კონტროლი და საჭიროების შემთხვევაში მათი დაცვა იყო [მურღულია ნ. 2011ა:138]. სწორედ ამიტომ, ციხის ასაშენებლად თავიდანვე ისეთი გორაკი შეარჩიეს, რომელიც ამ ორი მდინარის შესართავთან მდებარეობდა და შესაბამისად, ორივე მათგანის ხეობის ჩაკეტვა შეეძლო (ტაბ.V.2). ამავდროულად, ციხიდან კარგად მოჩანს ორივე ხეობიდან გამოსასვლელები, ხოლო ჩრდილოეთით და დასავლეთით საკმაოდ ვრცელ მანძილზე იზვერება დღ. ზესტაფონისა და ბაღდათის რაიონები, რაც ციხის გუშაგებს საშუალებას მისცემდა სრული ვიზუალური კონტროლი დაეწესებინათ, როგორც ხეობიდან გადმომავალ, ისე ვარდციხიდან მომავალ

გზებზე.

დიმის შემდეგ ეს გზა მიაღწევდა ვარდციხემდე, ხოლო იქიდან, როგორც უკვე აღინიშნა, უფრო ჩრდილოეთით მიემართებოდა სებასტოპოლისისაკენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი წლების კვლევა-ძიებამ დასავლეთ საქართველოში გამოავლინა ორი ახალი ციხე ჩხორონყუს და მარტვილის რაიონებში, რომელიც ჩვენი აზრით ცვლის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ აღნიშნულ გზას ქუთაისის გავლის შემდეგ არქეოპოლისის სიახლოვესაც უნდა გაეარა. ჩვენი აზრით, ვარდციხიდან სებასტოპოლისისაკენ მიმავალი გზა ქუთაისის შემდეგ ახლოს ჩაუვლიდა ნამაშევის სიმაგრეს (დღევ. ხონის რაიონის, სოფ. გუბი), შემდეგ გადავიდოდა მდ. ცხენისწყალზე, ხოლო იქიდან მიემართებოდა არა მხოლოდ დასავლეთით არქეოპოლისისაკენ, არამედ ჩრდილო-დასავლეთით დღ. მარტვილის და ჩხორონყუს რაიონებისაკენ, სადაც გარემოზე დაკვირვების შედეგად იკვეთება მეტად ხელსაყრელი მარშრუტი, დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახვედრად, სოფ. კურზუს (მარტვილის რ-ნი) და სოფ. ნაფიჩხოვოს გავლით (ჩხორონყუს რ-ნი), რომლებშიც IV-VI სს-ის ორი ციხეა გამოვლენილი, საიდანც დღ. ნალენჯიხის და ზუგდიდის რაიონების გავლით შესაძლებელი იქნებოდა მდ. ენგურის იმ მონაკვეთამდე მიღწევა, რომელზეც დღესაც მთავარი მაგისტრალი გადის (თბილისი-სენაკი-ლესელიძე) და სადაც ასევე გამოვლენილია ადრეშუა საუკუნეების პერიოდის სათანჯოს ციხე (ენგურის მარჯვენა სანაპიროზე), აქედან კი ჩრდილო-დასავლეთ მიმართულებით გზა მიემართებოდა სებასტოპოლისისაკენ [მურღულია ნ. 2011ბ:58-71] (ტაბ. IV.2). ხოლო არქეოპოლისისაკენ მიმავალი გზა, ცხენისწყალის გადავლის შემდეგ, მიაღწევდა რა ნოქალაქევს, სავარაუდოდ სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიემართებოდა, დღევანდელი ნოქალაქევი-სენაკის საავტომობილო გზის პარალელურად.

ვარდციხის ფუნქციის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა, როგორც მისი მდებარეობა, ისე ნერილობითი ნყაროები და ძეგლებზე გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა. როგორც ზემოთ აღინიშნა,

ციხე-ქალაქი აშენებულია მდინარეების რიონის, ყვირილას და ხანისწყალის შესართავთან (ტაბ. V.1). ხანისწყალზე გადიოდა ეგრისის სამეფოს სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრიდან ქვეყნის სიღრმისკენ მიმავალი გზა, მდ. ყვირილას აუზი, მდი. რიონთან ერთად, დასავლეთ საქართველოს (კოლხეთი, ეგრისი) ერთ-ერთ უმთავრეს სატრანზიტო არტერიას წარმოადგენდა.

შესაბამისად, გადაჭარბებული არ იქნებოდა, თუკი ვიტყვით, რომ ვარდციხე-როდოპოლისი, სამეფოს ერთ-ერთ უმთავრეს გზაჯვარედინზე მდებარეობდა, სადაც თავს იყრიდა სამეფოს სამხრეთიდან, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან მომდინარე გზები.

აღმოსავლეთ სექტორის გამაგრების ქვესისტემა. ეგრისის სამეფოს აღმოსავლეთი საზღვრები ლიხის ქედზე გადიოდა. ლიხის ქედი ისტორიულად წარმოადგენდა დასავლეთ საქართველოში მდებარე სამეფოების (კოლხეთი, ეგრისი-ლაზიკა, აფხაზთა სამეფო, იმერეთის სამეფო) აღმოსავლეთ საზღვარს. ქედის სიგრძე 100 კმ-ს აღემატება, ხოლო აბსოლუტური სიმაღლე 900 მეტრიდან 2500 მეტრამდეა. შესაბამისად, ლიხის ქედი ყოველთვის წარმოადგენდა ბუნებრივ წინაღობას, აღმოსავლეთიდან დასავლეთ საქართველოში მოსახვედრად და პირიქით. ქედის პერპენდიკულარულად სამი ძირითადი გადასასვლელი არსებობდა, რომლებიც მეტ-ნაკლებად ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ქედის გადასალახად. ესენი იყო:

1. ხაშურიდან - სურამის და რიკოთის (მდ. ყვირილას ხეობით) გავლით შორაპნამდე.

2. ხაშურიდან - სურამის და ქვიშხეთის გავლით ჩხერიმელას ხეობაზე, ხარაგაულში და იქედან შორაპანში.

3. გომიდან - ალის გავლით ჩრდილო-დასავლეთისაკენ და შემდეგ, ჭიათურის გავლით, ერთი გზა მიემართებოდა სკანდაში, ხოლო მეორე - შორაპანში. თავის მხრივ სკანდადან ერთი გზა მიემართებოდა ქუთაისისკენ, ხოლო მეორე რაჭისაკენ. სწორედ ამ გზით გადავიდნენ თურქ-სელჩუკები 1068 წელს ქართლიდან დასავლეთ საქართველოში [მატიანე ქართლისა 1955:309], ასევე ალი-ჭიათურას მონაკვეთი გამოიყენა ჯარის დას. საქართველო-

ში გადასაყვანად თემურ-ლენგმა 1403 წელს [ტაბაბაძე კ. 1979:709-710]. როგორც ჩანს ეს იყო ყველაზე ადვილი და გამოსადეგი გზა აღმოსავლეთიდან დასავლეთ საქართველოში მოსახვედრად.

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ სამი გადასასვლელიდან არც ერთი არ იძლეოდა დიდი მოცულობის საჯარისო შენაერთების თავისუფლად გადაადგილების საშუალებას. შესაბამისად, თითზე ჩამოსათვლელია ის შემთხვევები, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთ საქართველოში ამ მიმართულებით რომელიმე დამპყრობელს დიდი ლაშქარი გადაეყვანოს - ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ასეთებად ზემოთ ნახსენებ ორ შემთხვევასთან ერთად შეიძლება მივიჩნიოთ პომპეუსი, სპარსთა სარდლები - მერმეროე და ნახორაგანი, მურვან-ყრუ. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთ ზემოთ ჩამოთვლილ სარდალს წინააღმდეგობას არ უწევდნენ კოლხეთის, ლაზიკის, ერთიანი საქართველოს მესვეურები და შესაბამისად, საფიქრებელია, რომ მათ ლიხის ქედზე გადასვლისათვის ბრძოლა არ დასჭირდათ, ყოველ შემთხვევაში ისტორიულ წყაროებში ამის შესახებ ცნობები არ მოიპოვება.

ისტორიული წყაროების ანალიზისა და ლიხის ქედის მიდამოებზე დაკვირვება გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ გამართული სასაზღვრო სისტემის არსებობის პირობებში ანუ მაშინ, როდესაც დასავლეთ საქართველოს სამეფოების მესვეურებს ჰქონდათ ადამიანური და მატერიალური რესურსები საზღვრის დასაცავად, ლიხის ქედის გავლით იქ მოხვედრა ფაქტიურად შეუძლებელი უნდა ყოფილიყო.

ეგრისის სამეფოსათვის აღმოსავლეთის საზღვრების დაცვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ მხრიდან მას სპარსეთი და ხშირ შემთხვევაში სპარსეთის გავლენის ქვეშ მყოფი ქართლის სამეფო ესაზღვრებოდა. შესაბამისად, აქედან მოსალოდნელი საფრთხის ალბათობაც დიდი იყო. ისტორიული წყაროების ცნობების მიხედვით აშკარა ხდება, რომ სკანდასა და შორაპნის ციხეები ხან ეგრისის, ხანაც ქართლის ხელში იყო. რაც თავისთავად მიუთითებს ამ ორი ციხის და ზოგადად ეგრი-

სის სამეფოს აღმოსავლეთ თავდაცვითი ხაზის მნიშვნელობაზე.

გამომდინარე იქედან, რომ აღმოსავლეთის ხაზი მთიან და ძნელად მისადგომ ადგილებზე იყო მოწყობილი, მისი ბრძოლით დაუფლება რთული უნდა ყოფილიყო. სწორედ ამიტომ, ასეთი რელიეფის გამო, ძნელი ხდებოდა იქ მდებარე ციხეების შენარჩუნებაც. პროკოპი კესარიელის გადმოცემით შორაპანის და სკანდას მიდამოებში „არ მოდის არც ხორბალი, არც ღვინო, არც რამ სხვა სიკეთე“ [პროკოპი კესარიელი 1965:96]. სწორედ ასეთი მკაცრი პირობების გამო ჯერ ლაზებს და შემდეგ ბიზანტიელებს უბრძოლველად მოუწიათ ამ ციხეების დათმობა და საბოლოოდ მათი მიწასთან გასწორება. მოგვიანებით ციხეები სპარსელებმა დაიკავეს, სკანდა აღადგინეს და იქ ჯარი ჩააყენეს [პროკოპი კესარიელი 1965:185-186].

ვ. ჯაფარიძე არ ეთანხმება ამ მოსაზრებას და მიაჩნია, რომ პროკოპი კესარიელის მიერ სკანდას და შორაპანის მისადგომების მწირ მინებად გამოცხადება გადაჭარბებული უნდა იყოს. მისი აზრით, გამომდინარე იქედან, რომ ამ მიდამოებში ადამიანის ცხოვრების კვალი მუსტიეს ხანიდან ფიქსირდება, შეიძლება ითქვას, რომ იქ ცხოვრებისათვის ხელსაყრელი პირობები არსებობდა [ჭუმბურიძე მ. 2009:137]. ჩვენ არ ვიზიარებთ პატივცემული მკვლევარის აზრს პროკოპი კესარიელის ცნობის უგულვებელყოფის შესახებ. ჩვენი აზრით, შესაძლოა ესა თუ ის რეგიონი გამოსადეგი ყოფილიყო სამოსახლოების არსებობისათვის, მაგრამ სულ სხვა მოცულობის და ხარისხის მომარაგება სჭირდებოდა ციხის გარნიზონის შენახვას და ისეთ მთიან რეგიონში, როგორშიც სკანდას და შორაპანის ციხეები მდებარეობს, ეფექტური და სრულფასოვანი მომარაგების განხორციელება ძნელი იქნებოდა, განსაკუთრებით ზამთარში. პროკოპი კესარიელი აღნიშნავს, რომ ლაზები ვერ აუვიდნენ შორი გზიდან პროდუქტის ზიდვას სკანდაში და შორაპანში ჩაყენებული ბიზანტიური გარნიზონებისათვის და საბოლოოდ ეს ორი ციხე სპარსელებმა ჩაიგდეს ხელში.

მოხირისის „ქვეყნის“ გამაგრების ქვესისტემა. ბიზანტიურ წერილობით წყაროებში

არაერთგზის მოიხსენიება ქალაქი და მხარე - მოხირისი/მუხირისი [პროკოპი კესარიელი 1965:101, 119, 194, 197, 202, 205, 208; აგათია სქოლასტიკოსი 1936:30, 41, 54, 55, 56, 83, 123, 157]. პროკოპი კესარიელი ასე ახასიათებს მოხირისს: „მოხირისი ერთი დღის სავალ გზაზეა არქეოპოლისს დაშორებული და შეიცავს მრავალს მჭიდროდ დასახლებულ სოფელს. კოლხიდის მინანქალზე ის საუკეთესო მხარეს წარმოადგენს: ღვინოც კარგი მოდის, და სხვა ნაყოფიც იქ კარგად ხარობენ. ამ მხარეს ჩამოუდის ერთი მდინარე, სახელად რეონი; მის სანაპიროებთან ძველადვე კოლხებს აუგიათ ციხე . . . მას ლაზები ქუთათისს ეძახიან“ [პროკოპი კესარიელი 1965:194-195].

ქართულ ისტორიოგრაფიაში გაზიარებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოხირისი მდინარეებს რიონსა და ცხენისწყალს შორის მდებარე გავაკებულ ადგილებზე მდებარეობდა და ქვეყნის მთავარ ეკონომიკურ რაიონს წარმოადგენდა და მოგვიანებით ქუთათისს ე.წ. „სამოქალაქოს“ ფარგლებში ექცეოდა [პროკოპი კესარიელი 1965:209; ჯანაშია ს. 1952:320; ბერძენიშვილი ნ. 1975:493; გამყრელიძე გ., 1982: 118; ჯაფარიძე ვ. 2006:114-119]. ჩვენ ნაწილობრივ ვეთანხმებით ამ აზრს - მოხირისის ქვეყანა აერთიანებდა თანამედროვე ქუთათისის, ბაღდათის, ვანის, სამტრედიის და ხონის რაიონების ვაკე და ნაყოფიერ ნაწილებს.

ს. ჯანაშიას მოსაზრებით, მოხირისში შედიოდა აბაშისა და მარტვილის ვაკე ნაწილებიც, თუმცა ჩვენი აზრით, ისინი უფრო ნოქალაქევის „ქვეყნის“ საზღვრებში ექცეოდნენ, ხოლო მოხირისის დასავლეთ საზღვარი მდ. ცხენისწყალზე გადიოდა.

საფორტიფიკაციო თვალსაზრისით მოხირისის მხარე ყველაზე რთულად დასაცავ რეგიონს წარმოადგენდა ეგრისის სამეფოში. ეს იყო ვაკე ადგილზე გაშლილი მხარე, სადაც მთიანი რელიეფის არქონის გამო მძლავრი თავდაცვითი სისტემის შექმნა რთული იქნებოდა. სწორედ ამ გარემოებით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ლაზები და ბიზანტიელები, სპარსელებს უბრძოლველად უთმობენ ქვეყნის ეკონომიკურად ყველაზე დაწინაურებულ და მნიშვნელოვან რეგიონს და ცხენისწყალის

დასავლეთით ამაგრებენ პოზიციებს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მოხირისის თავდაცვის ორგანიზება გამართული თავდაცვითი სისტემით და საკმარისი მატერიალური თუ ადამიანური რესურსების არსებობის შემთხვევაში შეუძლებელი ნამდვილად არ იყო. ვიდრე სპარსელები მოხირისის (ქუთათისს, ვარდციხეს, ქალაქ მოხირისს) მხარეს დაიკავებდნენ, მათ უბრძოლველად ჩაიგდეს ხელში სკანდა და შორაპანი. ასევე დანგრეული იყო ვარდციხე და შესაბამისად მორღვეული იყო მდ. ხანისწყალის ხაზზე არსებული თავდაცვითი სისტემა. შესაბამისად, იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ მოხირისის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ მისასვლელები თავისუფალი იყო, თავად ამ მხარის ციხე-ქალაქების დაცვა გართულდებოდა. შესაბამისად, უნდა ითქვას, რომ თუკი ლაზები და ბიზანტიელები საგანგებოდ დაიკავდნენ ეგრისის სამეფოს აღმოსავლეთ (სკანდა, შორაპანი) და სამხრეთ-აღმოსავლეთ (დიმი, ვარდციხე) სასაზღვრო თავდაცვით ხაზებს, მაშინ მოხირისის მხარეს საფრთხე არ ემუქრებოდა და არც ქუთათისის და დანარჩენი ციხეების დატოვება და დანგრევა გახდებოდა საჭირო.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენ მართებულად არ მიგვაჩნია იმის წარმოჩენა, რომ ლაზებმა მოხირისის მხარე უომრად მხოლოდ იმიტომ დატოვეს, რომ მათ მთავარ სტრატეგიულ ინტერესს ცხენისწყლის დასავლეთი მხარის - ნოქალაქევის „ქვეყნის“ დაცვა წარმოადგენდა. უბრალოდ აქ საქმე გვაქვს კონკრეტულ ფაქტთან, კერძოდ კი იმასთან, რომ ბიზანტიელი სამხედროების უნიათობით, თუ ობიექტური მიზეზებით (პროდუქტით უზრუნველყოფის შეფერხება), ჯერ ლაზებს და შემდეგ ბიზანტიელებს სკანდას და შორაპანის ციხეების დატოვება მოუწიათ და შესაბამისად სპარსელებისათვის ამ ციხეებში ჩადგომის შემდეგ, მოხირისის მხარის დაპატრონება პრობლემა აღარ იქნებოდა. ხოლო ლაზები და ბიზანტიელები შექმნილი ვითარებისათვის ადექვატურად მოიქცნენ და ცხენისწყალის დასავლეთით არსებული ციხესიმაგრეების გამაგრებაზე გააკეთეს აქცენტი.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მოხირისის მხარე, მიუხედავად იმისა, რომ ძირითა-

დად ვაკეზე მდებარეობდა, მაინც საკმაოდ კარგად გამაგრებული უნდა ყოფილიყო. ისევ ვიმეორებთ, გამართული სამხედრო სისტემის პირობებში (ციხეებში საკმარისი რაოდენობის გარნიზონების ყოფნა, დროული და ხარისხიანი მომარაგება) მოხირისის აღმოსავლეთ და სამხრეთ საზღვრები სათანდოდ იქნებოდა დაცული სკანდას, შორაპანის, დიმის, მთისძირის და ციხე სულორის სიმაგრეებით, ასე რომ სამეფოს მოსაზღვრე რეგიონებიდან იქმობვედრა ძალიან რთული იქნებოდა ნებისმიერი მონინალმდეგისათვის, განსაკუთრებით მასშტაბური ჯარებისათვის, რომლებსაც ვინრო ხეობების და იქ მდგარი სიმაგრეების წინააღმდეგობის გადალახვა მოუწევდათ. ამასთანავე, საკმაოდ მძლავრ საფორტიფიკაციო ნაგებობებს წარმოადგენდნენ თავად მოხირისის ძირითადი სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრებიც: ქუთაისი და ვარდციხე. მართალია, ამორ ციხეს, თავისი მდებარეობიდან გამომდინარე, არ შეეძლო დიდი ხნით წინააღმდეგობის განევა ძლიერი ჯარისათვის, მაგრამ მცირე მარბიელი ლაშქრების და ყაჩაღთა ჯგუფების წინააღმდეგ თავის დაცვა თავისუფლად შეეძლო. იგივე შეიძლება ითქვას ნამაშევის ციხეზეც, რომელიც ადვილად მისადგომია, თუმცა ისიც გალავნით იყო გარშემორტყმული და მისი აღება მონინალმდეგისათვის მნიშვნელოვანი მსხვერპლის და ხარჯების განევას მოითხოვდა.

მოხირისის მხარის ჩრდილოეთ საზღვრების დაცვას, პროკოპი კესარიელის თანახმად, უზრუნველყოფდა უქიმერიონის ციხე. სპარსელებმა მისი ხელში ჩაგდებით კონტროლი „სკვიმნიაზე და სვანიაზე“ დაანესეს [პროკოპი კესარიელი 1965:202]. ომ. ლანჩავას მოსაზრებით უქიმერიონის ციხე მონამეთას სამონასტრო კომპლექსის ადგილას მდებარეობდა [ლანჩავა ომ. 2007:9]. ჩვენ არ ვიზიარებთ ამ მოსაზრებას, თუმცა ფაქტია, რომ უქიმერიონი მოხირისის მხარის ჩრდილოეთ საზღვრების მთავარ დამცავ პუნქტს წარმოადგენდა. კიდევ ერთი ასეთი პუნქტი უნდა ყოფილიყო ხონის რაიონის სოფ. დიდღვაბუნაში, მდ. ცხენისწყალის ხეობაში გამოვლენილი ციხე, რომელიც ჩრდილოეთიდან (სვანეთიდან) ცხენისწყალის ხეობით გამომავალი

გზის ჩასაკეტად და საკონტროლებლად იქნა აშენებული. ამ ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ გაგრძელებაზე ნ. ბერძენიშვილი ახსენებს კიდევ ორ ციხეს - მათხოჯს (ხონის რ-ნი) და ხომულს (წყალტუბოს რ-ნი), რომელიც, მისი აზრით, ადრებიზანტიური ხანის ძეგლებია და მოხირისის მხარის სიმაგრეებს წარმოადგენდა. [ბერძენიშვილი ნ. 1975:454, 460-461]. ამგვარ ქრონოლოგიას არ ეთახმება ვ. ჯაფარიძე, რომელიც აღნიშნავს, რომ იქ წარმოებული არქეოლოგიური დაზვერვების შედეგად შესაბამისი პერიოდის ფენები არ გამოვლენილა [ჯაფარიძე ვ. 2006:125]. ხომულის ციხეს უკანასკნელ პერიოდში ვრცელი გამოკვლევა მიუძღვნა კ. კალანდაძემ [კალანდაძე კ. 2011]. ნაშრომიდან ირკვევა, რომ ხომულის სიმაგრე ეგრისის სამეფოს ერთ-ერთ მნიშვნელოვანი და კარგად გამაგრებული სიმაგრე იყო და მოხირისის თავდაცვით ქვესისტემაში შემავალ რგოლს წარმოადგენდა.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, აშკარა ხდება, რომ მოხირისის მხარის თავდაცვითი სისტემა ძირითადად მისი საზღვრების გამაგრებაზე იყო დაფუძნებული. მის შუაგულში მდებარე პუნქტები (ქუთაისი, ვარდციხე, ნამაშევი) ასევე კარგად გამაგრებული ციხე-ქალაქები იყო, რომლებიც მშვიდობიანობის დროს დიდწილად განსაზღვრავდნენ ეგრისის სამეფოს ეკონომიკურ სტაბილურობას და შესაბამისად, ისინი დაცულნი იყვნენ როგორც მცირე მასშტაბის მარბიელი რაზმების, ისე მძარცველების თავდასხმების საგან.

ჩრდილო-დასავლეთ სექტორის გამაგრების ქვესისტემა. ჩრდილო-დასავლეთ სექტორის თავდაცვითი ხაზი, უმეტესად, კოდორის და ეგრისის ქედების სამხრეთ-დასავლეთ კალთებზე გადიოდა და ამ ხაზის მთავარი ფუნქცია, სამეფოს, ჩრდილოეთ კავკასიიდან მომდინარე საშიშროებისაგან დაცვა იყო.

ამ თავდაცვითი ხაზის სრული სიგრძე თითქმის 100 კმ-ია და მასში სულ რვა ციხესიმაგრე იყო გაერთიანებული: ნაფინხოვო, კურზუ, ოსინდალე, სკური, სათანჯო, წარჩე, რეკა და ნებელდა. თავის მხრივ, ეს ციხეები ორ სხვადასხვა ქვესისტემაში ერთიანდებოდნენ. ეგრისის ქედის სამხრეთ-დასავლეთ კალთე-

ბზე არსებულ გადმოსასვლელებს იცავდა – ნაფიჩხოვო, კურზუ, ოსინდალე და სკური, ხოლო წარჩე, რეკა და ნებელდა - კოდორის ქედის სამხრეთ-დასავლეთ კალთებზე არსებულ გადმოსასვლელებს. სათანჯოს ციხე კი, ერთგვარად, შუალედურ რგოლს წარმოადგენდა ამ ორ ქვესისტემას შორის – მისი ძირითადი დანიშნულება მდ. ენგურის ხეობის კონტროლი და ჩაკეტვა უნდა ყოფილიყო.

როგორც ცნობილია, IV საუკუნიდან მოყოლებული ლაზები რომის იმპერიას არც ხარკს უხდიდნენ და არც მათ ლაშქრობებში იღებდნენ მონაწილეობას. ერთადერთი ვალდებულება, რომელიც ლაზებს ჰქონდათ, ჩრდილოეთის საზღვრების მომთაბარე ტომებისგან დაცვა იყო. ეს კი, პირველ რიგში, ლაზების ინტერესებში შედიოდა [ლომოური ნ. 1968:75-77]. პროკოპი კესარიელის ეს ცნობა კარგად შეესაბამება აღნიშნულ სისტემაში გაერთიანებულ ციხესიმაგრეთა მდებარეობებს. მათი აბსოლუტური უმრავლესობა, ვინრო ხეობებშია აგებული და თან ისეთი გათვლით, რომ ამ ციხეებში მდგარ გარნიზონებს სწრაფად და ეფექტურად მოეხერხებინათ მათ სიახლოვეს გამავალი მტრის შეკავება.

ნაფიჩხოვოს და კურზუს ციხეები მდ. ოჩხომურის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაპირებზე მდებარეობს და ორივე მათგანი ამ მდინარის ხეობაზე გამომავალი გზის მაკონტროლებელი და ჩამკეტი იყო [მურღულია ნ. 2011ბ:62-64]. აღნიშნული ორი ციხიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 2-2,5 კმ-ზე მდ. ოჩხომური კლდოვანი კალაპოტიდან გამოდის და შედარებით გავაკებულ ადგილებში დასავლეთისაკენ მიედინება. გარდა ამისა, ციხეებიდან აღმოსავლეთით 5 კმ-ზე, ასევე ღრმა ხეობიდან, გამოდის მდ. ტეხური და ისიც მეტ-ნაკლებად გავაკებულ ადგილზე სამხრეთისაკენ განაგრძობს დინებას. შესაბამისად, ორივე ეს ციხე, განსაკუთრებით კი კურზუ, აღნიშნული ხეობებიდან გამომავალი გზების საკონტროლებლად უნდა ყოფილიყო აგებული. გარდა ამისა, ისინი კონტროლს უწევდნენ სამეფოს ცენტრალური რაიონიდან – მოხირისიდან მომავალ გზას, რომელიც დღევანდელი ხონის და მარტვილის რაიონების გავლით სებასტოპოლისისაკენ მიემართებოდა.

ნაფიჩხოვოს და კურზუს ციხეებიდან დასავლეთით 5 კმ-ზე მდებარე ოსინდალეს ციხეც ჩრდილო-დასავლეთ სექტორის თავდაცვით სისტემაში ერთიანდება, თუმცა მას, მისი მდებარეობიდან გამომდინარე, უფრო მეტად სარეზიდენციო-ადმინისტრაციული დანიშნულება უნდა ჰქონოდა, რადგან, რომელიმე ხეობის ჩაკეტვა ამ ციხის მეშვეობით შეუძლებელი იქნებოდა. ოსინდალესგან ჩრდილო-დასავლეთით 8 კმ-ში მდებარეობს სკურის ციხე, რომელიც მდინარე ჭანისწყალის ვიწრო ხეობაზე გამავალ გზას უწევდა კონტროლს. ციხე, ხეობის ქვედა ნაწილში, მდინარის პირას იყო აშენებული და საჭიროების შემთხვევაში ციხის გარნიზონები აღნიშნული ხეობით მომავალ მონიანალმდეგეს ადვილად შეაჩერებდნენ.

როგორც ცნობილია, ეგრისის და კოდორის ხეობებს ერთმანეთისაგან მდინარე ენგური ჰყოფს. ასევე ცნობილია, რომ ისტორიულად, მდ. ენგურის ხეობაზე სამეგრელო-აფხაზეთის და სვანეთის დამაკავშირებელი უმთავრესი გზა გადიოდა. დღეისათვის მდ. ენგურის ნაპირების გაყოლებაზე ეგრისის სამეფოს პერიოდის მხოლოდ ერთი სიმაგრეა გამოვლენილი – ეს არის სათანჯოს ციხე, რომელიც სავარაუდოდ, კონტროლს უწევდა ენგურის გასწვრივ გამავალ გზას და ამავდროულად დღევანდელი სამეგრელოდან აფხაზეთისაკენ მიმავალ გზასაც აკონტროლებდა.

სამწუხაროდ, მდ. ენგურის ზემო წელზე, იქ სადაც ის კლდოვანი ნაპირებიდან გამოდის ანუ დაბა ჯვართან, ამ პერიოდის ციხის ნაშთები მიკვლეული არ არის, რაც ერთგვარ „სიცარიელეს“ ქმნის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთ სექტორის თავდაცვითი სისტემის ცენტრალურ ნაწილში. ჩვენი აზრით, ამ მონაკვეთზე რაიმე სახის თავდაცვითი ნაგებობა (ციხე, კოშკი, ჩამკეტი კედელი) აუცილებლად იქნებოდა გამართული, რომელიც, შესაძლოა, მომავალმა არექოლოგიურმა დაზვერვებმა გამოავლინოს.

საკმაოდ შთამბეჭდავად გამოიყურება სამეფოს ჩრდილო-დასავლეთ სექტორის თავდაცვითი სისტემის ის ხაზი, რომელიც დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარეობს. წარჩეს და რეკას ციხეები კოდორის

ქედის სამხრეთ კალთებზე მდებარე გადმოსასვლელებს კეტავდა და შესაბამისად იქედან წამოსულ მტერს სამეფოს ცენტრალური მონაკვეთისაკენ და შავი ზღვის სანაპირო ზოლისაკენ მიმავალ გზებს უკეტავდა. აღსანიშნავია, რომ ორივე ეს ციხე მდ. ღალიძგის (ისტ. ეგრისწყალი) სამხრეთით მდებარეობს, ანუ ისინი ისტორიული (ეთნიკური) ეგრისის საზღვრებში მდებარეობდნენ.

რაც შეეხება ნებელდას ციხეს, ის ისტორიული აფშილეთის უმთავრეს ციხესიმაგრეს წარმოადგენდა, რომელიც მდ. კოდორის ხეობას აკონტროლებდა, იქ არსებულ გადმოსასვლელებს კეტავდა და შესაბამისდ, ნებელდას ციხე მისგან დასავლეთით 20 კმ-ზე მდებარე სებსტოპოლისის უმთავრეს დამცავ სიმაგრეს და ამავედროულად, ეგრისის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთ სექტორის უკიდურეს ჩრდილოეთ ფორპოსტს წარმოადგენდა.

ჩრდილო-დასავლეთ სექტორის თავდაცვითი სისტემის გამართულობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მთლიანად ეგრისის სამეფოს უსაფრთხოებისათვის. ზემოთ ნახსენები ციხეები კონტროლს უწევდნენ გადმოსასვლელებს და გზას უღობავდნენ ჩრდილო კავკასიიდან მტრის შემოსვლას, რაც სამეფოსათვის მეტად საზიანო იყო. შესაბამისად, ეგრისის და კოდორის ქედებზე არსებული ძირითადი გადმოსასვლელები საგანგებოდ იყო გამაგრებული. როგორც პროკოპი კესარიელის ცნობით ირკვევა, ამას არა მხოლოდ ეგრისისათვის, არამედ ჯერ რომის და შემდეგ ბიზანტიის უსაფრთხოებისთვისაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მომთაბარე ტომების ეგრისის ტერიტორიაზე შეჭრის შემთხვევაში, მათთვის წინააღმდეგობის გაწევა ძალიან რთული იქნებოდა და ამასთანავე მათ გზა ეხსნებოდათ ერთის მხრივ, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე გაშენებული მნიშვნელოვანი სავაჭრო ქალაქებისაკენ – პიტიუნტი, სებასტოპოლისი, პეტრა და სხვ. და მეორეს მხრივ, სამხრეთ მიმართულებით – რომისა და ბიზანტიის აღმოსავლეთ პროვინციებისაკენ.

სამეფოს ჩრდილო-დასავლეთ სექტორის დაცვას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა საომარი მოქმედებების დროს. კერძოდ, ქართლთან და სპარსეთთან ბრძო-

ლის შემთხვევაში, ჩრდილო კავკასიის გადმოსასვლელების ჩაკეტვა ეგრისის მესვეურებისათვის, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოწინააღმდეგეს შესაძლებლობა მიეცემოდა მეორე ფრონტი გაეხსნა ჩრდილოეთიდან. ცნობილია, რომ მთავარი გადმოსასვლელები ქართლიდან და სპარსეთიდან ლიხის (აღმოსავლეთი) და მესხეთის (სამხრეთი) ქედებზე მდებარეობდა. ამ მიმართულებით განხორციელებული შეტევის მოგერიების პარალელურად, ეგრისის მესვეურებს მოუწევდათ ჩრდილოეთიდან შემოსული დაქირავებული ან მოკავშირე მომთაბარე ტომების მოგერიებაც, რაც სამხედრო ნაწილების დაქსაქსვას და ფრონტის გაშლას გამოიწვევდა. შესაბამისად, ჩრდილოეთ მიმართულების სათანადო გამაგრება ეგრისის სამეფოს ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა.

დღეისათვის ძნელი სათქმელია თუ რამდენად გამართულად მოქმედებდა სამეფოს ჩრდილო-დასავლეთის თავდაცვითი ხაზი. წერილობით წყაროებში შემონახულია რამდენიმე ცნობა ეგრისში ჩრდილო-დასავლეთიდან სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ჯარის შემოჭრის შესახებ, თუმცა დეტალური აღწერილობა იმისა, თუ რა გზებით შეიჭრნენ ისინი ეგრისში დაზუსტებული არ არის.

ერთი ასეთი თავდასხმა პიტიუნტზე მოხდა 256-257 წლებში, როდესაც გუთებმა ბიზანტიელი ავტორის ზოსიმეს ცნობით, იერიში მიიტანეს ჯერ პიტიუნტზე, ხოლო შემდეგ ფაზისზე, თუმცა წყაროდან აშკარად ჩანს, რომ გუთებს შავი ზღვის სანაპიროს ქალაქებზე შეტევა ზღვიდან განუხორციელებიათ, ხოლო მოსახლეობას თავი მთებისთვის შეუფარებია [ზოსიმე 1961:266-269]. შესაბამისად, აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში ჩრდილო კავკასიის გადმოსასვლელების გამოყენება არ მომხდარა.

IV საუკუნის შუა ხანებში ეგრისში შეიჭრნენ ჰუნები, რომლებიც ჩრდილოეთ კავკასიის ზეკარებით სამხრეთ რეგიონებს შეესივნ. მათ სასტიკად გაანადგურეს პიტიუნტი [Кудрявцев O. 1956: 786]. თუმცა სამწუხაროდ ზუსტი ცნობები ჰუნების შემოჭრის მარშრუტის შესახებ არ მოიპოვება.

ჯუანშერის გადმოცემით, V საუკუნის მეო-

რე ნახევარში, ბიზანტიის იმპერატორ ლეონ I-ის ზეობის წლებში (457-474), ვახტანგ გორგასალს ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობის შემდეგ ეგრისში ულაშქრია და სამი წლის განმავლობაში ყველა ციხე აუღია ციხე-გოჯის ჩათვლით [ჯუანშერი 1955:157]. წყაროს მიხედვით ვახტანგ მეფე ეგრისში ჯიქეთის მხრიდან შეჭრილა. თუმცა უფრო ზუსტ ინფორმაციას მისი ლაშქრობის მარშრუტის შესახებ მემატია არ გადმოგვცემს. დასაშვებია, რომ ვახტანგი შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროების გასწვრივ არსებული გზით შესულიყო ეგრისში, თუმცა შესაძლოა, მას კავკასიონის რომელიმე უღელტეხილი გამოეყენებინა ეგრისის დასალაშქრად. ამ შემთხვევაში, გამოდის რომ მას ეგრისის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთ სექტორის თავდაცვით ხაზი უნდა გაეჭრა. თუმცა ეს მხოლოდ მოსაზრებაა და დანამდვილებით რაიმეს მტკიცება ამ ეტაპზე შეუძლებელია. წერილობითი წყაროების სიმწირის გამო, ეგრისის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთ სექტორის თავდაცვითი ხაზის გამართულობის შესახებ მსჯელობა რთულია, თუმცა ეგრისის და კოდორის ქედების გასწვრივ მდებარე ციხეების სიმრავლე აშკარად იმაზე მიუთითებს, რომ ამ ქედებზე გადმომავალი გზებით ეგრისის ცენტრალური რაიონების დალაშქრვა ადვილი არ უნდა ყოფილიყო.

ცენტრალური მონაკვეთის გამაგრების ქვესისტემა. ეგრისის სამეფოსათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მისი ცენტრალური მონაკვეთის თავდაცვა იყო. ქვეყნის ეს ნაწილი უმეტესწილად დღევანდელი სამეგრელოს რეგიონის საზღვრებში ექცეოდა. მას აღმოსავლეთიდან მდინარე ცხენისწყალი შემოსაზღვრავდა, სამხრეთიდან მდ. რიონი, დასავლეთიდან შავი ზღვა, ხოლო ჩრდილოეთიდან - მდ. ენგური და ეგრისის ქედი.

ეს იყო სამეფოს გეოგრაფიული ცენტრი დედაქალაქით (ციხეგოჯი-არქეოპოლისი), აქედან თანაბარი წარმატებით შეიძლებოდა სამეფოს ყველა რეგიონის კონტროლი (მაგ. ჩრდ.-დასავლეთ აფხაზეთის და სამხ.-აღმოსავლეთ იმერეთის). სამეფოს ცენტრი მოშორებული იყო შავი ზღვის სანაპიროს, რაც ეგრისის მესვეურებს საშუალებას აძლევდა

მეტ-ნაკლები დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინათ ჯერ რომაელებისაგან, ხოლო მოგვიანებით ბიზანტიელებისაგან [ლომოური ნ. 1981: 32-33].

ეგრისის სამეფოს ცენტრალური მონაკვეთის თავდაცვითი სისტემა თავის მხრივ მოიცავდა რამდენიმე ქვესისტემას, რომლებიც იქ არსებული ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოზე იყო მორგებული, ესენია: უნაგირა მთის გამაგრების ხაზი, ურთის მთის გამაგრების ხაზი, მდინარეების - ჭანისწყალის, ხობისწყალის, და მათი შენაკადების - ოჩხომურისა და ზანას გამაგრების ხაზები.

ლიტერატურა:

- აგათია სქოლასტიკოსი 1936:** გეორგიკა III, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა., თბ., გვ. 23-187.
- ბერძენიშვილი ნ. 1975:** საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბ.
- გამყრელიძე გ., 1982,** ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები, მეც. აკად. გამომც. „მეცნიერება“, თბ.
- ზაქარაია პ., კაპანაძე თ. 1991:** ციხეგოჯი – არქეოპოლისი – ნოქალაქევი, ხუროთმოძღვრება, თბ.
- ზოსიმე, 1961:** გეორგიკა I, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალექსანდრე გამყრელიძემ და სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბილისი, გვ. 70-117.
- ლანჩავა ო. 2007:** ქუთაისის არქეოლოგია, ქუთაისი.
- ლომიტაშვილი დ. 2003:** ცენტრალური კოლხეთი ძვ. წ. VIII – ახ. წ. VI ს.ს. (ციხეგოჯი – არქეოპოლისი - ნოქალაქევი), დისერტაცია ისტ. მეცნ. დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი.
- კალანდაძე კ. 2011:** ხომულის ციხე, თბილისი.
- ლომოური ნ. 1968:** ეგრისის სამეფოს ისტორია, თბილისი.
- ლომოური ნ. 1973:** დასავლეთ საქართველო (ეგრისი) IV-V საუკუნეებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბილისი. გვ. 159-188.
- ლომოური ნ. 1981:** ნოქალაქევი-არქეოპოლისი-ციხეგოჯი (ისტ. ნარკვევი) ნოქალაქევი-არქეოპოლისი, ტ. I, თბილისი, გვ. 42-77.
- ლორთქიფანიძე გ. 1991:** ბიჭვინთის ნაქალაქარი. თბილისი.
- მატიანე ქართლისა 1955:** ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერ-

ის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, ტ. 1.

მურღულია ნ. 2011ა: ეგრისის სამეფოს თავდაცვითი სისტემა IV-VI საუკუნეებში (კვლევის მეთოდები), სემ მოამბე, ტ. II (47-), თბილისი, 2011, გვ. 135-147.

მურღულია ნ. 2011ბ: ნაფიჩხოვო და კურზუ - ეგრისის სამეფოს პერიოდის ორი ახალი ციხე ჩხ-ორონწყუს და მარტვილის რაიონებიდან, ამირანი, ტ. 23, თბილისი-მონრეალი, გვ. 58-71, <http://www.caucasology.com/amirani23/murgulia.djvu>.

პროკოპი კესარიელი 1965: გეორგიკა II, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა., თბილისი, გვ. 38-234.

ტაბატაძე კ. 1979: ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბილისი, გვ. 670-719.

ფიფია კ. 2005: რომი და აღმოსაღეთ შავიზღვი-სპირეთი I-II სს. თბილისი.

შპაიდელი მ. 1985: კავკასიის საზღვარი II საუკუნეში. გარნიზონები აფსაროსში, პეტრასა და ფასისში. „მაცნე“, ისტორიის... სერია, I, თბილისი. გვ. 134-140.

ჭუმბურიძე მ. 2009: ეგრისის სამეფოს თავდაცვის სისტემა (ახ. წ. I-VIII სს.). დისერტაცია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ქუთაისი.

ჯანაშია ს. 1949: შრომები I, თბილისი.

ჯანაშია ს. 1952: შრომები II, თბილისი.

ჯაფარიძე ვ. 2006: ეგრისის ახ.წ. I-VIII სს. მატერიალური ძეგლები (არქეოლოგიური გათხრები, გამოკვლევა), თბ.

ჯუანშერი 1955: ცხოვრება და მოქალაქეობა ვახტანგ გორგასლისა ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., ტ. 1.

Кудрявцев О. 1956: Аланы. Борьба аланов с гуннами, Всемирная история, т. II, М., с. 783-786.

Леквинадзе В. 1969: Понтискии Лимес, ВДИ, №2.

ილუსტრაციების აღწერილობა:

ტაბ. I. 1. საქართველოს ფიზიკურ გეოგრაფიული რუკა; 2. ეგრისის სამეფო V-VI საუკუნეებში.

ტაბ. II. 1. Google Earth სურათი - ეგრისის სამეფოს გამაგრების სისტემის ციხესიმაგრეები; 2. Google Earth სურათი - სამხრეთ სექტორის გამაგრების ქვესისტემა.


ტაბ. III. 1. Google Earth სურათი - დიმის ციხის მდებარეობა; 2. Google Earth სურათი - ვარდციხე-როდოპოლისის მდებარეობა.

ტაბ. IV. 1. Google Earth სურათი - აღმოსავლეთ სექტორის გამაგრების ქვესისტემა; 2. Google Earth სურათი - „მოხირისის“ ქვეყანა.

ტაბ. V. 1. Google Earth სურათი - ჩრდილო-დასავლეთ სექტორის გამაგრების ქვესისტემა; 2. Google Earth სურათი - ცენტრალური მონაკვეთის გამაგრების ქვესისტემა.

I

Murgulia N.




1



2

II



1




2

III




1




2

IV




1



2

V



1



2

მეფე ფლავიუს დადის ვინაობისთვის

წინასიტყვაობა

ჩემს თანაავტორს, სოსო მარგიშვილს, ადრეც ვიცნობდი, მაგრამ განსაკუთრებულად დაუახლოვდი 1987 წლის სექტემბერში, ვანის სიმპოზიუმზე, როდესაც მასპინძლებმა ლამის გასათევად ერთი ოთახი დაგვითმეს. საუბარში თითქმის დაგვათენდა და ისიც გაირკვა, რომ საქართველოს ისტორიის ბევრ საკითხზე ჩვენი თვალსაზრისი ემთხვეოდა. სწორედ მაშინ შევთანხმდით, რომ ერთად დავწერდით გამოკვლევას ფლავიუს დადის შესახებ.

1988 წელს გამოკვლევა დასრულებული გვექონდა თითქმის იმ სახით, როგორც ახლა იბეჭდება. გადავწყვიტეთ, გამოქვეყნებამდე მოხსენებად წაგვეკითხა კოლეგებისთვის. მოხსენება წავიკითხეთ არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სააქტო დარბაზში და მას დიდი წარმატება ხვდა წილად, ამის შემდეგ გადავწყვიტეთ მისი გამოქვეყნება. სტატია სამ ეგზემპლარად რემინგტონზე გადავაბეჭდინეთ და დავინყე უცხოენოვანი სქოლიოების შეტანა ტექსტში, მაგრამ ამ მექანიკური საქმის დასრულება ვეღარ მოვახერხე.

1988 წლის ბოლოს დაწყებული საპროტესტო აქციები 1989 წლის 9 აპრილით დამთავრდა. სამეცნიერო კვლევებისთვის თითქმის აღარავის ეცალა. 1991-1994 წლებში ვერც მე და ვერც სოსო, ცხადია, ხელნაწერისთვის ვერ მოვიცლიდით. შემდეგ კი, როდესაც ცხოვრება ოდნავ დაწყნარდა და ტკივილებიც ცოტა მინელდა, ხელნაწერიც და გადაბეჭდილი ეგზემპლარებიც სადღაც თვალს მიეფარა.

სულ ახლახან, როდესაც ჩემმა ასაკმა მაიძულა, საკუთარი არქივის მონესრიგებაზე მეზრუნა, სტატიის ხელნაწერსა და გადაბეჭდილ ეგზემპლარებსაც მივაგენი. გადავწყვიტე, შევასრულო ჩემი გარდაცვლილი უმცროსი მეგობრისა და თანაავტორის სურ-

ვილი - გამოვაქვეყნო ეს წერილი.

მართალია, 1990 წლის შემდეგ რამდენიმე სტატია დაიბეჭდა ფლავიუს დადის შესახებ და ისიც მართალია, რომ ახლა რომ ვწერდეთ ამ სტატიას, ალბათ, ცოტა სხვანაირად დავწერდით, მაგრამ წერილს ვაქვეყნებ იმ სახით, როგორც ის 1988 წელს დაიწერა. არც ერთი სიტყვა არ შემიცვლია, სტატიაში გამოთქმული ის ვარაუდიც კი დავტოვე, თითქოს დედოფლის გორის სასახლე ალანთა შემოსევას ემსხვერპლა, თუმცა 2007 წლის გათხრებმა სრული უეჭველობით დაამტკიცა, რომ სასახლე დაანგრია მიწისძვრამ და არა მტერმა. ერთადერთი ცვლილება წმინდა ტექნიკური ხასიათისაა: ციტირებული ლიტერატურა სქოლიოებიდან ტექსტში გადავიტანე, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, და სტატიას გამოყენებული ლიტერატურის სია დავურთე.

ცხადია, არ ვუთითებ იმ ლიტერატურას ფლავიუს დადის შესახებ, რომელიც ჩვენი სტატიის დაწერის შემდეგ გამოქვეყნდა, თუმცა ამ წინასიტყვაობაში მოვიხსენიებ.

1993 წელს ეგსეტერის უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი) პროფესორმა დევიდ ბრაუნდმა გამოაქვეყნა სტატია „მეფე ფლავიუს დადესი“ (David Braund. King Flavius Dades. *Zeitschrift für Papirologie und Epigraphik*, Band 96, Bonn, 1993, გვ. 46-50). დ. ბრაუნდი წერს, რომ ფლავიუს დადესი, რომის მოქალაქე, უფრო იბერიის მეფე უნდა ყოფილიყო, ვიდრე რომელიმე სხვა მცირე აღმოსავლური პოლიტიკური ერთეულისა, მაგრამ ვერ ხედავს წყვეტილს ქართლის (იბერიის) მეფეთა სიაში ნერონისა და ტრაიანეს ზეობებს შორის შუალედში და სამარხისა და ლანგრის თარიღის (მისი აზრით, III საუკუნე) გათვალისწინებით მიაჩნია, რომ ფლავიუს დადესს ფლავიუსობა შესაძლოა მემკვიდრეობით გადასცემოდა, თუკი სამარხი არ არის IV საუკუნის, როდ-

საც ეს *nomen*-ი — დადესს იმპერატორ კონსტანტინეს ოჯახისგან შეეძლო მიეღო.

1994 წელს გამოქვეყნებულ წიგნში (David Braund. *Georgia in Antiquity. A History of Colchis and Transcaucasian Iberia 550 BC - AD562*, Oxford, p.229) წერს, რომ მეფე ფლავიუს დადის დადასტურება გვიან III-IV საუკუნეთა კონტექსტში მიუთითებს ფლავიუსების გავლენაზე I საუკუნეში, თუმცა იბერიის სამეფო ოჯახს ხანგრძლივად შეუნარჩუნებია რომის მოქალაქეობა ფლავიუსების (ისე, როგორც იულიუსებისა და კლავდიუსების) მფარველობის ქვეშ.

მეფე ფლავიუს დადის სახელი ფიგურირებს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, თედო დუნდუას იმ ნაშრომის სათაურში, რომელიც მან უცვლელი სახით სამჯერ გამოაქვეყნა 2002-2012 წლებში - [Tedo Dundua. *Publicius Agrippa, Flavius Dades and a Dual Citizenship - a Pattern for Europe in Future? in Caucasia v.5*, Tbilisi, 2002, pp. 57-62. Tedo Dundua. *Publicius Agrippa, Flavius Dades and a Dual Citizenship - a Pattern for Europe in Future? Georgians and Roman Frontier Policy in the East*, Tbilisi 2003. pp.3-6. Tedo Dundua. *Publicius Agrippa, Flavius Dades and a Dual Citizenship - a Pattern for Europe in Future?* in T. Dundua, *Georgia within the European Integration, Part 2 Romans and the Georgians*, Tbilisi, 2012, pp.22-30]. თ. დუნდუას ფლავიუს დადის ისე, როგორც პუბლიკოს აგრიპას არსებობა ძველ საქართველოში აინტერესებს მხოლოდ რომთან და საერთოდ ევროპასთან საქართველოს ურთიერთობის თვალსაზრისით, ხოლო რაც შეეხება ქრონოლოგიას იგი ეთანხმება ბრაუნდის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ფლავიუს დადესი II-III საუკუნეების იბერიის მეფე უნდა ყოფილიყო, რომელსაც რომის მოქალაქეობა და სახელი ფლავიუსი მემკვიდრეობით ერგო ვესპასიანეს ან დომიციანეს დროინდელი წინაპრისგან.

გაცილებით ვრცელი და ინფორმაციულია სტატია ფლავიუს დადის შესახებ, რომელიც რუსეთის არქეოლოგიის ინსტიტუტის

უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა არჩილ ბალახვანცევმა 2005 წელს გამოაქვეყნა [A.C. Балахванцев. *Царь Флавий Дад. Нумизматика и эпиграфика*, том XVII, 2005, გვ. 44-53]. ბალახვანცევი კრიტიკულად განიხილავს უფრო ადრე დაბეჭდილ ყველა მოსაზრებას, რომლებიც ფლავიუს დადს ეხება; საფუძვლიანად უარყოფს არმაზისხევის №3 სამარხის IV საუკუნით დათარიღების შესაძლებლობას, არქეოლოგიურ და წერილობით წყაროებზე დაყრდნობით, ეჭვქვეშ აყენებს წარწერიანი ლანგრის სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულ თარიღს და თვით დათარიღების მეთოდსაც; ამტკიცებს, რომ დადი ფართოდ გავრცელებული სახელი იყო ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში და ასაბუთებს, რომ ფლავიუს დადი ფარნავაზიანთა დინასტიის წარმომადგენელი იყო და იბერიაში მეფობდა I საუკუნის ბოლოს ან II საუკუნის დასაწყისში.

ბალახვანცევის ამ სტატიაში გამოთქმულ თითქმის ყველა მოსაზრებას ჩვენც - მე და სოსო მარგიშვილიც - ხელს მოვანერდით, ჩვენს სტატიაშიც იგივე საკითხებია წამოჭრილი და მსგავსი დასკვნებია გამოტანილი, მაგრამ არის ფლავიუს დადის პრობლემის ერთი ასპექტი, რომელსაც ჩვენ ვერ შევვებით სათანადო კომპეტენციის უქონლობის გამო და ვენდეთ ს. ყაუხჩიშვილის ავტორიტეტს, რომლის დასკვნაც არ ეწინააღმდეგებოდა ჩვენს დასკვნებს. არჩილ ბალახვანცევი კი კლასიკური ეპიგრაფიკის სპეციალისტია და მან შეძლო ეჩვენებინა, რომ ბერსუმას ლანგარზე დატანილი ბერძნული წარწერა შესრულებულია მცხეთაში აღმოჩენილ 75 წლის ვესპასიანეს წარწერასა და II საუკუნის შუა ხანების არმაზის ბილინგვას შორის პერიოდში, ე.ი. I საუკუნის ბოლოს ან II საუკუნის დასაწყისში.

იულონ გაგოშიძე.

არმაზისხევის პიტიახშთა ნეკროპოლის N3 სამარხში აღმოჩენილია ბერძნულნარწერიანი ვერცხლის ლანგარი [მცხეთა I. 1955:53, სურ. 26.] (ტაბ. I). ნერტილოვანი პუნქტირით შესრულებული ნარწერა გარს შემოუყვება ლანგარის ქუსლს და კარგად იკითხება. აკად. ს. ყაუხჩიშვილმა ის შემდეგნაირად თარგმნა: „მე, მეფე ფლავიუს დადესმა ვაჩუქე [ეს ლანგარი] ბერსუმა პიტიახშს.“ [ყაუხჩიშვილი ს. 1941: 170-171]. აღნიშნულ ნარწერას თითქმის ასევე თარგმნიან პ. ინგოროყვა, გ. წერეთელი და თ. ყაუხჩიშვილი [ინგოროყვა პ. 1978:488; წერეთელი გ. 1958:50; ყაუხჩიშვილი თ., 1971: 25.]. ნარწერის ერთი სიტყვის ნაკითხვასთან დაკავშირებული არსებული მცირე სხვაობა [იხ. მცხეთა I, 1955:53; აფაქიძე ან. 1963:144-145.] ნარწერის შინაარსს არ ცვლის. მის მიხედვით, ბერსუმა პიტიახშს მეფე ფლავიუს დადისგან მიუღია ვერცხლის ლანგარი.

ნარწერაში დაქარაგმებულია მხოლოდ ერთი სიტყვა – ΦΛ. ეს ქარაგმა უშუალოდ მოსდევს მეფეს „ბასილევს“ და უკვე ამითაც ჩანს, რომ დაქარაგმებულია მეფის სახელი. აღნიშნული ასონიშნებისაგან შემდგარი ქარაგმა თავიდანვე გახსნილი იქნა, როგორც ფლავიუსი. მხოლოდ იმ ფაქტის აღნიშვნაც, რომ დასახელებულ მეცნიერთაგან არც ერთს ეჭვი არ შეჰპარვია ამგვარი ნაკითხვის სისწორეში, მიუთითებს, რომ ნარწერაში მოხსენიებული მეფე ნამდვილად იწოდებოდა ფლავიუსობით, მიუხედავად იმისა, რომ რომაული სახელის მქონე მეფესთან შეხვედრა ქართლის (იბერიის) სამეფოში, ერთი შეხედვით, მოსალოდნელი არ უნდა ყოფილიყო. სახელ ფლავიუსის ამგვარ დაქარაგმებას მრავალრიცხოვანი ანალოგია აქვს I-III საუკუნეების, როგორც ბერძნულ ისე, ლათინურ ნარწერებშიაც: ეს სახელი, როგორც წესი ქარაგმდებოდა პირველი ორი ასოს საშუალებით [Федорова Е. 1969:74; Соломоник Э. 1964:123; Соломоник Э. 1983:39]. საერთოდ, რომაული სახელების დაქარაგმება ბერძნულ და ლათინურ ეპიგრაფიკაში საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა.

ამასთანავე, თვალში საცემია ის გარემოება, რომ უპირატესად მოკლდებოდა ისეთი გავრცელებული სახელები, რომელთა სრული ნაკითხვაც არავითარ ეჭვს არ იწვევდა. სახელთა ამ კატეგორიას, პირველ ყოვლისა, მიეკუთვნება რომაული საიმპერატორო სახელები: იულიუსი, კლავდიუსი, ავრელიუსი და სხვ. [Федорова Е. 1969:74; Соломоник Э. 1964; Соломоник Э. 1973:24, Соломоник Э. 1983:39; Савостина Е. 1977:133, ტაბ.3; 137-139, ტაბ.6.], ასეთივე სახელია ფლავიუსიც.

განსახილველი ნარწერა საქართველოს ძველი ისტორიისთვის საყურადღებო მონაცემებს შეიცავს, იხსენიებს ორ ისტორიულ პირს, მეფე ფლავიუს დადსა და პიტიახშ ბერსუმას, რომელთაც სხვა წყაროებიდან არ ვიცნობდით. ბერსუმა პიტიახშის შესახებ თითქმის უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, რომ იგი იბერიელი დიდებულია. პიტიახშთა ინსტიტუტი ახ.წ. I საუკუნეების დროინდელ ქართლის (იბერიის) სამეფოში არსებული მყარი სოციალური კატეგორია იყო [გამსახურდია თ. 1970] და არქეოლოგიური გათხრებისა თუ შემთხვევითი მონაპოვრის წყალობით ჩვენთვის რამდენიმე იბერიელი პიტიახშის სახელიც არის ცნობილი. ამდენად, არც ბერსუმას იბერიელობაში ეჭვის შესატანად გვაქვს რაიმე რეალური საფუძველი.

რაც შეეხება ნარწერაში მოხსენიებულ მეორე პირს, ნარწერის პირველ შემსწავლელთაგან ერთსულოვნად იყო მიჩნეული, რომ ფლავიუს დადი იბერიელი მეფე იყო, ხოლო რომაული სახელი მას იმპერატორ ფლავიუსებისაგან ჰქონდა მიღებული [ყაუხჩიშვილი ს. 1941:171; ინგოროყვა პ. 1978:493; წერეთელი გ. 1958:50; ყაუხჩიშვილი თ. 1971:26]. ფლავიუს დადის პიროვნების დასადგენად უფრო შორს წავიდა პ. ინგოროყვა. მან ფლავიუს დადი მიიჩნია ქართული წყაროებით ცნობილ ქართლის მეფე ქარძამად (იგივე ქართამი) [ინგოროყვა პ. 1978:493]. ისტორიულ ლიტერატურაში ინგოროყვას მოსაზრება არ გაიზიარეს [აფაქიძე ან. 1963:146-147, ყაუხჩიშვილი თ. 1971:26, Мачабели К. 1976:41, სურ. 31.]

სახელი ფლავიუსი რომის ფარგლებს გარეთ გავრცელებას იწყებს ახ.წ. I საუკუნის 70-იანი წლებიდან, რომის საიმპერატორო ტახტზე ვესპასიანე ფლავიუსის ასვლის დროიდან [Ростовцев М. 1916]. ერთ-ერთი პირველი, ვინც ამ სახელით იწოდა იყო ცნობილი ებრაელი ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი [ყაუხჩიშვილი თ. 1983:13]. რომაული სახელები (მათ შორის ფლავიუსიც) ელვისებური სისწრაფით ვრცელდებოდა რომის მიერ დაპყრობილ ან მისი გავლენის ქვეშ მოქცეული ქვეყნების მოსახლეობაში. ამ ვითარების ამსახველი საუკეთესო მაგალითია ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთი, სადაც ახ.წ. პირველ საუკუნეებში რომაული სახელების საკმაოდ მაღალი პროცენტიაა დადასტურებული [Книпович Т. 1968:129 და შემდეგ]. აქ გავრცელებული რომაული სახელებიდან განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა საიმპერატორო სახელები: ტიბერიუსი, იულიუსი, კლავდიუსი, ტიტე ფლავიუსი, მარკუს ავრელიუსი, ულპიუსი და სხვ. [Книпович Т. 1968:190 და შემდეგ] რომაული სახელები ძირითადად საზოგადოების მაღალ ფენებში ვრცელდებოდა, მაგ. ხერსონესში ერთ-ერთი წარჩინებული საგვარეულოს წარმომადგენელთა უმრავლესობა ახ.წ. I საუკუნის ბოლო მეოთხედისა და II საუკუნის განმავლობაში იწოდებოდა ტიტე ფლავიუსებად, ამ ორმაგ რომაულ სახელს კი ბოლოში ერთვოდა საკუთარი სახელი. მაგალითად, ტ. ფლ. არისტონი, ტ. ფლ. აგეპოლისი, ტ. ფლ. პარვენოკლი და სხვ. [Соломоник Э. 1973:38-41].

რომაული სახელების გავრცელებას კონკრეტული მიზეზები განაპირობებს. არარომაელები რიგ შემთხვევაში რომაულ სახელს იკუთვნებდნენ რომის მოქალაქეობის მიღების სურვილით. ზოგ შემთხვევაში რომაული სახელების გავრცელებას მოდაც განაპირობებდა [Книпович Т. 1968:193-194; Шелов Д. 1972:252; Савостина Е. 1977:133]. სრულიად განსხვავებული საფუძველი და მიზანი ჰქონდა რომაული სახელების მიმღებ ამა თუ იმ ქვეყნის მეფეს. მეფეებისთვის რომაული სახელების მიღება ყოველთვის კონკრეტული პოლიტიკური ვი-

თარებით იყო გამოწვეული და პირველ რიგში გარკვეული დიპლომატიური აქტი გახლდათ. ამგვარი სახელის მიღებით იმპერიაზე ამა თუ იმ სახით დამოკიდებული ან იმპერიის გავლენის ქვეშ მყოფი ქვეყნის მეფე გამოხატავდა თავის ვასალურ, ან კეთილ მოკავშირულ დამოკიდებულებას რომისადმი. ყოველივე ეს კარგად დასტურდება რომთან ურთიერთობაში მყოფი სხვადასხვა ქვეყნის მაგალითებზე.

როგორც ცნობილია, მითრიდატე ევპატორის ომების შემდგომ ხანაში ბოსფორის სამეფო რომის იმპერიის უშუალო გავლენის ქვეშ მოექცა, ამ გავლენის შედეგი იყო ის ფაქტი, რომ ბოსფორის მეფე ასპურგმა იმპერატორ ტიბერიუსისა და საიმპერატორო დინასტიის იულიუსების პატივსაცემად მეორე სადინასტიო სახელად მიიღო ტიბერიუს იულიუსი [Гайдукевич В. 1949:324; Шелов Д. 1984:19; Гайдукевич В. 1984:19]. ბოსფორის მეფის მიერ ამ სახელის მიღება ასახავდა რომსა და ბოსფორის სამეფოს შორის დამყარებულ პოლიტიკურ ვითარებას. რამდენადაც ახ.წ. პირველ საუკუნეებში რომის გავლენა ბოსფორის სამეფოზე არ შესუსტებულა, ამდენად ბოსფორელი მეფეებიც საუკუნეების განმავლობაში ოფიციალურ დოკუმენტებსა თუ მათი სახელით მოჭრილ მონეტებზე საკუთარი, ადგილობრივი სახელების გარდა, ძალზედ ხშირად იწოდებოდნენ ტიბერიუს-იულიუსებად [Фролова Н. 1968:44, 49, 56; Болтунова А. 1971:3-4, 7-8.; Фролова Н. 1968a:62 და შემდეგ].

რომაული საიმპერატორო სახელის მიღების განსხვავებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე არმენიის სამეფოში. როგორც ცნობილია, საუკუნეთა განმავლობაში არმენია რომსა და პარტიას შორის ომის საბაზი იყო [Момзен Т. 1949:331, 366-368; Тревер К. 1953: 226-237]. ამ ომების შედეგად არმენიის ტახტზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ რომისა და პარტიის მიერ დასმული პრეტენდენტები. არმენიისთვის წარმოებული ბრძოლის ერთ-ერთი ეტაპი იყო ომი რომსა და პარტიას შორის, II საუკუნის 60-იან წლებში, მარკუს ავრელიუსის მმართველობის (161-180 წწ.) საწყის პერიოდში [Тревер

K. 1953:366-368]. ამ ომის პირველი ეტაპი პართიის უპირატესობით წარმართა და არმენიის ტახტზე დაჯდა პართელი მეფისწული პაკორი, რომლის მეფობაც სულ ორიოდე წელიწადს გაგრძელდა. 163 წელს პაკორი ტახტიდან ჩამოაგდეს რომაელებმა და არმენიაში გამეფდა რომაელთა კანდიდატი სოემი [Тревер К. 1953:234-237].

არმენიის მეფე პაკორთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ბერძნულ ენაზე შესრულებული საფლავის ქვის წარწერა, რომელიც აღმოჩენილი იქნა რომში ჯერ კიდევ XVI საუკუნეში. ეპიტაფია იუნყება, რომ დიდი არმენიის მეფემ ავრელიუს პაკორმა უყიდა ეს სარკოფაგი თავის ძმას ავრელიუს მერიტატს (იმავე მითრიდატეს). როგორც გაარკვია კ.ტრევერმა, ავრელიუს პაკორი და 161 წელს სომხეთში გამეფებული პართელი მეფისწული პაკორი ერთი და იგივე პიროვნებაა [Тревер К. 1953:234-237]. როგორც ვხედავთ, არმენიის ყოფილი მეფე და მისი ძმა, საკუთარ სახელებთან ერთად ატარებდნენ მიღებულ რომაულ სახელს „ავრელიუსს“, ეჭვგარეშეა მათი თანამედროვე იმპერატორ მარკუს ავრელიუსის პატივსაცემად. ერთი შეხედვით, თითქოს მოულოდნელია, რომ რომის წინააღმდეგ მეომარ არშაკიდ პაკორს, რომელმაც სწორედ რომთან ომის შედეგად დაკარგა სომხეთში მეფობა, მიელო რომაელი იმპერატორის სახელი. მაგრამ თუ ჩავუკვირდებით, ამ ფაქტში მოულოდნელი არაფერი უნდა იყოს. პაკორისა და მისი ძმის მითრიდატეს მიერ სახელ ავრელიუსის მიღება კონკრეტული პოლიტიკური ვითარებით იყო განპირობებული: როგორც ჩანს, პაკორის დროს არმენიისთვის მიმდინარე ომში, როდესაც ბრძოლის სასწორი რომაელთა მხარეს გადაიხარა და პართიის სამეფოს აღარ შესწევდა ძალა, დაეცვა არმენიის ტახტზე თავისი დასმული მეფის ინტერესები, მაშინ პაკორმა ტახტის შესანარჩუნებლად რომაული ორიენტაცია ირჩია და სწორედ ამ პოლიტიკური კურსის ამსახველი უნდა იყოს ის ფაქტი, რომ რომში აღმოჩენილ ეპიტაფიაზე პაკორი და მისი ძმა მოიხსენიები-

ან ავრელიუსებად [Тревер К. 1953:238]. პაკორი იხსენიება, აგრეთვე, ჩრდილოეთ კავკასიაში, სტანიცა დახოვსკაიასთან ნაპოვნ ვერცხლის თასის წარწერაში. წარწერის მიხედვით, ეს თასი პაკორს, ისე როგორც, ფლავიუს დადს, საჩუქრად გაუცია: „მეფე პაკორისგან“ - ასე აწერია თასს. თასის წარწერა პაკორის სომხეთში მეფობის, ანუ 161-163 წლებით თარიღდება [Тревер К. 1953:242-245]. როგორც ვხედავთ, პაკორი აქ რომაული სახელის გარეშეა მოხსენიებული და ეს გარემოება სრულიად ბუნებრივია, რამდენადაც სომხეთში მეფობისას პაკორი პართიის ინტერესებს იცავდა. ამგვარად, ვერცხლის თასის წარწერა არაპირდაპირ უნდა ადასტურებდეს ჯერ კიდევ ტრევერის მიერ გამოთქმულ აზრს, რომ პაკორს რომაული სახელი რომთან წარუმატებელი ომის დასასრულს უნდა მიელო [Тревер К. 1953:240] და, აგრეთვე, იმ მოსაზრებასაც, რომ პაკორის მიერ ავრელიუსის სახელის მიღება მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური ვითარებით იყო ნაკარნახევი.

არმენიის ტახტზე, გარდა პაკორისა, რომაული საიმპერატორო სახელი უტარებია კიდევ ერთ მეფეს, პაკორის შემდეგ სამეფო ტახტზე ასულ სოემს. იგი ოფიციალურად იწოდებოდა, როგორც გაიუს იულიუს სოემი [Тревер К. 1953:235]. აქ თვალშისაცემია ის გარემოება, რომ სოემი ატარებს არა მისი თანამედროვე იმპერატორის, არამედ პოლიტიკური სცენიდან უკვე დიდი ხნის ჩამოსულ იულიუსთა დინასტიის საგვარეულო სახელს. ვფიქრობთ, რომ ეს გარემოება ადვილად ასახსნელია. საქმე ის არის, რომ სოემი დედით არშაკიდების შთამომავალი იყო, ხოლო მამის ხაზით სირიელი და ეკუთვნოდა ქალაქ ემესის მმართველ დინასტიას [Момзен Т. 1949:331, 366-368; Тревер К. 1953:235]. აქედან გამომდინარე, სრულიად დასაშვებად მიგვაჩნია, რომ სოემისთვის იულიუსების საგვარეულო სახელი ტრადიციული ყოფილიყო და იგი მას მემკვიდრეობით მიელო ემესის მმართველები-სგან. როგორც ცნობილია, ემესა პომპეუსის ლაშქრობების დროიდან იყო მოქცეული რომის იმპერიის ფარგლებში [Машкин Н. 1947:274]

და სრულიად ბუნებრივია, რომ იულიუსების დინასტიის მმართველობის ხანაში (I საუკუნის 60-იანი წლების ბოლომდე) ემესის რომელიმე მმართველს ეს სახელი მიემატებინა თავისი საგვარეულო სახელისთვის, ხოლო ამის შემდგომ იგი ტრადიციული გამხდარიყო აღნიშნული დინასტიისთვის. ისიც გასათვალისწინებელია, რომ, ზოგიერთი წყაროს ცნობით, სოემი რომაელი სენატორიც იყო [Момзен Т. 1949:367, სურ. 3; Тревер К. 1953:235], ე.ი. მას რომის მოქალაქეობა ჰქონდა მიღებული. ვფიქრობთ, ყოველივე თქმულის შემდეგ უნდა ჩანდეს, რომ სოემის მიერ რომაული სახელის ტარება, განსხვავებით პაკორისგან, განპირობებული უნდა ყოფილიყო არა არმენიის სამეფოში შექმნილი კონკრეტული სიტუაციით, არამედ სოემის საგვარეულოში არსებული ტრადიციითა და თვით სოემის რომის მოქალაქეობით.

გარდა ბოსფორისა და არმენიის სამეფოებისა, რომაული საიმპერატორო სახელები გვხვდება რომის გავლენის ქვეშ მოქცეულ რიგ ქვეყანათა მმართველ დინასტიებში. მაგ.: ყოფილ ნაბატეველთა სამეფოს ერთ-ერთი არაბული ტომის შეიხმა, სოაიდმა, იმპერატორ ადრიანეს პატივსაცემად მიიღო მისი სახელი და იწოდა ადრიან სოაიდად [Момзен Т. 1949:429]. პალმირის სამეფო დინასტიის წარმომადგენლები III საუკუნის დასაწყისიდან - 70-იან წლებამდე იწოდებოდნენ სეპტიმიუსებად (სეპტიმიუს გაირანი, სეპტიმიუს ოდენატი, სეპტიმიუს ვაბალაატი, სეპტიმიუს ზენობია და სხვ.) [Момзен Т. 1949:384; Федорова К. 1979:180] და უეჭველია, რომ პალმირის მეფეებს ეს სახელი მიღებული ჰქონდათ იმპერატორ სეპტიმიუს სევერუსის (193-211 წწ.) პატივსაცემად, მით უფრო, სევერუსის ცოლი იულია დომნა წარმოშობით იყო ქალაქ ემესიდან, რომელიც იმ პერიოდში პალმირის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა [Момзен Т. 1949:405; Федорова Е. 1979:160].

წარმოდგენილი მაგალითები უნდა მოწმობდეს, რომ თავისი თანამედროვე რომაელი იმპერატორის სახელის მიღება ამა თუ იმ ქვეყნის მეფის მიერ ახ.წ. პირველ საუკუნეებში საკმაოდ

გავრცელებული მოვლენა იყო. ამ ვითარებაზე დაკვირვებისას ინტერესს იწვევს ის მიზეზები, რომლებზეც იყო დამოკიდებული მიღებული სახელით სარგებლობის ხანგრძლივობა.

ბოსფორის სამეფო საგვარეულოში რომაული სახელი ტიბერიუს იულიუსი სამ საუკუნეზე მეტ ხანს ფიგურირებდა და ასპურგიანთა დინასტიაში თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ასევე თაობიდან თაობაზე გადადიოდა სეპტიმიუსის სახელი პალმირის მმართველ დინასტიაშიც. არმენიაში კი რომაული საიმპერატორო სახელები დიდი ხნით არ დამკვიდრებულა, თუ არ ჩავთვლით მეფე სოემს, რომელიც არმენიის ტახტზე უკვე რომაული სახელით ავიდა, მას მხოლოდ პაკორი და მისი ძმა მითრიდატე ატარებდნენ, ისიც მცირე ხნით. ამ ქვეყნების მაგალითების გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ რომაული სახელებით სარგებლობის ხანგრძლივობა ისე, როგორც მათი მიღება, პირველ ყოვლისა, და ძირითადად, განისაზღვრებოდა პოლიტიკური ვითარებით. კერძოდ კი, კონკრეტული ქვეყნის რომის იმპერიასთან ურთიერთობის სტაბილურობით. გარკვეული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, აგრეთვე, რომაული სახელის მიმღები მეფისა და იმ სამეფო დინასტიის ზეობის ხანგრძლივობასაც, რომელსაც რომაული სახელის მიმღები მეფე ეკუთვნოდა.

ცნობილია, რომ რომი დიდხანს ინარჩუნებდა სტაბილურ გავლენას ბოსფორის სამეფოზე და ბოსფორშიც ხანგრძლივად მეფობდა ასპურგიანების დინასტია, რომლის პირველმა წარმომადგენელმაც მიიღო რომაული, საიმპერატორო სახელი, რომელიც დინასტიის შემდგომმა წარმომადგენლებმა გაითავისეს იმდენად, რამდენადაც ის პოლიტიკური ვითარება, რომელმაც ბოსფორელ მეფეთაგან რომაული სახელის მიღება გამოიწვია, საუკუნეთა განმავლობაში ინარჩუნებდა სტაბილურობას. მაგრამ საკმარისი იყო ბოსფორის სამეფო ტახტი ხელში ჩაეგდო სხვა საგვარეულოს წარმომადგენელს, როგორც ეს რამდენჯერმე მოხდა III საუკუნის II ნახევარში, რომ უზურპატორთა (ფარსანზი, ხედოსბიუსი) ტიტულატურიდან

უმალ გამქრალიყო ტრადიციული რომაული სახელი. მაგრამ ასპურგიანების მიერ ტახტის დაბრუნებისას ბოსფორის მეფენი კვლავ ტრადიციულად ტიბერიუს - იულიუსებად იწოდებოდნენ [Гайдукевич В. 1949: 451-453].

არმენიაში კი, რომლის პოლიტიკური ურთიერთობაც რომთან სტაბილური არასოდეს ყოფილა და სადაც პოლიტიკური ვითარება ელვისებური სისწრაფით იცვლებოდა, რომაული სახელები ხანგრძლივად არც დამკვიდრებულა. აღსანიშნავია, რომ არც რომაული სახელების მატარებელ მეფეთ, პაკორსა და სოემს, უმეფიათ დიდხანს.

ვფიქრობთ, განხილულის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ: რომის იმპერიის გავლენის ქვეშ მყოფი ან მასთან მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობით დაკავშირებული რიგი ქვეყნების მეფენი კონკრეტული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, მეორე სამეფო სახელად იღებდნენ მათი თანამედროვე რომაელი იმპერატორის საკუთარ ან სადინასტიო სახელს, ხოლო მიღებული სახელით სარგებლობის ხანგრძლივობას ძირითადად განაპირობებდა რომთან პოლიტიკური ურთიერთობის სტაბილურობა.

თუ ჩვენი ეს დასკვნა რეალურია და მისგან გამომდინარე თუ მივიჩნევთ, რომ არმაზისხევის ვერცხლის ლანგრის წარწერაში მოხსენიებული მეფე ფლავიუს დადი რომაელი იმპერატორების ფლავიუსების თანამედროვეა, რასაც უყოყმანოდ და, ჩვენი აზრით, სრულიად სამართლიანად აღიარებდა პ. ინგოროყვა [ინგოროყვა პ. 1978:493.], მაშინ ჩვენ წინაშე უპირველეს ამოცანად დგება იმის გარკვევა, თუ ფლავიუსების მმართველობის ხანაში როდის ავიდა რომისა და იბერიის სამეფოს ურთიერთობა ისეთ დონეზე, რომ შექმნილიყო პოლიტიკური პირობები იბერიელი მეფის მიერ რომაელი იმპერატორის სახელის მიღებისა. მაგრამ სანამ ამ ამოცანის გადაჭრას შევეცდებით, აუცილებლად მიგვაჩნია მოკლედ შევეხოთ ფლავიუს დადის იბერიელობის საკითხს.

ზემოთ მოხსენიებული ქართველი მეცნიერები ამ საკითხს დღის წესრიგში არც

აყენებდნენ. მათ *a priori* გარკვეულად მიაჩნდათ, რომ ფლავიუს დადი იბერიელია. შემდგომში ფლავიუს დადის იბერიულობა გაკვრიტ, მაგრამ მაინც ეჭვქვეშ დააყენა აკად. გ. მელიქიშვილმა. ეჭვის საფუძველი იყო ამ მეფის რომაული, ქართული სამყაროსთვის უცხო სახელი [Меликишвили Г. 1959:463, სქოლიო 293]. მიგვაჩნია, რომ ამგვარი ეჭვისთვის საფუძველი არ უნდა არსებობდეს. ზემოთ უკვე გვქონდა მსჯელობა, რომ რომთან ახლო ურთიერთობაში მყოფ ქვეყნებში რომაული სახელებისა და მათ შორის საიმპერატორო სახელების გავრცელება სრულიად ჩვეულებრივი მოვლენაა. ამ მხრივ გამონაკლისი არ უნდა ყოფილიყო არც იბერიის სამეფო, რომელსაც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა რომის იმპერიასთან. მცხეთაში აღმოჩენილი ეპიგრაფიკული ძეგლები რეალურად გვიდასტურებს ამ ვითარებას. სერაფიტის ცნობილ წარწერაში მოხსენიებული ერთ-ერთი იბერიელი პიტიახში ატარებდა კლასიკურ რომაულ სახელს, პუბლიკიუს აგრიპას [ყაუხჩიშვილი თ. 1971:22], ხოლო სამთავროს სამაროვანზე მოპოვებული ეპიტაფიის მიხედვით, ცნობილია იბერიელი მხატვართუხუცესის რომაული სახელი ავრელიუს აქოლისი [ყაუხჩიშვილი თ. 1971:32].

ფლავიუს დადის იბერიელობაზე არაპირდაპირ შეიძლება მეტყველებდეს იმპერატორ ფლავიუსების თანადროული აღმოსავლეთის საერთო პოლიტიკური ვითარებაც. თავის მხრივ, ფლავიუს დადი რომ აღმოსავლეთის მკვიდრია, ეს საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურება შემდეგი გარემოებებიდან გამომდინარე. ჯერ ერთი, მეფე ფლავიუს დადი ვერცხლის ლანგრით ასაჩუქრებს პიტიახსს და ნაკლებად დასაჯერებელია, რომ პიტიახსს - უეჭველად აღმოსავლელ მოხელეს - ახლო ურთიერთობა ჰქონოდა რომელიმე გეოგრაფიულად შორს მცხოვრებ მეფესთან და მისგან მიეღო საჩუქარი. გარდა ამისა, თვით მეფის სახელის შემადგენელი მეორე ნაწილი დადი (ამ საკითხს დანვრილებით ქვემოთ განვიხილავთ) აშკარად აღმოსავლური წარმომად-

ვლობისაა. ამდენად ფლავიუს დადი აღმოსავლელი მეფე უნდა ყოფილიყო. ფლავიუსების დინასტიის მმართველობის თანადროულ აღმოსავლეთში კი შემდეგი ვითარება სუფევდა: ახ.წ. I საუკუნის 70-იანი წლებისთვის თითქმის მთელი ანატოლია და მახლობელი აღმოსავლეთი, ევფრატის დასავლეთით მდებარე ყოფილი სამეფოები: პერგამონი, ბითინია, პონტო, კაპადოკია, კომაგენა, სირია, იუდეა და სხვ. უკვე რომის პროვინციები იყო [Момзен Т. 1949:273-491; Ранович А. 1949], მათ რომაელი მოხელეები მართავდნენ და, რასაკვირველია, იქ მეფე ფლავიუს დადის ძებნას აზრი არა აქვს. ასევე, ნაკლებ შესაძლებელია მეფე ფლავიუს დადთან შეხვედრა ევფრატის აღმოსავლეთით, პართიის გავლენის ქვეშ მყოფ ქვეყნებშიც. არ მიგვაჩნია ფლავიუს დადის სამყოფლად დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ადრესახელმწიფოებრივი გაერთიანებებიც (მაგ. ჰენიოხ-მახლონებისა). ასე, რომ მეფე ფლავიუს დადის ყველაზე რეალურ სამყოფლად სამხრეთ კავკასიის ქვეყნები, კერძოდ კი, არმენია, ალბანეთი და იბერია შეიძლება მივიჩნიოთ. პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, ამ სიიდან არმენიაც უნდა გამოირიცხოს. ვესპასიანე ფლავიუსის გაიმპერატორების უშუალო წინა პერიოდში, 58-65 წლებში, რომსა და პართიას შორის არმენიის გამო ომი მომდინარეობდა, რომელიც, ფაქტიურად, რომის დამარცხებით დამთავრდა [Момзен Т. 1949:346-355].

არმენია მოექცა პართიის გავლენის ქვეშ და იქ გამეფდა პართელი უფლისწული არშაკიდი ტირიდატი. ტირიდატმა გარეგნულად რომის პროტექტორატი აღიარა, რომში ეახლა იმპერატორ ნერონს და მისგან მიიღო სამეფო ხელისუფლების ინსიგნიები [Аракелян Б. 1952:59-68; Тревер К. 1953:187].

ტირიდატი, რომელიც საკმაოდ ხანგრძლივად მეფობდა და ფლავიუსების თანამედროვე იყო, თუ მიიღებდა რომაელი იმპერატორის სახელს, ალბათ, წესით უნდა მიეღო ნერონის ან კლავდიუს-იულიუსების სადინასტიო სახელი, რამდენადაც მისთვის რომაული

სახელის მისაღები კონკრეტული პოლიტიკური ვითარება სწორედ ნერონის მიერ მისი არმენიის მეფედ კურთხევისას შეიქმნებოდა. მიუხედავად ამისა, ტირიდატი არც ნერილობით წყარობსა და არც ეპიგრაფიკულ ძეგლებში რომაული სახელით არ იხსენიება და გარნის წარწერაში მოყვანილი მისი ტიტულარიდან არ ჩანს, რომ მას რომაული სახელი ეტარებინოს [Аракелян Б. 1952:187]. მით უფრო ნაკლებ სავარაუდოა, რომ ტირიდატს მიეღო სახელი ფლავიუსი, რამდენადაც ფლავიუსების ხანაში არმენიის მიმართ ნერონის დროს შექმნილი პოლიტიკური ვითარება არ შეცვლილა და ამდენად ტირიდატს რაიმე პოლიტიკური ბიძგი ამგვარი ნაბიჯის გადასადგმელად თითქოს არ უნდა ჰქონოდა. საერთოდ, არანაირი მონაცემი არ არსებობს არმენიის მეფეების მიერ რომაული სახელების მიღებისა, ვიდრე ზემოხსენებულ მეფე პაკორამდე. რაც შეეხება ალბანეთს, ფლავიუს დადის სამყოფლის ძებნაში, მასთან უდავო უპირატესობა უნდა მიენიჭოს იბერიას, რომელსაც ალბანეთთან შედარებით ყოველთვის უფრო მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა რომთან. კონკრეტულად ფლავიუსების ხანაში, როგორც ეს უკვე აღნიშნულია სპეციალურ გამოკვლევებში [ინაძე მ. 1955:320-321; ლომოური ნ. 1981:177 და შემდეგ] და როგორც ქვემოთ გამოჩნდება, აღმოსავლეთში რომის ძირითადი მოკავშირე იბერიის სამეფო იყო.

ყოველივე ზემოთ განხილულიდან გამომდინარე, თითქოს მყარი საფუძველი უნდა არსებობდეს იმაში დასარწმუნებლად, რომ არმაზისხევის N3 სამარხში მოპოვებულ ვერცხლის ლანგრის წარწერაში მოხსენიებული მეფე ფლავიუს დადი ნამდვილად იბერიელია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რომაული სახელის მქონე იბერიელი მეფის ფლავიუს დადის პიროვნების დადგენას უნდა აიოლებდეს საკუთრივ სახელი ფლავიუსი, რამდენადაც ასეთი სახელის მატარებელი მეფე, ჩვენი თვალსაზრისით, აუცილებლად უნდა ყოფილიყო ფლავიუსების თანამედროვე. ყოვლად გამორიცხულად მიგვაჩნია ის აზრი, რომ იბერიის (ან

ნებისმიერი სხვა ქვეყნის) სამეფო კარზე სახელი ფლავიუსი გამოჩენილიყო ამ დინასტიის ტახტზე ასვლამდე. მით უმეტეს, რომ ფლავიუსები გაიმპერატორებამდე რომის იმპერიაში არანაირ გამორჩეულ როლს არ ასრულებდნენ და საკმაოდ დაბალი წარმოშობისა იყვნენ [Гай Светоний Транквилл. 1988:225 და შემდეგ]. ასევე ნაკლებ მოსალოდნელად მიგვაჩნია რომელიმე სამეფო კარის მიერ სადინასტიო სახელად ფლავიუსის მიღება ამ დინასტიის მმართველობის შემდგომ ხანაში, მით უმეტეს, რომ ფლავიუსების ბოლო წარმომადგენელი დომიციანე შეთქმულების შედეგად იქნა მოკლული და წინამორბედი ფლავიუსი იმპერატორისგან განსხვავებით რომის სენატის მიერ ღვთაებად არ იქნა შერაცხული [Гай Светоний Транквилл. 1988:274-288; Федорова Е. 1979:131-132]. ვთქვათ, იბერიის მეფე ფარსმან II-ს, რომელსაც იმპერატორმა ანტონინუს პიუსმა ახალი სამფლობელოები უბოძა და რომში, მარსის მოედანზე, ქანდაკებაც დაუდგა [დიონ კასიუსი. 1966:83], რომ მოესურვებინა იმპერატორისადმი საპასუხო პატივისცემის გამოხატვა რომაული საიმპერატორო სახელის მიღებით, ალბათ ამას უკეთ შეძლებდა იგივე ანტონინუს პიუსის, ან კიდევ მმართველი დინასტიის ანტონინუსების სახელის მიღებით, ვიდრე პოლიტიკური სცენიდან ჩამოსული ფლავიუსების ან კლავდიუს-იულიუსების სახელის მიღებით.

ამდენად, მიგვაჩნია, რომ ჩვენ წინაშე საკმაოდ ბედნიერი შემთხვევა უნდა იყოს, ფლავიუს დადის მოღვაწეობის წლები შეგვიძლია, განვსაზღვროთ რომში ფლავიუსების მმართველობის ხანით, რომელიც, თავის მხრივ, საკმაოდ ხანმოკლეა და მოიცავს 27 წელს (69-96) [ინგოროყვა პ. 1978:493; აფაქიძე ან. 1963:146].

აღნიშნული მოსაზრების გაზიარების შემთხვევაში გასარკვევია, თუ კონკრეტულად რომელი ფლავიუს იმპერატორის პატივსაცემად იქნა იბერიელი მეფის მიერ მიღებული სახელი ფლავიუსი. ვფიქრობთ, რომ ამ კითხვაზე პასუხი უნდა გაგვცეს ამ დინასტიის წარმომადგენელთა მიერ წარმოებულმა აღმოსავლურმა პოლიტიკამ, რომლის ანალიზმაც უნდა

მიგვითითოს რომსა და იბერიას შორის შექმნილ იმ კონკრეტულ სიტუაციაზე, რომელიც გამოიწვევდა იბერიის მეფის მიერ რომაული საიმპერატორო სახელის მიღებას.

ფლავიუსების დინასტია სულ სამი იმპერატორით იყო წარმოდგენილი. პირველი მათგანი გახლდათ ვესპასიანე, რომელიც იმპერიას მართავდა 69-79 წლებში, მის შემდგომ ტახტზე ისხდნენ მისი ვაჟები ტიტე (79-81 წწ.) და დომიციანე (81-96 წწ.) [Бикерман Э. 1975:236]. ფლავიუსების დროინდელ იბერია-რომის ურთიერთობაზე ბერძნულ-რომაული წერილობითი წყაროები, ფაქტიურად, არაფერს იუწყება, არც ქართული წყაროები ეხება ამ საკითხს (თუ არ ჩავთვლით ლეონტი მროველთან დაცულ ცნობას ვესპასიანეს მიერ იერუსალიმის აღების შესახებ) [ლეონტი მროველი. 1955:44]. ამ ნაკლს ერთგვარად ავსებს ეპიგრაფიკული ძეგლები, კერძოდ კი, მცხეთასთან აღმოჩენილი ბერძნული წარწერა ვესპასიანეს ხანისა [წერეთელი მ. 1958:50].

უკვე წინასწარ აღვნიშნავთ, რომ ჩვენი აზრით, სამი ფლავიუს იმპერატორიდან ყველაზე მეტად ვესპასიანეს დროს შეიძლებოდა შექმნილიყო პოლიტიკური სიტუაცია იბერიის მეფის მიერ მისი სახელის მიღებისა, წარმოებული აღმოსავლური პოლიტიკა და იბერიის სამეფოს როლი ამ პოლიტიკის გატარებაში. მაგრამ, სანამ ამ საკითხის მიმოხილვაზე გადავიდოდეთ, გვინდა, მოკლედ შევეხოთ ტიტესა და დომიციანეს მოღვაწეობას.

როგორც ცნობილია, ტიტე მცირე ხნით, 2 წელზე ოდნავ მეტ ხანს (79-81 წწ.) იჯდა საიმპერატორო ტახტზე. მის დროს ფლავიუსების დინასტიის მიერ შემუშავებული პოლიტიკა აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ უკვე რეალურად გატარებული გახლდათ და ტიტეს მამის პოლიტიკური კურსიდან არ გადაუხვევია [Машкин Н. 1947:274]. ტიტეს ხანმოკლე მმართველობის განმავლობაში არ არის ცნობილი რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, ან მოვლენა აღმოსავლეთთან დამოკიდებულებაში და ამდენად, ჩვენი აზრით, არც იბერიის მეფის მიერ სახელ ფლავიუსის მიღება უნდა იყოს ტიტეს

დროს მოსალოდნელი.

ასევე ნაკლებ შესაძლებლად გვეჩვენება სახელ ფლავიუსის გამოჩენა იბერიის სამეფო კარზე დომიციანეს მმართველობის ხანაში, თუმცა გარკვეული საფუძველი ამ მოსაზრებისთვის თითქოს არსებობს კიდევ. 1940-იან წლებში, აზერბაიჯანში, ბაქოს სიახლოვეს მიკვლეულ იქნა ლათინური წარწერა XII ლეგიონის (ელვისებურის) ცენტურიონისა, რომელიც დომიციანეს მმართველობის პერიოდით თარიღდება [Джапар-заде Н. 1948:304-313]. ეს წარწერა ყველაზე აღმოსავლეთით აღმოჩენილი რომაული წარწერაა და ის მოწმობს რომაელთა სამხედრო შენაერთების ყოფნას კასპიის ზღვის სანაპიროზე. წარწერასთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. თავდაპირველად, მეცნიერთა ნაწილი თვლიდა, რომ წარწერა მოწმობს დომიციანეს ლაშქრობას ალბანთა და ალანთა წინააღმდეგ [Пахомов Е. 1949:81]. ნაწილმა მიიჩნია, რომ ალბანეთის ტერიტორიაზე მყოფი რომაული სამხედრო რაზმი იყო ალბანთა დამხმარე ძალა პართიის წინააღმდეგ ბრძოლაში [Левиятов В. 1950:87]. კ. ტრევერმა უარყო ზემოთ მოტანილი მოსაზრებები და მიიჩნია, რომ ალბანეთის ტერიტორიაზე მყოფი რომაელთა სამხედრო შენაერთი ან მზვერავი რაზმი უნდა ყოფილიყო, ან კიდევ საგუმაგო ალანთა სათვალთვალოდ [Тревер К. 1959:127-128]. ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ XII ლეგიონის ქვედანაყოფები იყო იბერთა მეფის დამხმარე სამხედრო ძალა ალბანთა წინააღმდეგ ლაშქრობაში [Меликишвили Г. 1959:351]. ამ შემთხვევაში, ჩვენთვის არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა იმის გარკვევას, თუ კონკრეტულად რითი იყო გამონვეული რომაელთა სამხედრო რაზმის გამოჩენა ალბანეთის ტერიტორიაზე, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ XII ლეგიონის შენაერთების ალბანეთში ყოფნა არაფრით შეიძლება უკავშირდებოდეს დომიციანეს რომელიმე აღმოსავლურ ლაშქრობასთან იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ დომიციანეს არასდროს, არანაირი ლაშქრობა არ მოუწყვია აღმოსავლეთში და, როგორც

ჩანს, მას არც შესწევდა იმის ძალა, რომ დიდი მასშტაბის ექსპედიცია მოეწყო ასეთ შორეულ მხარეში [Тревер К. 1959:127-128; Ломоури Н. 1981:117 და შმდ.]. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ დომიციანე ვესპასიანესგან განსხვავებით ნაკლებ ყურადღებას უთმობდა აღმოსავლეთის საკითხს, მის დროს იმპერიის მთელი ყურადღება გადატანილი იყო ჩრდილოეთით, დუნაის საზღვრებისკენ, სადაც რომი აწარმოებდა ხანგრძლივ და მომქანცველ ომს (ხშირად წარუმატებელსაც) დაკების, მარკომანებისა და დუნაისპირა სარმატების წინააღმდეგ [Момзен Т. 1949:191-192; Кругликова И. 1955], ხოლო აღმოსავლეთში შენარჩუნებული იყო იგივე ვითარება, რაც არსებობდა ვესპასიანეს მმართველობისას. ამდენად, როგორც ტიტუს ისე, დომიციანეს მმართველობისას ნაკლებ მოსალოდნელი გვეგონია იბერიაში სამეფო კარზე სახელი ფლავიუსის გამოჩენის შესაძლებლობა. ყველაზე დიდ არგუმენტად იმ მოსაზრების წამოსაყენებლად, რომ იბერიის მეფემ სახელი ფლავიუსი მიიღო კონკრეტულად ვესპასიანეს იმპერატორობისას და ვესპასიანეს პატივსაცემად, მიგვაჩნია საკუთრივ ვესპასიანეს მიერ წარმოებული პოლიტიკა რომის აღმოსავლურ პროვინციებში და აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ.

ვესპასიანეს მიერ წარმოებული აღმოსავლური პოლიტიკა საგრძნობლად განსხვავდებოდა მისი წინამორბედი იმპერატორის, ნერონის პოლიტიკისგან. ნერონისდროინდელი რომის დამოკიდებულება აღმოსავლეთის მიმართ საკმაოდ აგრესიული, შემტევი ხასიათით გამოირჩეოდა. ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი, რომ ნერონი აწარმოებდა მრავალწლიან ომს პართიის სამეფოსთან არმენიის გამო [Момзен Т. 1949:346-355]. გარდა ამისა, ნერონი ამზადებდა დიდი მასშტაბის სამხედრო ექსპედიციას ალანთა წინააღმდეგ კავკასიონის გადმოსასვლელების ხელში ჩასაგდებად, ეს ლაშქრობა ნერონის სიკვდილის გამო აღარ შედგა [Момзен Т. 1949:356; იხ. იქვე, გვ. 356; Манандян Я. 1946:66-74; ლომოური ნ. 1981:170]. ნერონისგან განსხვავებით ვესპასიანეს აღმოსავლური პოლო-

ტიკა თავდაცვითი ხასიათისა იყო და *status quo*-ს შენარჩუნებას ემსახურებოდა. ვესპასიანეს დროიდან დაწყებული, ფლავიუსების მმართველობის მთელ პერიოდში ტრაიანეს იმპერატორობამდე, ნერონის დროს (66 წ.) დადებული ზავი და მშვიდობიანი დამოკიდებულება რომსა და პართიას შორის არ დარღვეულა [Момзен Т. 1949:355-359]. ვესპასიანეს ძირითადი ამოცანა იყო არა პართიის საშიშროების თავიდან აცილება, არამედ ალანთა გამანადგურებელი შემოსევების აღკვეთა, რითაც თვით პართიის სამეფოც არანაკლებ იყო დაინტერესებული [Момзен Т. 1949:358]. ვესპასიანემ უარყო ნერონისეული გეგმა ალანთა წინააღმდეგ სამხედრო ექსპედიციის მოწყობისა, რაც დიდი სამხედრო ძალების თავმოყრასა და დიდძალ დანახარჯთან იქნებოდა დაკავშირებული და, როგორც ჩანს, იმპერიის შესაძლებლობებს უკვე აღემატებოდა. იგი ალანთა საკითხის მოგვარებას აღმოსავლური პროვინციების თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებით შეეცადა. კერძოდ, გაზარდა აღმოსავლეთში მდგომი ლეგიონების რაოდენობა, ჯარები უფრო მოხერხებულად განალაგა საზღვრებთან ახლოს, საზღვრების გასწვრივ ააგო ერთმანეთთან დაკავშირებული თავდაცვით სიმაგრეთა სისტემები, მათ შორის, ე.წ. პონტოს ლიმესი, განაგრძო რომზე დამოკიდებული და ნახევრად დამოკიდებული ქვეყნების პროვინციებად გადაქცევა, მოაწესრიგა ურთიერთობანი აღმოსავლეთის ქვეყნებთან [Момзен Т. 1949:355-359; Левинадзе В. 1969:66; Halfmann H. 1986], რასაკვირველია, აღმოსავლურ პროვინციებში მძლავრი სასაზღვრო ზოლის შექმნა პართიის სამეფოს საშიშროებასაც ითვალისწინებდა, მაგრამ ამ ღონისძიების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა, რომ ალანთა შემოსევების უვნებელყოფა იყო, ეს უახლეს ისტორიულ გამოკვლევებში უყოყმანო ფაქტადაა მიჩნეული [Halfmann H. 1986:39 და შმდ.] და ჩვენი აზრით, სრულიად სამართლიანადაც, რამდენადაც ალანებმა განსაკუთრებული აქტივობა დაახლოებით ვესპასიანეს მმართველობის პერიოდიდან დაიწყეს. ალანთა წინააღმ-

დეგ მიმართულ ღონისძიებებს არ ექნებოდა სრული ეფექტი, თუ ალანთა საწინააღმდეგო პოლიტიკის გატარებაში მონაწილეობას არ მიიღებდა იბერიის სამეფო, რომელიც კავკასიონის ძირითად გადმოსასვლელზე უშუალო კონტროლს ახორციელებდა. რომის ინტერესებისთვის იბერიის რომთან მოკავშირეობის აუცილებლობა განსაკუთრებულად კარგად გამოჩნდა ვესპასიანეს იმპერატორობის პირველ ხანებში, 72-74 წლებს შორის, როდესაც ალანებმა იბერთა მეფის ხელშეწყობით გამანადგურებელი ლაშქრობა მოაწყვეს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, ააოხრეს მიდია, არმენია და მისწვდნენ რომის პროვინციებსაც. ალანთა ეს შემოსევა იმდენად გრანდიოზული ყოფილა, რომ აისახა, როგორც ანტიკურ (იოსებ ფლავიუსი) ისე, სომხურ (მოვსეს ხორენელი) და ქართულ (ლეონტი მროველი) წერილობით წყაროებში [მელიქიშვილი გ. 1970:517 და შმდ.]. რასაკვირველია, ასეთ პირობებში რომი ყოველნაირად ეცდებოდა, საუკეთესო ურთიერთობა ჰქონოდა იბერიის სამეფოსთან. რამდენადაც რომს არ შეეძლო სამხედრო ძალის საშუალებით დაემყარებინა კონტროლი კავკასიონის გადმოსასვლელზე, ამდენად, მას ეს ამოცანა იბერიასთან მეგობრული დამოკიდებულების საშუალებით უნდა გადაეჭრა. ეს რომ ასე მოხდა, ამის უდავო დადასტურება უნდა იყოს მცხეთასთან აღმოჩენილი ვესპასიანესდროინდელი წარწერის შინაარსი, რომლის მიხედვითაც ვესპასიანე იბერთა მეფე მითრიდატეს უმაგრებს კედლებს. წარწერა 75 წლით [წერეთელი გ. 1958:16] თარიღდება და არც ეს გარემოებაა შემთხვევითი. ჯერ ერთი, ეს თარიღი ქრონოლოგიურად უშუალოდ მოსდევს მოხსენიებულ ალანთა შემოსევას, რომელიც მოხდა 72-74 წლებს შორის და რომელიც რომის წინაშე მთელი სიმწვავეით დააყენებდა საკითხს ალანთა პრობლემის გადაჭრის დაჩქარების აუცილებლობის შესახებ. გარდა ამისა, წარწერაში მოხსენიებული რომაელთა სააღმშენებლო საქმიანობა, იბერთა მეფისთვის კედლების განმტკიცება, ქრონოლოგიურად ემთხვევა იმ დიდ სააღმ-

შენებლო მოღვაწეობას, რომელიც აწარმოებს რომაელებმა თავდაცვითი სისტემების შესაქმნელად აღმოსავლურ პროვინციებში. აღმოსავლეთში თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობა ძირითადად 71-76 წლებში მიმდინარეობდა [Halfmann H. 1986:48] ასე, რომ ვესპასიანეს მიერ იბერთა მეფისთვის კედლების განმტკიცება, საერთოდ აღმოსავლეთში რომაელთა მიერ წარმოებული სასიმაგრო სისტემების შექმნის ერთ-ერთი ეტაპი უნდა იყოს და ეს მშენებლობა ალანთა წინააღმდეგ უნდა ყოფილიყო მიმართული. მოსაზრება, მცხეთაში რომაელთა მიერ წარმოებული სააღმშენებლო საქმიანობის ანტიალანური ხასიათის შესახებ, ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში დიდი ხანია გამოთქმულია [ინაძე მ. 1955:320], მაგრამ ამ პრობლემის კვლევისას, როგორც ყურადღების გარეშე იქნა დატოვებული ამ საკითხის მეორე მხარე. თუ რომაელთა საქმიანობა მცხეთაში ატარებდა ანტიალანურ ხასიათს, მაშინ ეს ფაქტი ნიშნავდა იბერიის მონანილეობას ალანთა საწინააღმდეგო ღონისძიებებში, რაც აუცილებლად გამოიწვევდა იბერიისა და ალანების ურთიერთობის მკვეთრ გაუარესებას. ამის შესახებ კი წერილობით წყაროებში არანაირი მინიშნება არ არსებობს. საისტორიო ტრადიცია ალანებს აღნიშნულ ხანაში იბერთა სამეფოს მოკავშირედ წარმოგვიდგენს [თოგოშვილი გ. 1958:70 და შმდ; მელიქიშვილი გ. 1970:517 და შმდ.]. წერილობითი წყაროებისგან განსხვავებით კი არქეოლოგიური ვითარება თითქოს საწინააღმდეგო სურათს გვიხატავს. მხედველობაში გვაქვს დედოფლის ორგორაზე დადასტურებული არქეოლოგიური სიტუაცია. ორგორაზე (ქარელის რაიონი, მდ. მტკვრისა და ფრონის შესაყართან) ითხრება ქართლის მეფეთა სასახლე, რომელიც უეცრად დანგრეული და გადამწვარია I საუკუნის ბოლოს (რადიოკარბონული ანალიზით I საუკუნის 80-იან წლებში). არ არის გამორიცხული, რომ ორგორის სასახლის დანგრევა ალანთა საპასუხო ღონისძიება ყოფილიყო იბერიის სამეფოს რომთან დაკავშირების გამო. თუ ორგორის სასახლე ნამდვილად აღ-

ანების მიერაა დანგრეული (და იმდროინდელი ვითარების გათვალისწინებით თითქოს სხვა მტრული ძალა არ ჩანს, გარდა ალანებისა) და მომავალში გათხრებმა ეს ფაქტი უცილობლად დაადასტურა, მაშინ სრული არქეოლოგიური საფუძველი გვექნება იმ რეალობაში დასაწინააღმდეგებლად, რომ იბერია აქტიურად იყო ჩაბმული ვესპასიანეს ანტიალანურ პოლიტიკაში.

მიმოხილულის მიხედვით, თითქოს საკმაო საფუძველი გვაქვს იმ მოსაზრებისთვის, რომ I საუკუნის 70-იან წლებში იბერია იღებდა აქტიურ მონანილეობას ვესპასიანეს მიერ განხორციელებულ ანტიალანურ ღონისძიებებში და რომ ამდროისთვის მას მეგობრული დამოკიდებულება ალანებთან შეცვლილი ჰქონდა მტრობით. გამომდინარე ამ გარემოებებიდან, იბერია აღმოსავლეთში რომის ძირითად მოკავშირედ მოიაზრება და ეს ფაქტი, ჩვენი აზრით, ვესპასიანეს წარწერებშიც კარგად არის ასახული. ამას უნდა ადასტურებდეს წარწერის მთლიანი ტექსტი, რომლიდანაც აღნიშვნის ღირსი გეგონია შემდეგი გარემოებაც, აქ, იბერთა მეფე მითრიდატე იხსენიება კეისრისა და რომაელი ხალხის მეგობრად [წერეთელი გ. 1958:14]. ამგვარი მიმართვა რომაელთა მხრივ ერთგვარი ოფიციალურად დაკანონებული ფორმა იყო და გამოიყენებდა რომისადმი ვასალურ, ან პრორომაულად განწყობილი ქვეყნების მეფეთა მიმართ. მაგალითად, ოფიციალურ წარწერებში ხშირად ასე იხსენიებიან მთელი რიგი ბოსფორელი მეფენი [Болтунова А. 1971:8; Фролова Н. 1968a:63 და სხვ.], ასევე ინოდებოდა არმენიის მეფე სოემი [Dessau K. 1916: сmp. XX-VIII, N 8958] და სხვანი. ეს გარემოება ერთხელ კიდევ ადასტურებს იბერიის დამოკიდებულებას რომის მიმართ. რასაკვირველია, იბერიის სამეფო კარს სერიოზული მიზეზები უნდა ჰქონოდა იმისთვის, რომ გამხდარიყო რომის საიმედო მოკავშირე ალანთა საწინააღმდეგოდ, მით უმეტეს, რომ იმ ხანად იბერიის მეზობელთაგან ალანები ერთ-ერთი საშიში და ძლიერი ძალა იყო. ალბათ არ შევცდებით თუ ჩავთვლით, რომ იბერია მხოლოდ რომისადმი კეთილგანწყობით არ გახდებოდა ალანთა

მტერი, ვფიქრობთ, რომ რომს მოუხდებოდა იბერიის გარკვეული მოთხოვნების დაკმაყოფილება. ნყაროები კი არც ამ ვითარების შესახებ გვაუწყებს რაიმეს. ვფიქრობთ, ვარაუდის სახით შეიძლება წამოყენებული იქნეს მოსაზრება, რომელიც ნაწილობრივ განსხვავებული ინტერპრეტაციით გამოთქმული აქვს პროფ. ნ. ლომოურს [Ломоури Н. 1981:177 და შმდ.]. როგორც ცნობილია, არმაზისხევის ნეკროპოლზე აღმოჩენილ ე.წ. პიტიახმ შარაგასის წარწერაში ლაპარაკია ლაშქრობებსა და გამარჯვებებზე, რომლებიც მოიპოვა იბერიის სამეფომ მეზობელი ქვეყნების (?) და მათ შორის არმენიის ტერიტორიაზე. მიჩნეულია, რომ შარაგასის წარწერა ეხება იბერიის მიერ რიგი ტერიტორიების შემოერთებას [Церетели Г. 1948:52] იგი დათარიღებულია ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრით, მასში მოხსენიებულია მეფე მითრიდატე, რომელიც იმავე ვესპასიანეს წარწერაში მოხსენიებული მეფე უნდა იყოს, ხოლო თვით შარაგასის წარწერა, ისე როგორც ვესპასიანესი, იბერთა მეფე მითრიდატეს (მითრიდატე II) მეფობის ხანას მიეკუთვნება. სრულიად დასაშვებად მიგვაჩნია, რომ შარაგასის წარწერაში მოხსენიებული იბერიის სამეფოს მიერ ტერიტორიების შემოერთება რომს და მასთან ერთად პართიას, და თვით არმენიასაც კი, კანონიერად ეცნოთ ანტიალანურ კოალიციაში იბერიის სამეფოს მონაწილეობის პირობით. ხოლო ის ფაქტი, რომ პართიის სამეფო (და, რასაკვირველია, მასთან ერთად არმენიაც) რომზე არანაკლებ იყო დაინტერესებული ალანთა შემოსევის აღკვეთით, ჩანს თუნდაც იქიდან, რომ პართელები ყოველმხრივ ცდილობდნენ ვესპასიანეს წაქეზებას ნერონის მიერ განზრახული ლაშქრობის განსახორციელებლად [Момзен Т. 1949:358]. საერთოდ, ალანთა საკითხში რომისა და პართიის ინტერესები რომ ერთმანეთს ემთხვეოდა, ისტორიულ ლიტერატურაში საკამათო მოსაზრება არ არის [Момзен Т. 1949:358; ინაძე მ. 1955:320-321; Halfmann H. 1986:319]. არ არის გამორიცხული, რომ რომი, პართია და არმენია შერიგებოდნენ იბერიის სამეფოს ტერიტორიულ პრეტენზიებს და არ მიემარ-

თათ საპასუხო ღონისძიებებისთვის, თუკი იბერია ალანთა საკითხის მოგვარებაში მონაწილეობას მიიღებდა. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ვესპასიანეს მიერ იბერთა ტერიტორიული პრეტენზიების დაკმაყოფილება არ იყო არც პირველი და არც უკანასკნელი რომაელთა მხრივ. ჯერ კიდევ ნერონის იმპერატორობისას, რომი-პართიის ომის დროს, რომაელმა მხედართმთავარმა კორბულონმა თავის მოკავშირე იბერებს გადასცა არმენიის ტერიტორიის ნაწილი [ტაციტუსი. 1973:99], ხოლო მოგვიანებით იმპერატორმა ანტონინუს პიუსმა, იბერთა მეფე ფარსმან II-ს გაუზარდა სამფლობელოები [დიონ კასიუსი. 1966:83]. როგორც ჩანს, ტერიტორიული პრეტენზიების დაკმაყოფილება რომაელთათვის ერთ-ერთი საშუალება იყო იბერიის სამეფოსთან სამოკავშირეო ურთიერთობის განსამტკიცებლად. ამგვარად, თუ დავუშვებთ, რომ რომი (და მისი გავლენით), პართია და არმენია ცნობდნენ იბერიის სამეფოს მიერ ახალი ტერიტორიების ძალით შემოერთების კანონიერებას, მაშინ იბერთა მეფე მითრიდატე II-ს სრული საფუძველი ექნებოდა თვითონაც დაინტერესებულიყო ალანთა შემოსევების შეზღუდვით.

იმდროინდელი ვითარების ამ სახით წარმოდგენა გვაძლევს საფუძველს დაფუძვან, რომ ახ.წ. I საუკუნის 70-იან წლებში იბერთა მეფეს შეექმნა ისეთი პოლიტიკური სიტუაცია (აქტიური მონაწილეობა რომის ანტიალანურ პოლიტიკაში და სანაცვლოდ ახალი ტერიტორიების შემოერთება), როდესაც იგი საჭიროდ ჩათვლიდა მისი თანამედროვე რომაელი იმპერატორის სახელის მიღებას. ჩვენი აზრით, იმხანად იბერიის სამეფო ტახტზე მჯდომმა მეფე მითრიდატე II-მ მიიღო კიდევ სახელი ფლავიუსი და ვესპასიანე ფლავიუსის პატივსაცემად იწოდა ფლავიუს დადედ.

ვესპასიანესა და შარაგასის წარწერებში მოხსენიებული იბერთა მეფე მითრიდატე II-სა და არმაზში აღმოჩენილ ვერცხლის ლანგრის წარწერაში მოხსენიებული მეფე ფლავიუს დადის იგივეობის მტკიცება არ იქნება სრული, თუ არ შევვებით სახელ ფლავიუს დადის მეორე

შემადგენელ ნაწილს, საკუთრივ დადს.

ფლავიუს დადი შედგენილი სახელია. კლასიკური რომაული სახელები სამი ნაწილისგან შედგებოდა. პირველი საკუთარი სახელი იყო (*praenomen*), მეორე საგვარეულო სახელი (*nomen*), მესამე კი, პირადი მეტსახელი (*cognomen*) [Федорова Е. 1969:71]. სახელში „ტიტე ფლავიუს ვესპასიანე,“ ტიტე - საკუთარი სახელია, ფლავიუს აღნიშნავს საგვარეულოს, ხოლო ვესპასიანე მეტსახელია, რომაულ პროვინციებსა და რომის გავლენის ქვეშ მყოფი ქვეყნების მოსახლეობაში უპირატესად ორმაგი შედგენილობის სახელების გავრცელება შეინიშნება, მათ უპირატესად არარომაელები ატარებდნენ. ასეთ შემთხვევაში საკუთარ, ადგილობრივ სახელს უმატებდნენ რომაულს და საერთო ჯამში მიიღებოდა ორმაგი შედგენილობის რომაული სახელი. ზემოთ მოხსენიებული არმენიის მეფის - ავრელიუს პაკორისა და მისი ძმის ავრელიუს მითრიდატეს სახელები სწორედ ამ გზითაა მიღებული. ამავე გზით მიღებულ სახელთა ჯგუფს მიეკუთვნება ფლავიუს დადიც. აქაც ფლავიუსი რომაული სახელია, ხოლო დადი საკუთარი, ადგილობრივი.

წარწერაში ეს სახელი წარმოდგენილია ბერძნული სახელობითი ბრუნვის დაბოლოებით - დადეს - და როგორც სამართლიანად აღნიშნავდა აკად. ს.ყაუხჩიშვილი ამ სახელის ფუძე უნდა იყოს დად-ი [ყაუხჩიშვილი.ს 1941: 170-171].

დად-ი ირანული წარმოშობის საკუთარი სახელია, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული, როგორც საკუთრივ ირანში, ისე მისი გავლენის მყოფ ქვეყნებშიც, მათ შორის არმენიასა და საქართველოში. ამის საბუთია, თუნდაც არწახში მდებარე მონასტრის სახელი დადივანქი, გვარსახელი დადიანი საქართველოში, ასევე არმენიაში, მთა დადიაში სვანეთში და სხვ.

სახელი დადი მომდინარეობს ავესტური *data* - დან და ნიშნავს „შექმნილს“, „მოცემულს“, „კანონიერს“. როგორც თავისთავადი საკუთარი სახელი დასტურდება ჯერ კიდევ ძვ.წ. IV საუკუნის 70-60-იან წლებში *Datames-*

ის ფორმით. ეს სახელი ერქვა კაპადოკიის სპარსელ სატრაპს, რომლის მიერაც მოჭრილ სინოპური ტიპის მონეტებზე მისი სახელი ბერძნულად გამოისახებოდა ან, როგორც *Data*, ან კიდევ *Datames*—ს ფორმით [Babelon 1910:NN623-26, ტაბ. CX-1-3]. სახელი დად-ი, როგორც დამოუკიდებელი ფორმა დადასტურებულია აგრეთვე სასანური ხანის მრავალრიცხოვან საბეჭდავებზე [Gionoux Ph. 1986:N270], მაგრამ იგი უფრო ხშირად ფიგურირებს ირანული თეოფორული სახელების მანარმოებლად. ამგვარი სახელები ფართოდაა წარმოდგენილი ანტიკური ხანის ქართულ ონომასტიკონშიც: მითრიდატე (მირდატი), ტირიდატი (თრდატი), ბაგრატი (ბაგადატი), სპანდატი და სხვ. ამ სახელების წინა შემადგენელი ნაწილი (მითრა, ტირი, ბაგა, სპანდა) ირანული საღვთო სახელებია, მეორე ნაწილი დატი კი მანარმოებელი. ეს სახელები აღნიშნავს, შესაბამისად მითრას, ტირის, ბაგასა და სპანდას შექმნილს, მოცემულს, ნაწყალობევს [ანდრონიკაშვილი მ. 1996:438-443, 470, 474-478, 494].

როგორც წესი, მანარმოებელი დადი (დატი) შედგენილი სახელის მეორე ნაწილია, მაგრამ საკმაოდ ხშირად გვხვდება შემთხვევები, როდესაც იგი სახელის პირველი შემადგენელი ნაწილია. მაგალითად, ასეთი გამონაკლისია სახელი მითრიდატე, რომელშიც მანარმოებელი დატი, როგორც წესი, მითრას შემდგომ დგას, მაგრამ ჩვენთვის ცნობილია პერსეპოლისში ქვის ჭურჭელზე მოცემული სახელები, რომლებზეც სახელი მითრიდატე გადმოცემულია არსებული წესისგან განსხვავებულად. ასეთ შემთხვევაში მანარმოებელი დგას საკუთრივ ღვთაების სახელის წინ: *Data-Mithra* (*dtmtr*) [Baumann A. 1970:N91]. ამგვარადვე ნანარმოებია რიგი სხვა სახელიც: დად-გუმნარ, დად-ნარსეჰ, დად-თაჰრმაზდ და სხვ. [Gionoux Ph. 1986:N270].

ავესტისა და ძველი ირანული *dat, data* (დატ) სასანურ ხანაში სისტემატურად გადმოიცემა *dad* ფორმით. ზეპირსიტყვიერებაში კი ეს პროცესი (t-ს გადაიქცევა d-დ) უფრო ადრე უნდა დაწყებულიყო. საყურადღებოა, რომ ქაბა-ი-

ზარდუშტის სამენოვან ნარწერაში საშუალო სპარსულ და პართულ t-ს ხშირად შეესაბამება ბერძნული δ. მაგალითად, ატურანაჰიტ ('Twr'- 'nhyt), აღურანაიდ (ἀδουράναϊδ), ჰანდარძაპეტ - ანდარძაბიდ, ასპიჰიტ - ასპიჰიდ და სხვ. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ერთი და იგივე ირანული ტერმინი ტექსტის სხვადასხვა ნაწილში სხვადასხვა ბერძნული ტრანსკრიფციითაც არის გადმოცემული. მაგალითად, ბიტახში ბერძნულად გადმოცემულია, როგორც βιτ ιξ (ŠKZ 56) და π ιταξησ (ŠKZ 61, 64) [Back M. 1978:151-156]. სავსებით აშკარაა, რომ ბერძენი მწერალი წერდა ისე, როგორც მას ესმოდა ნაკარნახევი მისთვის უცხო სიტყვა. გამოთქმაში კი ირანული ყრუხშული ბგერა - t - როგორც ჩანს, საკმაოდ ახლოს იდგა მჟღერხშულთან — d.

ჩვენთვის ამასთან ერთად, განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ ირანულში „დატ“ ელემენტიან საკუთარ შედგენილ სახელებს ხშირად ამოკლებდნენ და ყოფაში სახელები მითრიდატე, ტირიდატი და ა.შ. ხშირად იხსენიებოდა, როგორც „დატ“ ან „დად“ [Gionoux Ph. 1986:N270]. ჩვენი აზრით, სწორედ ასეთ შემთხვევასთან უნდა გვქონდეს საქმე ფლავიუს დადის შემთხვევაში. მიგვაჩნია, რომ ქართველი მეფის სახელი მითრიდატე, არმაზისხევის ვერცხლის ლანგრის ბერძნულ ნარწერაში გადმოცემულია დად-ით და ბერძნული დამწერლობის ჩვეულებისამებრ ირანული - t შეცვლილია - d-ით. ამგვარად, ჩვენი აზრით, სახელი ფლავიუს დადი უნდა იყოს იბერი მეფის ფლავიუს მითრიდატეს (მითრიდატე II) შემოკლებული გადმოცემა და ნიშანდობლივია, რომ ნარწერაში ამ შედგენილი სახელის ორივე ელემენტი, როგორც ფლავიუსი, ისე მითრიდატე, შემოკლებული ფორმითაა წარმოდგენილი.

ფლავიუს დადისა და მითრიდატეს იგივეობის შესახებ საკითხის განხილვა არ შეიძლება დასრულებულად ჩაითვალოს, თუკი ორიოდე სიტყვით არ შევეხეთ საკუთრივ ფლავიუს დადის ნარწერიანი ვერცხლის ლანგრის ატრიბუციისა და ქრონოლოგიის საკითხებს. რამდენა-

დაც ზემოთ განხილულის საფუძველზე ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ლანგრის ნარწერაში მოხსენიებული მეფე ფლავიუს დადი იგივე იბერთა მეფე მითრიდატე II-ა, რომელიც დაახლოებით ახ.წ. I საუკუნის 70-80 წლებში მეფობდა, ამდენად მის მიერ საჩუქრად გაცემული ლანგარიც არაუგვიანეს ახ.წ. I საუკუნის 80-იან წლებს უნდა განეკუთვნებოდეს. მაგრამ მხატვრულ-სტილისტური ანალიზის შედეგად ლანგარი ახ.წ. III საუკუნის I ნახევრითაა დათარიღებული [Machabeli K. 1976:41, სურ. 31.], ეს თარიღი კი კატეგორიულად გამორიცხავს ფლავიუს დადისა და მითრიდატე II-ის იდენტიფიკაციას.

საკუთრივ არმაზისხევის ნეკროპოლის N3 სამარხი, რომელშიც აღმოჩენილი იქნა ფლავიუს დადის ნარწერიანი ვერცხლის ლანგარი ახ.წ. III საუკუნის II ნახევრითაა დათარიღებული მასში აღმოჩენილი მონეტების საფუძველზე [მცხეთა I, 1955:50-51, 59]. სამარხში აღმოჩენილი იქნა რომის ოთხი იმპერატორის (გორდიანე, ფილიპე არაბი, დეციუსი, ჰოსტილიანე) სახელით მოჭრილი 7 აურეუსი. ნარმოდგენილი იმპერატორების მმართველობის საერთო ქრონოლოგია სულ 13 წლით (238-251 წწ.) ისაზღვრება, ამასთან ერთად ყველაზე ახალგაზრდა და ყველაზე იშვიათი მონეტა ეკუთვნის ჰოსტილიანეს, რომელიც 251 წელს სულ რამდენიმე თვის განმავლობაში იჯდა საიმპერატორო ტახტზე [იხ. მცხეთა I, 1955:50-51; კაპანაძე 1957:165-167]. შესაბამისად, თვით სამარხიც არ უნდა იყოს ძალიან დაშორებული 251 წელს [ალსანიშნავია, რომ უკანასკნელ ხანებში ზოგიერთი მოსაზრებით არმაზისხევის ნეკროპოლის თარიღები უნდა გაახალგაზრდავდეს. კერძოდ, ამ საკითხს ეძღვნება გ. მანჯგალაძის საკანდიდატო დისერტაცია. ჩვენი აზრით, არმაზისხევის ნეკროპოლის თარიღები არანაირ რადიკალურ შესწორებებს არ საჭიროებს]. რაც შეეხება სამარხეულ ინვენტარს, იგი „მცხეთა I“-ის ავტორებს იმთავითვე უფრო ადრეულად მიაჩნდათ [მცხეთა I, 1955:59]. ხოლო ან. აფაქიძე აღნიშნავს, რომ სამარხის თარიღი უნდა განგვესხვაგვებინა ლან-

გრის თარიღისგან. რამდენადაც იგი დასაშვებად თვლის, რომ მეფე ფლავიუს დადსა და ბერსუმა პიტიახშს ეცხოვრათ I საუკუნის მინურულს, ამდენად იგი ლანგრის შესაძლო თარიღადაც ამ პერიოდს მიიჩნევს [აფაქიძე 1963:146].

ლანგარი (დიამეტრი - 48 სმ, წონა - 2,47 კგ) საგანგებოდ შეისწავლა პროფ. კ. მაჩაბელმა და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგი III საუკუნის I ნახევრით დაათარილა [Мачабели К. 1976:44] (ტაბ. I). კ. მაჩაბლის მიხედვით, არმაზისხევის ლანგრის ფორმა და დეკორატიული გადანწყვტა, ისე, როგორც დეკორის შესრულების ტექნიკა, ტიპურია II-III საუკუნეების რომაული ტორევეტიკისთვის [Мачабели К. 1976:44; Strong D. 1966:127, 173]. ამავე დროს, რომაული ტორევეტიკის ყველა მკვლევარი და მათ შორის კ. მაჩაბელიც აღნიშნავს, რომ როგორც რომაული ვერცხლის ჭურჭლის ფორმები, ისე დეკორი და ტექნიკა მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანია I-III საუკუნეების განმავლობაში და მათი სანყისები ელინისტურ ტორევეტიკაშია საძიებელი. კიდევ მეტი, არმაზისხევის ლანგრის აღწერისას კ. მაჩაბელი იმონებს ციცერონსა და პლინიუს უფროსს, რომლებიც აღნიშნავენ რომაელთა განსაკუთრებულ სიყვარულს სწორედ ისეთი დიდი ზომის ვერცხლის ჭურჭლისადმი, რომელსაც მიეკუთვნება არმაზისხევის ვერცხლის ლანგარი. კერძოდ, კ. მაჩაბელი წერს, რომ "Форма армазисхевского блюда - типичная для позднеримской торевтики, очень плоское, массивное блюдо, в обрамлении широкого орнаментального борта, по высокому качеству его исполнения, по своему характеру, по внушительным размерам относится именно к тем, достойным внимания серебряным изделиям, о которых восторженно рассказывает Плиний." (ხაზი ჩვენია - ი.გ. ს.მ.) [Мачабели 1976:42]. აქ საუბარია პლინიუს უფროსზე, რომელიც მოღვაწეობდა ახ.წ. I საუკუნეში და დაიღუპა 79 წელს ვეზუვის ამოფრქვევისას. არმაზისხევის ლანგრის თარიღის განსაზღვრისას კ. მაჩაბელს მოაქვს ანალოგიები და ასეთებად მიიჩნევს II საუკუნით დათარი-

ლებულ შაორსის განძში შემავალ ვერცხლის ლანგრებს [Walters H. 1921:N170-172]. ჩვენი აზრით, შაორსის ლანგრები მაინცდამაინც დიდ მსგავსებას არ იჩენს არმაზისხევის ლანგართან. პირველ ყოვლისა, თვალშისაცემია ის გარემოება, რომ შაორსის ლანგრებს, არმაზისხევეურისგან განსხვავებით არ გააჩნია ცენტრალური მედალიონი. მკვეთრადაა განსხვავებული მათი პირისკიდის დეკორიც არმაზისხევის ლანგრის დეკორისგან. შაორსის ლანგრებზე უწყვეტი ყვავილოვანი ორნამენტია წარმოდგენილი, არმაზისხევისაზე კი ორი დეკორატიული ორნამენტის განმეორებასთან გვაქვს საქმე. შესაბამისად, განსხვავებულია მხატვრული ეფექტიც.

ასევე საკმაოდ განსხვავებულია არმაზისხევეური ლანგრისგან მის პარალელურად დასახლებული ბერთუვილის განძში შემავალი II საუკუნით დათარიღებული ვერცხლის ლანგარი, რომლის მედალიონშიც და პირისკიდზეც, არმაზისხევის ლანგრისგან განსხვავებით, ყალიბში ჩამოსხმული ბრტყელი, ფიგურული კომპოზიციებია წარმოდგენილი [Strong D. 1966:172, ტაბ.49] (ტაბ. II,4).

დეკორის შესრულების ტექნიკით (კვეთა, თეგვა), მცენარეული ორნამენტის ელემენტების ხასიათითა და განლაგებით უფრო ახლოს დგას არმაზისხევის ლანგართან I საუკუნით დათარიღებული ვერცხლის ლანგარი ჰილდესჰაინიდან [Strong D. 1966: 140, ტაბ. 41 B.] (ტაბ. II,2) და ვერცხლით დაფარული ბრინჯაოს ლანგარი არლიდან [Oliver A. 1977:N84] (ტაბ. II,1). არმაზისხევეური ლანგრის მსგავსად, ჭდეული წერტილებითა და ასტრაგალის ჩარჩოებით შემკობა, ისე როგორც ლანგრის ცენტრისა მედალიონით, საკმაოდ ჩვეულებრივი მოვლენა იყო უკვე გვიანელინისტურ და ადრერომაულ ხანაში, ხოლო, ახ.წ. 79 წელს დამარხულ ბოსკორეალეს განძში შემავალი ტორევეტიკის შედეგების ორნამენტული დეკორი იმავე ტექნიკითაა შესრულებული, როგორც არმაზისხევის ლანგრის ორნამენტი [Oliver A. 1977: №53] და ბოსკორეალეს განძში შემავალ სამფეხა ლანგრებს ცენტრალური მედალიონი ამკობს

მსგავსად არმაზისხევის ლანგრისა [Baratte F. 1986:29] (ტაბ. II,3, 5).

არმაზისხევიური ლანგრის ზუსტი ანალოგია ჯერჯერობით არსად აღმოჩენილა, ხოლო, როგორც მიმოხილულიდან ჩანს, უფრო მეტი თუ არა, ნაკლები არგუმენტაცია არ უნდა არსებობდეს იმ მოსაზრებისთვის, რომ არმაზისხევის ლანგარი უფრო დავუახლოვოთ ახ.წ. I საუკუნის ნივთებს, ვიდრე III საუკუნისას. არ არის გამორიცხული, რომ მცხეთაში მოპოვებული ლანგრის თავისებურებანი განპირობებული იყოს მისი პროვინციული წარმომავლობით და ის მხოლოდ იმეორებდეს I საუკუნის კლასიკური რომაული ქურჭლის რიგ დამახასიათებელ ნიშნებს.

არმაზისხევის ლანგრის ახ.წ. I საუკუნით დათარიღების შემთხვევაში იხსნება უკანასკნელი სერიოზული წინააღმდეგობა მეფე ფლავიუს დადისა და მითრიდატე II-ის იდენტიფიკაციის თვალსაზრისით და ასეთ შემთხვევაში მეტი დაბეჭდვით შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ფლავიუს დადი და მითრიდატე II ერთი და იგივე პიროვნებაა.

ლიტერატურა:

ანდრონიკაშვილი მ.1996: ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბილისი.
აფაქიძე ან. 1963: ქალაქები და საქალაქო ცხოვრება. 1963.

გამსახურდია თ.1970: პიტიანხის ინსტიტუტის საკითხისთვის, მაცნე, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებათა ორგანო, N6, გვ.49-74.

დიონ კასიუსი 1966: დიონ კასიუსის ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანიტურთ გამოსცა ნ. ლომოურმა, თბ.

თოგოშვილი გ.1958: საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, სტალინირი, 1958.

ინაძე მ. 1955: იბერიისა და რომის ურთიერთობა II საუკუნის პირველ ნახევარში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1955, გვ. 320-321.

ინგოროყვა ჰ.1978: ქართული დამწერლობის

ძეგლები ანტიკური ხანისა, თხზულებათა კრებული, ტ. IV, თბილისი 1978.

მელიქიშვილი გ.1970: საქართველო ახ.წ. I-III საუკუნეებში, თბ.

ლეონტი მროველი 1955: ცხოვრება ქართულთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა, „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., გვ.44.

მცხეთა I,1955: ან. აფაქიძე, გ. გობჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე. მცხეთა I. არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები თბ.

ტაციტუსი. 1973: ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ, ლათინური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალი ნარკვევითა და კომენტარებითურთ გამოსცა ალექსანდრე გამყრელიძემ, თბილისი.

ყაუხჩიშვილი თ. 1971: ბერძნული ეპიგრაფიკა როგორც საქართველოს ისტორიის წყარო, ქართული წყაროთმცოდნეობა III, თბილისი.

ყაუხჩიშვილი თ. 1983: ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ V, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებელი დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, თბილისი.

ყაუხჩიშვილი ს. 1941: არმაზში აღმოჩენილი ბერძნული წარწერები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. II, № 1-2, თბ., გვ.170-171.

წერეთელი გ.1958: მცხეთის ბერძნული წარწერა ვესპასიანეს ხანისა, თბ.

Аракелян Б. 1952: Гарни I, результаты раскопок 1949-1950 гг. Ереван.

Бикерман Э. 1975: Хронология древнего мира, Москва.

Болтунова А. 1971: Надписи Горгиппии, - Нумизматика и эпиграфика IX, Мос.

Гаидукевич В. 1949: Босфорское царство, Москва-Ленинград.

Джапар-заде Н. 1948: Древнелатинская надпись у подошвы горы Беюк-Даш. Б.

Капанадзе Д. 1957: Ауреусы Армазского некрополя, Сов. археология, 3, с. 165-167.

Книпович Т. 1968: К вопросу о римлянах в составе населения Ольвии I-III вв. н.э. В книге: Античная история и культура Средиземноморья и Причерноморья, Ленинград, стр. 129 и след.

Кругликова И. 1955: Дакия в эпоху римской оккупации, Москва.

Левиатов В. 1950: Азербайджан с V в. до н.э. по III в.н.э. ИАН Азерб., №1, с. 87.

- Ломоури Н. 1981:** Грузино-Римские взаимоотношения, Тбилиси.
- Леквинадзе В. 1969:** Понтийский Лимес, ВДИ, №2, стр. 66.
- Манандян Я. 1946:** Цель и направление подготовлявшего Нероном Кавказского похода, ВДИ, №7, стр. 66-74.
- Машкин Н. 1947:** История древнего Рима, Ленинград.
- Мачабели К. 1976:** Позднеантичная торевтика Грузии, Тбилиси.
- Меликишвили Г. 1959:** К истории древней Грузии, Тбилиси.
- Момзен Т. 1949:** История Рима, Москва.
- Пахомов Е. 1949:** Римская надпись I в. н.э. и легион XII, ИАН Азерб., № 1, стр. 81.
- Ранович А. 1949:** Восточные провинции Римской империи в I-III вв. Мос.-Лен.
- Ростовцев М. 1916:** К истории Херсонеса в эпоху ранней Римской империи, СПб.
- Савостина Е. 1977:** Римские имена в ономастике Северного Причерноморья, Советская археология, 4, стр. 133, табл. 3, стр. 137-139, табл. 6.
- Соломоник Э. 1964:** Новые эпиграфические памятники Херсонеса, Киев.
- Соломоник Э. 1973:** Новые эпиграфические памятники Херсонеса, Киев.
- Соломоник Э. 1983:** Латинские надписи Херсонеса Таврического, Москва.
- Гай Светоний Транквилл. 1988:** Жизнь двенадцати цезарей, Москва.
- Тревер К. 1953:** Очерки по истории и культуре древней Армении, Мос.-Лен.
- Тревер К. 1959:** Очерки по истории и культуре Кавказской Албании, Мос.-Лен.
- Тумбиль П. 1948:** Римская надпись I в. н.э. обнаруженная в пределах Азербайджана (Кобыстан). ДАН Азерб. ССР, №7, стр. 304-313.
- Федорова Е. 1969:** Латинская эпиграфика, Москва.
- Федорова Е. 1979:** Императорский Рим в лицах, Москва.
- Фролова Н. 1968:** Монетное дело Рискупорида II, в книге: Нумизматика и эпиграфика, VII, Москва, 1968, стр. 44, 49, 56.
- Фролова Н. 1968а:** Монетное дело Боспорского царя Евпатора, в книге: Нумизматика и эпиграфика IX, стр. 62 и след.
- Шелов Д. 1972:** Танаис и нижний Дон в первые века нашей эры, Москва.
- Шелов Д. 1984:** История античных государств Северного Причерноморья, в книге - Античные государства Северного Причерноморья, Археология СССР, Москва, стр. 19.
- Церетели Г. 1948:** Эпиграфические находки в Мцхета - древней столице Грузии, Вестник Древней Истории, N2, стр. 50.
- Ямпольский З. 1950:** Вновь открытая латинская надпись у горы Беюк-Даш (Азербайджан), ВДИ, №1, стр. 193-194.
- Babelon 1910:** Trait des monnaies grecques et romaines, T.2, Paris.
- Baratte F. 1986:** Le tresor d' orfevrie romaine de Boscoreale, Paris.
- Back M. 1978:** Die Sasanidischen Staatsinschriften, Acta Iranica 8, Leiden-Téhéras-Liége.
- Baumann A. 1970:** Aramaic Ritual Texts from Persepolis, Oriental Institute Publications, N91, Chicago.
- Dessau K. 1916:** Inscriptione latina selectae, Bd, III, N2, Berlin, сmp.XXVIII, N 8958.
- Gionoux Ph. 1986:** None properes sasanides en moyen perse épigraphique, Wien.
- Halfmann H. 1986:** Die Alanen und die Römische Ostpolitik unter Vespasian, Epigraphica Anatolica, Heft 8.
- Oliver A. 1977:** Silver for the gods: 800 years of Greek and Roman Silver, Toledo (O'thaio).
- Strong D.1966:** Greek and Roman Gold and Silver Plate, London.
- Walters H.1921:** Catalogue of the Silver Plates (Greek, Etruscan and Roman) in the British Museum, London.

ილუსტრაციების აღწერილობა:



- ტაბ. I** - არმაზისხევის ლანგარი;
ტაბ. II - 1. ლანგარი არლიდან; **2.** ლანგარი ჰილდესჰაინიდან; **3.** ლანგარი ბოსკორეალედან; **4.** ლანგარი ბერთუვილიდან; **5.** ჭურჭელი ბოსკორეალედან.

I

Gagoshidze I.



II



არქეოლოგიური გათხრების შედეგად საქართველოში აღმოჩენილი მუსიკალური ინსტრუმენტები

ძველ საქართველოში საკრავიერი მუსიკა საკმაოდ განვითარებული ყოფილა. მრავალი სახის საკრავი ინსტრუმენტი იყო ქართველთა ყოველდღიური ყოფა-ცხოვრების შემადგენელი ნაწილი. ამ საკრავებმა სრულყოფილად ჩვენამდე ვერ მოაღწია და მათ შესახებ წარმოდგენას ვიქმნით წერილობითი ძეგლების, ფრესკებისა და არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული არტეფაქტების მიხედვით. ადამიანი უძველესი დროიდანვე თავისი მუსიკალური მოთხოვნების დაკმაყოფილებას სხვადასხვა საგნების ხმის გამოყენებით ცდილობდა და ახერხებდა.

უძველესი დროიდან ცნობილია შემდეგი სახის მუსიკალური საკრავები: დასარტყამი (საჩხარუნებელი და ჟღარუნები), ჩასაბერი და ძალებიანი (სიმებიანი). ყველა მათგანი ძველ საქართველოში საუკუნეთა განმავლობაში ყოფილა ცნობილი და გავრცელებული. უძველესი ებრაული წყაროებით, ქართველ ტომთა ეპონიმები (წინაპრები) ჩასაბერი საკრავების მამად და გამომგონებლად მოიხსენიებიან [ჯანაშია ს. 1959:73].

ივ. ჯავახიშვილი თავის ნიგში „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“ აღნიშნავს: ზოგი მათგანი (საკრავი ინსტრუმენტი – ვ.ჩ.) უძველესი დროიდანვე ყოფილა, ზოგის სახელები ადგილობრივია, ბევრი მათგანი კი ჩვენში თანდათანობით, შემდეგში გაჩენილა და მეზობელთაგან ყოფილა შეთვისებული. უმეტესი მათგანი გაქრა და უკვე მერმინდელ თაობებსაც კი – მათი სახელების ნამდვილი მნიშვნელობა აღარ სცოდნიათ. თანამედროვე ქართველმა ხომ მათი სახელები მხოლოდ ძველი და ახალი თხზულებების წყალობით იცის, მათი რაობისა კი არაფერი გაეგება. ამიტომ, თითოეული მათგანის ზედმინევენიითი მნიშვნელობა, არსებობის ხანა და საკრავის სადაურობა უნდა ძეგლებისდა

მიხედვით იქნეს გამორკვეული [ჯავახიშვილი ივ. 1990:90].

არქეოლოგიურ მონაპოვრებში მუსიკალური ინსტრუმენტები ცოტაა. ცნობილია მცხეთაში, სამთავროს სამაროვანზე „პატარა მწყემსის საფლავში“ მოპოვებული გედის ლულოვანი ძელისაგან ნაკეთები უენო სალამური [ჩუბინიშვილი გ. 1957: 40-41], რომელიც ძვ.წ. XIV-XIII სს-ით დათარიღდა. 2003 წელს, დედოფლის გორაზე სასახლის კომპლექსის № 11 ოთახის იატაკზე აღმოჩნდა ძვლის სალამურის ორი ნაწილი (ინვ. 27977). ორივეზე ორორი ნახვრეტია შემორჩენილი. თარიღდება ახ. წ. I ს-ით. თიხის ტერაკოტა ქნარიანი მუსიკოსის გამოსახულებით, გამოვლენილია უფლისციხეში, ბამბების ნამოსახლარზე — ძვ. წ. VII-VI სს-ით დათარიღებულ ფენაში [ხახუტაშვილი დ. 1989:54-55]. 1988 წელს იმავე ფენაში აღმოჩნდა მეორე ტერაკოტა, რომელზედაც დოღზე დამკვრელი მუსიკოსი არის გამოსახული [ხუნდაძე ნ. 2007:17]. ყაზბეგის განძიდან ბრინჯაოს ქანდაკება მუსიკოს-დამკვრელისა, რომელსაც ხელში ხუთძალიანი (ხუთსიმიანი) საკრავი უჭირავს, შესაძლოა, ქნარი [წითლანაძე ლ. 1976: 40]. სვანეთში, ხაიშში აღმოჩენილია ოქროს საკიდი, რომელიც ჩარდახიანი კომპის მინიატურულ გამოსახულებას წარმოადგენს. ჩარდახის ქვეშ სალამურებზე დაჭიანურზე დამკვრელის ორი ფიგურაა გამოსახული [ჯავახიშვილი ალ. 1958:147-157]. მცხეთაში, სადგურის აკლდამაში აღმოჩენილია ბრინჯაოს ქანდაკება სალამურზე დამკვრელი ჭაბუკის – პანისა [ლომთათიძე გ., ... 1951:641-648]. განსაკუთრებით საინტერესოა ძალისის მოზაიკური პანო - მრავალღულიან სალამურზე [ლარჭემ-სოინარ-სასტვენოზე] დამკვრელი პანის (ოჩოპინტრეს, ბოჩის) ფიგურა საგანგებოდ არის წარმორჩენილი მეჩანგე მუსიკოსთან შეპირისპირებით [ბოხოჩაძე

ალ. 1981:74-75. ტაბ. XVII, სურ. 7; ოდიშელი მ. 1995:ტაბ. I,II,III]. მცხეთაში, სვეტიცხოვლის ეზოში 2001 წელს აღმოჩნდა სამარხი (№ 14), რომელშიც დადასტურდა საწერი მონეტობა — პენალი. იგი შემკულია ცხრა მუზის გამოსახულებით და ბერძნული წარწერებით. ლირიკული პოეზიის მუზას (ევტერპე) მარჯვენა ხელში საყვირი უჭირავს, მარცხენაში — ჩასაბერი ინსტრუმენტი (საყვირი?). ცეკვის მუზას (ტერპსიხორე) მარცხენაში ღირა უჭირავს, მარჯვენაში — პლექტრა. ეროტიკული პოეზიის მუზას (ერატო) მარცხენა ხელში შვერილებიანი ღირა უჭირავს, მარჯვენაში გაურკვეველი საგანი. სვეტიცხოვლის ეზოში აღმოჩენილი სამარხი (№ 14) ახ.წ. III საუკუნის ბოლოთი და IV საუკუნის საწყისი ხანით უნდა დათარიღდეს [აფაქიძე ან., ... 2003:81-110, ტაბ. XIII]. საინტერესოა 2007 წელს ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი განძის შემადგენლობაში დადასტურებული ბრინჯაოს ჭრაქი (ინვ. №07: 1-07/ 327), რომელიც შემკულია ეროსის ოთხი ფიგურით. აქედან ერთი ტრიგონზე = ფანდურაზე უკრავს, მეორე კი ღირაზე (ტაბ. III,4). განძი გვიანელინისტური ხანით თარიღდება, ხოლო მისი ჩაფვლის თარიღი ძვ.წ. I საუკუნით [ახვლედიანი დ. 2008:129, ტაბ. IX].

წინწილები აღმოჩენილია სხვადასხვა არქეოლოგიურ ძეგლებზე, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში [ჩიხლაძე ვ. 2000; ნადირაძე ჯ.1975] და ასევე ზარი-ზარაკები, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა არქეოლოგიურ ძეგლებზე დიდი რაოდენობით არის გამოვლენილი.

განვიხილოთ თითოეული ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

სალამური. 1938 წლის ივლისში, მცხეთაში, სამთავროს სამაროვანზე, ერთ-ერთ სამარხში აღმოჩნდა მუსიკალური ინსტრუმენტი სალამური. სამარხი ლიტერატურაში ცნობილია „პატარა მწყემსის საფლავის“ სახელით [ჩუბინიშვილი ტ. 1957:40-41]. სამარხი მოზარდს ეკუთვნოდა. აღმოჩენილი არტეფაქტების მიხედვით, სამარხი ძვ.წ XIV-XIII სს-ით დათარიღდა. სალამური გედის წვივის ლულოვანი ძვლისგა-

ნაა გაკეთებული. იგი უენოა, სამნახვრეტიანი. სიგრძე-20სმ, დმ-1,8-1,3სმ. ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ტაბ. I,1).

1987 წელს მცხეთის შემოგარენში, ნარეკვავის გორანამოსახლარზე, ერთ-ერთი სახლის (მე-8) იატაკზე აღმოჩნდა ძვლისგან დამზადებული სალამური. იგი უენოა, სამნახვრეტიანი (ინვ. 1254). ნაგებობა ძვ. წ. VI ს-ით თარიღდება. სიგრძე — 11 სმ, დმ — 1,8 სმ. ინახება მცხეთის მუზეუმში (ტაბ. I,2).

2003 წელს დედოფლის გორაზე, სასახლის კომპლექსში, № 11 ოთახის იატაკზე აღმოჩნდა სალამურის ორი ნაწილი (ინვ. 27997,ა.ბ.). ორივეზე ორ-ორი ნახვრეტია შემორჩენილი. თარიღდება ახ. წ. I საუკუნის ბოლოთი. სალამურის ზომებია: შემორჩენილი სიგრძე- 8,1 სმ; დმ-1,7-2 სმ; სისქე-0,2-0,3 სმ; ნახვრეტის დმ - 0,25 სმ. 8 სმ; ბ. დმ-1,7-2სმ; სისქე-0,2-0,3სმ; ნახვრეტის დმ-0,25სმ ბ. [Furtvangler A., ...2008:102-114] (ტაბ. I,3).

სალამური საქართველოში ფართოდ გავრცელებული უძველესი ქართული ჩასაბერი სამუსიკო საკრავია. სალამური ორგვარია: უენო და ენიანი, ზედაპირზე ამოჭრილია 6-7 თვალი. ზურგის მხარეს, ორ ზემოთა თვალს შორის – ერთი თვალი. ტემბრი რბილი და მსტვენავია. იცვლება ჩაბერვის ძალის მიხედვით. სალამური მწყემსის საკრავია [ჩიხვაძე გრ. 1984: 87]. სალამური არა მხოლოდ მუსიკალური საკრავი იყო, არამედ მწყემსთა შორის ერთ-ერთი საკომუნიკაციო საშუალება [შამილაძე ვ. 1979]. ფლეიტისმა სანდრო ნიკოლაძემ, რომელიც ყველა ინსტრუმენტს ფლობს, აახმოვანა ეს უძველესი მწყემსი ბიჭის სალამური (სხვადასხვა დროს ამ სალამურზე დაუკრავთ გრიგოლ ჩიხვაძეს, გია ჭელიძესა და ომარ კელაპტრიშვილს). ამ სალამურს აღმოაჩნდა ერთი უცნაურობა - დახრის კუთხის მონაცვლებით ეცვლება ტონი [ჯაფარიძე დ. 2003: 44-45]. ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.

ძვლის სალამური აღმოჩენილია უფლისციხეში საკულტო ნაგებობაში, ღვთაება მზექალისადმი შეწირულ ნივთებს შორის.

ენა, რომელშიც ძვლის სალამური აღმოჩნდა ძველი ნელთალრიცხვის მეორე ათასწლეულის მეორე ნახევრითაა დათარიღებული [ხახუტაიშვილი დ. 1965:56].

ძვლის სალამური აღმოჩენილია ქობულეთის მუნიციპალიტეტის ჩოლოქის ნამოსახლარზე. იგი უენო სალამურის უძველეს სახეობას წარმოადგენს. მისი სიგრძე 20 სმ-ია. სალამურის ოდნავ მოღუნულ ბოლოზე 3 თვალია ამოჭრილი. იგი მიეკუთვნება ძველი ნელთალრიცხვის XIV-XV საუკუნეებს [ჩავლეიშვილი ირ.1988:29] (ტაბ. I,4).

ოქროს სალამურზე დამკვრელი აღმოჩნდა ხაიშის განძში (ტაბ. III,3), რომელშიც შედიოდა შემდეგი ნივთები: ოქროს პატარა საკიდი, ოქროს საკინძე რგოლი, ორი თვალედი ბეჭედი, ოქროს თხელი და მრგვალი ორი პატარა ფირფიტა და ვერცხლის ჭურჭლის ფრაგმენტები.

ხაიშის კომპლექსის ოქროს ნივთთა შორის ყველაზე მეტად თვალსაჩინო პატარა საკიდა (წონა - 22,52 გრ), რომელიც გამოხატავს ირგლივ ძენკვებზე შეკიდულ, მძივებით მორთულ კოშკურა ორფერდა სახურავიან სახლს. მასზე დასმულია მტრედები და წინ წამოწეულ პატარა ბაქანზე დაყენებულია ადამიანის ორი ფიგურა, რომელთაგანაც ერთი წყვილულიან სალამურზე უკრავს, ხოლო მეორეს – მარჯვენა ხელში თავგამსხვილებული კვერთხი უჭირავს [ჯავახიშვილი ალ.1958:144-157]. ხაიშის განძის თარიღი I-II საუკუნეებით განისაზღვრა. ოქროს საკიდი ადგილობრივი პროვინციული სახელოსნოს პროდუქციად მიიჩნეის. ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.

სავარაუდოდ, სალამურზე დამკვრელი აღმოჩნდა მცხეთაში — აკლდამაში (ტაბ. I,5) [ლომთათიძე გ., ... 1951:641-648]. აკლდამაში აღმოჩენილ მრავალრიცხოვან ინვენტარში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ღრუ ქანდაკება პანი-ფავნისა, რომელიც წარმოადგენს ნელს ზევით შიშველ ჭაბუკს. მას მსუქანი პირისაზე, მოგრძო ცხვირი და წანვეტებული ყურები აქვს. თავი ოდნავ გვერდზე აქვს გადაწეული,

პირი დაღებული, წარბები და შუბლი შექმუნული, თვალედი ფართოდ გახელილი, დაკუნთული ხელები იდაყვშია მოხრილი, თითები ისე აქვს გაშლილი, თითქოს სალამურზე უკრავს. ეს ქანდაკება რაღაც საგანზე უნდა ყოფილიყო წამოცმული და სამსჭვალით დამარგებული. ზომები: სიმაღლე -18სმ, სიგანე -10სმ. ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.

ძალისში ტაძარ-სასახლის კომპლექსში აღმოჩნდა მრავალწლიან სალამურზე (ლარჭემი, სოინარ-სასტვინოზე) დამკვრელი პანის (ოჩოპინტრეს, ბოჩოს) ფიგურა, რომელიც ხაზგამსულად საგანგებოდ არის წარმოჩენილი მეჩანგე მუსიკოსთან შეპირისპირებით (ტაბ. III,1-2) [ჯანელიძე დ. 1980: 36-37].

ტაძარ-სასახლის ფერად მოზაიკაზე მთავარ გამოსახულებას დიონისე და არიადნე წარმოადგენს. დიონისეს მარცხნივ, მარცხენა პროფილში გამოსახულია ფიგურა, რომელსაც ხელებში სალამურების დასტა უჭირავს. იგი პანს წარმოადგენს. ტაძარ-სასახლის მოზაიკა ახ.წ. II საუკუნით დათარიღდა. თითქოს ამ თარიღს უჭერს მხარს კლავდიოს პტოლემეაოსთან ქალაქ ძალისას მოხსენიება. ცხადია, II საუკუნეში, როდესაც პტოლემეაოსი ცხოვრობდა, ძალისა ეკონომიურად ძალზე ძლიერი, კულტურულად მაღალგანვითარებული, არქიტექტურულად გაფორმებული და ცნობილი ქალაქი უნდა ყოფილიყო. სხვა მხრივ, იგი ვერ ვპოვებდა ასახვას გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში [ბოხოჩაძე ალ. 1981:74-77, ტაბ. XVII, სურ.7; ოდიშელი მ. 1995:ტაბ. I-III].

ურბნისის გიანანტიკური ხანის სამაროვანზე (XXV უბანი), 258-ე სამარხში (ინვ. № 1033) აღმოჩნდა ინტალიო მონითალო-ყავისფერი სარდიონისა, შავი ლაქებით, რომელიც რკინის ბეჭედში იყო ჩასმული. ინტალიო ოვალურია, ამობურცული პირი აქვს. პირზე გამოხატულია მოცეკვავე ქალი. ქალს მოკლესახელოებიანი გრძელი პეპლოსი აცვია, ზურგს უკან მოსახვევის გრძელი ბოლო უფრიალებს. ქალი ორმაგ სალამურზე უკრავს. გამოხატულების სტილისა და ბეჭდის ფორმის მიხედვით, ინ-

ტალიო ახ.ნ. II ს. თარიღდება [ჯავახიშვილი ქ. 1972:52]. ურბნისის ინტალიო რომაულ იმპორტს წარმოადგენს. ინახება ჯანაშიას სახელობის ეროვნული მუზეუმის გლიპტიკის კაბინეტში.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ინახება შემთხვევით მონაპოვარი გემა-ინტალიო. სარდიონს გემაზე გამოსახულია სილენი, რომელიც ორმაგ სალამურზე უკრავს [ლორთქიფანიძე მ. 1967:21, ტაბ. III₂₁].

ჩანგი. ჩანგზე დამკვრელის ლეგა ფერის თიხის პატარა ფიგურა აღმოჩნდა უფლისციხეში - „ბამბების“ ნამოსახლარზე - ძვ.წ. VII-VI სს. დათარიღებულ ფენაში. მეჩანგე გადმოცემულია დაკვრის მომენტში, მჯდომარე პოზაში. მას ნილაბი უკეთია და ჩაჩისმაგვარი ქუდი ახურავს (ინვ. № 82-52). ზომები: სიმაღლე - 6,5 სმ, სიგანე - 4,5 სმ (ტაბ. I,6).

უფლისციხელ ნილაბსან მემუსიკეს ხელთ აქვს ჩანგისებური საკრავი, რომელსაც მ. შილაკაძე ლირას (ქნარი) უწოდებს [შილაკაძე მ. 1970: 57]. როგორც ჩანს, უკვე ძვ.წ. VII-VI სს-ში ქართული მუსიკალური ინსტრუმენტების კრებულში მრავალძალიანი სიმებიანი საკრავებიც ითვლებოდა, რაც მუსიკალური კულტურის საკმაოდ განვითარებულ დონეს გულისხმობს. მისი მორთულობა (ტანსაცმელი, ნილაბი, თავსამკაული) გვაფიქრებინებს, რომ ამ დროს საკმაოდ განვითარებული ყოფილა არა მარტო მუსიკალური კულტურა, არამედ აქტიორული ხელოვნებაც. უფლისციხელი ჩანგზე დამკვრელი მუსიკოსის ფიგურა რაღაც კომპოზიციის ნაწილი ჩანს. შესაძლოა, იგი რომელიღაც წარმართულ დღესასწაულთან დაკავშირებულ სცენას წარმოადგენდა [ხახუტაიშვილი დ. 1989:54-55]. ინახება შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად, 1877 წელს გ. ფილიმონოვმა სოფელ სტეფანწმინდაში (ყაზბეგში) აღმოაჩინა განძი, რომელიც ლიტერატურაში „ყაზბეგის განძის“ სახელწოდებითაა ცნობილი. ყაზბეგის მრავალრიცხოვანი ინვენტარის შემცველი განძიდან

საინტერესოა ბრინჯაოს ქანდაკება—შტანდარტი. მასზე ერთ მხარეს გამოსახულია ჩანგზე დამკვრელი მამაკაცი, რომელსაც ერთი ხელი საკრავის ბოლოზე აქვს ნავლებული, ხოლო მეორეთი სიმებს ეხება. იგი ცხვრის რქებზეა ჩამომჯდარი. ამავე სტანდარტის მეორე მხარეზე გამოსახულია ფარიანი მამაკაცი, რომელიც თითქოს ნახტომისათვის ემზადება.

მამაკაცის სიმაღლე - 3 სმ; ცხვრის თავის სიგრძე - 3 სმ; საერთო სიფართე ნივთისა - 9,5 სმ; რქების სიმაღლე - 4 სმ. თარიღდება ძველი წ. VI-V სს. [ნითლანაძე ლ. 1975: 40] (ტაბ. IV,3).

ეთნოგრაფიკორეხვიაშვილი განიხილავს რა ჩანგთან ყაზბეგურ ქანდაკებას, მიიჩნევს, რომ იქ მოცემულია ყელზარაკიანი ზვარაკის შეწირვისას ღვთის სადიდებელი ჰიმნის საკრავით შესრულების მომენტი. ერთ მამაკაცს ჩანგი უპყრია ხელთ, მეორეს, შესაძლოა, წინწილა. ისინი განასახიერებენ რიტუალურ ცერემონიას [ალავიძე დ., ...1964]. მუსიკათმცოდნე გრიგოლ ჩხიკვაძე სტეფანწმინდაში აღმოჩენილ ხუთძალიან საკრავს, რომელიც მემუსიკეს უჭირავს, ებანის მოყვანილობის სამუსიკო საკრავად მიიჩნევს [ჩხიკვაძე გრ. 1955: გვ.65-57]. ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.

დოლი. დოლი მიჩნეულია ერთ-ერთ უძველეს საკრავ ინსტრუმენტად. პირველყოფილმა ადამიანმა შეამჩნია, რომ ხის ფულუროზე დარტყმით (სადაც მას თაფლი ეგულებოდა) გამოიციმოდა საკმაოდ ძლიერი გუგუნი. ასე „აღმოაჩინა“ მან დოლი და დაიწყო მისი კეთება [ხუჭუა პ. 1987:27]. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უფლისციხეში, ბამბების ნამოსახლარზე — ძვ.წ. VII-VI სს-ით დათარიღებულ ფენაში, ჩანგზე დამკვრელი მუსიკოსის გამოსახულებასთან ერთად, აღმოჩნდა მეორე ტერაკოტა, რომელზედაც დოლზე დამკვრელი მუსიკოსი არის გამოსახული. ფიგურა მჯდომარე კაცს გამოსახავს, რომელსაც მარცხენა ხელში ტყავგადაკრული დერგისებური ნივთი - დოლი უჭირავს [ხუნდაძე ნ. 2007:17]. ზომები: ტერაკოტის სიმაღლე 4,5 სმ, სიგანე 3 სმ (ტაბ. IV,4).

სისტრუმი-ჟლარუნა. სისტრუმი ძველევ-ვიპტური საკულტო მუსიკალური საკრავია. იგი შედგება კავზე ან ღეროზე დამაგრებული-აცმული ლითონის ფირფიტებისაგან. ეგვიპტეში მას იყენებდნენ ქალღმერთ ისიდასადმი მიძღვნილ საკულტო ცერემონიალის დროს (ტაბ. IV,1).

საჩხერესთან - მოდინახეს სამაროვანზე - მეხუთე და მეცხრე სამარხებში აღმოჩნდა რკინის ფირფიტები, რომელთა დანიშნულება გვიან გაირკვა. მეხუთე სამარხში ექვსი მასიური მრგვალი ფირფიტა აღმოჩნდა. ისინი შეწყვილებულია და ცენტრში გახვრეტილი. აქედან ერთი წყვილი რკინის ღეროთია შეერთებული. სამარხეული კომპლექსი ძვ.წ. V საუკუნით თარიღდება [ნადირაძე ჯ. 1990].

წინწილები. საქართველოში უკანასკნელ ხანებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად, სხვა მრავალრიცხოვან მასალასთან ერთად, გამოვლენილია მუსიკალური ინსტრუმენტები-წინწილები, რომლებიც ზოგადად ელინისტური და გვიანრომაული ხანით დათარიღებულ სამარხებში და ნამოსახლარ ფენებშია დადასტურებული.

წინწილა წარმოადგენს ნახევარსფეროსებრი ფორმის ბრინჯაოს ორ თხელ თეფშს, რომელთაც პირზე პუნსონით გამოყვანილი წინწივანი ან წერტილოვანი ორნამენტი შემოუყვება. განივკეტში ბრტყელი სახელურები ნახევარსფეროსებურად ამოზნექილ გარეხედაპირზე აქვთ დარჩილული. ხოლო ზოგიერთ მათგანი სამსჭვალით არის დამაგრებული. ზომები სხვადასხვაა: დმ -11-22,5 სმ, სიმაღლე 8 -20 სმ, სახელურის სიგანე -1,5-2 სმ.

საქართველოში, სხვადასხვა არქეოლოგიურ ძეგლებზე, როგორც აღმოსავლეთში, ასევე დასავლეთში, ოცამდე წინწილაა აღმოჩენილი. პირველი ინფორმაცია წინწილის არქეოლოგიური აღმოჩენის შესახებ ეკუთვნის დავით წერეთელს (აკაკი წერეთლის ძმას). მან 1875 წელს გაზ. „დროებაში“ სხვიტორელის ფსევდონიმით გამოაქვეყნა კორესპონდენცია, სადაც აღწერს ვინმე ზამბახიძის მიერ თოღაძის ციხის ფერდობზე, სახ-

ლის საძირკვლის გათხრისას ნაპოვნ ოქროს ნივთებს და მათ შორის ასახელებს წინწილებს, რომლის მსგავს საკრავებს ახლა „როტის ორკესტრში ტარელებს ეძახიან“-ო, აღნიშნავდა იგი [ნადირაძე ჯ.1990:131]. ფორმით და დამზადების ტექნიკით ყველა თითქმის ერთნაირია. ისინი აღმოჩენილია როგორც სამაროვანებზე, ასევე ნამოსახლარებზე. სულხან საბა ორბელიანის მიხედვით, წინწილი ტკბილი საკრავია [ორბელიანი ს.ს. 1966:378]. წინწილი ლითონის თეფში იყო, რომელსაც მეორე ამნაირსავე თეფშის დაკვრით აახმაურებდნენ ხოლმე. ჩვეულებრივ წინწილს გარდა ყოფილა აგრეთვე „წინწილანი რვალისანი“ [ჯავახიშვილი ივ. 1990:194]. წინწილი უძველესი ქართული მუსიკალური საკრავია. მას მოიხსენიებენ წერილობით ძეგლებში [ჩხიკვაძე გრ. 1987:330]. დავით ჩუბინაშვილის მიხედვით, წინწილა შედგება „ერთი მეორის შემოკვრით საჟღერებელი ლითონის თეფშისაგან“. წინწილი ქართულ ლიტერატურულ ძეგლებშიც გვხვდება. შავთელის „აბდულმესიაში“, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“, ფეშანგის „შაჰნავაზიანში“ და სხვ.

საინტერესოა XIII საუკუნის ფსალმუნის ხელნაწერის მინიატურა, სადაც ქართველ მხატვარს აუსახავს ისრაელის მეფის სოლომონის მეფედ კურთხევა და სახიობა ძალებიანი, ჩასაბერი, საცემელი, საჟღარუნებელი საკრავებით, მგალობლების ტაშისცემითა და როკვით [ჯანელიძე დ.1989:16, ტაბ. მარცხნიდან პირველს წინწილა უჭირავს].

აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ არაგვის ხეობაში, ჟინვალის [ჩიხლაძე ვ. 20012:74-85), წიფრანისძირის [მუხიგულაშვილი ნ. 1984:7-10, ტაბ. 4, 12,13,14] და ნეძიხის [რობაქიძე ც.1985: ტაბ. XI, XXVII] სამაროვანებზე მოპოვებული წინწილები I-IV საუკუნით დათარიღებულ სამარხებში აღმოჩნდა, ხოლო ტახტიძირის ელინისტური ხანის სამაროვანზე ძვ.წ.IV-III სს-ით დათარიღებულ № 8 სამარხში [Furtvangler A., ... 2008:102-114], მცხეთაში, არმაზციხის სამეფო რეზიდენციაში კი — გვიანრომაული ხანის სატაძრო კომპლექს-

ში, იატაკის დონეზე, II-III სს. დათარიღებულ ფენაში გამოვლინდა [აფაქიძე ან., ...1996:7]. დასავლეთ საქართველოში წინწილები მოდინახეს [ნადირაძე ჯ. 1975:50-51, ტაბ. XVI] და რგანის გვიანრომაული ხანის სამაროვნებზეც დადასტურდა [ბრაგვაძე ზ. 2000:91-151]. შემთხვევით მოპოვებული წინწილები ინახება ქუთაისის, ხონისა და თიანეთის მუზეუმებში.

სანტერესოა ქუთაისში 1926 წელს შემთხვევით აღმოჩენილი (უბანი „გოჭოურა“) წინწილის ერთი თეფში, რომლის გარე ზედაპირზე პუნსონით ამოკვეთილია სვასტიკები და ცხენების ძალიან სქემური გამოსახულებები. ერთერთ უბელო ცხენზე ამხედრებულია ფეხზე მდგომი ხელებგაშლილი მამაკაცი.

წინწილების შემცველი სამარხები, მათში აღმოჩენილი ინვენტარის მიხედვით (მახვილი, შუბისპირი, სატევარი, მახაირა, ისრისპირი), მეომრებს-მხედრებს ეკუთვნოდათ. ხოლო ბავშვთა სამარხებში აღმოჩენილი მომცრო ზომის წინწილები, შესაძლოა, მოზარდების, ბიჭების, მომავალ მეომრებისთვის იყო გათვალისწინებული [ჩიხლაძე ე. 2002:76-79] (ტაბ. II, 1, 2, 3).

მუსიკას ფართოდ იყენებდნენ სამხედრო საქმეში. მას ნათლად ადასტურებენ უძველესი ხანის სახვით ხელოვნებაში ასახული მეომრები, რომელთაც წინ მიუძღვის ჩასაბერ და დასარტყამ საკრავებზე დამკვრელი მუსიკოსები [ხუჭუა პ. 1987:77]. ლაშქრული, მხედრული, საიერიშო და სხვა სახის სამხედრო მუსიკა საქართველოშიც იყო გავრცელებული. სამხედრო საკრავების დანიშნულებას ისიც შეადგენდა, რომ რიცხვმრავალ ჯარისათვის სწრაფად გაეგებინებინა, რაც გასაკეთებელი იყო [ჯავახიშვილი ივ. 1990:215].

არაგვის ხეობის სამაროვნებზე შესწავლილ სამარხთა შორის შეიძლება გამოიყოს „მეომართა ფენა“, რომელსაც სტრაბონი „მინის-მოქმედთთან“ ერთად აერთიანებს და მესამე გენოსს მიაკუთვნებს [Страбон. 1964]. მეომართა შორის კი შეიძლება გამოვყოთ ერთი ჯგუფი - „მემუსიკენი“, რომელთა სამარხები სხვა საბრძოლო-საომარ ინვენტართან ერთად შეიცავენ მუსიკალურ ინსტრუმენტებს

- წინწილებს. წინწილის დამკვრელი მუსიკოსი - მხედარი ალბათ წინ ედგა და უძლოდა საბრძოლო რაზმსა თუ ჯარს. თვით სახელწოდება წინწილა, შესაძლოა აქედან მომდინარეობდეს [Chikhladze V. 2009:167-175].

მცხეთაში, სამეფო რეზიდენციაში, არმაზციხე-ბაგინეთის სატაძრე კომპლექსში აღმოჩენილი წინწილები მიუთითებს იმას, რომ წინწილა მხოლოდ მეომართა მუსიკალური ინსტრუმენტი არ ყოფილა. ის, როგორც ქართველ მწერალთა და პოეტთა თხულებებშია აღწერილი, საქართველოში მეფის სასახლეშიც ხმიანდებოდა. როგორც ვხედავთ, წინწილა - როგორც მუსიკალური საკრავი, საქართველოში გავრცელებული ჩანს უძველესი დროიდან XVII საუკუნის ჩათვლით. ის ძველი ქართული დასარტყმელი-საჟღერებელი მუსიკალური ინსტრუმენტი ყოფილა.

წინწილები ყველაზე დიდი რაოდენობით ინახება დუშეთის არქეოლოგიურ ბაზაზე, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.

ქნარი (ლირა, კითარა). მუსიკალური ინსტრუმენტები - ლირა, ქნარი, კითარა - ბეჭდების ინტალიოებზეც არის ამოკვეთილი. ასე მაგალითად, დუშეთის მუნიციპალიტეტის ვარსიმაანთკარის სამაროვანზე, 1983 წელს, სამარხში აღმოჩნდა ბეჭედი ბრინჯაოსი, ნაკლული, ბრინჯაოსივე ფარაკიანი. ფარაკზე ამოკვეთილია ორი ერთმანეთთან ზურგმეკცევით მდგარი სირაქლემა, რომელთა შორის არე შევსებულია ქნარის (ლირას) გამოსახულებით, ხოლო სირაქლემების ფეხებთან ცეცხლია დანთებული [მუხიგულაშვილი ნ. 1983: ტაბ.14]. ფარაკის სიგრძე - 23 მმ; სიგანე - 18 მმ; ფარაკის სისქე - 0,3 მმ. ბეჭედი ძვ. წ. V-IV სს თარიღდება. იგი შემოტანილი უნდა იყოს [ლორთქიფანიძე მ. 1996:41]. ინახება დუშეთის არქეოლოგიურ ბაზაზე.

1938 წელს ბორში, გრუნტულ სამარხში (№2) (ინვ.№723) აღმოჩნდა ინტლიო ცისფერი მინისა, ოვალური მოყვანილობის, ბრტყელი თვალი ჩამოსხმულია. მინაზე გამოსახულია აპოლონის თავი, პროფილში მარჯვნივ. აპოლონის წინ, კისრის გასწვრივ, ნიკაპსა და გულმკერდს შო-

რის გამოსახულება კითარა- ლირა. ინტალიოს სიგრძე - 11 მმ; სიგანე - 16 მმ. გემა იტალიკურია და ძვ.წ. II-I სს თარიღდება [ლორთქიფანიძე მ. 1961:131]. ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის გლიპტიკის კაბინეტში.

1960 წელს, ქარელის მუნიციპალიტეტის სოფ. ურბნისში, XXV უბანზე, № 167 სამარხში (ინვ. 1014) აღმოჩნდა ინტალიო თაფლისფერი სარდიონისა, რომელიც ვერცხლის ბეჭედშია ჩასმული. იგი ნაკვეთილი კონუსის მოყვანილობისაა, ოდნავ ამობურცული პირი აქვს. პირზე გამოსახულია ეროტი, რომელსაც ფართოკიდეებიანი ქუდი ახურავს, ლოდზე ზის და ლირაზე უკრავს. ინტალიოს სიგრძე - 12 მმ; სიგანე 10 მმ; სიმაღლე - 5 მმ; გამოსახულების სტილისა და ბეჭდის ფორმის მიხედვით ინტალიო ახ.წ. III ს-ით თარიღდება [ჯავახიშვილი ქ. 1972:69-70].

ზარი და ზარაკები. განეკუთვნება ჟღარუნების ჯგუფს [ჯავახიშვილი ივ. 1990; ჩიჯავაძე ოთ. 2009]. ზარი უძველესი დროიდან ცნობილია საქართველოში, რაც კარგად დასტურდება არქეოლოგიური მონაცემებით. ხალხურ სიტყვიერებაში ზარი უმთავრესად ღვთისმსახურების დამახასიათებელი ატრიბუტია. მთაში კი – სათემო დროშის კუთვნილება იყო. ხევსბერის ხელში დროშა ზარებით უმაღლეს ხელისუფლებას გამოსატავდა. სავსებით შესაძლებელია, ზარი წარმართული რიტუალიდან გამოსულიყო ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში [ჩიჯავაძე ოთ. 2009:34]. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ლითონის ზარი XIII საუკუნემდე არ იყო დაკავშირებული ქრისტიანულ ეკლესიასთან. იგი XIV საუკუნის დამდეგს უნდა გაჩენილიყო.

არაგვის ხეობაში, ჟინვალის, წიფრანისძირისა და ნეძიხის სამაროვნებზე, III-IV სს-ით დათარიღებულ მამაკაცთა სამარხებში დადასტურდა ბრინჯაოსა და ვერცხლის მშვილდსაკინძები ირმის, ჯიხვისა და ცხენის რეალისტური გამოსახულებებით, რომელთაც ძეწკვებზე ზარაკები ჰქონდათ ჩამობმული (ტაბ. V).

ჟინვალის სამაროვანზე აღმოჩენილია ირმის

გამოსახულებიანი მშვილდსაკინძი, რომელიც, როგორც ჩანს, დანიშნულ პიროვნებას, 45-50 წლის მამაკაცს, შესაძლოა „ხევსბერს“ ეკუთვნოდა და იგი მისი დროშის შტანდარტს წარმოადგენდა. მას ძეწკვებზე შებმული ჰქონდა ცხრა ზარაკი [ჩიხლაძე ვ. 1998:7-34]. ნივთი ინახება დუშეთის არქეოლოგიურ ბაზაზე. ზარაკები საგანგებოდ არის განხილული სპეციალურ გამოკვლევებში [ჭანიშვილი თ. 2005:19-29; ჭანიშვილი თ. 2007:97-108].

დასკვნა: ქართული ხალხური მუსიკის განვითარება ათასწლეულებს მოიცავს. ის თავისებურად ასახავს ქართველი ერის ეთნიკური ისტორიის მნიშვნელოვან ეტაპებს [მაისურაძე ნ. 1989:72]. როგორც განხილული მასალებიდან ჩანს, მუსიკალური კულტურის მანიშნებელ ნივთები, როგორცაა ძვლის სალამურები, მრავალწლიანი საკრავები, წინწილები, ზარი და ზარაკები დადასტურებულია არქეოლოგიურ ძეგლებზე [აფაქიძე ან. 1970:779]. ეს ყოველივე იძლევა საფუძველს იმისათვის, რომ უძველესი დროიდან საქართველოში მუსიკალური კულტურის მაღალი დონე წარმოვადინოთ და საკრავი და ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტების არსებობა და მრავალწლიანი ქართული ხალხური სიმღერების ფართოდ გავრცელება ვივარაუდოთ.

ლიტერატურა:

- ალავიძე დ., რეხვიაშვილი ნ. 1964:** ჩანგი, ჟურ. საბჭოთა ხელოვნება, № 5, თბილისი.
- აფაქიძე ან. 1970:** თეატრი და მუსიკალური ხელოვნება, - საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბილისი.
- აფაქიძე ან., ნიკლაიშვილი ვ. და სხვ. 1996:** მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1996 წლის მუშაობის ანგარიში, ხელნაბეჭდი. ინახება მცხეთის არქეოლოგიურ ბაზაზე.
- აფაქიძე ან. ნიკლაიშვილი ვ. და სხვ. 2003:** სვეტიცხოვლის ეზოში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოები 2001 წელს – IV სამეცნიერო სესია, თბილისი.
- ახვლედიანი დ. 2008:** განძი ვანიდან, კრ. „იბერია კოლხეთი“ 4, თბილისი.
- ბოხოჩაძე ალ. 1981:** არქეოლოგიური გათხრები ალაიანსა და ძალისში, თბილისი.
- ბრავაძე ზ. 2000:** რგანის სამაროვანი, არქე-

ოლოგიური ჟურნალი, ტ I, თბილისი.

ლომთათიძე გ. ციციშვილი ირ. 1955: ახლად აღმოჩენილი აკლდამა მცხეთაში, - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 12, თბილისი.

ლორთქიფანიძე მარგ. 1961: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, I, თბილისი.

ლორთქიფანიძე მარგ. 1967: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, IV, თბილისი.

ლორთქიფანიძე მარგ. 1996: არაგვის ხეობის გლიპტიკური ძეგლები, ხელნაბეჭდი. ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის გლიპტიკის კაბინეტში.

მაისურაძე ნ. 1989: ქართული ხალხური მუსიკა და მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტები, თბილისი.

მუხიგულაშვილი ნ. 1984: 1983 წელს ნიფრანისძირში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში, ხელნაბეჭდი. ინახება არქეოლოგიური კვლევის ცენტრის არქივში.

მუხიგულაშვილი ნ. 1984: 1983 წელს ვარსი-მანთკარში ჩატარებული საველე არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში, ინახება არქეოლოგიური კვლევის ცენტრში.

ნადირაძე ჯ. 1975: ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი.

ნადირაძე ჯ. 1990: საირხე საქართველოს უძველესი ქალაქი. თბილისი.

ორბელიანი ს.ს. 1960: თხზულებანი, IV, თბილისი.

რობაქიძე ც., ჩიხლაძე ვ. ნეძიხის სამაროვნის საველე არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიშები 1985-1987, 1989 ხელნაბეჭდი. ინახება არქ. კვლევის ცენტრის არქივში.

შილაკაძე ვ. 2001: ქართული ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა, თბილისი.

ჩიხლაძე ვ. 1998: ირმის გამოსახულებიანი მშვილდსაკინძი ჟინვალის სამაროვნიდან, „ძეგლის მეგობარი“ 4, თბილისი.

ჩიხლაძე ვ. 2001: წინწილები (მუსიკალური ინსტრუმენტი), ძიებანი, 7, თბილისი.

ჩიხლაძე ვ. 2002: წინწილები ჟინვალის სამაროვნიდან „ხელოვნება“, 5-6, თბილისი.

ჩუბინიშვილი ტ. 1957: მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი.

ჩიჯავაძე ოთ. 2009: საკრავები ძველ საქართველოში, თბილისი.

ჩხიკვაძე გ. 1955: სამუსიკო საკრავი ებანი და მისი რაობა, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VII, თბილისი.

ჩხიკვაძე გ. 1984: ქსე, 8.

ჩხიკვაძე გ. 1987: სალამური, ქსე, 11.

წითლანაძე ლ. 1995: ხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი.

ჭანიშვილი თ. 2005: ზარაკების ტიპოლოგიա-ქრონოლოგიის საკითხები აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიური მასალების მიხედვით, „იბერია-კოლხეთი“, 2, თბილისი.

ჭანიშვილი თ. 2007: ზარაკების ტიპოლოგია-ქრონოლოგიის საკითხები დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური მასალების მიხედვით, „იბერია-კოლხეთი“, 7, თბილისი.

ხახუტაიშვილი დ. 1965: კლდეში ნაკვეთი ქალაქი, თბილისი.

ხახუტაიშვილი დ. 1989: უფლისციხე ქალაქი კლდეში, თბილისი.

ხუნდაძე ნ. 2007: უფლისციხე, კატალოგი, თბილისი.

ხუჭუა პ. 1987: მუსიკის სამყარო, თბილისი.

ჯანაშია ს. 1959: თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, „შრომები“, III, თბილისი.

ჯავახიშვილი ალ. 1958: ხაიშის განძი, ჟურ. „მნათობი“, 3, თბილისი.

ჯავახიშვილი ივ. 1990: ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბილისი.

ჯავახიშვილი ქ. 1972: ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები, თბილისი.

ჯანელიძე დ. 1989: სახიობა შუა საუკუნეების ქართულ რომანში, ჟურ. „კინო“, 3, თბილისი.

ჯაფარიძე დ. 2003: „პატარა მწყემსის სალამური“ – მუდმივი კავშირის სამყარო, „მაგთი“, 1(170).

Страбон. 1964: География в 17 книгах, перевод с древнегреческого, статья и комментарии Г. Стратоновского, Ленинград.

Чихладзе В. 2000: Музыкальные инструменты в древней Грузии,- Международная научная конференция — Археология и Этнология Кавказ. Сборник кратких содержания докладов. Баку.

Chikhadze V. 2009: Musical instruments - Cumbals from archaeological material of the first-fourth centuries. „იბერია-კოლხეთი“, 5, თბილისი.

Odisheli M. 1995: Spatantike und fruhchristliche mosaik in Georgien, Wien.

Furtwangler A., Gagoshidze I., Lohr H., Ludvig N. 2008: Iberia and Rome, Berlin.

ილუსტრაციების აღწერილობა:

ტაბ. I. სალამურები: 1. სამთავრო; 2. ნარეკვა-ვი; 3. ტახტიძირი; 4. ჩოლოქი; 5. სალამურზე დამკვრელი პანი მოგვთაკარის (მცხეთის) აკლდამიდან; 6. ჩანგზე დამკვრელი უფლისციხიდან.

ტაბ. II. წინწილები: 1. ტახტიძირი; 2. მოდინახე; 3. ქუთაისი.


ტაბ. III. ძალისის მოზაიკა მუსიკოსების გამოსახულებებით - 1. ფიგურა სალამურების დასტით ხელში. 2. ფიგურა არფისმაგვარი საკრავით ხელში. 3. ხაიშის განძის ოქროს საკიდი. ორმაგ სალამურზე დამკვრელი; 4. ვანის განძი. ეროსების გამოსახულებები ჭრაქზე, რომელთაგან ერთს ჩანგი უჭირავს, მეორეს — ფანდურა.

ტაბ. IV. 1. სისტრუმზე დამკვრელი ეგვიპტიდან; 2. სისტრუმის ფირფიტები საირხედან; 3. ჩანგზე დამკვრელი ყაზბეგის განძიდან; 4. დოლზე დამკვრელი უფლისციხიდან.


ტაბ. V. მშვილდსაკინძი ზარაკებით ჟინვალის სამაროვნიდან.

I

Chikhladze V.



II



III



1



2



3



4

IV




1




2



4



3



V



დარღვეული სამარხის ნაშთები ზესტაფონიდან

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულია ლითონის ნივთების მცირე კოლექცია, რომელიც 1928 წელს ზესტაფონში, ფერომარგანცის ქარხნის მიდამოებში შემთხვევით აღმოჩენილი ნივთების ნაკრებს წარმოადგენს – სავარაუდოდ, დარღვეული სამარხის (ან სამარხების) ნაშთებს (კოლექციის № 5453/A-45; ძველი № 2928). მის შემადგენლობაშია ცხენის აკაზმულობის ბრინჯაოსა და რკინის ნაწილები (ბრინჯაოს ზარაკი და ასხმულა, რკინის ორი წყვილი ლაგამი საყბურითურთ), რკინის იარაღი (აკინაკი და საომარი ცული), და ბრინჯაოს ჭურჭლის, ე.წ. სიტულის ფრაგმენტები. კოლექციის კომპონენტების ერთობლიობა მიგვანიშნებს, რომ საქმე გვაქვს მხედრის აღჭურვილობის ელემენტების ერთიან კომპლექსთან, რასაც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს თითოეული მათგანის ტიპოლოგიაზე დაფუძნებული ქრონოლოგია. განვიხილოთ ყოველი მათგანი.

ცხენის აკაზმულობის ნაწილები: ა. ორი წყვილი ერთი და იმავე ტიპის რკინის ლაგამი, ორნაწილიანი, გამოჭედილი საყბურებთან ერთად (სურ. 1-2). ლაგამის ღეროები ნახნაგოვანია, ოთხკუთხაგანიკვეთიანი, ერთმანეთზე გადაბმულია თითო რგოლით; გადაბმის ადგილას ლაგამის თითოეული ღერო გაფართოებულია. ყოველი საყბურის წარმოადგენს ფირფიტას, რომლის ბოლოები გარეთეკენაა ოდნავ გადახრილი; მასზე სამი ნახვრეტი – ერთი დიდი, გაჭრილი საყბურის შუა ნაწილში, მომრგვალებულკუთხეებიანი ოთხკუთხედის ფორმისა, სადავისთვის განკუთვნილი, ხოლო მის ორივე მხარეს მოთავსებულია თითო პატარა ნახვრეტი ალვირის სათაურის ღვედების გასაყრელად; ამ ნახვრეტების გასწვრივ საყბურის გარეთა კიდე ნახვრეტების ზომების შესაბამისად

გამობერილია და მარყუჟების იმიტაციის შთაბეჭდილებას ქმნის (საერთო სიგრძე 16 სმ და 16,2 სმ).

ეს საკმაოდ იშვიათი ტიპია ლაგამისა – ზესტაფონის აღმოჩენის გარდა, სადღეისოდ ჩვენთვის სამხრეთ კავკასიიდან ცნობილია მხოლოდ ერთი ამ ტიპის ლაგამი, შემთხვევით აღმოჩენილი ვერეშჩაგინის ბორცვის ნამოსახლარზე (სურ. 3) [Эрлих В. 2010:77-78, სურ. 4, 4], ხოლო კავკასიის ფარგლებს გარეთ სავსებით ანალოგიური ტიპის რკინის ლაგამი ნაპოვნია წინა აზიაში, დევე ჰუიუკის II ჯგუფის (ძვ.წ. 480-380 წწ) ერთ-ერთ სამარხში (სურ. 4) [Moorey P. 1980:8, 72, სურ. 10, № 230]; ასე რომ სულ ოთხი ეგზემპლარი გვაქვს (მოსალოდნელია მათი რიცხვის გაზრდა), კონსტრუქციითაც და დეტალების მხრივაც ისინი სავსებით ერთნაირია და საქართველოს ლაგამებისადმი მიძღვნილ საგანგებო გამოკვლევაში მოიხსენიებიან, როგორც „ადგილობრივი ტრადიციის იშვიათი ტიპის რკინის ლაგამები“ [Эрлих В. 2010: 77-79, სურ. 4, 4; ტაბ. 1, 9, 10].

კონსტრუქციის მიხედვით რკინის ეს ლაგამები განეკუთვნება საყბურებთან მყარად დამაგრებული ლაგამების კატეგორიას. ამ კატეგორიის, ე.წ. უძრავი კონსტრუქციის ლაგამ-საყბურთა პირველი ბრინჯაოს ეგზემპლარები, სადაც ლაგამი საყბურთან ერთადაა ჩამოსხმული, ძვ.წ. IX-VIII სს. მიჯნაზე ჩნდება მანას რეგიონში, სადაც მეცხენეობას დაწინაურებული ადგილი ეკავა, და მოძრავი კონსტრუქციის ლაგამებთან თანაარსებობს. შემდეგ ვერაზიის დიდ ტერიტორიაზე ვრცელდება და საუკუნეთა მანძილზე მოდიფიკაციას განიცდის [Иванчик А. 2001:184, 194]. აქემენიდურ ხანაში მთელ წინა აზიაში მხოლოდ ამ კონსტრუქციის სპეციფიკური ტიპის ბრინჯაოს ლაგამებია

გავრცელებული და მათ „აქემენიდური ტიპის ლაგმების“ სახელით მოიხსენიებენ (სურ. 5, 7, 8) [Иванчик А. 2001:194; Moorey P. 1980:70-72, სურ. 10, 227-229]. მოგვიანებით ე.წ. აქემენიდური ტიპის ალვირი პოპულარული ხდება საბერძნეთშიც (სურ. 6) [Moorey P. 1980:71-72; Эрлих В. 2010:74; Куфтин Б. 1941: 60-61, სურ. 58ა – 1], და რაც ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, აქემენიდური ტრადიციის ალვირი ამიერკავკასიაშიც, კერძოდ კი ანტიკური ხანის საქართველოს ცხენის აკაზმულობაშიც მკვიდრდება (სურ. 9, 10) [Куфтин Б. 1941:61, სურ. 58ა; Эрлих В. 2010:71-73, სურ. 2; სულთანშივილი ირ. 2005: 121-125, ტაბ. XI, XXIV; მახარაძე გ., ... 2007: ფოტო 73, 77, 81, 83-84; გაგომიძე იულ. 1968:ტაბ. II]. ბრინჯაოს ეს ლაგმები, როგორც ვთქვით, საყბურებთან ერთადაა ჩამოსხმული; ლაგმის ღეროები დაფარულია რიგებად განლაგებული ბრინჯაოს პანია ბურცობებით; საყბურებს აქვთ სწორი ან გარეთკენ მოხრილი მოყვანილობა და შუა ნაწილში სადავისთვის განკუთვნილი დიდი რგოლი-მარყუჟი, რომლის აქეთ-იქით თითო ხვრელია ღვედებისათვის. მათი არსებობის ხანად ძვ.წ. VI ს-ის დასასრული და ძვ.წ. IV ს არის შემოთავაზებული [გაგომიძე იულ. 1968:45; Лордкипанидзе Г. 1978:88; Эрлих В. 2010:74]. საქართველოში აღმოჩენილ ამ ტიპის ბრინჯაოს ლაგმებში რამდენიმე ვარიანტია გამოყოფილი საყბურის მოყვანილობის მიხედვით და აქედან ერთი, ვ. ერლიხის კლასიფიკაციის III ვარიანტი, იმითაა გამორჩეული, რომ საყბურზე ხვრელების ნაცვლად დიდი რგოლის ორივე მხარეს ასევე მარყუჟებს ვხვდებით (საირხე, წითელი შუქურა, ვანი, აწყური, ცხეთა) [ნადირაძე ჯ. 1990:157-158, ტაბ. X,2; Эрлих В. 2010:72-73, სურ. 2, 5-7; მახარაძე გ., ... 2007:ფოტო 73, 77; Трапш М. 1969:185, ტაბ. XXII,2; Лордкипанидзе Г. 1978:ტაბ. VIII,1; Куфтин Б. 1941: 60-61, სურ. 58ა-5; სულავა ნ., ... 2012:29] (სურ. 11-13, 15). კომპლექსების ინვენტარის მიხედვით ისინი ძვ.წ. VI ს-ის დასასრულსა და ძვ.წ. V ს-შია გავრცელებული [მახარაძე გ., ... 2007:

59; Эрлих В. 2010:73]. მარყუჟიანი ვარიანტი ირანის ტერიტორიიდან არ არის ცნობილი და მხოლოდ საქართველოში აღმოჩენილი „აქემენიდური ტიპის“ ლაგმებისთვისაა დამახასიათებელი [Эрлих В. 2010:73]. საქართველოს ფარგლებს გარეთ ამ ვარიანტის ერთი ნიმუშია ცნობილი კიევის ისტორიული მუზეუმიდან, რომლის აღმოჩენის ადგილი უცნობია (სურ. 14) [Иванчик А. 2001:181, სურ. 86]. ამ გარემოებამ აფიქრებინა ვ. ერლიხს, რომ „აქემენიდური ტიპის“ ლაგამ-საყბურის აღნიშნული ვარიანტი შეიძლება ჩაითვალოს „აქემენიდური ტიპის“ ლაგმის ადგილობრივ, კოლხურ განვითარებად [Эрлих В. 2010:73].

ჩვენ ასე დანვრილებით იმიტომ შევჩერდით „აქემენიდური ტიპის“ ლაგამთა ტიპოლოგიაზე, რომ არის მოსაზრება, თითქოს ზესტაფონის რკინის ლაგამ-საყბურის ტიპის ჩამოყალიბებას საფუძვლად დაედო ბრინჯაოს ლაგამ-საყბურის სწორედ ეს III ვარიანტი: ჯერ კიდევ პ. მურმა გამოთქვა ვარაუდი, რომ დევე ჰუიუკის რკინის მყარი კონსტრუქციის ლაგამი, ზუსტი ანალოგია ზესტაფონის ლაგმებისა, ახალი ტექნოლოგიური ნაბიჯია ლაგმის განვითარებაში, როცა ლაგმის ღერო და საყბური ერთადაა გამოჭედილი, და ის პირდაპირი იმიტაციაა ბრინჯაოს უძრავი კონსტრუქციის ე.წ. აქემენიდური ტიპის ლაგმებისა [Moorey P. 1980:72]. ვ. ერლიხი კიდევ უფრო აკონკრეტებს ლაგმის ტიპს და მიაჩნია, რომ ზესტაფონის ტიპის ლაგმის გამოჭედვისას ოსტატი მჭედელი ბაძავდა ე.წ. აქემენიდური ტრადიციის უძრავკონსტრუქციანი ბრინჯაოს ლაგმების იმ ვარიანტს (III), რომელსაც სამმარყუჟიანი საყბური აქვს [Эрлих В. 2010:78] და რომელიც, როგორც ვნახეთ, მხოლოდ საქართველოში ნაპოვნი ლაგმებისთვისაა დამახასიათებელი. ასე რომ III ვარიანტის ბრინჯაოს ლაგმების ანალოგიურად ზესტაფონის რკინის ლაგმებიც ძვ.წ. VI ს-ის დასასრულითა და ძვ.წ. V ს-ით შეიძლება დათარიღდეს. თუ ეს მართლაც იმიტაციაა, უნდა ვიფიქროთ, რომ რკინის და ბრინჯაოს ნიმუშებს შორის არსებული განსხვავება გან-

სხვაგვებულმა მასალამ და ტექნიკურმა პროცესმა განაპირობა – სადავისთვის განკუთვნილი დიდი რგოლის ადგილი საყბურზე დიდმა განაჭერმა დაიკავა, მცირე მარყუჟები კი საყბურის გამობერილკონტურიან ნაწილზე არსებულმა ნახვრეტებმა.

ბ. ბრინჯაოს ე.წ. ასხმულა, ცხენის ალვირის სათაურის ღვედების განმანაწილებელი, ე.წ. ფრინველის ნისკარტისებური მოყვანილობის. ღრუა, სხმული ბრინჯაოსი; ცილინდრულ ფუძეზე ორი ხვრელი აქვს ერთიმეორის მოპირდაპირე მხარეს. ფუძიდან მოემართება მორკალული ნისკარტის ფორმის დეტალი. ხვრელების დიამეტრი ფუძის დიამეტრის ტოლია – 2 სმ. ნივთის სიგრძე 7 სმ-ია (სურ. 16).

ნისკარტის მოყვანილობის სხვადასხვა მასალის ასხმულები – ოქროსი, ბრინჯაოსი, ძვლისა/რქისა – კარგადაა ცნობილი საქართველოს შეკაზმულცხენიანი კომპლექსებიდან (ციხიანა, ნაცარგორა, ითხვისი, საირხე) [Нуцубидзе А. 1978:69-70, ტაბ. 24,5; Эрлих В. 2010: სურ. 9, 4; გაგოშიძე იულ., ... 2006: 59, სურ. 53; მახარაძე გ., ... 2007: ფოტო 75,76,79,80] (სურ. 17-20, 22). ამ ფორმის ასხმულებში, რომლებიც ფართოდაა გავრცელებული ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, კავკასიასა და ურარტუში, არჩევენ ორ ტრადიციას – ადრესკვითური ხანის ჩრდილოეთ შავიზღვისპირულ/ჩრდილოკავკასიურსა და აქემენიდურს [Эрлих В. 2010:84-85]. ასეთი დაყოფით ზესტაფონის ასხმულა უფრო აქემენიდური ტრადიციის ჯგუფს მიეკუთვნება. აქემენიდურ ხანაში ამ ფორმის ასხმულები გამოსახულია პერსეპოლისის რელიეფებზე (ძვ.წ. VI-V სს.), ხოლო მსგავსი ქვის ნიმუშები ნაპოვნი იყო პერსეპოლისის საგანძურში (სურ. 23) [Erlikh V. 2010:59, სურ. 11, 16-18]. ჩრდილოშავიზღვისპირული ტრადიციის ლითონის ასხმულები, რომლებიც, როგორც ვარაუდობენ, საფუძვლად დაედო აქემენიდური ტიპის ჩამოყალიბებას, ადრესკვითური ხანის (ძვ.წ. VII-VI სს.) კომპლექსებში ჩნდება [Галинина Л. 1997:124-126; Эрлих В. 2010:85].

ეს მცირე ზომის მოცულობითი ფორმები მტაცებელი ფრინველის თავის ძლიერ სქემატიზირებული გამოსახულებებია (სურ. 21, 24), სადაც მოტივი დაყვანილია მხოლოდ ორი ნაკვთის – დიდი თვალისა (ნახვრეტის სახით) და მოხრილი ან მოკაუჭებული ნისკარტის გადმოცემამდე. ზესტაფონის ასხმულას ანალოგიური ნიმუშებიც (ციხიანა, საირხე, ითხვისი) ამ ნიმუშების მატარებელია იმ განსხვავებით, რომ ისინი გაცილებით დიდი ზომისანი არიან – სიგრძე საშუალოდ 5-9 სმ-ია, ფუძის დიამეტრი კი 2-2,2 სმ, მაშინ როდესაც ე.წ. სკვითური ნიმუშები, შეიძლება ითქვას, მინიატურულია: მათი სიგრძე საშუალოდ 1,8-2,3 სმ-ია, ფუძის დიამეტრი კი 0,8-0,9 სმ [Галинина Л. 1997:232, №№ 87-88, ტაბ. 22; Эрлих В. 1994:108-109, ტაბ. 31, 4-7]. გარდა ამისა, აქემენიდური ხანის ასხმულებს, როგორც წესი, აქვთ მომრგვალებული, ცილინდრული ფუძე, განსხვავებით შავიზღვისპირული ტრადიციის ასხმულებისაგან, რომელთა უმრავლესობა კვადრატულფუძიანია [Эрлих В. 2010:85].

ზესტაფონის ასხმულას ყველაზე ახლო პარალელია საირხის № 5 სამარხში ფიქსირებული ოქროსა და ძვლის (რქის, ეშვის) ასხმულები [მახარაძე გ., ... 2007:ფოტო 75-76, 79-80]. საინტერესოა, რომ საირხის №5 სამარხის ყველა ასხმულას, როგორც ოქროს, ასევე ძვლის ნიმუშებს, ზესტაფონის ასხმულას მსგავსად, ორ-ორი ნახვრეტი აქვს ფუძეზე (სურ. 25-26), რაც სხვა ჩვენთვის ცნობილ ასხმულებზე არ დასტურდება – ყველგან ოთხ ნახვრეტს ვხვდებით (ითხვისი, ციხიანა, კელერმესი). სამარხისთვის შემოთავაზებული თარიღებია ძვ.წ. V საუკუნის შუახანები [მახარაძე გ., ... 2007:59] და ძვ.წ. V საუკუნის მესამე მეოთხედი [ნადირაძე ჯ. 1990:85].

ზესტაფონის ტიპის ასხმულების დანიშნულებაზე მოგვითხრობენ აპადანას რელიეფები, სადაც თვალნათლად ჩანს ნისკარტისებური ასხმულას ორიენტაცია და მისი ადგილი ალვირის ღვედების სისტემაში (სურ. 27) [ვიმონებთ ერლიხის მიხედვით – Эрлих

B. 2010:ტაბ. III, 2; Иванчик А. 2001: 84-85, სურ. 36]: მარცხენა პროფილში გამოსახული ცხენების თავზე ღვედეგაყრილი ორ-ორი ასხმულაა მოთავსებული, ერთი ყბასთან, ფუძით საყბურისკენ მიმართული, და მეორე მის გასწვრივ საფეთქელთან. ამ სურათის მიხედვით ერთი ცხენის სათაურისათვის ოთხი ასხმულაა საჭირო. ამ გამოსახულებების ნივთიერ დადასტურებას ვხვდებით საირხის №5 სამარხის შეკაზმული ცხენების მაგალითზე – პირველ ცხენთან ოთხი ოქროს ასხმულაა ფიქსირებული, მეორე ცხენთან – ორი ოქროსი და ორი ძვლის, მესამესთან – ასევე ორი ოქროსი და ორი ძვლისა [მახარაძე გ., ... 2007:56-58; სურ. 72, 75, 76, 79, 80]. უნდა ვიფიქროთ, რომ მეორე და მესამე ცხენების სათაურებს თითოეულ მხარეს თითო ოქროს და თითო ძვლის ასხმულა ამკობდა.

გ. ცხენის სამკერდე ბრინჯაოს ზარაკი, ჩამოსხმული ყუნწთან ერთად (სურ. 29); აქვს ცილინდრული, ე.წ. გვერდშეჭრილი კორპუსი, რომელიც დაფარულია მკრთალად გამოსახული რელიეფური შვეული პარალელური ზოლებით; ექსპონატის პასპორტში აღნიშნულია (№ 5554/-144), რომ ზოლების დაბოლოებაზე სამკუთხედები უნდა ყოფილიყო მოთავსებული, ასეთივე რელიეფური ზოლებით დაფარული; დღეს ეს შემკულობა აღარ იკითხება; ყუნწი მორკალულია; ზარაკის რკინის ენა დაკარგულია, კორპუსის გვერდი შეჭყლეტილი. ზარაკის სიმაღლე 11,5 სმ-ია, დიამეტრი – 7X9 სმ.

ბრინჯაოს ზარაკები მრავალფუნქციურ არტეფაქტებადაა მიჩნეული და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცხენის აკაზმულობას ახლავს თან, ნათელი ხდება მათი დანიშნულება. სხვადასხვა ფორმის და ტიპის ზარაკები ძვ. წ. VIII საუკუნიდან ფართოდაა გავრცელებული მახლობელ აღმოსავლეთსა და კავკასიაში, საიდანაც, როგორც ფიქრობენ, ისინი ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში გავრცელდა [Moorey P. 1980:73; Галинина Л. 1997:132; ჭანიშვილი თ. 2005:23; ჭანიშვილი თ. 2007:104]. რაც შეეხება საქართველოს ტერი-

ტორიაზე აღმოჩენილ ბრინჯაოს ზარაკებს, მათ შესწავლას, თავმოყრას, კლასიფიკაციას, დანიშნულების განსაზღვრას და ქრონოლოგიას საგანგებო გამოკვლევები მიუძღვნა თ. ჭანიშვილმა [ჭანიშვილი თ. 2005:19-29; ჭანიშვილი თ. 2006:138-144; ჭანიშვილი თ. 2007:97-108]. ირკვევა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ყველაზე ადრეული ცილინდრული, გვერდშეჭრილი ზარაკები, როგორც ცხენის აკაზმულობის ნაწილი, ჩანს ძვ.წ. VIII-VII სს-დან [ჭანიშვილი თ. 2005:22-23; ჭანიშვილი თ. 2007:102-103], ხოლო რაც შეეხება კონკრეტულად ზესტაფონის ზარაკს, ის მიეკუთვნება თ. ჭანიშვილის კლასიფიკაციის ცილინდრულკორპუსიანი გვერდშეჭრილი ზარაკების იმ ვარიანტს, რომლისთვისაც დამახასიათებელია დიდი ზომა (სტანდარტული სიმაღლე 10,5 – 11,5 სმ-ია), მორკალული ყუნწი და შვეული რელიეფური, ან წინვისებური ზოლებით შემკული, იშვიათად სადა, კორპუსი [ჭანიშვილი თ. 2005:23, ტაბ. II, 6-10; ჭანიშვილი თ. 2007:102-103, ტაბ. II, 1-10]. ამ ტიპის ზარაკები საქართველოს სამაროვნებზე ძვ.წ. VIII საუკუნის მეორე ნახევრიდან (ან ძვ.წ. VII საუკუნის დასაწყისიდან) ჩნდება და არსებობს ძვ.წ. V საუკუნემდე, განსაკუთრებით იზრდება მათი რიცხვი ძვ.წ. VI-V საუკუნეებში, ხოლო ამის შემდეგ ზარაკების ზომები კლებულობს და მინიატურული ხდება [ჭანიშვილი თ. 2005:23, ტაბ. II; ჭანიშვილი თ. 2007:103, ტაბ. I, 2]. ამდენად ზარაკის თარიღის დაკონკრეტება თანმხლები მასალითაა შესაძლებელი. თუ ჩავთვლით, რომ ზესტაფონის კოლექცია ერთიანი კომპლექსის ნაწილია, მასში შემავალი რკინის ლაგამსაყბურისა და ბრინჯაოს ასხმულას კვალდაკვალ ზესტაფონის ზარაკიც ძვ.წ. VI-V სს. შეიძლება დათარიღდეს.

ბრინჯაოს ჭურჭლის ფრაგმენტები, ნარმოდგენილია ერთი წნული ყური და კორპუსის ხუთი ძლიერ დეფორმირებული ფრაგმენტი (სურ. 30). ეს უნდა ყოფილიყო ბრინჯაოს ფურცლის გრდემლზე გამოკვერვის ტექნიკით დამზადებული, ჩამოსხმულყურებიანი,

დამოქლონილი ჭურჭლის კავკასიაში ცნობილი სახეობა, რომელსაც ტრადიციულად სიტულას უწოდებენ [Крупнов Е. 1952:18, 22; სახაროვა ლ. 1965:46; ლორთქიფანიძე ოთ. 1972:21-22; გიგოლაშვილი ელ. 1999:8-10; Эрлих В. 2011:505-506]. ფურცლოვანი ბრინჯაოს ხუთივე ფრაგმენტი მთლიანი ჭურჭლის მხოლოდ მცირე ნაწილია, ისინი დაჭყლელია და ყოველ მათგანზე ვხედავთ თანაბარი მანძილით დაშორებულ მოქლონებს ან მათთვის განკუთვნილ ნახვრეტებს. ძლიერი დაზიანებისა და ფრაგმენტულობის გამო ძნელია ფორმის აღდგენა — ცნობილია, რომ ამ ტექნიკით სხვა ფორმის ჭურჭელიც მზადდებოდა: ტოლჩა, ვაზა, ყურმილიანი დოქი და მათარაც კი [Крупнов Е. 1952:14-15, ტაბ. II, V, VI. მახარაძე გ., ... 2007:95, სურ. 91; 103, სურ. 106. გაგომიძე იულ., ... 2006: 42-43, სურ. 13], მაგრამ ყურის სპეციფიკური ფორმა უფლებას გვაძლევს გამოვრიცხოთ ეს უკანასკნელი და სიტულის ვერსიაზე შევჩერდეთ: ზესტაფონის კოლექციის ბრინჯაოს ყური ყალიბშია ჩამოსხმული, თანაბრად მოხრილია, განივკვეთში ოთხნახნაგა, ზედა მხარე წნული ორნამენტითაა შემკული, რის გამოც ეს ნაწილი გამობერილპროფილიანია (სურ. 30). ასეთი ყურები ბრინჯაოს სიტულებისთვისაა დამახასიათებელი [სახაროვა ლ. 1965:48; გიგოლაშვილი ელ. 1999:12]. დღეისათვის ჩამოსხმულყურებიანი და დამოქლონილი ფურცლოვანი ბრინჯაოს ყველა ფორმის ჭურჭლის ზოგადი თარიღია ძვ.წ. VIII საუკუნის დასასრული – ძვ.წ. V საუკუნის შუახანები. ითვლება, რომ ამ ტექნიკით დამზადებული ბრინჯაოს ჭურჭლის წარმოების ძირითადი კერაა მთის ზონა კავკასიონის ქედის ორივე მხარეს, საიდანაც ეს ჭურჭელი გავრცელდა ქედის ჩრდილოეთით და სამხრეთით [Крупнов Е. 1952:29-30; სახაროვა ლ. 1965: 47-48; Галинина Л. 1997:148, 150. გიგოლაშვილი ელ. 1999:25-26; Эрлих В. 2011:512]. კონკრეტულად სიტულამ განსაკუთრებით ფართო გავრცელება ჰპოვა კოლხეთში, სადაც მისი წარმოებაც ივარაუდება [გიგო-

ლაშვილი ელ. 1999:25; Эрлих В. 2011:512]. რაც შეეხება წნულიორნამენტიან ყურებს სიტულებზე, ისინი კოლხეთის ძვ.წ. V საუკუნის კომპლექსებში დასტურდება დოკუმენტურად – ასეთებია ვანის ძვ.წ. V საუკუნის შუახანების № 11 სამარხი [ლორთქიფანიძე ოთ. 1972:21-22], ამავე ხანის ითხვისის №21 სამარხი [გაგომიძე იულ., ... 2006:57, სურ. 45], საირხის ძვ.წ. V საუკუნის ფარგლებში მოქცეული №№ 5 და 13 სამარხები [მახარაძე გ., ... 2007:52, სურ. 24; 97, ფოტო 164]. ალბათ არ შევცდებით, თუ ზესტაფონის ბრინჯაოს ჭურჭელსაც ამ ხანას მივაკუთვნებთ.

რკინის იარაღი: ა. სატევარი, იგივე აკინაკი, ორ ნაწილად გატეხილი (სურ. 28), აქვს სწორი, ძელაკისებური ტარისთავი და ე.წ. პეპლისებური ვადა; ტარის ღერო სამნაწილიანია, კიდევზე შეუღლილვაკებიანი; პირი მკვეთრქედიანია, თანაბრად ვინროვდება წვერისკენ (სურ. 28). თითოეული ნაწილის სიგრძის შეერთებით მიღებული საერთო სიგრძე იარაღისა 30 სმ-ია (15 სმ + 15 სმ), პირის უდიდესი სიგანე – 3 სმ. მორფოლოგიური ნიშნებით ეს აკინაკი ე.წ. სკვითური არქაიკის (ძვ.წ. VII-V სს.) ტიპური ნიმუშია (მელიუკოვას კლასიფიკაციით I განყოფილების II ტიპი) [Мелюкова А. 1964:49-51]. რკინის იარაღის ეს სახეობა საქართველოს ტერიტორიაზე ადრიდანვე ჩნდება, მისი სკვითურ სამყაროში გაჩენის თანადროულად. იგი აღქმულია, როგორც სკვითური კულტურის სპეციფიკის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი, რომელიც ე.წ. სკვითური არქაიკის ხანაში (ძვ.წ. VII-V სს.) ფართოდ მოიხმარება ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, კავკასიასა და ევრაზიის სხვა ნაწილებში — დასავლეთით დუნაისპირეთიდან მოკიდებული აღმოსავლეთით პამირამდე [Галинина Л. 1997:92]. საკუთრივ ზესტაფონის ტიპის აკინაკებს რაც შეეხება, მათ ადრე „კელერმესის ტიპის“ აკინაკებს უწოდებდნენ ტრადიციულად, ბოლო დროს კი ამ ტიპის დაკონკრეტებული განსაზღვრა შემოვიდა — “კავკასიურ-მიდიური ტიპი“ [Алексеев А. 1991:272], რომელიც

შესაძლოა აკინაკის განვითარების გვერდითი შტოა და მისი არეალი მოიცავს კავკასიის მთისწინეთს, ჩრდილოეთ კავკასიას, ამიერკავკასიასა და წინა აზიას [Алексеев А. 1991:278]. და თუმცა ცუდი დაცულობის გამო გადაჭრით თქმა იმისა, თუ ამ ეპოქის რომელ საფეხურს მიეკუთვნება ზესტაფონის ნიმუში, ძნელია, მაინც მიგვაჩნია, რომ ზესტაფონის სატევარი თავისი მსუბუქი ტარისთავით (აკინაკების საწყის, უადრეს ტიპებთან შედარებით) და პეპლისებური ვადის დაშვებული ფრთებით, რაც მისი გვიანდელი მათხეობის მაუწყებელია ე.წ. სკვითური არქაიკის ფარგლებში [Мелюкова А. 1964:50], ძვ.წ. VI საუკუნის დასასრულითა და ძვ.წ. V საუკუნით შეიძლება დათარიღდეს. საქართველოს ტერიტორიაზე მსგავსი აკინაკები ნაპოვნია ბრილის ძვ.წ. ამავე ხანით დათარიღებულ სამარხებში [გობეჯიშვილი გ. 1952:165, ტაბ. XIV,3; XV,5], ჩრდილო კავკასიის სამაროვნებზე ძვ.წ. VI საუკუნისა და ძვ.წ. V საუკუნის პირველი ნახევრის სამარხებში [Виноградов В. 1972:102-104, სურ. 28, 2; 32, 1], ხოლო მახლობელი აღმოსავლეთის ტერიტორიიდან შეგვიძლია დავასახელოთ მსგავსი რკინის აკინაკების აღმოჩენის შემთხვევები სირიაში, დევე ჰუიუკის II ჯგუფის სამარხებში (ძვ.წ. 480-380 წწ), სადაც მათ გამოჩენას ირანულ ოკუპანტებს მიაწერენ [Moorey P. 1980:8-10, 54-58, სურ. 9, №№ 149-155].

ბ. საომარი ცული, ე.წ. პირნამახული საბრძოლო ცულის ერთ-ერთი ვარიანტი (სურ. 31): ცულის თითქმის შუა ნაწილში მოთავსებულია მილისებრი სატარე ხვრელი, რომლის კიდეები სცილდება ცულის კონტურებს, ამასთან მისი ზედა გამოშვებული კიდე ქვედასთან შედარებით უფრო განიერია (ზედა დიამეტრი 2,2 X 2,3 სმ, ხოლო ქვედა – 2 X 2,2 სმ-ა); სატარის მიმართ ცულის პირი და ყუაც ოდნავ დაშვებულია; პირი სატარეს ვინრო, ოთხნახნაგა ყელით უერთდება, შემდეგ ოდნავფართოვდება და თანდათან მიემართება ნვერისკენ; ყუაც ნახნაგოვანია, დაბრტყელებული, დაბოლოება დაზიანებული აქვს და მისი მოყვანილობა არაა ნათელი; იარაღის

საერთო სიგრძე 20,7 სმ-ია.

პირნამახული ცულების დიდი სერიაა ცნობილი, რომელშიც ცულები ნანვეტებული პირის მიხედვითაა გაერთიანებული, ხოლო ყუის მოყვანილობა განსხვავებულ ვარიანტებს იძლევა. იარაღის ეს სახეობა სათავეს იღებს ბიმეტალური პირნამახული ცულებიდან, რომლებიც ძვ.წ. VII საუკუნის პირველი ნახევრიდან ვრცელდება საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე – ითვლება, რომ ისინი ტაგარის კულტურის არეში გაჩნდა (მინუსინის ქვაბულსა და სამხრეთ ციმბირში), სადაც მათ ბრინჯაოს პროტოტიპები ეძებნებათ, შემდგომში ეს სახეობა გავრცელდა დასავლეთით, ანანინოს კულტურის წრეში (აქედან გაიცნეს ეს იარაღი სკვითებმა), არალი-სპირეთსა და სამხრეთ ურალისპირეთში, და აქედან შემდეგ კავკასიასა და წინა აზიაში (სურ. 32, 33) [Іллінська В. 1961:52; Мелюкова А. 1964:68; Збруева А. 1952:30, 104; Иванчик А. 2001:48-49, 56-57]. კავკასიაში გავრცელებული რკინის პირნამახული საბრძოლო ცულები, მთელი თავისი ყუის ნაირსახეობებით, ამ საწყისი ფორმის განვითარების, მისი ტრანსფორმაციის შედეგია [ფირცხალავა მ. 1978:40-41, ტაბ. 10,3,6; Виноградов В. 1972:126-127, სურ. 29, 1,2,4,6; ფირცხალავა მ. 2001:80, ტაბ. IV, 9,10,11].

კავკასიის რკინის პირნამახულ ცულებს შორის ჯერჯერობით არ ჩანს ზესტაფონის ცულის ზუსტი ანალოგი. მისი თავისებურება გამოიხატება იმაში, რომ თუკი პირნამახული ცულების პირი სატარედან თანდათან ვინროვდება ნვერისკენ, ზესტაფონის ნიმუშზე პირი სატარეს ვინრო, ოთხნახნაგა ყელით უერთდება და ერთი შეხედვით მისი პირის მოხაზულობა შუბისპირს მოგვაგონებს. ეს უთუოდ ერთ-ერთი კავკასიური სიახლეა რკინის პირნამახული ცულების განვითარებაში, რისი რამდენიმე მაგალითი შეგვიძლია დავასახელოთ: საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ პირნამახულ ცულებს შორის ასეთი მოხაზულობის პირი აქვთ, ოღონდ ვინრო ნახნაგოვანი ყელის გარეშე, თლიას

№ 258 და № 143 სამარხების რკინის ცულებს (სურ. 36), რომლებიც ძვ.წ. VI საუკუნით თარიღდება [Техов Б. 1980:56-57, სურ. 19, 4), ბრილის ძვ.წ. VI-V სს. სამარხისა [გობეჯიშვილი გ. 1952:165, ტაბ. 45,4] და ძვ.წ. V საუკუნით განსაზღვრული № 29 სამარხის ცულებს (სურ. 35) [ფირცხალავა მ. 2001:80-81, ტაბ. IV,10,11]. ამ ცულებს ყუაც ერთგვაროვანი აქვთ – ნახნაგოვანი და სატარის მიმართ ოდნავ დაშვებული. ზესტაფონის ცულის მსგავსი პირი აქვთ ჩრდილო კავკასიაში, ნიჟნი ჩეგემის სამაროვნის ძვ.წ. VI-V სს. სამარხებში აღმოჩენილ რკინის პირნამახულ ცულებს, რომლებსაც საქართველოს ზემომოტანილ ნიმუშთაგან განსხვავებული ყუა აქვთ (სურ. 37-39, 42) [Виноградов В. 1972:126-127, სურ. 29, 1,2,4,6], ხოლო ზესტაფონის ცულის ყუის მსგავს ყუას ვხვდებით ამავე სამაროვნის გაფართოებულ პირიან რკინის ცულებზე (სურ. 40-41, 43) [Виноградов В. 1972:სურ. 29, 3,5,7]. როგორც ჩანს, კავკასიაში, სადაც ცულის ტრადიცია უცხო არ იყო, ძვ.წ. VI-V საუკუნეებში მოხდა ახლადათვისებული ნაწვეტილებული პირის შეთავსება სხვადასხვა ფორმის ყუასთან, ალბათ, ფუნქციიდან გამომდინარე, რის შედეგადაც მივიღეთ კომბინირებული რკინის იარაღის ნაირსახეობები, რომელთა რიგში ადგილს იკავებს პირნამახული რკინის ცულიც ზესტაფონიდან.

ჩვენ ზემოთ რამდენჯერმე მოვუხმეთ დევე ჰუიუკის II ჯგუფის სამარხების (ძვ.წ. 480-380 წწ.) მასალას. საყურადღებოა, რომ ამ ნივთებს შორისაა რკინის პირნამახული ცულიც, სატარედან ოდნავ დაშვებული, ოთხნახნაგა წამახული პირითა და გრძელი მრგვალგანიკვეთიანი ყუით – ამ სახის იარაღის კიდევ ერთი ვარიანტი [Moorey P.1980:67-68, სურ. 10, № 220]. ეს ფორმა, პ. მურის აზრით, განვითარდა იმ იარაღიდან, რომელიც საუკუნენახევრით ადრე მახლობელ აღმოსავლეთში შემოიტანა სკვითურ-კიმერიულმა გაერთიანებამ [Moorey P.1980:67] (სურ. 34).

მასალის ანალიზმმა დაგვარწმუნა, რომ

ზესტაფონის კოლექციის სახით ჩვენ გვაქვს მხედრის ალჭურვილობის ნაკრები, რომლის ზოგადი თარიღი ძვ.წ. VI-V სს შემოიფარგლება. ჩვენ შემდგომ ვეცდებით შეძლებისდაგვარად დავაკონკრეტოთ ეს თარიღი. ნივთების ეს ნაკრები, ამ შემადგენლობით, არაერთგან მეორდება კომპონენტთა სხვადასხვა ვარიაციებით და სამარხეულ ინვენტარს წარმოადგენს (ნითელი შუქურას №8 სამარხი, ითხვისის №21 სამარხი, საირხის №5 სამარხი) [Трапш М. 1969:90, 185, ტაბ. XXII,2,5; გაგომიძე იულ., ... 2006: 56-59; მახარაძე გ., ... 2007:50-59]. საკითხავია, ორი წყვილი ლაგმის არსებობა ორ დარღვეულ სამარხზე მიგვანიშნებს, თუ საქმე გვაქვს მაღალი წოდების წარმომადგენლის სამარხის გადარჩენილ ნაწილთან – აღნიშნულ ხანაში ერთ სამარხში რამდენიმე ცხენის თანადამარხვის მაგალითი გვაქვს საირხის №5 სამარხის სახით [მახარაძე გ., ... 2007:50]. ორივე შემთხვევაში ცხენის ან ცხენის აკაზმულობის არსებობა სამარხში იმაზე მიუთითებს, რომ რიგითი სამარხეული კომპლექსის ნაშთებთან არ უნდა გვქონდეს საქმე [მარგიშვილი ს. 1992:87-88, 91-93, 99]. იგივე ითქმის ზესტაფონის კოლექციის ბრინჯაოს სიტულაზე, რომელიც, როგორც ამას აღმოჩენების კონტექსტი მოწმობს, უმაღლესი სამხედრო ელიტის მობილური ყოფის პრესტიჟული ატრიბუტია [Эрлих В. 2011:508-509].

ზესტაფონის კოლექციის ინვენტარი შემადგენლობითა და ტიპოლოგიურადაც დიდ სიახლოვეს ავლენს საირხის საბადურის გორის სამაროვნის მდიდრული სამარხების ნივთებთან, რომლებიც ბერძნული კერამიკული ნაწარმით ძვ.წ. V საუკუნის ჩარჩოში თავსდება: ასეთებია ბრინჯაოს სიტულები და სიტულის წნულორნამენტიანი ყურები (სამარხები №№ 5, 8, 13, 14) [მახარაძე გ., ... 2007:52, სურ. 24; 58, ფოტო 86; 67, ფოტო 100; 71, ფოტო 114; 96-97, ფოტო 163; 97, ფოტო 164; 105, ფოტო 184], ოქროსა და ძვლის ასხმულები (სამარხი № 5) [მახარაძე გ., ... 2007:57, ფოტო 72, 75-76, 79; 58, ფოტო 80], ბრინჯაოს

ზარაკები (სამარხები №№ 5, 13, 14) [მახარაძე გ., ... 2007:57, ფოტო 74, 78; 100, ფოტო 177; 108, სურ. 115], და, რაც მთავარია, ბრინჯაოს უძრავკონსტრუქციანი ლაგამ-საყბურის ის ვარიანტი [მახარაძე გ., ... 2007:57, ფოტო 73, 77], რომელიც, როგორც ზემოთ ითქვა, მხოლოდ საქართველოს კომპლექსებშია ჯერჯერობით გამოვლენილი და რომელიც, როგორც ვარაუდობენ, საფუძვლად დაედო ზესტაფონის რკინის ლაგამ-საყბურის ტიპის შექმნას. ეს უკანასკნელი კი, როგორც ზემოთ დავინახეთ, სულ ოთხი ეგზემპლარია ჩვენთვის ცნობილი – სამი საქართველოს ტერიტორიიდან (მყარი თარიღის გარეშე) და ერთი - საქართველოს ფარგლებს გარეთ, ჩვენ მიერ არაერთხელ მოხმობილი დევე ჰუი-უკის II ჯგუფის სამარხების ინვენტარს შორის, რომლის თარიღი ძვ.წ. 480-380 წლებით შემოიფარგლება [Moorey P. 1980: 8-10]. ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია ზესტაფონის კოლექციის რაობის განსაზღვრა და მისი თარიღის დაკონკრეტება – ეს უნდა იყოს ძვ.წ. V საუკუნის მაღალი სამხედრო ელიტის წარმომადგენლის დაზიანებული სამარხის გადარჩენილი ინვენტარი.

ლიტერატურა:

გაგოშიძე იულ. 1968: ითხვისის სამარხი. – სსმმ, XXXV-B, თბილისი.

გაგოშიძე იულ., გოგიბერიძე ნ., მახარაძე გ. 2006: ითხვისის სამაროვანი. კატალოგი. – არქეოლოგიური ჟურნალი, IV, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი, გვ. 36-50.

გიგოლაშვილი ელ. 1999: ძვ.წ. V-IV საუკუნეების ტორევიტიკის ძეგლები კოლხეთში. – ისტ. მეცნ. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი (ხელნაწერის უფლებით). თბილისი.

გობეჯიშვილი გ. 1952: არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში. თბილისი.

ლორთქიფანიძე ოთ. 1972: ვანის ნაქალაქარი (გათხრები, ისტორია, პრობლემები). – ვანი I, თბილისი, გვ. 7-42.

მარგიშვილი ს. 1992: ანტიკური ხანის მდიდრული სამარხები ალგეთის ხეობიდან. თბილისი.

მახარაძე გ., წერეთელი მ. 2007: საირხე. თბილისი.

ნადირაძე ჯ. 1990: საირხე – საქართველოს უძველესი ქალაქი, ნიგნი I, თბილისი.

სახაროვა ლ. 1965: ბრინჯაოს უძველესი მხატვრული ჭურჭელი საქართველოში. – ჟურნალი „საბჭოთა საქართველო“, № 12, თბილისი.

სულავა ნ., ალაპიშვილი თ., კოპალიანი ნ., ქორიძე ი., პატარიძე მ., ბაქრაძე ი., ჩაგელიშვილი რ., მამარდაშვილი გ. 2012: ცაგერის ისტორიული მუზეუმი. ალბომი. თბილისი.

სულთანაშვილი ირ. 2005: ცხენის აკაზმულობა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში. ისტ. მეცნ. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი (ხელნაწერის უფლებით). თბილისი.

ფირცხალავა მ. 1978: სკვითური კულტურის ძეგლების საქართველოში გავრცელების საკითხისათვის. – საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, I, თბილისი, გვ. 31-52.

ფირცხალავა მ. 2001: საქართველოს ე.წ. სკვითური ინვენტარიანი არქეოლოგიური კომპლექსების დათარიღების საკითხისათვის. – ძიებანი. დამატებანი IV. აკც-ის ჟურნალი, თბილისი, გვ. 77-86.

ჭანიშვილი თ. 2005: ზარაკების ტიპოლოგია-ქრონოლოგიის საკითხები აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიური მასალის მიხედვით. – იბერია-კოლხეთი, № 2, აკც-ის ჟურნალი ძიებანი. დამატებანი XIV, თბილისი, გვ. 19-29.

ჭანიშვილი თ. 2006: მაგიური დანიშნულების არტეფაქტი (ზარაკი) ანტიკური ხანის არქეოლოგიურ კომპლექსებიდან. – ძიებანი. ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტის ჟურნალი, № 17-18. თბილისი, გვ. 138-144.

ჭანიშვილი თ. 2007: ზარაკების ტიპოლოგია-ქრონოლოგიის საკითხები დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური მასალის მიხედვით. – იბერია-კოლხეთი. ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ინსტიტუტის ჟურნალი, № 3, თბილისი, გვ. 97-108.

Алексеев А. 1991: Этуд об акинаках. – В книге А.С. Клейна «Археологическая Типология», Ленинград, с. 271-280.

Виноградов В. 1972: Центральный и Северо-Восточный Кавказ в скифское время. Грозный.

Галанина Л. 1997: Келермесские курганы. «Царские» погребения раннескифской эпохи. – Степные народы Евразии I, Москва.

Збруева А. 1952: История населения Прикамья в ананьинскую эпоху. – МИА 30, Москва.

Иванчик А. 2001: Киммерийцы и скифы. - Степные народы Евразии II, Москва.

Ілїнська В. 1961: Скифські сокири. – Археологія, XII, Київ, с. 49-52.

Крупнов Е. 1952: Жемталинский клад. Москва.

Куптин Б. 1941: Археологические раскопки в Триалети. I, Тбилиси.

Лордкипанидзе Г. 1978: Колхида в VI-II вв. до н.э. Тбилиси.

Мелюкова А. 1964: Вооружение скифов. – САИ, Д1-27, Москва.

Нуцубидзе А. 1978: Археологические раскопки в сел. Абано. – საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, I, თბილისი, გვ. 61-73.

Техов Б. 1980: Скифы и Центральный Кавказ в VII-VI вв. до н.э. Москва.

Трапш М. 1969: Труды, II, Сухуми.

Эрлих В. 1994: У истоков раннескифского комплекса. Москва.

Эрлих В. 2010: Узда Колхиды и Центральной Грузии античной эпохи: к проблеме выделения традиций. – Археология и Палеонтология Евразийских Степей и Сопредельных Территорий. ТАУС. Материалы и Исследования по археологии России, № 13. Москва.

Эрлих В. 2011: Бронзовые ситилы из элитных погребений Кавказа как пример внутрикавказской коммуникации. – Боспорский Феномен. Население, языки, контакты. Санкт-Петербург, с. 505-514.

Erlikh V. 2010: Recent Investigations of the Ulski Kurgans. – Achaemenid Impact in the Black Sea: communication of powers. Edited by Jens Nieling and Ellen Rehm. Aarhus; Lancaster: Aarhus University Press. Black Sea Studies 11, p. 47-65

Moorey P.R.S. 1980: Cemeteries of the First Millennium B.C. at Deve Hüyük, near Carchtmish, salvaged by T.E. Lawrence and C.L. Woolley in 1913. – BAR International Series 87.

სამარხი №126. რქა (Эрлих В. 2010 მიხედვით). 19-20. საირხე, სამარხი №5. ბრინჯაო, რქა (მახარაძე გ., ... 2007 მიხედვით). 22. ითხვისი, სამარხი №21. ძვალი (გაგოშიძე იულ. და სხვ. 2001 მიხედვით). 23. პერსეპოლისი, ქვა (Erlikh V. 2010 მიხედვით). 21, 24. ე.წ. ჩრდილოკავკასიური ტრადიციის ასხმულები. ბრინჯაო (Эрлих В. 2010 მიხედვით). 25-26. საირხე, სამარხი №5, ოქრო და ძვალი/რქა (მახარაძე გ., ... 2007 მიხედვით).

სურ. 27. აღვირის სათაური „ნიკარტისებრი“ განმანაწილებლებით აპადანას რელიეფზე (Эрлих В. 2010 მიხედვით).

სურ. 28. რკინის აკინაკი. ზესტაფონი. შემთხვევითი აღმოჩენა.

სურ. 29. ბრინჯაოს ზარაკი. ზესტაფონი. შემთხვევითი აღმოჩენა.

სურ. 30. ბრინჯაოს სიტულის ფრაგმენტები. ზესტაფონი. შემთხვევითი აღმოჩენა.

სურ. 31. რკინის პირნამახული საომარი ცული. ზესტაფონი. შემთხვევითი აღმოჩენა.

სურ. 32-33. ბიმეტალური საომარი ცულები: 32. იმირლერი. 33. ანანინო (Иванчик А. 2001 მიხედვით).

სურ. 34 – 43. რკინის საომარი ცულები: 34. დევე ჰუიუკი (Moorey P.1980 მიხედვით). 35. ბრილი (ფირცხალავა მ. 2001 მიხედვით). 36. თლია, სამარხი №258 (Техов Б. 1980 მიხედვით). 37-43. ნიჟნი ჩეგემის სამაროვანი (Виноградов В. 1972 მიხედვით).

ილუსტრაციების აღწერილობა:

სურ. 1 – 4. რკინის უძრავკონსტრუქციანი ლაგმები: 1-2. ზესტაფონი. შემთხვევითი აღმოჩენა. 3. ვერეშჩაგინის ბორცვი (Эрлих В. 2010 მიხედვით). 4. დევე ჰუიუკი (Moorey P.1980 მიხედვით).


სურ. 5 – 10. ე.წ. აქემენიდური ტიპის უძრავკონსტრუქციანი ბრინჯაოს ლაგმები: 5. პერსეპოლისი. 6. ათენი. 7-8. დევე ჰუიუკი (Иванчик А. 2001 მიხედვით). 9. ითხვისი, სამარხი №21 (გაგოშიძე იულ., ... 2001 მიხედვით). 10. ქსანი (Эрлих В. 2010 მიხედვით).

სურ. 11 – 15. ბრინჯაოს უძრავკონსტრუქციანი სამრგოლიანი ლაგმები: 11. საირხე, სამარხი №5 (მახარაძე გ., ... 2007 მიხედვით). 12. ნითელი შუქურა, სამარხი №8 (Трапш М. 1969 მიხედვით). 13. ვანი, შემთხვევითი აღმოჩენა (Лордкиპанидзе Г. 1978 მიხედვით). 14. კიევის მუზეუმი, დაუდგენელი წარმომავლობა (Иванчик А. 2001 მიხედვით). 15. ცხეთა, შემთხვევითი აღმოჩენა (სულავა ნ., ... 2012 მიხედვით).





სურ. 16 – 26. ღვედების განმანაწილებელი ასხმულები: 16. ზესტაფონი, შემთხვევითი აღმოჩენა. ბრინჯაო. 17. ციხიანა, სამარხი №6. ბრინჯაო (Нуцубидзе А. 1978 მიხედვით). 18. ნაცარგორა,

I



Pirskhalava M...





II



III



IV



ელენე გიგოლაშვილი

ქალის ბრინჯაოს ქანდაკების ფრაგმენტები

ვანის ნაქალაქარზე მოპოვებული ბრინჯაოს ქანდაკების მრავალრიცხოვან ნატეხებს შორის გამოიყო რამდენიმე ფრაგმენტი, რომელიც ერთი ქანდაკების – ქალის სკულპტურის ნაწილებად არის მიჩნეული. ესენია: ქალის ორივე ხელის, ბარძაყის მუხლითურთ, მარცხენა ტერფის და მარჯვენა მხრის ფრაგმენტები; სულ ხუთი არტეფაქტი. დასახელებული ფრაგმენტები ნაპოვნია ნაქალაქარის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდზე, ელინისტური ხანის ნაგებობის კედელთან, ჩამონგრეული სახურავის კრამიტებში და თეთრ ანატეცებთან ფენაში, რომელიც ელინისტური ხანის მასალას შეიცავს.

1. მარჯვენა ხელის ფრაგმენტი, შემორჩენილია მისი ნაწილი იდაყვს ქვემოთ და ხელის მტევანი; მაჯაში მოხრილია, ნეკი და უსახელო თითი მოკეცილია, საჩვენებელი და შუა თითი ოდნავ წინ გაშვებული, ცერი ბუნებრივად მათ პარალელურად მიმართული; მთლიანობაში მაჯა თავისუფალ, მოდუნებულ მდგომარეობაშია გამოსახული, საოცრად ფაქიზი, პლასტიკური, სრულ ჰარმონიაშია ქალის წარმოსახვით სხეულთან, ფრჩხილები საგულდაგულოდაა გამოყვანილი, გადანატეხთან შვერილი აქვს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ხელი იდაყვში მოხრილი იყო; ღრუა, თხელკედლიანი, დაფარულია მუქი მწვანე, „შავში“ გარდამავალი პატინით; შემორჩენილი სიგრძე მაჯამდე - 7,8 სმ, მანძილი მაჯიდან შუა თითამდე - 3,9 სმ, შუა თითის სიგრძე - 3 სმ; ფრაგმენტის ზედაპირი დაფარულია რამდენიმე ფირფიტით ფუჭვილების დასაფარავად, კარგადაა გაპრილებული [ლორთქიფანიძე ოთ. 1996:27, ტაბ. 86₁] (ტაბ. I,1).

2. მარცხენა ხელის ფრაგმენტი, შემორჩენილია მკლავი იდაყვს ზემოთ, იდაყვი, მაჯა, ხელის მტევანი; ხელი იდაყვში თითქმის მართი კუთხითაა მოხრილი, მარჯვენისგან განსხვავებით მარცხენა საკმაოდ ექსპრესიულია, დაჭიმული, მკლავზე კუნთი ოდნავ გამოკვეთილია, ხელისგული დაუმუშავებელი,

საჩვენებელი და შუა თითები მოტეხილია, უსახელო თითი და ნეკი მოღუნულია და ზემოდან დაბრტყელებული, ცერი ძალზე განზეა გაშვებული, მტევნის და თითების მდგომარეობა აშკარად უჩვენებს, რომ ამ ხელით ქალს ან რაღაც საგანი ეჭირა ან რაღაცაზე იყო დაყრდნობილი; მკლავის შემორჩენილი სიგრძე იდაყვამდე - 8 სმ, მანძილი იდაყვიდან მტევანამდე - 8,8 სმ, ცერის სიგრძე - 2,5 სმ; ფრაგმენტის ზედაპირზე დაკრულია რამდენიმე ფუჭვილის დასაფარავი ფირფიტა, იდაყვს და მხარს ქვემოთ ზედაპირი ოდნავ შეზნეულია (დარტყმის კვალი). დაფარულია მწვანე პატინით, გაპრილებულია (ტაბ. I,2).

3. მარჯვენა ფეხის ბარძაყისა და მუხლის ფრაგმენტი, ბარძაყის ზედა ნაწილი – ტანთან შეერთების ადგილას – მოტეხილია, ფეხი მუხლში მოხრილია, ექსპრესიული, კუნთები კარგად არის გამოყვანილი, ამასთანავე გლუვია, პლასტიკური, ფაქიზად მოდელირებული; ფრაგმენტის შემორჩენილი სიგრძე - 12,5 სმ, სიგანე - ზედა ნაწილში - 6,7 სმ, მუხლთან - 3,5 სმ; ზედაპირზე ჩანს ფუჭვილების დასაფარავი ფირფიტები; ფრაგმენტი მუქი მწვანე პატინითაა დაფარული და გაპრილებული [ლორთქიფანიძე ოთ. 1996: 27, ტაბ. 86₂] (ტაბ. I,3).

4. ტერფი, მარცხენა ფეხის, ერთი შეხედვით სინატიფით არ გამოირჩევა, უხეშად არის დამუშავებული, გლუვი არ არის, ქუსლი ნაკლებად არის მოდელირებული (შესაძლოა დროთა განმავლობაში ზედაპირი გაიხეხა, დაზიანდა), მოცულობა ზოგადი შტრიხებითაა მიღებული; ღრუა, მასში შერჩენილია რკინის ფრაგმენტი – კონსტრუქციის ნაწილი, რომელიც ტერფის ქვეშაცაა მოშვერილი 2,5 სმ-ის სიგრძეზე; ტერფის სიგრძე - 9 სმ, სიგანე ქუსლთან - 2,3 სმ, თითებთან - 3,8 სმ, დაფარულია მუქი მწვანე პატინით [ლორთქიფანიძე ოთ. 1996:27] (ტაბ. I,4).

5. მხრის ფრაგმენტი, მარჯვენა, შემორჩენილია მკლავის ზედა ნაწილი, მხარი მომრგვალებულია, ფაქიზად მოდელირებული, ნატიფი

შტრიხებით არის მიღებული; სიმაღლე – 6 სმ, სიგანე - 3,5 სმ; დაფარულია მუქი მწვანე პატი-ნით, ზედაპირი გაპრიალებულია (ტაბ. I,5).

ელინისტურ პერიოდში ახალი ქალაქების ეკონომიკურად გაძლიერებულ ელიტას არა მხოლოდ მოსახლეობა და ჯარისკაცები ჭირდებოდა, არამედ კულტურული პრესტიჟიც; ამიტომაც თავს უყრიდა დაქირავებულ ხელოვანებთან ერთად ემიგრანტ ბერძნებს, ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებს; ეს იყო პლურალისტური სამყარო, მაღალი, მოწინავე ურბანისტული კულტურით - ხელოვნება, მეცნიერება ხელისუფლების პატრონაჟის ქვეშ ვითარდებოდა, როგორც არასდროს მანამდე [Smith R. 2006:9]

ისევე, როგორც კლასიკურ ეპოქაში, ელინისტური ხანაშიც, ქანდაკებას სახვითი ხელოვნების სხვა დარგებს შორის წამყვანი ადგილი ეკავა. არც ერთ სხვა სახის ხელოვნებაში ელინისტური ეპოქის არსი და ხასიათი არ ასახულა ისე ნათლად და სრულყოფილად, როგორც ქანდაკებაში.

ელინიზმის ხანაში ჩამოყალიბდა სხვადასხვა სკულპტურული სკოლა, მათთვის დამახასიათებელი განუმეორებელი ნიშნებითა და თვისებებით – ალექსანდრიული, როდოსული, ატიკური, პერგამონული; სკულპტორებიც პლასტიკური ხელოვნების განსაკუთრებულ, ლოკალურ ვარიანტებს ქმნიდნენ; ცდილობდნენ პლასტიკურ ფორმებში განესახიერებინათ ხასიათის თვისებები, გადმოეცათ სახეზე ალბეჭდილი გრძნობები. ელინისტური ეპოქის ოსტატთა ნამუშევრებში ადამიანური გრძნობების მრავალფეროვნება და სიმდიდრე უფრო მეტი ემოციურობით არის გამოხატული, ვიდრე კლასიკური ხანის მოქანდაკეთა ქმნილებებში [Соколов Г. 1961:7]. ამ პერიოდის ხელოვნება უფრო მეტ ინტერესს ინდივიდუალური გრძნობებისადმი გამოხატავდა; ჩვეულებრივი ხალხის ემოციები და გრძნობები ხიბლავდნენ ელინისტ ოსტატებს, ხნიერი ქალები, ბავშვები, ჯუჯები თუ ბარბაროსები ელინისტურ ხელოვნებაში გავრცელებულ სიუჟეტებს წარმოადგენდნენ; ამ დროსთან დაკავშირებული ცვლილებები – გრძნობები და ინდივიდუალიზმი ხელოვანთათვის ბევრად უფრო მიმზიდველი იყო, ვიდრე კლასი-

კური ხანის სრულყოფილება; ამის შედეგი კირეალიზმი გახდა [Pollit J. 1986:1-5].

ერთ-ერთი პოპულარული თემა ელინისტური პერიოდის ხელოვნებაში, მითოლოგიურ სიუჟეტებთან ერთად, ქალღვთაებათა და საერთოდ, ქალის სილამაზის ასახვა იყო. განსაკუთრებით გავრცელდა ქალღმერთ აფროდიტეს შიშველი ქანდაკებები. კლასიკური ღვთაების წარსული სიდიადე ქრებოდა; ამიტომ, გარეგნული მინიშნებების გარეშე ქალღმერთის და ჩვეულებრივი ქალის ქანდაკება ერთმანეთისგან ძნელად გასარჩევი იყო [Smith R. 2006:75]; ამავე დროის კუთვნილება დეკორატიული სკულპტურა, რომლითაც მორთული იყო ბალები და პარკები, სადაც საოცრად ჰარმონიულად ხდებოდა ქანდაკების შერწყმა პეიზაჟთან [Соколов Г. 1961:8]

ვანის ნაქალაქარზე მოპოვებული ბრინჯაოს ფრაგმენტების მიხედვით განსაზღვრა იმისა, თუ როგორი იყო ქალის მთლიანი სკულპტურა, ნატეხების ფრაგმენტულობის გამო შეუძლებელია, თუმცა საკმარისია იმისთვის, რომ ის მიჩნეული იქნეს კლასიციკური სტილის ქანდაკებად, თარიღდება ძვ.წ. II-I საუკუნეებით [იხ. ლორთქიფანიძე ოთ. 1996:27]; ქალის ფიგურა შიშველი იყო; შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის ჯგუფური კომპოზიციის ანდა დეკორატიული ქანდაკების ნაწილს წარმოადგენდა, რომელიც განკუთვნილი იყო ბალის და საერთოდ სახლგარე მიდამოს მოსართავად.

ლიტერატურა:

ლორთქიფანიძე ოთ. 1996: ვანი - „ოქრომრავალი“ კოლხეთის უძველესი რელიგიური ცენტრი, I, Jahrbuch des Römisch-Germanischen Zentralmuseums, Mainz, 42 Jahrgang.

Соколов Г. 1961: Античная скульптура. Греция, М.

Pollit J. 1986: Art in the Hellenistic Age, Cambridge.

Smith R. 2006: Hellenistic Sculpture, London.

ილუსტრაციების აღწერილობა:

ტაბ. I - 1. ქალის ქანდაკების მარჯვენა ხელის ფრაგმენტი; **2.** ქანდაკების მარცხენა ხელის ფრაგმენტი; **3.** ქანდაკების ბარძაყის და მუხლის ფრაგმენტი; **4.** ქალის ქანდაკების მარჯვენა ტერფი; **5.** ქანდაკების მარჯვენა მხრის ფრაგმენტი.

I



**ქველი კოლხეთის კონტაქტები აქემენიდურ სამყაროსთან
(ოქროს სამაჯურები)**

ქართული ოქრომჭედლობა, კერძოდ, კოლხური ოქრომჭედლობა, ყალიბდებოდა და ვითარდებოდა, ადგილობრივი მხატვრული ტრადიციების გათვალისწინებასთან ერთად, გარე სამყაროსთან მჭიდრო კონტაქტების საფუძველზე. ძველი კოლხეთის მატერიალურ კულტურაში ეს ვითარება სხვადასხვა ფორმით გამოვლინდა: უპირველეს ყოვლისა, არქეოლოგიურ მონაპოვარში დადასტურდა აშკარად უცხოური ნაწარმის არსებობა, შემოსული სავაჭრო ურთიერთობის შედეგად (სავაჭრო იმპორტი), ან საჩუქრების, ნადავლის სახით და ა.შ. გარდა ამისა, კოლხურ ოქრომჭედლობაზე აისახა გარკვეულ ქრონოლოგიურ ეტაპზე გაბატონებული საერთო მხატვრული ტენდენციები, საერთო მოდა; უცხო სამყაროდან წამოსულმა იმპულსებმა ერთგვარი გავლენა იქონია ადგილობრივ დამზადებულ ოქროს სამკაულზე (მაგალითად, იხ.: [ჭყონია ან. 2010:13-24; ჭყონია ან. 2011:85-96; Чкониа А. 1985: 519-527; Ćkonია А. 1999a: 159-164; Ćqonia А. 2000:68-72] და სხვ.). ცნობილია, აგრეთვე შემთხვევები, როდესაც კოლხმა ოქრომჭედლებმა სამკაულის კონკრეტული ფორმა თუ მხატვრული მოტივი უცხო გარემოდან ჯერ ზუსტად გადმოიღეს („ისესხეს“), დროთა განმავლობაში კი — შეითვისეს და განავითარეს (შდრ. [Amandry P. 1965a:903-904]).

უცხო მოდელის გამოყენებით ადგილობრივ შექმნილი ოქროს სამკაული, კოლხური ოქრომჭედლობის ნიმუშებთან შედარებით, მცირერიცხოვნებით გამოირჩევა. ამჟამად ყურადღება გამახვილებულია აქემენიდური მოდელის მიხედვით დამზადებულ ოქროს სამაჯურებზე ვანისა და საირხის ძვ.წ. IV საუკუნის პირველი ნახევრის სამარხებიდან (ვანი, სამარხი №6; საირხე, სამარხი №8), რომლებიც საკმაოდ ხშირად ყოფილა განხილვის საგანი [ლორთქიფანიძე ოთ. 1972:18; გაგოშიძე იულ. 1981:16; ჭყონია ან. 1981: 47-49; ნადირაძე ჯ. 1990:49-50; Хоштариа Н. 1962:72; Лордкипанидзе О. 1979:94-95; Гогиберидзе

H. 2003: 11-12; Pfrommer M. 1990: 113; Rehm E. 1992:32; Deppert-Lippitz B. 1996:200; Lordkipanidse O. 1996: 372; Ćkonია А. 1999:165-167]. თუმცა, იკონოგრაფიული და ტექნოლოგიური დეტალების კიდევ ერთხელ შესწავლა-შეჯერება ახლებურად გააზრებისა და ადრეგამოთქმული ვარაუდის [Ćkonია А. 1999:167] გამყარების შესაძლებლობას იძლევა.

ვანის სამაჯურები (წყვილი) ზურგშეზნექილია, გახსნილი. ღერო მრგვალგანივკვეთიანია. სადა ზედაპირი საგანგებოდაა გაპრიანებული. ბოლოები ერთმანეთთან მიჯრითაა მისული, შემკულია, როგორც ჩანს, ჯიხვის თავებით [ხოშტარია ნ., ... 1972:115, კატ. №14, სურ. 49; ჭყონია ან. 1981:110, კატ. №54, სურ. 27] (სურ. 1-2).

ჩვეულებრივ, თავების მიხედვით ცხოველთა სახეობის დადგენა რთულია; ჯიხვის, თხის, ქურციკისა თუ ანტილოპას თავები ერთმანეთთან დიდ მსგავსებას ამჟღავნებენ. ცნობილი მკვლევარი პიერ ამანდრი ამის შესახებ წერდა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იანი წლების დასასრულს; მას მოჰყავდა მაგალითები, როდესაც ერთი და იგივე ნიმუში სხვადასხვა ავტორთან განსხვავებულად იყო მოხსენიებული [Amandry P. 1958:14]. ფაქტიურად ეს პრობლემა დღესაც ძალაშია. გერმანელი მეცნიერის მ. პფრომერის მიხედვით, მის ვრცელ მონოგრაფიაში ადრე და გვიანელი ისტორიის ხანის ოქროს სამკაულის ქრონოლოგიის შესახებ, გამოსახულებები გამოკვეთილი-გამობერილი ცხვირით განისაზღვა როგორც თხის, ხოლო შედარებით ხმელი და ბრტყელი – ქურციკის თავებად [Pfrommer M. 1990:113]. ვანის სამაჯურების გამოსახულებების წარმოდგენა ჯიხვის (გარეული თხის) თავებად საფუძველს მოკლებული არ არის, მაგრამ მაინც პირობითია.

ვანის ნიმუშებზე ცხოველის თავები დამუშავებულია დეტალურად. ჯიხვის თავლები ამობურცულია, ირგვლივ შემოსაზღვრულია ერთი ან ორი ვიწრო „სარტყლით“.

წარბები განიერია, მორკალული, შესრულებულია დაბალ რელიეფში. შუბლზე ღარებია — წაგრძელებული ან ნახევარწრიულად მორკალული. ცხვირი გამოკვეთილია, მცირედ გამობერილი. ყურები ვიწრო და გრძელია; ქვედა ნაწილზე, ერთის გამოკლებით, მკრთალი ირიბი ქდეებია. ყურებიდან ნიკაპამდე ტალღისებური ღარების („სარტყლის“) რიგია. დაღარული რქები მომრგვალებულია, ბოლოები შიგნით შეზნექილია და ერთმანეთთან შეერთებული. რქების მოხაზულობა — შეზნექილი ბოლოები და სამაჯურის ფორმა — ზურგშეზნექილობა ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს (შდრ.: [Amandry P. 1958:14]). ზემოდასახელებული ელემენტები, მათი მოხაზულობა და გაფორმება მიჩნეულია აქემენიდური ხელოვნების, კერძოდ, ცხოველის თავებით დაბოლოებული აქემენიდური ტიპის სამაჯურების დამახასიათებელ და განმსაზღვრელ ნიშნებად [Amandry P. 1958: 11-22; Deppert-Lipitz B. 1985:154-158; Pfrommer M. 1990:97-99, 112-114; Rehm E. 1992:31-38].

ვანის სამაჯურები მასიურია; ჩამოსხმულია ცვილის მოდელის დაკარგვის წესით (ე.წ. ცირე პერდუ). ამის გამო, დეტალების ერთმანეთთან შეჯერების დროს შეიმჩნევა ზოგიერთი ცდომილება: განსხვავებულია თავლების რელიეფურობა და ზომა, შუბლზე ღარების მოხაზულობა, რქებზე ღარების რაოდენობა (ერთ სამაჯურზე 15 და 17, მეორეზე 26-26 ღარია). სხვადასხვა სამაჯურების ზომები და წონა. ერთი სამაჯურის მაქსიმალური დმ 101,8 მმ-ია, ცხოველის თავის სიგრძე — 26,6 მმ; წონა — 275,06 გ. მეორე სამაჯურის მაქსიმალური დმ — 98,5 მმ; ცხოველის თავის სიგრძე — 28 მმ, წონა — 278,22 გ. ეს აცდენები კანონზომიერია, რადგან ცვილის მოდელების დამზადებისას გამოირიცხულია სრული იდენტურობის მიღწევა.

ამ ტიპის სამაჯურების მსგავსად, ვანის ნიმუშები ჩამოსხმულია სწორხაზოვან მდგომარეობაში, ბუნებრივია, ზემოდან ქვემოთ; შემდგომ დამუშავებულია — მიცემული აქვს გარკვეული ფორმა. ამით აიხსნება მცირე სხვაობა ზურგშეზნექილობაში (ერთ სამაჯურზე — შედარებით მკვეთრია). ტექნიკური ხერხის — *cire perdu*-ს გამოყენების დროს დამზა-

დების აღნიშნული თანამიმდევრობა სავსებით ლოგიკურია და რაციონალური.

ანალოგიური პროცესი აღწერილია ბერლინის სახელმწიფო მუზეუმში დაცულ ოქროს ერთ სამაჯურთან დაკავშირებით [Platz-Horster G. 2001:51, #30] (სურ.3), რომელთანაც ვანის ნიმუშებს ბევრი საერთო ექებნება. ასევე, შესაძლებელია მნიშვნელოვანი პარალელის გავლება კვიპროსზე, ვუნში აღმოჩენილ სამაჯურებთან [Amandry P. 1958:20, ტაბ. 12₂₆₋₂₉] (სურ.4). მათ აერთიანებთ შემდეგი მახასიათებლები: მთავარი აქცენტის გაკეთება მოდელირებაზე, გამოსახულების ცალკეული დეტალის სპეციფიკური დამუშავება, ფორმა — ზურგშეზნექილობა, სიგანეში გაზიდული (გაფართოებული) სილუეტი, აგრეთვე, ღეროს დიდი ზომა (მსხვილი ღერო). ამასთან ერთად, არსებითი ნიშანი — ე.წ. აქემენიდური წვერი — მკვეთრად განასხვავებს ვანის სამაჯურებს ანალოგიურ ძეგლებისგან: აქემენიდური წვერი, აუცილებელი ელემენტი აქემენიდური წარმოშობის გამოსახულებებისათვის, არ არის წარმოდგენილი ვანის ნიმუშებზე. ამ იკონოგრაფიული ნორმის უგულვებლყოფით ირღვევა „წმინდა აქემენიდური სტილი“ და ნათლად მჟღავნდება მათი განსაკუთრებულობა (ტექნოლოგიური თავისებურების შესახებ იხ. ქვემოთ).

გარკვეული ორიგინალობით გამოირჩევა ოქროს ერთი სამაჯური საირხის №8 სამარხიდან (ძვ.წ. IV საუკუნის პირველი ნახევარი) [მახარაძე გ., ... 2007:65, კატ. №14, ფერადი ფოტო 18]. თავისებურებად შეიძლება ჩაითვალოს უკვე ის ფაქტი, რომ სამარხში სამაჯური აღმოჩნდა ერთი ეგზემპლიარის სახით. მართალია, არ გამოირიცხება შემთხვევითობა, მაგრამ მსგავსი „გადაცდენა“ კოლხეთში არაერთხელ დადასტურებულა (მაგალითად, ვანის №10 სამარხში [ლორთქიფანიძე ოთ., ... 1972:211; ჭყონია ან. 1981:124, კატ. №178, სურ. 56]. ჩვეულებრივ, როგორც ირანული, ისე ბერძნული სამყაროს სამკაულთა რეპერტუარში სამაჯურები წყვილად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი [Hoffmann H., ... 965:6]. ჰ. ჰოფმანის მითითებით, ბერძნები და სპარსელები მუდამ იცავდნენ სიმეტრიას.

საირხეში აღმოჩენილი სამაჯური ზურგ-

შეზნეილია, გახსნილი, დაბოლოებულია ვერძის თავის გამოსახულებებით. ღერო სადაა, მრგვალგანიკვეთიანი, ზედაპირი გაპრიალებული. გამოსახულება მკვეთრად მოდელირებულია (დრუნჩი, თვალები, დაღარული რქები). ვერძის თავთან, ყელზე, — სამმაგი, მძივისებური, ტანდაღარული შემსხვილებაა (სურ.5). ჯურხა ნადირაძე, რომლის სახელს უკავშირდება საირხის აღმოჩენები, ამ დეტალით გამოჰყოფს საირხის სამაჯურს აქემენიდურ ირანში გავრცელებულ მსგავს ნიმუშებისგან და სავსებით მართებულად ვარაუდობს, რომ სამაჯური ადგილობრივ სახელოსნო ცენტრშია დამზადებული [ნადირაძე ჯ. 1990:50].

აღნიშნული თავისებურებათა მიუხედავად, ზოგადი მონაცემებით — საერთო მახასიათებლების გათვალისწინებით — ვანის და საირხის სამაჯურები მიეკუთვნება გარკვეული მხატვრული წრის ტიპურ ნიმუშებს, რომლებიც ექცევა აქემენიდური კულტურის გავრცელების არეალში. ზოგიერთ შემთხვევაში ისინი განსაზღვრულია კიდევ იმპორტულ ნაწარმად [Гогибериძე Н. 2003:11]. მათი წარმომავლობის დაზუსტების მიზნით უდავოდ ანგარიშგასანევია ზემომითითებული ცდომილებანი. აღსანიშნავია, რომ ვანში, იმავე სამარხში, ჯიხვისთავიანი ნიმუშების გარდა, აღმოჩნდა ოქროს ორი სამაჯური, ზურგშეზნეილი ინკრუსტირებული ღეროთი; შემკული ერთი — ლომის, მეორე — ხბოს თავებით [ჭყონია ან. 1981:110, კატ. №№55-56, სურ.28]. მათი იმპორტულობა ეჭვს არ იწვევს. სახეზეა აქემენიდური სტილის გამოსახულებები, განმსაზღვრელი იკონოგრაფიული ნიშნებით, აგრეთვე, აქემენიდური საიუველირო ხელოვნებისთვის დამახასიათებელი ინკრუსტაცია, ხოლო ატიპიური ელემენტები არ დასტურდება.

საერთოდ, ცხოველის გამოსახულებებით შემკული სამაჯურები ტიპური აღმოსავლური სამკაულია. მისი წარმოშობა და გავრცელება დაკავშირებულია მესოპოტამიას, ასურეთს, ურარტუსა და ირანთან [Amandry P. 1958:18-19; Maxwell-Hislop K. 1971:196, 209 da Smd.; Pfrommer M. 1990:97; Musche B. 1992:48; Rehm E. 1992:47-52]. ზურგშეზნეილი, ცხოველის თავებით დაბოლოებული სამაჯურების სამ-

შობლოდ ითვლება აქემენიდური ირანი. საყურადღებოა, რომ ამ სახის სამაჯურებს ადგილი არ მოეძებნათ ბერძნულ სამკაულთა რეპერტუარში [Pfrommer M. 1990:99]. ისინი უცხოა სკვითებისთვის (სკვითების სამაჯურების კლასიფიკაციაში [Петренко В. 1978] ზურგშეზნეილი სამაჯური არ ჩანს); არ გავრცელებულა ჩრდილო შავიზღვისპირეთში [Куфтин Б. 1950:38]. საქართველოში ზურგშეზნეილი ცხოველის თავებით შემკული სამაჯურები არსებობას იწყებს ძვ.წ. I ათასწლეულის შუახანებიდან (ვანისა და საირხის აღმოჩენების მიხედვით — ძვ.წ. IV საუკუნის დასაწყისიდან) და დიდი ხნით — ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისამდე იმკვიდრებს თავის ადგილს. [Куфтин Б. 1941:33; Куфтин Б. 1950:38-44; თოლორდავა ვ. 1963:147-149; გაგომიძე იულ. 1964:21-22; Гогибერიძე Н. 2003:11 და შმდ.].

აქემენიდურ ირანში ამ ტიპის სამაჯურები დადასტურებულია სახვითი ხელოვნების ძეგლებზეც: სუზას სასახლის კედლებზე გამოსახულნი არიან მეისრეები სამაჯურებით [Amandry P. 1958:11]; პერსეპოლისის დიდ რელიეფურ ფრიზზე წარმოდგენილია აქემენიდური იმპერიის ხალხთა დელეგაციის ერთი ჯგუფი (ლიდიელები), ხელში ზურგშეზნეილი სამაჯურებით, განკუთვნილი მეფისათვის მისართმევად [Herzfeld E. 1941:270-271, tab. LXXVIII; Amandry P. 1966: 238]. მკვლევართა აზრით, გამოსახულებები მოკლებულია დოკუმენტურობას [Herzfeld E. 1941:273; Amandry P. 1958:15]. აქედან გამომდინარე სამაჯურები არ უკავშირდება კონკრეტულად რომელიმე ხალხს თუ ქვეყანას, არამედ წარმოადგენს ერთგვაროვან, საყოველთაოდ გავრცელებულ აქემენიდური სამკაულის ტიპს.

აქემენიდური სამაჯურების ერთგვაროვნება საკმაოდ ართულებს დამზადების ცენტრების დადგენას. ამ მიმართულებით კვლევა უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს. მნიშვნელოვანი იყო პ. ამანდრის მოსაზრება, რომ საკუთრივ აქემენიდური ირანის ტერიტორიის გარდა აქემენიდური მოდელის მიხედვით სამაჯურები მზადდებოდა ირანის იმპერიის საზღვრებს გარეთაც [Amandry P. 1965 b:585-586]. ამ მოსაზრებამ, ბუნებრივია, გამოიწვია სათანადო ინტერესი [ლორთქიფანიძე ოთ.

1972:18; Лордкиპანიძე О. 1979:95]. უფრო მეტიც, მისი გათვალისწინებით ივარაუდება აქემენიდური მოდელის გამოყენება ძველი კოლხეთის სახელოსნოებში ანუ აქემენიდური ტიპის სამაჯურების დამზადება კოლხეთში [ჭყონია ან. 1996:48; Ćkonja A. 1999:165-167], კერძოდ, ვანში [Lordkipanidze O. 1996:372] და საირხეში [ნადირაძე ჯ. 1990:50]. ამჟამად ჩვენი თვალსაზრისის გამყარების მიზნით მიზანშეწონილია კიდევ ერთხელ ყურადღება გამახვილდეს შემდეგზე:

პირველი. „ოქრომრავალ“ კოლხეთში — ოქროს (ნედლეულის) და ოქრომჭედლობის ძლიერი, განვითარებული სკოლის არსებობის პირობებში რეალურად შესაძლებელი იყო აქემენიდური მოდელის მიხედვით სამაჯურების დამზადება.

მეორე. თავისებურებანი, დადასტურებული ვანის და საირხის სამაჯურებზე, მიუღებელი იქნებოდა ოქრომჭედლობის აქემენიდური სკოლისათვის, რომელიც მკაცრად იცავდა მთელ აქემენიდურ სამყაროში გაბატონებულ კანონიკურ ნორმებს, მაგრამ ბუნებრივი იყო კოლხი ოქრომჭედლებისათვის.

მესამე. ვანის და საირხის სამაჯურები ჩამოსხმულია ერთიანად — მხოლოდ ოქროსგან. მსგავსი ნიმუშები საკმაოდ იშვიათია. ამიტომ ეს მახასიათებელი შეიძლება ჩაითვალოს გარკვეულ ტექნოლოგიურ თავისებურებად. აღსანიშნავია, რომ ასევეა დამზადებული ვანის №11 სამარხში აღმოჩენილი ოქროს სამაჯურები, შემკული ტახის გამოსახულებებით [ლორთქიფანიძე ოთ., ... 1972:224, სურ. 199; ჭყონია ან. 1981:47, სურ.25; Deppert-Lippitz B. 1996:201] (სურ.7). სამაჯურები თარიღდება ძვ.წ V საუკუნით; როგორც ჩანს, ადგილობრივი ოქრომჭედლობის ნიმუშია, მაგრამ ამკარაა საერთო აღმოსავლური ხელოვნების გავლენა. ჩვეულებრივ, სამაჯურები ბიმეტალურია, ანუ საფუძველი (ღერო) სხვა ლითონისაა, უფრო ხშირად — ბრინჯაოსი; ზედაპირი მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარულია ოქროს ან ვერცხლის თხელი ფირფიტით (მაგ. იხ.: [Яковенко Э. 1977:141-142; Петренко В. 1978:56; Булава Л. 1988: 243-244; Deppert-Lippitz B. 1985:156, სურ. 108-110, ტაბ. IXა]. ზოგჯერ ცხოველის თავები დამზადებულია ცალკე და შემდეგ დამაგრებ-

ულია ღეროზე [Amandry P. 1958:19; Артамонов М. 1973:168; Булава Л. 1988:244-245], მაგრამ ეს შედარებით გვიანდელი მოვლენაა (ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევარი — ძვ.წ. III საუკუნე). ვანის და საირხის სამაჯურების მთლიანად მხოლოდ ოქროსგან ჩამოსხმა, ალბათ, განპირობებული იყო ოქროს „სიუხვიტ“ — ძველი კოლხეთის ოქროთი სიმდიდრით. სავარაუდოა, სწორედ ოქროს „სიუხვიტ“ განსაზღვრა ამ ლითონისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულების გამოხატვის შესაძლებლობა; ლითონისადმი, რომელიც დიდი ხანია მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ადამიანთა ყოფასა თუ ცნობიერებაში, გახდა სიმბოლო პატივისა და ღირსების, ძალაუფლებისა და სიმდიდრის.

და ბოლოს, კოლხეთში აღმოჩენილ სამაჯურებზე აქემენიდური ხელოვნების გავლენა არ გამოიხატა მხოლოდ ფორმასა და იკონოგრაფიულ ნიშნებში. აქემენიდურ სამყაროში ამ სახის სამაჯურებს, როგორც ჩანს, მინიჭებული ჰქონდა ინსიგნიას ფუნქცია (მათი გამოსახულებები სუზას და პერსეპოლისის ძეგლებზე შემთხვევით არ არის). საფიქრებელია, მსგავსი შეხედულება ოქროს სამაჯურების დანიშნულებაზე უცხო არ იყო ძველი კოლხეთის საზოგადოების ზოგიერთი წარმომადგენლისათვის, რაც დასტურდება კოლხ წარჩინებულთა სამარხებში ოქროს სამაჯურების არსებობით. მთავარი მაინც ის გარემოებაა, რომ აქემენიდურ თუ აქემენიდური მოდელით დამზადებულ ოქროს სამაჯურებთან ერთად იმავე სამარხებში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა კოლხური ოქრომჭედლობის მაღალმხატვრული ნიმუშები, ადგილობრივ ჩამოყალიბებული დამახასიათებელი ფორმებით და შემკულობის ელემენტებით.

ლიტერატურა:

- გაგოშიძე იულ. 1964:** ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან. თბილისი.
გაგოშიძე იულ. 1981: ქართველი ქალის სამკაული. თბილისი.
თოლორდავა ვ. 1963: მასალები ქართლის სამეფოს ისტორიისათვის ძვ.წ. III-I სს. — მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათ-

ვის. თბილისი, გვ. 137-167.

ლორთქიფანიძე ოთ. 1972: ვანის ნაქალაქარი (გათხრები. ისტორია. პრობლემები). - ვანი. I. თბილისი, გვ. 7-42.

ლორთქიფანიძე ო.თ., ფუთურიძე რ., თოლორაძე ვ., ჭყონია ან. 1972: არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წელს. — ვანი. I. თბილისი, გვ. 198 - 242.

მახარაძე გ., ნერეთელი მ. 2007: საირხე. თბილისი.

ნადირაძე ჯ. 1990: საირხე - საქართველოს უძველესი ქალაქი. თბილისი.

ჭყონია ან. 1981: ოქროს სამკაულები ვანის ნაქალაქარიდან. ვანი. VI. თბილისი.

ჭყონია ან. 2010: ჰერაკლეს კვანძი ოქრომჭედლობაში (კოლხეთი, იბერია). — იბერია-კოლხეთი. №6. თბილისი, გვ. 13-24.

ჭყონია ან. 2011: კოლხურ-სკვითური პარალელები ოქრომჭედლობაში. — იბერია-კოლხეთი. №7. თბილისი, გვ. 85-96.

ხოშტარია ნ., ფუთურიძე ნ., ჭყონია ან. 1972: ვანის ნაქალაქარის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში 1961-1963 წ.წ. ჩატარებული არქეოლოგიური თხრის შედეგები. — ვანი. I. თბ., გვ. 111-134.

Артамонов М. 1973: Сокровища саков. Москва.

Булава Л. 1988: Биметаллический браслет из Прикубанья. - Сов. археология. №2. Мос., с. 243-248.

Гогиберидзе Н. 2003: Браслет и гривны Грузии V-I вв. до н.э. Тбилиси.

Куфтин Б. 1941: Археологические раскопки в Триалети. I. Тбилиси.

Куфтин Б. 1950: Материалы к археологии Колхиды. II. Тбилиси.

Лордкипанидзе О. 1979: Древняя Колхида. Миф и археология. Тбилиси.

Петренко В. 1978: Украшения Скифии VII-III вв. до н.э. - Археология СССР. Свод археологических источников. Выпуск Д 4-5. Москва.

Хоштария Н. 1962: Археологические раскопки в Вани. — კავკასიურ-ახლო აღმოსავლური კრებული. II. თბილისი, გვ. 65-80.

Чкониа А. 1985: Ювелирное искусство Колхиды V IV-II вв. до н.э. (вопросы инноваций). _ Причерноморье в эпоху эллинизма. Материалы III Всесоюзного симпозиума по древней истории Причерноморья. Тбилиси, с. 519-527.

Яковенко Э. 1977: Погребение богатой скифянки на Темир-Горе. - Скифы и сарматы. Киев, с. 140-145.

Amandry P. 1958: Orfèvrerie achéménide. – Antike Kunst. I, 1. Olten, p. 9-23.

Amandry P. 1965a: L'art scythe archaïque. – Archäologischer Anzeiger. Heft 4. Berlin, S. 891-914.

Amandry P. 1965b: Orfèvres grecs à la cour du Grand Roi? – Le rayonnement des civilisations grecque et romaine sur les cultures périphériques. Paris, p. 585-586.

Amandry P. 1966: L'art achéménide. – Mélanges Offerts à K. Michalowski. Warszawa, p. 233-238.

Čkonia A. 1999: À propos des Bracelets en or trouvés à Vani. – La mez Noire zone de contacts. Actes du VII^e Symposium de Vani. Paris, p. 165-167.

Čkonia A. 1999a: Les diadèmes en argent. Traditions et emprunts dans l'orfèvrerie colchidienne. – La mer Noire zone de contacts. Actes du VII^e Symposium de Vani. Paris. p. 159-164.

Čqonia A. 2000: Kolchis und die Hellenistische Koine im Entwicklungskontext der oldschmiedenkunst. – Phasis. Greek and Roman Studies. 2-3. Tbilisi p.68-72.

Deppert-Lippitz B. 1985: Griechischer Goldschmuck. Mainz am Rhein.

Deppert-Lippitz B. 1996: Interrelations between Greek Jewellery of the 6th and 5th Centuries B.C. and Gold Finds from the Black Sea Region. – Sur les traces des Argonautes. Actes du 6^e Symposium de Vani. Paris, p. 195-201.

Herzfeld E. 1941: Iran in the Ancient East. London. New York.

Hoffmann H., Davidson P. 1965: Greek Gold. Jewelry from the Age of Alexander. Mainz am Rhein.

Lordkipanidse O. 1996: Vani - Ein antikes religiöses Zentrum im Lande des Goldenen Vlieses (kolchis). – Jahrbuch des Römisch – Germanischen Zentralmuseums Mainz. 42 Jahrgang 1995, S. 353-401.

Maxwell-Hyslop K. 1971: Western Asiatic Jewellery, ca 3000-612 B.C. London.

Musche B. 1992: Vorderasiatischer Schmuck von der Anfanges bis zur Zeit der Achaemeniden (ca 10 000-330 v.chr.). – Handbuch der Orientalistik. 7.

Pfrommer M. 1990: Untersuchungen zur Chronologie früh-und hochhellenistischen Goldschmucks. - Istanbulischer Forschungen. 37. Tübingen.

Platz-Horster G. 2001: Antiker Goldschmuck. Altes Museum. Eine Auswahl der ausgestellten Werke. Mainz am Rhein.


Rehm E. 1992: Der Schmuck der Achämeniden. Münster.

ილუსტრაციების აღწერილობა:


ოქროს სამაჯურები: სურ. 1-2. ვანი, სამარხი №6. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. **სურ 3.** კერძო კოლექციიდან (ნარმოშობა უცნობია), ბერლინის სახელმწიფო მუზეუმი [Platz –Horster G. 2001: #30]. **სურ 4.** ვუნი. კვიპროსის მუზეუმი [Amandry P. 1958: ტაბ. 12²⁸⁻²⁹]. **სურ 5.** საირხე, სამარხი №8. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. **სურ 6.** ვანი, სამარხი №6. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. **სურ 7.** ვანი, სამარხი №11. საქართველოს ეროვნული მუზეუმი.

I


Chkonia A.




1



2




3




4



5



6



7

გრანატის თვლავის გამოყენება ანტიკური ხანის საქართველოში (ინტერდისციპლინარული კვლევები)

ადამიანის მიერ ფერადი ქვების გამოყენების ისტორია ათასწლეულების სიღრმიდან იწყება. ცნობილია მინერალები, რომლებიც უძველესი დროიდან გამოიყენებოდა საქართველოში და ისინი მოხსენიებულია ისტორიულ წყაროებშიც, მაგრამ მათი უმრავლესობის, განსაკუთრებით კი ძვირფასი ქვების, როგორც საიუველირო საქმეში გამოყენებადი ნედლეულის, საბადოები საქართველოში არ არის. ისინი შემოჰქონდათ სხვა ქვეყნებიდან. მათ შორის არის გრანატის ჯგუფის მინერალებიც.

გრანატის ჯგუფში გაერთიანებულია რთული იზომორფული რიგის მინერალთა საკმაოდ დიდი რაოდენობა საერთო ფორმულით $R_3^{2+}R_2^{3+}[SiO_4]_3$, სადაც $R_3^{2+} = Ca, Mg, Mn, Fe$, ხოლო $R_2^{3+} = Al, Fe, Cr$. ამ ჯგუფმა სახელწოდება მიიღო ლათინური „granatus“-იდან, რაც მარცვლისებრს ნიშნავს, ბრონეულის მარცვლებთან მსგავსების გამო. გრანატებიდან ძვირფას ქვად ითვლება ალმანდინი, პიროპი, ჰესონიტი, დემანტოიდი, სპესარტინი, გროსულარი, უვაროვიტი, ანდრადიტი, მაგრამ ისტორიულად საიუველირო საქმეში ფართოდ გამოიყენებოდა, ძირითადად, ალმანდინი $Fe_3Al_2[SiO_4]_3$, პიროპი $Mg_3Al_2[SiO_4]_3$ და მათი ცვლადი შედგენილობის იზომორფული ნარევი – ალმანდინ-პიროპი $(FeMg)_3Al_2[SiO_4]_3$ და პიროპ-ალმანდინი $(MgFe)_3Al_2[SiO_4]_3$. გრანატების ბუნებრივი ფერი სხვადასხვაგვარია, გარდა ლურჯისა. ალმანდინი წითელი, მოყავისფრო ან მოიისფრო წითელი ფერისაა; პიროპი სისხლისებრ წითელი, ნარინჯისებრ-წითელი; ჰესონიტი ქარვისფერი, თაფლისებრ-ყვითელი; დემანტოიდი მომწვანო-მოყვითალოდან ზურმუხტისფრამდე; სპესარტინი ნარინჯისფერი, მოყავისფრო-მონითალო, მოვარდისფრო; გროსულარი მწვანე, მომწვანო-ნაცრისფერი, მოყვითალო-ნარინჯისფერი; უვაროვიტი

ზურმუხტისებრ მწვანე; ანდრადიტი მომწვანო. გრანატების ელვარება მინისებრია, ზოგჯერ ალმასისებრთან მიახლოებული, სიმაგრე 7 - 7,5, სიმკვრივე 3,4 - 4,3. ისინი ქიმიურად შედარებით მდგრადი მინერალებია, გამოფიტვის პროცესს ადვილად არ ექვემდებარებიან. წინათ გრანატებს ამუშავებდნენ კაბოშონის ფორმით, ამჟამად აწახნაგებენ საფეხურისებრ ან ზემოთ ბრილიანტისებრ და ქვემოთ საფეხურისებრ.

მინერალთა თავისებურებების აღწერასთან ერთად მეტად მნიშვნელოვანია მათი ტერმინოლოგიის საკითხების დაზუსტებაც, რადგან მინერალთა სახელწოდებები ხშირად განიცდიდნენ სახეცვლას, ევოლუციას. ზოგჯერ ერთსა და იმავე ტერმინში სულ სხვადასხვა ქვა იგულისხმებოდა. ძველი მინერალოგიური ტერმინები უხვად გვხვდება როგორც სპეციალურ, წმინდა საბუნებისმეტყველო ტრექტატებში, ისე სამედიცინო და ისტორიულ-ლიტერატურულ წყაროებში და მზითვის წიგნებში. ძველ წყაროებში გამოყენებული ძვირფასი ქვების ზოგიერთი სახელწოდება დღეს სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე აღარ გვხვდება ან სხვა შინაარსით იხმარება, თუმცა საუბრისას მაინც ხშირად გამოიყენება მცდარი ტერმინები. შესაბამისად, ტერმინოლოგიის საკითხს არა მარტო საბუნებისმეტყველო, არამედ წმინდა ენობრივი მნიშვნელობაც ენიჭება. სახელწოდებები ალმანდინი და პიროპი შედარებით ახალია.

რაც შეეხება გრანატის ძველ სახელწოდებებს, იგი ანთრაკის, იგივე კარბუნკულის სახელით იყო ცნობილი. შეცდომით მას იაკინთსაც უწოდებდნენ. დღეს გრანატს საზოგადოება შეცდომით "ძონის" სახელითაც იცნობს, რაც სავარაუდოდ, არასწორი თარგმანის შედეგია. თუმცა ჯერ კიდევ სულხან-საბა ორბელიანი განსაზღვრავდა, რომ „ძონი“

– „მარჯანია“.

არქეოლოგიური მასალები ისტორიულ-არქეოლოგიური თვალსაზრისით დეტალურადაა შესწავლილი და მათი კვლევის შედეგები არაერთ ფუნდამენტურ ნაშრომშია ასახული, რასაც ვერ ვიტყვით მინერალოგიური თვალსაზრისით მათ სამეცნიერო კვლევებზე. არქეოლოგიურ მასალაში გამოყენებული ზოგიერთი საიუველირო ქვა შემოტანილია, მათ შორის გრანატის ჯგუფის მინერალებიც, რომლებიც საქართველოში მართალია გვხვდება სხვადასხვა ტიპის ქანებში, მაგრამ მათი ხარისხი არანაირად არ აკმაყოფილებს საიუველირო საქმეში გამოსაყენებელი ნედლეულის მოთხოვნებს.

ძვირფას ქვებს საიუველირო საქმეში გამოყენებასთან ერთად სამკურნალოდაც იყენებენ. ბუნებრივი ქვების ენერგეტიკული ველის (ენერგო სტრუქტურული და ენერგო ტევადობა) ადამიანის სამკურნალოდ გამოყენება დღეს საკმაოდ ფართოდ ხდება. მინერალთა სამკურნალო თვისებების შესახებ, როგორც ჩანს, კარგად იცოდნენ ქართველებმა. უძველეს ხელნაწერებში (მეათე საუკუნის ხელნაწერი „თუალთაი“) ჩვენი წინაპრები [კვიპრელი ე. 1979:127-175] აღწერდნენ, რომ პატიოსანი ქვები გამოსცემენ ბრწყინვალეობას, რომელსაც სამკურნალო თვისებებიც აქვს. მრავალ ქვეყანაში არსებობს ქვით მკურნალობის ცენტრები. ბოლო წლებში საქართველოშიც გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები ამ მიმართულებით. ზ.ქოქრაშვილის [ქოქრაშვილი ზ. 2008:141] მიერ გამოკვლეულია უძველესი ხელნაწერები პატიოსანი ქვებისა და განსაკუთრებით, ბიბლიური ქვების ენერგეტიკის და მათი სამკურნალო თვისებების შესახებ, მანვე დაიწყო ბუნებრივი ქვებით მკურნალობა საქართველოში.

პატიოსან ქვათა ენერგეტიკის საკითხებს მეცნიერულ დონეზე იკვლევს ნოდარ მამისაშვილი, რომელსაც საინტერესო და ხშირად ორიგინალური მონაცემები აქვს, თუმცა, სამწუხაროდ, მათი გამოქვეყნება დღემდე ვერ მოხერხდა.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მინერალოგიური მასალის ისტორიულ-არქეოლოგიურ შესწავლასთან ერთად აუცილებელია მათი თანამედროვე გეოლოგიური მეთოდებით შესწავლა, რისი შედეგებიც ხშირად არამარტო გვეხმარება, არამედ გადამწყვეტიც ხდება და წარმატებით აგვარებს არქეოლოგების წინაშე მდგარ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: მინერალთა რაობა, მათი ნედლეულის წყარო, მოპოვების და გასაღების გეოგრაფია, ამა თუ იმ ნივთის და ნედლეულის ისტორიული წარმომავლობა და კუთვნილება, მოპოვებისა და დამუშავების ტექნიკურ-ტექნოლოგიური საკითხები.

არქეოლოგიური მასალის შესწავლისას გეოლოგიურ-მინერალოგიური მონაცემების გამოყენებას ჩვენთან დიდი ხნის ისტორია არ აქვს. ევროპასა და ამერიკაში არქეოლოგიური მასალის შესწავლაში მინერალოგიურ-პეტროგრაფიული მეთოდების გამოყენება გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან იწყება, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოზე. არქეოლოგიური ძვირფასი ქვების შესწავლას ფრაგმენტული და არასისტემატური ხასიათი ჰქონდა. 1991 წელს გამოვიდა თ. მგელიაშვილის მონოგრაფია „საქართველოს გეოარქეოლოგია“ [მგელიაშვილი თ. 1991:183], სადაც საქართველოში გავრცელებული აქატქალცედონის ჯგუფის მინერალების დახასიათებასთან ერთად დიდი ადგილი ეთმობა ლექსიკოლოგიურ-ტერმინოლოგიურ და ტოპონიმიკურ საკითხებს, განსაკუთრებით აღსანიშნავია იდენტიფიცირებული და დაზუსტებული რიგი ძვირფასი და სანახელავო ქვების სახელწოდება. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ვ. ზუხბაიას და ნ. ფოფორაძის ნაშრომი „ძვირფასი და სანახელავო ქვები“ [ზუხბაია ვ., ... 1998:400], სადაც მინერალთა საერთო საკითხებთან ერთად აღწერილია საქართველოში გავრცელებული საიუველირო და სანახელავო ქვები და მათი გამოყენება არქეოლოგიურ ნაკეთობებში.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად თუ შემთხვევით მოპოვებული სამკაული ხშირად

არის შემკული ძვირფასი თუ სანახელავო ქვებით. შესამკობ მასალად გამოყენებულია როგორც ადგილობრივი ნედლეული: ამეთვისტო, სარდიონი, სარდერი, ქალცედონი, მთის ბროლი, აქატი, ონიქსი, გიშერი, ასევე სხვა რეგიონებიდან შემოტანილი მინერალები: გრანატები (ალმანდინი, პიროპი), აქვამარინი, ბივრილი, ზურმუხტი, საფირონი, ლალი, ალმასი, ქარვა, მარჯანი, სადაფი, ლაჟვარდი, მალაქიტი, ნეფრიტი და სხვ.

ძველ დროში გრანატის ქვას სამეფოდ თვლიდნენ. მის ზედაპირზე კვეთდნენ მბრძანებლის პორტრეტს. საქართველოში გრანატის გამოყენება ჯერ კიდევ შუა ბრინჯაოს ხანიდან დასტურდება. ყველაზე უხვად მას იყენებდნენ ანტიკურ პერიოდში, რასაც ადასტურებს ჩვენამდე მოღწეული არქეოლოგიური მასალა. ასეთი მასალა აღმოჩენილია საქართველოს ბევრ კუთხეში.

გრანატის გამოყენების შესახებ მნიშვნელოვან მასალებს იძლევა არქეოლოგი ბ. კუფტინი [Куфтин Б. 1948:54], რომელიც აღწერს წალკაში ნაპოვნ გრანატებით შემკულ ქინძისთავებს. ცნობილია გრანატის გამოყენება სამკაულებზე ვანის ნაქალაქარიდან [ჭყონია ან. 1982:73,76, კატ. №91,100], კლდეეთის სამაროვნიდან [ლომთათიძე გ. 1957:38,39,68], „დიდი მცხეთის“ ტერიტორიიდან [აფაქიძე ან., ... 1955:255], ურეკიდან [ზუხბაია ვ., ... 1998:400], საჩხერიდან [ნადირაძე ჯ. 1975:48]. მათი დიდი ნაწილი ინახება ისეთ მნიშვნელოვან სიძველეთსაცავებში, როგორებიცაა: საქართველოს ეროვნული მუზეუმი, დიდი მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალი და სხვ.

1902 წელს ექ. თაყაიშვილს მცხეთის მიდამოებში ნავთობსადენთან უპოვია ანტიკური პერიოდის გრანატის მძივები [Такаишвили Е. 1904:79-89]. პროფ. ალ. ზახაროვს აღწერილი აქვს სამთავროზე და ზემო ავჭალაში ნაპოვნი ალმანდინის თორმეტი გემა, რომლებიც საქართველოს ეროვნულ მუზეუმშია დაცული [Захаров А. 1928:54]. გ. ლემლეინს სამთავროს მძივებს შორის აღწერილი აქვს ალმანდინის

მძივები, რომლებიც თარიღდება უკანასკნელი საუკუნეებით ჩვენს ნელთალრიცხვამდე და ჩვენი ნელთალრიცხვის პირველი საუკუნეებით VI საუკუნემდე [ლემლეინი გ. 1945:54]. არმაზისხევის არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ძვირფასი ქვებიდან გემებისათვის ყველაზე ხშირად ალმანდინია გამოყენებული, მაგრამ იბერიელი ოსტატების ნახელავ გემათა შორის გვხვდება პიროპის ინტალიოც [ზუხბაია ვ., ... 1998:400].

ჩვენი კვლევებით დაზუსტებულია არქეოლოგიურ ნაკეთობებში გამოყენებული გრანატის სახესხვაობები. აღმოჩნდა რომ ადრე აღწერილი ალმანდინი და პიროპი ხშირად ალმანდინ—პიროპის ან პიროპ—ალმანდინის რიგითაა წარმოდგენილი.

საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიურ მასალასთან ერთად დაფიქსირებულია ქვის დამამუშავებელი სახელოსნოები. 1974 წელს მარტვილის რაიონის სოფ. მუხურჩასთან არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად აღმოჩენილია სახელოსნო და დასამუშავებლად არსებული ქვის მასალის ნედლეული.

დღეისათვის საქართველოს ტერიტორიაზე გრანატის თვლები ყველაზე მრავლადაა აღმოჩენილი დიდი მცხეთის ტერიტორიაზე, რომელთა გარკვეული ნაწილის მინერალოგიური თავისებურებების აღწერა მოცემულია ქვემოთ.

ისტორიული დიდი მცხეთის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრებისას ხელოვნების არაერთი ნიმუშია აღმოჩენილი. ისტორიულ-არქეოლოგიურად და ხელოვნებათმცოდნეობის თვალსაზრისით ისინი საფუძვლიანადაა შესწავლილი, რასაც ვერ ვიტყვით ამ ნივთების ლითონური ნაწილის ქიმიურ-ტექნოლოგიური ანალიზის და მათი შემამკობელი ძვირფასი ქვების მინერალოგიის შესახებ.

ოქროს ნივთების და მათი შემამკობელი ძვირფასი და სანახელავო ქვების გარკვეული რაოდენობა, რომლებიც ინახება დიდი მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალში, ვიზუალური და ოპტიკური კვლევების გარდა შესწავლილია

მიკრორენტგენოსპექტრული ანალიზით [გაჩეჩილაძე ხ. 2009:72,74]. შესწავლილ ნაკეთობებს შორის მრავალი საინტერესო ნივთია. არის მწერის ფორმის გრანატისთვლიანი საყურე (ინვ. №976-38), რომელიც შედგება ოქროს მავთულის გახსნილი რგოლისგან და მწერის ფორმის ორი ნაწილისგან (სურ. 1) სამთავროდან. ზედა თვალბუდე ანუ მწერის თავი შედგება საგები ფირფიტისგან, რომელსაც მირჩილული აქვს სამკუთხედის ფორმის თვალბუდე (სიმაღლე 1,9–2,1 მმ, სისქე 0,25–0,31 მმ), სადაც მოთავსებულია გრანატის ბრტყელზედაპირიანი ფირფიტა (სისქე 1,1 მმ). მწერის ე.წ. ტანი შედგება ძირის თხელი ოქროს ფირფიტისგან, რომელსაც მირჩილული აქვს ოქროს თვალბუდეები გრანატის და „პასტის“ ჩასასმელად; გვერდებში ოვალის ფორმის ორი ბუდეა, რომლებშიც მოთავსებულია გრანატის ბრტყელზედაპირიანი თხელი ფირფიტები. გრანატები გამჭვირვალეა, შედარებით უდეფექტო, მუქი ყავისფერ–მონითალო ფერის, მათი გარდატეხის მაჩვენებელია 1,787, გვხვდება რკინის და მაგნიუმის იზომორფული ნარევი, ისეთი რაოდენობით, რაც ალმანდინ–პიროპის რიგს შეესაბამება.

გრანატისთვლიანი ბეჭდის (ინვ. №4861) რგოლი, დაღარული, სქელი ოქროს მავთულითაა წარმოდგენილი (სურ. 2). თვალბუდე თითქმის მრგვალია და მისი სიმაღლე 2,0 მმ–ია. თვალბუდის ქვედა მხარე დაფარულია ოქროს ფირფიტით. გრანატი კაბოშონის ფორმისაა, 3,5 მმ სიმაღლით. გრანატის გარდატეხის მაჩვენებელია 1,725, გვხვდება მაგნიუმისა და რკინის იზომორფული ნარევი, ისეთი რაოდენობით, რაც პიროპ–ალმანდინის რიგს შეესაბამება.

ლილები ერთყუნნიანი (ინვ. №626-9) მრგვალი ფორმისაა, 5,2–5,5 მმ დიამეტრით. შემკულია გრანატით (სურ. 3) და მინისებური პასტით. თვლები ყრუ ჩასმითაა ჩამაგრებული. მრგვალი მავთული ყუნნის სახითაა მირჩილული თვალბუდის ოქროს ფირფიტაზე. გრანატები ალმანდინ–პიროპის რიგისაა. გარდატეხის მაჩვენებელია 1,778. გრანა-

ტისთვლიანი და პასტისთვლიანი ლილების ოქროს ქიმიური შედგენილობა ერთნაირია. ლილები დამზადებულია თვითნაბადი ოქროს შემადგენლობის მსგავსი ნედლეულისგან.

სწორკუთხოვანი ბალთები (სამარხი № 605) ოქროს ბრტყელი თხელი ფირფიტებითაა წარმოდგენილი (სურ. 4), რომლებიც გამოტვიფრითაა დამზადებული. ბალთა ცენტრში გრანატის თვლითაა შემკული. ის ოვალური ან წრიული ფორმის თვალბუდეშია მოთავსებული. გრანატს კაბოშონის ფორმა აქვს, იგი გამჭვირვალეა და ალმანდინ–პიროპის რიგისაა. თვლები საკმაოდ სრულყოფილადაა დამუშავებული და გაპრიალებული. მათში ზოგჯერ ბუნებრივი ჩანართები ჩანს. ოქროს ფირფიტები საკმაოდ მაღალი სინჯის ოქროსგან არის დამზადებული.

ოქროს წყვილი საყურის (ინვ. № 01:1:401) რგოლი პირგახსნილია, რომელზეც მირჩილულია ბოლოგამსხვილებული ღერაკი (სურ. 5). ერთი საყურის ღერაკზე აცმულია გახვრეტილი გრანატის თვლები და მცირე ზომის მარგალიტი, რომლებიც მეორე საყურეზე არ არის შემორჩენილი.

გრანატის სახესხვაობებიდან ალმანდინ–პიროპის რიგი რიცხობრივად წარბობს და გვხვდება თითქმის ყველა ტიპის სამკაულზე: ბეჭდებზე, საყურეებზე, სამაჯურებზე, ყელსაკიდებზე, დიადემებზე. და ეს, ალბათ, არცაა გასაკვირი, ვინაიდან აღნიშნული ნივთების ხილვისას ვრწმუნდებით, რომ მათი ოქროსთან შეხამება ფრიად ეფექტურია.

ოქროს წყვილი საყურე (ინვ. №01.1.317) რამდენიმე ნაწილისგან შედგება (სურ. 6). ყურსაკიდი ნაწილი მოგრძო მავთულია, რომლის ქვედა ბოლო ჩამაგრებულია მეორე ნაწილში. ეს უკანასკნელი წარმოდგენილია წრიული ფართო ბუდით. ბუდეში ზის ლიტერატურაში [გაჩეჩილაძე ხ. 2009:101, 102] ალმანდინად აღწერილი თვალი. ეს ბუდე სამსჭვალის მეშვეობით ებმის მეორე, შედარებით ოვალურ თვალბუდეს, სადაც ასევე ალმანდინად მოხსენიებული თვალია ჩამაგრებული. ეს თვლები, ჩვენი მონაცემებით,

ალმანდინ-პიროპს შეესაბამება.

ოქროს საყურე (ინვ. №4554, სამარხი №6) რამდენიმე ნაწილისგან შედგება (სურ. 7). ყურსაკიდი ნაწილი მირჩილულია ნახევარმთვარისებრი ფორმის თვალბუდეზე, რომელშიც ზის ალმანდინის [გაჩეჩილაძე ხ. 2009:102, 103] თვალი. თვალბუდე სამსჭვალე-ბით უკავშირდება ოთხ ანალოგიურ ბუდეს. ბუდეები გრეხილი მავთულებით ბოლოვდება. ერთ-ერთ მათგანზე ჩამოკიდებულია წრიული ბუდე, შემკული ალმანდინის თვლით. დანარჩენი ორი მავთული თავისუფალია.

ოქროს წყვილი საყურე (სურ. 8) შედგება სამი ნაწილისგან. ჩამოსაკიდი ნაწილი ორგან მოხრილი მავთულია. იგი მირჩილულია შუა ნაწილზე. ეს უკანასკნელი წრიული თვალბუდეა, რომელშიც ალმანდინის თვალია ჩამაგრებული. მესამე ნაწილი გრძელი მავთულია და მასზე ბურთულოვან-მარცვლოვანი კუნწულაა ჩამოკიდებული. ეს მავთული მოძრავი სახსრის მეშვეობით ებმის შუა ნაწილს.

საქართველოში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი გრანატის ჯგუფის მინერალების ვიზუალურმა დათვალიერებამ და ფიზიკურ-ქიმიური თვისებების შედარებამ საქართველოში მოპოვებულ გრანატის ჯგუფის მინერალებთან, თვალნათლივ დაგვანახა, რომ ისინი რადიკალურად არიან განსხვავებული, რის საფუძველზეც სამართლიანად ვთვლით, რომ საქართველოს სამაროვნებში აღმოჩენილი გრანატები შემოტანილია.

ლიტერატურა:

აფაქიძე ან., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ალ., ლომთათიძე გ. 1955: მცხეთა, ტ. 1, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, თბ., გვ. 27-134.
გაჩეჩილაძე ხ., 2009: საქართველოს თვითნაბადი ლითონების და მათგან დამზადებული ნაკეთობების ქიმიური შედგენილობის თავისებურებანი, თბ., გვ. 71-108.
ზუხბაია ვ., ფოფორაძე ნ. 1998: ძვირფასი და სანახელავო ქვები, თბ.
კვიპრელი ე. 1979: შატბერდის კრებული, „თუ-ალთაი“, თბ., გვ. 127-175.
ლემლინი გ. 1945: სამთავროს სამაროვანის ქვის

მძივები, თბ.

ლომთათიძე გ. 1957: კლდეეთის სამაროვანი, თბ.
მგელიაშვილი თ. 1991: საქართველოს გეოარქეოლოგია, თბ.

ნადირაძე ჯ. 1975: ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ.

ფოფორაძე ნ., ბიბილური თ., გაჩეჩილაძე ხ., ინანიშვილი გ., ჟღენტი ნ. 2002: დიდი მცხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური ოქროს ქიმიური შედგენილობა, მეცნიერება და ტექნოლოგიები, №10-12, თბ., გვ. 144-148.

ქოქრაშვილი ზ. 2008: ბიბლიურ პატიოსან ქვათა და ეტლთა შესახებ (უძველესი ქართული ხელნაწერების მიხედვით), თბ.

ჭყონია ან. 1982: ოქროს სამკაულები ვანის ნაქალაქარიდან, ვანი VI. თბ., გვ. 73-76.

Захаров А. 1928: Геммы Государственного Исторического Музея, М., 54 ст.


Куртин Б. 1948: Археологические раскопки 1947 года в Цалкинском районе, Тб., с. 54.

Такашвили Е. 1904: Краткий отчет о раскопках, произведенных по поручению Императорской археологической комиссии летом 1902 г. близ станции Мцхет, – «Известия Кавказского отделения Императорского Московского Археологического общества», вып. I, Тифлис, с. 79-89.

ილუსტრაციების აღწერილობა:

ტაბ. I – 1-8. ქ. მცხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი გრანატის ჯგუფის თვლებით შემკული არტეფაქტები.

I



ფაუნის ოსტეოლოგიური ნაშთები არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით

(ინტერდიციპლინარული კვლევები)

საქართველოს ბუნება ძალიან მრავალფეროვანია. ამიტომ საქართველოს ხერხემლიანთა ფაუნაც ერთგვაროვანი არ არის. საქართველოს ტერიტორიისათვის მთაგორიანი ლანდშაფტია დამახასიათებელი. ამ თვალსაზრისით ის წარმოადგენს კლასიკურ მაგალითს ისეთი ქვეყნებისა, რომლებშიც მაღლივი ზონალობაა განვითარებული. თუმცა ბარიც, რომელიც დიდსა და მცირე კავკასიონის მთათა სისტემებს შორისაა მოქცეული, ასევე საინტერესო სურათს გვიჩვენებს. ბარში მობინადრე დაბლობისა და სტეპისთვის დამახასიათებელ ცხოველთა სამყარო არანაკლებ მდიდარი და მრავალფეროვანია. ამგვარად, ზოოგეოგრაფიული თვალსაზრისით საქართველოს დარაიონება, მხოლოდ მისი ტერიტორიის გეომორფოლოგიური აგებულების შესწავლის შემდეგაა შესაძლებელი, რომელიც კლიმატურ-ლანდშაფტურ ნაირგვარობას განაპირობებს.

საქართველოს დასავლეთი და აღმოსავლეთი ნაწილი, კლიმატურ-ლანდშაფტური პირობების თავისებურებათა მიხედვით მკვეთრად განსხვავდება, რისი მიზეზიც ბუნებრივი ბარიერი – ლიხის ანუ სურამის ქედია. დასავლეთ საქართველოსათვის ტენიანი ჰავაა დამახასიათებელი და შედარებით უფრო ნოტიო ბიოტოპებს ვხვდებით, ხოლო აღმოსავლეთი საქართველოს ჰავა მშრალია, არიდული. დასავლეთ საქართველოში ნოტიო ჰავის არსებობა შავი ზღვის სიახლოვეთაა გამოწვეული, მაშინ, როდესაც აღმოსავლეთ საქართველო აღმოსავლეთის მხრიდან ღიაა და მასზე გავლენას ახდენს ირანის ფაუნა, რომელთანაც ჩვენს ფაუნას ექვესამდე საერთო ხერხემლიანთა სახეობა აქვს. მნიშვნელოვანია მთათაშორისი ქვაბულის არსებობაც, რომელიც ჩრდილოეთიდან

და სამხრეთიდან დიდი და მცირე კავკასიონის მძლავრი მთათა სისტემებითაა შემოზღუდული, რომელიც აგრეთვე ფაუნის მრავალფეროვნებას განაპირობებს.

ამგვარად, ზემოთჩამოთვლილ გეომორფოლოგიურ გარემოებათა გავლენით დასავლეთ საქართველო შავი ზღვით დაკავშირებულია ხმელთაშუაზღვის (სამხრეთ ევროპა) ზოოგეოგრაფიულ პროვინციასთან და ამ რეგიონის ფაუნისტური კომპონენტების გავლენას განიცდის. ხოლო აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში აღმოსავლეთის მხრიდან გადმოდიდონენ შუა და წინა აზიური ფაუნისტური ელემენტები. სამხრეთ საქართველოში კი, განსაკუთრებით მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდა წინააზიური ფაუნისტური კომპონენტები ირანისა და მცირე აზიის ფაუნებიდან. მცირე კავკასიონის ტყის საფარი უძველეს დროშივე შემცირებულა, ამ მიზეზით, ტყე მხოლოდ მდინარის ხეობებში შემორჩა. დასავლეთ საქართველოს ლანდშაფტთა უმეტესობა ტენიანი, ხშირად ჭაობიანია. ჭაობიანი ბიოტოპები დამახასიათებელი იყო კოლხეთის დაბლობისათვის. დასავლეთ საქართველოს უმეტესი ტერიტორიები, სადაც საშუალოდ მთიანი რელიეფია (იმერეთი, სამეგრელო, აფხაზეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი, აჭარა), ჩვენს ეპოქაშიც კი ტყეებითაა დაფარული.

როგორც უკვე ითქვა, აღმოსავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელია მეტნაკლებად არიდული ლანდშაფტებისა და ღია სივრცეების არსებობა, რომელთა სიმშრალეც მათულობს დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. აღმოსავლეთ საქართველოს უკიდურესი მხარე კახეთია. მისი რეგიონები - ელდარის ველი, გარეჯის უდაბნო, გარდაბანი, ივრისა და ალაზნის შუამდინარეთი -

განსაკუთრებული სიმშრალით ხასიათდება. კლიმატისა და ლანდშაფტის შედარებითი სიმშრალე კავკასიონის აღმოსავლეთ ნაწილსაც ახასიათებს, რომელიც შესამჩნევად განსხვავდება კავკასიონის დასავლეთი და ცენტრალური ნაწილებისაგან უფრო მშრალი ჰავით. ამ მიზეზითაა, რომ დიდი კავკასიონის ქედის აღმოსავლეთი ნაწილი ტყის საფარით შედარებით ნაკლებად ინტენსიურადაა დაფარული, ვიდრე მისი დასავლეთი ნაწილი, რომელშიც უხვად იზრდება თელისა და რცხილის ტყეები, ხოლო უფრო ზევით წინვოვანი ტყეები.

საქართველოსა და მთელი კავკასიის ტერიტორიის ერთ-ერთი თავისებურება ენდემიზმის მაღალი ხარისხია (ენდემურია ფაუნის ის სახეობები, რომლებიც მხოლოდ მოცემულ ტერიტორიაზე ბინადრობენ და სხვაგან არსად არ გვხვდება). ფაუნის ენდემიზმი კავკასიონის მთავარ ქედზე მობინადრე ხერხემლიანებისათვისაა დამახასიათებელი. ეს უკანასკნელი იმით აიხსნება, რომ გეოლოგიურ წარსულში (ოლიგოცენის ბოლოსა და მიოცენში) სამხრეთ კავკასიის ტერიტორიის მთათაშორისი ქვაბული და ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორია ზღვით იყო დაფარული. იმ დროს კავკასიონის ქედი კუნძულს ან არქიპელაგს წარმოადგენდა, რამაც გამოიწვია იმდროინდელი ფაუნის ენდემური განვითარება და იმ ავტოქტონურ ცხოველთა კომპლექსის ჩამოყალიბება, რომლებიც დღეს კავკასიონის მაღალმთიან ზოლში ბინადრობენ. ამასთანავე, ეს მოვლენა არამხოლოდ ძუძუმწოვრებს, არამედ ზოგიერთ ფრინველს, ქვეწარმავალსა და არახერხემლიანსაც შეეხო. კავკასიონის მაღალმთიანი ზონისათვის დამახასიათებელი ენდემური ცხოველები არიან: ჯიხვი, არჩვი, პრომეთეს მემინდვრია, თოვლის მემინდვრები, კავკასიური როჭო, კავკასიური შურთხი და ზოგიერთი სხვა. ჩვენი დროისთვისაც კი კავკასიონი უნიკალური ენდემურობით ხასიათდება.

დიდი კავკასიონის ქედისაგან განსხვავებით, მცირე კავკასიონის მთათა სისტემა თავისი ბუნებრივი ლანდშაფტით მთის სტეპს წარმოადგენს. ამ რეგიონის ფაუნაში ზოგიერთი წინააზიური წარმოშობის ელემენტი შეინიშნება. ამგვარად, თუ დიდი კავკასიონის ფაუნა თავისი უმთავრესი ნიშნებით ენდემურია, მცირე კავკასიონი ზოოგეოგრაფიულადაც და ფაუნის მიხედვითაც, წინა აზიური ზოოგეოგრაფიული პროვინციის ნაწილს წარმოადგენს. დიდი კავკასიონის ენდემური ფაუნიდან მცირე კავკასიონზე გვხვდება მხოლოდ ორი ენდემური ფორმა: კავკასიური როჭო და პრომეთეს მემინდვრია. შესაძლოა, რომ ისინი მცირე კავკასიონის მთათა სისტემაზე, პლეისტოცენური გამყინვარების დროს, ლიხის ქედის გავლით მოხვდნენ.

ლანდშაფტური მრავალფეროვნების გამო საქართველოს ტერიტორია, ოდითგანვე დასახლებული იყო მრავალი, სხვადასხვა სახეობის ველური ცხოველით, რომლებზეც წარმატებით ნადირობდნენ.

საქართველოში არსებულ არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილი ოსტეოლოგიური ნაშთების საფუძველზე დეტალურად შევისწავლეთ ცხოველთა კომპლექსების შედგენილობა, რომლებიც სხვადასხვა რეგიონისთვის იყო დამახასიათებელი (კვლევის შედეგები იხ. [Бендукидзе О. 1979:5-101]).

გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ თუმცა ჰოლოცენური ფაუნა თავისი შედგენილობით საკმაოდ მსგავსი იყო თანამედროვე ფაუნისა, წარსულში ის შეიცავდა მთელ რიგ ძუძუმწოვრებს, რომლებიც დღესდღეობით აღარ არსებობენ. ამ გადაშენებულ ცხოველთა შორისაა: თახვი, მაჩვზღარბა, სამურავი, ზოლებიანი აფთარი, ჯიქი, კანჯარი, ველური ცხენი ანუ ტარპანი, ცხენირემა ანუ ლოსი, დიდი ირემი, რომელიც განსხვავდება თანამედროვე კავკასიური ირმისაგან, ველური ცხვარი ანუ აზიური მუფლონი, ქურციკი, კავკასიური დომბა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ თანამედროვე ძუძუმწოვარს, თავის დღევანდელ გავრცელების არეალთან შედარებით განსხვავებული, უფრო ფართო გავრცელების არეალი ჰქონდა. მაგალითად,

პლეისტოცენის ბოლოს, აფხაზეთის ჯიხვი ბინადრობდა ზემო იმერეთშიც, ხოლო ველური ცხვარი დიდ კავკასიონზეც გვხვდებოდა. ყველა ამ ცხოველს პლეისტოცენის ფაუნის რელიქტებად ვთვლიდით [იხ. Бендукидзе О. 1979:88-90].

როგორც არქეოლოგიური მასალა გვიჩვენებს, საქართველოს ტერიტორია უძველესი დროიდან იყო დასახლებული, ამიტომ ძუძუმწოვართა ფაუნამ ადამიანის უდიდესი ზენოლა განიცადა. დაახლოებით, მეზოლითის ბოლოსა და ნეოლითის დასაწყისში უძველესი ადამიანის პოპულაცია მკვეთრი გაიზარდა, რამაც ველურ ცხოველთა რიცხოვნების შემცირება გამოიწვია. მოხდა ე.წ. ეკოლოგიური კრიზისი, რომელმაც ზოგიერთი რეგიონის გარდა (მაგ.: ზემო იმერეთი), მთელი საქართველოს ტერიტორია მოიცვა. დამიანი იძულებული გახდა გადასულიყო მეურნეობის ახალ ფორმაზე და ცხოველები მოიშინაურა. უკვე ნეოლითში საქართველოს ტერიტორიაზე ჩნდება ფაქტიურად მთელი კომპლექსი შინაური ცხოველებისა, გარდა შინაური ცხენისა. ის კავკასიაში და მომიჯნავე ტერიტორიებზე საკმაოდ გვიან, დაახლოებით ძვ.წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარში გაჩნდა. ამის დასტურია მაგალითად, ცხენის ნაშთების გამოვლენა ჯინისისა და საფარ-ხარაბას არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილ ოსტეოლოგიურ მასალაში. განსაკუთრებით ძლიერი აღმოჩნდა გვიანი ჰოლოცენის ხანაში ადამიანის ზეგავლენა საქართველოს ტერიტორიის ლანდშაფტსა და ცხოველთა სამყაროზე. სავარაუდოდ, გვიანი ჰოლოცენის ეპოქაში დაბლობისა და მთისწინა ზოლის ტყის მასივების მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდა [იხ. Джанелидзе Ч. 1973:9].

მდ. მტკვრის ხეობის ტერასების დანალექებში ხის მტვრის რაოდენობრივი წილი დასაწყისიდან გვიანი ჰოლოცენის ბოლო პერიოდისათვის თანდათან იკლებს, რაც დაკავშირებულია აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ ტერიტორიებზე სოფლის მეურნე-

ობის განვითარებასთან [გოგიჩაიშვილი ლ. 1971:154-156].

ღია სივრცეების წარმოქმნამ ბევრი ტყის ტიპური ცხოველის რაოდენობის შემცირება და მდელის ლანდშაფტზე მობინადრე ხერხემლიანების ფართო განსახლება გამოიწვია. ასეთებია: მცირეაზიური ომანა, რუხი ომანა, ველის მემინდვრია, სტეპის თაგვი, კურდღელი და სხვა [Верещагин Н. 1959:545-557].

გვიანი ჰოლოცენის ეპოქის დასაწყისში უნდა გადაშენებულიყო ველური ცხენი, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული მინათ-მოქმედთა მიერ შედარებით ინტენსიურად ათვისებულ აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობში. ამავე ხანაში უნდა გადაშენებულიყო ველური ცხვარი, რომელიც გამყინვარების შემდგომ პერიოდში, სამხრეთ კავკასიის თითქმის ყველა ზეგანზე ბინადრობდა. იგივე შეიძლება ითქვას ნიამორის შესახებაც. გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალის მიხედვით წარსულში *Capra aegagrus*-ს გაცილებით უფრო ფართო არეალი ეკავა, ვიდრე თანამედროვე ეპოქაში და სავარაუდოდ, მთელი კავკასიის მთიანეთი მისი გავრცელების არეალს წარმოადგენდა. იგი დღეისათვის მხოლოდ დიდი და მცირე კავკასიონის ცალკეულ უბნებში ბინადრობს. ადამიანის ზეგავლენით კერძოდ, ნადირობის შედეგად ფაუნის არეალი თანდათან დავიწროვდა.

მესაქონლეობა. მესაქონლეობა საქართველოს მეურნეობის უძველესი დარგია. ადგილობრივმა ადამიანმა თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ამ სფეროში მეურნეობის მრავალი ტრადიციული სახე და სისტემა შექმნა, რომლებიც თავისებურებით ხასიათდება, რაც საქართველოს თავისებური ბუნებრივი პირობებით იყო განპირობებული, პირველ რიგში მკვეთრად გამოკვეთილი ვერტიკალური ზონალობა იგულისხმება. შეგვიძლია, ვიმსჯელოთ საქართველოს ტერიტორიაზე მესაქონლეობის საწყისი ფორმების ჩამოყალიბების შესახებ, რომელიც არქეოლოგიური მასალის საფუძველზე დგინდება, და რომლის მიხედვითაც

მიმთვისებლური მეურნეობიდან მწარმოებლურზე გადასვლა, რაც ცხოველთა მოშინაურებისა და მესაქონლეობის აღმოცენებასაც გულისხმობდა, კავკასიაში ნეოლითის ეპოქას უკავშირდება [შამილაძე ვ. 1986:21].

არქეოლოგიური მონაცემების ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ გარეულ ცხოველთა მოშინაურების სანყისი ეტაპი, კავკასიაში მიწათმოქმედების ადრეულ ეტაპს ემთხვევა. მაგრამ რეგიონებში, სადაც ბუნებრივი პირობები ხელს უწყობს გარეული ცხოველების მრავლად არსებობას, სამონადირეო ტრადიციები უფრო დიდხანს არსებობდა, ხოლო მესაქონლეობა უფრო დაკნინებული ჩანს. სამხრეთ კავკასიაში მესაქონლეობის ბინადარი კომპლექსები გარკვეულად ჩანს ძვ.წ. V-IV ათასწლეულის ნასახლარებზე - შულავერი, არუხლო, იმირის გორა, ნოფი, კიკეთი, აბელი, თეთრინყარო [შამილაძე ვ. 1986:22].

ქართველთა წინაპრები, როგორც ჩანს, მესაქონლეობას უძველესი პერიოდიდან საკმაოდ კარგად უძღვებოდნენ. მესაქონლეობის სხვადასხვა ფორმების არსებობა და განვითარება საქართველოს ცალკეული კუთხეების გეოგრაფიულ თავისებურებებს და სამეურნეო ტრადიციებს უკავშირდებოდა. მათი გათვალისწინებით მესაქონლეობის უპირატესი დარგების მსხვილფეხა მესაქონლეობა და მეცხვარეობა, რომლებიც მეტ-ნაკლებად საქართველოს ყველა კუთხეშია გავრცელებული. საქართველოს ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებიდან გამომდინარე მესაქონლეობის სამი ძირითადი ფორმაა გამოვლენილი: 1) ბარული, 2) მთის, 3) მთაბარული. შერეული მესაქონლეობა ტრადიციული მესაქონლეობის ერთ-ერთი ფორმაა, რომლის განვითარების პროცესი მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებულ სახეს ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში, გუთნური მიწათმოქმედა-მესაქონლეობის შერწყმული ფორმის სახით აღწევს [ჯავახიშვილი ივ. 1986:5]. საქართველოს ბარული მესაქონლეობის არეალს კახეთის ვაკე, კოლხეთის დაბლობი და მათი მომიჯნავე გორაკ-

ბორცვიანი ტერიტორიები წარმოადგენს, სადაც წარმოებითი მეურნეობის ძირითადი დარგების წარმოშობა-ჩამოყალიბების პროცესი ენეოლითის ხანაში იწყება.

დასავლეთ საქართველოში მესაქონლეობის განვითარების ხელისშემშლელი პირობა საკვები ბაზის შეზღუდულობა უნდა ყოფილიყო. კერძოდ, ნოტიო კლიმატისა და ტყის დიდ მასივებს ხელი უნდა შეეშალათ სათიბ-საძოვრების მონყობისათვის [შამილაძე ვ. 1986:24]. აღმოსავლეთ საქართველოში, ენეოლითში ბარულ მესაქონლეობასთან ერთად მეცხვარეობის განვითარებაც იწყება, რაც აღმოსავლეთ საქართველოს ბარის მეორად ათვისებასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. მსხვილფეხა მესაქონლეობის და მეცხვარეობის განვითარების თვალსაზრისით დაწინაურებულ მოსახლეობას ამ პერიოდში უკვე ეჭირათ ბარის დიდი ნაწილი. კერძოდ, ივრის აუზი, ელდარის, ყარაია-გარდაბნის ველები, აგრეთვე ალაზნის ველი და ა.შ. მეურნეობის ძირითადად სამიწათმოქმედო მიმართულების გამო აქ მოსახლეთ ზაფხულობით საკუთარი ფარების ალპიურ საძოვრებზე გადარეკვა უწევდათ, რამაც მთაბარული მესაქონლეობის ახალი ქვესახეობის საბოლოო ჩამოყალიბების საფუძველი შექმნა [იხ. შამილაძე ვ. 1986:31]. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში სწორედ ამ პროცესებმა განსაზღვრეს ბარის სამეურნეო მიმართულება, რომელიც ანტიკური ხანის განვითარებული გუთნური მიწათმოქმედების პირობებში შემდგომ დაიხვეწა.

სტაციონარული (ბარული) ხასიათი ჰქონდა აგრეთვე კოლხეთის დაბლობის მეურნეობებს, თუმცა აქ მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებას ემატებოდა მეურნეობის სხვა დარგებიც (მეთევზეობა, ნადირობა, მეფუტკრეობა), რომლებსაც დამხმარე ხასიათი ჰქონდათ [შამილაძე ვ. 1986:84].

ბარული მეურნეობის პირობებში ჩამოყალიბდა ე.წ. საკარვო მეურნეობის სხვადასხვა ფორმები: კარავი, საკარე და საფარეხო, რომლებიც საქონლის გასარეკად გამოიყენე-

ბოდა. აღმოსავლეთ საქართველოში კარავი ახალგაზრდა და უშობელი საქონლისთვის, მოსავლის აღებამდე და აღების შემდეგ გამართული იყო სასოფლო და სოფლისპირა საძოვრებზე, ხოლო ზაფხულობით, როცა სოფლის სავარგულები დაკავებული იყო სამინათმოქმედო კულტურებით, მდინარეების ნაპირები და სოფლის მახლობლად მდებარე ტყიან-ბუჩქნარიანი ხეობები გამოიყენებოდა. სოფლიდან შედარებით მოშორებულ საძოვრებსა და ტყის სავარგულებზე ცხვრის ფარებისა და თხის ჯოგებისათვის აგრეთვე სეზონურად ადგილმონაცვლე კარვები იყო გამართული. საქართველოს ბარის მეურნეობაში მესაქონლეობას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. მოსახლეობის თანდათანობით ზრდას მოყვებოდა მინათმოქმედების გაფართოება და მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის გამრავლება, რომელთა რაოდენობა სტაციონარული დასახლების ირგვლივ თუ სეზონურ ბაზებში ვეღარ გაიმართებოდა, ახალი საძოვრები კი ამჯერად მხოლოდ ალპური მდელოები შეიძლებოდა ყოფილიყო [შამილაძე ვ. 1986:26]. ცხენის გამოჩენას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომელმაც განსაკუთრებული ადგილი დაიჭირა მესაქონლეობაში. საქართველოში მთის მესაქონლეობის ფორმები ისტორიულად სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმში, აჭარაში, სამცხე-ჯავახეთში, ტაო-კლარჯეთში, თუშეთში, მთიანეთში, ხევში, ფშავ-ხევსურეთში შეიქმნა და ჩამოყალიბდა. ამ რეგიონების მთის მესაქონლეობის ფორმები საქართველოს ბარში და მთამალაღში ადგილობრივი სამეურნეო-გეოგრაფიული პირობებისა და კულტურულ-ისტორიული ვითარების შესაბამისად, გადარეკვითი და წინააღმართული მესაქონლეობის ქვესახეებით იყო წარმოდგენილი. საქართველოს მთიანეთის გადარეკვით და წინააღმართ მესაქონლეობაში წამყვანი იყო მსხვილფეხა საქონლის მოშენება, რომლის ხვედრითი წილი მეურნეობის აღნიშნული დარგის საერთო უპირატესობასთან ერთად მთამალაღში იზრდებოდა. გარკვეული

ადგილი ეჭირა წვრილფეხა და სასაპალნე საქონლის მოშენებასაც. საქართველოს მთიანეთის წინააღმართული მესაქონლეობის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს ხევსურეთის, ჯავახეთის და თუშეთის მაღალმთიანი რეგიონები, რომელთაც ძალიან მკაცრი კლიმატური პირობები ახასიათებთ.

მთაბარული მესაქონლეობა ტრადიციული მესაქონლეობის მესამე გავრცელებული ფორმაა. ეს ფორმა მთის საზაფხულო საძოვრებთან ერთად ბარის საზამთრო საძოვრების გამოყენებას ითვალისწინებს, სადაც გამოირიცხული იყო საქონლის ბაგური მოვლა. არქეოლოგების ვარაუდით, მესაქონლეობის ამ ფორმის განვითარება შუა ბრინჯაოს ხანაში იორ-ალაზნისპირეთისა და თრიალეთის ყორღანული კულტურების სინქრონული უნდა იყოს [ჯავახიშვილი ივ. 1986:6].

II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ხდება ბარის ხელახალი ათვისება ინტენსიური მინათმოქმედების განვითარების საფუძველზე, რომელსაც ამჯერად საბოლოო უპირატესობა უნდა მოეპოვებინა მესაქონლეობასთან შედარებით. აღმოსავლეთ საქართველოს მთისძირისა და ბარის ზოგიერთი ტერიტორიის ხელახალი ათვისება გვიანბრინჯაოს ხანის დასაწყისში მესაქონლეობის ინტერესებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. ამ დროს ალაზნის ველი, ივრისპირეთი, ყარაიასა და გარდაბნის საზამთრო საძოვრები და მათი შემოგარენი კვლავ მესაქონლეთა დასახლებებით დაიფარა, მთის ხეობებში, სადაც მინათმოქმედებისა და მთის მესაქონლეობისათვის ხელსაყრელი პირობები იყო, მოსახლეობა აგრძელებდა ცხოვრებას. მაგრამ აქ ადრე აღმოცენებული მთაბარული მესაქონლეობა ამ პერიოდისათვის საბოლოოდ უნდა გამოყოფოდა მთურ მესაქონლეობას [შამილაძე ვ. 1986:31].

საქართველოს ტერიტორიის შესახებ ასურულ და ურარტულ წერილობით წყაროებში მოცემული ცნობები, საშუალებას იძლევა ვივარაუდოთ იმ დროის არა მარტო მთის

და მთაბარული მესაქონლეობის შესახებ, არამედ უკვე ჩამოყალიბებული სამეურნეო-ეკონომიკური კავშირები მთასა და ბარს შორის, რომელმაც შემდგომში განაპირობა ერთიანი მთაბარული სამეურნეო აგროკომპლექსების ჩამოყალიბება. ამ კავშირის არსებობა აშკარად ჩანს ანტიკური პერიოდის ბერძენ და რომაელ ავტორთა ცნობებშიც (იხ. ქსენოფონტე, ჰიპოკრატე, არისტოტელე), სადაც მითითებულია კოლხეთში მსხვილფეხა საქონლისა და ცხვრის ფარების არსებობის შესახებ. ასეთივე ტიპის კავშირების არსებობა უძველესი დროიდან დასტურდება აღმოსავლეთ საქართველოშიც, განსაკუთრებით მეცხვარეობის განვითარების ტენდენცია, რამაც მომავალში გარკვეულად განსაზღვრა ამ კუთხის ეკონომიკური აღმავლობა. შემდგომ პერიოდებში საქართველოს ბარის ეკონომიკური პროფილი – მიწათმოქმედება-მესაქონლეობის ინტერესთა შეხამება - მაღალ კულტურულ ფორმად ჩამოყალიბდა [შამილაძე ვ. 1986:37].

შინაური ღორი (*Sus domesticus*). საქართველოს თითქმის ყველა რეგიონისათვის შინაურ ღორს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რომლის ნაშთებიც ყველა არქეოლოგიურ ძეგლზე მრავლად გვხვდება. შინაური ღორის მნიშვნელობა სავარაუდოდ უნდა გაზრდილიყო ანტიკური ეპოქის დასაწყისში. ამის დასტურია თითქმის მთელ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული როგორც კულტურულ ფენებში, ასევე სამარხებში აღმოჩენილი შინაური ღორის ნაშთები მიცვალებულთა შესანიშნავი სახით. მაგალითისთვის, საინტერესო ფაქტი დაფიქსირდა სხალთას ადრეანტიკური ხანის სამარხებში (ძვ.წ. IV-III სს., თეთრინწყარო), სადაც მიცვალებულისთვის ჩატანებული იყო შინაური ღორის მრავალი ნაშთი. ნაშთები ბურვაკებს ეკუთვნოდა. ყველა ცალკეულ შემთხვევაში ეს ნაშთები წარმოდგენილი იყო: მენჯის ძვლით, ბარძაყის ძვლით, დიდი და პატარა წვივის ძვლებით, მეტაპოდუმიებითა და ფალანგებით ბუნებრივ ანატომიურ შესახს-

რებაში. წინა კიდურის ძვლები მხოლოდ ერთ შემთხვევაში იყო აღმოჩენილი. აღსანიშნავია, რომ სხალთას უკლებლივ ყველა სამარხში ერთნაირი სურათია. სამარხებში ამგვარი ტიპოლოგიური გამეორება ნაშთებისა, შესაძლოა მიუთითებდეს რიტუალურ ხასიათზე.

ადამიანი ღორის ხორცის გარდა, როგორც გარეული, ასევე შინაური ღორის ჩონჩხის ძვლებსა და კბილებსაც სამკაულების დასამზადებლად იყენებდა. მხედველობაში გვაქვს გახვრეტილი პირველი ფალანგები, რომელთაგანაც მზადდებოდა ცხენის სამკერდეები. ამგვარი ფალანგები ხშირად გვხვდება ადრეანტიკური ხანის აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებში. კერძოდ, მსგავსი სამკაულის ნაწილები აღმოჩენილ იქნა დიღმის სამაროვანზე მცირე ზომის ყორღანში. აღმოსავლეთ საქართველოსაგან განსხვავებით, დასავლეთ საქართველოს ანტიკური ხანის ძეგლებზე ხშირად პოულობენ ველური ტახის საძირკველში გახვრეტილ ზედა ეშვებს, რომლებიც შესაძლოა თილისმას ან ყელის სამკაულის ნაწილს წარმოადგენდა. ასეთი ეშვებს ვანის ნაქალაქარის ანტიკური ხანის ფენების გათხრებისას არქეოლოგები ხშირად აფიქსირებენ [იხ. Бендукидзе О. 2011:69-71].

სამწუხაროდ, შინაური ღორების მთელი, დაუზიანებელი თავის ქალები არქეოლოგიური გათხრების დროს ჯერჯერობით არ დაფიქსირებულა. ზოგადად ცხოველის ჯიშის დასაზუსტებლად სრული ან მეტ-ნაკლებად სრული თავის ქალაა საჭირო. თუმცა, თუ აღნიშნული შინაური ღორის ძვლების ზომების მიხედვით ვიმსჯელებთ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იგი ახლოს იყო აბორიგენულ ე.წ. კახურ ჯიშთან. ცნობილია, რომ ევროპული ადრებრინჯაოს ეპოქის ე.წ. „ნაკელის“ ღორი, სავარაუდოდ წარმოიშვა გარეული ევროპული ღორისაგან, მაგრამ აზიური შინაური ღორის წინაპარი, სამხრეთ-აღმოსავლური გარეული ტახი (*Sus scrofa vittatus*-ი) უნდა იყოს. ამასთან დაკავშირებით, ალბათ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ მელა-

ნიზმი, ანუ კახური შინაური ღორის ტანის შავი შეფერილობა პირდაპირ გვიდასტურებს კახური ღორის წარმოშობას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიური ტროპიკული ველური ტახისაგან. ანტიკური ხანის ეს მცირე ზომის შინაური ღორი, რომელსაც პირობითად ვაახლოვებთ შავ კახურ ღორთან, როგორც ეს ჩანს არქეოლოგიური მასალების საფუძველზე, სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული [იხ. Бендукидзе О. 2011:70] (ტაბ. II, 1-3).

შინაური თხა (*Capra hircus*). ადგილობრივ შინაურ თხას შესაძლოა ორი წინაპარი ჰყოლოდა. იგულისხმება, რომ ძველმა ადამიანმა მოიშინაურა როგორც ნიამორი, აგრეთვე სხვა, მეორე ფორმაც (*Capra falconeri*), რომელსაც სპირალური რქები ჰქონდა. საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილ თხის ნაშთების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ აქ ეს ცხოველი პრეისტორიული ხანიდან ბინადრობდა. მას ნიამორისათვის დამახასიათებელი ხმლისებრი ფორმის რქები ჰქონდა ლინზისებრი კვეთით, რაც იმის მანიშნებელია, რომ ქართული შინაური თხა უნდა მიეკუთვნოს იგივე ჯიშს, რომელიც ამჟამად არის გავრცელებული დედამიწის ყველა რეგიონში.

შინაური ცხვარი (*Ovis aries*). ითვლება, რომ თანამედროვე შინაური ცხვრის ჯიშები სხვადასხვა ველური სახეობისაგანაა წარმოშობილი. ეს დასტურდება იმით, რომ სხვადასხვა ქვეყნებში გავრცელებული შინაური ცხვრის ჯიშები იყოფა რამდენიმე მორფოტიპად: დუმებიანი, დუმის არმქონენი, გრძელკუდიანები, ცხიმკუდიანები, საშუალოკუდიანები, მოკლეკუდიანები და ა.შ. უდაოა აგრეთვე, რომ შინაური ცხვრის ზოგიერთი სახეობის ფორმირებაში, რომლებიც ევრაზიის დასავლეთ ნაწილში ბინადრობენ, მუფლონის ორივე სახეობა (კორსიკული *Ovis musimon*-ი და წინააზიური *Ovis ophion*-ი) მონაწილეობდა, ხოლო დიდი, მერინოსის ჯიშის ცხვრის შექმნაში არხარის (დიდი ზომის, აღმოსავლეთ აზიის მთებში მობინადრე

ცხვარი) რომელიმე ქვესახეობა მონაწილეობდა. საინტერესოა, რომ ე.წ. ურის შტანდარტზე (შუამდინარეთი) გამოსახულია ორი ჯიშის შინაური ცხვარი: უფრო დიდი და უფრო პატარა. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ უფრო დიდს სხეულზე უფრო გრძელი და ხვეული ბალანი აქვს, სწორედ ამ ნიშნით ეს უკანასკნელი ემსგავსება თანამედროვე მერინოსის ჯიშის ცხვარს. საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილ ცხვრების ნაშთების კვლევისას, მათ რქის ღერძებს ისეთივე პრიმიტიული აგებულება ჰქონდათ, როგორც წინააზიური მუფლონებისას: შესამჩნევად გაფართოებული, მცირედ მოლუნული და საძირკველში გაბრტყელებული, კვეთის მიხედვით მუფლონის მსგავსი. ზემოაღნიშნული რქების თავისებურებები ისევე, როგორც ჩონჩხის ძვლების დიდი ზომა მათ არქაულ სტატუსზე მიგვიბრუნებს. მაგალითისათვის იხ. თისელის, ხადას, წოფის, ქვაცხელების, გუდაბერტყას და სხვ. არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილი ოსტეოლოგიური მასალა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ პრეისტორიული ხანის შინაური ცხვარი თავისი მორფოლოგიით, უპირველესად კი რქების ღერძების აგებულების (უფრო პრიმიტიული ფორმის) მიხედვით არსებითად განსხვავდება იმ ჯიშებისაგან, რომლებიც ჩვენს დროშია საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული, კერძოდ, თუშური და იმერული ცხვარი. მათ მოლუნული, სპირალისებურად დახვეული რქები აქვთ. ეს უკანასკნელნი, კი სავარაუდოა მხოლოდ ანტიკური ხანის დასაწყისში უნდა გაჩენილიყვნენ (ტაბ. III, 4; IV, 3).

შინაური ძაღლი (*Canis familiaris*). საქართველოს ტერიტორიის ნებისმიერ არქეოლოგიურ ძეგლზე ძაღლი, სულ მცირე, ერთი ან ორი ეგზემპლარის სახით მაინც გვხვდება. საინტერესოა, რომ გათხრების აღმოჩენილი ძაღლის ნაშთები ტიპობრივად (ანუ ზომითა და მორფოლოგიით), ცოტა რამით თუ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ისინი ეკუთვნიან საშუალო ზომის

ძალს, რომელსაც სრულიად არ აღენიშნება რამენაირი სპეციალიზაციის ნიშნები, რაც აშკარად მიგვანიშნებს, რომ საქმე გვაქვს ერთსა და იმავე ძალის ჯიშთან.

ძალზედ საინტერესოა სამშვილდის ნაქალაქარის ანტიკური ხანის ფენებში აღმოჩენილი ძალის მთელი ჩონჩხი (თავის ქალისა და ქვედა ყბების ჩათვლით). ძალის ნაშთი ქვევრში იქნა დაფიქსირებული, კბილების მიხედვით ის 1,5-2 წლის ცხოველს ეკუთვნის, ზომით უფრო პატარაა, ვიდრე ქართული მეცხვარული ძალი (ტაბ. I, 1).

შინაური კატა (Felis catus). შინაურ კატის წარმოშობა დაკავშირებულია სტეპის ველურ კატასთან (*Felis lybica*). სავარაუდოდ, პირველად ის ძველ ეგვიპტეში მოაშინაურეს, საიდანაც გავრცელდა მთელ წინააზიაში. თუმცა ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ სტეპის კატა და ტყის კატა (*Felis silvestris*) სინონიმებია. საფიქრებელია, რომ კატა მოშინაურებული იყო არა მარტო ეგვიპტეში, არამედ მთელ წინა აზიაში. თუმცა ეს არ ეხება ევრაზიის უკიდურეს აღმოსავლეთ რეგიონს, სადაც ისინი იქაური ველური კატების სახეობებიდან წარმოიშვა. საქართველოს ტერიტორიაზე შინაური კატის ნაშთები ჯინისის ნამოსახლარზეა (ნალკის მუნიცი.) აღმოჩენილი, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მაშინდელ მოსახლეობას მარცვლეული კულტურები (ხორბალი, ქერი, ჭვავი და სხვ.) მოჰყავდა და ის მღრღნელების გასანადგურებლად სჭირდებოდა (ტაბ. I, 3).

შინაური ვირი (Equus (Asinus) asinus). ცხენისნაირების გვარის (*Equus*) მნიშვნელობა კაცობრიობის ისტორიისათვის განუზომლად დიდია. ამ გვარის სამი წარმომადგენელი: ვირი, ნამდვილი ცხენი და კანჯარი ადამიანმა ჯერ კიდევ პრეისტორიულ ხანაში მოიშინაურა. კერძოდ, ვირი – ეგვიპტეში, ცხენი – ცენტრალურ აზიაში, კანჯარი, სავარაუდოდ – მესოპოტამიაში. შემდგომში შინაური ვირი და შინაური ცხენი ფართოდ გავრცელდა მთელს ევრაზიაში და ამჟამადაც, თანამედროვე ეპოქაში შინაური ცხოველები არიან;

საქმე სხვაგვარად იყო კანჯარის შემთხვევაში, რომელიც მხოლოდ გარკვეული დროის – ენეოლითის დასასრულიდან ადრებრინჯაოს ხანის ბოლომდე – განმავლობაში ყოფილა შინაური ცხოველი.

საქართველოში შინაური ვირი დარაქოის ნამოსახლარზე იქნა აღმოჩენილი. საყურადღებოა, რომ თრიალეთის V ყორღანში შინაური ვირის ოქროს ფიგურა აღმოჩნდა [იხ. *Куртин Б. 1941:1-231*, ტაბ. XCVII]. თუ ეს ნივთი იმპორტს არ წარმოადგენს, ის შუა ბრინჯაოს ხანაში (თრიალეთის კულტურა) მოშინაურებული ვირის არსებობის უტყუარ საბუთს წარმოადგენს. ვირის ძვლების ნაშთები აღმოჩენილია აგრეთვე გრაკლიანის გორაზე (კასპის მუნიცი.) და ძველ თბილისში (ტაბ. I, 2).

შინაური ცხენი (Equus (Equus) domesticus). შინაური ცხენი, როგორც ჩანს, წინააზიასა და კავკასიაში საკმაოდ გვიან გაჩნდა. ევრაზიის რეგიონში შინაურ ცხოველთა სხვა სახეობები ნეოლითში უკვე არსებობდნენ, მაშინ, როცა შინაური ცხენი სამხრეთ კავკასიაში არაუადრეს ძვ.წ. II ათასწლეულში გამოჩნდა. თუმცა არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ჯერ კიდევ შინაური ცხენის გამოჩენამდე, მახლობელ აღმოსავლეთსა და წინა აზიაში იყო მცდელობა ცხენის სხვა სახეობა – კანჯარი - მოეშინაურებინათ. მაგრამ შემდგომ მოშინაურებული კანჯარი, როგორც გამწვევი ძალა, იცვლება ისეთი უფრო ძლიერი სახეობით, როგორცაა შინაური ცხენი, რომელიც სავარაუდოდ ცენტრალური აზიიდან შემოვიდა. ცხენი, როგორც ჩანს, უფრო ძლიერი იყო და უფრო მეტად შეეძლო ეტარებინა სამხედრო ეტლი ან მხედარი. ამრიგად, კანჯარი ქრონოლოგიურად წინ უსწრებდა შინაურ ცხენს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი შესაძლებლობას გვაძლევს მეტ-ნაკლებად ზუსტად დავადგინოთ დასახელებულ რეგიონებში შინაური ცხენის გამოჩენის დრო, რომელიც სავარაუდოდ შუა ბრინჯაოს ხანაა. ამას ადასტურებს ჰიქსოსების შეჭრა ძველ ეგვიპტეში, სადაც მათი სამხედრო ძალა ორთვლიან ეტლებში შებმული ცხენებით

გამოიხატა. ამიტომ ყველა ნაშთი ცხენებისა, რომლებიც ბრინჯაოს ხანის ადრინდელ პერიოდით თარიღდება, შეგვიძლია ავტომატურად ველურ ცხენს მივაკუთვნოთ.

საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში პირველი შინაური ცხენის გამოჩენის დროის დასადგენად, საინტერესო მასალას გვაძლევს ისეთი არქეოლოგიური არტეფაქტების აღმოჩენა, რომლებიც ცხენოსნობასთან არის დაკავშირებული: ლაგამი, მოსართავი, უნაგირის ნაწილები და სხვა, აგრეთვე ცხენის პატარა თიხის ფიგურები და ცხენის გამოსახულებები. ამგვარი საგნები აღმოჩენილია გვიანბრინჯაოს ხანის ფენებში: მცხეთაში [სადრაძე ვ., ... 1987:437-440; Садрაძე В. 1991:67, 68-81], ბერიკლდეებსა და საფარხარაბაში, სადაც მიცვალებულისათვის ჩატანებულ ნივთებს შორის აღმოჩენილი იქნა უღელი. სამხრეთ კავკასიაში შინაური ცხენის ერთ-ერთი ყველაზე ძველი და საინტერესო აღმოჩენაა ლჭაშენის თავის ქალების სერია [Межлумян С. 1972:88-135]. არ არის გამორიცხული, რომ ლჭაშენის ცხენის თავის ქალები იმავე ჯიშს ეკუთვნოდეს, რაც ჯინისშია აღმოჩენილი [იხ. ბენდუქიძე ოლ. 2005:2-14].

ცხენის ძვლების ნაშთები საქართველოს ტერიტორიაზე შემდეგ ძეგლებზეა დაფიქსირებული - მცხეთა, ილტო, ახალი ულიანოვკა, ქვაცხელები, ვანი, თრიალეთი და სხვ.) [გამრეკელი ნ. 1976:292-300; 1980:239-300].

საერთოდ, ცხენი მახლობელ აღმოსავლეთსა და წინააზიაში გვიან გაჩნდა. როგორც ცნობილია, შინაური ცხენის პირველი, ისტორიულად დაფიქსირებული გამოჩენა მიეკუთვნება ეგვიპტეში ჰიქსოსების შემოსევის პერიოდს (ძვ.წ. XVII ს.). ამ ფაქტთან დაკავშირებით, მაგალითად, ძალზე ნიშანდობლივია ჯინისის ნამოსახლარზე ცხენების ნაშთების აღმოჩენა, რომლებიც დაახლოებით იმავე ეპოქას განეკუთვნება. ჯინისში ცხენების ნაშთები რაოდენობრივად ქარბობს სხვა შინაურ ცხოველთა ძვლების საერთო რაოდენობას (არანაკლებ 35-40%-ია) [იხ. ბენდუქიძე ოლ. 2005:2-14]. შესაძლოა ვიფიქროთ, რომ თუ

ცხენი სამხედრო საქმეში გამოიყენებოდა, მაშინ უძველეს ხალხში აკრძალული უნდა ყოფილიყო ცხენის საკვებად გამოყენება, თუმცა აღმოსავლეთის ხალხებს, ტრადიციულ მეცხენეებს (მონლოლებს, თურანებს) ეს აკრძალვა არ ჰქონდათ. უნდა აღინიშნოს, რომ თავისი ტიპით ჯინისის ცხენი არ განსხვავდებოდა პალეოლითის ეპოქის ველური ცხენისაგან, რომელიც აღმოჩენილი იქნა ეძანში, ზურტაკეტსა და ბავრაში. იგი როგორც ჩანს, წარმოადგენდა კარგად ცნობილ მორფოტიპს ე.წ. «სამხრეთული ცხენისა», რომლისგანაც, სავარაუდოდ, წარმოიშვა ე.წ. არაბული და სხვა მასთან ახლოს მდგომი საჯირითო ცხენი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ველური ცხენი უძველესი დროიდან ბინადრობდა სამხრეთ საქართველოში (ჯავახეთის ზეგანზე და წალკაში). მისი ძვლები პირველყოფილი ადამიანის სამზარეულოს ნარჩენების სახით აღმოჩენილ იქნა ზურტაკეტისა და ეძანის ეპიპალეოლითური სადგომების არქეოლოგიური გათხრების დროს. მცხეთაში არქეოლოგიურად აღმოჩენილია თიხის ცხენების ფიგურები [სადრაძე ვ., ... 1987:437-440, Садрაძე В. 1991:67, 68-81], რომელთა შორისაც აშკარად ჩანს ცხენების ორი ტიპი. ერთი ტიპის ცხენს აქვს გრძელი კისერი, პატარა თავი, წაგრძელებული ტანი და ის ექსტერიერით ძალიან ჰგავს ძველი პართული ჯიშის ცხენს (თანამედროვე ეპოქაში ეს არის ე.წ. ახალთექური ჯიშის ცხენი). მეორე ტიპის ცხენი, რომელიც მხოლოდ ერთი თიხის ფიგურითაა წარმოდგენილი, აღნაგობით უფრო მასიურია, აქვს დაკუნთული კისერი, მსხვილი თავი, დაბალი ტანი, ხშირი და გრძელი ფაფარი. ამრიგად, გვაქვს ცხენის ორი ტიპი: ერთი – გაკეთილშობილებური, სპეციალურად გამოყვანილი, საჯირითო და მეორე – პირველადი სელექციისაგან ხელშეუხებელი, რომელიც ეკუთვნოდა ველურ ცხენს, ან უკიდურეს შემთხვევაში სატვირთო, უჯიშო საქონელს.

როგორც ცნობილია, უძველესი დროიდან ცხენისნაირებს საბრძოლო ეტლებში

შესაბამელად იყენებდნენ. საბრძოლო ეტლი ძირითადად გამოიყენებოდა მტრის წყობის გასარღვევად. ეტლს ოთხი მძიმე ბორბალი ჰქონდა და ოთხი შინაური კანჯარი ებმოდა. ეს ყველაფერი კარგად ჩანს ე.წ. «ურის შტანდარტზე» და ერთი ზარდახშის თავსახურზე, რომელიც ასევე ურშია აღმოჩენილი [Вулли Л. 1967:95]. უფრო გვიანდელი, ასურულ-ბაბილონური საომარი ორბორბლიანი ეტლები წინ გადადგმული ნაბიჯი იყო შუმერულ ეტლებთან შედარებით. მართალია, ამ ეტლების გამოსახულებებზეც ჩანს, რომ ძალიან უხეში და მასიური ბორბლები ჰქონდათ, მაგრამ მათში უკვე ორი ცხენი იყო შებმული. იგივე ტიპის ეტლი (უზარმაზარი მასიური ბორბლებით) ურარტუშიც იყო გავრცელებული (იხ. გამოსახულება მეფე სარდურის კაპარჯზე).

ცხენის საჯირითოდ გამოყენება შედარებით გვიან დაიწყო, როგორც ჩანს, ეს უძველეს არიელებთან იყო დაკავშირებული. ამგვარად, იმ დროისათვის უკვე არსებობდა ცხენოსანი ჯარი ანუ ე.წ. კავალერია [იხ. ბენდუქიძე ოლ. 2005:2-14].

ბოლო ხანებში გათხრების დროს გახშირებული ხურიტული (მითანური) წარმოშობის არტეფაქტების აღმოჩენა სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე [იხ. ნარიმანიშვილი ნ. 2006:92-126], შესაძლოა მიგვიჩვენებდეს, რომ ეს სწორედ ის რეგიონია, სადაც ძვ.წ. II ათასწლეულში შესაძლოა ყოფილიყო ცხენების მომშენებელი ცენტრი კავკასიაში, რაზეც მიგვიჩვენებს აღმოჩენები ჯინისსა და საფარ-ხარაბაში.

ანტიკურ ხანაში სამხრეთ საქართველო კვლავ რჩებოდა მეცხენეობის განვითარების განსაკუთრებულ რეგიონად. ამაზე მიგვიჩვენებს ცხენის ნაშთების დიდი რაოდენობა ჩვენს მიერ განსაზღვრულ ოსტეოლოგიურ მასალაში ჭორატიდან (ახალციხე), სადაც ეს ნაშთები სხვა შინაურ ცხოველთა ნაშთებს ბევრად სჭარბობდნენ.

ისმის კითხვა თუ რა ტიპის ან რა ჯიშის ცხენი ჰყავდათ საქართველოს მოსახლეობას ანტიკურ ხანაში?

ვანის ნაქალაქარსა და ქულბაქების ნამოსახლარზე აღმოჩენილი იქნა ცხენების ფაქტიურად სრული ჩონჩხები. ორივე შემთხვევაში დაფიქსირებული იქნა ოთხი დამარხული ცხენი. ყველა მათგანის ჩონჩხი საკმაოდ პატარა ზომისა აღმოჩნდა. მაგალითად, ვანის ნაქალაქარის ცხენის სიმაღლე ჯიდაოში 139-141 სმ-მდე (მამრებში) ვარირებს [იხ. გამრეკელი ნ. 1975:40]. აღსანიშნავია, რომ ირანელ სასანიდებს ზუსტად ამგვარი ჯიშის ცხენი (პატარა ზომის) ჰყავდათ. ეს კარგად ჩანს ნეშტერუსტამის (სასანიდი მეფეების) ნეკროპოლის ბარელიეფებზე.

ვფიქრობთ, რომ ეს პატარა ზომის ცხენის ჯიში, რომელიც აღმოჩნდა ვანის ნაქალაქარსა და ქულბაქების ანტიკური ხანის სამარხებში საქართველოში ჩრდილო შავიზღვისპირეთიდან მოხვდა, სადაც სკვითები პირველად ძვ.წ. I ათასწლეულის ბოლოს ჩნდებიან. სკვითები ცნობილი მეცხენეები იყვნენ, რომლებიც ცხენებს საკმაოდ დიდი რაოდენობით ფლობდნენ. ისინი ამ «სტრატეგიული» საქონლით წარმატებით ვაჭრობდნენ. ამ შემთხვევაში საფიქრებელია, რომ ქართველებს, ისევე როგორც ძველ ირანელებს, ამ ჯიშის ცხენი ერთი და იმავე წყაროდან მიეღოთ (ტაბ. III, 1-3).

მსხვილფეხა რქოსანი საქონელი (Bos frontosus Vilson). შინაური ცხოველები ადამიანს უკვე ნეოლითის ხანაში ჰყავდა. მათ შორის ერთ-ერთი პირველთაგანი შინაური მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი გახლდათ. მოშინაურებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის შედარებით ადრეულ, ნეოლითის ხანაში გამოჩენის ფაქტი საქართველოს ტერიტორიაზე შულავერ-შომუთეფეს კულტურის ძეგლებზე დასტურდება. დასავლეთ საქართველოში შედარებით მწირი მასალაა აღმოჩენილი. დასავლეთ საქართველოში შინაური მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ნაშთები მიკვლეულია ზემო იმერეთის ნასადგომრებში - სამელე კლდე, დარკვეთი, სამერცხლე კლდე, ძუძუანა, სადაც ძვლოვან ნაშთებში ისინი რაოდენობრივად გარეულ

ცხოველთა ძვლებს სჭარბობს. არქეოლოგიურად აღმოჩენილი ოსტეოლოგიური მასალების საფუძველზე შეგვიძლია გადაჭრით დავასკვნათ, რომ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის განვითარების დონე აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში ნეოლითის ეპოქაში ერთიმეორისაგან განსხვავებულ სურათს იძლევა.

თანამედროვე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, რომელიც დედამიწის სხვადასხვა რეგიონში ბინადრობს, უდაოდ პოლიფილეთური წარმოშობისაა. ეს ფაქტი თავისთავად გულისხმობს ჰიბრიდიზაციის ძალზედ მნიშვნელოვან პროცესებს, რომლებიც რა თქმა უნდა, უძველესი ადამიანის მონანილეობის გარეშე ვერ მოხდებოდა, რაც დადგინდა პრეისტორიულ ეპოქაში საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის თავის ქალების აგებულების ანალიზის საფუძველზე.

სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში ერთ-ერთ უძველეს ჯიშად ჯერჯერობით ითვლება ჩვენს მიერ დადასტურებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ნარჩენები ნაჭივჭავებიდან (თეთრინყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორია). მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მასალა ნაჭივჭავებიდან ორი სხვადასხვა ფორმითაა წარმოდგენილი. პირველი — შედარებით უფრო დიდი ზომისაა - *Bos mastanzadei*-ს ტიპის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. არ არის გამორიცხული, რომ ეს იყო განსაკუთრებით დიდი ზომის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიში, ისეთივე როგორც შენგავითში აღმოჩნდა [იხ. Межлумян С. 1972:58] და მეორე — შედარებით უფრო პატარა ზომისა, რომლის რქების ღერძები და სხვა ნაშთები პატარა, დაახლოებით ე.წ. ხევსურული ტიპის ძროხისხელა მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს მიეკუთვნება.

ოსტეოლოგიური მასალა ამ პატარა ჯიშის ცხოველისა ნაჭივჭავებიდან წარმოდგენილია ორი იზოლირებული რქის ღერძითა და მარცხენა ფრონტალური ძვლის ერთი ფრაგმენტით, რომელსაც შენარჩუნებული აქვს

მარცხენა რქის ღერძის საძირკველი. ყველა ეს ნიმუში დაახლოებით ერთი ზომისაა, ფორმაცა და რქოვან ღერძთა მიმართულებაც ერთნაირი აქვთ და შესაბამისად, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ერთსა და იმავე ჯიშს მიეკუთვნებიან. ნაჭივჭავების ნამოსახლარის პატარა ზომის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშის შესახებ ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმ რქის ნიმუშის საფუძველზე, რომელსაც შენარჩუნებული აქვს თავის ქალის მომიჯნავე ფრაგმენტი. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ამ ეგზემპლარზე შემონახულია ე.წ. რქათაშორისი ქედი, რომლის აგებულებაც, ჩვენი აზრით, ცოტა რამით თუ განსხვავდება *Bos brachyceros*-ის იგივე სტრუქტურის თავის ქალისაგან. ასე მაგალითად, მიუხედავად ეგზემპლარის ფრაგმენტულობისა №№30—24—35 ორმოდან, მასზე აშკარად ჩანს მაღიაგნოსტირებელი თავისებურება, რომელიც დამახასიათებელია *Bos brachyceros*-ისთვის. ეს თავისებურებაა დიდი ბორცვი რქათაშორისი ქედის ცენტრში, რომელიც აშკარად უფრო მაღლაა აწეული, ვიდრე რქათა ღერძების საძირკველები. შუბლის ამგვარი აგებულება, როგორც ცნობილია, ძალიანაა დამახასიათებელი *Bos brachyceros*-ისთვის [იხ. Лискун Е. 1934:16].

როგორც ცნობილია, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშის დადგენისას უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება თავის ქალას ან მის ნაწილებს, ასევე რქის ღერძებს, მაშინ, როდესაც პოსტკრანიური ჩონჩხის ძვლები, მცირე გამონაკლისის გარდა, თითქმის ყველას იმდენად მსგავსი აქვს, რომ ჯიშის დასადგენად არ გამოდგება. მართალია, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ნაშთები საქართველოს ტერიტორიაზე მრავლად გვხვდება არქეოლოგიური ძეგლების სხვადასხვა ფენებში.

სამხრეთ კავკასიის სამხრეთ რეგიონებში ს. მეჟლუმიანის მიერ შესწავლილი ხართა თავის ქალების სერიის და აგრეთვე, დარაქოში აღმოჩენილი თავის ქალის *Bos primigenius Bojanus*-ის თავის ქალებთან შედარებისას

თვალნათლივ შეგვიძლია დავინახოთ, რომ *Bos primigenius*-ის თავის ქალისათვის დამახასიათებელ თვისებათა უმრავლესობა, განსაკუთრებით, სამი ძირითადი: რქათა ღერძების ფორმა და მიმართულება, რქათა-შორისი ლილვის ფორმა, შუბლის ძვლის ზედა ნაწილის ფორმა და კეფის ძვლის ფორმა მკვეთრად განასხვავებს ამ ორი ფორმის (*Bos frontosus*-ისა და მისი სავარაუდო წინაპრის *Bos mastanzadei*-ს) თავის ქალებს *Bos primigenius*-ის თავის ქალებისაგან.

საფიქრებელია, რომ სამხრეთ კავკასიის შინაური მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ველური ბინაგადური *Bos mastanzadei*-ს მემკვიდრეა, რასაც ამ ორი ფორმის თავის ქალების თვისებათა მსგავსება მოწმობს. შეუძლებელია შემთხვევითი იყოს თავის ქალათა შორის ამგვარი მორფოლოგიური მსგავსება, განსაკუთრებით სამი ნიშნის მიხედვით - რქების ფორმა და მიმართულება, შუბლის ძვლის ზედა ნაწილის თაღისებური ფორმა, კეფის ძვლის ფორმა. თუმცა, მიუხედავად ამისა, *Bos mastanzadei*-სა და მეჟლუმთანის მიერ შესწავლილ *Bos frontosus*-ს შორის აბსოლუტური დამთხვევა არ გვაქვს. ამას თავისი მიზეზიც უნდა ჰქონოდა, რომელიც შეიძლება აიხსნას კიდევ ერთი ფორმის მონაწილეობით კავკასიის ჯიშის ხარის შექმნაში.

ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი თვისებებურება *Bos frontosus*-ის თავის ქალათა მორფოლოგიისათვის არის ის, რომ მათი შუა თხემის ძვალი კონცხივით იჭრება შუბლის ძვლის ზედა ნაწილში. თუმცა სწორედ ეს თვისებებურებაა დიაგნოსტიკური *Poephagus*-ის (ცენტრალურ აზიური ღრუტუნა ხარები — იაკები) სახეობის თავის ქალებისათვის [Основы палеонтологии. 1962:406]. დარაქოს ნამოსახლარის თავის ქალას ეს თვისებებურება არ უჩანს, რადგან წლების შემდეგ ნაკერი შუბლისა და თხემის ძვლებს შორის შეხორცდა. თუმცა სხვა ნიშნებით გავს მათ. კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისებებურება იაკებისა, რომლებიც მეჟლუმთანის მიერ შესწავლილი სერიის თავის ქალებს აღენიშ-

ნება, არის მეტ-ნაკლებად განვითარებული ე.წ. შუბლის ძვლის ყლორტების არსებობა. ეს არის შუბლის ძვლის ცილინდრული წამონაზარდები, რომლებზედაც რქათა ღერძები დგას. დაბოლოს, მესამე, არანაკლებ მნიშვნელოვანი თვისებებურება არის რქათა ღერძების შებრტყელებულობა [იხ. Лискун Е. 1951:31] თითქმის მთელ სიგრძეზე, რომელიც დარაქოს თავის ქალასაც აღენიშნება.

ყველა ზემოთ ნახსენებ თავის ქალას შეიძლება იაკისგან მემკვიდრეობით გამოყოფილი კიდევ რამე სხვა თვისებებურებაც აღმოაჩნდეს, რომლებიც დაადასტურებს ჩვენს ვარაუდს ბრინჯაოს ეპოქის სამხრულ-კავკასიური ჯიშის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის შესახებ. ამგვარად, შესაძლოა, პირდაპირ განვაცხადოთ *frontosus*-ის ჯიშის ჰიბრიდული წარმოშობის შესახებ, რომლის წარმოქმნაშიც დიდი წილი *Poephagus*-ის გვარის იაკს უდევს. უნდა აღინიშნოს, რომ შუბლ-თხემის ნაკერის ამგვარი აგებულება (თხემთაშორისი ძვლის შეჭრა შუბლის ძვლებს შორის) იაკებში წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს არგუმენტს მეცნიერთათვის, რომლებიც ემხრობიან სახეობა *Poephagus*-ის დაახლოებას ან ჩართვას ჯგუფში *Bisontina sensu Rutimeyer 1867* [Lydekker R. 1898:88-181; Matsumoto H. 1918:83-102], თუმცა მეცნიერთა მეორე ნაწილი [Pilgrim S. 1939:1-356; Соколов И. 1958:1-295] მიიჩნევს, რომ იაკები უნდა მოთავსდნენ *Bos*-ის გვარში. მათი არგუმენტაცია ევროპული ველური ხარის და იაკის თავის ქალათა მსგავსების შესახებ ეყრდნობა სუფთა ფორმალურ, გარეგნულ მსგავსებას. მაგრამ უნდა ითქვას, რომ *Bos*-ისა და *Poephagus*-ის გვარების შეჯვარების შედეგად გაჩენილი მამრები რეპროდუქციის უნარს მოკლებულნი არიან, რაც პირდაპირ მიუთითებს მათ ტაქსონომიურ და გენეტიკურ დაშორებაზე ერთმანეთისაგან და შესაბამისად, მათი ტაქსონომიური გაერთიანება შეუძლებელია. და მიუხედავად იმისა, რომ შემდგომში ნამდვილი ხარის სისხლის დამატება გრძელდება, მამრთა უნაყოფობის თავიდან აცილების

მიზნით, ერთ-ერთი უმთავრესი მანიშნებელი იაკის სისხლის არსებობისა (შუა თხემის ძვლის შეჭრა შუბლის ძვალში) *Bos frontosus*-სა და მისგან წარმოშობილ ჯიშებში დღემდეა შემონახულია.

ამგვარად, რეალურად არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება, ერთის მხრივ, რქათა ფორმისა და მიმართულების, შუბლის ზედა ნაწილის ფორმისა და კეფის ძვლის ფორმის მიხედვით *Bos primigenius*-სა და *Bos mastan-zadei*-ს თავის ქალებს შორის, და შესაბამისად, მათ შთამომავლობას *Bos taurus primigenius*-სა და *Bos taurus frontosus*-ის შინაურ ჯიშებს შორის.

სამხრეთ კავკასიის ტერიტორია, ყოველ შემთხვევაში, მისი სამხრეთი ნაწილი, ისეთ არეალს წარმოადგენდა, სადაც ბრინჯაოს ხანაში ბატონობდა განსაკუთრებული ჯიშის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა *Bos frontosus*-ის სახით. ნიშანდობლივია, რომ ჯიშობრივი ტიპი ოს ფრონტოსუს-ი მთელი ბრინჯაოს ხანის განმავლობაში დასტურდება. ხოლო ბრინჯაოს ეპოქის დასასრულს (ურარტუს სახელმწიფოს არსებობის ხანა) ბრინჯაოს ეპოქისათვის დამახასიათებელ ტიპ *Bos frontosus*-თან (*B. taurus primigenius*) ერთად უკვე გვხვდება სხვა ტიპის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის თავის ქალები, შედარებით მცირე რაოდენობით. შემდგომ კი უკვე თავის ქალების რაოდენობა თანაბარი პროპორციებით გვხვდება (50% ძველი, 50% ახალი) [Межлумян С. 1972:65]. შედეგად, ნეოლითიდან დაწყებული ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისამდე ყველგან გვხვდება კრანოლოგიური ტიპის *Bos taurus primigenius*-ის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი.

ბოლო დროის არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა გვიჩვენა, რომ *Bos frontosus*-ის პიბრიდული ჯიშის გარდა, საქართველოს ზოგიერთ რეგიონში აგრეთვე ძროხის მეორე ჯიშიც - *Bos taurus primigenius*-ის ტიპის - არსებობდა. ამის დასტურია, ამ ჯიშის ხარის თავის ქალის აღმოჩენა ხადას ნამოსახლარზე (დუშეთის მუნიცი.). აღსანიშნავია, რომ

იგივე ტიპის საქონლის რქა სამეღე კლდეშიც აღმოჩნდა. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ასეთივე ჯიშის პირუტყვი იყო გავრცელებული კოლხეთის დაბლობზეც.

ამგვარად, ჩვენ შეგვიძლია დაბეჯითებით შემოვხაზოთ ამ ორი სხვადასხვა წარმოშობის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გავრცელების არეალები. ესენია: სამხრეთ საქართველო და შიდა ქართლი - *Bos frontosus*-ისათვის და დიდი კავკასიონის სამხრეთი ფერდი და კოლხეთის დაბლობი - *Bos taurus primigenius*-ისათვის(ტაბ. IV, 1-2, 4-5).

მონადირეობა. როგორც ცნობილია, ნადირობა ჯერ კიდევ პალეოლითიდან მოყოლებული საკვების მოძიების უმნიშვნელოვანესი წყარო იყო. შემდგომში მეურნეობის ამ დარგმა მხოლოდ დამხმარე მნიშვნელობა შეიძინა. საქართველოში მრავალი სანადირო სავარგული არსებობდა, ნადირიც მრავალფეროვანი იყო. სხვადასხვა რეგიონში ნადირობის ერთმანეთისაგან განსხვავებული ადათები და ფორმები შემოინახა. ისტორიული განვითარების პარალელურად, იცვლებოდა სანადირო ადგილების განკარგვის წესებიც. შუა საუკუნეების საქართველოში ნადირობის საქმეს თავისი გამგებელი - მონადირეთუხუცესი, ბაზიერთუხუცესი - ჰყავდა და თავისი წესები ჰქონდა [იხ. ჯავახიშვილი ივ. 1982:323-324, 385; ვახუშტი ბატონიშვილი. 1973; იოანე ბატონიშვილი. 1990:463; ლამბერტი არ. 1938:56].

მონადირეობა ძველ საქართველოში მამაკაცის აუცილებელ „ხელობად“ ითვლებოდა, მას სამხედრო ვალდებულების სახეც კი ჰქონდა. ნადირობა ქართული არისტოკრატის ერთ-ერთ ძირითად საქმედ, აღზრდისა და განვრთნის საშუალებად, ასევე გართობის ნაირსახეობად მიიჩნეოდა [ჩხატარაიშვილი ქ. 1979]. აღსანიშნავია, რომ ნადირობდნენ ქორშავარდნებითა და ძაღლებით. სანადირო ძაღლი ორ ჯგუფად იყოფოდა: მეძებრებად და მწევრებად. მეძებრებს იყენებდნენ ნადირის მოსაძებნად, წამოგდებისათვის; მწევარს - ნადირის კვალში ჩადგომისათვის.

თითოეულ მათგანს თავისებური წრთვნა ესაჭიროებოდა [იხ. რობაქიძე ალ. 1949:157-183; იოანე ბატონიშვილი. 1990:455; სონლულაშვილი ჯ. 1964:73-74].

საქართველოში ნადირობისას სხვადასხვა ხერხი გამოიყენებოდა: მახე-ხაფანგების დაგება და მორეკვა [შარდენი ფ. 1975:14; რობაქიძე ალ. 1949].

მეთევზეობა. მეთევზეობა მეურნეობის ერთ-ერთი დამხმარე დარგია. ის ჩვენში ძველთაგანვე ტრადიციულ საქმიანობას წარმოადგენდა. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით საქართველოს მოსახლეობა მას ჯერ კიდევ მეზოლითის ეპოქიდან მისდევდა. მთელ რიგ არქეოლოგიურ ძეგლებზე ნაპოვნია ე.წ. ჰარპუნები, რომლის მეშვეობით იჭერდნენ დიდ თევზებს და სხვა ზღვის ცხოველებს – დელფინებს, სელაპებს. აფიანჩის სადგომზე სელაპის ქვედა ყბა აღმოჩნდა. შავი ზღვა და საქართველოს მდინარეები და ტბები განთქმული იყო თევზის მრავალფეროვნებით – ზუთხი, ანჯაქია, ტარალანა, ფორეჯი, სვია, შავი ზღვის ორაგული, კეფალი, ქაფშია და სხვ. ნეოლითის ეპოქის განათხარ ძეგლებში თვალსაჩინოა მეთევზეობის ნივთები: ბადეების სანაფები, ჰარპუნები, ანკესები [იხ. კალანდაძე ალ. 1970:119]. აღსანიშნავია, აფხაზეთში აღმოჩენილი ენეოლითის ხანის თევზსაჭერი ჰარპუნები [იხ. ჩუბინიშვილი ტ. 1970:135], საგვარჯილეს მღვიმის ფენებში – ბადის სანაფები, ძვლის და ლითონის ანკესები. საინტერესოა, აგრეთვე კოლხეთის ძელურ ნამოსახლარებზე მრავლად ნაპოვნი თევზის ფხები და დელფინის ნაშთები [ჯაფარიძე ოთ. 1970:238]. აღმოსავლეთ საქართველოს მდინარის თევზების (საზანის) ყბები და თითოეული იზოლირებული კბილები დაფიქსირებული იქნა არუხლოსა და იმირის გორის ენეოლითის ფენებში. ძველი ბერძენი და რომაელი ისტორიკოსების ცნობების მიხედვით ანტიკური ხანის საქართველოში უძველესი დროიდან არსებობდა მეთევზეობა. მაგ., სტრაბონის ცნობით „მეზღვაურნი თავს ირჩენდნენ მებადურობით,

განსაკუთრებით პელამიდების (სკუმბარი) ჭერით [მელიქიშვილი გ. 1970:471]. ანტიკური ხანის კოლხეთში მეთევზეობა დანიშნურებულ დარგად გვევლინება. ამ დროს შავიზღვისპირა ქალაქებს მჭიდრო ეკონომიკური კავშირები ჰქონდათ ბერძნულ სამყაროსთან, ამიტომ არსებობს ვარაუდი, რომ კოლხეთიდან დამარილებული თევზი ანტიკური სამყაროს ქვეყნებში გაჰქონდათ [Лордкипаниძე Г. 1970:71]. ზღვაზე თევზის ჭერა ძირითადად ბადით ხდებოდა. ბადეები თავისი ფორმით და დანიშნულებით მრავალნაირია – „სახვეტი“, „ხირხილბადე“, „სასროლი“ ანუ „სალვინაკი“, „პეტიკა“, „სათრეველა“ [იხ. სონლულაშვილი ჯ. 1964:29-30; ბერაძე თ. 1981:107].

ლიტერატურა:

- ბენდუქიძე ოლ. 2005:** ჯინისში აღმოჩენილი ოსტეოლოგიური მასალის შესახებ. თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 2004 წელს ჩატარებული მუშაობის ანგარიში (ხელნაწერი ინახება საქართველოს არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ბიბლიოთეკაში, თბ., 2-14.
- ბერაძე თ. 1981:** ზღვაოსნობა ძველ საქართველოში, თბ.
- გამრეკელი ნ. 1975:** შინაური ცხენები ვანის ნაქალაქარიდან. – ვანი IV, თბილისი, გვ. 38-40.
- გამრეკელი ნ. 1976:** ბრინჯაოს პერიოდის ცხენის ძვლების ნაშთები საქართველოს ტერიტორიიდან, სსმმ, ტ. XXIX-A, გვ. 292-300.
- გამრეკელი ნ. 1980:** შინაური და გარეული ცხოველები თრიალეთის ყორღანებიდან, სსმმ, ტ. XXX-A, გვ. 239-300.
- გოგიჩაიშვილი ლ. 1971:** შიდა ქართლის ჰოლოცენური ჭალის ტყეების შესწავლისათვის. – საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, 64, # 1, თბ.
- ვახუშტი ბატონიშვილი 1973:** აღწერა სამეფოსა საქართველოსა. — ქც, IV, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ.
- იოანე ბატონიშვილი 1960:** ხუმარსწავლა, კალმასობა, I, თბ.,
- კალანდაძე ალ. 1970:** ნეოლითი. — საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970.
- ლამბერტი არ. 1938:** სამეგრელოს აღწერა, თბ.
- მელიქიშვილი გ. 1970:** ქართველები და მათი წარმომავლობის საკითხი. — სინ, ტ. I, თბ.
- ნარიშანიშვილი გ. 2006:** საფარ-ხარაბას სამართოვანი. – ძიებანი # 17-18, , გვ. 92-126.
- რობაქიძე ალ. 1949:** მიმინოთი ნადირობა გურია-

ში. — მიმოხილველი, I, 1949.

სადრადე ვ., მურვანიძე ბ. 1987: ცხენის ქანდაკება დიდი მცხეთიდან. — სმამ, ტ. 127, # 2, გვ. 437-440.

სონლულაშვილი ჯ. 1964: მასალები ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის ისტორიისათვის, თბ.

შამილაძე ვ. 1986: საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი (მასალები): მესაქონლეობა, თბ.

შარდენი ყ. 1975: მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო მ. მაგლობლიშვილმა, თბ.

ჩუბინიშვილი ტ. 1970: ენეოლითური და ადრეული ბრინჯაოს კულტურა საქართველოში. — სინ, I, თბ.

ჩხატარაიშვილი ქ. 1979: ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში, თბ.

ჯავახიშვილი ივ. 1982: ქართული სამართლის ისტორია, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VI, თბ.

ჯავახიშვილი ივ. 1986: მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის, ტ. IX, ნან. I, მესაქონლეობა, თბ.

ჯაფარიძე ოთ. 1970: შუა ბრინჯაოს ხანა საქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ.

Бендукидзе О. 1979: Голоценовая фауна позвоночных Грузии, Тбилиси.

Бендукидзе О. 2011: Дикий кабан и домашняя свинья, их значение и роль для человека преисторического и исторического периодов на территории Грузии. — Археология, этнология, фольклористика Кавказа, Тбилиси, с. 69-71.

Бендукидзе О. 2012: К Истории всадничества в древнем Казахстане. Материалы III международной научной конференции "Кадырбаевские чтения," Актюбе, с. 66-71.

Верещагин Н. 1959: Млекопитающие Кавказа, Москва-Ленинград.

Вулли Л. 1961: Ур Халдеев, Москва.

Куфтин Б. 1941: Археологические раскопки в Триалети, Тбилиси.

Лискун Е. 1934: Частное животноводство, Москва-Ленинград.

Лискун Е. 1951: Крупный рогатый скот, Москва.

Лордкипанидзе Г. 1970: К истории древней Колхиды, Тб.

Межлумян С. 1972: Палеофауна эпох энеолита, бронзы и железа на территории Армении, Ереван.

Основы палеонтологии. 1962: Млекопитающие, Москва, с. 406.

Садрадзе В. 1991: Мцхета в XV-XIII вв. до нашей эры, Тбилиси.

Соколов И. 1953: Опыт естественной классификации полорогих (Bovidae). Труды Зоологического Института, т. XIV, Ленинград.

Джанелидзе Ч. 1973: Изменения физико-географических условий Грузии в голоцене, Тбилиси, автореферат кандидатской диссертации.

Lydekker R. 1898: Crania of ruminants from the Indian testiaris. Indian tertiary and posttertiary vertebrata, 1.3 ser. X 3, Memoirs of the Geological survey of India, p. 88-181.

Matsumoto H. 1918: On some fossil bison-tines of eastern Asia. Sci. Rep. Tohoku Imp. Univer. (2 Geol.), III, Tokio, p. 83-102.

Pilgrim S. 1939: The fossil Bovidae of India, Mem. Geol. Surv. India, Calcutta, n.s., vol. XXVI, # 1.

ილუსტრაციების აღწერილობა:

ტაბ. I. 1. ძაღლის თავის ქალა და ჩონჩხის ძვლები სამშვილდის ნაქალაქარიდან; 2. შინაური ვირის ქვედა ბოლო მოლარი ორჭოსნის ნამოსახლარიდან; 3. შინაური კატის მეტაპოდიალური ძვლები ჯინისის ნამოსახლარიდან.


ტაბ. II. 1. ბურვაკების სამარხი. სრული ჩონჩხის სახით, ილმაზლოს სამაროვნიდან; 2-3. ბურვაკის თავის ქალა თავისი ქვედა ყბით (ისრით მითითებულია ჯიშისათვის დამახასიათებელი ნიშანი) ილმაზლოს სამაროვნიდან.

ტაბ. III. 1. ცხენის კბილების სრული მწკრივები ორჭოსნის ნამოსახლარიდან; 2. ცხენის ფალანგები და ქუსლის ძვალი ჯინისის ნამოსახლარიდან; 3. ცხენის მეტაპოდიუმები ჭორატის სამაროვნიდან; 4. ცხვრის ან თხის მარჯვენა ქვედა ყბა ჯინისის ნამოსახლარიდან.

ტაბ. IV. 1. ახალგაზრდა ძროხის თავის ქალა (ისრით მითითებულია ჯიშისათვის დამახასიათებელი ნიშანი) დასავლეთ საქართველოს ჰოლოცენურიდან; 2. ძროხის კოჭი ჯინისის ნამოსახლარიდან; 3. ცხვრის ქვედა ყბა ჯინისის ნამოსახლარიდან; 4. ძროხის მხრის ძვლის ქვედა ბოლო ორჭოსნის ნამოსახლარიდან; 5. ძროხის მხრის ძვლის ქვედა ბოლო ჯინისის ნამოსახლარიდან.


I

Benducidze O.




1

ძაღლის ძვლები



2

ვირის ქვედა კბილი.



3

კატის ძვლები

II



1




2



3

III



შინაური ცხენის საღეჭი კბილები






3

4



IV



მძივები ვანის ნაქალაქარის № 24 სამარხიდან

2004 წელს ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე რამდენიმე სამარხი გაითხარა (სამარხები №№ 23, 24, 25). მათგან ყველაზე ნაკლებად № 24 სამარხი იყო დაზიანებული. ეს სამარხი, რომელიც ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევრით-მინურულით თარიღდება, ვანში დღემდე გათხრილ სამარხთა შორის გამოჩეულია, არა იმდენად სიმდიდრით, რამდენადაც ფერადოვნებით (ტაბ. I, 1. მეტი ოქროს სამკაულია აღმოჩენილი № 11 სამარხში, ასევე დაფიქსირებულია 5000-ზე მეტი ვერცხლის სამკაული [Tchqonia A. 1990:264-265]; ვერცხლის ჭურჭელი №11 სამარხშიც საკმაოდ მრავლადაა, უფრო მრავალფეროვანია სხვა ინვენტარიც – თიხის, მინისა და ბრინჯაოს ჭურჭელი [ლორთქიფანიძე ოთ., ... 1972:213-239]. არანაკლები რაოდენობითაა აღმოჩენილი ოქროს ნივთები № 6 სამარხში [ფუთურიძე რ., ... 1972:113-117],. ფერადოვნებას კი პირველ რიგში ქმნიან მძივები, რომელთა რაოდენობა 17 000-ს აჭარბებს; ასე უჩვეულო რაოდენობის მძივების დასამზადებლად გამოყენებულია სხვადასხვა მასალა (მინა, მინისებური პასტა, ქარვა, გიშერი, სარდიონი, აქატი, მარჯანი), რასაც ფერთა მდიდარი და მრავალფეროვანი გამაც (ლურჯი, ცისფერი, ღია მწვანე, ქარვისფერი, ყვითელი, ზურმუხტისფერი, ფირუზისფერი, თეთრი, შავი, იისფერი) ემატება.

ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს მინის მძივები ქმნიან. გვხვდება როგორც ერთფერი, ასევე მრავალფერი მძივები. მათგან პირველი ჯგუფი სჭარბობს. ნახევრად გამჭვირვალე მონოქრომიული მინის მძივები სხვადასხვა ფერისაა: ლურჯი, ღია მწვანე, ქარვისფერი. ლურჯი მინის მძივები უმრავლესობას შეადგენენ. მათი რაოდენობა 6497-ს აღწევს (სავ. №№ 07:1-04:618, 628, 1336, 1379, 1389, 1401, 1413, 1439, 1446, 1452, 1456, 1467, 1481, 1494, 1504, 1529, 1547, 1564, 1569, 1573, 1585, 1598, 1604, 1616, 1621, 1631, 1643, 1654, 1660, 1675, 1694, 1719, 1731, 1745, 1749, 1756, 1765, 1777, 1784, 1788, 1794, 1800, 1809, 1812, 1817, 1822,

1828, 1833, 1840, 1849, 1863, 1874, 1897, 1913, 1921, 1927, 1930, 1988; მუზ. ინვ.№ 13-07:18). ისინი მსხლისებური მოყვანილობისაა, ასიმეტრიული, კონუსურარხიანი, უხეშად დამუშავებული. დამზადებულია რკინის მილაკზე მინის დახვევის გზით. მძივების დიამეტრი 0,3 სმ-დან 0,5 სმ-მდე მერყეობს, ხოლო არხის სიგრძე – 0,2-0,4 სმ-ს შორის; არხის ბოლოების დიამეტრი სხვადასხვაგვარია (0,2x0,1სმ); თანამედროვე ასხმის სიგრძე 24,14 მ-ა (ტაბ. II, 3; IV, 1).

ლურჯი მძივები მთავარი მიცვალებულის მთელ არეზე იყო მიმობნეული (ტაბ. VIII-IX, 2: №№ 7, 9, 9₁ 12, 14, 14₂, 18, 27, 27₁, 28, 29, 36, 38, 39₁, 40₁, 43, 45₁, 58, 65, 81; № 16 ფიალასთან, № 13 გულსაბნევთან, № 26 ვაზასთან, № 31 სამაჯურთან, № 62 ძვალთან). ისინი აღმოჩნდა სამარხიდან ამოღებული მინის გარეცხვის დროსაც. მაგრამ განსაკუთრებით ბევრი დადასტურდა მთავარი მიცვალებულის არის ცენტრალურ ნაწილში – გეგმაზე № 14 (1447 ც.); № 55 გროვაში (676 ც.), მძივების № 38 (568 ც.) და № 79 გროვებში (555 ც.); № 51 სასაფეთქლესთან (189 ც.), № 15 ფიალასთან (399 ც.) და № 35 ფიალის თავზე (103 ც.).

სხვა ფერის მძივების რაოდენობა გაცილებით ნაკლებია, ლურჯთან შედარებით. 1865 ც. ღია მწვანე მძივია აღმოჩენილი (სავ. №№ 07:1-04:617, 629, 1380, 1390, 1415, 1435, 1451, 1484, 1497, 1508, 1526, 1531, 1546, 1565, 1568, 1574, 1587, 1606, 1622, 1644, 1662, 1676, 1697, 1718, 1734, 1746, 17542, 1758, 1769, 1778, 1785, 1792, 1795, 1804, 1807, 1813, 1823, 1829, 1838, 1843, 1850, 1867, 1878, 1888, 1898, 1920, 1926, 1935, 1 990; მუზ. ინვ.№ 13-07:19). ისინი ასევე მსხლისებური მოყვანილობისაა. მათი დიამეტრი 0,3-0,4 სმ-ა, არხის სიგრძეც 0,3 სმ-სა და 0,4 სმ-ს შორის მერყეობს. არხის ბოლოების დიამეტრი სხვადასხვაგვარია (ტაბ. II, 2; V, 3). თანამედროვე ასხმის სიგრძე 8,25 მ-ა. ღია მწვანე მძივებიც მთავარი მიცვალებულის არეზე აღმოჩნდა (ტაბ. VIII-IX: 7, 9₁, № 14, 14₂,

27, 55, 79 სხვადასხვა მძივების გროვაში, № 13 გულსაბნევთან, № 12 და № 81 იხვების ფორმის აპლიკაციებთან, №№ 16, 35 და 59 ფიალებთან, № 26 ვაზასთან, №28 ვერცხლის სამკაულის გროვებში, № 36 შუბისპირის ქვეშ, №№ 37-თან, 40₁-თან, № 62 ძვალთან, № 65 ბეჭედთან, სასაფეთქლებთან), აგრეთვე სამარხიდან ამოღებული მინის გარეცხვის დროსაც. შედარებით დიდი რაოდენობით დადასტურდა ისინი № 9 (107 ც.), 14 (507 ც.), 38 (195 ც.), 79 (201 ც.) მძივების გროვებში, № 15 ვერცხლის ფიალასთან (178 ც.).

კიდევ უფრო ცოტაა (387 ც.) ქარვისფერი მონოქრომიული მინის მძივები (სავ. №№ 1437, 1447, 1468, 1509, 1544, 1609, 1677, 1698, 1767, 1901; მუზ. ინვ. 13-07:52). ესენიც მსხლისებური მოყვანილობისაა. მათი დიამეტრი 0,4 სმ-სა და 0,5 სმ-ს შორის მერყეობს, ხოლო არხის სიგრძე – 0,4 და 0,6 სმ-ს შორის (ტაბ. II,1; V,2). თანამედროვე ასხმის სიგრძე 1,5 მ-ა. ამ სახის მძივები თითქმის მძივების ყველა, დიდ გროვაში დადასტურდა (ტაბ. VIII-IX: №№ 9, 14, 38, 79, აგრეთვე №№ 12 და 81 იხვების ფორმის აპლიკაციებთან, № 13 გულსაბნევთან), აგრეთვე სამარხის ცენტრალური ნაწილიდან აღებულ მინაში. ყველაზე ბევრი ქარვისფერი მძივი, ზემოთ განხილულთა მსგავსად, № 14 გროვაში აღმოჩნდა (209 ც.). საერთოდაც ეს მძივები უპირატესად გულმკერდის მარცხენა მხარეში დაფიქსირდა.

მინის მძივების ყველაზე მცირერიცხოვან ჯგუფს ქმნიან შავი ფერის მძივები (16 ც.). ყველა რგოლისებურია (სავ. №№ 07:1-04:637, 1398, 1611, 2047; მუზ. ინვ. №13-2007:24). ისინი აღმოჩენილია მთავარი მიცვალებულის არეზე (ტაბ. VIII: №№ 33 და 38, მარჯვენა სამაჯურების გროვასთან). მათი დიამეტრი 0,8-1 სმ, ხოლო არხის სიგრძე 0 0,3-0,5 სმ-ია (ტაბ. III, 3; VII, 3).

ამრიგად, მინის მძივების ყველა სახეობა მთავარი მიცვალებულის მთელ არეზე დადასტურდა. როგორც ჩანს, ისინი სუდარას ამკობდნენ.

მინისებური პასტის მძივები ასევე სხვადასხვა ფერისაა (ყვითელი, ფირუზისფერი, ზურმუხტისფერი, შავი, მოთეთრო). ყველა მსხლისებური მოყვანილობისაა. ყვითელი

მძივების რაოდენობა 1912-ს აღწევს (სავ. №№ 07:1-04:633, 1382, 1400, 1416, 1436, 1466, 1482, 1507, 1530, 1545, 1572, 1586, 1600, 1605, 1648, 1661, 1678, 1695, 1722, 1732, 1744, 1750, 1757, 1766, 1779, 1801, 1836, 1842, 1851, 1862, 1864, 1899, 1919, 1925, 1931, 1989; მუზ. ინვ. № 13-2007:20). მათი დიამეტრია 0,3-0,5 სმ, არხის სიგრძეც 0,3-0,5 სმ-ს შორის მერყეობს (ტაბ. II, 4; III, 7-8; IV, 2). თანამედროვე ასხმის სიგრძე 6,90 მ-ა. ყვითელი მძივები ყველაზე დიდი რაოდენობით № 15 ფიალასთან აღმოჩნდა (357 ც.), აგრეთვე ვერცხლის სამკაულის გროვაში (გეგმაზე № 28 - 211 ც.), გეგმაზე № 38 (100 ც.) და № 79 (114 ც.) მძივების გროვებში და, რა თქმა უნდა, № 14 მძივების გროვაში (170 ც.); 83 ც. ყვითელი მძივი იდო მარჯვენა მაჯის არეში. ერთეულების ან რამდენიმე ათეულის სახით დაფიქსირდნენ ისინი სხვადასხვა მძივების გროვებში (გეგმაზე №№ 9, 9, 55), გულსაბნევთან (გეგმაზე № 13), იხვების რიგებთან (გეგმაზე №№ 12, 27, და 81), ფიალასთან (გეგმაზე № 16), ოქროს დაცვარულ მძივთან (გეგმაზე № 29), № 26 ვაზაზე, ვერცხლის ბეჭედთან (გეგმაზე № 65), სასაფეთქლებთან, ბურთულა-საკიდებთან, შუბისპირთან (გეგმაზე № 36), ძვლებთან (ტაბ. VIII-IX). 139 ც. ყვითელი მძივი აღმოჩნდა სამარხიდან გატანილი მინის გარჩევისას. ერთი სიტყვით, ყველაზე დიდი კონცენტრაცია ამ მძივებისა დაფიქსირდა მიცვალებულის წელის მარჯვენა არეში.

ფირუზისფერი მძივების რაოდენობა 832-ია (სავ. №№ 07:1-04:631, 1347, 1381, 1391, 1418, 1457, 1470, 1478, 1495, 1496, 1500, 1516, 1532, 1557, 1575, 1592, 1599, 1608, 1632, 1642, 1663, 1679, 1696, 1706, 1720, 1733, 1747, 1760, 1770, 1789, 1796, 1802, 1810, 1834, 1852, 1861, 1866, 1877, 1900, 1911, 1916, 1932, 1991; მუზ. ინვ. №№ 13-2007:21). უმრავლესობა მცირე ზომისაა: დიამეტრი მერყეობს 0,2 და 0,4 სმ-ს შორის, ხოლო არხის სიგრძე 0,3-0,5 სმ-ა (ტაბ. II, 6; V, 1). ერთი მძივი ორფერია – ფირუზისფერთან შერეულია ყვითელი. თანამედროვე ასხმის სიგრძე 4,2 მეტრია. ყველაზე დიდი რაოდენობით (271 ც.) ისინი შედიოდა მძივების იმ ჯგუფებში, რომლებიც მდებარეობდა მთავარი მიცვალებულის არის ქვედა მარცხენა კიდეში (გეგმაზე № 9 და 7); 75 ცალი აღმოჩნდა

გულსაბნევთან (გეგმაზე № 13), 44 ცალი – მძივების № 79 გროვაში, 23 ცალი - მძივების № 14 გროვაში, 119 ცალი - ფიალებთან (გეგმაზე №№ 15-16), 52 ცალი – ვერცხლის სამკაულის გროვაში (გეგმაზე № 28); 38 ცალი - ვერცხლის ბეჭედთან (გეგმაზე № 65). თითო-ოროლა მძივი მიმოფანტული იყო სასაფეთქლებთან, ძვლებთან (გეგმაზე № 62), არწივებისა და იხვების რიგთან (გეგმაზე № 27), იხვების რიგებთან (გეგმაზე № 12 და 81), თვალად მძივებთან (გეგმაზე № 38), № 26 ვაზასთან, შუბისპირთან (გეგმაზე № 36) (ტაბ. VIII-IX). რამდენიმე ათეული მძივი აღმოჩნდა სამარხიდან ამოღებული მინის გარეცხვის დროსაც. ამრიგად, ყველაზე კომპაქტურად განსახილველი ჯგუფი თავს იჩენს მთავარი მიცვალებულის არის ქვედა მარცხენა კიდეში, ფიალებთან და გულსაბნევთან.

ფირუზისფერი მძივების მცირე ჯგუფი (სავ. №№ 07:1-04:1347, 1478, 1642, 1696; მუზ. ინვ. №13-2007:22) უფრო დიდი ზომისაა – მათი დიამეტრი 0,5 სმ-ს აჭარბებს, ხოლო არხის სიგრძე – 0,6 სმ (ტაბ. II, 5; VII, 6). 50 ცალია. ეს მოდიდო მძივები თავის არეშია ნაპოვნი (სასაფეთქლესთან, № 87-ისა და 47-ის ახლოს, გეგმაზე № 55, იხვის ფორმის აპლიკაციების № 81 წრის ქვეშ (ტაბ. VIII-IX). ამრიგად, მძივების ეს ჯგუფი თავსამკაულის შემადგენელი ნაწილია.

ზურმუხტისფერი მძივების რაოდენობა კიდე უფრო მცირეა – 245 ცალი (სავ. №№ 07:1-04:1515, 1533, 1567, 1593, 1647, 1664, 1700, 1721, 1759, 1835, 1909, 1933; მუზ. ინვ. № 13-2007:23). მათი დიამეტრი 0,3 ან 0,4 სმ-ა, ხოლო არხის სიგრძე – 0,2-დან 0,4 სმ-მდე (ტაბ. III, 5; IV, 3). თანამედროვე ასხმის სიგრძე 1,33 მ-ა. აღმოჩენილია ისინი მთავარი მიცვალებულის არეზე: ყველაზე დიდი რაოდენობით (167 ც.) დადასტურდა გეგმაზე № 9 მძივების ჯგუფში, ხოლო ამ ჯგუფის ქვეშ დაფიქსირებულ № 65 ვერცხლის ბეჭედთან 11 ცალი იდო; 31 ცალი შედიოდა გეგმაზე № 28 ვერცხლის სამკაულის ჯგუფში; ხოლო ვაზაში (გეგმაზე № 26) – 6 ცალი. სამიოდე მძივია თავის არეში; თითო ზურმუხტისფერი მძივი აღმოჩნდა გეგმაზე № 55 მძივების ჯგუფში და № 15 ვერცხლის ფიალის ქვეშ, 15 ცალიც გამოირჩა გატანილი მინიდან. ამრიგად, ზურმუხტისფერი მძივები

ნელის არეშია თავმოყრილი (ტაბ. VIII). განსაკუთრებით აღსანიშნავია № 16 ვერცხლის ფიალაზე შემორჩენილი 30-ზე მეტი მძივი, რომლებიც აშკარად ორნამენტულ სახეს ქმნიან (ტაბ. X, 2).

შედარებით მცირე რაოდენობითაა – 128 ცალი (ამათგან 3 ცალი მომრგვალებულია) — შავი მინისებური პასტის მსხლისებური მძივები (სავ. №№ 07:1-04:634, 1421, 1452, 1486, 1512, 1534, 1561, 1589, 1665, 1681, 1685, 1705, 1723, 1735, 1803, 1837, 1853, 1865, 1876, 1902, 1922, 1934, 1992, 1994; მუზ. ინვ. № 13-2007:25). რამდენიმე მათგანზე შერჩენილია სხვა ფერის – მწვანე – მინის მინარევები. უმრავლესობის დიამეტრი, ისევე როგორც არხის სიგრძე 0,3-0,4 სმ-ა (ტაბ. III, 4; IV, 4). თანამედროვე ასხმის სიგრძემ 0,47 მ-ს მიაღწია. სამი მომრგვალებული მძივი უფრო დიდი ზომისაა. მათი დიამეტრი საშუალოდ 0,7 სმ-ია, არხის სიგრძე კი 0,5-0,6 სმ-ს შორის მერყეობს. ყველაზე მეტი რაოდენობით ამგვარი მძივები აღმოჩნდა მთავარი მიცვალებულის არის ქვედა ნაწილში: ვერცხლის სამკაულების გროვაში (გეგმაზე № 28 — 28 ც.), №№ 9-9₁ (25 ც.) და № 79 (10 ც.) მძივების გროვებში; აგრეთვე გატანილ მინაში (25 ც.). თითო-ოროლა დადასტურდა სხვადასხვა ადგილას: ფიალებთან (გეგმაზე №№ 15-16) და ვაზასთან (გეგმაზე №№ 2), № 65 ვერცხლის ბეჭედთან, № 81 იხვის ფორმის აპლიკაციებთან, სასაფეთქლებთან, გულსაბნევთან, № 36 შუბისპირთან და ძვლებთან (ტაბ. VIII-IX).

მცირე ჯგუფს შეადგენენ მოთეთრო-მოცისფრო მინისებური პასტის მძივები – 381 ცალი (სავ. №№ 07:1-04:1417, 1438, 1469, 1483, 1485, 1558, 1601, 1607, 1646, 1680, 1699, 1771, 1786, 1816, 1824, 1841, 1879, 1903; მუზ. ინვ. № 13-2007:26). ერთი მძივია მოთეთრო-ჩალისფერი მინისებური პასტისა (სავ. № 07:1-04:1912). ამ ჯგუფის მძივების დიამეტრი 0,4 სმ-ა, არხის სიგრძე 0,3-0,4 სმ-ს შორის მერყეობს (ტაბ. II, 9; V, 4). მძივების თითქმის ორი მესამედი კომპაქტურად იყო განლაგებული მთავარი მიცვალებულის მარცხენა მხრის და მკერდის არეში (ტაბ. VIII: №№12-13-14, 38, 55).

ყველა ზემოთ განხილული მძივი, მინისა თუ მინისებური პასტისა, მსხლისებური ფორმის-

ა. ამ სახის პასტის მძივების ყელსაბამი აღმოჩნდა ზემო ფარცხმის 35-ე სამარხში [ვაშაკიძე 1985: 63, ტაბ. XXI-8]. ამგვარი მძივები ფიჭვნარსა და ციხისძირში ადრეელინისტური ხანის სამარხეულ კომპლექსებშია წარმოდგენილი (ძვ.წ. IV ს-ის სამარხები №№ 47, 49; ცძ: 3, 43 68, 98). ფიჭვნარში ძირითადად გვხვდება ყვითელი მინისებური პასტისაგან დამზადებული ცალები. ციხისძირის ამ ტიპის მძივებში სჭარბობს ცისფერი მინისებური პასტისა და ლურჯი ფერის მინის ნიმუშები. ამგვარი მძივები ნაკლები რაოდენობით გვხვდება გვიანდელ (ძვ.წ. II ს.) სამარხებში. საერთოდ მსგავსი მძივები ჩნდება ძვ.წ. IV საუკუნეში და ელინისტური ხანის მთელ მანძილზე არსებობს. მრავლადაა აღმოჩენილი ისინი ვანში ძვ.წ. IV-III სს. სამარხეულ კომპლექსებში [გიგოლაშვილი ელ. 1983:104], დაფნარში [Кигурадзе Н. 1976:56], დაბლაგომში [Иващенко М. 1950:327-329], სვანეთში [ჩართოლანი შ. 1976:21-22], ფარცხანაყანევში [Иващенко М. 1950:326]. ისინი აღმოჩენილია აღმოსავლეთ საქართველოშიც, თეთრინყაროს ძვ.წ. VI-IV სს. ქვევრსამარხებში [ბოხოჩაძე ალ. 1963:35, ტაბ. III]. განხილული ტიპის მძივები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ძეგლებზე [Алексеева Е. 1978:28, ტიპი 48].

პოლიქრომიული მინის მძივებიც საკმაოდ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია. მათგან სიმრავლით გამოირჩევა თვალადი მძივები. ეს არც არის მოულოდნელი, რადგან თვალადი მძივები პოლიქრომიული მინის მძივების ყველაზე ფართოდ გავრცელებული სახეობაა მთელს ანტიკურ სამყაროში. №24 სამარხში 1938 თვალადი მძივია აღმოჩენილი (სავ.№№ 07:1-04:1386, 1402, 1414, 1440, 1444, 1445, 1464, 1465, 1487, 1488, 1505, 1506, 1527, 1528, 1548-1552, 1570, 1571, 1584, 1603, 1615, 1620, 1628, 1630, 1641, 1652, 1653, 1657-1659, 1674, 1693, 1715-1717, 1727-1730, 1739-1743, 1751-1753, 1755, 1763, 1764, 1774, 1775, 1798, 1799, 1808, 1811, 1818, 1819, 1821, 1831, 1832, 1839, 1846-1848, 1860, 1870-1873, 1894-1896, 1929, 1965, 1966, 1968-1976, 1983, 1984, 1987, 2020, 2036-2040; მუზ. ინვ. №13-2007:17). ვანის № 24 სამარხში აღმოჩენილ თვალად მძივებს

შორის ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს ქმნიან ლურჯბირთვიანი, რგოლისებური მოყვანილობის (მხოლოდ ერთი მძივია მსხლისებური ფორმის) მძივები, შემკული თეთრი თვალებით. განსხვავებულია ზომები და თვალის რაოდენობა. მათი დიამეტრი 0,1-0,8 სმ-ს შორის მერყეობს, არხის სიგრძე - 0,3-0,8 სმ-ს შორის. უმრავლესობას 6 თვალა აქვს, თუმცა ამავე დროს გვხვდება 3, 8 და 9 თვალისანი ცალებიც (ტაბ. II,11; VI,1-4). თვალადი მძივები მთავარი მიცვალებულის დაკრძალვის მთელ არეს მოიცავდა (ტაბ. VIII-IX: №№ 7, 9, 12-18, 22, 26-28, 35-36, 38-41, 40, 43, 45, 49-50, 53-55, 57-58, 61-62, 65, 79, 81, 91, მარჯვენა მაჯის არეზე, სასაფეთქლებთან, მინის გარჩევისას).

ტექნოლოგიური თვალსაზრისით თვალის მიღების სამი ვარიანტი არსებობს: ა) მარტივი ზედნადები – ასეთია მხოლოდ და მხოლოდ რგოლისებური თვალები. მათ იღებდნენ ბირთვზე დაფენილი, რგოლებად გაღუნული ერთფერი მინის ჩხირებისაგან. რგოლების ბოლოები ხშირად შეუკრავია ან ერთმანეთს აცდენილი. ეს დეტალები განსაზღვრავენ სწორედ რგოლისებურ თვალს, რომელიც ბრტყელია და მძივის ბირთვთან კარგად შეხამებული.

ბ) ფენებიანი ზედნადები თვალები - მათში კი ყველაზე გავრცელებული – ზედნადები-ფარისებური თვალები. ისინი მიიღება ერთმანეთზე დაფენილი დაბრტყელებული მინის დისკოებით. მძივის ბირთვთან დაკავშირებულია ქვედა დისკო. ასეთი თვალები ჩვეულებრივ ოდნავ რელიეფურია, ან ძლიერ ამობურცული, თუმცა ბრტყელი ვარიანტებიც გვხვდება [Eisen G. 1916:2-5].

გ) შედუღებულ-ზედნადები ორნამენტი, წარმოდგენილი ძირითადად რთული – ფარისებური თვალით, რომლის მისაღებად შემდეგ სამუშაოს ატარებდნენ: მინის ლეროს რიგ-რიგობით ამოავლებდნენ სხვადასხვა ფერის თხევად მინაში და გაცივების შემდეგ დისკოებად დაჭრიდნენ. თითოეული დისკო გამზადებულ თვალს წარმოადგენდა და მას მძივის გარბილებულ ფორმაში ათავსებდნენ [Eisen G. 1916:2-5]. ბირთვისა და თვალის ნაწილაკებს შორის ამ დროს მთლიანი შე-

ჭიდულობა არ ხდებოდა, რადგან პირველი თბილი იყო, მეორე კი – ცივი და მათ შორის ყოველთვის პატარა ბზარი წარმოიქმნებოდა, რომელიც წინა ორი ტიპის თვალთან მიძივებს არ გააჩნდათ.

ვანის № 24 სამარხში აღმოჩენილ თვალად მიძივებზე თვალების მიღების „ბ“ და „გ“ ვარიანტია გამოყენებული. სამთვალთან მიძივებზე თვალები მიღებულია თეთრი და ლურჯი მინის დისკოების მონაცვლეობით. მიძივები სიმეტრიულია, თვალები - არარელიეფური. ასეთი მიძივები გვხვდება ძვ.წ. V საუკუნის ფიჭვნარის კოლხურ და ბერძნულ ნეკროპოლებზე, მაგრამ მხოლოდ თითო-ოროლა, ხოლო ძვ.წ. IV საუკუნის სამარხებში ისინი რამდენიმე ათეული ცალითაა წარმოდგენილი. ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ძეგლებზე ამგვარი თვალადი მიძივები ძვ.წ. III-II საუკუნეების სამარხებში გვხვდება [Алексеева Е. 1978:54-55].

ამავე ტექნოლოგიითაა დამზადებული ექვსთვალთან მიძივები. თვალის მიღებულია თეთრი და ლურჯი მინის დისკოების თითოჯერ შენაცვლებით. ისინი ზიგზაგისებურადაა განლაგებული არხის ძირითად დიამეტრზე. მსგავსი ცალები ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან ცნობილია ძვ.წ. VI-V საუკუნის ფენებიდან, თუმცა არსებობას ელინისტურ ხანამდე აგრძელებენ [Алексеева Е. 1975:კატ.15-6, ტიპი 54]. ზაპოროჟიეში ძვ.წ. IV საუკუნის სკვითურ სამარხში აღმოჩნდა ანალოგიური ტექნიკით შესრულებული, ლურჯბირთვიანი თვალადი მიძივი [Тереножкин А., ... 1977:172, სურ. 3/23].

ცხრა თვალთან 30 ნიმუშია აღმოჩენილი. ლურჯ კასრისებურ ბირთვზე განლაგებული ცხრა ოდნავ რელიეფური თვალები მიღებულია თეთრი და ლურჯი მინის დისკოების ერთმანეთზე დადებით. მსგავსი მიძივები ცნობილია ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის კომპლექსებიდან, რომლებიც ძვ. წ. III-II საუკუნეებით თარიღდება [Алексеева Е. 1975: ტიპი 70], აგრეთვე ვანის № 9 სამარხიდან, რომელიც ძვ.წ. IV საუკუნის მესამე მეოთხედით თარიღდება [გიგოლაშვილი ელ. 1983: კატ. № 451].

თვალად მიძივებს შორის გამოირჩევა ერთი ცალი – მსხლისებური ფორმის ლურჯი მინის მიძივი, რომელზეც თვალები შესრულებულია

რთულად: როგორც ჩანს, ჯერ რთული კომბინირებული თვალის იქნა დამზადებული და მერე ჩასვეს ის მიძივის რბილ ზედაპირზე, რის შედეგადაც წარმოიშვა მცირე ბზარი. თვით თვალები შემდეგნაირადაა დამზადებული: თეთრი მინის დისკოზე დასმულია ლურჯი მინის დისკო და მასზე კვლავ თეთრი მინით გაკეთებულია რვაფურცლიანი ყვავილისებური გამოსახულება, შუაში ლურჯი პატარა წერტილით. თვალების გამოყენების „გ“ ვარიანტია გამოყენებული. არხის დიამეტრიც მიძივების ბოლოებში ერთმანეთისაგან 1 მმ-ით განსხვავდება, როგორც საერთოდ ამ ფორმის მიძივებისათვისაა დამახასიათებელი. მსგავსი ცალები, რომლებიც ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში აღმოჩნდა, ე. ალექსეევას მიერ ძვ.წ. IV საუკუნით თარიღდება [Алексеева Е. 1978:55, ტიპი 374ბ].

ვანის №24 სამარხში ამ ტიპის თვალადი მიძივები საკიდებშიცაა ჩართული – ე.წ. ბურთულა-საკიდებში. ეს საკიდები თავისებური აგებულებით ხასიათდებიან: მიძივს ოქროს მავთული აქვს შემოხვეული, მაგრამ არა გარედან ბადის სახით, არამედ არხში რამდენჯერმე გავლით და მარყუჟისებური ყუნწის შექმნით. საქართველოში ვანის თანადროული ბურთულა-საკიდები უფლისციხის კლდოვან სამარხში, კავთისხევის ციხიანოვანის სამარხის მდიდრულ ორმოსამარხსა და საირხის № 6 სამარხში არის აღმოჩენილი. პირველი თარიღდება ძვ.წ. IV ს-ის მინურულით, მეორე – ძვ.წ. III ს-ის დასაწყისით, მესამე კი – ძვ.წ. IV საუკუნის შუახანებით ან მესამე მეოთხედით. კავთისხევის სამარხში ჩვენთვის საინტერესო სამკაულის მთელი კომპლექტია წარმოდგენილი - ყელსაბამის საკიდი და საყურის საკიდები. სამივე ერთნაირი აგებულებისაა: ოქროს ჭვირული ფილიგრანის ბადეში ჩასმულია გაურკვეველი თეთრი ქვის ბურთულა (და არა მიძივი). აღსანიშნავია კიდევ ერთი საკიდი. ის წარმოადგენს ოქროს რკალჯვარედინიან ბუდეს, რომელშიც ცალმხრივ ამობურცული სარდიონია ჩასმული [ცქიტიშვილი გ. 2001:41-42, სურ. 3₂, 4-5]. ნევილი საყურე უფლისციხიდან წარმოადგენს ოქროს ძაფებისაგან შექმნილ ბადეში ჩასმულ ქვის ბურთულას [ყიფიანი გ. 2000:79, სურ. 31]. რაც შეეხება საირხის

საკიდს, ის შედგება ოქროს სადა მძივზე მირჩილული ოქროსავე მავთულის ბადისაგან, რომელიც ცვარათი შედგენილი პირამიდით ბოლოვდება; ბადეში ჩასმულია სფეროსებური მძივი [მახარაძე გ., ... 2007:59, სურ. 33, ფოტო 88]. როგორც ვხედავთ, უფლისციხის, კავთისხევური და საირხული ბურთულა-საკიდები ვანურისგან განსხვავებული აგებულებისაა – ჭვირული ფილიგრანის ტექნიკის გამოყენებითაა შექმნილი.

საქართველოში ბურთულა-საკიდები ცნობილია მოგვიანო ხანის რამდენიმე ძეგლიდანაც: არმაზისხევის სამაროვნის მეცამეტე სამარხიდან, რომელიც ახ.წ. IV საუკუნეს მიეკუთვნება [აფაქიძე ან., ... 1955:106-107, ტაბ. XII, 1; XCVII, 1], მცხეთის სამაროვნის ახ.წ. I-II საუკუნეების №1 აგურ-კრამიტსამარხიდან [კალანდაძე ალ. 1949:267-268, ტაბ. VII, სურ. 36], ურეკის ახ.წ. III საუკუნის დასასრულის - IV საუკუნის დასაწყისის სამარხიდან [აფაქიძე ან. 1947:96-110, სურ. 6; სადრაძე ვ. 2009:52, ტაბ. I, 9-11]. მაგრამ ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში ბურთულებს მძივები კი არ წარმოადგენენ, როგორც ეს ვანის განსახილველ სამარხშია, არამედ სხვადასხვა მასალის (მთის ბროლის, ქალცედონ-აქატის, მარკაზიტის, პირიტის) დაუმუშავებელი კენჭები, ნატეხები ან ბურთულები.

ბურთულა-საკიდები კარგადაა ცნობილი ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთიდან, სადაც საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში არსებობენ. კერძოდ, ამგვარი აგებულების საკიდები აღმოჩენილია ზელენსკის ყორღანში ჩაშვებულ და აკ-ბურუნის კონცხის სამარხებში, სტანიცა ტამანსკაიას, კურჯიპისა და სტანიცა მარიევსკაიას ყორღანებში, რომლებიც ძვ.წ. IV საუკუნის მინურულითა და III საუკუნით თარიღდება. უფრო ადრეულია, ძვ.წ. V ს-ის შუახანებს მიეკუთვნება IV შვიდი ძმის ყორღანის მთავარი სამარხი და უფრო გვიანდელია, ახ.წ. II საუკუნეს მიეკუთვნება, უსტ-ლაბინსკის № 42 ყორღანი, რომლებშიც ბურთულა საკიდები აღმოჩნდა. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ თითქმის ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში ბურთულა-საკიდები აღმოჩენილია ყელის არეში ან მკერდზე ამულეტებთან ერთად. ამას ემატება ისიც,

რომ ბურთულების ბადე კვანძებითაა შექმნილი. კვანძები კი, როგორც ცნობილია, მაგიური ძალის მქონედ არის მიჩნეული. ამიტომაც სწორედ, რომ ბურთულა-საკიდებს მაგიურ ძალას მიაწერენ [ბურთულა-საკიდების შესახებ დაწვრი. იხ. Максимова М. 1962:226-230]. მ. მაქსიმოვამ საქართველოში აღმოჩენილი საკიდები არმაზისხევიდან, მცხეთიდან და ურეკიდან ტიპოლოგიურად ტამანის და ყუბანისპირეთის ბურთულა-საკიდების სერიას მიაკუთვნა და ჩრდილოეთიდან გადმოღებულად და შემდეგ დამუშავებულად მიიჩნია [Максимова М. 1962:228, შენ. 20]. ან. აფაქიძემ კი ისინი დაუკავშირა საქართველოშივე აღმოჩენილ გვიანი ბრინჯაოს ხანის მრგვალ აჭურულ ბრინჯაოს საკიდებს, თავის დროზე შევსებულს სხვადასხვა მასალით [აფაქიძე ან. 1947:98].

თვალადი მძივების მეორე ჯგუფს ქმნიან ცისფერბირთვიანი ლურჯ თვალებიანი ცალები, რომლებიც საკმაოდ მცირერიცხოვანია (სავ. №№ 07:1-04:636, 1387, 1396, 1449, 2044; მუზ. № 13-2007:48). ისინი სფერულია (დმ. 0,7 სმ, არხის სიგრძე - 0,6 სმ). თვალები მიღებულია თეთრი, ყავისფერი და ლურჯი მინის რგოლების მონაცვლეობით (ტაბ. II, 13; VI, 8). თორმეტი ასეთი მძივია ნაპოვნი, რომელთაგან ორი დამტვრეულია. აღმოჩენილია ისინი ძირითადად სამაჯურების გროვებში (გეგმაზე №№ 7 და 33; ტაბ. XII, 1-2). თითო-ორთა შეგვხვდა მძივების ცენტრალურ გროვაში (გეგმაზე №14; ტაბ. VIII). როგორც ჩანს, ეს მძივები სამაჯურების შემადგენლობაში შედიოდა. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც მძივები ქმნიან სამაჯურების განსაკუთრებულ სახეობას. № 16 სამარხში მოზაიკური მძივები და ფაიანსის შემკრები მძივები სამაჯურების გროვაში აღმოჩნდა [კაჭარავა დ., ... 1986:20, შენ. 100]. № 11 სამარხში სამაჯურებს ქმნიდნენ თუ სამოსის სახელოების კიდებს ამკობდნენ ოქროსა და სარდიონის მძივები [ლორთქიფანიძე ოთ., ... 1972:214]. მსგავსი რამ დასტურდება ფიჭვნარის სამაროვანზეც [კახიძე ამ., ... 2006:30, 94].

ვანში თვალადი მძივები აღმოჩენილია როგორც სამარხებში (№№9, 16, 21, 22 და 23 [გიგოლაშვილი ელ. 1983:99; კაჭარავა დ., ... 1986:32,

სურ. 14_{4,5}), ასევე ძვ.ნ. IV და IV-III საუკუნეებით დათარიღებულ კულტურულ ფენებში [გიგოლაშვილი ელ. 1983:99-100]. „ვანის ქვეყნის“ ძეგლებიდანაცაა ისინი ცნობილი - ქვედა ციხესულორიდან [ხარაბაძე ს. 2005:33, ტაბ. III, 5-6, 8], დაბლაგომიდან [თოლორდავა ვ. 1976ა:48-67, სურ. 86,1; თოლორდავა ვ. 1976ბ: 68-78, სურ. 86, 2], დაფნარიდან [Кигурадзе Н. 1976:55, ტაბ. 24, 6]. თვალადი მძივები ნაპოვნია კოლხეთის სხვა ძეგლებზეც; კერძოდ, ისინი აღმოჩენილია ითხვისის [გაგოშიძე გ., ... 2006:41, 44, 51, ტაბ. X,18; XIII,37; XVIII,64; XIX,75], საირხის [ნადირაძე ჯ. 1990:75; მახარაძე გ., ... 2007:42, 48, 60, 73, 77, სურ. 9, 20, 33, 57,61, ფოტო 43, 88, 124], ფიჭვნარის [კახიძე ამ. 2007:93; კახიძე ამ., ... 2004:124; თურმანიძე მ. 2007:135-136, ტაბ. I,22], ციხისძირის სამაროვნებზე. აღსანიშნავია, რომ თვალადი მძივები უფრო მოგვიანებით, რომაულ ხანაშიც გვხვდება, თუმცა ძალზე იშვიათად. მხედველობაში გვაქვს აგრაფის ძეგლებში ჩასმული და აგრეთვე ყელსაბამის ასხმის ლურჯი მინის თვალადი მძივები ურეკის ახ.ნ. III საუკუნის დასასრულის-IV საუკუნის დასაწყისის სამარხიდან [აფაქიძე ან. 1947:99-102, 105, სურ. 8, 15; სადრაძე ვ. 2009: 52, ტაბ. I,14; II,10].

თვალადი მძივები ვანის №24 სამარხის თანადროულ აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლებზეც გვხვდება. კერძოდ, ისინი აღმოჩენილია ციხიაგორას მდიდრულ სამარხში [ცქიტიშვილი გ. 2001:43, ტაბ. I, 18], გომარეთის სამაროვანზე [დავლიანიძე ც. 1983:153].

პოლიქრომიული მინის სამი მძივი №24 სამარხიდან ცილინდრული მოყვანილობისაა (სავ. №№ 07:11-04:1910, 1967, 1977; მუზ. ინვ.№ 13-2007:28-29). ორი მძივი შავი დახშული მინისაა, ერთი – ცისფერი. ისინი შემკულია თეთრი მინის ძაფით. ორ მძივზე ძაფი ირგვლივაა შემოხვეული, ერთზე კი - ტალღისებურ ორნამენტსა ქმნის (ტაბ. II, 7-8; VII, 4, 8). მათი სიგრძე 1,7 სმ-სა და 2,4 სმ-ს შორისაა, ხოლო დიამეტრი - 0,8-0,9 სმ-ა. ერთი მძივი აღმოჩენილია მთავარი მიცვალებულის არიდან აღებული მინის გარჩევისას, დანარჩენი ორი კი — მთავარი მიცვალებულის არის გარეთ (გეგმაზე №18, 52) – ინვენტარის გროვაში. ასე რომ ორი მძივი მაინც მონაწილეობდა სუდარის

შემკულობაში (ტაბ. VIII).

პატარა ჯგუფს ქმნიან მოყვანისფრო დახშული მინის მილაკისებური მოყვანილობის მძივები (5 ცალი). შუა წელზე შემოუყვება თეთრი მინის ძაფები (სავ. № 1518, 1687, 1701, 1725, 1915; მუზ.ინვ.№ 13-2007:31). აღსანიშნავია, რომ ამ მძივების ბირთვი მილაკზე დახვევის გზითაა მიღებული, რასაც მოწმობს შეერთების კვალი. აღმოჩენის ადგილის მიხედვით (მიცვალებულის ყელის არეში) საფიქრებელია, რომ ისინი ყელსაბამის ნაწილებია. მთელი ნიმუშების დიამეტრი 0,5 სმ-ა, სიგრძე – 1,1 სმ (ტაბ. III, 24-25). ასეთი მძივებისაგან შემდგარი ყელსაბამი აღმოჩენილია ზემოფარცხმის 316-ე ქვევრსამარხში [ვაშაკიძე 1985: 39, ტაბ. XI]. ანალოგიური ასხმა ნაპოვნია ფარცხანაყანევი [Куфтин Б. 1950:326], დაბლაგომში [Иващенко М. 1950:326-328]. ცნობილია ისინი ლარილარიდან [ჩართოლანი შ. 1976: ტაბ. VI], დაფნარიდან [Кигурадзе Н. 1976:ტაბ. XIX], ვანის ელინისტური ხანის კულტურული ფენიდან [გიგოლაშვილი ელ. 1983:კატ. № 464]. ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში მსგავსი მძივები აღმოჩენილია ფანაგორიაში, ქერსონესში, პანტიკაპეონში. ელ. ალექსეევას აზრით, ამ ტიპის მძივები დამახასიათებელია ელინისტური პერიოდისათვის და ფართოდ ვრცელდება რომაულ ხანაში [Алексеева Е. 1978:42, ტიპი 174, ტაბ. 27].

გამოირჩევა ერთი მძივი (სავ. № 1639) ცისფერი მინისა (გეგმაზე №53 - ყელის არეში), შემკული ლურჯი თვალებით, რომლებიც ბირთვის ძირითად ზედაპირზეა განლაგებული, ხოლო არხის ბოლოებში თეთრი და ყვითელი მინისებური პასტის რელიეფური კოპები მონაცვლეობენ. ამგვარი მძივი აღმოჩენილია ძვ.ნ. V საუკუნის კოლხურ სამაროვანზე ფიჭვნარში. ამ ტიპის მძივები ცნობილია ჩრდილო შავიზღვისპირეთიდან და ჩრდილო კავკასიიდან (ლიმანის ძვ.ნ. IV-III სს. კულტურული ფენა; ქალის მდიდრული სამარხი მელიტოპოლში [Алексеева Е. 1978:56, ტიპი 285; Онайко Н. 1970:107, XIII]).

სხვა ჯგუფებთან შედარებით ეგვიპტური ფაიანსი მძივები მცირერიცხოვანია, თუმცა იოტები (ტაბ. II, 10; VII, 2) საკმაო რაოდენობით აღმოჩნდა როგორც მთავარი მიცვალებუ-

ბულის არეში (სავ. №№ 1403, 1448, 1462, 1489, 1510, 1555, 1588, 1623, 1636, 1683, 1704, 1738, 1748, 1761, 1781, 1787, 1805, 1814, 1826, 1830, 1854, 1856, 1868, 1905, 1923, 1936, 1993, 2053; მუზ. ინვ. № 13-2007:27 — №№ 9, 14, 40, 45, 79 და 80 მძივების გროვებში; №28 ვერცხლის მილაკებისა და მძივების გროვაში; №№ 15-16 და 35 ფიალებთან, № 26 ვაზასთან; № 12 და № 81 იხვების ფორმის აპლიკაციების რიგის ქვეშ; № 13 გულსაბნევთან; მთელს არეზე თავსამკაულსა და ფიალებს შორის; № 36 შუბისპირის ქვეშ; ძვლებთან; არხში სამარხის გაყოლებაზე; მინის გარჩევის დროს), ასევე თანადაკრძალულებთან (სავ. №№ 07:1-04:2015, 2019, 2028) (ტაბ. VIII-IX). აღსანიშნავია, რომ ერთი თანადაკრძალულის თავის არეში იოტები უჩვეულოდ დიდი რაოდენობით აღმოჩნდა. აქ აღმოჩენილი იოტების თანამედროვე ასხმის სიგრძემ 7 მ შეადგინა (ტაბ. VII,2). როგორც ჩანს, იოტებით თავსამკაული იყო უხვად შემკული. განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევს ერთი მომენტი: იოტები საკმაოდ დიდი რაოდენობით გამოვლინდა ვერცხლის სამკაულის № 28 გროვაში, რომელიც მთავარი მიცვალებულის მარჯვენა კიდესთან დაფიქსირდა და რომელიც მილაკების, სფერული მძივების, ჩაზნექილგვერდებიანი პირამიდისებური და ნახევარსფერული დაღარული საკიდებისაგან შედგება (ტაბ. XI). ამ სამკაულის ნაწილი ვერცხლის ვაზაზეც გადადიოდა. როგორც ამ ვაზაზე დაფიქსირებულ ნაწილზე ჩანს, ვერცხლის მილაკები და მძივები იოტებთან ერთად გარკვეული რიგით მონაცვლეობდნენ (ტაბ. XI,1), ეს ფაქტი მთავარი მიცვალებულის არის სხვა ადგილებშიც დადასტურდა (ტაბ. XI,2). ჯერჯერობით არ ხერხდება ამ გროვის რაობის დადგენა. ამაში ვერც ამგვარი ვერცხლის სამკაულის ჯგუფის ვანში აღმოჩენის სხვა ადრე ცნობილი შემთხვევები გვეხმარება. ვანის № 11 სამარხში ასეთი გროვა მთავარი მიცვალებულის არის მარჯვენა კიდესთან იდო ასევე [ლორთქიფანიძე ოთ., 1972:214, სურ. 184ა]. აქაც დასტურდება თითქოს ერთგვარი კანონზომიერება ვერცხლის სამკაულის სახეობების განლაგებაში. № 22 სამარხში ასეთი ჯგუფი ვერცხლის მონეტების (კოლხური ტრიობოლების) ორ გროვას შორის დაფიქსირდა.

ამჯერად, ცოტა ძნელია რაიმე კანონზომიერების დანახვა, ისე დაშლილ-დაზიანებული იყო ვერცხლი. ვანის მაგალითები ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიან, რომ ვერცხლის სამკაული ქსოვილზე იყო დაკერებული (მანტი-აზე, მოსასხამზე?). სხვა ვითარებაა საირხის სამაროვანზე, № 13 სამარხის მთავარ მიცვალებულს თავზე ეხურა ვერცხლის მილაკების, მძივების, ნახევარსფერული საკიდებისა და პასტის იოტებისაგან შედგენილი თავსაბურავი, ოქროს რომბულფირფიტებიანი დიადემა, ეკეთა სხივანა საკიდები და წყვილი საკერბელი. ვერცხლის სამკაულებისა და იოტების ასეთი განლაგება დადგენილი: ოთხფა ძაფზე ასხმულ თითო მილაკს მოსდევს ეგვიპტური ფაიანსის სამი იოტი, შემდეგ ვერცხლის სფერული მძივი, შემდეგ ისევ სამი იოტი და ისევ მილაკი და ასე გრძელდება. რამდენიმე ასეთი აცმის ბოლო ჩასმულია დაღარულ ნახევარსფეროში; შემორჩენილია ქსოვილის ფრაგმენტიც [მახარაძე გ., ... 2007:90, სურ. 82].

გაცილებით მეტია მცირე ზომის (დმ 0,35-0,5 სმ, არხის სიგრძე 0,25-0,4 სმ) მოზაიკური მძივები (ტაბ. II, 12; VI, 7), როგორც ყავისფერ-, ასევე ლურჯჩანართებიანი (სავ. №№07:1-04:1419, 1450, 1511, 1519, 1556, 1625, 1633-1635, 1649, 1684, 1703, 1724-1726, 1737, 1768, 1772, 1780, 1790, 1793, 1815, 1908, 2043, 2059, მუზ. ინვ. №№ 13-2007:50). ისინი მიმოფანტული იყო ძირითადად თავისა და მკერდის არეში (გეგმაზე №13 გულსაბნევის ქვეშ, გულსაბნევსა და თავსამკაულს შორის, გულსაბნევსა და არნივების ფორმის აპლიკაციების რიგს შორის, მძივების №№9, 14, 55 და 79 გროვებში, იხვების ფორმის აპლიკაციების მარცხენა რიგის ქვეშ – გეგმაზე № 12, სასაფეთქლებთან - გეგმაზე №№ 40, 45,), (ტაბ. VIII-IX,1).

შვიდი მოზაიკური მძივი ცილინდრულია (სავ. №№ 07:1-04:1688-1689, 1726, 1772, მუზ. ინვ. № 13-2007:51). მათი დიამეტრი 0,5 სმ-ა, სიგრძე – 9,9 სმ (ტაბ. II,14; VI,6). ისინი აღმოჩნდა მთავარი მიცვალებულის არეზე (№ 79 მძივების გროვაში, № 81 იხვების აპლიკაციების წრის ქვეშ, სასაფეთქლებთან და გულსაბნევსა და თავსამკაულს შორის) (ტაბ. VIII-IX). მინისებური პასტის ცილინდრული ფორმის მოზაიკური მძივები ვანში აღმოჩე-

ნილია აგრეთვე № 16 სამარხში [კაჭარავა დ., ... 1986:32].

პოლიქრომიული მძივების ცალკე ჯგუფს ქმნიან მოზაიკური მძივები (დმ-0,55 სმ, არხის სიგრძე 0,5 სმ). მათთვის დამახასიათებელია რთული ორნამენტი. მოთეთრო-მონაცრისფრო მძივის ბირთვზე დასმულია რთული კომბინირებული ორნამენტი, რომელიც მიღებულია თეთრი და ლურჯი ან თეთრი და ყავისფერი მინის მონაცვლეობით. თეთრი მინის დისკოზე გამოყვანილია სტილიზებული ექვსფურცლიანი ყვავილი შუაში პატარა წერტილით. მძივის ბირთვი მინისა და კვარცის შენარევისაგანაა დამზადებული და ადვილად იშლება. თვალეები, როგორც ჩანს, ხელოსანს ცალკე ჰქონდა დამზადებული და შემდეგ მოხდა მათი ბირთვზე დასმა. ბირთვსა და თვალს შორის ცუდი თანხვედრაა. ამიტომ თვალეები მისი ზედაპირიდან ცვივა. ვანის სამარხში 11 ც. ამგვარი მძივია (სავ. №№ 07:1-04:636, 1397, 1612, 2041; მუზ. ინვ. № 13-2007:49), (ტაბ. II,15; VI,5) აღმოჩენილი მთავარი მიცვალებულის არეზე, სამაჯურების გროვებში ან მათ სიახლოვეს (ტაბ. VIII): სამი მარჯვენა ხელის სამაჯურების გროვაში აღმოჩნდა, ოთხი – მარცხენა ხელის, ოთხი – მარჯვენა მარჯვის სიახლოვეს, გეგმაზე №38 მძივების გროვაში, ხოლო ერთი მძივი ვერცხლის ვაზასთან ახლოს იდო. განხილული მძივების ტოპოგრაფია გვიჩვენებს, რომ ეს მძივებიც ჩართული იყო სამაჯურების შემადგენლობაში (ტაბ. XII). მსგავსი მძივი აღმოჩენილია ფიჭვნარში ძვ.წ. IV საუკუნის ბერძნულ სამაროვანზე, № 79 სამარხში. ფორმისა და მასზე თვალეების განლაგებით, ოღონდ მთლიანად მინისაგან დამზადებული მძივი ცნობილია სოფ. პერვომაევკის მახლობლად აღმოჩენილი სკვითური სამაროვნიდან. განსახილველი ტიპის მძივების შემცველი კომპლექსი ძვ.წ. IV-III საუკუნეებით თარიღდება [Евдокимов Г.,... 1987:105-106, სურ. 17/3]. შავი და ყვითელი მინისაგან დამზადებული ანალოგიური ცალეები დადასტურებულია ლუგოვოს ძვ.წ. VI-IV საუკუნეებით დათარიღებულ სამარხეულ კომპლექსებში [Козенкова В.1982: 64, ტიპი IV-2, ტაბ. XXXIX/49-50].

სამარხის მიმდებარე ტერიტორიაზე, არხში აღმოჩნდა მინის მძივები და მინის სამკაულის

დაბოლოება (ტაბ. III, 9-13). რამდენადაც მათი წარმომავლობა სამარხიდან უცილობელი არ არის, ამდენად მათ საგანგებოდ არ განვიხილავთ.

მინის მძივებთან შედარებით ბევრად უფრო მცირერიცხოვანია ქარვისა და გიშრის მძივები. 9 ც. გიშრის მძივი ე.წ. შემკრები მძივების სახეობას მიეკუთვნება (სავ. № 07:1-04:1562-1563; მუზ. ინვ. № 13-2007:43). ერთი მათგანი ოვალურია, სხვები – კვადრატული (ტაბ. III, 21; VII, 10 -11). ოვალური მძივი დაღარულზედაპირიანია (დმ - 1,1x0,8 სმ, სისქე – 0,3 სმ). ოვალური, ორნახვრეტიანი, განივად დაღარულზედაპირიანი გიშრის შემკრები მძივი აღმოჩენილია საირხის № 1 სამარხში [მახარაძე გ.,... 2007:42, სურ. 9]. აღსანიშნავია, რომ ამავე სამარხში დადასტურებულია ანალოგიური ფორმის ოქროს შემკრები მძივი – ორნახვრეტიანი, ოვალური, განივად დაღარული წინა პირით [მახარაძე გ.,... 2007:38, ფოტო 36]. ვანის კვადრატული მძივები (0,6x0,65 სმ, სისქე – 0,3 სმ) ნაკვეთი ბადითაა შემკული. ერთი მძივი გატეხილია. გიშრის ასეთი მძივები საირხის იმავე № 1 სამარხში პოულობს ანალოგიას [მახარაძე გ.,... 2006:42, სურ. 9]. გიშრის დანარჩენი მძივები სხვადასხვაგვარია ზომითა და ფორმით: ა) ცილინდრული, შედარებით დიდი ზომის (დმ 0,2 სმ, სიგრძე – 0,40,5 სმ), (ტაბ. III, 2; VII, 7). 34 მთელი ნიმუშია, არის ფრაგმენტებიც (სავ. №№ 07:1-04:1392, 1449, 1537, 1560, 1736, 1917, 2046; მუზ. ინვ. № 13-2007:37. აღმოჩენილია ისინი - გეგმაზე № 7-თან, გულსაბნევის ქვეშ; მძივების გროვებში - № 9 და № 9₁, №№ 12-თან და 13-თან, №14, №55, № 81-ის ქვეშ, სამაჯურების მარჯვენა გროვასთან, აგრეთვე მინის გარჩევისას), (ტაბ. VIII, IX, 2); ბ) რგოლისებური (სავ. №№ 07:1-04:1610, 1685, 1399, მუზ. № 13-2007:39, 42, 46), (ტაბ. III,1, 26; VII,9) 7 ცალია, რომელთაგან 1 დამტვრეულია. აღმოჩენილია სამაჯურების გროვაში (ტაბ. VIII, № 33); გ) ცილინდრული, იოტისებური (სავ. №№ 1420,1499, 1513, 1559, 1650, 1682, 1707, 1776, 1907; მუზ. № 13-2007:41) – დმ- 0,3 სმ, არხის სიგრძე – 0,2-0,4 სმ (ტაბ. III, 22); დ) დანახნაგებული – 7 ცალი (სავ. №№ 07:1-04:1538, 1637, 1651, მუზ. № 13-2007:40, (ტაბ. III, 23). მათი აღმოჩენის ტოპოგრაფია

(№№ 9₁, 45₁, 55-თან) გვიჩვენებს, რომ ზოგი გიშრის მძივი შედიოდა სამაჯურების შედგენილობაში (ტაბ. VIII).

მართალია, გიშრის საბადოები დასავლეთ საქართველოში კარგადაა ცნობილი, გიშრის უადრესი მძივები აღმოჩენილია ძვ.წ. XV-XIV საუკუნეების ძეგლებზე [Рехвиашвили Н. 1957:47] და პოპულარული ჩანს წინარეანტიკურ ხანაშიც (ნიგვზიანის [Микеладзе Т., ... 1977:38, სურ.4; Микеладзе Т., ... 1976:99-100], ურეკის [მიქელაძე თ. 1985:58], ერგეტის I [პაპუაშვილი რ. 1998:46] სამაროვნებზე), ვანის ნაქალაქარზე, ისევე როგორც დასავლეთ საქართველოსა და საერთოდ სამხრეთ კავკასიის თანადროულ ძეგლებზე, გიშრის მძივები მცირე რაოდენობით არის აღმოჩენილი. გიშრის მძივები შედის ნარჩინებული კოლხი ქალის № 11 (ძვ.წ. V საუკუნის შუახანები), მეომრის № 9 (ძვ.წ. IV საუკუნის მესამე მეოთხედი), ბავშვის № 10 (ძვ.წ. IV საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი) და № 16 (ძვ.წ. III საუკუნის დასაწყისი) სამარხების ინვენტარში [გიგოლაშვილი ელ. 1983:98, კატ. №№ 444-448].

არც ქარვის მძივები ჩანს მრავალრიცხოვანი № 24 სამარხის ინვენტარში: 318 ბრტყელი და მრავალნახნაგა ნიმუშია აღმოჩენილი (სავ. №№ 07:1-04:640, 1498, 1514, 1536,1553, 1576,1590, 1614, 1667, 1686, 1782, 1825, 1845, 1906, 1924, მუზ. ინვ. № 13-2007:35, ტაბ. III, 18-19) და 274 იოტი (სავ. №№ 07:1-04:620, 640, 1453, 1517, 1535, 1554, 1576, 1591, 1613, 1624, 1638, 1666, 1806, 1844, 1904; მუზ. ინვ. № 13-2007:34, ტაბ. III, 17; VII,1). ბრტყელი და მრავალნახნაგა ნიმუშები აღმოჩენილია მთვარი მიცვალებულის არეზე (ტაბ. VIII: № 12-თან, № 13 გულსაბნევეზე, 9, 9₁, 14, 28, 38, 65, 79, № 12-ის ქვეშ, № 35-ის თავზე, № 18 საკიდთან), აგრეთვე მინის გარჩევისას; იოტები დადასტურდა გეგმაზე №№ 9₁, 9, 14, 18, 27₁, 28, 38, 40₁, 45₁, 65, ძვლებთან (ტაბ. VIII), აგრეთვე მინის გარჩევისას. როგორც ვხედავთ, ქარვის მძივებსა და იოტებს თითქმის ერთნაირი გავრცელება აქვთ მთავარი მიცვალებული არეზე. იოტების თანამედროვე ასხმის სიგრძე 0,95 სმ-ა. სხვათაშორის ეს არაა პირველი შემთხვევა ქარვის იოტების აღმოჩენისა სამარხულ ინვენტარში ჩვენში. კერძოდ, ისინი და-

დასტურებულია ფიჭვნარის ძვ.წ. V საუკუნის კოლხურ სამაროვანზე [თურმანიძე მ. 2005:45] და წითელი შუქურას სამაროვნებზე (Трапш М. 1969:104, ტაბ. VIII, 21). რაც შეეხება პოლიგონალურ მძივებს, მათი სიგრძე 0,6 სმ-ა, დიამეტრი 0,3 სმ. თანამედროვე ასხმის სიგრძე 0,65 მ-ა. ზომებით გამოირჩევა ერთი მძივი (სავ. № 07:1-04:1914), რომლის ფორმა (ცხოველი?) ფრაგმენტულობის გამო ძნელი დასადგენია (ტაბ. III, 20). ერთი მძივი წაგრძელებული ოთხკუთხედის მოყვანილობისაა (სავ. № 07:1-04:1782, მუზ. № 13-2007:36). მისი სიგრძე 0,5 სმ-ა, სიმაღლე – 0,3 სმ (ტაბ. III, 16).

ქარვის მძივები საკმაო რაოდენობით გვხვდება დასავლეთ საქართველოს წინარეანტიკური ხანის სამაროვნებზე – ნიგვზიანი [Микеладзе Т., ... 1977:36, 38, სურ. 4], მუხურჩა [Гогодзе Е., ... 1977: 60-70], მერხეული [ბარამიძე მ. 1977:60-61, ტაბ. V,33], გუადიხუ, წითელი შუქურა [მიქელაძე თ. 1985:57-58; Трапш М. 1969:75]. აღსანიშნავია ქარვის მძივების აღმოჩენის ფაქტი ყაზბეგის სამაროვანზეც [წითლანაძე ელ. 2004:48]. ვანში ქარვის ნაკეთობანი, გიშრის მძივების მსგავსად, მცირე რაოდენობით გვხვდება, თუმც სხვადასხვა ტიპის სამკაულის სახით. კერძოდ, № 11 და № 22 სამარხებში მძივებია დადასტურებული, № 11 სამარხში ქარვის მძივები თავსამკაულის ნაწილია [Kacharava D., ... 2008:131]. № 6 სამარხში – საბეჭდავი, № 16-ში კი – სამკაულის ჩასართავეები [კაჭარავა დ., ... 1986:31, კატ. № 69, სურ. 14, 11-12]. ქარვის მძივები აღმოჩენილია სხვა ძეგლებზეც, როგორცაა დაბლაგომის, დაფნარის, საირხის [მახარაძე გ., ... 2007:43], ფიჭვნარის [Кахидзе А. 1981:49], ბრილის [გობეჯიშვილი გ. 1952:103] სამაროვნები. ელინისტურ ხანაში ქარვის მძივების ფაქტიურად გაქრობას „ქარვის გზის“ ნორმალური ფუნქციონირების შეფერხებას უკავშირებენ [Тарн В. 1949:233]. ქარვის მძივები დიდი მცხეთის გვიანანტიკური ხანის სამარხებში კვლავ იჩენს თავს, თუმც მეტად მცირე რაოდენობით და მხოლოდ რამდენიმე სამაროვანზე [ლეკაშვილი დ. 2005:148-152]. არის ისინი კლდეეთის სამაროვანზეც [ლომთათიძე გ. 1957:65].

ნახევრადძვირფასი ქვების (სარდიონისა და აქატის) მძივებმა ასევე მცირე რაოდენობით

დენობით იჩინა თავი სამარხში. სარდიონის 23 მძივი დადასტურდა, რომელთაგან 8 (სავ. №№ 07:1-04:621, 2048, მუზ. ინვ. №13-2007:46, ტაბ. III, 27; VII, 12) სფერულია (დიამეტრი 0,8-1 სმ-ა, არხის სიგრძე - 0,6-0,9 სმ). მათგან 7 ცალი მთავარი მიცვალებულის მარჯვენა მავის არეში დაფიქსირდა (ტაბ. VIII). უნდა ვიფიქროთ, რომ ზემოთ განხილულ ზოგიერთი სახის მძივებსა და ოქროს მილაკებთან ერთად ესენიც ქმნიდნენ სამაჯურის თავისებურ სახეობას, ან ამკობდნენ სახელოს მაჯას. სარდიონის 1 სფეროსებური მძივი მთავარი მიცვალებულის არიდან ამოღებული მინის რეცხვისას აღმოჩნდა. 15 მძივი მრავალნახნაგაა (სავ. № 07:1-04:1566, მუზ. ინვ. №13-2007:33). მათი დიამეტრი 0,3 სმ-ა, არხის სიგრძე 1 სმ-ს აღწევს (ტაბ. III, 15; VII, 5). ისინი მძივების ერთ გროვაში (გეგმაზე № 14, ტაბ. VIII) დადასტურდა მთავარი მიცვალებულის არის ცენტრალურ ნაწილში. უფრო სავარაუდოა, რომ მრავალნახნაგა მძივები სუდარის შემკულობაში იყო ჩართული. სარდიონის ერთი მძივი (სავ. № 07:1-04:1670; მუზ. № 24-2006:25) სფერულია (დმ -2 სმ, არხის სიგრძე - 1,8 სმ) და დაღარული, ჩამოკიდებულია ვერცხლის ყუნწზე (ტაბ. VI, 9). № 07:1-04:1669 წარმოადგენს ცრემლისებური ფორმის საკიდს, რომელსაც ზედა კიდეში ჰორიზონტალური ნახვრეტი აქვს. საკიდის სიმაღლე 1,8 სმ-ა, არხის სიგრძე - 0,3 სმ (ტაბ. III, 14; VI, 10). სარდიონის ცრემლისებური საკიდები აღმოჩენილია ფიჭვნარის როგორც ძვ.წ. V საუკუნის კოლხურ სამაროვანზე, ასევე ელინისტურზეც [თურმანიძე მ. 2005:45-53].

კარგა ხანს მხოლოდ ივარაუდებოდა გიმრისა და სარდიონის მძივების ადგილობრივ დამზადება კოლხეთში. 1970-იანი წლების არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა ამ მოსაზრებას რეალური საფუძველი გაუჩინა, როცა სოფ. მუხურჩასა (მარტვილის მუნიციპალიტეტი, მდ. აბაშის ნაპირას) და ოჩხომურში (წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, მდ. ოჩხომურის ნაპირას) გაითხარა ქვის მძივების საწარმოსახელოსნოების ნაშთები (მინერალები, ნახევარფაბრიკატები, დაზგა-სამუშაო იარაღები). ეს სახელოსნოები ძვ.წ. VIII-VI საუკუნეებით თარიღდება [Gogadze E., ... 1990:195-200]. აღსანიშნავია, რომ სარდიონის მძივები გვხ-

ვდება ამ სახელოსნოების თანადროულ სამაროვნებზეც - ერგეტის [Микеладзе Т. 1982:87; პაპუაშვილი რ. 1998:44-48], ნიგვზიანის [Микеладзе Т., ... 1976:99; Микеладзе Т., ... 1977:36, 38, სურ. 4], ურეკის [მიქელაძე თ. 1985: 57-58], მუხურჩის [Гогадзе Е., ... 1977:63], მერხეულის [ბარამიძე 1977: 60], პალურის [ოქროპირიძე ნ., ... 1974:117]. სარდიონის მძივები ზემოთ აღნიშნული საწარმოების თანადროული სხვა რიგის ძეგლებიდანაცაა ცნობილი, კერძოდ, ნოსირისა და ფარცხანაყანევის განძებიდან [გაგოშიძე იულ. 1976:13, 20, ტაბ. II, 3; III, 18; Gagoschidze Ju. 1997:125-126, 130, ტაბ. 25,3; 26,3]. უფრო მოგვიანებით სარდიონის მძივები დადასტურებულია საირხის სამარხში, რომელიც ძვ.წ. V საუკუნის პირველ ნახევარს მიეკუთვნება. აქ სარდიონის მძივები ოქროს სფერულ მძივებთან მონაცვლეობით ქმნიან ყელსაბამს [მახარაძე გ., ... 2007:88, ფოტო 34]. სარდიონის მძივები აღმოჩენილია ითხვისის სამაროვანზეც [გაგოშიძე იულ., ... 2006:41, 49, ფოტო 18, 51]. დიდი რაოდენობითაა ისინი დადასტურებული ფიჭვნარის სამაროვნებზე, განსაკუთრებით ძვ.წ. V საუკუნის კოლხურ სამაროვანზე [თურმანიძე მ. 2005:45-53]. აღსანიშნავია, რომ ვანში სარდიონის მძივები საკმაო რაოდენობითაა აღმოჩენილი ძვ.წ. V საუკუნის შუახანებით დათარიღებულ № 11 სამარხში [გიგოლაშვილი ელ. 1983: 96-97, კატ. №№ 423-426], მცირე რაოდენობით - № 22 სამარხში (ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევარი), ხოლო ნაქალაქარის ელინისტური ხანის კულტურულ ფენებში დაფიქსირებულია სარდიონის მძივების ფრაგმენტები, რომლებიც მძივების დამუშავების დროს უნდა გატეხილიყო. ეს გარემოება კი იმის დასტურადაა მიჩნეული, რომ ვანში ამ დროს არსებობდა სახელოსნო, რომელიც რომელიღაც ცენტრიდან შემოტანილ ნედლეულს ამუშავებდა [გიგოლაშვილი 1983: 97]. უფრო მოგვიანო ხანაშიც გვხვდება ვანის „ქვეყანაში“ სარდიონის მძივები, კერძოდ, ქვედა გორის განძში, რომელიც ახ. წ. I-III სს. მიეკუთვნება [ხარაბაძე ს. 2008:110-111].

სამარხში აღმოჩნდა აქატის (?) სამი მძივის ფრაგმენტები (სავ. № 07:1-04:1518). აქატი დიდი იშვიათობაა ანტიკური ხანის კოლხეთში

(რამდენიმე მძივია ამ მასალისა ითხვისში [გაგოშიძე იულ., ... 2006:41, ტაბ. X, 18] და საერთოდ ნაკლებად გავრცელებულად ითვლება საქართველოს ტერიტორიაზე [დავლიანიძე ც. 1983:98]. თუმცა მუხურჩისა და ოჩხომურის ნამოსახლარებზე ნედლეულს შორის სარდიონთან ერთად აქატიც მოიპოვება [Gogadze E, ... 1990:196].

ამრიგად, მძივები, როგორც მათი სამარხში გავრცელების ტოპოგრაფია გვიჩვენებს, ძირითადად მთავარი მიცვალებულის არეშია დადასტურებული. მათი უდიდესი ნაწილი, ჩანს, სუდარის მოსართავად იყო გამოყენებული. კერძოდ, ამ ფუნქციას ასრულებენ მინისა და მინისებური პასტის მძივები, როგორც პოლიქრომიული, ასევე მონოქრომიული. ისინი მთავარი მიცვალებულის არის ყველა ნაწილში გვხვდება. არ არის გამორიცხული, რომ სუდარის გარკვეული მონაკვეთები ერთი ფერის მძივებით იყო მორთული. როგორც ჩანს, მძივები ორნამენტსაც ქმნიდნენ სუდარაზე. ასე, დაფიქსირდა მწვანე მინისებური პასტის მძივებით გამოყვანილი მეანდრული ორნამენტი(ტაბ. XI,2). მართალია, მძივების უდიდესი ნაწილი სუდარას ამკობდა, მაგრამ დასტურდება მათი სხვა ფუნქციით გამოყენებაც. შეიძლება ითქვას, რომ არ დარჩენილა მძივების გამოყენების არც ერთი შესაძლებლობა, რომელიც არ იყოს სახეზე ამ სამარხში. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მძივები პირად სამკაულადაა ნახმარი: როგორც მოსალოდნელი იყო, მძივები ყელსაბამის ასხმას ქმნიან. კერძოდ, ერთ-ერთ ყელსაბამში თვალადი მძივები ენაცვლებიან ე.წ. ბურთულასაკიდებს, რომლებშიც ბურთულას თვალადი მძივებივე წარმოადგენენ. გარდა ამისა, მძივები თავსამკაულის ნაწილია. ამას ისიც ემატება, რომ თავსამკაულში მძივების ჩართვა უცხო არ არის ვანისთვის. ეს ხომ № 11 სამარხის მაგალითზე დასტურდება, სადაც თავსამკაულში შედის ქარვის ბრტყელი მძივები [Kacharava D., ... 2008:131]. მძივებით შედგენილია სამაჯურებიც. ვერცხლის მძივ-მილაკები და მინისებური პასტის იოტები ამკობენ გაურკვეველი დანიშნულების ქსოვილსაც. დაბოლოს, თვალადი მძივების ბურთულა-საკიდებით შემკულია ვერცხლის ერთ-ერთი ფიალა. ლითონის ჭურჭლის ასე შემკობას პარალელი ვერ მოეძებნა.

ლიტერატურა:

- აფაქიძე ან. 1947:** გვიანანტიკური ხანის ძეგლები ურეკიდან. - სსმმ, ტ. XIV-B, თბილისი, 89-111.
- აფაქიძე ან., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ალ., ლომთათიძე გ. 1955:** არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები 1937-1946 წწ. განათხარის მიხედვით - მცხეთა I. თბილისი.
- ბარამიძე მ. 1977:** მერხეულის სამაროვანი. თბ.
- ბოხორაძე ალ. 1981:** არქეოლოგიური გათხრები ალაიანსა და ძალისში. - ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, თბილისი.
- გაგოშიძე იულ. 1976:** მასალები ქართული ოქრომჭედლობის ისტორიისათვის. - სსმმ, XXXII-B. თბ. 5-32.
- გაგოშიძე იულ., გოგიბერიძე ნ., მახარაძე გ. 2006:** ითხვისის სამაროვანი. - არქეოლოგიური ჟურნალი, 4. თბილისი, 36-59.
- გიგოლაშვილი ელ. 1983:** მძივსამკაული. - ვანი VII. თბილისი, 96-112.
- გობეჯიშვილი გ. 1952:** არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში. თბილისი.
- დავლიანიძე ც. 1983:** ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში. თბილისი.
- თოლორდავა ვ. 1976ა:** არქეოლოგიური გათხრები დაბლაგომში 1970-1971 წლებში. - ვანი II. თბილისი, 48-67.
- თოლორდავა ვ. 1976ბ:** მდიდრული სამარხი დაბლაგომიდან. - ვანი II. თბილისი, 68-78.
- თურმანიძე მ. 2005:** მძივსამკაული ფიჭვნარის ძვ.წ. V ს ბერძნული ნეკროპოლიდან, ბამ შრომები, III, ბათუმი, გვ. 45-53
- თურმანიძე მ. 2007:** მძივ-საკიდები ფიჭვნარის ელინისტური პერიოდის სამაროვნიდან. - იბერია-კოლხეთი, 3. თბილისი, 131-139.
- კალანდაძე ალ. 1949:** ახლად აღმოჩენილი სამაროვანი მცხეთაში. - მიმოხილველი, ტ. I. თბილისი, 259-287.
- კაჭარავა დ., მუჟანაძე ზ. 1986:** ნაქალაქარის ზედა ტერასაზე 1980 წელს ჩატარებული მუშაობის ანგარიში. - ვანი VIII. თბილისი, 9-33.
- კახიძე ამ. 2007:** ანტიკური სამყარო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში (ფიჭვნარის ძვ.წ. V საუკუნის ბერძნული ნეკროპოლი) - ფიჭვნარი II. ბათუმი.
- კახიძე ამ., ვიკერსი მ. 2004:** ფიჭვნარი I. ბათუმი.
- ლექაშვილი დ. 2005:** ქარვის მძივები მცხეთის გვიანანტიკური ხანის სამარხებში. - იბერია-კოლხეთი, 2. თბილისი, 148-152.
- ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე რ., თოლორდავა ვ., ჭყონია ან. 1972:** არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წელს. - ვანი I, თბილისი, 198-242.
- ლომთათიძე გ. 1957:** კლდეეთის სამაროვანი. თბილისი.
- მახარაძე გ., წერეთელი მ. 2007:** საირხე. თბილისი.
- ოქროპირიძე ნ., ბარამიძე მ. 1974:** პალურის საძვლე (1968 წ. თხრის შედეგები). — მსკა, VI, თბილისი, 96-123.
- პაპუაშვილი რ. 1998:** გვიანბრინჯაო-ადრერკინის

ხანის კოლხეთის სამარხ-ორმოთა ფარდობითი ქრონოლოგიისათვის. — ძიებანი, 1, თბილისი, 43-54.

სადრაძე ვ. 2009: ურეკის გვიანანტიკური ხანის ძეგლები. — იბერია-კოლხეთი, 5, თბილისი, 50-60.

ყიფიანი გ. 2000: უფლისციხის კლდოვანი სამარხის ინვენტარი. — არქეოლოგიური ჟურნალი, 1, თბილისი, 2000, გვ. 74-95.

ცქიტიშვილი გ. 2001: მდიდრული სამარხი ციხიანთა-რის სამაროვნიდან. — ძიებანი, 7, თბილისი, 41-46.

წითლანაძე ლ. 2004: ხევის არქეოლოგიური ძეგლები, II, თბილისი.

ხარაბაძე ს. 2005: სამარხები სოფ. ქვედა ციხეს-სულორის ტერიტორიიდან. — იბერია-კოლხეთი, 2, თბილისი, 30-38.

Алексеева Е. 1975: Античные бусы Северного Причерноморья, САИ, Г1-12, Москва.

Алексеева Е. 1978: Античные бусы Северного Причерноморья, САИ, Г1-12, Москва.

Гогадзе Е., Панцхава Л., Дариспанашвили М. 1977: Работы Носири-Мухурчской экспедиции. — სსმაე, V, Тბილისი, 1977, გვ. 68-71.

Евдокимов Г., Фридман М. 1987: Скифские курганы у с. Первомаевка на Херсонщине, Скифы Северного Причерноморья, Киев, сс. 85-140.

Иващенко М. 1950: Кувшинный могильник в западной Грузии. — СА, XII, Москва, сс. 320-330

Кигურაძე Н. 1976: Дапнарский могильник. Тбилиси.

Козенкова В. 1982: Типология и хронологическая классификация предметов Кобанской культуры. — САИ, вып. В2-5, Москва.

Максимова М. 1962: Амулет из Горгиппии и так называемые «шарики-подвески», — СА, 2, сс. 226-230.

Микеладзе Т., Барамидзе М. 1976: О некоторых итогах полевых исследований в колхидской низменности в зонах новостроек. — Археологические исследования на новостройках Грузинской СССР, Тбилиси, 95-101.

Микеладзе Т., Барамидзе М. 1977: Колхский могильник VII-VI вв. до н.э. в с. Нигвзиани. — КСИА, 151, сс. 33-39.

Онайко Н. 1970: Античный импорт в Приднепровье и Побужье в IV-II вв. до н.э., САИ, вып. Д1-27, Москва.

Рехвиашвили Н. 1957: Добыча и обработка гагата Грузии. — მსე, IX, 1957, сс. 43-49.

Смирнов Я. 1934: Ахалгорийский клад. Тифлис.

Тарн В. 1949: Эллистическая цивилизация, Москва, 1949

Тереножкин А., Ильинская В., Мозолевский Б. 1977: Скифский курганный могильник Гайманово поле (раскопки 1968). — Скифы и сарматы, Киев, сс. 152-199.

Трапш М. 1969: Труды, т. II, Сухуми, 1969.

Eisen G. 1916: The characteristics of eye beads from the earliest times to the present. — AJA, II series, vol. XX, no. 1.

Gagoschidze Ju. 1997: Materialien zur Geschichte der Goldschmiedekunst im alten Georgien. — Boreas, Band 20. Münster, 123-136.

Gogadze E., Davlianidze Ts., Pantskhava L. 1990: Deux établissements de production artisanale, Un type

nouveau, — Le Pont-Euxin vu par les grecs, Paris, 1990, pp. 195-200.

Kacharava D., Kvirkvelia G. 2008: Wine, worship, and sacrifice: The graves of ancient Vani, New-York.

Tchqonia A. 1990: L'orfèvrerie de la Colchide antique sur la site de Vani, — Le Pont-Euxin vu par les grecs, Paris, 1990, pp. 261-265.

ილუსტრაციების აღწერილობა

I. 1. სამარხი № 24, მთავარი მიცვალებულის არე, საერთო ხედი განმენდის შემდეგ; 2. მთავარი მიცვალებულის თავის არე.

II. მძივები: 1. ქარვისფერი მინის, 2. ღია მწვანე მინის, 3. ლურჯი მინის, 4. ყვითელი მინისე-ბური პასტის, 5-6. ფირუზისფერი მინისე-ბური პასტის, 7-8. პოლიქრომიული, 9. მოთეთრო-მო-ცისფრო მინისე-ბური პასტის, 10. იოტები, 11, 13. თვალადი, 12, 14-15. მოზაიკური.

III. მძივები: 1-2. გიშრის, 3. შავი მინის, 4. შავი მინისე-ბური პასტის, 5. ზურმუხტისფერი მინისე-ბური პასტის, 6. მინისე-ბური პასტის, 7-8. ყვითელი მინისე-ბური პასტის, 9. მინისე-ბური პასტის მძივი ღვთაების გამოსახულებით, 10. მინის სამკაულის დაბოლოება? 11. მინის დაღარული მძივი, 12. მო-ზაიკური მძივი, 13. კოპებიანი მძივი, 14. სარდიონის საკიდი, მძივები: 15. ქარვის, 16-20. ქარვის იოტები, 21-23. გიშრის, 24-25. მოყავისფრო დახ-შული მინის, 26. გიშრის, 27, 29. სარდიონის.

IV. მძივები: 1. ლურჯი მინის, 2. ყვითელი მინისე-ბური პასტის, 3. ზურმუხტისფერი მინისე-ბური პასტის, 4. შავი მინისე-ბური პასტის.

V. მძივები: 1. ფირუზისფერი მინისე-ბური პა-ტის, 2. ქარვისფერი მინის, 3. ღია მწვანე მინის, 4. მოთეთრო-მოცისფრო მინისე-ბური პასტის.

VI. მძივები: 1-4. თვალადი, 5-7. მოზაიკური, 8. თვალადი, 9-10. სარდიონის.

VII. იოტები: 1. ქარვის, 2. ეგვიპტური ფაიან-სის; მძივები: 3. შავი მინის, 4. პოლიქრომიული მინის, 5. სარდიონის, 6. ფირუზისფერი მინისე-ბური პასტის, 7. გიშრის, 8. პოლიქრომიული მინის, 9-11. გიშრის, 12. სარდიონის.

VIII. სამარხი № 24: მთავარი მიცვალებულის არე — გეგმა.

IX. სამარხი № 24 — მთავარი მიცვალებულის არე: 1. თავისა და მკერდის არე, 2. საერთო ხედი მძივების ნაწილის აღების შემდეგ.

X. 1. თავსამკაული, 2. მინისე-ბური პასტის მძივებით გამოყვანილი ორნამენტი.

XI. 1-2. ვერცხლის სამკაულის გროვა იოტე-ბით.

XII. სამარხი № 24, მთავარი მიცვალებულის არე: 1-2. სამაჯურების გროვები.


XIII. 1. თვალადი საკიდები; 2. ვერცხლის ფი-ალა, შემკული ძენკვებით შებმული თვალადი მძივებით.

I

Kacharava D. ...




1




2



II







III







IV








V




VI




VII




VIII



IX




1




2

X



1



2

XI



1



2

XII




1



2

XIII



ნიკოლოზ გობეჯიშვილი

ყობანური კულტურის ძვ.წ. VII-V საუკუნეების სამარხ-კონსტრუქციები

(ჩეჩნეთ-ინგუშეთის ძეგლების მიხედვით)

ძვ.წ. II ათასწლეულის მიწურულს ჩამოყალიბებული ყობანური კულტურა ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილს მოიცავდა. ამ კულტურის გავრცელების მასშტაბი საკმაოდ ფართოა და კავკასიის რეგიონის თანადროული კულტურების გავრცელების არეალიდან ყველაზე მჭიდრო კავშირს კოლხურ კულტურასთან ავლენს, რომელიც სამხრეთ კავკასიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს მოიცავდა. ყობანური კულტურის დისპერსიის ტერიტორია თანამედროვე სტავროპოლის მხარის სამხრეთ ნაწილს, ყარაჩაი-ჩერქეზეთის, ყაბარდო ბალყარეთის, ოსეთის, ინგუშეთისა და ჩეჩნეთის საკმაოდ დიდ ნაწილს მოიცავდა. ევ. კრუპნოვმა, იმ განსხვავებულ ელემენტებზე დაყრდნობით, რომელიც არქეოლოგიურ მასალაში, სამოსახლოთა ტიპებსა და დაკრძალვის წესში შეინიშნებოდა, ყობანური კულტურა დაჰყო ცენტრალურ, დასავლურ და აღმოსავლურ ვარიანტებად [Крупнов Е. 1960:178]. თანამედროვე ინგუშეთისა და ჩეჩნეთის ტერიტორიები მოექცა აღმოსავლური ვარიანტის შემადგენლობაში.

ამჯერად შევხებით მხოლოდ ჩეჩნეთისა და ინგუშეთის ტერიტორიებზე გავრცელებულ სამარხ-კონსტრუქციებს ყობანური კულტურის არსებობის უკანასკნელ ეტაპზე, რომელთა ქრონოლოგიაც ძვ.წ. VII-V საუკუნეებს მოიცავს. ამ კულტურის აღმოსავლური ვარიანტის სამარხთა ტიპებისა და დაკრძალვის წესის თაობაზე მსჯელობა, რომელიც სხვა ტერიტორიებთან შედარებით უკეთესადაა შესწავლილი, შემდეგი სამაროვნების მიხედვითაა შესაძლებელი: სერჟენ-იურტი, ფსედახი, ნესტეროვსკაია, მუჟიჩი, ისტი-სუ, ცა-ვედენო, ანი-ირზო, ბოისი-ირზო და სხვ.

სერჟენ-იურტის სამაროვანი მდებარეობს ჩეჩნეთში, შალის რაიონში. 1950-იანი წლების

ბოლოს აულიდან სამხრეთ-დასავლეთით 1-1,5 კმ-ის მოშორებით, შემალღებულ ადგილზე ყობანური კულტურის ფართო დასახლება და სამაროვანი იქნა მიკვლეული, რომლის მეცნიერული შესწავლაც 1958 წელს დაიწყო და ორივე ძეგლი თითქმის მთლიანად იქნა შესწავლილი. სერჟენ-იურტის სამაროვანზე დაახლოებით 100-მდე სამარხია გათხრილი. ყველა მათგანი მარტივი კონფიგურაციის ორმოსამარხს წარმოადგენდა. შესწავლილ სამარხთა შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სამარხი №24 (ტაბ.1.), რომელშიც ვ. კოზენკოვას აზრით, მხედართმთავარი უნდა ყოფილიყო დაკრძალული. აღნიშნული ორმოსამარხის კონსტრუქციის ნიადაგის თავისებურების გამო ვერ დაფიქსირდა. აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 1,1 მეტრის სირღმეზე. სამარხის ძირზე ხის საგების ნაშთი გამოვლინდა, რომელზეც მიცვალებული მარცხენა გვერდზე, მოხრილ პოზაში იყო დასვენებული, თავით სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ მიმართული. სამარხეული ინვენტარის ნაწილი არქაული ფორმების მატარებელია, რომელიც კავკასიის რეგიონის სხვა სამაროვანთა ძვ.წ. VII საუკუნით დათარიღებულ სამარხებში პოულობს ანალოგებს (თლია, სამთავრო, ყულანურხვა) [Козенкова В. 1970:115].

ჩეჩნეთისა და ინგუშეთის ტერიტორიებზე სერჟენ-იურტის სინქრონული ყობანური კულტურის ძეგლი არ არის გამოვლენილი, გარდა ზანდაკის სამაროვნისა, რომელიც ჩეჩნეთის აღმოსავლეთ ნაწილში, ნოჟაი-იურტის რაიონში მდებარეობს და კაიაკენტ-ხოროჩოის არქეოლოგიური კულტურის ძეგლია.

საერთოდ, ინგუშეთისა და ჩეჩნეთის ტერიტორიებზე, განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია ყობანური კულტურის მიწურულით, ძვ.წ. VI-V საუკუნეებით დათარიღებული ძეგლები.

ძვ.წ. VI-V საუკუნეების მიჯნით დათარიღებული ნესტეროვსკაიას სამაროვანი მდებარეობს ინგუშეთში, სუნჟის რაიონის სტანიცა ნესტეროვსკაიას მახლობლად. ძეგლის დაუზიანებელი ნაწილი, რომლის საერთო ფართობი 500 მ²-ს უახლოვდებოდა, 1938-40 და 1946 წლებში ითხრებოდა ევ. კრუპნოვის მიერ [Крупнов Е. 1960:401]. შესწავლილ იქნა 53 სამარხი, რომელთა უმრავლესობა ორმოსამარხს წარმოადგენდა (40), ხოლო მცირე ნაწილი (13) - ყორღანული ტიპის სამარხს. ორმოსამარხები მრავალფეროვნებით გამოირჩეოდნენ. მათი დიდი ნაწილი რიყის ქვისგან შემდგარი მცირე ზომის ყრილით იყო დაფარული. სამარხთა გარკვეულ ნაწილს ასევე რიყის ქვებით ამოყვანილი კედლები ჰქონდა. მათი უმრავლესობა ინდივიდუალურ, ხოლო მცირე ნაწილი წყვილად ან კოლექტიურ სამარხთა კატეგორიას განეკუთვნებოდა [Крупнов Е. 1960:403].

ნესტეროვსკაიას სინქრონულ მუჟიჩის ნეკროპოლისზე არქეოლოგიური სამუშაოები 1952,1955-57 წლებში მიმდინარეობდა, რომლის დროსაც 161 სამარხი იქნა გათხრილი, აქედან 97 სამარხი 1956-57 წლების სეზონზე გამოვლინდა, ევ. კრუპნოვის ხელმძღვანელობით. სამაროვანი მდ. ასას ხეობაში, სოფ. მუჟიჩის მახლობლად მდებარეობს (სუნჟის რ-ნი, ინგუშეთი).

სამაროვანზე სამარხი კონსტრუქციები ტიპოლოგიური ერთგვაროვნებით ხასიათდებოდა. ისინი, როგორც წესი, მიწის ზედაპირიდან 0,2-1 მ-ის სიღრმეზე იყვნენ გაჭრილი (იშვიათად უფრო ღრმად), ხოლო ზემოდან ყრილით დაფარული. ყრილი ხშირად რამდენიმე იარუსისგან შედგება (1-დან 7-მდე). რამდენიმე სამარხი ყრილის გარეშე იყო, თუმცა მათი არარსებობა სამეურნეო სამუშაოების შედეგად დაზიანებას დაუკავშირდა [Мунчаев Р. 1963:201]. მუჟიჩის სამაროვანზე ინდივიდუალური სამარხები სჭარბობდა. თუმცა, მათ გვერდით 7 წყვილადი სამარხიც იყო წარმოდგენილი.

მუჟიჩის სამაროვანზე ასევე გვხვდება კრომლესები, რომელთაც სამაროვნის

სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარე ეკავათ. ოთხ შემთხვევაში (სამარხები №№8, 30, 48, 50) კრომლესები წრიული ფორმისა იყო და დიამეტრიც საშუალოდ 5,5 მეტრი ჰქონდათ. კრომლესები შედგენილი იყო რიყის ქვის წყობით. №№10, 12, 23, 38 და №40 სამარხების შემთხვევებში მათ ნახევარწრიული კრომლესები საზღვრავდათ, რომლებიც რიყის ქვათა მხოლოდ ერთი რიგის წყობით იყვნენ კონსტრუირებული [Мунчаев Р. 1963:202]. მუჟიჩის სამაროვანზე ორი ყორღანული ტიპის სამარხიც იქნა მიკვლეული. №84 სამარხი დაფარული იყო დიდი ქვაყრილით, რომელსაც ძირში კრომლესი საზღვრავდა. აღნიშნული სამარხი სამაროვნის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში იყო მოთავსებული. ყორღანული ტიპის სამარხს განეკუთვნება №88 სამარხიც, რომლის ქვაყრილის დიამეტრიც 6 მეტრს აღწევდა (ტაბ. I_{3ა,3ბ}).

ფსედახის სამაროვანი ორმოსამარხებისგან შედგებოდა, რომლის ფართობი 160 მ²-ს აღწევდა. საერთო ჯამში, ძეგლზე 13 სამარხი იქნა შესწავლილი. ნიადაგის თავისებურების გამო სამარხთა კონტურები ვერ იქნა დაფიქსირებული. ისინი ერთმანეთისგან საშუალოდ 8 მ-ის მანძილით იყვნენ დაშორებული და არ ეტყობოდათ მიწისზედა კონსტრუქციების კვალი. ს. დუდარევა და ვ. პეტრენკომ სამარხეული ინვენტარის მიხედვით, ძეგლის თარიღად ძვ.წ. VI—V საუკუნეები მიიჩნიეს [Козенкова В. 1986:139]. ფსედახის სინქრონული ძეგლია ისტი-სუს სამაროვანი (ჩეჩნეთი, გუდერმესის რ-ნი), რომელსაც 1937 წელს მუშებმა არხის გაყვანისას შემთხვევით მიაკვლიეს. სამაროვნის დაზიანებულ მონაკვეთზე, მუშების ცნობით, მიცვალებულები ზურგზე იყვნენ დასვენებული და გვერდებზე თიხის ჭურჭელი ჰქონდათ ჩადგმული. არქეოლოგიური გათხრების შედეგად, რომელიც 1937 და 1938 წლებში მიმდინარეობდა ისტი-სუს სამაროვანზე, 19 სამარხი იქნა შესწავლილი. სამარხთა კონტურები, გარდა №12 სამარხისა (ტაბ. I₂), რომელსაც კუთხეებმომრგვალებული ოთხკუთხედის მოყვანილობა

გააჩნდა, ნიადაგის თავისებურების გამო ვერ დაფიქსირდა. სამაროვნის გეგმის შესწავლისას ო. არტამონოვა-პოლტავცევამ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ სამაროვანზე სამარხები თავიანთი განლაგებით რამდენიმე ჯგუფს ქმნიდნენ. I თხრილში ერთ ჯგუფად იყვნენ გამოყოფილი №№1, 2, 5, 6 და №8 სამარხები, ხოლო მეორე ჯგუფად - №№3, 4 და №7. II თხრილში (1938 წლის გათხრები) კი ერთ ჯგუფს №11 და №13, ხოლო მეორეს №№14, 18 და №19 სამარხები ქმნიდნენ. სამარხთა ეს ჯგუფები დაახლოებით 7-8 მეტრის დიამეტრის მქონე ფართობს მოიცავდნენ და მათ შორის მანძილი 4 მეტრს შეადგენდა. განცალკევებით მდებარე სამარხები ერთმანეთისგან ამავე მანძილით, 4-5 მეტრით იყვნენ დაცილებული. ამ ფაქტებზე დაყრდნობით ო. არტამონოვა-პოლტავცევა გამოთქვა მოსაზრება პატარა ყორღანული ტიპის ყრილების არსებობაზე, რომლითაც სამარხები უნდა ყოფილიყო დაფარული [Артамонова-Полтавцева О. 1950: 22-23]. ყორღანული ტიპის ყრილის არსებობა არ არის გამორიცხული. თუმცა, ჩეჩნეთ-ინგუშეთისა და ზოგადად, ყობანური კულტურის გავრცელების არეალში მსგავსი მოვლენა, ერთი ყორღანული ყრილის ქვეშ მოქცეული რამდენიმე სამარხი, არც ადრეულ და არც სხვა სინქრონულ ძეგლებზე, დადასტურებული არ არის.

ყორღანული ტიპის სამარხები გავრცელებული იყო ურუს-მარტანის სიახლოვეს გამოვლენილი ანი-ირზოსა და ბოისი-ირზოს სამაროვნებზე. მათი ასეთი გავრცელება იმაზე მიგვანიშნებს, რომ ყორღანული ტიპის კონსტრუქციის მქონე სამარხ-კონსტრუქციები არ იყო ლიმიტირებული მხოლოდ ერთ კონკრეტულ ზოლში, არამედ მათი რაღაცა ფარავდა ჩეჩნეთ-ინგუშეთის საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას.

ყობანური კულტურის გავრცელების ორ, ცენტრალურ და დასავლურ ვარიანტებში, სამარხი კონსტრუქციის დომინანტურ ტიპს, ქვის ფილებისგან კონსტრუირებული სამარხები წარმოადგენდნენ. ძალიან სიმპ-

ტომატიურია, რომ ჩეჩნეთ-ინგუშეთის ტერიტორიაზე ქვაყუთები არ არის გავრცელებული, მაშინ როცა ჩეჩნეთის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილსა და დაღესტნის ტერიტორიაზე მიკვლეული კაიაკენტ-ხოროჩოს კულტურის ძეგლების უმეტესობა ქვაყუთის ტიპის სამარხებითაა წარმოდგენილი.

ამრიგად, ჩვენს მიერ მიმოხილული სამაროვნების მიხედვით, შეიძლება ვთქვათ, რომ ჩეჩნეთ-ინგუშეთის ტერიტორიაზე ძვ.წ. VII-V საუკუნეების სამარხთა ყველაზე დამახასიათებელი ტიპი მარტივი კონფიგურაციის მქონე ორმოსამარხია, რომელიც ძვ.წ. VI საუკუნიდან მოყოლებული თანაარსებობს მცირე ზომის რიყის ქვისგან შედგენილი მცირე ზომისა და ყორღანული ტიპის ყრილით დაფარული სამარხის ტიპებთან. ყორღანული ტიპის სამარხის არსებობა, თუნდაც მცირე რაოდენობით, უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ განსხვავებული დაკრძალვის წესის მქონე მოსახლეობის ჯგუფი, როგორც ჩანს, აღწევს ამ არეალში და ერთ სამაროვანზე სხვადასხვა ეთნიკური, კონფესიური თუ სოციალური ჯგუფის წარმომადგენელთა დაკრძალვა არ ქმნიდა წინააღმდეგობას. ერთსა და იმავე სამაროვანზე (ნესტეროვსკაია, მუჟიჩი) განსხვავებული ტიპის სამარხ-კონსტრუქციათა არსებობა შეიძლება გამოწვეული იყოს სოციალური, ეთნიკური, რელიგიური ან სხვა ფაქტორით. სამარხეული ძეგლების ზემოაღნიშნული კუთხით შესწავლამ გვიჩვენა, რომ არა მარტო ყობანური კულტურის ლოკალურ ვარიანტებს, არამედ თითქმის ყველა ძეგლს, სამარხის საკუთრივ მისთვის დამახასიათებელი დომინანტური სამარხ-კონსტრუქცია გააჩნია. ლოკალურ ვარიანტებსა და თვით ერთი ლოკალური ჯგუფის შიგნით ძეგლებს შორის სხვაობა მრავალი, ზემოთ აღნიშნული ფაქტორით შეიძლება ყოფილიყო განპირობებული. უპირატესად კი ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებით, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში ოროგრაფიული მრავალფეროვნებით ხასიათდება.

ლიტერატურა:



- Абрамова М. 1974:** Погребения скифского времени центрального предкавказья, - С. А. №2. Москва.
- Виноградов В., Рунич А., Михайлов Н. 1976:** Новое о Кобанской культуре Центрального Предкавказья. - АЭС. - Т. IV. Грозный.
- Алексеева Е. 1949:** Поздне-Кобанская культура Центрального Кавказа. Ученые Записки ЛГУ. Ленинград.
- Артамонова-Полтавцева О. 1950:** Культура северо-восточного Кавказа в скифский период. С. А. № 14. с. 20-101. Москва.
- Козенкова В. 1969:** Раннекобанский могильник у сел. Сержень-Юрт. - СА. №4. გვ. 171-183. Москва.
- Козенкова В. 1977:** Кобанская культура (восточный вариант) - САИ. Вып. В2-5. Т. 1. Москва.
- Козенкова В. 1978:** Погребение Военачальника из Сержень-юртовского могильника. – КСИА. № 123. გვ. 114-116
- Козенкова В. 1982:** Типология и хронологическая классификация предметов кобанской культуры (восточный вариант) - САИ. Вып. В2-5. Т. 2. Москва.
- Козенкова В. 1986:** Пседахский могильник Кобанской культуры (по раскопкам 1976-77 гг.). – Новое в Археологии Северного Кавказа. Москва.
- Козенкова В. 1989:** Кобанская культура. Западный вариант (САИ. Вып. В2-5. Т. 3). Москва.
- Крупнов Е. 1960:** Памятники Кобанской культуры Северного Кавказа - Древняя история Северного Кавказа. Москва.
- Мунчаев Р.М. 1963:** Луговой могильник. - ДЧП. Москва.

ილუსტრაციების აღწერილობა:

ტაბ. I – 1. სერჟენ-იურტი, სამარხი №24; 2. ისტისუ, სამარხი №12; 3. მუჟიჩი, ყორღანული ტიპის №84 სამარხის ჭრილი: **a** – WE ხაზზე, **b** - NS ხაზზე.

I

Gobejishvili N.



შუქია აფრიდონიძე, მარინე ფუთურიძე

ქართულ საკუთარ სახელთა ინგლისურ ენაზე გადმოცემისათვის

(ტრანსლიტერაციის პრინციპები)

უკანასკნელ წლებში საზღვარგარეთის ქვეყნებთან საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური თუ კულტურული კონტაქტების არნახულმა გაფართოებამ და გაღრმავებამ, სხვა საკითხებთან ერთად, დღის წესრიგში დააყენა სალიტერატურო ენის ნორმების დაცვის უმნიშვნელოვანესი ამოცანა მისი თეორიული თუ პრაქტიკული ასპექტების გათვალისწინებით. მათ შორის იგულისხმება საქართველოს ისტორიასა და კულტურასთან დაკავშირებული საკუთარი სახელების უცხო ენებზე და, კერძოდ, ინგლისურ ენაზე სრულყოფილად გადმოცემა. წინამდებარე წერილის აუცილებლობა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ხანგრძლივი დროის მანძილზე სამეცნიერო სამყაროში ქართული გეოგრაფიული და პირთა სახელების ინგლისურ ენაზე გადმოცემისას, ჩვეულებრივ, გამოიყენებოდა განსხვავებული და ხშირად მეცნიერულად გაუმართლებელი ვარიანტები. სამწუხაროდ, ეს ტენდენცია დღემდე გრძელდება და პრობლემა კვლავ მოუგვარებელი რჩება. სწორი ტრანსლიტერაციული პრინციპების დანერგვის საჭიროება განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა იმ ინგლისურენოვან პუბლიკაციებში, რომლებიც საქართველოს არქეოლოგიისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კვლევას ეხება. იგულისხმება ერთი და იგივე საკუთარი სახელების განსხვავებული ვარიანტების დიდი რაოდენობა, რომელიც, დასამალი არ არის, რომ ამჟამად დიდ სიძნელეს უქმნის მკვლევრებს. ამ მხრივ სატრანსლიტერაციო პრაქტიკაში დიდი სიჭრელე შეინიშნება, რისი მიზეზიც ქართული ენისათვის სპეციფიკურ თანხმობანთა (ჭ, ლ, ყ, ძ, წ და სხვ.) გადმოცემის სირთულეა. ის სხვადასხვა ავტორთა მიერ ენობრივი წესების უგულვებელყოფით, მხოლოდ მათი შეხედულებისამებრ შერჩეული ასო-ნიშნებით ხდებოდა. სწორედ ამ გაუგებრობის თავიდან აცილებისა და მოწესრიგების ცდაა ჩვენ მიერ შემოთავაზებული წერილი.

ქართული კონსონანტებისათვის მართებული ინგლისური ეკვივალენტების შერჩევა იმდენად რთული აღმოჩნდა, რომ წლების განმავლობაში მათი სულ სხვადასხვა ვერსია დაგროვდა. ამიტომ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების, გეოგრაფიული სახელწოდებების და პირთა გვარ-სახელების ინგლისურად სწორად წერისათვის შერჩეული ერთი შეთანხმებული ვერსია აქამდე არ ყოფილა შემუშავებული. ამის შედეგად ერთი და იმავე არქეოლოგიური კულტურის, გეოგრაფიულ სახელწოდებათა და გვარ-სახელების სამი ან ზოგჯერ მეტი ვარიანტიც კი გვხვდება ინგლისურენოვან ლიტერატურაში. ასეთ მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ განსხვავებული ფორმები როგორც ტოპონიმების და კულტურებისა (მაიკოპის კულტურა – Maykop, Majkop, Maikop); ისე ანთროპონიმებისა (გამყრელიძე – Gamkrelidze, Gamqhrelidze, Gamqrelidze; ღლონტი – Ghlonti, Glonti; გაჯიევი – Gadziev, Gajiev) და ა. შ. ასეთი შემთხვევები, სამწუხაროდ, ძალზე ბევრია.

შესაბამისად, მკვლევარი, განსაკუთრებით ინგლისურენოვანი, დგება პრობლემის წინაშე, თუ რომელი მათგანია მართებული და რომელი უნდა გამოიყენოს. ამ პრობლემას წავაწყდით ჩვენც, ამ სტატიის ერთ-ერთი ავტორი, რომელიც ქართულ-იტალიური პროექტის ფარგლებში ინგლისურენოვან არქეოლოგ პროფ. ელ. როვასთან თანაავტორობით ვაქვეყნებთ პრეისტორიული ეპოქის ძეგლის შესახებ ორტომეულ მონოგრაფიას სამეცნიერო სერიაში „სუბარტუ“. სწორედ იმ მიზეზით, რომ „სუბარტუ“ ძველი აღმოსავლეთის არქეოლოგიის სამყაროში ითვლება ყველაზე პრესტიჟულ და ავტორიტეტულ გამოცემად, მისმა ავტორებმა აუცილებლად

ჩავთვალეთ მიგვემართა ამ საკითხების ექსპერტი ლინგვისტიკებისათვის, რათა ბოლოსდაბოლოს სამეცნიერო სამყაროსთვის შეგვეთავაზებინა დღეისათვის ყველაზე მისაღები და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გეოგრაფიულ სახელთა დამდგენი ექსპერტთა ჯგუფის (UNGEGN) მიერ ქართულ კონსონანტთა ინგლისურ ენაზე გადმოცემის რეკომენდებული წესები. წინამდებარე წერილის თანავტორმა (პროფ. შუქია აფრიდონიძემ), რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გეოგრაფიული სახელების ექსპერტთა ჯგუფის წევრია, წარადგინა ქართულ კონსონანტთა ინგლისურ ენაზე ტრანსლიტერაციის წინამდებარე წესები, რომლებიც აღიარა ამ წარმომადგენლობითმა ორგანომ 2011 წელს ქ. ვენაში. ვფიქრობთ, მისი გამოქვეყნება ხელს შეუწყობს აქამდე მოუგვარებელი ამ საკითხის გადაჭრას.

ჯერ კიდევ საქართველოს ენციკლოპედიის მრავალტომეულის მომზადების პერიოდში ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ საგანგებოდ გამოყოფილმა სატრანსკრიფციო ჯგუფმა (აკად. ივ. გიგინეიშვილის ხელმძღვანელობით) წარმატებით გაართვა თავი **უცხოურ საკუთარ სახელთა ქართულად გადმოცემის** ამოცანას. სათანადოდ შემუშავებული წესები საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენმა კომისიამ დაამტკიცა და პრაქტიკულად გაატარა კიდევ (სწორედ ამის საფუძველზე მომზადდა და ენციკლოპედიის ბაზაზე გამოიცა საკუთარ სახელთა რამდენიმე ორთოგრაფიული ლექსიკონი).

კიდევ უფრო დიდი სირთულე და სიჭრელე წარმოშვა და გაცილებით მეტი დაბრკოლებაც შეხვდა ქართული ონომასტიკონის უცხო ენებზე გადატანას. მიზეზი კი მარტივია: სირთულეს ობიექტურად ქმნის არა მარტო და არა იმდენად ესა თუ ის ქართული თანხმოვანი, არამედ მთელი სისტემა ქართული ყრუ თანხმოვნებისა.

საქმე ის არის, რომ დღემდე ჩვენთვის მეტ-ნაკლებად ცნობილ ენებში (როგორც ევროპულ, ისე აღმოსავლურ ენებში) ყრუ თანხმოვნები ერთი რიგისაა, ჩვეულებრივ, ან მკვეთრები (ე. წ. აბრუპტივები), ანდა ფშვინვიერები (ე.წ. ასპირატები). ქართულში კი ორივე რიგის თანხმოვნები გვაქვს:

კ — ქ, პ — ფ, ტ — თ, ც — წ, ჩ — ჭ.

მათი სათანადო მჟღერი ბგერებია, შესაბამისად: **გ ბ დ ძ ჯ**.

ერთადერთი მკვეთრი თანხმოვანი, რომელსაც მენწყვილე ფშვინვიერი არ გააჩნია, არის ბგერა **ყ**.

ლოგიკურად დგება საკითხი: როგორ უნდა აისახოს ევროპულ ენებში და მათ შორის, პირველ ყოვლისა, ინგლისურში (როგორც დღეს ფუნქციურად ყველაზე ფართოდ ხმარებულ საერთაშორისო ენაში) ის სხვაობა, რომელიც არსებობს ჩამოთვლილ თანხმოვანთა წყვილების შიგნით.

ამ საკითხის გადანყვეტა შეუძლებელი იყო ინგლისურენოვანი ლინგვისტიკების კონსულტაციების გარეშე. წლების მანძილზე ბრიტანელ, ამერიკელ და კანადელ ქართველოლოგებსა და კავკასიოლოგებთან ხანგრძლივი კონსულტაციების გავლის შედეგად შემუშავდა შემდეგი ოპტიმალური პრინციპი:

ვინაიდან ინგლისურს (ისევე როგორც გერმანულს), აგრეთვე აღმოსავლური ენების უმეტესობას (თურქულს, სპარსულს და სხვ.), ჰომორგანული (ანუ ერთ ადგილას წარმოებული) თანხმოვნებიდან ახასიათებს მხოლოდ ფშვინვიერი რიგის თანხმოვნები, იმავე რიგის მკვეთრი თანხმოვნების გადმოსაცემად საჭიროდ და საკმარისად იქნა მიჩნეული სათანადო ლათინურ გრაფემაზე სპეციალური განმასხვავებელი ნიშნის დართვა. ამ მიზნით კი ყველაზე

მოსახერხებელი აღმოჩნდა აპოსტროფი (‘), რომელიც ყველა კომპიუტერულ კლავიატურას მოეპოვება.

ამ გზით მოხერხდა არა მარტო ყოველი ქართული ასოსათვის უბრალო ადეკვატის გამოძებნა, არამედ ქართულ თანხმოვანთათვის სპეციფიკური სამეულბრივი სისტემის შენარჩუნებაც, რაც მეცნიერული სისტემურობის თვალსაზრისით მაქსიმალურად ღირებულია.

მაშასადამე, სამეული თანხმოვნების აღნიშნული 5 წყვილი და მათი ინგლისური ეკვივალენტი ასე გამოისახა:

თ — ტ	ქ — კ	ფ — პ	ც — წ	ჩ — ჭ
t – t’	k – k’	p – p’	ts – ts’	ch – ch’

მოველო ზოგ სხვა პრობლემასაც: უცალო **y**-სათვის ინგლისურში გამოიყო მანამდე გამოუყენებელი **q**.

დაიხვეწა ზოგი სხვა წესიც: რაკი ყრუ ქართული **ბ**-სათვის ორი ლათინური ასოს კომბინაცია იხმარებოდა (**kh**), სათანადო რიგის **ღ** მჟღერისთვისაც ასევე ოპტიმალურად ჩაითვალა ანალოგიური რიგის კომბინაციის ხმარება (**gh**); ისევე როგორც შიშინა **შ**-ს გადმოსაცემად ხმარებული **sh** კომპლექსის ანალოგიით, სათანადო მჟღერი შიშინა **ჟ**-ს გადმოსაცემად გამოიყო **zh** კომპლექსი.

ამ 15 წლის წინათ, 1997 წელს, საქართველოს პარლამენტის (რესპუბლიკის საჯარო) ბიბლიოთეკაში ჩატარდა აშშ კონგრესის ბიბლიოთეკასთან ერთობლივად მომზადებული II საერთაშორისო კონფერენცია, რომელზედაც ამ სტატიის ლინგვისტმა თანაავტორმა (შ. აფრიდონიძემ) წაიკითხა სპეციალური მოხსენება (კომპიუტერული პროგრამირება ლ. ჩხაიძისა) ქართული ანბანის ინგლისური ტრანსლიტერაციის შესახებ კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც შეთავაზებულ სისტემას ეძლეოდა რეკომენდაცია საბიბლიოთეკო (კერძოდ, ინგლისურის ბაზაზე ქართული წიგნადი ფონდის კატალოგიზაციის მიზნით) ხმარებისათვის.

აღნიშნული სია წარედგინა 2011 წელს ქ. ვენაში ჩატარებულ გაეროსთან არსებულ გეოგრაფიული სახელების ექსპერტთა სესიას, რომელსაც საშუალება ჰქონდა გასცნობოდა აგრეთვე ერთიან ცხრილს, როგორც დღემდე არსებული ტრანსლიტერაციული სისტემების ორსაუკუნოვან ისტორიას. სხვა სისტემები თავის დროზე შექმნეს და გამოიყენეს თავიანთ მთარგმნელობით პრაქტიკაში ბრიტანელმა მთარგმნელებმა (და-ძმა უორდროპებმა), ნაწილობრივ მათზე დაყრდნობით შეიმუშავა თავისი სისტემა აშშ-ის კონგრესის ბიბლიოთეკამ და საერთაშორისო სტანდარტების ორგანიზაციამ (**ISO**). მათგან არსებითად განსხვავებულია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული სატრანსკრიფციო სისტემა, რომელთანაც ყველაზე ახლოს დგას წინამდებარე სია.

მაშასადამე, საბოლოოდ ქართულმა ანბანმა მიიღო შემდეგი სახე:

ა - a	პ - p’	ჭ - ch’
ბ - b	ჟ - zh	ხ - kh
გ - g	რ - r	ჯ - j
დ - d	ს - s	ჰ - h
ე - e	ტ - t’	

ვ - v	უ - u
ზ - z	ფ - p
თ - t	ქ - k
ი - i	ღ - gh
კ - k'	ყ - q
ლ - l	შ - sh
მ - m	ჩ - ch
ნ - n	ც - ts
ო - o	წ - ts'

ქართული ასო-ბგერებისათვის: ფ, თ, ქ, ც, ჩ-ისთვის გამოყენებულ უნდა იქნეს შემდეგი ინგლისური ეკვივალენტები აპოსტროფის ხმარების გარეშე, ხოლო ქართული აბრაჰტებისათვის: პ, ტ, კ, წ, ჭ-სთვის — ინგლისური ეკვივალენტები აპოსტროფებით

ფ - p	პ - p'
თ - t	ტ - t'
ქ - k	კ - k'
ც - ts	წ - ts'
ჩ - ch	ჭ - ch'

ვფიქრობთ, ამ პუბლიკაციის შემდეგ სამეცნიერო სამყაროსათვის, განსაკუთრებით კი ინგლისურენოვანი მომხმარებლისათვის მნიშვნელოვნად გაადვილდება მუშაობა და მრავალი წლის მანძილზე არსებული ეს მტკივნეული პრობლემაც თანდათან და ბუნებრივად მოიხსნება.

მარინე ფუთურიძე, ზურაბ მახარაძე, მიხეილ წერეთელი

ახალი არქეოლოგიური პროექტის –

„საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) ელექტრონული ენციკლოპედია (ძვ.წ. 3 -1 ათასწლეულები)“ პერსპექტივები და მოსალოდნელი შედეგები

„საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) ელექტრონული ენციკლოპედია (ძვ.წ. 3-1 ათასწლეულები)“ სამეცნიერო სამყაროს სთავაზობს არქეოლოგიური ძეგლების შესახებ შექმნილ და ინტერნეტში განთავსებულ ენციკლოპედიური ხასიათის პირველ ნაშრომს. თავისთავად, არქეოლოგიური ონლაინ-ენციკლოპედიები სამეცნიერო სივრცისათვის უცხო არ არის (თუმცა, მათი რაოდენობა უაღრესად შეზღუდულია), მაგრამ ამ პროექტის ინოვაციურობა და განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაშია, რომ ქართული, და საერთოდაც კავკასიური, არქეოლოგიური ძეგლების შესახებ ამგვარი ნაშრომი აქამდე არ შექმნილა. ის არ მოგვეპოვება არამცთუ ელექტრონული ვებგვერდის, არამედ ტრადიციული, ბეჭდური სახითაც კი. ამდენად, მკვლევართა ერთი ჯგუფის ინიციატივა, შექმნილიყო საერთაშორისო სამეცნიერო წრეებისათვის ფართოდ ხელმისაწვდომი ენციკლოპედიური ნაშრომი, რომელსაც მხარი დაუჭირა ქართულმა (შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი) და გერმანულმა (პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ფონდი) ორგანიზაციებმა, სრულიად ნოვატურული იდეაა.

ეს სიახლე ამავე დროს მრავალი სიძნელის განმაპირობებელიც აღმოჩნდა, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ქართველ მკვლევართა ძალისხმევა ღირს იმად, რომ საერთაშორისო სამეცნიერო სამყაროს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ხელი მიუწვდებოდეს ქართული არქეოლოგიური ძეგლების შესახებ არსებულ მრავალმხრივ ინფორმაციაზე. უნდა აღვნიშნოთ, რომ დაინტერესება და პროექტის შედეგებისადმი მოლოდინი სხვადასხვა სამეცნიერ-

რო წრეებიდან უკვე იგრძნობა.

ამ სამეცნიერო პროექტის განხორციელება 2012 წელს დაიწყო და მისი გამარჯვების ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ რუსთაველის სამეცნიერო ფონდს ეს იდეა უაღრესად მიმზიდველი და პერსპექტიული ეჩვენა არა მხოლოდ „წმინდა“ პროფესიული ხედვით, არამედ ქართული არქეოლოგიური მემკვიდრეობის საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ფართოდ პოპულარიზაციის თვალსაზრისითაც.

იმ ვითარების გათვალისწინებით, რომელიც დღეისათვის გვაქვს, ერთის მხრივ, არქეოლოგიური ენციკლოპედიის მწვავე დეფიციტი, ხოლო, მეორეს მხრივ კი, ქართული მასალების მიმართ დასავლეთის მკვლევართა სულ უფრო მზარდ ინტერესი, ბუნებრივია, მიმდინარე ნაშრომის მნიშვნელობა კიდევ უფრო მეტ ღირებულებას იძენს.

არქეოლოგიური ძეგლების ატლასის შექმნის იდეა საქართველოში წინა საუკუნის ადრეულ 90-იან წლებში დაიბადა და ის აკად. ოთარ ლორთქიფანიძეს ეკუთვნის. მოსამზადებელი სამუშაოები გარკვეულად დაიწყო კიდევ მაგრამ იმ წლების უმძიმესმა სოციალურ-პოლიტიკურმა ვითარებამ დაამუხრუჭა ამ შესანიშნავი იდეის რეალიზაცია, ხოლო ბატონი ოთარის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ მის განხორციელებას უკვე არავინ მიბრუნებია. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ყველა თანამშრომელს კარგად ახსოვს მისი ეს სურვილი და ჩვენი ჯგუფისათვის ძალიან სასიამოვნო და საამაყოა, რომ შევძელით დაგვეწყოს მუშაობა იმ იდეაზე, რომელიც თავის დროზე ჩვენი მასწავლებლის დიდი სურვილი გახლდათ. დარწმუნებულები ვართ, რომ ჩვენს მიერ შემოთავაზე-

ბული არქეოლოგიური ენციკლოპედიის ელექტრონული ვერსიის ინოვაციური მოდელი გარკვეულწილად შეავსებს იმ სიცარიელეს, რომლის აუცილებლობასაც დიდი ხნის წინ გრძნობდა ბატონი ოთარი.

სიახლე, რომელსაც არქეოლოგიური ძეგლების ელექტრონული ენციკლოპედია შესთავაზებს ერთდროულად ქართულ და ინგლისურენოვან მომხმარებელს მდგომარეობს იმაში, რომ ინტერნეტის საშუალებით მან შესძლოს გაეცნოს და გამოიყენოს ძვ.წ. 3-1 ათასწლეულის ყველა კატეგორიის არქეოლოგიური ძეგლის (ნამოსახლარი, სამაროვანი, სამარხი, განძი, სამლოცველო) შესახებ შექმნილი სამეცნიერო სტატიები, თანმხლები საილუსტრაციო ნაწილით. ენციკლოპედიის ძირითად გვერდზე განთავსებულ სპეციალურ ბმულზე „ილუსტრაციები“ დახარისხებული და თავმოყრილი იქნება ჩანახაზების და ფოტოების კომპლექტით თითოეული იმ არქეოლოგიური კომპლექსის შესახებ, რომელზეც კი ენციკლოპედიაში სტატია არსებობს. საილუსტრაციო კომპლექტის ძირითად ნაწილს ძეგლზე აღმოჩენილ არტეფაქტებთან ერთად, წარმოადგენს ასევე კონკრეტული კომპლექსის გეგმები, ჭრილები და რიგ შემთხვევებში სავსე ფოტოები. ვებგვერდზე განთავსებული ძეგლები საქართველოს ყველა რეგიონს მოიცავს.

შესაბამისად, აღნიშნული პროექტის განხორციელების მთავარი შედეგი იქნება ის, რომ დაინტერესებულ მომხმარებელს იოლად და ინტერნეტის დაფარვის სივრცის ნებისმიერ ადგილას მიუწვდება ხელი ძვ.წ. 3-1 ათასწლეულების საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების შესახებ არსებულ სრულ ინფორმაციაზე.

ვებგვერდზე განთავსებული საინფორმაციო ბაზა უაღრესად ტევადია და გარდა არქეოლოგიურ კომპლექსთა შესახებ შექმნილი სტატიებისა მოიცავს კვლევით ნაშრომებს ანუ ესეებს თითოეული ზემოაღნიშნული პერიოდის დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიური კულტურების შესახებ.

აღნიშნული სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის განთავსება ვებგვერდზე გადაწყვეტით იმ მიზნით, რომ მის მომხმარებელს, განსაკუთრებით კი ამ ფართო ქრონოლოგიური დიაპაზონით დაინტერესებულ სპეციალისტთა წრეს კონკრეტულ კომპლექსებთან ერთად, იქვე, საიტიდან გაუსვლელად იოლად მიუწვდეს ხელი ამა თუ იმ არქეოლოგიური კულტურის შესახებ არსებულ სამეცნიერო ნაშრომზე. აქვე გვინდა ვთქვათ, რომ ენციკლოპედიის ამ ნაწილზე მომუშავე არქეოლოგები, რომლებიც ძვ.წ. 3-1 ათასწლეულების კულტურათა შემსწავლელი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები არიან, ფიქრობენ, რომ არ შემოიფარგლონ მხოლოდ იმ ინფორმაციით, რომელიც ამჟამად დაგროვილ ბეჭდურ სამეცნიერო პროდუქციაში მოიპოვება, არამედ თავიანთი კვლევითი ნაშრომები შეავსონ იმ სიახლეებით, საკამათო თემებითა და ახალი თვალსაზრისებით, რომელიც კიდევ უფრო ღრმად ჩაახედებს მკითხველს საკითხის არსში.

ამდენად, ქართული და ინგლისურენოვანი მკვლევარები პირველ ელექტრონულ ენციკლოპედიაში არსებით სიახლეს შეხვდებიან ამა თუ იმ არქეოლოგიური კულტურების შესახებ შექმნილი გამოკვლევის სახით, რომელსაც ჩვენ განვითავსებთ ცალკე ბმულში „ესე არქეოლოგიურ კულტურებზე“.

ეს ინფორმაცია, ვფიქრობთ, რომ სპეციალისტებთან ერთად უაღრესად ღირებული აღმოჩნდება სტუდენტებისა და ახალგაზრდა მეცნიერებისთვისაც, რადგან გარდა საყოველთაოდ ცნობილი ინფორმაციისა ამა თუ იმ კულტურის შესახებ, პროექტის ამ ნაწილზე მომუშავე არქეოლოგების ძალისხმევით შედეგად, გამოკვლევა არქეოლოგიურ კულტურებზე მაქსიმალურად იქნება შევსებული ახალი თვალსაზრისებითა და დასკვნებით. პრაქტიკულად, მკითხველი მიიღებს ძვ.წ. 3 – 1 ათასწლეულების დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ კულტურებზე პირველ ელექტრონულ ნაშრომებს. ეს კი ბევრად გაუადვილებს სპეციალისტებს,

განსაკუთრებით ინგლისურენოვანს, სამეცნიერო მუშაობას და წვდომას ქართველ არქეოლოგთა კვლევებზე.

გარდა ამისა, ენციკლოპედიური ნაშრომი გამდიდრებული იქნება სხვადასხვა ქრონოლოგიური სქემებით, არქეოლოგიური ძეგლების დიდი უმრავლესობისათვის GPS მონაცემებით, არქეოლოგიური რუკებითა და ძვ.წ. 3-1 ათასწლეულების არქეოლოგიურ კულტურებზე არსებული ლიტერატურის სრული ბიბლიოგრაფიით.

მთელი ეს მასალა, და მასთან ერთად გარკვეული რაოდენობის საარქივო ინფორმაცია, რომლისთვისაც განკუთვნილია სპეციალური ბმული „საარქივო მონაცემები“, საშუალებას იძლევა საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების გარკვეული რაოდენობა ფართოდ შევიდეს ელექტრონული ენციკლოპედიური ნაშრომების საერთაშორისო ქსელში.

ამ ფაქტს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ სპეციალისტთა და დაინტერესებულ პირთა საქართველოს მასალებზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, არამედ არანაკლებ იმ ასპექტითაც, რომ მახლობელი აღმოსავლეთის სინქრონული პერიოდის კულტურათა კვლევა, ონლაინ რეჟიმის საშუალებით შესაძლებელი გახდება უკვე უშუალოდ მისი მოსაზღვრე არეალის – სამხრეთ კავკასიის ცენტრალური რეგიონის კულტურათა და მისი მრავალრიცხოვანი ძეგლების კონტექსტში. ეს შესაძლებლობა, რომელსაც აქამდე მოკლებული იყო არქეოლოგიური საზოგადოება, მოგვცემს უნიკალურად ხელსაყრელ პირობას სამხრეთ კავკასიის და მის მიღმა, სამხრეთით მდებარე (ზოგიერთი წინააზიური რეგიონის შესახებ ელექტრონული ენციკლოპედიები უკვე ფუნქციონირებს ონლაინ რეჟიმში) უძველეს კულტურათა ძეგლების შესახებ მრავალმხრივი ინფორმაცია მოვიძიოთ და ვიკვლიოთ ჩვენს სამუშაო კაბინეტებში, უნივერსიტეტებში და ა.შ. ისე, რომ არ მოგვიხდეს დიდი გეოგრაფიული დისტანციების გადალახვა.

ამ შესაძლებლობის გამოყენების მნიშ-

ვნელობა განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს, მაგალითად, ძვ.წ. 4-3 ათასწლეულების მტკვარ-არაქსის კულტურის პრობლემური თემების კვლევისას. კულტურისა, რომელიც ერთიანად ფარავს არა მხოლოდ მთელი კავკასიის, არამედ წინა აზიის გარკვეულ რეგიონებსაც: სირია-პალესტინას, ირანის პლატოს და ანატოლიის ერთ ნაწილს. ბუნებრივია, რომ კულტურის ამგვარი ფართო რადიაციის პირობებში, მისი ცალკეული რეგიონის ძეგლების და ლოკალური ვარიანტების კვლევა დაბეჯითებით მოითხოვს, რომ მთელი ამ ვრცელი არეალის არქეოლოგიური მონაცემები კონტექსტურად იქნას გააზრებული. იგივე შეიძლება ვთქვათ ძვ.წ. 2 ათასწლეულის იმ კულტურის მიმართაც, რომელს ზეგავლენაც კავკასიის მიღმა ვრცელდებოდა. ამის უნიკალურად მოხერხებულ საშუალებას კი შემოთავაზებული ონლაინ ენციკლოპედიური ნაშრომი იძლევა.

ვფიქრობთ, რომ სწორედ ამაში მდგომარეობს წარმოდგენილი პროექტის ეფექტურობა და მოქნილობა.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა დიდძალი არქეოლოგიური მასალის ილუსტრაციული ნაწილის, როგორც გამოქვეყნებული, ისე გამოუქვეყნებლის, დიგიტალიზაცია და თავმოყრა. შესაბამისად, პროექტის დასრულების შემდეგ მოხდება მისი სრული არქივიზაცია სათანადო ელექტრონულ ფაილებად და ასევე, ჩანახაზების სახით.

ნაშრომის ელექტრონული ფორმატი გვაყენებს იმ აუცილებლობის წინაშე, რომ შევქმნათ ენციკლოპედიის შინაარსობრივი და ბმულებში განსათავსებელი მონაცემების პრეზენტაციების მაქსიმალურად მოქნილი მოდელი. ასევე, შევიშუშავოთ ელექტრონული ვერსიისათვის უკეთ მისადაგებული, ენციკლოპედიის გამოყენების ძირითადი პრინციპები. პროგრამირების საფუძველზე ჩართული ნავიგაციური სისტემა ეფექტურად აამუშავებს და ურთიერთკონტაქტში ჩართავს ვებგვერდის ნებისმიერ ბმულს. ეს ყველაფერი კი, რასაკვირველია, დიდ ძალ-

ისხმევასა და მუშაობას მოითხოვს პროექტზე მომუშავე კოლექტივისაგან.

ამგვარი სერიოზული ტვირთი, ლიმიტირებულ დროსა და უაღრესად ლიმიტირებულ ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში, ჩვენგან, პროექტის მონაწილეებისაგან, გამართლებული და მოტივირებულია მხოლოდ იმით, რომ ბოლოსდაბოლოს ხორცი შეესხას ელექტრონულ სივრცეში ქართული არქეოლოგიური ძეგლების განთავსებას, მის საერთაშორისო ხელმისაწვდომობასა და პოპულარიზაციას.

ვფიქრობთ, რომ თავის მხრივ ეს შექმნის უაღრესად ნაყოფიერ საფუძველს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული არქეოლოგიური კულტურების კოორდინირებული კვლევებისთვის საერთაშორისო მასშტაბით მომავალში.

წარმოდგენილი პროექტის განხორციელება, ძეგლების ხელმისაწვდომობასთან ერთად, უდავოდ, საგრძნობლად გაზრდის საერთაშორისო სამეცნიერო ბაზარზე ჩვენი ძეგლების პოპულარობას, მის საგანგებო ღირებულებას სამეცნიერო სამყაროსათვის და მისთვის შესაფერისი მნიშვნელოვანი ადგილის დამკვიდრებას საერთაშორისო ასპარეზზე.

დღემდე ძვ.წ. 3-1 ათასწლეულების ძეგლებზე, მით უფრო მთელი საქართველოს მასშტაბით, არც ერთი ვერსიით (ბეჭდური თუ ელექტრონული) ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომის არარსებობა საკმაოდ დიდ სირთულეს გვიქმნიდა მკვლევარებს, და ზოგადად, არქეოლოგიით დაინტერესებულ საზოგადოებას. სწორედ ამას ემყარებოდა ჩვენი გადაწყვეტილება საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისთვის შეგვეთავაზებინა ამგვარი ნაშრომის პირველი ვერსია. თუ როგორ სახეს მიიღებს საბოლოოდ და რამდენად შედეგიანი აღმოჩნდება ქართველ არქეოლოგთა ინტენსიური მუშაობა, ამას 2014 წელს შეაფასებს საზოგადოება, რომლის აზრს და შენიშვნებსაც ჩვენ ყურადღებითა და სიამოვნებით გავიზიარებთ.

ახალი სამეცნიერო პუბლიკაცია

ახლახან გამოვიდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის და „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ ერთობლივი წიგნი — „ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი“ (740 გვ.; თბ. 2013), რომლის შექმნაზეც მეცნიერები 20 წლის განმავლობაში მუშაობდნენ. ლექსიკონი შედგება წინასიტყვაობის, საძიებელის, ანბანზე დალაგებული სტატიების, ბიბლიოგრაფიისა და შემოკლებათა განმარტებებისაგან. საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების შესახებ ამგვარი ინოვაციური ნაშრომი აქამდე არ შექმნილა. ამ პროექტიის იდეა, ენციკლოპედიური ხასიათის ცნობარის შექმნისა, „ქართლის ცხოვრების“ უდიდესი მნიშვნელობის გათვალისწინებით დაიბადა. ეს ლექსიკონი უფრო თვალნათელს გახდის „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული გეოგრაფიული პუნქტების რეალურ-ხელშესახებ სახეს, განსაზღვრავს მათ მნიშვნელობას საქართველოს ისტორიასა და მატერიალურ კულტურაში. პროექტის იდეის ავტორი და ხელმძღვანელია — გ. გამყრელიძე.

ტოპოარქეოლოგია საისტორიო მეცნიერების სხვადასხვა დარგების გადაკვეთაზე არსებული სამეცნიერო კვლევის მიმართულებაა, რომელიც მოიცავს არქეოლოგიის, ისტორიული გეოგრაფიის, ტოპონიმიკისა და წერილობითი წყაროების სინთეზურ სისტემურ შესწავლას. ლექსიკონი სწორედ ამ კუთხითაა შედგენილი. საფუძვლად აღებულია „ქართლის ცხოვრების“ სიმონ ყაუხჩიშვილისეული აკადემიური გამოცემა, რომელშიც ყველა ძველი ნუსხის მონაცემია გათვალისწინებული და აგრეთვე შეტანილია ვახუშტი ბაგრატიონის — „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. ამ მონუმენტურ გამოცემაში ნახსენებია 650-მდე ადგილ-პუნქტი — ქალაქი, სოფელი, დაბა, მონასტერი,

ციხესიმაგრე და სხვა (მაგ.: მცხეთა, ქუთაისი, უფლისციხე, გრემი, ბიჭვინთა, ახალციხე, რუსთავი, ძალისა და ა. შ.). მათი ნაწილი დღესაც არსებობს, ხოლო ნაწილი უკვე სიანისაგან განადგურდა. პროექტის მიზანი იყო „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული პუნქტების შესახებ თანამედროვე დონის შესაბამისი, არქეოლოგიური და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ინფორმაციის მომცველი ცნობარის შექმნა. ამ პუნქტების ნაწილი არქეოლოგიურად შესწავლილია. თუმცა, ხშირ შემთხვევაში ეს ინფორმაცია ნაკლებად ხელმისაწვდომია საისტორიო მეცნიერების სხვადასხვა დარგის მკვლევართათვის და, საერთოდ, ჩვენი ქვეყნის წარსულით დაინტერესებული მკითხველისათვის. წარმოდგენილი ლექსიკონი უაღრესად მნიშვნელოვანი უნდა იყოს საქართველოს ძველი ისტორიის ზოგიერთი, ბურუსით მოცული მონაკვეთის გარკვევისათვის, რადგან ტოპონიმების ნაწილი ლოკალიზებული არ არის ან დღეს სხვა სახელს ატარებს. ამგვარ პუნქტებთან დაკავშირებული არტეფაქტების კვლევა კი უფრო ნათელს გახდის მათ რეალურ-მატერიალურ სახეს.

ტოპოარქეოლოგიურ ლექსიკონში მოძიებულია „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული თითოეული ადგილ-პუნქტის შესახებ უკვე ცნობილი და ახალი არქეოლოგიური, ისტორიული, ისტორიულ-გეოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი და სხვა ხასიათის მასალები, რომელთა კომპლექსური კვლევა-ძიების შედეგად თითოეულ ქალაქზე, სოფელზე, დაბასა თუ ციხესიმაგრეზე უნიფიცირებული ნიმუშის მიხედვით შეიქმნა სამეცნიერო საცნობარო სტატია. ლექსიკონზე მუშაობისას გამოყენებული იქნა თანამედროვე მეთოდოლოგია: ისტორიულ-შედარებითი და არქეოლოგიური არტეფაქტების

სტატისტიკურ-ტიპოლოგიური კვლევა. ტოპოარქეოლოგიური კვლევის შედეგად შეიქმნა ენციკლოპედიური ხასიათის, ანბანურად დალაგებული, საცნობარო ტიპის უნიკალური ნაშრომი, რომელიც დახმარებას გაუწევს არქეოლოგებს, ისტორიკოსებსა და ყველა დაინტერესებულ მკითხველს. საზოგადოებისათვის უფრო ხელმისაწვდომი გახდება „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული თითოეული ტოპონიმის შესახებ არსებული, ერთად თავმოყრილი არქეოლოგიური და აგრეთვე სხვა სახის ინფორმაცია. ლექსიკონში არსებული წერილობითი წყაროების საფუძველზე და ახალ არქეოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით ძველი საქართველოს კულტურულ-ისტორიული განვითარების ძირითადი კონტექსტია მოცემული. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ, სამწუხაროდ, საქართველოს ისტორიის რეკონსტრუქციისათვის ფაქტების მონაცემები მცირეა. მიუხედავად ამისა, წერილობითი წყაროების, არქეოლოგიური და ეპიგრაფიკული ძეგლების მონაცემების ურთიერთშედარებისა და კრიტიკულად განხილვის საფუძველზე გარკვეულწილად ხერხდება საქართველოს ცალკეული პუნქტების — ქალაქების, სოფლებისა და ციხესიმაგრეების ისტორიის მეტ-ნაკლებად აღდგენა-წარმოდგენა. სამომავლოდ ამ ლექსიკონის ელექტრონული ვერსიის შექმნაა ჩაფიქრებული, რომელშიც ყოველი ახალი ტოპონიმის იდენტიფიკაციის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მისი ჩამატება ლექსიკონში. ის აღჭურვილი იქნება ელექტრონული საძიებო სისტემით. ძველი საქართველოს ტოპოარქეოლოგიის საკითხები განიხილა არაერთმა მეცნიერმა. მათმა ნაშრომებმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს მოცემული ლექსიკონის შედგენის საქმეში. ლექსიკონში ხსენებული ნაშრომები დამონმებულია და ბოლოში მოცემულია მათი სრული ბიბლიოგრაფია. მეცნიერები არ წყვეტენ ამ ლექსიკონზე მუშაობას და მომდევნო გამოცემა კიდევ უფრო სრული იქნება. სამწუხაროდ, ამ ვრცელ ნაშრომ-ლექსიკონში

მოცემულ ყველა სტატიაში, მონაცემების ნაკლებობის გამო, ინფორმაცია თანაბრად არ არის წარმოდგენილი.

ეს ნაშრომი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ქართველი მეცნიერების ახალი თაობის აღზრდაში და სამაგიდო წიგნად იქცევა ძველი საქართველოს ისტორიითა და არქეოლოგიით დაინტერესებული მკითხველისთვის.

წიგნი შეგიძლიათ შეიძინოთ ეროვნული მუზეუმის ან ”სანტა ესპერანტას“ წიგნების მაღაზიაში. მალე ლექსიკონის ელექტრონული ვერსია შესაბამის ვებ გვერდზე განთავსდება.



ქართული ნუმისმატიკური მეცნიერების ახალი ეტაპი

(პროფ. გიორგი დუნდუას 80 წლისთავის გამო)

ქართული ნუმისმატიკური მეცნიერების ახალი ეტაპი მნიშვნელოვნად დაკავშირებულია ცნობილი ქართველი მეცნიერის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი დუნდუას მოღვაწეობასთან. ახლახან მას დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა და ჟურნალის რედაქცია ულოცავს ბ-ნ გიორგის საიუბილეო თარიღს, უსურვებს ჯანმრთელობას და შემდგომ შემოქმედებით წარმატებებს.

იუბილარი დაიბადა 1932 წლის 12 ივლისს, ქ. თბილისში. 1951 წელს თბილისის ვაჟთა XI საშუალო სკოლის ვერცხლის მედალზე დამთავრების შემდეგ იგი სწავლას განაგრძობს ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობისა და ისტორიის ფაკულტეტზე და წარჩინებით ამთავრებს ამ უკანასკნელს 1957 წელს.

1958 წლიდან გიორგი დუნდუა აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმისმატიკის განყოფილების სტაჟიორი, ლაბორანტი, შემდგომში კი უმცროსი და უფროსი მეცნიერ თანამშრომელია. 1968 წლიდან გ. დუნდუა სამუშაოდ გადადის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში. 1986 წლიდან იგი ოთ. ლორთქიფანიძის სახ. კვლევის ცენტრის მთავარი მეცნიერ თანამშრომელია. 1990-1998 წწ. იუბილარი იბერიის არქეოლოგიის სექტორის გამგეა. 1999-2011 წლებში ამავე ცენტრის ისევ მთავარი მეცნიერ თანამშრომელია, ხოლო ამჟამად – კონსულტანტი.

1965 წელს გიორგი დუნდუამ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „სამონეტო მიმოქცევა და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი XV საუკუნის საქართ-

ველოში (ისტორიულ-ნუმიზმატიკური გამოკვლევა), ხოლო 1982 წელს სადოქტორო დისერტაცია: „Монетное дело и монетное обращение Грузии в античную эпоху (VI в. до н.э. - в. IV н.э.)“.

ჯერ კიდევ სახელმწიფო მუზეუმში მოღვაწეობის ადრეულ ეტაპზე (1960-1963 წწ.) სამეცნიერო კონფერენციებზე წაკითხული მოხსენებები („სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის ანტიკური ხანის საქართველოში“, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკური განყოფილება დღიდან მისი დაარსებისა“, „გიორგაულის“ საკითხისათვის“, „პიტიუნტი-ბიჭვინტა“ ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით“) საფუძვლად დაედო მისი მომავალი სამეცნიერო კვლევის მიმართულებას. ავტორის სწორედ ამ სადებიუტო გამოსვლებმა მიიპყრო განსაკუთრებული ყურადღება. ცხადი გახდა, რომ ქართულ ნუმიზმატიკურ მეცნიერებაში მოვიდა თავისებური მოაზროვნე, პრინციპული მკვლევარი, რომელიც გაბედულად ცდილობდა დაერღვია მიღებული სტერეოტიპები. გიორგი დუნდუას მიერ 1964 წლისათვის შემუშავებული სამუშაო გეგმა, ფაქტობრივად, ქართული ნუმიზმატიკული მეცნიერების მომავალი სამეცნიერო სამუშაო პროგრამას წარმოადგენდა.

1964 წელს გამოსულ მონოგრაფიაში „სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში“ იგი წერდა: „ე. პახომოვის და დ. კაპანაძის ზოგადი ხასიათის შრომების შემდეგ სჭირო ხდება ქართული ნუმიზმატიკის დიფერენცირებული შესწავლა პერიოდებად, საკუნეებისა და მიხედვით, მონეტათა ჯგუფებისა და მიხედვით. მაგრამ უკუგდებული უნდა იქნეს ამა თუ იმ პერიოდის ქართული მონეტების იზოლირებული განხილვის ცდები. აუცილებელია პარალელურად შეისწავლოს სინქრონულ ხანებში საქართველოს ტერიტორიაზე მიმოქცევაში არსებული უცხოური საფასეებიც. ეს ერთად თავმოყრილი ნუმიზმატიკური მასალა უნდა შეჯერდეს წყაროების ცნობებთან და არქეოლოგიის კვლევის შედეგებთან. უნდა მოხდეს საქართველოს ტერიტორიის დაყოფა „ნუმიზმატიკურ პროვინციებად“, ე.ი. პერიოდების მიხედვით უნდა შეიქმნას საქართველოს ისტორიულ-ნუმიზმატიკური გეოგრაფია, რომ წარმოადგენა გვაქონდეს გარკვეულ ხანებში საქართველოს ესა თუ ის კუთხე რომელი ქვეყნის მონეტებით იკვებებოდა. ამის შემდეგ კი უნდა გაირკვეს ჩვენი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი გარე სამყაროსთან და სავაჭრო-სატრანზიტო გეზების საკითხი“. აქედან გამომდინარე გიორგი დუნდუას რეკომენდაციით დაგეგმილ იქნა შემდეგი სამუშაო, როგორც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ისე მოგვიანებით არქეოლოგიის კვლევის ცენტრში, რაც წარმატებითაა რეალიზებული ქართველი ნუმიზმატიკოსების მიერ საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების სახით: 1. სამონეტო საქმე და სამონეტო მიმოქცევა ანტიკური ხანის საქართველოში (გ. დუნდუა). 2. სამონეტო საქმე, სამონეტო მიმოქცევა და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი XV საუკუნის საქართველოში (გ. დუნდუა). 3. მახლობელი აღმოსავლეთისა და საქართველოს ურთიერთობა ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით V-XIII სს-ში (ირ. ჯალალანია). 4. ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში (რ. ქებულაძე). 5. საქართველოსა და სეფიანთა ირანის ურთიერთობა ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით (თ. ქუთელია). 6. საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით (მ. ანთაძე). 7. საქართველოს ურთიერთობა ილხანთა ირანთან და ჯელაირთა სახელმწიფოსთან ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით (ც. ღვაბერიძე). 8. დასავლეთ საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით (იზ. ცუხიშვილი). 9. კოლხეთი, იბერია და პონტოს სამეფო ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით (თ. დუნდუა). 10. დასავლური სამყარო და საქართველო ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით (თ. დუნდუა). 11. სამონეტო მიმოქცევა აფხაზეთის ტერიტორიაზე ძვ.წ. V ახ.წ. XIII საუკუნეებში (ს. შამბა). 12. სამონეტო მიმოქცევა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ახ.წ. I საუკუნიდან 1453 წლამდე (ირ. ვარშალომიძე). გარდა ამისა მისივე ინიციატივით და გეგმით (როგორც პროექტის ხელმძღვანელის),

ირ. ჯალალანისთან ერთად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრანტით, დასრულდა ორი ფუნდამენტური მონოგრაფია: 1. ქართული მონეტების კორპუსი (ძვ.წ. VI – ახ.წ. XIX სს.) და 2. საქართველოს სამონეტო განძები (ძვ.წ. VI – ახ.წ. XIX სს.). სამწუხაროდ, მათი პუბლიკაცია დღემდე ვერ ხერხდება.

ისეთი მასშტაბური ხასიათის კვლევა-ძიებამ, რომლის შესახებ ზემოთ ვისაუბრეთ, გიორგი დუნდუას წინაშე იმთავითვე დააყენა მეთოდოლოგიის საკითხი. აკად. ივ. ჯავახიშვილის ფუძემდებლური მითითების საფუძველზე მან თავისი მეთოდოლოგიის პრინციპი ასე ჩამოაყალიბა: თითოეული ნუმიზმატიკური ნაშრომი უნდა შედგებოდეს სამი ნაწილისგან – **თეორიული**, სადაც თავი მოეყრება წერილობით ცნობებს ამა თუ იმ პერიოდის საქართველოში სამონეტო საქმისა და სამონეტო მიმოქცევის შესახებ; **აღწერილობითი**, სადაც მეცნიერულად უნდა აღწეროს შესაბამის პერიოდში საქართველოში მოჭრილი და აქვე სამონეტო ცირკულაციაში ჩართული უცხოური მონეტები და შედარებითი, სადაც მოხდება პირველი და მეორე ნაწილის კვლევის შედეგების ურთიერთშეჯერება. აღსანიშნავია, რომ გიორგი დუნდუას მთელი თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის პერიოდში არასდროს უღალატია თავისი კრედოსთვის. ამან მას საშუალება მისცა მკვეთრად გამიჯვნოდა იმ ნუმიზმატიკოსების რიცხვს, რომლებიც მარტოოდენ მონეტების აღწერითა და ტოპოგრაფიის შედგენით კმაყოფილდებოდნენ. ამან საშუალება მისცა მას პირველ რიგში, ჩამოყალიბებულიყო როგორც ისტორიკოსი, შემდეგ კი – ნუმიზმატიკოსი. გიორგი დუნდუამ გააფართოვა ნუმიზმატიკური მეცნიერების შესაძლებლობები. იგი ყოველთვის ცდილობდა და ცდილობს მონეტები გადააქციოს პირველხარისხოვან ისტორიის წყაროდ, მათი საშუალებით შეიტანოს გარკვეული კორექტივები წერილობითი წყაროების ცნობებში, ან იმ ფაქტებით შეავსოს ისტორიული მეცნიერება, რომელთა შესახებ წერილობით ძეგლებში არავითარი ინფორმაცია არაა დაცული. მონეტებზე დაყრდნობით, იგი ყოველთვის ცდილობს გააშუქოს საქართველოს ისტორიის, პალეოეკონომიკური, კულტურისა და რელიგიის ისტორიის კარდინალური საკითხები. ამ პრინციპითაა დაწერილი ყველა მისი ნაშრომი, რომელთა რიცხვმა (საენციკლოპედიო სტატიების ჩათვლით) დიდი ხანია ერთ ასეულს გადააჭარბა (აქედან 7 მონოგრაფიაა). ნაშრომები გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ, გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. გიორგი დუნდუა მრავალჯერის მონაწილეობდა რესპუბლიკურ, ყოფილ საკავშირო და საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში. მისი მოხსენებები ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი მეცნიერული დონით.

გიორგი დუნდუა თანაბარი ყურადღებით იკვლევს ანტიკური და შუა საუკუნეების პერიოდის საქართველოს ნუმიზმატიკის საკითხებს. მაგრამ მაინც განსაკუთრებით გამოსაყოფია მისი წვლილი ანტიკური ხანის კოლხეთისა და იბერიის ნუმიზმატიკისა და ისტორიის შესწავლაში. ამ მიმართებით საგანგებოდ უნდა აღიშნოს მისი შრომები ე.წ. კოლხური თეთრის გენეზისის პრობლემას რომ ეძღვნება. ათეული წელი დასჭირდა მას იმისთვის, რომ დამაჯერებელი გაეხადა ჰიპოთეზა კოლხური თეთრის ქალაქ ფაზისში ემისიის შესახებ. დღეს ამ საკითხზე მას ოპონენტი აღარ ჰყავს. პარალელურად მან დაწვრილებით განიხილა კოლხური თეთრის ქრონოლოგიის, სემანტიკის, სამონეტო სისტემის და სხვა საკითხები და ყველაფერი ეს მჭიდროდ დაუკავშირა ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე კლასობრივი საზოგადოების და სახელმწიფოს წარმოშობის საკითხს.

გიორგი დუნდუამ პირველმა მონოგრაფიულად შეისწავლა საქართველოში აღმოჩენილი ალექსანდრე მაკედონელის და ლისიმაქეს სახელით მოჭრილი სტატერები, შეადგინა მათი ქართული იმიტაციების სრული მეცნიერული კატალოგი, შეიმუშავა მათი აბსოლუტური შედარებითი ქრონოლოგია; პირველმა ზუსტად დაათარიღა ე.წ. აკოს სტატერი. გ. დუნდუამ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა ბიჭვინტისა და ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული

მრავალრიცხოვანი და უაღრესად მნიშვნელოვანი ნუმისმატიკური მასალა. მონოგრაფიულად შეისწავლა ქალაქ ტრაპეზუნტის II-III საუკუნეების საქალაქო მონეტები. მათზე გამოსახული სიუჟეტებისა და ანტიკური ხანის წყაროების ცნობების ანალიზის საფუძველზე გააშუქა ქალაქის რელიგიის ისტორიის კარდინალური საკითხები და წამოაყენა პრინციპულად ახალი დებულება, რომ ტრაპეზუნტის სპილენძის საქალაქო მონეტები ქართველური სამყაროს მატერიალური კულტურის განუყოფელი ნაწილია. მასვე ეკუთვნის ორიგინალური ჰიპოთეზა ვანში ძვ.წ. I ს-ში მონეტების ემისიის შესაძლებლობების შესახებ. იუბილარს ეკუთვნის აგრეთვე მოსაზრება რომ მითრიდატე ევპატორის მიერ კოლხეთის, როგორც სანაპირო ზოლის, ასევე, ცენტრალური რაიონების დაპყრობას ადგილი ჰქონდა სინქრონულად – ძვ.წ. 105-90-იან წლებში, რომ სამხედრო ექსპედიცია კოლხეთში განხორციელდა დიოფანტეს ლაშქრობის შემდეგ ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში და სწორედ ჩრდილოეთის მარშრუტით და არა სამხრეთიდან.

გიორგი დუნდუამ ვრცელი მონოგრაფია მიუძღვნა სენაკის რაიონის სოფ. ეკში აღმოჩენილი განძის შესწავლას და იმავე რაიონის სოფ. სეფიეთის განძში შემავალი დენარების რეატრიბუციას. ამ განძების მონეტების ანალიზზე დაყრდნობით, მან განიხილა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე II-III სს. რომაული მონეტების ცირკულაციისა და შესაბამისი პერიოდის კოლხეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი (იხ. „საქართველოს სამონეტო განძები. რომაული ხანის მონეტები სოფ. ეკიდან და სეფიეთიდან“, თბ. 1979).

გიორგი დუნდუამ მეცნიერულად განსაზღვრა ნასტაკისში, ალაიანში და ერწო-თიანეთში აღმოჩენილი ნუმისმატიკური მასალა. მონოგრაფიულად შეისწავლა „დიდი მცხეთის“ ტერიტორიაზე მიკვლეული მრავალრიცხოვანი მონეტები, მაგრამ ეს ვრცელი გამოკვლევა, სამწუხაროდ, დღემდე გამოუქვეყნებელია. 1987 წელს იუბილარმა გამოსცა შემაჯამებელი ნაშრომის „Нумизматика античной Грузии“-ის პირველი ნაწილი, რომელიც სამაგიდო წიგნია მთელი კოლხეთისა და იბერიის ისტორიის საკითხებზე მომუშავე სპეციალისტებისთვის.

ძალზე მნიშვნელოვანია გიორგი დუნდუას ვრცელი გამოკვლევა „ე.წ. ქართულ-სასანური მონეტების პრობლემა და ადრეფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის საკითხები“ (ჟურნ. „მაცნე“, 1976, №№ 1, 3). ამ გამოკვლევაში მან პირველად მოხაზა ქართლის ერისმთავრების სახელით მოჭრილი დრაქმების ზუსტი ქრონოლოგიური ჩარჩოები, დაამტკიცა, რომ სტეფანოსის სახელით აღბეჭდილი და ჯვრის გამოსახულებიანი მონეტების ემისია ეკუთვნის მხოლოდ და მხოლოდ სტეფანოს I, რომელსაც ქართული წერილობითი წყაროები, რატომღაც „ურწმუნოდ“ მოიხსენიებენ, დააყენა ამ დიდი პიროვნების რეაბილიტაციის საკითხი თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე.

გიორგი დუნდუამ ქართულ-სასანური დრაქმების ატრიბუციის პრობლემა გააშუქა ირან-ბიზანტია-აღმოსავლეთ საქართველოს VI საუკუნის ისტორიის ფონზე და მჭიდროდ დაუკავშირა ქართული ხუროთმოძღვრების სიამაყის – მცხეთის ჯვრის ტაძრის მშენებლობის საკითხს.

იუბილარის მეცნიერული მემკვიდრეობის ადეკვატური შეფასება ამ მოკლე მილოცვაში, რა თქმა უნდა შეუძლებელია და ამას არც ვისახავთ მიზნად, მაგრამ ორ მნიშვნელოვან ფაქტზე მაინც საგანგებოდ უნდა გავაკეთოთ აქცენტი: 1. 2009 წელს მისი ინიციატივით და მის მიერ შედგენილი გეგმის თანახმად გამოვიდა „ქართული ნუმისმატიკური ლექსიკონი“, გამომც. „ნეკერი“, თბ. (თანაავტორი ისტ. მეცნ. დოქტორი ირ. ჯალალანია). ხაზგასმით უნდა აღნიშნოს, რომ ლექსიკონი „ცარიელ ადგილზე“ შეიქმნა, მას პრეცედენტი არ გააჩნია ქართულ ისტორიოგრაფიასა და ლექსიკოგრაფიაში. ნაშრომში შესულია 400 ნუმისმატიკური ტერმინი თავის დეფინიციითა და შესაბამისი სტატიებით, დალაგებული ანბანის მიხედვით. ცხადია, ლექსიკონში პრევალირებული ადგილი დაიკავეს ქართულმა მონეტებმა და ჩვენს ქვეყანაში აღმოჩენილმა სამონეტო კომპლექსებმა (განძებმა). ლექსიკონში აღწერილია თითოეული ქა-

რთული და საქართველოში გავრცელებული უცხოური მონეტა, მოცემულია განძების სრული ნუსხა და მათი ზუსტი შემადგენლობა, განმარტებულია თითქმის ყველა იმ ძირითადი ტერმინის მნიშვნელობა, რომლებიც მოხსენიებულია ქართულ წერილობით წყაროებში. პარალელურად სათანადო ადგილი აქვს დათმობილი პერსონალის საკითხს. შეფასებულია ყველა ქართველი თუ არაქართველი ნუმიზმატიკოსის ღვაწლი, რომლებიც აშუქებდნენ ქართული და ზოგადი ნუმიზმატიკის პრობლემებს. ლექსიკონის თითოეულ სტატიას თან ერთვის საკითხის შესახებ არსებული ბიბლიოგრაფია. ლექსიკონი ილუსტრირებულია; 2. 2006 და 2011 წელს პროფ. თედო დუნდუასთან თანაავტორობით, იუბილარმა გამოაქვეყნა ახალი სახელმძღვანელო „ქართული ნუმიზმატიკა“, I და II ნაწილი (გამომც. „არტანუჯი“ და „მერიდიანი“). გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს ვრცელი ნაშრომი სრულიად ახალი სიტყვაა ქართული ნუმიზმატიკური მეცნიერების ისტორიაში. ავტორებმა უარი თქვეს მხოლოდ ქართული მონეტების მიმოხილვაზე, როგორც ეს აქამდე იყო მიღებული არა მარტო ქართულ მეცნიერებაში, არამედ უცხოელი ნუმიზმატების პრაქტიკაში. საქართველოში მოჭრილი მონეტების პარალელურად, ავტორებმა განიხილეს ჩვენი ქვეყნის სამონეტო ცირკულაციაში 25 საუკუნის მანძილზე აქტიურად მოქმედი უცხოური ფულიც. ავტორების განცხადებით, ეს უკანასკნელი საქართველოს ისტორიისა და პალეოეკონომიკის ისეთივე ორგანული ნაწილია, როგორც ქართული. პირველად ქართული ნუმიზმატიკური მეცნიერების ისტორიაში ავტორებმა მეცნიერულად გაიაზრეს ეს უზარმაზარი მასალა, გაანალიზეს და გამოიტანეს ზოგადი დასკვნები. აღნიშნული ყველაზე დიდი სიახლეა ამ სოლიდური მონოგრაფიისა, საქართველოს ოცდახუთ-საუკუნოვანი ნუმიზმატიკური მასალის განზოგადება ამ მეთოდით პირველად იქნა რეალიზებული. ამის საფუძველზე ავტორებმა სრულიად ახალი კუთხით გააშუქეს საქართველოს სამონეტო საქმის, სამონეტო მიმოქცევისა და საქართველოს ისტორიის მრავალი მნიშვნელოვანი პრობლემა, კორექტივები შეიტანეს მთელი სამონეტო ჯგუფების ატრიბუციისა და გენეზისის საკითხში. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს ნაშრომი სამაგიდო წიგნია საქართველოს ისტორიისა და პალეოეკონომიკის საკითხებით დაინტერესებული მკითხველისთვის.

გ. დუნდუა შესანიშნავი პედაგოგია. იგი კითხულობდა ლექციებს ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში, ანდრია პირველწოდებულის სახელობის საქართველოს საპატრიარქოს უნივერსიტეტში, სხვადასხვა კერძო და კომერციულ უნივერსიტეტებში. მათ შორის აღსანიშნავია მისი ხანგრძლივი მოღვაწეობა უნივერსიტეტ „იბერიაში“. მას მიჰყავდა ლექციების კურსი საქართველოსა და რუსეთის ისტორიაში, ისტორიის დამხმარე დისციპლინებში, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიაში და სხვ. მისი ხელმძღვანელობით რამდენიმე მაძიებელმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. აღსანიშნავია, რომ მან აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებს მოუმზადა სპეციალისტები ნუმიზმატიკის სფეროში.

გიორგი დუნდუა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის როგორც სამუშაო, ისე ცენტრთან არსებული სადისერტაციო საბჭოს წევრი იყო და გაუწია კვალიფიციური ოპონენტობა როგორც საკანდიდატო ისე სადოქტორო დისერტაციის მაძიებლებს.

გიორგი დუნდუა გამოირჩევა მაღალი მოქალაქეობრივი პრინციპულობით მეცნიერებაში – უკომპრომისობით და პირად ურთიერთობებში – უღალატო მეგობრობით. არის შესანიშნავი ოჯახის მამა და ბაბუა.

ჟურნალ „იბერია-კოლხეთის“ რედაქცია მიესალმება ბ-ნ გიორგის მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით და მისგან ქართული ნუმიზმატიკის ასპარეზზე ახალ წარმატებებს ელიან.

კოლეგები და ჟურნალის სარედაქციო საბჭო

ბიორგი დუნდუას ძირითადი შრომების სია

წიგნები:

- სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში, საქ. მეცნ. აკადემიის გამომც., თბ., 1964. გვ. 3-109.
- საქართველოს სამონეტო განძები (რომაული ხანის მონეტები სოფ. ეკიდან და სეფიეთიდან), „მეცნიერება“, თბ., 1979. გვ. 3-182+38 ტაბ.
- Денежное обращение центральной Колхиды в V-I вв. до н.э. (по материалам Ванского городища), изд. Тбилисского Университета, Тб., 1983. გვ. 3-101+9 ტაბ. (თანაავტ. გ. ლორთქიფანიძე).
- Нумизматика античной Грузии, Тб., изд. «Мецниერება», 1987. გვ. 3-185+27 ტაბ.
- ფული საქართველოში, მეორე გადამუშავებული გამოცემა, საქართველოს ეროვნული ბანკი, თბ., 2003, გვ. 5-189, ქართულ და ინგლისურ ენებზე (თანაავტ. თ. დუნდუა, ნ. ჯავახიშვილი, ა. ერისთავი).
- ქართული ნუმიზმატიკა, ნაწ. I, გამომც. „არტანუჯი“, თბ., 2006, გვ. 3-311+18 ტაბ. (თანაავტ. თ. დუნდუა).
- ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, გამომც. „ნეკერი“, თბ., 2009 (თანაავტ. ირ. ჯალალანია).
- ანტიკური პერიოდის კავკასიის ნუმიზმატიკის საკითხები, გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2009, გვ. 3-39 (თანაავტ. თ. დუნდუა).
- XIII-XV საუკუნეების დასავლურ-ქართული ემისიები (ორი დავითის მონეტა, კირმანეული, ვამეყ დადიანის ფული), გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2010, გვ. 3-58.
- XIV საუკუნის აღმოსავლურ-ქართული ემისიები, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2010, გვ. 3-58 (თანაავტ. თ. დუნდუა).
- XV-XVI საუკუნეების ქართველ მეფე-მთავართა ემისიები, გამომც. „მერიდიანი“, 2011, გვ. 3-59.
- ქართული ნუმიზმატიკა, ნაწ. II, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2011, გვ. 3-235+12 ტაბ.

მნიშვნელოვანი სტატიები:

- ლომის გამოსახულებიანი კოლხური თეთრის გენეზისისათვის, „მაცნე“, ისტ.-ის... სერია, №1, თბ., 1972, გვ. 56-73.
- Обращение Ширванских монет XV века в Грузии, Известия Академии наук Азербайджана, серия истории, философии и права, № 4, 1973, № 1, 1974. Баку, გვ. 53-69, 56-68.
- იჭრებოდა თუ არა მონეტა ვანში? „მაცნე“, ისტორიის... სერია, № 2, თბ., 1974, გვ. 147-159.
- სამონეტო მიმოქცევა და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი ბიჭვინტაში ნუმიზმატიკური მასალების მოხვედრით ძვ.წ. II-ახ.წ. IV სს., «დიდი პიტიუნტი», I, „მეცნიერება“, თბ., 1975, გვ. 280-429.
- ე.წ. ქართულ-სასანური მონეტების პრობლემა და ადრეფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის საკითხები, „მაცნე“, ისტორიის... სერია, № 1, № 3, თბ., 1976, გვ. 97-109, 45-63.
- მონეტები ვანიდან, ვანი III, „მეცნიერება“, თბ., 1977, გვ. 119-152, 194-201.
- თეოდორე ეპისკოპოსის ბულა, „დიდი პიტიუნტი“, II, „მეცნიერება“, თბ., 1977, გვ. 335-342.
- კოლხური თეთრის გენეზისის საკითხები, „მაცნე“, ისტორიის... სერია, № 4, 1978, № 2, 1979, თბ., გვ. 48-61, 66-73. (თანაავტ. ამ. კახიძე).
- Hellenistic Coins from the Site of Vani in Colchis (Western Georgia), „The Numismatic Chronicle“, vol. XIX, L., 1979, gv. 1-5.
- Les „Kolkhidki“, DHA (dialogues d'histoire ancienne). Public avec le concours du Centre National de la Recherche Scientifique, # 8, 1982, pp.53-66.
- ანტიკური ხანის უცხოური მონეტების განძები კოლხეთიდან (ძვ.წ. IV-ახ.წ. IV სს.), კრებ. გურია, II, „მეცნიერება“, თბ., 1997, გვ. 80-107.
- Les Relations Economiques de la Colchide Aux Epoques Archaïque et Classique D'après Le Material Numismatique. La Mer Noire zona de contacts. Presses Universitaires Franc-Comtoises, Paris, 1999, pp. 107-115.
- Numismatic Materials from Bichvinta-Pitiunt. Bulletin of the AGIBAS (American Georgia Institute of Biblical and Archaeological Studies), N 1, Tbilisi State University. Cornell University, 2003, pp. 31-37.
- Hoards of Foreign Coins of the Classical period from Colchis (4th century B.C.-4th century A.D.), Journal of Georgian Archaeology, #1, The Journal of the Ot. Lordkipanidze Centre for Archaeological Studies Georgian Academy of Sciences, Tbilisi, 2004, pp. 160-169.
- კოლხური თეთრი (ზოგადი მიმოხილვა), **ჟურ. იბერია-კოლხეთი**, № 1, თბ., 2003, გვ. 33-49.
- სამონეტო მიმოქცევა იბერიაში I-IV საუკუნეებში, **ჟურ. იბერია-კოლხეთი**, № 2, თბ., 2005, გვ. 170-180.
- სამონეტო მიმოქცევა იბერიაში ძვ.წ. V-I საუკუნეებში, **ჟურ. იბერია-კოლხეთი**, № 4, თბ., 2008, გვ. 19-31.

PAPERS IN ENGLISH

IRON PRODUCTION ON IN COLCHIS (WEST GEORGIA) IN 7TH- 1ST CC BC.

Based on the study of the ferrous metal-treatment process evidence at the metallurgical centres of Colchis, and the historical data pertaining to the distribution of iron metallurgy in the Caucasus and Asia Minor region, the south-western Black Sea coastal region was considered one of the earliest centres of iron metallurgy in the world. Some scholars believe the Georgian metallurgist tribes (living in the south-east Black Sea coastal regions) to have exerted cultural-technical influence on the development of metal-treatment in neighboring regions. In Anatolia the early period of development of iron metallurgy was associated with the Thubal-Cains, from the 8th c. BC it was associated with Khalibs [Mikeladze T. 1974:148-149].

The first objects made of iron in Transcaucasia appeared in the second half of the 2nd millennium BC, but their presence did not have any significant cultural effect. By the end of the 2nd millennium BC and in the beginning of the 1st millennium BC, iron tools and weapons were distributed throughout central Transcaucasia; at this period iron metallurgy and metal working reached its most advanced level.

The great quantity of iron objects in the assemblages of burial complexes dating to the 10th-8th c. BC shows that iron entered the Transcaucasia in the last centuries of the 2nd millennium BC and that the process of assimilation of iron metallurgy and metal working gradually progressed. Beginning from the 12th century BC, iron tools and weapons and bimetal-type daggers (which testify to the coexistence of bronze and iron) are more common in Georgia. Assimilation of quality steel took place beginning in the 1st millennium BC. Starting from the 7th-6th c. BC, the Caucasus began to take part in the political-economic interrelations of the Ancient World; notably, its role of exchange and trade increased. As a result, the Caucasus of this

period played a very active role in the Near East and Greek world [Jessen A. 1935: 135-205].

The history of metallurgy—which is connected with the ancient centers of metal production in the area of Asia Minor and the Caucasus—includes more general problems as well, such as the chronology of assimilation of an iron culture in the above stated regions. A common scientific opinion about the function of Transcaucasia is that it was one of the most important industrial regions in the system of ancient ferrous metal production in Eurasia. This opinion was strengthened by the presence of sites dating to the second half of the 2nd millennium BC and the 1st millennium, which contain the material synchronous with the assimilation-development of iron metallurgy and metal production. Material culture of this period is closely connected with the iron assemblage of the Late Bronze/Early Iron Age burial complexes and of the earlier sites of the Classical period, which is the sign of the regular economic interaction.

Large-scale technological studies of the iron objects found by archaeologists in Georgia began in the middle of the 20th century. The theoretical-experimental studies were carried out by three special scientific centres: the Chemical-Restoration Laboratory of the Georgian State Museum (R. Bakhtadze, Ts. Abesadze, and T. Dvali), the Laboratory of the Technological Study of Historical Metal Material of the Institute of Metallurgy of the Georgian Academy of Sciences (F. Tavadze, T. Sakvarelidze), and the Inter-disciplinary Department of the Archaeological Centre; these studies acquired a systematic character. Of primary interest were the problems of archaeological iron metallographic and chemical-technological analysis and samples from various periods of ancient iron enterprises were studied. The present work considers the results from one part of the investiga-

tion.

If we consider the polycentric system of the origin and distribution of palaeometallurgy in the Ancient World, Transcaucasia was a region favorable to the development of metallurgy because of natural conditions; in particular, there was a ready availability of the essential raw materials (iron ore), fuel (charcoal), fire-resistant clays, and water resources. Geochemical data about iron ores of the region historically contributed to the process of creation and development of iron metallurgy. The high level of technical knowledge developed by the tribes residing on the territory of Transcaucasia enabled swift assimilation of an iron culture. Beginning from the 12th century BC, Transcaucasia was a primary area for the manufacture and consumption of iron [Khakhutashvili D.1981:45-58; Abramishvili R.1988:18-20]. In order to understand the development of iron production in Transcaucasia, we will consider the iron deposits existing in this territory which could be used at various stages of iron metallurgy. From times immemorial, local deposits of iron ore were exploited; these deposits consisted of up to thirty mines of various capacities, and were known for genetic diversity [Tvalchrelidze G. 1958:77-92]. Furthermore, minerals from these mines are known for a high iron percentage and optimal indices for reduction processes.

Iron treatment in Colchis in the 7th-6th cc. BC.

In the first quarter of the 1st millennium, changes taking place in the development of ferrous metal treatment yet again increased its significance within the general economic progress. In the above-stated period, the production in the principle satisfies the demands for the production of ferrous metal and at the same time forms the foundation for the transformation process of industrial sites. The production of iron-steel during the Developed Iron Age forms the prerequisites of development for further stages of an iron culture in Transcaucasia.

The 8th-6th cc. BC in Transcaucasia was characterized by social-economic and political changes. The seeds for the formation of statehood were sown at this time, and a certain role was attributed to the rapid development of iron metallurgy and metal treatment; the great quantity and diversity of the fabricated iron artifacts present in the archaeological record attest to the high level of iron production achieved. In this period, the ferrous metal treatment sites of Colchis entered the integral system of iron production. In the archaeological material from Colchis dating to the Pre Classical period (found in burial complexes) a great quantity of iron appears, part of which have analogous shapes to bronze objects.

In the 7th-6th cc. BC a quantitative increase of iron material also becomes apparent in Colchis. Beginning from this period, the scale of iron production reaches a high level in the plains and mountain zones. An iron culture established its place in the region and exerted great influence on general economic development. An era of intense iron assimilation starts when iron-steel objects reach an advanced state, and when bronze weapons and tools are gradually withdrawn from use.

In order to give a realistic picture of the assimilation of an iron culture Colchis during the Pre Classical period we will consider the results of chemical-technological studies of some samples of ferrous metal production exposed in Colchis.

Technological analysis was conducted for the iron objects corresponding to ferrous metal production of the 7th-5th cent. BC from Colchis; these include the objects found in *Brili, Larilari, Orbeli, Koreti, Kulanurkhva, Eshera, Sukhumi Mount, Guadikhu, Ureki, Nigvziani*, and *Simagre* cemeteries and former settlements (PL I,II). The material included daggers, spear blades, axes, knives, plough shares, and hoes [Inanishvili G. 1985:94-99]. We give the results of chemical-technological study of some of this material (PL III, IV, V).

From the 7th century BC, a period of intense iron assimilation begins in Colchis, when both

tools and weapons appear to be in use. We see a great quantity of one type of bronze and iron materials in burial places (material from *Ureki*, *Nigvziani* burial complexes). Up to the 6th century, analogous shapes of iron and bronze daggers, long open-blade spears, axes, hoes and other typically Colchian objects coexisted in Colchis [Mikeladze 1985:91-92, Lordkipanidze 1989:230-232].

Based on the metal objects preserved in burial complexes of this period, bronze production retained its old traditions and functions. At the same time, the great number and diversity of iron objects from the 7th cent. BC in Colchis served as a prerequisite for the beginning of intense iron assimilation. It must be emphasized that we come across agricultural tools alongside weapons; on one hand this refers to the development of agriculture and the diversity of its branches. On the other hand it is a sign of the level of specialization of the local workshops making iron, as well as the level of organization of the serial production of weapons and tools. Additionally, the replication of bronze weapons in the same form as iron ones refers to the coexistence of bronze and iron (at least for some centuries); it is associated with the transition from the Developed Iron Age of the 7th-6th century BC in Colchis to the period of intense iron assimilation. We believe that the early centuries of 1st millennium BC was the beginning of this coexistence. An analogous level of technological development and material diversity is characteristic to the iron from *Brili*, *Kulanurkhva*, *Eshera*, and *Sukhumi Mount* burial complexes; this shows the intense assimilation of iron production in Colchis. This process of development of ferrous metal production is typical and common for the west Transcaucasia region in the plains, mountain slopes and mountain regions.

The principal procedure of iron-steel treatment — simple free-forging — was replaced by complex hot-forging. Weapons were made using specific tools and stamping. The material was treated thermally and chemically-thermally and

was free of slag inclusions, homogeneous, and characterized by consistent properties.

For a majority of the objects, the technological scheme provides a normalization process, in which the material acquires improved mechanical properties. Normalization therefore might be considered one of the major technological operations.

The technological scheme of one part of the objects studied includes thermal (PL. VI, VII, nos. 4, 5, 40, 37, 44, 47) and chemical-thermal treatment methods. Sometimes we come across cases of their combined application, where a set of high mechanical indices of metal was achieved (hardness reaches 300-450 HB).

The technological scheme for making low- and average-strength steels provided a specific regime of thermodynamic treatment; a set of improved mechanical properties of metal was achieved. The obtained material replaced high-grade, costly, high-carbonaceous steel samples.

Industrial iron sites of Colchis in the 7th-6th cent. BC underwent a transition from the Developed Iron Age to an intense assimilation of iron; these sites assimilated complex schemes of ferrous metal treatment. According to the regularities of economic development in this period, the scale of iron-steel production increased swiftly and workshops shifted to ready production schemes.

Thus in the 7th-6th century BC, iron production in Colchis was characterized by important achievements in ferrous metal treatment. The maximum regime of the production process and new schemes of iron-steel production marked an increase in the scale of production and the assimilation of a serial form of smithy working regimes. In this period objects of iron-steel completely replaced those of copper-bronze. Ferrous metal production became the principal trend in metal-using economics; this stage in Transcaucasia is the determinant of an intense assimilation of iron.

Iron treatment in Colchis in the 5th-1st cc. BC.

The 5th-1st century in Colchis was a period distinguished by further development of production forces, advances in certain branches of the craft, and economic isolation from other branches. At the same time, changes were made in the social sphere. These phenomena conditioned the economical progress of settlements of the period, aiding their transformation into urban-type settlements.

In the 6th cent BC, an important stage of economic development came to an end; this stage, the intense assimilation and distribution of iron and steel, was characterized by 1) serial functioning of enterprises, 2) pre-planned and regulated quantity of produced goods, and 3) significant technological achievements. Simultaneously, the qualitative transformation of metal treatment took place.

During this period both in west and East Georgia there was a concentration of metal treatment workshops in the political-administrative centers. The formation of urban-type workshops in the 6th-4th century BC occurred mainly in those centers, which occupied more favorable areas. Urban-type enterprises were a more advanced form compared to the iron workshops of the previous period, where the numbers of laborers and masters occupied in the workshops and the quality of consumer goods undergo changes. Iron treatment depended on the facilities of the production base and occurred within the frame of urban economy. Specialized forges were created. Sites located in the towns, as well as those centers functioning some distance away, rendered services and satisfied the increased demand for metal by the population. New type of industrial sections and specialized workshops were formed, simultaneously functioning as trade centers. [Apakidze 1970:720-731].

The remains of the iron production workshops are encountered at the sites of Colchis dated to the Classical period. Remains of iron ar-

tifacts connected with the craft system of settlement centers were exposed in the middle section of the Rioni River. The function of this area appears to have been organizing the provision of central Colchis region with iron tools and weapons. With this in mind, *Kutaisi*, *Dapnari*, *Mtistsiri*, and *Sakanchia* have been attributed the specific role of craftsmanship sites. According to archaeological remains, the differentiation of craftsmanship in Colchis that occurred in the 6th-2nd cent. BC enabled economic-trade relations to undergo an important development period, during which production levels were high. The functioning of urban-type specialized forges greatly favored the development of local economic relations and favored the increase of commercial contacts with the external world.

In order to characterize the iron workshops of Classical Period technologically, we selected the iron assemblage from the 5th-1st cent. BC. contexts of the Vani temple complexes. We also took into account the results of a metallographic analysis of iron material from the burial complexes of Colchis and Iberia of the same period (i.e. material from *Sukhumi Mount*, *Guadikhu*, *Nedzikhi* burials).

The following objects were subjected to chemical-technological analysis: spears, daggers, axes, manual-rams, ploughs and nails. The forging blooms were also studied (PL VIII).

A large part of the iron inventory listed (PL X) was excavated on the territory of the former Vani settlement, which during that period was an important political and economic centre of the Colchis kingdom [Lordkipanidze O. 1972:7-42]. The results from a technological study of diverse iron weapons and tools uncovered in Vani enable us to form a perfect opinion about the level of metal production in urban places of Colchis [Inanishvili G, Lortkipanidze G.1974:446-456].

An important role has been attributed to fighting weapons (spears, daggers), the great quantity of which has suggested the intense production of weapons and developed battle activity in Colchis of Classical period [Lortkipanidze

G.1969:248-250]. The excavation of axes, as economic tools, should be emphasized; ploughs and nails are found in great quantity. The use of nails in building and architectural construction elements is apparent.

Below appear the results of the chemical-technological analysis of the above-stated iron inventory (PL. X 33-34).

The technological analysis of the iron material discussed here shows that iron production in the 5th-1st cent. BC underwent definite quality changes compared with the intense assimilation of an iron culture. The serial character of the fabricated assortment is continued; simultaneously, forging centers (consisting of urban shop sites and regional workshops located at some distance from those centers) were still functioning, which jointly forms the integral system of ferrous metal production of the Classical Period.

Smithies functioning in former urban sites are characterized by full-value specialization. Weapons designed for the elite sector of urban areas were made mainly of high quality material; highly carbonaceous and carburized steel was used, which granted the weapons and tools a set of significant mechanical properties. The steel was of a very pure material (with no non-metal inclusions) and had a homogeneous and thin-grained structure, which guaranteed a high market value for an object made of chemical- and thermally treated and normalized material.

The technological scheme for making spear blades included the bilateral piercing carburization process for the sharp edge of the weapon, by the formation of eutectic structure steel. The joint process of chemical-thermal and thermal treatment (hardening-tempering) was used, which was adopted for one scheme and was a technological novelty in iron-steel treatment. According to the complex technological scheme, it includes a plastic base of sharp edged and high-strength surface, and the plastic properties are preserved. Weapon made by this method reveal high cutting ability and tear resistance. Object nos. 1, 4, 16 (PL.

X) were prepared by this method. The hardness of such material is 300-320 HB. The objects were made also of average- and high-strength steel, correspondingly treated thermally, the mechanical properties of which were rather high (240-420 HB).

Among the objects found in the territory of earlier settlements of the Classical Period, ploughs and nails were the most interesting iron-steel artefacts used in building works and architectural constructions. The great quantity of these objects, and their different forms and dimensions, illustrate the multiple and diverse designation of these objects. The ploughs were made of soft and semi-strong steel by the normalization process, and were characterized by good mechanical properties (170-180 HB). All the different size nails were made mainly of soft steel, without thermal treatment. According to the designation, the mechanical properties of the applied material are optimal.

The archaeological recovery of blooms witnesses the function of urban-type smithies. The size of the blooms differs according to their designation. Blooms were monolithic, half-finished objects with a well-treated sponge iron structure; they had a characteristic, non-homogeneous structure and non-homogeneous zone distribution of carbon. Their further treatments, formation into semi-finished and finished objects, were made in the blacksmiths' workshops under urban administration.

Thus, the iron assemblages in the urban places of the Early Classical and Hellenistic Period (5th-1st century BC) show the high level of ferrous metal treatment, and the functioning of specialized centers as forging sites. Alongside weapons and tools, everyday objects occurred widely in this territory. The scale of production increased markedly, and the objects made by qualified smiths acquired a commodity form. Iron-steel materials (metal supports, strengtheners, ploughs, nails, etc.) were clearly used in urban building for the foundations, walls, and roofing systems.

Thus, the serial principle of production, the

high level of objects, and the wide sphere of designation of ready production are signs of the universal distribution of the ferrous metal production process. 5th-1st century BC in Colchis may be characterized as the period of universal distribution of an iron culture.

REFERENCES:

- Abramishvili, R. 1988:** Metallurgical sites on the territory of Transcaucasia in the Bronze-Early Iron Era. *Bashkapsar Seminar in Archaeology*, 18-20, Sukhumi.
- Apakidze, A. 1970:** Georgian culture In the Classical Period, *History of Georgia, Abstracts I*, 720-731, Tbilisi.
- Jessen, A. 1935:** Lead in Caucasus. Proceedings of the State Academy of History of Material Culture 110, 193-205, Moscow.
- Inanishvili, G , Lortkipanidze, G. 1974:** For the chemical-technological study of some iron weapons of Kolkhida. *Collection of Papers in History 4*, 446-456, Tbilisi
- Inanishvili, G. 1985:** Results of technological study of some artifacts of VII-VI cent. BC from Colchis, 94-99, Tbilisi.
- Khakhutaishvili, D. 1964:** Genesis of iron metallurgy in Colchis. Monuments of south-west Georgia Vol. I, 45-58, Tbilisi.
- Lortkipanidze, G. 1969:** Ram cap from Vani. *Soviet Archaeology 4*, 248-250, Moscow.
- Lordkipanidze, O. 1972:** Ancient Vani. *Vani I*, 7-42, Tbilisi.
- Lordkipanidze, O. 1989:** Ancient Georgian Heritage, 230-232, Tbilisi.
- Mikeladze, T. 1985:** Burials of early Iron Era of Colchis, 91-92, Tbilisi.
- Mikeladze, T. 1974:** Studies of the history of ancient population of Colchis and south-east Black Sea coastal zone, 148-149, Tbilisi.
- Tvalchrelidze, G. 1958:** Iron. Natural resources of Georgian SSR I, 77-92, Moscow.

ILLUSTRATIONS:

PL I - Iron tools and weapons of 7th- 6th cc BC from the cemeteries of Colchis (1- 30).

PL II - Iron tools and weapons of 7th- 6th cc BC from the cemeteries of Colchis (31- 60).

PL III - Microstructure of iron artifacts of 7th-6th cc BC from Colchis: 1 dagger , Brili, N 70) 0,4 % C (thermo-mechanical treatment) 100:1; 2. Axe (Brili bur. 26 N6) 0,4 % C (thermo-mechanical treatment) 200:1; 3. Axe (Brili

bur. 7, N 199) 0,35 % C (normalization) 200:1; 4. Axe (Brili bur 7 N 216) 0,3 % C (thermo-mechanical treatment) 200:1; 5. Axe (Larilari, L-67/23) 0,4 % C (normalization) 100:1; 6. Knife (Larilari, L-67/53), 0,7 % C (carburization) 100:1.

PL IV - Microstructure of iron artifacts of 7th-6th cc BC from Colchis: 1. Knife (Eshera, Yo.A 73-171) 0,8 % C (normalization) 200:1; 2. Knife (Sukhumi Mount, AAI 72-57) 0,2 % C (welded iron) 200:1; 3. Knife (Guadikhu, 71-218/AE-1142) 0,6 % C (hardening =martensite) 500:1; 4. Dagger (Ureki, 05476-115) 0,4 % C (normalization) 200:1; 5. Dagger (Ureki, 05476-1138) 0,4 % C (hardening+tempering=sorbite) 500:1; 6. Knife (Ureki, 05476-991) 0,2-0,7% C (carburization) 200:1.

PL V - Microstructure of iron artifacts of 7th-6th cc BC from Colchis: 1. Dagger (Nigvziani, 05 N 74-1039) 0,4 % C (Widmastatten) 100:1; 2. Spear head (Nigvziani, 05 N 74-486) 0,3 % C (annealing) 200:1; 3. Plough (Nigvziani, 05 N 75-1269) 0,3 % C (Widmastatten) 100:1; 4. Knife (Simagre, 05 S 75-282) 0,2 % C (packet metal) 100:1; 5. Knife (Simagre, 05 S 75-287) 0,2 % C (annealing metal) 200:1; 6. Hoe (Simagre, 05 S 75-281) 0,3 % C (normalization) 100:1.

PL VI - Chemical and mineralogical composition of iron object of 7th-6th cent. BC.

PL VII - Chemical and mineralogical composition of iron object of 7th-6th cent. BC.


PL VIII - Iron inventory of 5th- 1st cc BC.

PL IX - Microstructure of iron objects of the 5th-1st cent. BC.

1. Spear head (Vani, 5th-67/44) 0,8% C (hardening+tempering=troostite, sorbite) 500:1; 2. Spear head (Vani, 5th-67/46) 0,8 % C (hardening=martensite, troostite) 500:1; 3. Spear head (Vani, 5th 67/47) 0,2-0,8 % C (carburization+h ardening+tempering=sorbite) 500:1; 4. Spear head (Vani, 5th-67/48) 0,8 % C (normalization) 500:1; 5. Spear head (Vani, 5th-69/35) 0,1-0,8 % C (carburization) 100:1; 6. Spear head (Vani, 5th-67/44) 0,1-0,8 % C (carburization) 500:1.7. Axe,(Vani 5th-65/15) 0,8 % C (hardening+tempering=troostite, sorbite) 500:1.


PL X - Chemical and mineralogical composition of iron objects of 5th-1st cent. BC.

I




Iron tools and weapons of 7th- 6th cc BC from the cemeteries of Colchis

II



Iron tools and weapons of 7th- 6th cc BC from the cemeteries of Colchis


III



Microstructure of iron objects of 7th-6th cent. BC from Colchis

1. Dagger (Brili, N 70) 0,4 % C (thermo-mechanical treatment) 100:1;
2. Axe (Brili bur. 26 N6) 0,4 % C (thermo-mechanical treatment) 200:1;
3. Axe (Brili bur. 7, N 199) 0,35 % C (normalization) 200:1;
4. Axe (Brili bur 7 N 216) 0,3 % C (thermo-mechanical treatment) 200:1;
5. Axe (Larilari, L-67/23) 0,4 % C (normalization) 100:1;
6. Knife (Larilari, L-67/53), 0,7 % C (carburization) 100:1.


IV



Microstructure of iron objects of 7th-6th cent. BC. from Colchis

1. Knife (Eshera, Yo.A 73-171) 0,8 % C (normalization) 200:1;
2. Knife (Sukhumi Mount, AAI 72-57) 0,2 % C (welded iron) 200:1;
3. Knife (Guadikhu, 71-218/AE-1142) 0,6 % C (hardening =martensite) 500:1;
4. Dagger(Ureki, 05476-115) 0,4 % C (normalization) 200:1;
5. Dagger (Ureki, 05476-1138) 0,4 % C (hardening+tempering=sorbite) 500:1;
6. Knife (Ureki, 05476-991) 0,2-0,7 % C (carburization) 200:1.

V



Microstructure of iron objects of 7th-6th cent. BC from Colchis
 1. Dagger (Nigvziani, 05 N 74-1039) 0,4 % C (Widmastatten) 100:1;
 2. Spear head (Nigvziani, 05 N 74-486) 0,3 % C (annealing) 200:1;
 3. Plough (Nigvziani, 05 N 75-1269) 0,3 % C (Widmastatten) 100:1;
 4. Knife (Simagre, 05 S 75-282) 0,2 % C (packet metal) 100:1;
 5. Knife (Simagre, 05 S 75-287) 0,2 % C (annealing metal) 200:1;
 6. Hoe (Simagre, 05 S 75-281) 0,3 % C (normalization) 100:1.

VI

Chemical and mineralogical composition of iron objects of 7th-6th centuries BC.

*Abbreviations of structural constituents:

F – ferrite, P – pearlite, S – sorbite; T – troosite; B – bainite; M – martensite; C – cementite

No	Object	Inventory No	Chemical composition, %				structure	HB
			C	Mn	Si	Ni		
1.	Dagger	Brili, No 70	0,4	0,03	0,15	0,03	f + p	185
2.	Spear head	Brili, No 84	0,2	0,06	0,15	-	f + p	165
3.	Spear head	Brili, No 149	0,45	-	0,20	-	f + p	190
4.	Axe	Brili, No 73	0,8	-	0,10	-	s + t	270
5.	Axe	Brili, No 234	0,4	0,09	0,20	0,05	f + t	225
6.	Axe	Brili, No 170	0,4	-	0,25	-	f + t	180
7.	Axe	Brili, No 83	0,3	-	0,15	-	f + p	165
8.	Axe	Brili, bur. 26, No 6	0,4	0,05	0,30	0,02	f + c	175
9.	Axe	Brili, bur. 26, No 7	0,3	0,09	0,25	0,01	f + p	160
10.	Axe	Brili, bur. 26, No 10	0,3	0,1	0,35	0,05	f + c	180
11.	Axe	Brili, bur. 26, No 15	0,7	0,05	0,15	-	f + p	225
12.	Axe	Brili, bur. 7, No 208	0,4	-	0,20	-	f + c	185
13.	Axe	Brili, bur. 7, No 199	0,35	0,08	0,30	0,03	f + p	170
14.	Axe	Brili, bur. 7, No 216	0,3	0,09	0,35	-	f + p	160
15.	Axe	Brili, bur. 17, No 59	0,35	0,05	0,30	0,04	f + p	165
16.	Spear head	Larilali, L-64/219	0,3	-	0,35	-	f + p	175
17.	Axe	Larilali, L-64/221	0,35	-	0,20	0,01	f + p	180
18.	Axe	Larilali, L-67/23	0,4	0,04	0,35	-	f + p	195
19.	Knife	Larilali, L-67/53	0,2-0,7	0,05	0,15	-	f + p	215
20.	Knife	Larilali, L-64/220	0,8	0,08	0,25	0,06	f + p	240
21.	Knife	Larilali, L-64/222	0,3-0,6	0,05	0,35	-	f + s	195
22.	Plough	Orbeli, 12-28/3	0,3	-	-	-	f + p	160
23.	Hoe	Orbeli, 12-28/5	0,2	-	-	-	f + p	155
24.	Hoe	Orbeli, 12-28/5	0,3	-	-	-	f + p	165
25.	Hoe	Koreti, N 60	0,35	-	-	-	f + p	170
26.	Dagger	Kularurkva, 64/4	0,9	0,03	0,15	-	t + c	285
27.	Axe	Kularurkva, 55/22	0,1-0,5	-	0,25	-	f + p	180
28.	Axe	Kularurkva, 55/27	0,1-0,6	0,02	0,20	-	f + s	195
29.	Knife	Kularurkva, 51/3	0,2	0,09	0,35	0,06	f + p	155
